ეროვნული
ბიბლიოთეკა

გ ა მ ო მ ც ე მ ლ ო ბ ა
„საბჭოთა საქართველო“
თბილისი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ეკვე-ფეფელა

ოცხუბანა
ხალხური ჯვალური
ეთნოგრაფია

გამომცემლობა
« საბჭოთა საქართველო »
თბილისი
1964

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ძველი-ქართული

ფონეტიკა

К 116.921
3

გამომცემლობა
«საბჭოთა საქართველო»
თბილისი
1964

ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

Г—1
899·962·1—32
3 192

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარედაქციო კოლეგია

გიორგი ღეონიძე (მთავარი რედაქტორი)
გიორგი აბზიანიძე
დიმიტრი ბენაშვილი
სოლომონ ყუბანეიშვილი
მიხეილ ჩიქოვანი

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა,
ვარიანტები და შენიშვნები დაურთო
ე. შარაშენიძემ

ს.ეროვნული ბიბლიოთეკა
2000-2003

ᲐᲠᲐᲑᲘᲜᲐᲜᲘ

1896 1909

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხვაკი

I

ზაფხული იყო. მთა მწვანობდა. მაღლა მწვერვალებზეღა მოჩანდა თოვლი, დაბლა ხევებში — ზვავი. მწყემსებს გაერეკათ მთაში საზაფხულოდ ცხვარი და ძროხა, მაგრამ ბედს ემდუროდენ: ჭირი გაჩნდა, აუარებელი ცხვარი და ძროხა ილეოდა, იღუპებოდა; გატყავებას ველარ ასწრობდენ; მრავალს წყლის ნაკადულებს სისხლის რუები მიმატებოდათ. ხევებში ზვავებზე, ბინების, ფარეხების გარშემო ოხრად ეყარა მძოვრი. ფრინველთ და ნადირთ სანატრელი დრო დაუდგათ: ფარფაშობდენ უზარმაზარი სვავები, ყაჯირები, ორბები, ყვავ-ყორნები; დამაძღრები, ლეშით გათოშილები, იქვე ახლო-მახლო კლდეებზედ სხდებოდენ, ფეხებით, ფრთით თან მიჰქონდათ სისხლი და ასისხლიანებდენ კლდის დეკას, ქუჩს, ურძნიანებს [1].

II

ერთი გამაძღარი სვავი კლდის თავზე იჯდა. სიმაძღრით ძლივსღა ქშინავდა, მაგრამ თვალებს უფრო მამაცად ატრიალებდა და სულხარბად დასჩერებოდა უფსკრულში ლეშის გროვას.—ხა, ხა, ხა!—თქვა მან სიცილით ბოლოს, — უყურე, აბა, უყურე იმ ბრიყვს, იმ საცოდავს, იმ მატლს, იმ ბეჩავს! ნეტავი ერთი ლუკმა მაინც გამოვიდოდეს და მერე ეთქვა ჩემზე აუგი სიტყვა, მერე დავეძრახე. ღმერთმა შემარცხვინოს, სასწორზე აგვწონეთ, ძმაო, თუ ორი ათასი ბულბული არ

---

[1] დეკა, ქუჩი, ურძანი — მთის მცენარეებია.

ავიწონო. ჰაერში რომ შევინავარდებ, გავშლი განზე მხრებს, ათასი ვერსიდამაც კი დამინახავს ადამიანის თვალი და იმ მლივს, თუ თავს არ წაადეგ, ვერც კი დაინახავ თვალით; მფრინავი არავის უნახავს, თურმე ჯაგებში, ბარდებში ძვრება და რაღაცას ყღურტულებს და ამისათვის აქებენ, ყღურტულებს თურმე მძინარა, თვალებდახუჭული. ჩემი თვალების ტოლა არც კი არის, რომლებიც არადროს არ მეხუჭება და მუდამ მზად მიჭირავს საჭმლისა და მძოვრისკენ. ის კი ყღურტულებს და ყღურტულებს, საჭმელ-სასმელი არც კი აგონდება და თანაც ჩემს წყევლა-კრულვას დასძახის არემარეს...

— „ყრაანტ, ყრაანტ“! — მოისმოდა. სვავისკენ მოსეირნობდა შავი ყორანი. ჯერ გაეთამაშ-გამოეთამაშა გულზვიადად მჯდომარე სვავს, ფრთაც გაუტყლაშუნა ფრთაზე, უნდოდა ზეზე წამოეგდო, მაგრამ სიმაძღრით დამძიმებული სვავი რომ ვერ დასძრა ადგილიდან, მის გვერდით შორიახლო დაეშვა და ჩამოჯდა კლდეზე.

— ყორანავ, ყორანავ! — მიუბრუნდა სვავი ყორანს და მედიდურის კილოთი დაუწყო კითხვა: — როგორაო? რას მიამბობდი იმ დღეს ბულბულზე, ლამაზად მღეროდაო? ნეტავი მეც ბულბულად ბაქციაო?! უჭკუოვ, უტვინოვ!

— ჰო, იმასვე გიამბობ, რაც მიამბია შენთვის: მისი მღერა არ დამავიწყდება ჩემს სიცოცხლეში, და არ დაიჯერებ, მისი სიმღერის გაგონება აგერ იმ ლეშის გროვასაც კი მირჩევნია.

— აბა როგორ იყო, როგორ? მიამბე! — დაეკითხა კვლავ სვავი.

— მშვენივრად გალობდა, მშვენივრად! რამდენჯერ გავმაძღარვარ ლეშით, სხვადასხვა ცხოვლისა თუ ფრინვლის ხორცით, ჩემს სიცოცხლეში ისეთი სიამოვნების წამი არ გამომივლია; მაშინ კი, როცა ბულბულის მღერას ვუგდებდი ყურს, ჩემმა გულმა ფეთქა დაიწყო, მისი ძგარა-ძგური, ხმაურობა თითონ მევე კარგად მესმოდა. მთელი ღამე არ დამდგარა, არ დაუსვენია. მთელი ჭალა იყო და ის.

— შენ ღამე ჭალაში რა გინდოდა? — ამბობდა სვავი გაჯავრებით.

— მინამ მთაში ლეში გაჩნდებოდა, ბარად დავდიოდი სადავლოდ. სანოვაგეს, ღვთის წინაშე, ბევრსაცა ვხვდებოდი. დამეზარა მთაში წამოსვლა და ერთი ღამე ჭალაში ვათიე ერთ უზარმაზარ ბოკვზე. იმ ღამეს გავიგე ის, რაც ჩემს სიცოცხლეში არ გამიგია და იქნება კიდევ ვეღირსო ბულბულის ხმის გაგონებას. ამაღამაც იქნება წავიდე, აღარა მშია და არაფერი. წავალ, დავჯდები იმავე ბოკვზე და დავუგდებ ყურსა, დილაზე კი აქვე გიახლებით. იმავე ხეზე, მეორე ტოტზე, ყვავი იჯდა. თუმცა უგუნებოდ ბრძანდებო-

და, მაგრამ თვითეულს სიტყვას ის ძითარგმნიდა; მე მხოლოდ ხმა მომწონდა, სიტყვები კი არ მესმოდა. ყვავს ბულბულის ენა კარგად სცოდნოდა და დაწვრილებით მითარგმნიდა. განა არ იცი, ზამთარ-ზაფხულ ბარადა გდია და ადვილად შეისწავლიდა.

— რას გითარგმნიდა, რატომ მეც არ მეტყვი? — თქვა კვლავ სვავმა.

— ბევრს რასმე, ვინ მოსთვლის! ყველა ვერ დავისწავლე, — უთხრა მას ყორანმა. — ცოტა რამ კი მახსოვს. აი თურმე რასა მღერის ბულბული: „ამოდით ყვავილნო, შვენიერნო, ტურფანო, დედამიწის ანგელოზნო, თქვენ დაგედევით მტლედ, თქვენ გენაცვალეთ. უთქვენოდ ღმერთმა ნუ მომცეს ერთის დღის სიცოცხლე, თქვენა ხართ, თქვენა, ჩემი სიცოცხლე. ტყეო, დედამიწის გვირგვინო, მუდამაც იხარე ფოთლით და ნაყოფით, მუდამ მწვანობდე, მუდამ ჰლაღობდე და მე, საბრალო შენი მგოსანი, გიმღერდე, ვაქებ-ვადიდებდე შენს შვენებას, შენს შემოქმედს. უმანკოება შენი ნუძც შეიბღალება რაიმე ცოდვით, რომ არ მატირო მწარედ, გული არ დამიდაგო!

„წყარონო, წმინდად, ანკარად მდინარნო! რძედ გადენსთ ბუნება, რათა ყველა ცხოველს მოუკლათ წყურვილი, დასაჭკნობ-გასახმობად გამზადებულნი მცენარენი მორწყოთ, გაახაროთ, გაანედლოთ, თავი მაღლა ააღებინოთ; ნუ დაივიწყებთ, თქვენი ჭირიძე, უკანასკნელს მატლს, უკანასკნელ ჭიას, რადგან იმასაც სიცოცხლე სწყურია. ნურც დაიშრიტებით: იდინეთ, იწანწკარეთ. თქვენ რომ გხედავთ, ჩემს გულში წმინდა გრძნობა და დიადი სიყვარული თქვენსავითა წანწკარებს. უფალო, ღმერთო, აკურთხე წყარონი, აკურთხე ყვავილნი, დამილოცე ტყე, თქვენს მადლს და დიდებას ეთაყვანე!

„მზეო, ყოველის არსის ნუგეშო, გაათბე, გაახარე ყველა შენის მადლიანის სხივით, ხოლო ნუ დასწვავ, ნუ დაჭგვალავ, ნუ გააფუჭებ კაცის და ბუნების მარჯვენის ამაგს; შენ, ნიავო ციურო, მოეშველე მზეს, ერთად შეზავდით და თესეთ მადლი ქვეყანაზე! ძალნო ბუნებისანო, მოგროვდით ჩემთან. მოისმინეთ მუდარა ჩემი: აგერ სოფლები, აგერ ქოხები, იქვე ობლები, უბადრუკნი, ბეჩავნი ტირიან. მიეშველეთ, მტირალი გააცინეთ, მშიერი გააძღეთ, თქვენს ძალასა და მადლსა!.. ახ, საბრალონი! რამდენი ტირის, რამდენი ოხრავს და იმათი ცრემლი კი ჩემს გულში ზღვასავითა გუბდება, მე სულს მიხუთავს, სიცოცხლეს მიწამლავს.

„რამდენი მწყემსი ტირის და იმათ სარჩოს ითრევენ სვავნი და ყორანნი, უმსგავსნი, უმადლო, უკეთურნი ფრინველნი, სხვისა

ცრემლით თავის მასაზრდოვებელნი, სხვის საფლავზე მოკიენნენი. მზარავს და მშხამავს იმათი მოგონება“ და სხვა და სხვა.

— რაო: სვავნი ყორანნიო? — სთქვა სვავმა მრისხანედ, — იმისმა მზემ, სვავი და ყორანი იმის ცალი და ანათალი არიან, იმასავით მარტო ყღურტულებენ და ვერ სიამოვნებენ ამ წუთისოფლის სიამოვნებით. რა ღმერთი გაგიწყრა, რომ მაშინვე არ გადაუხტი და თავი არ გაუჩეჩქვე იმ წუწკს, იმ უბადრუკს, იმას! იმდენს ვალაპარაკებდი განა ჩემს თავზე, მე რომ იქა ვყოფილვიყავი?! არამი არ იქნებოდა მაშინ ჩემი სიცოცხლე ჩემს თავზე, თუ მაშინვე არ გავგლეჯდი შუაზე?

— ეგრე პირდაპირ რომ ეთქვა მშრალის სიტყვით. მეც ბარემ იმას ვუზამდი, მაგრამ ისე ლამაზად, მოხდენით ამბობდა, რომ გავშეშდი, კლანჭები ხის ტოტზე მიმეწება, ნისკარტი გამიშეშდა, დამამონა, დამაუძლურა. დარწმუნებული ვარ, შენ რომ ყოფილიყავი ჩემს ალაგას, ხმას ვერ ამოიღებდი, კრინტსაც ვერ დასძრავდი. გავგლეჯდი კი არა, დღეს საღამოსაც იქვე უნდა წავიდე და კიდევ მოვისმინო ბულბულის მღერა და, თუ გნებავს, შენც წამობრძანდი, შენ ამოიყარე იმისი ჯავრი. ადვილია მისი მოკვლა, მისი დაჭერა. თვალდახუჭული გალობს მუდამ; დილით მე თითონაც ვნახე, თვალები ეხუჭა და ისე მოთქვამდა.

— მე წამოვალ, — სთქვა სვავმა, — და ავ დღესაც დავაწევ, გიჩვენებ იმის სეირს.

— აი ვნახოთ, მომყე, მაშ წავიდეთ! — სთქვა ყორანმა. — „ყრაანტ“, გაისმა, ყორანი აფრინდა და მასთან ალახლახდა სვავიც და გასწიეს ერთად.

III

ხშირ-ბინდმა დაჰკრა, როცა დიდს ჭალაში, დიდს ბოკვზე ორნივე, ყორანი და სვავი, ჩაეშვნენ, დალაგდენ მძიმედ და არხეინად დაიკეცეს მხრები.

კარგა დაღამდა. ყორანი თვალგაფაციცებული, ყელმოღერებული, მოუთმენლად ელოდა ბულბულის აჩქამებას. სვავს კი უმსგავსად ჩამოეშვა ჩინჩახვი, მოეკუმა ნისკარტი, გაეფართხა მხრები და თეთრს ტომარასავით იდვა ბოკვის ტოტზე.

— რატომ არ გალობს, სად ჯანაბას წასულა ის უმსგავსი, ოხერი? — სთქვა ბოლო დროს სვავმა, — დაუყვირე მაინც, რომ ხმა ამოიღოს.

— მოითმინე, ცოტა ხანს, მოითმინე, — უპასუხა ყორანმა. — მე

რომ დავიყვირო, რას გავაგონებ და, ვინ იცის, ძალდატანებით ამ-ღერებს კი?!.

ცოტა ხანმა გაიარა და ჯერ თითქოს კვნესასავით რაღაცა ხმა შემოესმათ.

— აგერ, აგერ, დაიწყო, დაიწყო! — სთქვა გახარებულმა ყორანმა, — დაუგდე ყური, ის არის, ისა, გალობს, დაიწყო, აბა ახლა შენ იცი, როგორ ამოიყრი ჯავრს!

კვნესას წკრიალი მოჰყვა ჯერ ნელა, ნელა, დინჯად და ბოლოს ამაღლდა ხმა ღვთიური.

სვავმა თავი აიღო და თვალები გააბილა. გაიჩმუჩნა. შუაღამეს მოატანა. ბულბული გალობდა და სვავიც „ოჰ, ოჰ, ოჰ! — იძახდა: — მართლაც, მართლაც გულსა ჰკოდავს, ყორანო!..“

გათენდა, შეეყარა ბინდი ნათელს, ყორანი მიაშტერდა სვავს და შენიშნა, რომ წუწიანს თვალებზე ორი ცრემლი მიჰკრობოდა, დაღვრემილიყო.

— აბა, ბიძიავ, რას აპირობ, მოჰკალი, თუ შეგიძლიან! რას გარინდებულხარ, გაჩუმებულხარ? — უთხრა თავმომწონედ ყორანმა.

— ფიქრებში წავედი, ფიქრებმა გამიტაცეს. აღარ მინდა დანაპირები.

— მე ხომ გითხარი, ვერაფერს გაუბედავ-მეთქი. ხომ გახსოვს?

— მახსოვს და არც გიტყუვნია, — სთქვა სვავმა ამოოხვრით.

შუადღე იქნებოდა, რომ სვავი და ყორანი დიდს ხევში ისხდენ გვერდისგვერდ და ლეშსა წიწკნიდენ.

[1896 წ.]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამოდის, ნათდება!

ვინ ამბობდა ამას? სად ან როდის? ღამეა. თოვლით გადალესილა მთა-ბარი; სულშეხუთულია, ისე შებოჭილი, რომ დედამიწის ძვლებს ჭყრიალი, ჭახჭახი გააქვს. ბუნება თითქმის კუბოში წევს, სუდარაში გახვეულა. არაფერი ხმა, არც მოძრაობა, არც ცელქის მთის ნაკადულის ჩხრიალი არსად ისმის. ნიავიც განგებ შეჩერებულა, რომ არ დაარღვიოს გარეშემო მშვიდობიანობა, არ დაუშალოს ბუნებას ძილი, განსვენება. ტყე დაბარდნილია თოვლით. ხეებს ტანი და ტოტებიც აღარ ეტყობათ... აი ამ დროს ერთ კურუმს გორაზე მგლის ჯოგი გროვდებოდა. ზოგნი მოსულიყვნენ ადრე და სხვების მოლოდინიც ჰქონდათ. ყმუილით, ნელის ბოხის ხმით აუწყებდენ ამხანაგებს: „მოდით, ნუ დაიგვიანებთო!“

ქვეიდან, შორს სოფლიდან გაურკვეველი ჟრიამული ისმოდა; სახლებიდან ამონადენი ბოლი ნისლად, ჯანღად ზედ გადასწოლოდა სოფელს, საბნად ეხურა, მაღლა ცა გავარვარებული, ვარსკვლავებით მოჭედილი, ხოლო პირმოკუმული, გაშტერებული დასჩერებოდა დედამიწას.

მგლები ამაღამ სოფელს უნდა ესტუმრონ. — ესაა მათი ფიქრი და განზრახვა. თავს იმიტომ იყრიდენ ერთად, რომ ტყეში აღარაფერი ეგულებოდათ საჭმელი. ერთი კვირაა მშივრები დალასლასებენ, მიწასაც კი ვეღარა თხრიდენ საჭმელად თოვლისა და ყინულისაგან. მოგროვდენ, დიდი ჯოგი გაკეთდა. ყველანი კბილებს აკაწკაწებდენ, შიოდათ, ძალიან შიოდათ. ერთმანეთს ათვალიერებდენ და ნატრობდენ, ერთს მეორის ტანზე ერთი წვეთი სისხლი მაინც შეენიშნა, რომ ამით საბუთი ჰქონოდათ ძგერებოდენ და თვისი თანამოძმე ლუკმა-ლუკმა გაეგლიჯათ. რომელს ერთს ეყოფოდა ერთი მგელი, თითო ლუკმა ხომ არც კი შეხვდებოდათ! არა, ცოტათი მაინც შიმშილის ჟინს მოიკლავდენ.

საგულისხმო სანახავი იყო ამ დროს მგლების კრება: ზოგი იწვა თოვლზე, სხვა დაყუნტებულიყო, რიგიც იდგა ფეხზე კუდებდაშვე-

ბული, ხოლო ყველას პირები ჰქონდა დაღებული. ასე თათბირობ-დენ თარეშის, ლაშქრობის შესახებ.

— კარგი დრო გავიდა, კარგი, ბიჭებო! როგორ ბნელა! აბა, ვისაც იმედი აქვს თავისა, ეხლა უნდა ეცადოს, — ამბობდა მოხუცი მგელი ტოტია.

— ოღონდაც, ოღონდაც, — სთქვა მეორემ, — თუ სხვას ველარას მოვიგდებთ გარეთ, ძაღლები მაინც მოვიტაცოთ. ხომ იცით ჩემი ამბავი? თქვენ ჩაგასაფრებთ, მე გამოვიტყუებ, გავუთამაშებ, ჩავუკვდებ-მოვუკვდები ქედანას, შემოგაგდებთ ზედ და მაშინ თქვენ იცით, როგორც გაირჯებით!

— რა შვილებმა არ ვიცით ჩვენც, როგორ უნდა ჭამა ლეშისა, — სთქვეს სხვებმა სიცილით. თათბირობდენ ფარეხის გატეხაზე. ცხვრის მოგონებაზე ყველამ დაღებული, ცეცხლით ანთებული ლაშები უფრო დააღეს და ნაკვერჩხლებად გამოაჩინეს დიდრონი კბილები. გაჰკრეს, გაუსვეს კბილი კბილს. აჩქამდა კბილები და საერთო, საშინელ ცეცხლად დაენთო, არემარე გაანათა.

აიშალნენ იმ იმედით, რომ გაძღებოდენ, დაეშვნენ თავქვე, წიხ ჩაუძღვათ ტოტია, წალიკი დააკრეს გორის პირს, ჩამოწკრიალდეხ, იმედი უღვიოდათ გულში, მაგრამ დახეთ, რომ ბედმა უმუხთლა! რასაც არ მოელოდენ, ის მოხდა: მოხდა ის, რითაც იმათი საქმე ფუჭდებოდა, იშლებოდა, წელი მოსწყდათ. რა მოხდა განა ასეთი? ამათ სიბნელის იმედი ჰქონდათ ხომ, მაგრამ ცოტათ შენიშნეს, რომ აღმოსავლეთით ცის პირი ნათდებოდა. ყველანი შეჯგუფდენ ერთად და მიაპყრეს იქით თვალები. ცოტა ხნის შემდეგ მთვარემ წვერი ამოჰყო. ამოვიდა მთვარე და გაანათა ტყე, მთა, ბნელი კუნჭულები; გაანათა ჯურღმული. შეჯგუფებული მგლები ბრაზმორეულნი იძახდენ: „ამოდის, ამოდის, ნათდება!“ მთვარისაკენ მიპყრობილ მგლების თვალებიდან ზიზღის, სიძულვილის, სისხლის ძიების ისრები იყო გაძაფული. როგორ სწყევლიდენ მის ამოსვლას!

— გაგიხმეს ფეხი, გაგიწყრეს ღმერთი! ვაი შენ, ვაი შენ გაჩენის დღეს! — ამბობდენ მგლები და თან კბილებს ულრჭენდენ: „ახ ნეტავი, ხელში კი ჩაგვაგდებინა, შეგვაჭამა, რომ მოგვესპო მაგისთვის სიცოცხლე“. ყველაზე უფრო წყრებოდა, ბორგავდა ერთი ბებერი მგელი.

— ბევრჯელ მომიკალ გული, — ამბობდა იგი, — ბევრჯელ დამაღონე შე წყეულო, შე შეჩვენებულო! ბევრჯელ დამაღონე, გამიმწარე სიცოცხლის დღენი. ბევრის ცხოველის სისხლით ბევრჯელ შევიღებე ცხვირ-პირი, ტოტები და მკერდი; მთელ ორ კვი-

რას დავუმშვენებივარ ამ სისხლსა და ჩემ ტანზე მისი დანახვით სიყმილის ჟინი მომიკლავს. ნეტავი, მთვარევ, ერთხელ შენთვისაც გამესვა ჩემი ბასრი კბილი, ნეტა შენის სისხლითაც დაემშვენებინა მხარბეჭი და თითები ლეგჩოხა ბიჭს ტოტიას.

დანარჩენებიც ამასვე ფიქრობდენ კვლავ ლაშდაღებულნი და შეჩერებოდენ მთვარეს. მთვარე კი ამოდიოდა ზევით და ზევით, ამომაღლდა ცაზე; გაანათა ტყეში ხისა და კლდის ძირები, ბნელი ხევები, აგრეთვე გაანათა სოფლად ბნელი კუნჭულები ციხე-კოშკებისა და ძველთა შენობათა ნანგრევებისა, სასაფლაოს შავ ქვებს თავის სხივის სანთელი დაუნთო; მადლიანად და ცხოვლად იყურებოდა სასაფლაოც კი. გაცრუვდა ყოველი იმედი დავლისა, თარეშობისა. დღის სასწორი ღამეა. რაღა ქნან? იმედი გადაუწყდათ, სასოება დაჰკარგეს, ერთმანეთსღა დაუწყეს თვალიერება; ფიქრობდენ, არჩევდენ ვინ არის ჩვენში სახარჯი, შესაჭმელიო. ერთი მზად იყო მეორეს ძგერებოდა და შუაზე გაეგლიჯა.

მოხუცი ტოტია, თავპირდასიებული ჯაგს უკან ეყუნთა, ფიქრებში იყო გართული. იმას ბევრი შიმშილი უნახავს და ბევრი ვაება გამოუცდია, მაგრე რიგად იმიტომ არ იყო შეწუხებული, ახლაც სხვისა იმედით ნადირობდა; ახალგაზდა მგლები უზიარებდენ იმას საზრდოს.

— ტოტიავ, ეი, არ გესმის?! რას გარინდებულხარ, ვერა ხედავ რა ამბავია? ვიღუპებით შიმშილით, ლამის მგლის ნათესაობა, ჯილაგი გაწყდეს პირისაგან ქვეყნისა. რასა სწერს შენი კარაბადინი, ბიძიავ? — უთხრა მას ერთმა მგელმა და თან ტოტი გაუქნია თავში.

— რას სჩადი, შე ბრიყვო, შე გაუზრდელო ვირო? — სთქვა წყრომით მოხუცმა მგელმა. სხვა მგლებმაც ყურები აცქვიტეს, — იგრძნეს საქმის ვითარება.

— ჰო და რა?! — იღრიალა ყველამ ერთად, — ძალიან კარგად გიშვრება, შენისთანა ბრიყვზე ერთი ტოტის დაკვრა კიდევაც ცოტაა. კბილი გაუსვით მაგას, კბილი! ეს სინათლე სულ მაგის ბრალია! — ღმუოდენ ყველანი. დიდს ხანს აღარ აცალეს და თათებს კბილებიც მიაშველეს...

— ბიჭო, ჭკვიანად, ჭკვიანად! რას სჩადით, თქვე ბრიყვებო?— ღმუთუნებდა ტოტია და ულრენდა კბილს ხან ერთს, ხან მეორეს, მაგრამ იმისი ღრენა ვის შეაშინებდა? ერთ წამში გათავდა ტოტიას სიცოცხლე; ლეშთან ერთად გათავდა მისი სულიც. ბეწვიც აღარსად ეგდო იმის მრავალტანჯულის ტყავისა. ოდნავ თუ სადმე ნასისხ-

ლარს შეამჩნევდით, ის იყო. მგლებს ცოტათ გული დაუმშვიდდათ, მაგრამ კიდევ შიოდათ. შეხედეს ერთმანეთს, შეეშინდა ერთს მეორისა, ალბათ იმიტომ — ახლა მე არ შემჭამონო, შეეშინდათ და გაფრთხენ. ერთი მეორეს გაურბოდა, ჯაგიანებში ჩხლაკა-ჩხლუკი ისმოდა და თან თოვლის ჭყრიალი... მთვარე კი ამოვიდა, ამოცურდა მაღლა, თითქმის შუა ცაზე, ნათლად კაშკაშებდა და იქიდან, როგორც დარაჯი, უფთხობდა ქვეყანას მტერსა... მგლები კი გარბოდენ უგზო-უკვლოდ ტყეში და ყველას პირზე ეკერა: „განათდა, განათდა!“.

[1896 წ.]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოჩვენება

რამდენი ხანია აღარ მინახავს. საწყალი, რას დამსგავსებია, თქვენი ჭირიმეთ! რამ მოაგონა კვალად ჩემთან მოსვლა, საით მომძებნა თავისზე საწყალი, თავისზე უძლური, სუსტი არსება, უღონო, ბეჩავი, ბედკრული! ჰოო! დიაღ, ეს ჩემი სატრფოა, ჩემი სათაყვანებელი, ჩემი ქვეყნიური ღმერთი!.. მიყვარს, ძალიან მიყვარს, მაგრამ ხშირად კი ვერა ვხედავ ხოლმე და არც მეჩვენება თვალით, არ დამენახვება ხშირად. იმის სურათს მუდამ გულით ვატარებ, მისი სახე განუშორებლივ, განუწყვეტლივ თვალწინ მიციმციმებს. დიდი, დიდი ხანია, ერთხელ წინათ ვნახე: როგორი თამამი, გაბედული სახის გამომეტყველება ჰქონდა! მადლით შეზელილ ცეცხლს აფრქვევდა თვალთაგან. სადად ეცვა ტანთ, მაგრამ ძალიან უხდებოდა, მტკიცე, გამჭრელი მიმოხვრა ჰქონდა და ვარდისფერ ტუჩებზე ღიმილი უქროდა. პირველად რომ დამინახა, გამიცინა, დამაცქერდა, ყელზე გადამეჭდო და მხურვალედ კოცნა დამიწყო. „გიყვარდე და მეყვარებიო“ მითხრა და მინამ გონებას მოვიკრეფდი, გაქრა, გამისხლტა. მხოლოდ თავისი სურათი ღრმად აღბეჭდა ჩემ გულზე, რომ ვერცერთი საფლავის ქვის მთლელი ისე ღრმად ვერ ამოჭრის საჭვრეთლით ეპიტაფიას. ვინ იცის, რამდენი ხანია მას აქეთ, აღარ მახსოვს, რამდენი წელია, ვიცი კი, რომ კარგა ხანია... უყურეთ, რა დროს მოჰგონებია ჩემი ნახვა!

გარეთ ქარი ღმუის, ცივა, ქვა ტყვრება სიცივისაგან, ნამქერს ისვრის ქარი, ყველაფერს ჭვალივით ჰსენავს სიცივე, ძვალსა და რბილში ისარივით ესობა... ჩემ გულში კი მყუდროებაა. არაფერზე აღარა ფიქრობს ჩემი გონება, თითქოს გაჩლუნგებულა, გულის მძლავრი, ოდესმე, ბგერა შემდგარა. რაც მწამდა, აღარ მწამს, რაც მიყვარდა, აღარ მიყვარს, აღარც ღონე მაქვს, მკლავი დადუნებულა, სისხლი გაცივებულა ძარღვებში. მე ჩემ თავს აღარ ვიცნობ, მძულს ჩემი თავი. თავისთავზე ბრაზი მომდის: ასე რათ გამოვიცვალე? რატომ აღარა ვარ ის, რაც ერთ დროს ვიყავი? რა მემარ-

თება? ნუთუ ასე ცოცხალმკვდარად უნდა დავრჩე?.. არა, ცოცხალს, თუ სრული სიცოცხლე არ ექნება, მირჩევნია სრული სიკვდილი! და ვაპირობდი ან დამბაჩისთვის მეთხოვნა, მოეღო მოწყალება და ან დანისთვის. აი სწორედ ამ დროს....

— შინა ხარ? — გაისმა ხმა გარედან. ამ ხმის გაგონებაზე ჟრუანტელმა დამკრა თავში და ფეხებში გაირბინა. ის ხმა თითქოს მეცნობოდა. — შინა ხარ? გააღე კარი, რაღას მალოდინებ? ვითომ კაცი ხარ, არ გებრალები, ადამიანი რომ ვიწვი და ვიდაგები ამ სიცივეში? — ისმოდა დაჟინებით გარედამ ხმა.

— ვინა ხარ, ვინ? ვის გაგიღო კარი? რა თავხედი რამ ვინმე ჰყოფილხარ? უცნაურს როგორ გაგიღო კარი, განა ისე სულელიცა მნახე? — ვუპასუხე მე, — მითხარი სახელი და კარს მაშინ გაგიღებ.

— სახელიო? აღარ ვიცი მე ჩემი სახელი, აღარც ვინაობა ვიცი თავისა. მხოლოდ ვიცი, რომ ადამიანი ვარ, მიცნობ და შენც გიცნობ მე. სახელიც დამავიწყდა თავისა ამ ავი დროსა და ავი დარისაგან. ოჰ, ღმერთო, ღმერთო, ამოვიდა, ეს არის, სული! ჩქარა, თუ გწამს რამ კიდევ ქვეყანაზე, თუ სრულიად არ გადაგიგდია სანაგვეზე შენი კაცობა. განა კაცობა მაგას ჰქვიან, რომ შიშის გამო, იქნება ყაჩაღია და მომკლასო, მადლი ვეღარ გიქმნია?! ჰაი, შე ლაჩარო! შე სულმდაბალო, შენა!.. ძალიან მდიდარი ხარ, რომ შენ სიმდიდრეს დავეშურო? რა გაქვს, რისთვის უნდა მოგკლას შენ ავაზაკმა? ერთი სულიერი საუნჯე გქონდა და, ვგონებ, ისიც დაჰკარგე.

— არა, მე ვტყუი. მაპატიე, უცხო სტუმარო, მაპატიე, მომიტევე დანაშაული, კაცნი ვართ, ადვილად ვერ ავიღებთ ხელს თავისთავზე. მობრძანდი, ვინც უნდა იყო, ახლა აღარ მეშინია, — ვთქვი მე და გავუღე კარები.

შემოვიდა სახლში. ცეცხლის სინათლეზე ოდნავ გავარჩიე მისი სახე. ვიცანი, ის იყო. ავეგზენ, ავენთი: ეს რასა ვხედავ?! ის არის, ისა! ღმერთო, ღმერთო ჩემო!

ოდნავ გადმომხედა და თვალები და პირი ცეცხლისაკენ მიჰმართა კერას და ცეცხლაპირას ჩამოჯდა, იმავე ადგილას, სადაც ერთ დროს იჯდა; მაშინ ახალწლის ღამეს მეწვია. ახ, რა ლამაზი იყო მაშინ, თვალს ვერ მოაშორებდა კაცი, და როგორ გამხდარა, როგორ გასაცოდავებულა ახლა!.. სახე ჩაჰყვითლებია, თვალები დასისხლული აქვს, თითქოს ცრემლის გუბეში ჩამდნარანო. დაძველებული თალხი ჩიქილა ძლივს ეფარება თავზე და თმა მირევ-მორევით ჩამოსწეწია ბრწყინვალე შუბლზე. ისევ ფეხშიშველაა. მომერია ცრემლი თვალებზე, უნდა დამეწყო ტირილი, მაგრამ თავი

92 676
945 Ц
ВЗРОСЛЫЙ ОТД.

შევიკავე, პირი მოვარიდე, მინდოდა ცრემლები დამემალა, გულზე მოწოლილი სიბრალული და ნაღველი არ გამომჟღავნებულიყო. მაინც და მაინც ლამაზი იყო; ისევ მყვარებოდა და არ კი ვიცოდი.

— რათ მარიდებ პირს, რაო? მოდი, დაჯექი ცეცხლთან. შეგზარა ჩემმა ნახვამ? გიკვირს, რომ გამოვცვლილვარ? ნუ გიკვირს, ნუ! ტირილი გწადიან? იტირე, ვინ დაგიშლის? გეცოდები? გახსოვს ხომ, ერთხელ რომ გეწვიე? მას აქეთ კარგა ხანია და აი ეხლა დღეს გესტუმრე. განა რომ გამოვცვლილვარ? ჯავრმა იცის. ბევრი ტანჯვა-ვაება გამოვიარე, ბევრს განსაცდელს გადავრჩი.

— ვინ გტანჯავს? ვინ გაწვალებს, ის უღმერთო? შენ რა გმართებს ვისი? — ვუთხარი მე.

— არაფერი. მაგრამ არიან ისეთნი, რომ სხვისა ტანჯვით და დაღონებით თითონა ხარობენ. გაიგეს მერე, რომ უპატრონოა, და, ლამის, სულსა იქით აღარაფერი შემანარჩუნონ. ჩემთვის ყველაფერი ბევრი მქონდა: ადგილი, მამული, სახნავი, სათესი, ვენახი, წისქვილი, წყალი, მთა-ბარი ჩემი საკმაო. მომიშარეს და წამართვეს.

— როგორ თუ წაგართვეს?

— არ იცი განა, როგორ ართმევენ? — სთქვა მან,—ხელი აიღეო, მიბრძანეს, თორემ ხომ იციო, წკიპურტი და შენი ჯანიო, ზედ დამირთეს. არც სტყუოდენ. მე წარვუდგინე საბუთები, პირობები, სიგელები, ვინ იცის, რა და რა არა: ცაში ღმერთი და დაბლა დედამიწა, მაგრამ ამაოდ. პატარა საბოსტნე ადგილი გადმომიგდეს და გუშინ იმისიც გამომიცხადეს, ხელი უნდა აიღოვო. სადღა წავიდე, აღარ ვიცი, რამ უნდა დამარჩინოს? რამ უნდა შემინახოს? ოჰ, რა ძნელია, რომ ადამიანს არა ჰყავს პატრონი, შემწე და მფარველი!

— ახ, უსამართლონი!.. ღმერთმა შეარცხვინოს ისინი! ღმერთმა ნუ აჩვენოს იმათ კეთილი, თუ არ გემართლებოდენ! — ვბუზღუნებდი მე ჩემთვის, შუბლზე ოფლს მასხავდა, გულმა მძლავრად ბგერა დაიწყო; კბილებს ვაღრჭენდი, სისხლი თავში იწევდა... ჩვეულებრივმა გრძნობამ გამოიღვიძა და სიცოცხლე ვიგრძნე...

— სახლ-კარიც დამიწვეს; თუ რამ სახლში იყო, ისიც ცეცხლმა იმსხვერპლა. დიაღ, დამიწვეს სახლი, თითონ ფერხული დაებათ და გარეშემო სიმღერით უვლიდენ.

სთქვა რა ეს, დაიწყო საბრალომ ქვითინი და ცრემლის ფრქვევა... მეც იმას ავყევი, ბანი მივეცი. ორივენი ვტიროდით. დაიქანცა ტირილით, ოხვრით; მიდო თავი იქვე კერის პირას კუნძზე და

მიეძინა. მეც ავიღე ძველი ფარდაგის ნაგლეჯი და ზედ მივაფარე ამერია გუნება, ველარ დავდეგ სახლში, გამოვედ კარში...

ქარი ისევ ღმუოდა. მე მუშტს ვუღერებდი და უმსგავსად ვილანძღებოდი. ხან ნიჩაბს დავავლებდი ხელს და გადავყრიდი თოვლს აქეთ-იქით. ახლა ცულს წამოვავლე ხელი და დავუწყე ჭრა შეშას, შუალამე გასული იყო და მე კი პიროფლიანი შეშაზე ცულს ვასკარტუნებდი. მაგრამ თვალებიდან ცრემლი და გულიდან ნაღველი არა მშორდებოდა...

შევედი ისევ სახლში. ცეცხლი ოდნავღა ბჟუტავდა. დავაცქერდი ჩემ სტუმარს. როგორ მობუზულა! როგორ მოკრუნჩხულა! მუშტისტოლაღა გამხდარა, ძლივსღა ფეთქავს. რა საბრალო სანახავია, მეტ საცოდაობას ხომ ველარას ჰნახავს კაცის თვალი!.. კვლავ ამერია გუნება, კვლავ დავიწყე ტირილი. თავისუფლად ვიყავი, აღარავისა მრცხვენოდა, აღარც მეშინოდა... გარედან ხმაურობა შემომესმა: სიცილი, ხარხარი. ვინ იცინის? ნუთუ მე დამცინის ვინმე? ვინ უნდა იყოს აქ ამ დროს?.. მერე ტირილის, ჟივილ-ხივილის ხმა მომესმა და მომაგონდა, ამ ადამიანს ხომ შვილებიც ეყოლებოდა, იქნება თან გამოჰყვნენ და ეძებენ, ვერ უპოვნიათ მშობელი დედა და ტირიან-მეთქი...

ისევ კარში გავედი. ჩემ კარებს თავზე გუნდი ღამურებისა დაჰფარფატობდა, — ჩემს დანახვაზე აქეთ-იქით გაიფანტნენ და მიიმალნენ წყვდიადში. ყურს ვუგდებ: მხოლოდ ქარი ღუღუნებს, ქვეით ოდნავ წყალი ჩხრიალებს. სხვა ყველაფერი მდუმარებს: ხე, ქვა, ტყე, მთა და მინდორი... ისინიც ხომ მადარდებენ, მაგრამ ისე არა, როგორც ეს, — ეს ჩემი სატრფო, მეშინიან, არავინ მოიტაცოს, ან ავად არ გახდეს. ოჰო, ძლიერ მეშინიან და მივესწრაფები სახლში... ისევ ისე საბრალო წევს, ისევ ისე, ხოლო რაღაცას ლუღლუღებს. ყური დავუგდე: „ნუ მომკლავთ, ნუ მომკლავთ, თქვენი ჭირიმეთ! რა დაგიშავეთ? რათა მკლავთ, რათა? ახა, ვაგლახ მე!.. რა ულმერთოები ჰყოფილხართ?..“

— არავინა გკლავს, არა. ნუ გეშინიან, შენი ჭირიმე, ვერავინ მოგკლავს. ვინ გაჰბედავს?! — ვამბობდი მეც და თავს დავჩერებოდი.

— ჰა! — სთქვა მან და გაახილა თვალები, — ოჰ, რა ცუდი სიზმარი ვნახე! ვითომ ისევ თავს დამესხნენ, ბავშვებს მტაცებდენ და ხანჯლებით მიტევდენ მოსაკლავად, — ამოიოხრა ბოლოს და მიიძინა.

დიდხანს ვიჯექი მეც იმის პირდაპირ ჩემ მამა-პაპის კერაზე და მის მილეულ, გახუნებულ შვენიერებითა ვტკბებოდი. მეც დამძი-

ნებოდა. დილაზე გამეღვიძა. თვალი მივავლ-მოვავლე გარეშემო: ჩემი სტუმარი გამქრალიყო, იქ აღარსად იყო. ხოლო ხელში ქალალ-დის ნაკუწი მეპყრა და იქ შემდეგი სიტყვები ამოვიკითხე: „გიყვარ-დე, ნუ დამივიწყებ, თუ გინდა, ბედნიერი იყო“.

მართლაც ბედნიერი ვიყავი: გულსა და მკლავს ძალა მოჰმატე-ბოდათ, გონება ისევ წინანდებულად სჯიდა და ფიქრობდა; გრძნო-ბები იკრეფდენ თავითავს, — თავი მაღლა მეჭირა და ვიძახოდი: მე განა ღირსი ვარ იმის სიყვარულისა, იმის ყურადღებისა?!. არა, და კიდეც იმიტომა ვარ ისევაც ბედნიერი.

[1897 წ.]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მწყერი

I

ზამთარი მოახლოვდა. ყველა მძლევარი ფრინველები გაიკრიფნენ ჩვენის ქვეყნიდან თბილ ქვეყნებში; წავიდა მერცხალი, წავიდა გუგული; აღარსად ჭიკჭიკებენ მწყერები ყანებში, აღარც ფუტკარი მინდვრებში. მარტო ერთადერთი მწყერი დარჩა ჩვენ ქვეყანაში და ისიც ძალაუნებურად, მეტი ღონე არ იყო, უნდა დარჩენილიყო. რა მიზეზით? — იკითხავთ. — დაკოდილი გახლდათ ცოტაოდნად და იმიტომ. ამხანაგებმა კარგა მანძილი გამოატარეს, უნდოდათ თან წაეყვანათ დაკოდილი თანამოძმე, მაგრამ სნეულმა, რა შეატყო თავის თავს, მგზავრობას ვერ შევიძლებო, ამხანაგებს უთხრა: „საყვარელნო დანო და ძმანო! წადით თქვენ. ღმერთმა მშვიდობის მგზავრობა მოგცეთ. მე ნუ მიცდით; ჩემი ცდა თქვენ ხეირს არ დაგაყრისთ. თქვენც დაიღუპებით, მე ხომ, ეს არის, ვიღუპებიო“. ყველანი ცრემლის ფრქვევით გამოეთხოვნენ და გაუდგნენ თავიანთ წასასვლელ გზასა.

დადგა ზამთარი. თეთრად გადაილესა მთები. ტყე, მინდორი, ყველა სულდგმული თუ მცენარე სიცივით ცახცახებდა; ყველას აშინებდა სიკვდილი იმიტომ, რომ საზრდოს შოვნა გაძნელდა. ბუნებამ მაგრად დაჰკეტა თავისი მდიდარი სალარო. მგლები შიმშილით დაძრწოდენ და ყმუოდენ; მელები დაათრევდენ დიდრონ კუდებს და ცბიერად აჩერდებოდენ აქა-იქ დედამიწას, ეგები სადმე მშრალი ადგილი ვიპოვოთ, რომ თაგვის სოროს წავაწყდეთო, მაგრამ ამაოდ. ხარბად გაიცქირებოდენ სოფლებისკენ; იქ ბევრი მსუქანი ბატი და ინდოური დაგოგავს, იქიდან მოისმის მამლის ყივილი, მამალს გარშემო ახვევია ჩასუქებული დედლები. მაგრამ უბედურობა ესაა, რომ კაცები ხაფანგს უგებენ მტაცებელთ, ძაღლები ჰფხიზლობენ და მთელი ღამე ჰყეფენ. ეჰ, წახდა დროება, ყველაჲ ისწავლა ყადრი ცხოვრებისა. კურდღლები ფეხით ჰქექდენ თოვლს,

რომ ამოეჩინათ ხმელი ბალახი საზრდოდ. შაშვები და ჩხართვები გუნდად ედებოდენ კუნელს, ფითრს და იმით იცავდენ სულსა.

ჩვენი მწყერი კი იჯდა ცეცხლისაგან გატუსულ ყუნჭის ძირას. მშრალი ალაგი ეპოვნა და იქ შეეფარებინა თავი. მობუზული იჯდა, თუმცა წყლული აღარა ტკიოდა. ახლა მწყერი სულიერად იტანჯებოდა; აქ ზაფხულობით ყველგან საზრდო ჰქონია, ყანებით, სიმინდებით დაფარული ყოფილა არემარე, დღეს კი ყინულს და თოვლს დაუჭერია მისი ადგილი. ვერსაიდან ვერ ამოიღებს იგი საზრდოს. რა საშინელება ყოფილა ზამთარი! მწყერს არასოდეს არ გამოუცდია. მოაგონდა თავისი ამხანაგები, მოაგონდა იქაური მინდვრები და ჭინახულები. აქ თუ ზამთარია, იქ ზაფხულია; მისნი მეგობარნი და მოძმენი მხიარულად ატარებენ დროსა. იცის კარგად მწყერმა, რომელს მხარეზედაც არის საზამთრო ბინა, მაგრამ ამას არ შეუძლიან იქ მისვლა; გარშემო აყუდებულან დიდრონი მთები, წამდაუწუმ ისეთს ბუქს, კორიანტელს ასტეხენ, რომ მზის სხივებსა ჰფარავენ, — როგორ შეუძლიან იმ მთაზე გადასვლა!.. ოჰ, როგორი საყვარელი იყო მისთვის ეს არემარე ამ ორი-სამი თვის წინათ და ახლა კი შეეჯავრა. ეს ხომ მისი სამშობლოა; აგერ ორმოცი ნაბიჯი არ იქნება სულ, სადაც დედამ ისა და მისი და-ძმები ერთად გამოჩეკა ყანაში და იქვე გაზარდა. რატომ არ უყვარს დღეს მწყერს ის ადგილი, სადაც თვალი აახილა, როგორც ყველა სულდგმულს? იმიტომ, რომ მას აღარ არგია, უსარგებლო შექმნილა; დედა დედინაცვალზე უარესად ეპყრობა, დღეს იქიდან ქარს მოაქვს ნამქერი და ზედ აყრის, უნდა დაჰფაროს, შიან და საჭმელი არსადა სჩანს. რამდენჯერ ლოცულობდა საბრალო, ევედრებოდა ღმერთს, რომ ერთი დღე ეჩვენებინა ისეთი, როგორიც ზაფხულში ენახა, რომ გადასცილებოდა მთებს, იქით გადაფრენილიყო, მაგრამ მისი ვედრება ამაოდ რჩებოდა; რამდენჯერ თითონაც ეცადა, მაგრამ ქარიშხალმა უკუაქცია და ჩამოაგდო ისევ დაბლა ხეობაში...

მწყემსებისაგან გატუსულ ყუნჭის გვერდზე, სადაც მწყერს თავი შეეფარებინა, თხილი იდგა. თხილზე შაშვი შემოჯდა, ისიც საზრდოს დაეძებდა; მაშ სხვა რა შეაწუხებდა, გამტკნარებული იჯდა. ან კი ვის მოაგონდებოდა ახლა გალობა? ზამთრობით აღარა ჰგალობენ ჩიტები: მწუხარე კილოზე ჟივიან და შეწუხებულები აქეთ-იქით აწყდებიან. შაშვს კვნესის ხმა შემოესმა ძირიდან, ყვითელი ნისკარტი გვერდზე მიიღო, თვალები დააალმაცერა, მწყერი დაინახა და ჩამოსძახა:

— გოგო, შე საცოდავო, რას აკეთებ მანდა? ამ დროს რა გინდა შენ აქა? ახა, ღმერთო ჩემო, სხვა მწყერები ყველანი წავიდენ, რამ-

დენი ხანია. აქ რომ დარჩენილიყვნენ, სულ ერთიანად გაწყდებოდენ. მიკვირს, შენ რამ გაცოცხლა? ხეზე შენ ვერ შეფრინდები, საცოდავო, რომ ან კუნელი სადმე მოჰკენკო, ან ფშატი, აბა რა დაგარჩენს?

მწყერმა უამბო თავისი თავგადასავალი. შაშვსაც ფრიად შეეცოდა იგი.

— ძალიან გემშევა?

— ოჰ, ძალიან, და-ძმობამ, — უპასუხა მწყერმა.

— მოდი, ეცადე, აფრინდი, წავიდეთ ერთად; მე ვიცი, ერთ ადგილას კარგი მსხმოიარე კუნელი.

— ჰმ, რას მარგებს, შენ გენაცვალოს ჩემი თავი, — მიუგო მწყერმა, — ხეზე, ხომ იცი, მე ვერ შევჯდები.

— ოჰ, მართლა. ეგ რაღა ხათაბალა უნდა იყოს?! ფრენით, მინახავხართ, კარგა დაფრინავთ და ხეზე რატომ არ უნდა ჯდებოდეთ? ეცადე, გაბედე. იქნება არ ცდილხარ. ყველა საქმე ცდისაა.

— ჯიშად არ მოგვიდის, დობილო, ღვთისაგან არა გვაქვს ბრძანება.

— ჰმ... ხათაბალა... როგორი ცუდი საქმეა! — ამბობდა შაშვი თავისთვის შეწუხებით და ოხვრა-კვნესით.

II

მეორე მწყერი

ხოლო ის კაცი იყო, ხნიერი, დიდი ტანჯვა-ვაების მნახველი. კარგა ხანია, რაც ესეც მოჰსხლტა თავის საყვარელ მეგობრებს და ამხანაგებს. ვინ იყვნენ ისინი? — მისი ცოლი და შვილები, მათთან ერთად დიდი სიმდიდრე. დიდი ხანია გიგოლა მარტოდმარტო ცხოვრებს თავის სახლში, ერთ მიყრუებულ ადგილს თავის სამშობლოში; მოშხამულია მისი ყოფნა და სიცოცხლე. ქვეყანა იძახის: „უილბლო, უდოვლათო კაციაო“.

დღეს გიგოლა ლოგინად ჩავარდნილი, მძიმე ავადმყოფია და ამბობს: „ღმერთო, შე დალოცვილო, მიიბარე ჩემი ცოდვილი სული!“ მოსწადებია იქ გადასახლდეს, სადაც კარგა ხანია გაისტუმრა თავისი საყვარელი ქალთამზე და მასთან ერთად ოთხი ვაჟიშვილი. ოჰ, როგორ უყვარდა თავისი ქალთამზე, სიშვენიერით და სათნოებით განთქმული დედაკაცი! დღესაც უყვარს, დღესაც. უნდა შეჰხვდეს იქ, საიქიოს მაინც, ერთხელ კიდევ დაინახოს თვალითა.

გიგოლას საწოლის შორიახლოს ბაგაზე აბია რქამოტეხილი ხა-

რი ნიკორა. ზარმაცად ილოღნება და ხანდახან გადმოავლებს თვალს თავის პატრონს, როცა იგი გულიდან ამოიკვნესებს. ნიკორაც დაბერებულა. ვერ არის კარგ გუნებაზე, რაღაც ცუდ გუნებაზეა; ცუდს რასმე მოელის.

დედაბოძზე, გიგოლას პირდაპირ, ჰკიდია მისი ხირიმი, დამბაჩა და დიდი ხანჯალი.

გარეთ ქარი ღუღუნებს, ხან უსტვენს, ხან თითქოს წუწუნებს, თითქო ბუნების უბედურებაზე ტირისო. მოასკდება კარებს და თოვლის ნამქერს გადმოაბნევს სახლში. აი ქარმა დაუბერა ძლიერად, შემოაღო კარები და ნამქერთან ერთად ტყლაპივით რაღაც გადმოაგდო, პირდაპირ გიგოლას გულზე. გიგოლამ ხელში აიყვანა, — მწყერი იყო. „ჰმ, — სთქვა გიგოლამ და ჩაფიქრდა. მწყერი არ ინძრევა, დახუთულია, დაკრუნჩხული, საწყალი, საცოდავი, — განაგრძო გიგოლამ მისუსტებული ხმით, — ამას რაღა უნდოდა ამ ზამთარში აქა?“ უნდოდა მიალერსებოდა, მაგრამ თავი აღარა ჰქონდა, თვალები მოეცრემლა, მწყერს ხელიდან არ უშვებდა: „საწყალო, საწყალო, შენც ჩემსავით საწყალო!“ — ამბობდა გიგოლა. მწყერი აიყვანა და იქვე პატარა კოდი იდგა, ხორბლიანი, იმაში ჩასვა, თითონ კი მიესვენა ხმელს კუნძზე, რომელიც ბალიშის მაგივრად ედო თავქვეშ. რამდენჯერმე ამოიოხრა, თვალები მიავლ-მოავლო თავის საბრალო ქოხს და განუტევა სული... ნიკორამაც მძიმედ ამოიოხრა და წაიფშვინა. მწყერი კი მობუზული, თავბრუდასხმული იჯდა, ჯერ გონს ვერ მოსულიყო.

[1897 წ.]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კლდემ მხოლოდ ერთხელ სთქვა

„გამარჯვებაო“. რამდენჯერმე ვუთხარ დიდს, საზარელს კლდეს, მაგრამ ყური არ მიგდო, იდგა თავისთვის დინჯად. ყურსაც არ იბღერტდა, თითქოს ბუზიც არ აჰფრენოდეს.

— ხომ არ დაგეძინა, შავ-კლდეო, ბოლმა-ნაღველით შედედებულო, უბედურო, უდაბურო, გულღრძუვო! — გავუმეორე კვალად, — კაცი ვარ, სალამს გაძლევ, რატომ ბოდიშს არ იხდი?..

— ბოდიში? — სთქვა კლდემ და შუბლშეკრულმა გადმომხედა მაღლიდან, — რას ეძახით კაცნი ბოდიშს?.. ჰო, ვიცი, ვიცი... ერთმანეთს სულ მუდამ დღე გამარჯვებას ეუბნებით ენით, ხოლო საქმით ერთურთის დაღუპვაზე სდგეხართ. კლდე იმით არის კლდე, რომ ენას არ ალაკლაკებს წაღმა-უკუღმა. როგორ გაგეხარდებოდა, როგორ მადლობელი იქნებოდი, როგორ ქება-დიდებით მომიხსენებდი, შენს „გამარჯვებაზე“ გაგიმარჯოს, შენ გენაცვალე, შენი ჭირიმე, თავს შემოგევლეო, რომ მეთქვა, არა? უმეცარო! არ გესმის, გამოუცდელი ხარ, ჯერ ბევრი რამ გაკლია, ბევრისაგან ბევრი...

— ჩვენ კაცნი ამას ზრდილობას ვეძახით. ბოდიშის მოხდა ვალად გვძე ადამიანის შვილთა.

— ჰმ, ჰმ, ჰმ! — გაიღიმა უგემურად, — უზდელთ ვინ მოგცათ ზდილობა?! ერთმანერთს სჭამთ, ერთმანერთსა ჰყლეტთ. ვითომ კლდე ბრიყვია, არ იცისო, გგონიათ? ვიცი, ყრმაო, ვიცი! დიდი ხანია აქედან დავყურებ ქვეყანას... რაც იქ სისხლი და ცრემლი დაღვრილა და იღვრება, აქ ჩემს გულში გუბდება, აქა გროვდება. ბუნებაში ჩემზე უშნო ერთი ქმნილებაც არა გგონიათ. მთას რომ უცქერით კაცნი, მე მუდამ თვალს გადამაცილებთ თავზე, რათა ჰპოვოთ რამ სხვა თვალისთვის საამური — ყვავილი, ბალახი და სხვა. უნდა გაიცნოთ ჩემი გული, უნდა ჩაიხედოთ შიგ, იქნება მაშინ აღარ გეუშნოვოთ, აღარ შემიჯავროთ. თუ ვინმე სასოებამიხდილი, თავმობეზრებული დამადგება თავსა და ამბობს: აქედან უნდა გადავვარდე, რომ მოვრჩე ტანჯვას, მოვისპო სიცოცხლეო, —

თვალებსწინ საზარელს სურათს დავუყენებ სიკვდილისას, ვაგრძნობინებ — ნუო; დაიშლის — ხომ კარგი, არა და — ჩემს კალთაზე სიკვდილს ჰპოვებს. იმის სულის დალევის წამი გულში ჩამეწვეთება და ტანჯვად მექცევა. დიდის ტანჯვის მტვირთველი ვარ, იმიტომ მუდამ მუნჯი, მუდამ პირქუში ვდგევარ, არ არის ჩემთვის მოსვენება, არ ვიცი, ლხინი რასა ჰქვიან. არა ვარ უმადლო. ნუ, ნუ სცოდებთ ღმერთსა, ნუ მიკიჟინებთ უდაბურ-უბედურებას, ნუ დამწამებთ გულღრძუვობას.

— ახ, რა კარგად ლაპარაკობ; რომ ჩამოხვიდოდე სოფლად და კაცთა შორის დაიწყებდე საუბარს, რა დიდს მადლს იზამდი! მერე როგორ უჭირს ქვეყანას კარგი მთქმელი, კარგი ჩამგონებელი!... კაცი კაცს არ უჯერებს, კარგსაც რომ ეუბნებოდეს — ესეც წესია ერთნაირი ბუნებისა, მაგრამ როცა დაინახავდენ — კლდე ლაპარაკობსო, მთლად სმენად გადაიქცეოდენ ადამიანის შვილნი; შენ შეგეძლო ანგელოზებად გარდაგექმნა კაცნი. მე მრწამს ესა: იოტის ოდნად არ ვეჭვობ, რომ წინააღმდეგი რამ მოხდეს, თუ გაჰბედავ და იქაც ეგრე აუჩქარებლად, დინჯად, მოხდენით ისაუბრებ.

— კიდევ არ იცი, გამოუცდელი ხარ და იმიტომ. ძალიან ცოტა-ხნის გამარჯვება მექნებოდა, ბოლოს, ისევ ცილისწამება, მეძავობა, შური იჩენს თავს. იტყვიან: „მოჩვენებაა, კლდეს როგორ შეუძლიან ჯერ საუბარი და მერე ეგრე ჩაგონებით, ადამიანივითო! ეშმაკის მანქანება რამ უნდა იყოსო“ — და მორჩა... მერე წერაქვი, ლაღუმი, ამტვრიეთ კლდე, ვისაც რად გესაჭიროებათ: ჩაყარეთ ლიბო სახლისა, ააშენეთ კედლები, დააგეთ ფილაქანი, გათალეთ საფლავის ქვები. არ იქნება ასე? იფიქრე. კარგად იფიქრე!.. ეგრე რომ არ იყოს, ეგ ზნე რომ არ ვიცოდე კაცისა, დღესვე მთელი ქვეყნის თვალწინ გავფენდი, რაც კაცობრიობას ცოდვა ჩაუდენია, რაც შეცდომა მოჰსვლია, რაც საცოდაობა დატრიალებულა დედამიწის ზურგზე, მაგრამ ამაო შრომა იქნება: კაცმა უნდა სცოდოს, კიდევ შეცდომა ჩაიდინოს, რომ მერე ინანოს, შემდეგ ისევ ეცადოს, შეცდომა გაასწოროს. ესაა მისი სიცოცხლე. დიაღ, დავანახვებდი ყველა მის გონების, გრძნობის უსუსურობას, ამას რომ არ ვხედავდე, და მეც დავიფუშებოდი. აღარ მინდოდა მას შემდეგ სიცოცხლე, აღარც იყო ჩემი ყოფნა საჭირო. გულდამშვიდებით, ბედნიერად დავხუჭავდი თვალს და მოვისვენებდი.

— ააახ! როგორ გულით მონდომებული ვარ ადგილიდან დაიძრა, გახვიდე ხალხში და იქადაგო! რა მშვენიერი სურათი დამიდგებოდა თვალწინ: აუარებელი ხალხი და მათ შუაში ჩამდგარი შენ, კლდე, ჰქადაგებდე ეგრე მედიდურად, წარბშეუხრელად, მოური-

დებლად, უკრძალავად. ჩვენ, როცა კაცის ხასიათის სიმტკიცე გვინდა გამოვსახოთ, ვამბობთ: კლდეა, სწორედ კლდეაო. და ახლა ის წარმოიდგინე, თვით კლდე ესაუბრებოდეს ქვეყანას... მაშინ რა იქნება? ნუთუ სასწაულს არ მოახდენდი? მაგრამ არა, ჰზარობ, გეძნელება ადგილიდან დაძვრა, შეჩვეული ხარ ერთ ადგილს დგომას, არ გეხერხება განძრევა. გეშინიან, რომ გავინძრე, გავჩუჩუნდე, სულერთიანად დავიფუშებიო.

— მე რას ვიტყვი ისეთს, შენც არ შეგეძლოს იმისი თქმა?

— რისა, მაგალითად?

— მხოლოდ სამი სიტყვისა: გ ი ყ ვ ა რ დ ე თ კ ა ც ნ ო, ე რ თ-მ ა ნ ე რ თ ი! შენ გგონია, საკვირველს, ახალს რასმე გასწავლი და ან ვასწავლი ქვეყანას? ხოლო ამ სიტყვებს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, შინა და კარში ეს ხმა უნდა ისმოდეს, პირველი მცნება ეს უნდა იყოს, დედა ამას უნდა ჩასჩიჩინებდეს შვილს აკვანში, ისე გამუდმებით, რომ ეს ჩაძახილი ველარა გზით ვერ ამოიშალოს ადამიანის გულიდან, როგორც ჩემს მკერდზე ვერაფერი ამოჰშლის წყალთა და ზვავთა ნაკვალევს. ანუ, უკედ რომ ვსთქვათ, ის პატარა ბუშტი ლეშისა, რომელსაც თქვენ გულს ეძახით, იქცეს ერთ, მხოლოდ ერთ სიტყვად — გ ი ყ ვ ა რ დ ე ს.

სთქვა ეს და სდუმდა. დაბლა ხევებიდან მოაწვა შავი კუპრივით ნისლები და კლდე სრულიად დაფარა. ბევრი ვეძახე, ბევრი ვემუდარე, კიდევ ხმა გაეცა კლდეს ჩემთვის, მაგრამ ამაოდ, ხმას აღარ იღებდა, ჩემს ხვეწნა-მუდარას ყური აღარ უგდო.

დაიწყო მთიდან ცივმა ქარმა ქროლა, ცივს ჟინჟლს წვიმისას პირზე მაშლიდა და ჩემს ცრემლებს უერთებდა...

მერე კიდევ მოვდივარ ხშირად კლდესთან იმ იმედით, რომ გამოვესაუბრო, მაგრამ ამაოდ. დიაღ, ამაოდ, აღარ იღებს ხმას და აღარც მეჩვენება. გადიცვამს ტანზე ჯავშნად შავს ჯანლს და მემალება...

[1898 წ.]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქუდოვანი

(საბავშო მოთხრობა)

სარდიონი ფრიად ამაყი და თავმომწონე კაცი იყო. დიამბეგობა რომ მიიღო, მაშინ უფრო თავი მოიწონა; სწორედ გაფხორილ მამალ ინდოურს დაემსგავსა. სარდიონმაც სხვა მოხელეებს მიჰბაძა და წვერი შუაზე გაიყო, მოიპარსა. ხელობა ისეთი ებარა, რომ ძლიერ საჭირო იყო ყველას შიში და კრძალვა ჰქონოდა მისი.

სარდიონი დიდი კაცი იყო და დიდკაცურადაც ცხოვრობდა, სიმდიდრეც ჰქონდა, ძღვენიც ბლომად მოსდიოდა; რა გინდა, სულო და გულო, რომ იმის საკუჭნაოში არ მოიპოვებოდა: ერბოსი და ყველის გუდები, მსუქანი დედლები, ბატები, ინდაურები, გაფუფქული გოჭები და სხვ. და სხვ.

გაზაფხულობით და ზაფხულობით ბაღჩაში განსვენება უყვარდა: დიდ ნიგოზ ქვეშ იდგა სტოლი და მის გვერდით იყო გამართული ტახტი ხალიჩაგადაფარებული; თუ ამინდი ხელს არ უშლიდა, დილასაღამოთი დიამბეგი ჩაის აქ შეექცეოდა, აქვე ისადილებდა და აქვე წაიძინებდა ჩრდილ ქვეშ. ეს ხასიათი ჰქონდა. მოჩივრებსაც აქვე მიიღებდა.

ბედნიერი კაცი იყო სარდიონი და ბედნიერადაც ჰგრძნობდა თავს. მაგრამ მის ბედნიერებამ დიდხანს არ გასტანა. ვისი ბრალია? მე არ ვიცი, თქვენ თითონ განსაჯეთ. ვიტყვი მხოლოდ, რომ საბაბად კაჭკაჭის ქურდბაცაცობა გახდა...

იქვე ბაღჩაში, ერთ ბებერ ჭერამზე კაჭკაჭმა ბუდე გაიკეთა. შიგ სამი კვერცხი ჩადო და სამი ბღარტი გამოჩეკა. როგორ უყვარდა კაჭკაჭს თავის შვილები! როგორ ეალერსებოდა, როგორ უფრთხილდებოდა, თავს ევლებოდა; გაფაციცებული აქეთ-იქით აწყდებოდა, რომ საზრდო არ დაეკლო შვილებისათვის; რა წამს იშოვიდა რას-

მე საჭმელს, მიურბეინებდა თავის ბღარტებს. უნდოდა დაესუქებინა, დაეშვენებინა შვილები, მაგრამ თან ეშინოდა კიდეც, რომ ბუდე არავის შეენიშნა, ამიტომ როცა ბუდეში იჯდა, კრინტს არ დაძრავდა და შვილებსაც კი უშლიდა: ნუ ყღურტულებთო. ისინი მაინც თავისას არ იშლიდენ, ასტეხდენ ერთ ყივილ-ხივილს, როცა კი დაინახავდენ დედას, რომელიც იმათთან ბრუნდებოდა ნანადირევით.

სარდიონმა არ იცოდა კაჭკაჭის დასახლება მის ბაღჩაში, რადგან იგი მაღლა არ აიხედავდა, იმდენად თავს არ შეიწუხებდა. ისიც კარგად იცოდა, რომ ღმერთი სწყალობდა მაინცდამაინც. მაშ რა საჭირო იყო მაღლა ცქერა? ხოლო კაჭკაჭი ყველაფერს ჰხედავდა, რაც ბაღში ხდებოდა. ადევნებდა თვალს დიამბეგის ქეიფს და განცხრომას. რამდენჯერ მოსვლია კაჭკაჭს პირწყალი, როცა დაუნახავს დიამბეგი ბატკნის ან ინდაურის კანჭის ხვრაში და უთქვამს თავისთვის: „ახ, ნეტავი, ჩემ შვილებს მოუტანაო!“

ერთხელ დილით, ჩაის შემდეგ, მსახური დიამბეგს საუზმეს უმზადებდა: გადაფინა სუფრა სტოლზე და მოიტანა დანა-ჩანგალი, პური, ყველი და გაბრუნდა სხვა სანოვაგის მოსართმევად. დიამბეგი ამ დროს გაფხორილი ხეივნის ქვეშ დასეირნობდა. კაჭკაჭმა დაინახა სუფრაზე ყველი და პური. სიმსუნაგემ სძლია და მასთან შვილების სიყვარულმა. ჩამოფრინდა, სტაცა კლანჭები ერთ ნაჭერ ყველს და მიურბენინა თავის შვილებს. ბღარტებს ძალიან გაეხარდათ, იამათ, მაგრამ ვერ ეყოფინათ. დედა ისევ გაფრინდა სხვა ნაჭრის მოსატანად. ის იყო, დააფრინდა ყველის ნაჭერს და დიამბეგმაც სწორედ ამ დროს არ შეასწრო თვალი!

— სოსიკა, ზაქარა, ბერუა, თედუა! — ყვიროდა გაბრაზებული სარდიონი: — ბიჭო, ბიჭო, მოდით აქ! ჩქარა მორჩით! არ გესმისთ, რომ გიბრძანებთ?

და ვიდრე ბიჭები იახლებოდენ, დაუწყო თითონ ქვებსა და წიწკრებს სროლა, რა დაინახა ჭერამზე ბუდე, შიგ ბღარტები და მათ გვერდით კაჭკაჭი, მისი ყველის ქურდი. დედა არ ინძრეოდა, ვერა სტოვებდა შვილებს, თუმცა სარდიონის ნასროლი კენჭები ხან ბოლოში გაუბზრიალდებოდენ, ხან მხრებში...

— ჰაი, შე წყეულო, შე შეჩვენებულო! — უყვიროდა დიამბეგი კაჭკაჭს, — ჩამოაგდე ყველი, გიბძანებ, ჩამოაგდე!

დიდკიზიროკიანი და ვეებერთელა კაკარდიანი ქუდიც უკან კეფაზე ჰქონდა გადაწეული და ძალაუნებურად კადრულობდა მაღლა ცქერას. რაკი ვერაფერი შეასმინა ძირიდან კაჭკაჭს, მოიწადინა

მაღლა ასვლა. აბობღდა ხეზე, ბიჭებს აღარ უცდიდა, უნდოდა თავის ხელით დაესაჯა თავისი შეურაცხმყოფელი.

საწყალმა კაჭკაჭმა რა იცოდა, თუ თავზე ასეთი უბედურება დაატყდებოდა?! რომ სცოდნოდა, ახლო კი გაუვლიდა დიამბეგის სუფრას? არ ეგონა, თუ ეწყინებოდა სარდიონს ყველის მოტაცება, რადგან იცოდა, რომ სარდიონს ყველაფერი ბევრი ჰქონდა და დიდი კაციც იყო. რას იკადრებდა კაჭკაჭის დასჯას ერთი ნაჭერი ყველის გულისათვის!

არ ეგონა, მაგრამ მოსტყუვდა. სარდიონი თითონ ვერ აბობღდა ხეზე, ჩამოვარდა დაბლა და კინაღამ თავპირიც დაიმტვრია, — უფრო ამაზე გაბრაზდა. ან კი რას ავიდოდა ხეზე მისი ფაშვის პატრონი? ქშინავდა დიამბეგი, შუბლზე წურწურით ოფლი ჩამოსდიოდა, ისე დაღალულიყო.

დიაღაც არ ეგონა კაჭკაჭს, თუ სარდიონი თავის დიდკაცობას ამას აკადრებდა; ის ჰფიქრობდა, რომ დიამბეგი სულგრძელი იქნებოდა, და როგორც თითონ ებრალებოდა თავის ბღარტები და უყვარდა, სარდიონიც ისე შეიბრალებდა, მაგრამ მოსტყუვდა.

— მოდით, მოეთრიეთ ჩქარა!.. არ გესმისთ ჩემი ბრძანება, ბიჭო?! — ყვიროდა სარდიონი, — მოდით და როზგებიც მოიტანეთ თანა.

უნდოდა კაჭკაჭი და მისი ბღარტები გაეროზგა ჯერ და მერე გაეჟლიტა. ბიჭები მოცვივდენ.

— სადა ხართ, თქვე მ...ძ...ებო! — დაუყვირა იმათ სარდიონმა, — არ გესმისთ, რომ გეძახით?!.

— რა ვქნათ, არ გაგვიგონია, ბატონო! — მიუგეს მსახურებმა, — რას გვიბრძანებთ?

— იმას გიბრძანებთ, რომ ახვიდეთ აგე, იქ, მაღლა, — უჩვენა დიამბეგმა თითით ბუდეზე, — ბუდე დაშალოთ, კაჭკაჭი და მისი ბღარტები მე წარმომიდგინოთ. აბა, ჩქარა, მორჩით, ამ საათში! ვინძლო, დედა ცოცხალი შეიპყრათ!..

ბიჭები აცოცდენ ხეზე. კაჭკაჭს გააცივა და გააცხელა შიშისაგან. „ვაიმე, ეს არის, დავიღუპეო!“ — ამბობდა თავისთვის. არც ტყუილად. ბიჭები აცოცდენ. ერთმა მათგანმა ხელი ჩაჰყო ბუდეში, დედა-კაჭკაჭმა ჩაუნისკარტა და უკან წააღებინა ხელი. მეორე ბოლოში სწვდა კაჭკაჭსა, ამოიყვანა ბუდიდან, მაგრამ კაჭკაჭი გაუსხლტა და მიეტანა მეორე მის ამხანაგს. იმას კიდევაც ამოეყვანა ორი ბღარტი და ხელში აწრიპინებდა. დედა-კაჭკაჭი ხელებში ახტებოდა, ეტანებოდა ყივილ-ხივილით... უცბად ჩაფრინდა ისევ ბუდეში, იქ ერთი ბღარტი კიდევ ეგულებოდა, დასტაცა ფრთაში ნისკარტი და

აიტაცა მაღლა ტოტზე. დაჯდა იქ დაღონებული, გულმოკლული და ადევნებდა თვალს თავის ბღარტების ბედსა.

— ვინძლო, დედაც დაიჭიროთ! — შეჰყვიროდა დაბლიდან დიამბეგი.

— საიდან? არ შეიძლება, ბატონო, იქ კაცი ვერ ავა, — უპასუხებდენ მაღლიდან ბიჭები.

— მაშ თოფით მოკვლა ხომ შეიძლება?! თოფი, თოფი, ჩქარა თოფი, მანამ გაფრინდება! მოიყვანეთ ეგ ბღარტები აქა!

დიამბეგის მსახური ჩამოხოხდა ხიდან და მიაწოდა ბღარტები დიამბეგს. იმან ორივე დაბლა დააწყვიტა და თან თავმომწონედ კაჭკაჭს შეჰხედა... დახოცა ბღარტები. ამ დროს თოფიც მოართვეს. დიამბეგმა თოფი დაუმიზნა და ჩახმახი დასხლიტა. კაჭკაჭი საფანტებმა ცოტად ფრთაში და ბოლოზე გაკენწლა, მაგრამ შვილს, რომლის გადარჩენაც უნდოდა, მოჰხვდა ერთი საფანტი და ისიც მოკვდა. მაინც მკვდარს პირიდან არ უშვებდა. კაჭკაჭი აფრინდა და გაშორდა იქაურობას. მკვდარი შვილი წაიღო და შორს ღობის ძირას დამალა. ისევ მალე დაბრუნდა. მთელი დღე ვაი-ვაგლახით დაჰბრუნავდა თავს ბაღჩას, სადაც დახოცილი შვილები ეგულებოდა. ჰხედავს მაღლიდან თავის მკვდარ ბღარტებს, ჰხედავს თავის ბუდეს დაშლილს და მოსთქვამს საბრალოდ. დიამბეგიც ისევ ბაღჩაში სჩანს. სწყევლის, ჰქოლავს და ეუბნება: „რა დაგიშავე ისეთი, შე წაწყმედილო, რომ შვილები ამომიწყვიტეო?!“

წავიდა დიამბეგი თავის სახლში და კაჭკაჭმაც დრო იხელთა, ორივე ბღარტი წაიღო იქიდან და საცა სხვა მკვდარი ბღარტი დამალა, იქ მიიტანა. იმ ღამეს შვილებთან იყო და მწარედ დასტიროდა თავზე; მეტად შეწუხებული და გულნატკენი იყო. მოსთქვამდა და თან ჰფიქრობდა, როგორ ამოეყარა სარდიონის ჯავრი...

დილაზე მეფესთან წასვლა და ჩივილი განიზრახა. უნდა წავიდე, შევჩივლო ჩვენს ხელმწიფეს ჩემი უბედურება. რის მეფეა, თუ კი თავის ქვეშევრდომს მფარველობას არ გაუწევს?.. რათ შევხარით იმის ძლიერებას, რათა ჰქვიან იმას არწივი? ტყუილი ყოფილა იმისი მეფობა, თუ ახლა მე დიამბეგის ჯავრს შემაჭმევს. არა მგონია. რო გაიგებს ჩემ დაღონებას, ჩემ ასე უსამართლოდ დასჯას, როგორ მრისხანედ დაატრიალებს თავის ლამაზ თვალებს, გაისწორებს მხრებს და გადმოსწევს წინ გაუტეხელ გულის ფიცარს. ის მიშველის, ისა!... უეჭველად მიშველის!.. უნდა ვაცნობო სხვა ბარის ფრინველთა დაწიოკებაც,—როგორ უსამართლოდ გვეპყრობიან კაცნი, გვმუსრავენ, რის გამოც ველარა ვმრავლდებით, რომ გავაძლიეროთ არწივის სამეფო... თუმცა შორს არის მისი სატახტო ქა-

ლაქი, — ერთ უზარმაზარ, თოვლით გადალესილ მთაზე, სანი-
სანამდე ვივლი, მანამ არ მივალ იმის სამფლობელოში, ...
მარტო ბარად ყოფნა, ერთი მთის არემარესაც ვიხილებ?!

ამას ამბობდა კაჭკაჭი თავისთვის და აპირობდა დილით მეფეს-
თან საჩივლელად წასვლას.

დილაზე ადრიანად შვილებს ზოგი ვაზისა, ზოგი კაკლის ფოთო-
ლი მიაყარა. იტირა კარგა ხანს, გული მოიოხა და გაუდგა გზას.
სოფლის ბოლოს მისი დეიდაშვილი მზექალი შემოხვდა; დაღონე-
ბის, მგზავრობის ამბავი ჰკითხა. კაჭკაჭმა ყველაფერი დაწვრილე-
ბით უამბო. იმანაც მიუტირა უბედურება და აღუთქვა შემწე-
ობა.

— ღმერთმა შეაჩვენოს, ცისა და ქვეყნის დამაარსებელმა, —
ამბობდა მზექალი, — შენზე და შენ შვილებზე რა ვაჟკაცობას იჩენ-
და, თუ ის კაცია და კაცობისა რამ აცხია?! ღმერთმა შენი დაღონე-
ბისად ნურა კარგი და კეთილი აჩვენოს. რას გემართლებოდა ის
წყეულ-შეჩვენებული, რომ აგრე დაუღუპიხარ?! ნუ გეშინია. წადი,
იჩივლე, წადი! ჩვენ მეფეს არ ესიამოვნება ეგ ამბავი და ჯავრსაც
ამოგყრის შენი დამღონებლისას. მეც ვეცდები შევაგულიანო და
გავამხნევო ფრინველნი სარდიონის წინააღმდეგ.

გამოემშვიდობნენ ერთმანერთს და თავთავის გზაზე წავიდენ.
კაჭკაჭმა ბევრი იფრინა, დაიღალა და მდინარის პირად დასვენება
მოუნდა. მდინარე წყნარად მოკამკამებდა...

— რა არი, რამ დაგაღონა, დობილო? — დაეკითხა მდინარე
კაჭკაჭს, — შენ წინათაც ბევრჯელ მინახავხარ, მუდამ გახარებული
და გალაღებული. არ ვიცი, ახლა რა დაგმართნია?.. სჩანს უბედუ-
რება რამ შეგმთხვევია?!.

— უბედურება მეტიღა იქნება!.. დიამბეგმა დამღუპა, დობი-
ლო, დიამბეგმა, დაღუპოს ის ღმერთმა: ამომიწყვიტა შვილები და
სახლ-კარიც დამინგრია; ამიკლო, ერთის სიტყვით, ამიკლო...

— მე იმის ბაღჩას და ბოსტნეულსა ვრწყავ, — მიუგო მას მდი-
ნარემ: — კარგად გხედავდი, როცა შენ ბუდეს აკეთებდი ჭერამ-
ზე. ვიცი, როგორც ან ბღარტები გამოსჩეკე, — სამი ბღარტი გყავდა.

— ჰო, დობილო, ჰოო, მართალია. — მიუგო მას კაჭკაჭმა, —
დღეს ერთიც აღარა მყავს ცოცხალი.

— განა არა, მაშინვე ვამბობდი, რომ შენ ხეირს ვერა ნახავდი
დიამბეგის ბაღჩაში, — ამბობდა მდინარე, — განა ჩემი ძალიან
მადლობელია, თუმცა მისი ბაღჩა და ბაღეულობა ჩემგანა ჰყვავის,

ლაქი, — ერთ უზარმაზარ, თოვლით გადალესილ მთაზე, საბერ-
სანამდე ვივლი, მანამ არ მივალ იმის სამფლობელოში... — ...
მარტო ბარად ყოფნა, ერთი მთის არემარესაც ვიხილებ?!

ამას ამბობდა კაჭკაჭი თავისთვის და აპირობდა დილით მეფეს-
თან საჩივლელად წასვლას.

დილაზე ადრიანად შვილებს ზოგი ვაზისა, ზოგი კაკლის ფოთო-
ლი მიაყარა. იტირა კარგა ხანს, გული მოიოხა და გაუდგა გზას.
სოფლის ბოლოს მისი დეიდაშვილი მზექალი შემოხვდა; დაღონე-
ბის, მგზავრობის ამბავი ჰკითხა. კაჭკაჭმა ყველაფერი დაწვრილე-
ბით უამბო. იმანაც მიუტირა უბედურება და აღუთქვა შემწე-
ობა.

— ღმერთმა შეაჩვენოს, ცისა და ქვეყნის დამაარსებელმა, —
ამბობდა მზექალი, — შენზე და შენ შვილებზე რა ვაჟკაცობას იჩენ-
და, თუ ის კაცია და კაცობისა რამ აცხია?! ღმერთმა შენი დაღონე-
ბისად ნურა კარგი და კეთილი აჩვენოს. რას გემართლებოდა ის
წყეულ-შეჩვენებული, რომ აგრე დაუღუპიხარ?! ნუ გეშინია. წადი,
იჩივლე, წადი! ჩვენ მეფეს არ ესიამოვნება ეგ ამბავი და ჯავრსაც
ამოგყრის შენი დამღონებლისას. მეც ვეცდები შევაგულიანო და
გავამხნევო ფრინველნი სარდიონის წინააღმდეგ.

გამოემშვიდობნენ ერთმანერთს და თავთავის გზაზე წავიდენ.
კაჭკაჭმა ბევრი იფრინა, დაიღალა და მდინარის პირად დასვენება
მოუნდა. მდინარე წყნარად მოკამკამებდა...

— რა არი, რამ დაგაღონა, დობილო? — დაეკითხა მდინარე
კაჭკაჭს, — შენ წინათაც ბევრჯელ მინახავხარ, მუდამ გახარებული
და გალაღებული. არ ვიცი, ახლა რა დაგმართნია?.. სჩანს უბედუ-
რება რამ შეგმთხვევია?!.

— უბედურება მეტიღა იქნება!.. დიამბეგმა დამღუპა, დობი-
ლო, დიამბეგმა, დაღუპოს ის ღმერთმა: ამომიწყვიტა შვილები და
სახლ-კარიც დამინგრია; ამიკლო, ერთის სიტყვით, ამიკლო...

— მე იმის ბაღჩას და ბოსტნეულსა ვრწყავ, — მიუგო მას მდი-
ნარემ: — კარგად გხედავდი, როცა შენ ბუდეს აკეთებდი ჭერამ-
ზე. ვიცი, როგორც ან ბღარტები გამოსჩეკე, — სამი ბღარტი გყავდა.

— ჰო, დობილო, ჰოო, მართალია. — მიუგო მას კაჭკაჭმა, —
დღეს ერთიც აღარა მყავს ცოცხალი.

— განა არა, მაშინვე ვამბობდი, რომ შენ ხეირს ვერა ნახავდი
დიამბეგის ბაღჩაში, — ამბობდა მდინარე, — განა ჩემი ძალიან
მადლობელია, თუმცა მისი ბაღჩა და ბაღეულობა ჩემგანა ჰყვავის,

ჩემგან არის მწვანედ გაღაღანებული. ცუდი კაცია, გულღრძუ, უმადლო, ალბათ, დაუშავე კიდეც რამე.

— ჩემი დანაშაული ის არის, ერთი ყველის ნაჭერი მოვპარე, დობილო, ერთადერთი, პაწანწკინტელა, — მიუგო კაჭკაჭმა.

— ეგ ხომ მეც ვიცი. მაშინ მე ვარდებისა და იასამანის გვერდზე მოვწანწკარებდი. სხვა აღარაფერი ვიცი. ერთი ნაჭერი ყველის გულისათვის როგორ წაგახდინა იმ უღმერთომ?! რაკი აგრეა, შეხნუ გეშინია, მე ამოგყრი დიამბეგის ჯავრსა. ერთი ჩემებურად ავდიდდები, ვეცემი იმის ბელელ-მარანს, სარდაფს და სულ ველად გავიტან, გავაოხრებ და გავატიალებ.

— მიშველე, მიშველე, შენი ჭირიმე, ერთი სიკეთე მიყავი! — ეხვეწებოდა კაჭკაჭი, — შვილებს აღარც კი მოვიგონებ, თუ სარდიონს დაღონებულსა ვნახავ. ეხლა მე საჩივლელად ჩვენ მეფესთან მივდივარ და შენც მოემზადე.

— უსათუოდ, უსათუოდ. მეც გული მელრინება დიამბეგზე, — სთქვა მდინარემ.

კაჭკაჭი გამოემშვიდობა მდინარეს და გასწია თავის გზაზე. ცოტა მანძილი რომ გაიარა, ველი გამოჩნდა. ველზე დაინახა თაგვთა აუარებელი გუნდი, მოდიოდა მწყობრად, ჟივილ-ხივილით, დაფნაღარის ცემითა. თაგვთა ფარას ზოგი წინ მოუძღვებოდა როკვაცეკვითა. კაჭკაჭი მიხვდა, რაც ამბავი იყო; თაგვებს ქორწილი ჰქონდათ. რამდენიმე ნაცნობი თაგვი გამოუჩნდა, თითონ მეფე კაჭკაჭის კარგი ნაცნობი და მეგობარი გამოდგა. ღვინო შეპატიჟეს. რა გაეწყობოდა? იმანაც დალია, მეფე-დედოფალი აღღეგრძელა. მგზავრობის მიზეზი ჰკითხეს. კაჭკაჭმა ყველაფერი დაწვრილებით უამბო.

— ჰაი, ის წყეულ-შეჩვენებული! — იძახოდენ თაგვები, — კრიჟანგია, ცუდი კაცია. მაგის ყანას ერთ თავთავს ვერ ჩამორჩება ჩვენგანი ვერავინ. ათეულებს ერთ ღამეს არ დასტოვებს კარში, მაშინვე კალოზე მიარბენინებს. მაგრამ იქაც ვესტუმრებით ხოლმე. ის სტუმრობა არაფერი, ახლა გვიყუროს, რა სეირი დავაწიოთ, ჯერ ერთი ქორწილი მოვათავოთ! — სთქვეს თაგვებმა.

— თქვენ გენაცვალეთ, თავს შემოგევლეთ, როგორც თქვენი იმედი მქონდეს, ისე გაისარჯეთ, — ეხვეწებოდა კაჭკაჭი.

— გავისარჯოთო? გავირჯებით კი არა, ერთ ღამეს დავეცემით და სულ ბდღვირსა და ნაცარტუტას ავადენთ. რაც ხელში რამ ებადება, სულ ჩავჭრით და ჩავკემსავთ...

გამოემშვიდობა იმათაც და წავიდა. გზა-გზა ყველას, ვინც კი შეჰხვდა, თავის ამბავი უამბო. კითხულობდა აგრეთვე მეფის სატახ-

ტო ქალაქს. გაგონილი ჰქონდა, შორიდანაც ჰხედავდა, მაგრამ რაკი ტყეებს და მთებს გაეკიდა, გზას კაჭკაჭი ველარ იგნებდა. ერთ მთის ფერდობზე, ტყეში, ერთ დიდ თელის ხმელ ტოტზე ძერა დაინახა, გაბურძგულ-გახეხილი იჯდა და დაბლა ავლებდა რაღაცას თვალს.

— გამარჯობა, ძერიკო! — შეუძახა შორი-ახლოდან კაჭკაჭმა.

— ჰა? ვინა ხარ? რა სულიერი ხარ? — შეაჩერა თვალები ძერამ და გაოცებული შეაცქერდა.

— გამარჯობას გეუბნები და ბოდიშს კი არ იხდი? როგორ არ მიცნობ, ვინცა ვარ? ბარად არსად გინახავარ? — მიუგო კაჭკაჭმა.

— ჰმ, ჰმ! — სთქვა ძერამ: — გაგიმარჯოს, გაგიმარჯოს! აქ რას დახეტიალებ ამ მთა-ღრეებში, რატომ ვენახებში არა სჭრიალებ? — სთქვა დაცინვის კილოთი ძერამ და თან თავი მაღლა აიღო, ყელი მოიღერა თავმომწონედ.

— უბედურება მახეტებს, ძერიკო, უბედურება. ხომ გაგიგონია: გაჭირვება მიჩვენე, გაქცევას გიჩვენებო.

— რა გაგჭირვებია ისეთი, რომ აქეთ გადმოვარდნილხარ?

კაჭკაჭმა იმასაც უამბო თავისი უბედურება; ეგონა იმისაგანაც თანაგრძნობას გამოიწვევდა, მაგრამ მოსტყუვდა.

— შენ ვითომ იმას ჰფიქრობ, მეფე უნდა აამხედრო დიამბეგზე შენი ღლაპების გულისათვის? ვინ მიგიშვებს, შე უბედურო, მეფესთან, სულ ტყავს გაგაძრობენ?! თუ არ დაგიშლია, ჩვენი მეფე ახლა მთიდან ბარად წამოვა, არა? არ უვარგნია დიამბეგს, თორე შენც უნდა ზედ მიეყოლებინე. თქვენგან ამოგდებულია ბარი, განა არ გიცნობთ, რა შვილებიცა ბძანდებით! მინამ პატრონი იგვეჭებს ხილებს, თქვენ ჩამოჰხოშავთ და დასტოვებთ კაცს ცარიელს, თქვე არამზადებო, თქვენა! ახლა მთაში წამოსულხარ, გინდა აქაურობაც აიკლო?!. ასე გაგიხდი საქმეს, შენი ცოდვით სულ ქვა იწვოდეს.

— ოჰო, ბატონ ჩემს გაუმარჯოს! შე ტკიპებიანო, შენა! განა შენ სხვას უნდა უკიჟინებდე ავზნეობას? შენ რაღა ბელელ-მარნები გიდგას სავსე? შენც ისე არა სცხოვრობ, როგორც სხვა ფრინველები? ჩვენი წესი ეს არის: თუ კაცს რასმე ვავნებთ და ვაზარალებთ, ას იმოდენასა ვრგებთ კიდევაც. რამდენ მავნე მწერს, ჭიას და სხვა ქვეწარმავალთა ვჭლეტავთ, რომელნიც კაცისათვის მავნებელნი არიან. არა, მეც ჭკუა გამომლევია, რომ შენ საუბარი გაგიბი: ჯერ თავისათვის უნდა იყო, შემდეგ სხვასაც არგო. თავისათვის არა ხარ, სხვას რას არგებ? მაგ ჭკუით დაბერდი, მაგ ჭკუით, საცოდავო, საწყალო! — სთქვა კაჭკაჭმა და გაუდგა გზას.

— საწყალო და ქურდო! — მიაძახა უკანიდან ძერამ, აფრინდა და მედიდურად დაიწყო ტრიალი, შორიდან არწივი ეგონებოდა კაცსა.

მეორე დღეს დილა-ადრიან გაისმა თოვლიანი მთის არემარეებში კაჭკაჭის ჭრიალი; კაჭკაჭის უნახავ კაცს ეგონებოდა, მთაში ურემი ამოუტანიათ და ისა ჭრიალებსო. გაოცებული შეჰყურებდა კაჭკაჭი ამ დიდრონ კლდეებს, ჩაღრმავებულ ხევებს, ზვავებით სავსეთა. ალაგ-ალაგ, სადაც გამშრალიყო, მწვანე ბალახს ეჩინა თავი, იგი ამ ბალახებს ვერ იცნობდა, ბარად არ ენახა: ბუერა, შუპყა, დიყი, ბრძამი და სხვ. გაოცებით შეჰყურებდა როჭოების და შურთხების გუნდსა. ლამაზი ფრინველები ყოფილანო, ამბობდა თავისთვის კაჭკაჭი, მაგრამ ჩვენებურ ხოხობს ვერა სჯობიან სილამაზითაო. როჭოები და შურთხებიც გაოცებით შეჰყურებდენ კაჭკაჭს, არ ენახათ არადროს და სიცილით იხოცებოდენ მის ხმაზე, კაჭკაჭის ჭრიალზე...

კაჭკაჭი ახლო იყო მეფის საბრძანებელზე. აგერ დაინახა კიდევაც სხვა კლდეებზე დიდი და მაღალი კლდე: შავად იყურებოდა და სულ მაღლა რაღაც რუხად (ლეგა) მოსჩანდა... ამ დროს კაკანით პირაღმა მორბენალი კაკაბი შეეფეთა წინ კაჭკაჭს.

— ვინა ხარ, სადაური ხარ, ადამიანო? — ჰკითხა მან, — საიდან მოსულხარ?

— ბარიდან გიახელით, დობილო, — მიუგო კაჭკაჭმა, — მეფის ნახვა მინდა. სწორედ არ ვიცი, — სად მოვძებნო! მასწავლე, შენი შვილების ლხენასა.

— რატომაც არ გასწავლი, რა ხვეწნა გინდა? — უთხრა მას კაკაბმა, — იმ დიდ შავ კლდეს ხომ ჰხედავ? კარგად დააცქერდი.

— ვხედავ, ვხედავ! — მიუგო კაჭკაჭმა.

— ჰხედავ ზედ კლდის წვერზე, მაღლა, შავად რომ მოსჩანს?

— ვხედავ, როგორ არა, კარგად ვხედავ.

— თუ ჰხედავ, ისა ბძანდება თვით მეფე. რა საქმეზე გარჯილხარ? — ჰკითხა კაკაბმა ბოლოს დროს.

— მაქვს საჩივარი მეფესთან. — კაჭკაჭმა უამბო იმასაც თავის უბედურება.

— ჩვენ საჩივარს კი არ იღებს, დობილო, და არ ვიცი, შენ რას გიზამს, — სთქვა კაკაბმა.

— როგორ, თქვენცა გაქვსთ რამე საჩივარი მეფესთან? — ჰკითხა კვალად კაჭკაჭმა...

— ჩვენც თუ აღარა გვაქვს, მაშ სხვას ვის ექნება? — შიუგო კაკაბმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თქვენ რაღასა სჩივით?

— იმას, რომ მთის ქორები, შავარდნები და სხვანი მუსრს გვავლებენ, გვჟლეტავენ. მე რა გიყოთ, მეფე ამას გვიპასუხებს. მაშ რით იცხოვროს ჩემმა ლაშქარმაო?! არ ვიცი, იქნება შენი საჩივარი შეიწყნაროს.

კაჭკაჭმა პირდაპირ გასწია და შორიდანვე ამცნო თავისი მისვლა ხმაურობით. არწივი მედიდურად ბრძანდებოდა ტახტზე, დინჯად ასწია თავი მაღლა და თვალები გარშემო მიავლ-მოავლო. კაჭკაჭმა დიდი მოწიწებით სალამი მიართვა. მეფემ ნება დართო და ისიც მის პირდაპირ კლდის კინჭუხზე ჩამოჯდა. არწივმა კარგა ხანს ხმა არ გასცა.

— რაო? რა ამბავია, ჭრიალავ? — ჰკითხა ბოლოს არწივმა.

— თქვენი სიცოცხლე და დღეგრძელობა, დიდებულო მეფევ! — სთქვა კაჭკაჭმა, — თქვენთან გიახელით, ვიცი თქვენი მეფური გულის ამბავი, რომ არ დამტოვებთ უნუგეშოდ და მომცემთ შემწეობას. ჯერ საერთოდ ბარის ფრინველები დაჩაგრულნი ვართ კაცთაგან: გვაწიოკებენ, გვდევნიან და მე ხომ დიამბეგმა სარდიონმა ამიკლო, ამომიწყვიტა შვილები და მეცა მდევდა მოსაკლავად.

— თუ აგეთი შეწუხება ადგათ ბარის ფრინველთა, რატომ არ მოდიან ჩემთან საჩივლელად?.. შენ რაღა დაუშავე დიამბეგს ისეთი, რომ მაგრე დაუწიოკებიხარ.

— არაფერი, შენი რისხვა არა მაქვს. მხოლოდ ერთი პაწაწკინტელა ყველის ნაჭერი მოვტაცე, შვილები მეხოცებოდენ შიმშილითა, ისიც იმათ გულისთვის შევცდი... სხვებისა რა მოგახსენოთ, თავს შემოგევლე, ალბათ, ვერა ჰბედავენ; თქვენი ხათრი და რიდი აქვთ. მეც რის ვაი-ვაგლახით გავბედე თქვენი შეწუხება, — განა ადვილია მეფის წინაშე წადგომა და მისი თვალ-წარბში მზერა!.. შენ მძლავრ ნისკარტს და კლანჭებს ვენაცვალე, მეფე ბრძანდები, ჩვენი იმედი, ჩვენი ნუგეში, ვინძლო რომ ჩემი დაჩაგვრა არ შეარჩინოთ იმ უსამართლოს. სამაგალითოდ დასაჯოთ, რომ სხვამ აღარ გაბედოს ფრინველების უღვთოდ დევნა.

— კარგი, კარგი! დავუძახებ ჩემ ლაშქარს და დავესხმი თავსა. თუ მეფეს არ ეცოდინება ქვეშევრდომთა შეწუხება, მისი რა ბრალია, რომ არ მიეშველოს! — სთქვა არწივმა და ნისკარტით მარჯვენა მხარი გაისწორა.

არ გაუვლია დიდხანს, რომ მეფის ტახტის გარშემო მოიწყო მოდენა ფრინველთა გუნდმა. სად იყო ამდენი ფრინველი? ბევრს ამათგანს კაჭკაჭი ვერც კი იცნობს. საზარელი, დიდრონი ტანისა არიან: ყაჯირები, სოვები, გავაზები, შავარდნები და სხვანი. ასტყდა მეფის საბძანებელში ფრინველთა საზარელი ყატყატი. ჰაერი ზღვასავით ელავდა იმათ ბოლო-ფრთათა ტყლაშა-ტყლუშით. გაეგოთ, მეფეს ვიღაც სტუმარი სწვევია ბარიდანაო. ყველას თითო რამ მოჰქონდა ბრჭყალებით მეფისთვის ძღვნად. ბევრმა იმათგანმაც ვერ იცნო კაჭკაჭი. არწივმა გამოუცხადა იმათ სტუმრის მოსვლის მიზეზი და აგრეთვე ისიც, რომ ხვალისთვის სალაშქროდ მომზადებულიყვნენ.

— მზად იყავით ხვალისთვის ყველანი, — სთქვა არწივმა ზავთიანი და ბოხ-მაგვარის ხმით, — უნდა დიამბეგი სარდიონი დავლაშქროთ... შეატყობინეთ ყველას ჩემი ბრძანება. ჩემ ქვეშევრდომს არავის დავაჩაგვრინებ, მინამ ცოცხალი ვარ... — და უამბო კაჭკაჭის უბედურება. ფრინველთ ერთხმად თანხმობა გამოუცხადეს...

— რა ჯურის ფრინველია, ოსტატი, ეშმაკი რამ კი უნდა იყოს! — ჰკითხავდენ ერთმანეთს გავაზები და შავარდნები.

— ჩვენ ვიცნობთ კარგა მაგას. ბარელია, ბარელი... ბევრჯელ გადავურჩენივართ ფათერაკს. კაჭკაჭი ჰქვიან, — ამბობდენ სოვები, — ლეშზე ხშირად გვესტუმრება და ჩვენთან ერთად შეექცევა. თუ ეგ იქ არის, ადამიანი ადვილად ვერ მოგვეპარება სათოფედ. ერთს დაიჭრიალებს და ყველას ზეზე წამოგვშლის. ვნახავთ ბოლოს მაღლიდან, რომ ფლატეში ან ჯაგს უკან თოფიანი კაცია მიმალული... ძრიელ ყოჩაღი და ფხიზელი ფრინველია.

— სმენა იყოს და გაგონება! სადილად ყველანი ჩემთან უნდა იყვეთ! — და აფრინდა არწივი. გაშალა თავისი განიერი, ღონიერი ფრთები. თითქო ცას მიეკრა, ისე მაღლა აფრინდა. ფრინველთა წრე შემოავლეს. კარგა ხანს იტრიალეს და ბოლოს ისევ დაბლა დაეშვნენ. შემოუსხდენ გარშემო თავის მეფეს, მიიპატიჟეს კაჭკაჭიც, ჩაისვეს შუაში. მოიტანეს მრავალი ფრინველისა და ნადირის ხორცი და გამართეს ნადიმი... სადილზე ბევრი ისაუბრეს, თუ როგორ შეჰბრძოლებოდენ მტერსა... გათავდა ნადიმი და არწივმაც შიკრიკები გაგზავნა, რომ ვინც აკლდა, ისინიც მოსულიყვნენ.

მეორე დილით იმდენი ფრინველთა გუნდი მოგროვდა, რომ მზის სხივები დაჩრდილა; ფრინველთა ყატყატისაგან მთელი არემარე ინძრეოდა. საზარელი და მასთან საყვარელი სანახავი იყო ეს ფრინველთა ბრბო, მათი მოძრაობა, ხმაურობა. ყველას ეტყობოდა, რომ რაღაც დიდი საქმისათვის ემზადებოდა.

არწივმა ყველას თვალი გადაავლო, ლაშქარი გადაათვალიერა სათითაოდ და დაარიგა, ვინ როგორ მოქცეულიყო:

— თქვენ, შევარდენნო, ქორნო და გავაზნო, ეცადეთ, რომ რამდენი კაციც ჩვენ ბრძოლას დაგვიწყებს, იმდენსვე ქუდი მოსტაცოთ.

დაიძრა არწივი და მასთან ერთად ფრინველნი. მეფეს ახლო მოსდევდენ შავარდნები, მერე გავაზნი; იმათ მოჰყვებოდენ ქორები, მერე ალალნი და მიმინოები, შემდეგ ყორანნი; ყორნებს უკან — ყაჯირები, ყაჯირებს მოსდევდენ სვავნი და სხვ. და სხვ. კაჭკაჭი სულ უკან დარჩა და სიხარულით აღარ იცოდა, რა ექნა. გზაზე ლაშქარს ბევრი მეომარი ემატებოდა. გუშინ რომ ბიაბროდ გახადა კაჭკაჭი, ის ძერაც აქ მოაფრატუნებდა მხრებსა, ფეხის ხმას აჰყვა ისიც. მელაც დაბლა მორბოდა, ეგები მეც რამ მერგოსო...

წინა ღამეს საკვირველი საქმე დაემართა სარდიონს. მდინარე მოვარდა, მისი მარანი, ბეღელი სულერთიანად წალეკა და წაიღო. ამ ფაცაფუცში რომ იყო სარდიონი თავის ბიჭებიანად, იმ დროს სახლს დაჰსხმოდა თაგვთა ჯარი და რაც რამე ძვირფასი ჰქონდა სახლში, ზოგი ნაძღვნევი, ნაფეშქაშარი თუ ნაყიდი, ყველა ჩაეჭრათ, ჩაეკემსათ... მეორე დილით ფრიად შეწუხებული სარდიონი თავის ბიჭებით გაბრაზებული დადიოდა ეზოში, გლოვობდა აუარებელ პურისა და ღვინის დაღუპვას, — სახლში ნივთებისა და ტანისამოსის გაოხრებას.... ეზოში გაფენილიყო აუარებელი ვუნდი ბატებისა, ინდოურებისა, ქათმებისა და სხვ... სარდიონმა არ იცოდა, თუ სხვა უარესი უბედურობა მოელოდა...

შორს დაინახა სარდიონმა უზარმაზარ შავ ღრუბელსავით რაღაცა; თითქო ზღვა გადმოვარდნილა თავის ნაპირებიდანაო, ისე მოჩანდა არწივის ლაშქარი. სარდიონს ეზარა ამ სურათის დანახვა. როცა გაარჩია ფრინველთა გუნდი, ბიჭი აფრინა სახლში თოფისათვის. აგერ მოახლოვდა ლაშქარი, თითქო სეტყვა მოდისო, ჭექა-ქუხილი ისმოდა. შეუპოვრად მოცვივდენ და დაესხნენ ეზოში ბატების, ინდოურების, ქათმების გუნდს: ბდღვირს ადენდენ ყველას. ჯერ არწივისა, ქორ-შავარდნების ჯერი არ მოსულიყო. დიამბეგი და მისი ბიჭები უჩხაკუნებდენ თოფებს, მაგრამ არც ერთს არ გაუვარდათ, — ეს თაგვების ბრალი იყო: თოფები „ჩაესველებინათ“, რომ აღარ გავარდნილიყვნენ, ყველას თოფები, განა თუ მარტო დიამბეგისა. დიამბეგმა ხმალსაც მიჰმართა, მაგრამ ხმლით რას გახდებოდა. ვინ მიუდგებოდა ახლო: აბა, ჰა, ხმალი შემომკარიო...

არავინ. ხმალი გადააგდო. თოფს დაუწყო სინჯვა: ძველი ტყვია-წამალი ამოიღო და ახალი ტყვია-წამლით გატენა. სხვასაც ესევე უბრძანა.

იმათ რომ თოფებს დაუწყეს შლა და კუდების გამოგდებინება, „დროაო!“ — სწორედ ამ დროს უბრძანა არწივმა ქორ-შავარდნებსა და თითონ გაუძღვა წინ. დაუქროლა დიამბეგს პირველმა და გაჰკრა ბრჭყალი თავზე. მისი ვარსკვლავიანი ქუდი ბრჭყალებში შერჩა და დიამბეგსაც დაუკაწრა თავი. სისხლმა დაუწყო დენა. სხვებმა სხვებს მიჰმართეს.

ერთ წუთში მოხდა ეს საქმე და ყიჟინით აემართნენ მაღლა. ყველას კლანჭებში ჯურა-ჯურა ქუდები ეჭირათ. დამარცხებული დიამბეგი და მისი ბიჭები პირდაღებულნი შესჩერებოდენ ამ ამბავს. კაჭკაჭი შორიახლოდან სეირს უყურებდა. სიხარულით აღარ იცოდა, რა ექნა. შვილები დაავიწყდა, ახლად დაიბადა.

ფრინველნი ნადავლით თავის ბინაზე დაბრუნდენ და დიამბეგმაც იმავე დღეს, შერცხვენილმა, ქალაქისაკენ გასწია ქუდისა და ტანისამოსის საყიდლად. ტახტრევანში ცხენები შეაბმევინა და გასწია გაცხარებულმა ლანძღვა-გინებით, შფოთით.

გზაზე ერთ ადგილას ცუდი გასავლელი იყო: დიდი ფლატე, ძირს — ღრანტობი... ამ ადგილს რომ მიუახლოვდა, ცხენები უცბად შეფრთხნენ და შუაგულ ღრანტობში ჩავარდენ. დიამბეგის „კუჩერმა“ თვალი მოჰკრა მელას, რომელიც ფლატოდან ამოხტა და გაძრიალებული გარბოდა ტყისაკენ...

ეს ამბავი მთელმა სოფელმა გაიგო. დიამბეგი მკვდარი წაასვენეს სახლში და მესამე დღეს დაასაფლავეს. ცხენები დახოცილიყვნენ. სარდიონის „კუჩერიც“ თავგატეხილი ლოგინში იწვა და მწარედ გმინავდა...

ფრინველნი გამარჯვებულნი დაბრუნდენ ნადავლით. ქუდებიც თან მოიტანეს. არწივმა სარდიონის ქუდი თავის საბძანებელ კლდის კინჭუხზე ჩამოჰკიდა. სხვებმაც იმის ჩამოსწვრივ კლდეზე გააჭწკრივეს ქუდები.

მას აქეთ არწივის საბძანებელს „ქუდოვანი“ დაერქვა. მონადირენი და მწყემსნი, როგორც არაკს, ისე უამბობენ სოფლელთ „ქუდოვანის“ ამბავს. ამბობენ: „აშკარადა სჩანს ქუდები კლდეზე, ზოგი თეთრად, ზოგი შავად, სხვა წითლად და ლურჯადაო...“

ფრინველთ გაიგეს მელიას გამარჯვება, სარდიონისა და იმის ცხენების დალუპვის ამბავი, მთელი ერთი თვე კარგ დროებას ატარებდენ დიამბეგის ნაპატივარ ცხენების ლეშზე.

[1898 წ.]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვერხვი

I

მარტოდ-მარტოკა იდგა ერთ მწირს გორაზე; მის ახლო-მახლო სხვა ხის ჭაჭანება არ იყო; ხოლო შორს, გაღმა, მოჩანდა დიდი, დაბურული ტყე. ქვეით, ჭალაზე, მთა-ფერდობებზე, გაღმა-გამოღმა მრავლისაგან უმრავლესი ხეები იდგა, — ათასი, ათასნაირი ჯურისა. საბრალო ვერხვის ახლო კი ერთიც არა. გასცქეროდა შორიდან ტყეებს და ილოდა სულით; იქ ვერხვებსაც ჰხედავდა, უფრო იმათკენ მისწევდა გული.

მას შემდეგ, რაც გაჩნდა და გაიზარდა, ვერხვი ხეს აღარ დაჰლაპარაკებია, მხოლოდ თავისთავს ელაპარაკებოდა, ესაუბრებოდა; აგრეთვე ღმერთს ემდუროდა: „ეჰ, შე დალოცვილო ღმერთო, თუ გამაჩინე, კიდეც დამარჩენდიო!“ ამას იტყოდა ხშირად: „რასა ჰგავს ჩემი უმადლო სიცოცხლე, რას ვაკეთებ ამ ფრიალო მთაზე მარტოდ-მარტო? თუ ვერაფერს გავიგონებ, ვერავის რას გავაგონებ, ვერავის გავახარებ და თვითონაც ვერ გავიხარებ, ეს ხომ მკვდარი სიცოცხლეა?!.“ ბევრჯელ ეცადა დაეძახნა და ბევრჯელაც დაუძახა. შორს, მთის კალთაზე თეთრად მომჩინარს ვერხვებს: „ეი, ძმებო, წამიყვანეთ თქვენთან, თუ გრწამთ ღმერთი, ან აქ, ჩემთან, წაძოდით, აქ მაღლა იქნებით; აქედან ბევრ კარგ რასმე დაინახავთ: აგერ ქალაქი, მრავალი სოფლები, აგერ ტბა და დიდრონი თოვლიანი მთები! მშვენიერ სანახავს ჰნახავს თქვენი თვალები; მანდ მხოლოდ ჯურღმულს ჰხედავთ, სხვა არაფერს!“

ნიავს მთისას ხომ მუდამ იმას ჩასჩიჩინებდა, როცა იგი ჰქროდა და მის კოხტა, მოხდენილ ფოთლებს აცახცახებდა და ათრთოლებდა: „შენი ჭირიმე, ერთი უთხარი, შემახვეწე ვერხვებსა, რა არის, რომ ამოდენას ვეხვეწები და ისინი კი ყურს არ მიგდებენ, ერთხელ ვერა მნახეს, ვერ ამოვიდენ ჩემთან!“ ნიავი მიდიოდა, გაივლიდა სისინით, შრიალით, გამოივლიდა ისევაც, ხოლო პასუხი არაფერი

მოჰქონდა; ავიწყდებოდა დანაბარების თქმა, თუ ამბის მიტანა ეზა-
რებოდა, არაფერი იცოდა ვერხვმა. ვერხვმა თავის თანამოძმეებისა
სხვა ვერაფერი გაიგო.

ამ რამდენისამე წლის წინათ ქარმა იმ შორეული ტყიდან მოიტანა
ერთი ხმელი ფოთოლი და, ის იყო, უნდა გაეცილებინა ვერხვისა-
თვის, მაგრამ ვერხვი მთელი თავის სიგრძე-სიგანით გადიზნიქა,
მოჰხვია მაგრა ტოტები ხმელ ვერხვის ფოთოლს და მაგრა ჩაიკრა
გულში; დღესაც ინახავს მას და გველის თვალივით უფრთხილდება.
ამგვარ საჩუქარს — ხავსს, ხმელ ფოთოლს, ტოტს, თვალგულდამ-
შეული კიდევაც მოელის. დღეს კი ერთადერთი ხმელი ფოთოლია
იმის ნუგეში, იმას ეალერსება, იხუტებს გულში, ჰკოცნის, ესაუბ-
რება, მაგრამ საბრალო ფოთოლი პასუხს ვერ აძლევს. როცა ქარი
ამოვარდებოდა, ყელგადაგდებული დაღრეჯით ეხვეწებოდა: „ქარო,
შენ გენაცვალე, ვინძლო, ერთი ტოტი მოტეხო აგერ იმ ვერხვებს
და აქ წამომიღო, ან ერთი ფოთოლი მაინც კიდევ!..“

შავი ნისლი მთის ქედზე გველვეშაპივით მოცურავს უდარდე-
ლად, შეუპოვრად. თავს უხრის და ეხვეწება ვერხვი: „ნისლო, გე-
თაყვა, შენ, ხომ ვიცი, არ დაგამძიმებს და ჩახვალ ქვევით, ხევში,
მოგლიჯე ერთ-ერთი ვერხვი ფესვებიანად და აქ ამომიტანე!..“

როცა საშინელი ქარიშხალი ამოვარდებოდა, დელგმა იყო, ჭექა-
ქუხილი ისეთი, რომ კაცს ეგონებოდა, ქვეყანა იქცევაო, და თვით
ვერხვიც ელვა-მეხის ნაპერწკლებში იყო გახვეული, რაიც ხშირად
ხდებოდა, მაშინ ვერხვი ემუდარებოდა საშინელ ბუნების მოვლე-
ნას: — „ამომფხვერი აქედან და გადამაგდე იმ ჩემ ძმებთან, ტყეში,
დეე, იქ მოვკვდე, იქ დავლპე, დავმიწდე იმათ კალთაზე; თუ ცრემლს
არ მაღირსებენ, ქოქოლას ხომ დამაყრიან და დამწყევლიანო“.

მაგრამ არცარა ამ თხოვნიდან გამოვიდა: ვერხვი იქვე ადგილობ-
რივ იდგა, მეხისაგან ტანზე მრავალგან დაზიანებული.

II

ზაფხულობით, თუმც ციდან მრავალი ვაება ატყდებოდა თავზე
ვერხვს, მაგრამ მაინც ცოტა მხიარულად იყო: მისი მიდამო აყვავ-
დებოდა წითლად, ყვითლად, თეთრად: მწვანედ აბიბინდებოდა ბა-
ლახი; საბრალო ვერხვი შეჰხაროდა ყვავილების სიცოცხლესა და
სილამაზეს. ზამთრობით ძლიერ დაჩაგრული იყო: აბეზარი მთის
ქარიშხალი მოსვენებას არ აძლევდა, ახეთქებდა აქეთ-იქით, არწებ-
და აკვანივით, და ხშირად ისეც მომხდარა, რომ სრულიადაც მიე-
ნამქროს, ვერხვის მხოლოდ კენწეროლა დარჩენილა, პატარა მისი

ტოტები თოვლს დაუკერებია მიწაზე, ოთხი-ხუთი თვე შებორკილი, შებოჭვილი ყოფილა ვერხვი, ცოცხლად დამარხული თოვლქვეშ.

ზაფხულობით კი თითონაც ფოთლებით იმოსებოდა, წვიმა ხშირად ჰბანდა და ალამაზებდა მის ტანსა და პირისახეს. ვერხვს ერთი დარდი აქვს კიდევ, რომლისთვისაც თავი ვერ დაუხწევია ვერც ზამთარში, ვერც ზაფხულში: ერთ ზამთარს ვერხვი მიუნამქრავი დარჩა და მთელი ზამთარი თვალახილებული დასცქეროდა მთა-ბარს, ტყეებს. ყველაზე მეტად უყვარდა და მოსწონდა ერთ ადგილას მწკრივად მდგომარე ვერხვების ჯგუფი, მუდამ იმათ შეჰხაროდა და დღეს კი იმათთვის გული სტკივა და ცრემლსა ღვრის. იმავე ზამთარში მოვიდა დიდი ზვავი და მთელი გუნდი მისი საყვარელი ვერხვებისა გადმოთელა, დღეს გაშოტილნი მკვდრები ეწყვნენ დაბლა. ზოგი ძირიანად ამოებრუნა ზვავს და საცოდავად ჰქონდა აღმა აშვერილი ფესვები. ეს სურათი რომ ნახა, ვერხვს გული მოუკვდა, დღესაც იმასვე ვაებს და ჰგოდებს: „ახ, ახ, საბრალონო!— წარმოსთქვამს თვალცრემლიანი, — ჩემები არიან, ჩემი სისხლი და ხორცი; აქ რომ ყოფილიყვნენ, ხომ არ დაემართებოდათ ეგ უბედურება?! ნეტავი, მეც იმათთან მაინც ვყოფილიყავი, რომ მათთან ერთად დამელია მეც სულიო!...“

III

ვერხვს უყვარს ყვავილები, იმის ჩრდილის ქვეშ, მის ახლომახლო რომ იშლებიან და იზრდებიან. ხოლო ვერხვისთვის ეს იყო გულსაკლავი, რომ დიდი ხნის სიცოცხლე არც ამ საბრალოთა ჰქონდათ. თუმცა ვერხვი მუდამ იმათა ჰლოცავდა, დაჰბუტბუტებდა თავზე: „დაიზარდენით, დაიზარდენით, პატარებო, გაიხარეთ; ღმერთმა ნუ შემასწროს იმ დღეს, თქვენი მარცხი და ზიანი ვნახოვო!“ მაინც ამაო იყო მისი ლოცვა: მაისში აყვავდებოდენ და თიბათვის ორკვირამდე ძლივძლივობით სძლებდენ, რადგან მოაწვებოდა ბარიდან საქონელი — ცხვარი, ძროხა და ორ დღეზე გადათელავდენ ვერხვის მიდამოსა. ყველასაც უყვარდა ვერხვი, რადგან მოსახედ ადგილას იდგა და იმის მეტი ხე იქ არ მოიპოვებოდა, ამიტომ მწყემსები თავის სამწყემსოთი მის ჩრდილოს ქვეშ ისვენებდენ. ამის გამო ვერ ასწრებდა ვერხვი შეესწავლებინა ყვავილებისთვის თავისი ენა და ესაუბრა მათთან. თუმცა თითონ ესმოდა მათი საუბარი და ეს ადვილი დასასწავლიც იყო. ყვავილნი მუდამ ჭამს სიცოცხლეზე საუბრობდენ, მზესა და დედამიწას ჰლოცავდენ და ღმერთს ევედრებოდენ: „ღმერთო, ნუ მოგვიღებ მალე ბოლოს, დიდხანს გვა-

ცოცხლეო!“ „ახ, რა უქმად, უმნიშვნელოდ მიდის ჩემი სიცოცხ-
ლე! — ამბობდა ხშირად ვერხვი, — ისე გავჩნდი და გავიზარდე,
ერთი წამი ვერ გავიხარე, ვერავის რა ვარგე. ეს ფრინველები რაღას
მერიდებიან, იმათ რაღა დავუშავე?! ერთს მაინც ჩემს ტოტზე გაე-
კეთებინა ბუდე და ბარტყები გამოეჩეკა“.

შესტრფოდა არწივს, როცა იგი მედიდურად დაჰბრუნავდა
თავზე; ვერხვის სიხარულს ხომ საზღვარი არა ჰქონდა, თუ არწივი
ჩამოეშვებოდა და მის კენწეროზე დაისვენებდა, მაშინ ვერხვის
გულში თავმოყვარეობა იღვიძებდა და სიამაყე დაეტყობოდა:
„უთუოდ ვყოფილვარ რამე, რომ თვით არწივი, მეფე ფრინველთა,
მკადრულობს და ჩემ ტოტებზე ისვენებსო“. მაგრამ ეს არწივის
სტუმრობა იშვიათად ხდებოდა. ძალიან უნდოდა, ეწადა საბრალოს,
რომ არწივს მაზე გაეკეთებინა ბუდე და მისი მართვების წიწინი
გაეგონა, მაგრამ არ მოხერხდებოდა. რა გააბრიყვებდა ისე არწივს,
რომ კაცისა და საქონლის ფეხში ბინა ჩაედგა, თავისი ბუდე, შვი-
ლები ქვეყნის საჯიჯგნავად გაეხადნა?!

IV

ერთხელ შემოდგომით მთაში თოვლი ადრე მოვიდა. მწყემსებს
სიცივით კანკალი მოჰკიდა. „ახ, ცეცხლოვო!“ — ყველანი ამას გაი-
ძახოდენ, ხოლო შეშა მთაში ძვირი საშოვარი იყო. უშეშობის გამო
დიდი თათბირი შეექნათ: ერთმა სთქვა, ვერხვი მოვჭრათო, სხვებმა
იუარეს, როგორ შეიძლება, ცოდვაა მაგისი მოჭრაო. მაგრამ ბოლოს
მაინც დათანხმდენ პირველს. ამანაც წამოავლო ხელი ცულს და
გასწია ვერხვის მოსაჭრელად. ვერხვი, თეთრად თოვლით გადაპენ-
ტილი, გაყუჩებული იდგა, არ იცოდა, რა მოელოდა მას.

— მოვიდა, ვერხვო, შენი აღსასრულის დღე, — დაილაპარაკა
მწყემსმა, — მართალია, გვიყვარხარ და ამაგიცა გაქვს ჩვენს თავზე,
მაგრამ რა ვქნათ, რო სიცივით ვიხოცებით! — თქვა რა ეს, აათვა-
ლიერ-ჩაათვალიერა ვერხვი ერთხელ კიდევ და შემოჰკრა ცული.
ვერხვს აქ ჟრუანტელმა დაუარა ტანში, გაიჩმუჩნა და თეთრად
ბამბის ქულასავით თოვლმა იწყო დაბლა ჩამოდენა. მწყემსი ცოტა
განზე გადგა, მინამ ბარდანი ჩამოიკრიფებოდა. მეორეჯერ შემოჰ-
კრა ცული უფრო ძლიერად, ბარდანმა ხრიალი მოიღო, ვერხვმაც
ტოტები აიკრიფა მაღლა, წელში გასწორდა, თითქოს მტრის დასახ-
ვედრად ემზადებაო, და წარმოსთქვა გულმტკივნეულად: „ეჰ! მორ-
ჩა ჩემი უმადლო სიცოცხლეო!“ გასცქეროდა ტყეებს და ემშვიდო-
ბებოდა: „მშვიდობით, ძმებო, მშვიდობით, ცოცხალს არ მეღირსა

თქვენთან ყოფნა, ეგები მკვდარს მაინც მეღირსოსო“. სთქვა რა ეს, დადუმდა, ხმა-კრინტიც არ დაუძრავს, ხოლო ჰაერში ცულის გაჩ-ქარებული ჩქამი ისმოდა.

ნახევარ საათს შემდეგ ვერხვი დაბლა ეგდო გაშოტილი, თავს დასტრიალებდენ მწყემსები: ზოგი ტოტებს აჭრიდა, სხვა მორებს აკეთებდა, ჰკრავდენ გუდურებს და მიეზიდებოდენ ქოხში.

საღამოზე ქოხში დიდი ცეცხლი ენთო, შეშად ვერხვი ერთო, გარშემო მწყემსები უსხდენ, დიდი და პატარა, მკლავტიტვლები. ფეხშიშველი ბალღები იხუხებოდენ ცეცხლის ალზე, აგრეთვე მო-ხუცნი, და ყველა კი ამას გაიძახოდა ერთხმად: „იჰ, რა ცეცხლია, დაგლოცა ღმერთმაო!“

ერთმა მწყემსმა ზღაპარიც დაიწყო: „იყო და არა იყო-რა. ღვთის უკეთესი რა იქნებოდაო“ და სხვ.

ასე გათავდა ვერხვის სიცოცხლე, მოესწრო იგი მადლის ქმნას, მხოლოდ თითონ ვეღარა გრძნობდა საბრალო, თუ მადლსა შვრე-ბოდა.

[1900 წ.]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჟოლი

ვითომ მე ბედნიერი ვარ? ჩემს პატრონს, ჩემს მთიდან მომთხრელს და აქ ბაღში დამრგველს, ჰგონია, ბედნიერება მომანიჭა, რაკი ულრანს, უდაბურს ადგილს მომაშორა და თავის ზვარში დამრგო. მილით მოყვანილი წყალი მრწყავს. ჩემს ბატონს ჰსურს ბევრი, ბევრი ნაყოფი მივცე. ერთგულად მივლის, მლალობს; ზოგიც ჩემს გულში ჩამოიხედოს, მე რაღას ვამბობ! არამია მაზე ჩემი ამაგი, ჩემი ნაყოფი, რადგან გამაუბედურა და ჩემის უბედურობით თითონ ხარობს. რად? რისთვის მომაშორა ჩემს საყვარელს ბინას, ჩემს საყვარელს ადგილს, სადაც მე პირველად ვიგრძენ სიცოცხლე, დავინახეცა და მზე.

დიდრონი კაკლის ხე მჩრდილავს. ახლოს მიდგა ვარდი, იასამანი, ზამბახი, ათასნაირი ჩემი უცნობი და უნახავი ყვავილი. ისინი ხმას არ იღებენ, კმაყოფილნი არიან თავის ბედისა, რადგან აქ გაჩენილან, აქ აღზრდილან, — მათი სამშობლო აქ არის და ან კი რა უნდა სთქვან?!. ვის რად დაემდურებიან? მე როდი მთვისობენ, ვეჩოთირები, დამცინიან: „აქ რა გინდა, შე მთიულო, შენა! წადი, მთაში წადი!“ ვაზებიც იმათ ემხრობიან... ჰო, იმათ კიდევ რაბ ეთქმით. ეს უტვინონი, ეს დაღრეცილ-დაბრეცილები რითიღა მამეტებენ თავსა? ნუთუ იმითი, რომ მათრობელას იწველიან და ნაწველით კაცთა გონებას აბრმავებენ? რა მეთქმის ან კი! ყველასაც თავისი თავი მოსწონს და ამის გამო სიცოცხლით ხარობს.

ჩადუნაზე უხეირო, უგერგილო მცენარე სხვა რომელია? ისიც კი თავს მამეტებდა, როცა მთაში ვცხოვრობდი: გაზაფხულზე ამოეყუდებოდა, მაღლა-მაღლა წამოვიდოდა, მჩრდილავდა. ვითომ არ ვიცი, მისი აზრი რა იყო? ჟოლი დავჩრდილო, ყველამ მე დამინახოსო. ზვრის მცენარეთ რომ იცოდენ, ჩემი სამშობლო როგორ ლამაზიც არის, ხომ ამას არ იტყოდენ და არც იფიქრებდენ. არ იციან, არა! განა იციან, როგორ მიყვარს ჩემი ძველი ბინა? იციან, როგორ მელამაზება იგი? როგორ მიყვარს ის ჩაბნელებული, ნეს-

ტით გაყლენთილი ხევი, ჩემი გამზრდელი, სადაც მე დიდხანს ვხარობდი სიცოცხლით. რა დამავიწყებს იმ დიდრონს წიფლებს? რა დამავიწყებს ბუერას, მოცხარს და თუნდ ჩემს მოქიშპე ჩადუნას? პირდაპირ ხავსმოკიდებული კლდე მედგა, ნამობით ცრემლს აწვეთებდა დაბლა სიპებზე და მის თავზე ჩაყოლიება ძირტკბილის ფოთლები გადმოძაბულიყო.

ზაფხულობით ვარდისა ხშირი სტუმარია ბულბული: მთელს ღამეებს აქ ატარებს, გალობს და გალობს, მაგრამ მე მისი გალობა მხოლოდ მწუხარებას მგვრის, მიძინებულს ნაღველს აღვიძებს ჩემს გულში. უყვარს საცოდავს! და განა... განა მე არ მიყვარს?! ის იქვე დარჩა, ველარა ვხედავ თვალით, ვერაფერს ვეტყვი და ვერაფერს მეტყვის, მხოლოდ გონებაში და თვალებში მელანდება მისი სახე, ვერ დავივიწყე; არც მინდა დავივიწყო, არც იმასთან წასვლა შემიძლიან, რომ ერთხელ კიდევ მენახა თვალით; ვის დავაბარო იმასთან ჩემი გულის დარდები? აქედან იქ არავინ წავა. საბრალოს იმასაც ძალიან ვუყვარდი, რამდენჯერ ეცადა ხევს გაღმიდამ ჩემამდე მოეწვდინა თავისი ყლორტები და მომხვევნოდა, მაგრამ ვერ შესძლო, იმისი გამოწვდილი მკლავები დაკიდებული დარჩა ხევში და ისე გავშორდით, ერთმანერთთან პირი ახლოს არ მიგვიტანია.

იმის ყოფა-მდგომარეობისაც აღარაფერი ვიცი. მხოლოდ ერთხელ მილით მომდინარმა მდინარემ მომიტანა მისი ამბავი, არ ვიცი, როგორ მოხდა ან ესა: „ჟოლო, ჩემო სიცოცხლევ! დაგატყვევეს შენ და დატყვევდა ჩემი გულიც: შენმა თვალით უნახაობამ უდროოდ დამაბერა, გული მომიკლა, დიდხანს ველარ ვიცოცხლებ; გეძებ თვალებით და ველარ გხედავ, წელი მწყდება, მუხლები მეკვეთება. ნეტავი თავის პატრონსა სთხოვდი, მეც მოვეთხარე აქედან და შენს ახლოს დავერგე; შენის გულისთვის სამშობლოს დავთმობდი; მაგრამ ესეც მოუხერხებელია, — შენს თხოვნას საით გაიგებს, ადამიანმა ხომ ჩვენი ენა არ იცის?! იყავ ბედნიერ, ჩემო სიცოცხლევ, ღმერთმა, ეგები, შენ მაინც დიდხანს, დიდხანს გაცოცხლოს. მე მოვკვდე, შენ იცოცხლო. შენთვის მკვდარი მ ა ყ ვ ა ლ ი“.

საბრალო! ძნელია სიყვარული, ნამეტნავად ჩვენ, მცენარეთათვის: კაცთა და ცხოველთ სიყვარულს სამზღვარი აქვ, ხოლო ჩვენს სიყვარულს არა. მთაში რომ ვცხოვრობდი, რამდენჯერ მინახია მყვირალი ხარი-ირემი, როცა იგი ტოლს, თავის სატრფოს ეძებდა; რამდენჯერ ვნების ორთქლი დაუფრქვევია ცრემლნარევი იმას ჩემს ფოთლებზე. რად უნდა ფურს ტოლის დაღონება? რად ემალება? ჩვენ ხომ ეგ არ შეგვიძლიან? განა რომ იმიტომ — დატანჯოს, სურვილი გაუათკეცოს? სულ რომ ხართან ვიყო, მოვწყინ-

დები, იქნება კიდეც შევჯავრდეო, ჰფიქრობს. ხანდახან დაემალება ხარსა, ამით მის გულში თვისდამი სიყვარულსა ზრდის, აძლიერებს. ჩვენ, მცენარენი ამას ვერ მოვახერხებთ. ჩვენი სიყვარული უმანკოა, ხოლო ჩვენ უძლურნი ვართ: ძალიანაც რომ გვინდოდეს ერთს მეორის შველა, არ ძალგვიძს, ხშირად გრძნობას სიყვარულისას გულში ვიკლავთ. ვერ ვაღწევთ საწადელს. ადამიანთ ბევრი საშუალება აქვთ, მიაღწიონ თავის სურვილს, ერთმა მეორეს თავი შესწიროს, უშველოს.

ერთხელ შევესწარი, მეკობართ მოჰყვანდათ ტყვედ ტურფა ქალი. საბრალო ტიროდა, ცრემლით და გოდებით თვალებს ითხრიდა, რამდენიმე ნამი ცრემლისა ჩემს ფოთლებსაც დაადინა, კაბის კალთა ტანზე მომახლო. შემეცოდა ძალიან საწყალი! მეშველს, მხსნელს ნატრობდა. ძმებსა და ნათესავებს ახსენებდა მოთქმაში: „სადა ხართ, ჩემო ძმებო, სადა, რომ არ მომეშველებითო?!“ — ამბობდა. მინდოდა მიშველება, მაგრამ ვერ შევძელ, მხოლოდ მეც იმის ტირილზე ტირილი დავიწყე. მეკობარნი და ქალი ტყეს მიეფარნენ. ახლა სხვანი მოვიდენ, შეიარაღებულნი, დაფაციცებულნი. ერთმა მეორეს უთხრა: „შეთევ, შეთევ, აი კვალი, კვალი აქ არისო!“ და უფრო აჩქარებით გაჰყვნენ მტერს კვალდაკვალ.

მალე თოფების ხმა გაისმა და მალე სულ სხვა სანახავი ვნახე: იგივე ქალი იმ ორ კაცს უკანვე მოჰყვანდათ. ეხლა ქალი აღარ ტიროდა, იცინოდა. ლაზღანდარობდა, კაცებს ეშველათ იმისათვის, გამოეხსნათ მტარვალთა ხელიდან.

მე ვინ მიშველის? ჩემი მაყვალი? საით და როგორ, რომ ადგილიდან ვერ იძვრის საცოდავი? მარტო ოხვრა-კვნესა რას გვიშველის ან მე, ან იმას? — არაფერს. არ შეგვიძლიან ფრენა, არ ძალგვიძს სიარული. აქ რა დამაყენებდა, რომ ან ერთი შამეძლოს, ან მეორე, — გავიპარებოდი და, როგორც წინათ, მაყვლის პირდაპირ, იმ ჩაბნელებულ ხევის პირზე, ვიცხოვრებდი, — უდაბურს, ულრანს ადგილას, სადაც კაცის ხმა იშვიათად გაიგონება. დაე, დამდებოდა დიდი თოვლი, მძიმე, ვეთელე ზვავსა, ირმებს და შვლებს წმინდა ჩლიქებით, ვეფხვებს მძლავრის ტოტებით. მაინც დიდს სიამოვნებას ვიგრძნობდი, მაინც ბედნიერი ვიქნებოდი...

მე ლალობა არ მიყვარს, არცა ვარ ჩვეული. დაე, ჩემი ნაყოფი ესვლიპა უმსგავს, ბანჯვლიანს დათვსა, — იმაზე ალალი იქნებოდა ჩემი ნაყოფი, რადგან ისიც ტყის შვილია და მეც.

აგერ ჩემი პატრონი მობრძანდება თავის ცოლ-შვილით ბაღის დასათვალიერებლად. გვერდზე წერწეტის ტანისა, ნაზის სახისა ყმაწვილი ქალები მოსდევენ, მოვლენ, დამიწყებენ ხელებით თითხ-

ნას, სინჯვას, იტყვიან: „ოჰ, ჟოლას კარგად მოუსხავ, მაგრამ არ დამწიფებულაო“. დამწიფდება ჩემი ნაყოფი და უმადურად სჭამენ, ერთხელ რა არის, ერთხელაც არ ამოსცდებათ პირიდამ სიტყვა, რომ ჩემი გამჩენი ადიდონ, იმასაც მადლობა შესწირონ.

დიალ, გამჩენი ადიდონ, რომელმაც თვით ისინი და ჩვენ ყველა — სულიერი და უსულო, გაგვაჩინა და ყველას მშობლურის სიყვარულით გვივლის და გვლალობს.

[1901 წ.]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამირანის ხმალი

იგივეა, დაბერებულა: თმა გასთეთრებია, წელშიც ცოტად მოხრილა. უზარმაზარი კონა მოიტანა შეშისა და კერის პირას დაყარა.

— ოჰ, ძალიან დავიღალე, — სთქვა მან, — ღონე აღარა მქონია, დავბერებულვარ, გულიც გატყდა, მაგრამ ნუგეში მაინც კიდევ მაქვს. იმედი თავს არ მანებებს... აყინება, ახირებაა... უკან დაწევა, დახევა, ყოვლად შეუძლებელია. აქამდის თუკი... ჰოო, აქამდის თუკი სწორე გზაზე დავდიოდი და შენც გატარებდი, ამას შემდეგაც ისევ ის იქნება. განა ეს ლეჩაქი სითბოს გულისათვის მხურავ? არა... რამდენჯერაც ახალი წელი დგება, იმდენჯერ თითქოს მეც განახლებასა ვგრძნობ. არ ვიცი, თითონაც არ ვიცი კარგად, ასე რად მემართება, და, შე საცოდავო, შენც დაგათრევ თან ძალაუნებურად...

— როგორ? რადა ვარ საცოდავი, დედა არა ხარ ჩემი?

— ვარ, ოღონდაც ვარ, მაგრამ ვაი თუ მემდურები, იქნება, კარგი დედა ვერა გყევარ, გულს რამ გაკლია ჩემგან.

— არა, არა... ღმერთმა დამიფაროს, ღმერთმა! მე უნდა მოვკვდე, შენ იცოცხლო, ვენაცვალე შენს მკრთალს სახეს, დედაჩემო, შენს დაფლეთილ, დაგლეჯილს კაბას. მაინც ლამაზი ხარ, მაინც მიყვარხარ... აბა, მითხარ — წყალში ჩავარდი, კლდეზე გადავარდი, მხოლოდ თითით მაჩვენე, თუ უკან დავიხიო.

თავდაკიდებული იჯდა, თვალებიდან ცრემლმა მოჰხეთქა, ესიაშოვნა ჩემი ასეთი პასუხი...

— ჰოო, შვილო, მართალია, მართალი, დედ-მამის ურჩი შვილი უბედურია. დედის წინ მორბინალს კვიცს მგელი შესჭამს. მხნედ იყავ. სულმოკლეს ნაბიჯიც მოკლე აქვს. განა დღესა ვარ მარტო უბედური? წინათაც ბევრჯერ ვყოფილვარ ამაზე უარეს დღეში. მტრებმა ამირანი რომ შეიპყრეს, შებოჭეს და დიდს მღვიმეში დიდის ჯაჭვით დააბეს: „ნუ ხარ კერპი, ურჩი, გაუტეხელიო“, — ჩემს მეტი ვინ შაესწრო ამ ამბავს? ან ვინ გაიგებდა, მე რომ არ მეუწყე-

ბინა ქვეყნისათვის ეს ამბავი? თვითონ დამაბარა თავის მჭუხარეს ხმით, როცა შებოჭვილი მიჰყვანდათ. მედგრად დამიძახა: „თინათინ, ამცნე ქვეყანას ჩემი ამბავი! დაე, გაიგოს ადამიანმა, მტარვალმა მართალს ადამიანს როგორ მტანჯვენო!“

მეც ვერ დავუმალე კაცობრიობას ეს ამბავი, ვაუწყე ყველას.

— ნუთუ, დედავ, ამირანსაც იცნობ?

— ვიცნობ, კარგად ვიცნობ. ჩემს მეტი ვერცვინა ჰნახავს იმასგუშინაც ვნახე. სახე გაჰბრწყინვოდა. „კარგი ნიშნები ჩნდებათინათინ, ღმერთი მოწყალეაო“, — სთქვა მან, — „გვეშველებაუსათუოდ გვეშველება“, — და მიმითითა თავის ხმალზე, — „აგერ ჩემმა ხმალმა ფერი მოიწმინდა...“ მეტად სულგრძელია ის კურთხეული ადამიანი...

გარეთ ქარი ჰქროდა, ღმუოდა საზარლად და ნამქერს ანიავებდა. დედამიწას ჰგვიდა, თითქოს სწმენდდა ქვეყანას ცოდვათაგან. სადღა მიჰქონდა ეს ადამიანთა ცოდვები, არავინ იცის.

— „ყრაანტ! ყრა...ა....ანტ!“ — მოისმა. ოჰ, როგორ მეჯავრება ეს ხმა! როგორა მძულს, ენით ვერ გეტყვით. მერე ამ უკუნეთს ღამეში... საშინელებაა... საშინელებაზე მეტია...

— დედავ, ყორანი!.. საიდან გაჩნდა ეს წყეული? მერე რა დროს და!

— სწორედ ყორანია... საკვირველია, ღმერთმანი, რას ჩაგვაცივდა ეგ წყეული! — სთქვა დედაჩემმა.

— არ ვიცი, მეც მიკვირს... და... — სიტყვას ვიდრე ვიტყოდი, ჩვენს დარბაზში შემოაფლაშუნა მხრები... ჩამოჯდა არხეინად კიდობანზე, დაიმწყაზრა მხრები.. დაგვაცქერდა, წამოძაბა ჩვენკენ კისერი და დედა-შვილს ორივეს თავზე დაგვყრანტალა. ავენთე, სისხლი ყელში მომებჯინა; მისმა გაკადნიერებამ მეტისმეტად ამაღელვა, მოთმენა ყოვლად შეუძლებელია. აქამდის მაღლიდამ ჩვენს დარბაზს დაჰკიჟინებდა და ახლა ზემო თაროსაც დაგვიბინავდა.

— დედავ, მოვკლავ!.. რაც უნდა ცოდვა იყოს, მოვკლავ!

— მოკალ, შვილო, მოკალ ეგ ღვთისაგან წყეული! — დედაჩემსაც ძალიან ეწყინა, რომ ამ ეჭვსგავსმა ფრინველმა ასე მასხარად აგვიგდო.

იქვე პაპიჩემის შავერცხლილი ხირიმი ეკიდა. დედა-ბოძზე მიკრულს ირმის რქაზე. ჩამოვიღე და მივუშვირე გულში. წარბს არ იხრიდა. ხუმრობა ეგონა. თითქოს დამცინოდა კიდეც: შენ ჩემს მოკვლასა ჰბედავო?!. მაგრამ თოფმა რომ დაიგრიალა და გულგაპობილი ზედ კერაზე რომ გაერთხა, მაშინ აღარ ვიცი, რა სთქვა და რა იფიქრა...

დედაჩემს მაინც კიდევ შეეცოდა.

— აბა რისთვის, რის გულისათვის მოიკლა საბრალომ თავი? რას გვემართლება, რა დაგვიშავებია მაგისთვის, რომ უბედურებას გვიქადიდა?!. რას ჩაგვაცივდა და აღარ გვეშვებოდა?! — სთქვა მან.

— ტყვიას ეძებდა, — ვუპასუხე მე...

ყორანი ჯერ ისევ ნისკარტს აღებდა, სული არ დაელია, რომ გარიჟრაჟებულიყო და კარების კაკუნი შემოგვესმა.

კარები გავაღე. ჩემი მეკვლე ბუთლა მოვიდა, შემოვიდა სახლში და მოგვილოცა ახალი წელი: „შემოვდგი ფეხი, გწყალობდეს ღმერთი, ფეხი ჩემი — კვალი ანგელოზისა! დიდი გიმატებიათ, დიდი გმატოსთ ღმერთმა, ახალმა წელმა, ახლის წლის გამოცვლამა!“

[1902 წ.]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მგელი

ფრიად დაღონებული იყო. ბევრჯერ მოჰშივნია, ბევრჯერ უთხრია ტოტით მიწა და იმით დაუნელებია კუჭის წვა; ბევრჯერ ფუტურო ხე ულრღნია კბილით, გაძღომის გულისთვის. სიმშილისაგან შეწუხებულს ბევრჯელ უთხოვნია ღვთისთვის: „ღმერთო, ჩვენო გამჩენო, მომეც საზრდო, რომ გავძღე, ნუ მომკლავ სიმშილით!.. შენი გაჩენილი ვარ, დამარჩინე, უფალო!“ — მაგრამ როცა ღმერთს შეუსმენია მისი თხოვნა, მგელს დაჰვიწყნია მადლობის გადახდა. სამაგიეროდ, როცა ამაოდ ჩაუვლია მის თხოვნა-ვედრებას, სამდურავი, საყვედური გამოუცხადებია ღვთისთვის: „შენ ღმერთი კი არა, არ ვიცი რა ხარ. არ იცი შეწყნარება, არ იცი სიბრალული. გევედრები, არ მისმენ; შეგიძლიან აასრულო ჩემი თხოვნა და არ გინდა. რა დავაშავე? მითხარი, რა დავაშავე? რა ცოდვა მოვიმოქმედე?“

როცა ამ სიტყვებს ამბობდა ეს საცოდავი ნადირი, უნდა გეხახათ, მაშინ რა საზარელი შეხედულება ჰქონდა და მასთან საბრალო. თუმც ორივე თვალი ცისაკენ ჰქონდა ამართული, მასთან ერთი თვალით მაინც ალმაცერად იცქირებოდა: მიწას, ტყეს არ აშორებდა... ვინ იცის, როგორ იყოს საქმე! ან ლუკმა არ ამცდეს, ან მტრის მსხვერპლი არ გავხდეო; მისი თვალები ცასა და დედამიწას ცეცხლის სხივებს ესროდა; ეს ცეცხლი სხვა ჯურის ცეცხლი იყო, იგი არა ჰგავდა არც ცეცხლის, არც მზე და მთვარის სინათლეს, ხოლო საშინელი სანახავი იყო ეს სინათლე.

ყველასაგან მოძულებული და ყველასაგან შეჩვენებული დღესაც დაღონებული იწვა უდაბურს ტყეში. ორივე ტოტი წინ გაეწოდა, დიდი სალი კლდე თავზე დასჩერებოდა და ზურგს უმაგრებდა; მგელი ცის სივრცეს გასცქეროდა. მას სასმელ-საჭმელი აღარ აწუხებდა. მაშ რადა სწუხდა? რად იყო დაღონებული? რას ფიქრობდა ეს ბეჩავი ცხოველი? გიკვირსთ? ნუ გაგიკვირდებათ!.. დღეს მგელი სრულიად სხვა რასმე ფიქრობდა და ისევ ამ ფიქრით

ღმერთს ემდურებოდა: „ღმერთო, რად გამაჩინე მგლად?! რაღა ვძულვარ ყველას? რად მომეცი ბუნება მგლისა? რაღა ვარ სისხლით გაუმაძღარი? ათასს სულ ცხვარს ერთს ღამეში თავებს გავბალთავ, განა ერთი არ მეყოფა?! რად მიყვარს ხორცის ჭამა და სისხლის სმა?! რატომ არა ვარ შველი, ან ირემი, თუნდ ბეჩავი კურდღელი?.. კურდღლობა მე არ შემიძლიან, არც ირმობა, არც შვლობა... ჩემი ბუნება სულ სხვაა, ეშმაკი მიზის გულში და მიჩანგებს: „გააფუჭე, წაახდინე!.. აგებული დაშალე, ცოცხალი მოკალ, შათქი, შაყლაპე!.. რაც შეიძლო, ბევრი სისხლი დაანთხიე!.. ნუ დაჰზოგავ ნურავის, რასაც კბილი და კლანჭი მიგიწვდება! თესე ქვეყანაზე ვაება, ტირილი და გლოვა, სისხლი და ცრემლი!..“ აი ჩემი ნდომა, ჩემი წადილი, ჩემი ბუნება... ააახ!.. არ მინდა ვიფიქრო, არ მინდა გავიხსენო ჩემი ცოდვები... ააახ! ღმერთო, ღმერთო, შე დალოცვილო! რა უბედური, რა ყველაზე საწყალი გაგიჩენივარ! და განა მარტო მე? რა საჭიროა ან ვეფხვი, ან დათვი, ან სხვა სისხლის მსმელი ნადირი?.. რას ვაკეთებთ ჩვენ? არაფერს, ცოდვის მეტს. ჩვენი სიცოცხლე, ჩვენი არსება თავიდან ბოლომდე დაგვირგვინებული ცოდვაა. არ შეგვეძლო განა ბალახი გვეძოვა და ისე გვეცოცხლა? სისხლის მაგივრად წყალი გვესვა? ჩვენ ყველგან შიშსა ვთესავთ, ჩვენი ყველა სულდგმულს ეშინიან და ყველა გვეშტერება. ზოგი, ვისაც ხელის შემობრუნება არ შეუძლიან, გაგვირბის; ვისაც თოფი და ტყვია-წამალი აქვს და გული ერჯის, სასიკვდილოდ არა გვზოგავს... ოოოხ! არა, არა! არა ღირდა ჩვენი გაჩენა... მე მგლობამ უბედურების მეტი სხვა არაფერი მომიტანა... იქ რა უნდა, რა ესაქმის ბედნიერებას, საცა ქენჯნა და მხილებაა სინდისისა?!. რა მქვიან მე? — მგელი. უვარგისს, უმსგავსს სახელს ვატარებ. ნუთუ ამისთანა ყოფნა ყოფნაა, ამისთანა სიცოცხლე სიცოცხლეა?!. არა, ეს მკვდარი სიცოცხლეა. როცა დავდივარ, უსულო და სულიერი ყველა ზიზღითა და შიშით იძახის: „მგელი!..“ გასქდი, დედამიწავ, და თან ჩამიტანე! ფუუუჰ!.. ჩვენ როცა გვშიან, ერთმანერთსაც კი ვჭამთ: თვით ჩემი დედა, და-ძმები მგლებმა დაჭამეს და მეც, იქნება... ჰო, იქნება კი არა, სწორედ შესაძლებელია ჩემივე მსგავსის, ჩემის თვისის და ტომის საგლეჯ-საწეწი შევიქმნა ოდესმე. მითხარით, მირჩიეთ, რა ვქნა? რითი ვუშველო ჩემს თავს? საით, როგორ დავახწიო თავი ამ მგლურს ბუნებას, ამ წყეულს, ამ შეჩვენებულ წადილთა და გრძნობა-მისწრაფებათა ხროვას?.. ეეეჰ!“ — სთქვა მან და მწარედ კბილები დააკრაჭუნა.

ამ დროს იქვე ხეზე ჩხიკვი შემოჯდა, მგელს დააცქერდა, კისერი გადმოძაბა, იმანაც თითქოს კბილები გააკრაჭუნა, დაუწყო

კირცხება, ჯავრება და შემდეგ „ჩხიი, ჩხიი“ გააბა... ბოლოს, ისევ თავს დაუწყო კანტური და მოჰყვა: „საწყალო, საწ-ყა-ლო!.. საწყალო!.. ხა-ხა-ხა!“ — თან გაიცინა; ფრინავდა მოუსვენრად ტოტიდან ტოტზე, ნავარდობდა, ცელქობდა, მხიარულობდა. მდინარე, ქვეით ხევში ლოდებზე მომდინარეც, ტკეპნით მიაქანებდა ტალღებს, თითქოს ისიც რაღაცას ამბობდა, თითქოს მიმხვდარიყო და თანაუგრძნობდა მგლის გულის ტკივილს — „უყურე, მგელს, —ამბობდა იგი, — ვინ მგელი, ვინ ეგ სიტყვები? ღმერთო, ამას რას მოვესწარი!.. მიკვირს, გამკვირებია!“

— რად სცრუობ, ვის ატყუებ? შენ, იქნება, ან ავადა ხარ, ან მოხუცდი და აღარ ძალგიძს მგლური ნავარდი და მიტომ მოინდომე გადასხვავება? გინდა იმ ერთ ადამიანივით, სამოცდაათი წელი რომ გარყვნილებაში გაატარა და როცა ყოველი ძალა და ჯანი გამოელია, გარყვნილების მასაზრდოებელი, მაშინ შედგა ბერად სულის მოსაგებად, — შენც სული მოიგო? სტყუი, სცრუობ! — შემოსძახა მდინარემ ქვევიდან.

— არა სტყუის!—დაიჩხავლა ჩხიკვმა,—გულწრფელად ამბობს.

— არა სტყუის! — დაიბუტბუტა კლდემ, მგლის თავზე შავად დაყუდებულმა.

— მართალია, მართალი, არა სტყუის! — დაიგრიალა ტყემ და მიშოლტ-მოშოლტა თავისი ფოთლიანი ტოტები.

— განა, აქაო და მგელიაო, სიმართლეს არ იტყვის, არაფერი დაეჯერება? — დააკაკუნა კოდალამ.

ხოლო მგელი ხმას არ იღებდა... გარინდებული იყო.

— ვაჰ!.. მე რომ... მე რომ ის... ვიყო? — ბუტბუტებდა და თახ დასთვლიმა.

დასთვლიმა და რა მოესიზმრა? ირმად ქცეულიყო, მშვენიერი ტანისა, ბოჯოჯღი რქებით შემოსილი, ყელმოღერებული სხვა ირმებთან ერთად დანავარდობდა ტყეში.

მძინარას გრიალი, ხმელი ფოთლების შრიალი და ლაწა-ლუწი შაესმა. ფეხზე წამოდგა... მის პირდაპირ დამთხალი ირმები გარბოდენ.

— ეჰ, გამასწრეს!.. — სთქვა მგელმა თავისთვინ, — მოვტყუვდი. წავიდენ, წავიდენ! მირბიან, მირბიან!

ხოლო თვალს ვერ აშორებდა, ირმებს თან გაჰყვა მისი თვალები. მონადირემ, რომელიც ირმებს მისდევდა, გაბრიყვებულს მგელს თვალი შეასწრო.

— ირმები თუ გამექცნენ, ეს ხომ აქ არის! — სთქვა მან და გამოუმიზნა თოფი. თოფი გავარდა... და მგელიც წაიქცა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოკვდა მგელი...

ამ შემთხვევამ ყველანი გააოცა.

— დიდება შენთვის, უფალო, წინადიგრძნო სიკვდილის მოახლოვება, თორემ ვინ მგელი, ვინ მაგისთანა მსჯელობა? — ამბობდა კლდე.

— საწყალი, საწყალი მგელი! — დუდუნებდა მდინარე, — თქვეხ არ დაიჯერებთ, ცხონებულია!..

— კრრრიია! — გაისმა კოდალას კაკუნი. ჩხიკვი კი მაღლა ხის ტოტზე დაფარფატებდა და უგემურად ჩხიკვინებდა... ტყე არაფერს ამბობდა, თავი დაბლა დაეღო და ღრმა, საიდუმლო ფიქრებში იყო გართული.

[1902 წ.]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ორი ამგავი მეფე ერეკლეზე მთაში დარჩენილი

I

„თეკლა-ბიჭი“

მთაში უბირის კაცისაგან ისეთ რასმე გაიგონებთ ჩვენს სახელოვან ისტორიულ მოღვაწეებზე, რომლის მსგავსს ვერც ერთი ისტორიკოს-არხეოლოგი წიგნების და ნივთების ჩხრეკა-ძიებით ვერ აღმოაჩენს. უსწავლელს, უბირს კაცს არავითარი მზამზარეულად შედგენილი აზრი არა აქვს, ამბობს, რაც გაუგონია თავისავე მსგავსის უბირის პირით და ხშირად თითონაც არ ესმის, რას ამბობს. სწორედ ამიტომ არის ძვირფასი და საყურადღებო მისი ნაუბარი. მისი მოთხრობა.

აი, მაგალითად, ავიღოთ თუნდ მეფის ასულს, თეკლა-ბიჭზე დარჩენილი ზეპირგადმოცემა. თეკლა-ბიჭს ფშაური თქმულება იცნობს „ბოგუნის“ სახელით. თქვენც, მკითხველო, ეს მამაცი ქალი გმირის მამისა არ უნდა გყავდეთ უცნობი. თვით სახელოვანმა მამამ ასწავლა „სამამაცონი ზნენი“: სწრთვნიდა თოფის სროლაში და ცხენის ჯირითში. მართლაც თეკლა-ბიჭი არც ერთს მოჯირითეს და მსროლელს არ ჩამოუვარდებოდა ჯირითსა და თოფოსნობაში. ადიდებულ, აღვარებულ არაგვში შეაგდებდა ცხენს, ფონს აღ ეძებდა და გასცურავდა მეორე ნაპირას. დღეს ამისთანა ქალებს მთაში თუ შეჰხვდებით. ჰხედავთ, უბელო ცხენს შემოჰხტომია ქალი და მიაქროლებს ოღრო-ჩოღრო ადგილებზე უკრძალავად და თან მისი ჩიქილა მიფრიალებს ბაირაღის კალთებივით.

ერთხელ ნასახელარმა, ლაშქრობიდგან დაბრუნებულმა ერეკლემ თავის ლაშქარს ნადიმი გაუმართა. იმისა რა მოგახსენოთ, სუფრაზე ჯარისკაცნი თემ-თემობით ისხდენ თუ არევ-დარევით, — ამაზე თქმულება სდუმს. ხოლო ის ცხადია, რომ მეფემ უბრძანა თეკლა-ბიჭს:

— თეკლა-ბიჭო, წადი, მერიქიფეს დოქი ჩამოართვი და ფშავლებს ღვინო შენის ხელით დაალეინე ყველას სათითაოდ.

ასეთი განსაკუთრებული ყურადღება ფშავლებისადმი ერეკლეს მხრივ მარტო ფშავლების ერთგულებით და იმით, რომ „უნჯნი ყმანი“ იყვნენ, არ აიხსნება. აქ სხვა რამ მიზეზიც არის: სახელდობრ ისა, რომ ყრმა ერეკლე ფშავში აღიზარდა და თავის აღმზრდელ ერის სიყვარული განკერძოებით ექმნებოდა.

თეკლა-ბიჭმა იმ წამსვე შეასრულა მამის ბრძანება: დაუწყო მორიგად ჯარისკაცთ თასით ღვინის სმევა.

შეზარხოშებულ ჯარისკაცთ დაავიწყდათ თავისი თავიც და მასპინძელიც; დაიწყეს ფშაურად მღერა. მოაყოლეს კაფიების თქმა. სხვათა შორის, ერთმა მეორეს „შაუმღერა“:

ღვინოს გვირიგებს ბოგუნი,
შამეჯინჭრება[1] მე გული.

თეკლა-ბიჭმა ეს ძალიან იწყინა, მერიქიფობას თავი დაანება და მეფეს შესჩივლა: შენმა საქებურმა ფშავლებმა შეურაცხმყვესო... უამბო ყველაფერი. ერეკლეს „პირმა შასცინა“.

— ნუთუ ეგა გწყინს? — ჰკითხა მან ღიმილით, — ჩემო თეკლავ, განა ეგ იმედი მაქვს შენი? ნუთუ ეგრე სულმოკლეცა ხარ? ფშავლები არიან. რა ვუყოთ, მაგათი წესი ეგ არის, დამშვიდდი!

თეკლა-ბიჭი დამშვიდდა, ხოლო მერიქიფობა აღარ იკისრა.

ნათქვამია: დრონი მეფობენ და არა მეფენიო. აი დრო, გარემოება და კაცი. ეხლანდელი იუნკერიც არ იკისრებს თავის ტოლ-ამხანაგ იუნკრებს დაუყენოს თავისი ქალი მერიქიფედ, განალამც თავის ქვეშევრდომ „სალდათებს“ და, თუ მსგავსად შეურაცხყვეს, მოითმინოს; ორის გოჯის სიმაღლეზე გაკეთებულ ქანდარიდგან არ იკისრებს დაბლა ჩამოსვლას, განალამც იალბუზის წვერიდგან პირდაპირ უფსკრულში გადმოხტეს. მაგრამ განა ყველა გმირია?!

დიახ, დიდებულმა გმირმა მეფემ იკისრა მწვერვალიდგან დაბლა ჩამოსვლა და, ვინ იცის, სხვა რამდენს რასმე კისრულობდა (მოიგონეთ, ტოტლებენს რომ დაუჩოქა), მხოლოდ იმ განზრახვით, — ერი გაეერთგულებინა და მით საქვეყნო საქმე კეთილად წარემართა. შეიძლება ეს მაღლიდან დაბლა ჩამოსვლა ბევრჯელ ბევრში ჰვნებდა, მაგრამ რომ ბევრ შემთხვევაში გამოსადეგიც იქნებოდა, ეს უეჭველია.

---

[1] დამესუსხება, შამიტოკდება, შამითამაშდება გული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

II

ხიმიკაურის ხმალი

ასპინძაში, როცა გაშხლართული, თავგაჩეხილი ერეკლის ხმლითა კოხტა-ბელადი სულსა ჰლევდა, მეფეს მაშინ თან ახლდენ შვიდნი ხევსურნი ძაღლიკა ხიმიკაურითურთ. ლეკ-ოსმალოს ჯარი, ნახარა უბედურებაში თავის სარდალი, აირია წეროს გუნდივით, როცა მას არწივი დაუტევს. სხვა ჩვენმა ჯარმაც მოუსწრო ამ დროს. ერეკლემ შეუძახა ქართველთა ჯარს: „ხმალი ამ წუნკალებს, ქართველებო!“

გამხნევებული მეფის გამარჯვებით ჩვენი ჯარი დაერია დაწოკებულ ლეკ-ოსმალთ და დაუწყო თიბვა, როგორც ბალახს. ყველა მხედართა გარჯას ერეკლე თავის თვალითა ჰხედავდა. ყველაზე მეტად მოეწონა იმას ხიმიკაური ძაღლიკას ხმალი და მისი ომი: თითო შემოკვრით კაცს შუაზე სხეპდა. ერეკლე ომის დროს რას ეტყოდა, მაგრამ ომის მეორე დღეს დაიბარა ძაღლიკა თავისთან და სთხოვა ძაღლიკას, შენი ხმალი დამითმე და ფასი, რამდენიც გინდა, მიიღეო.

— ბარევალ ე ხელნ დამჭრენ, ერეკლევ! — უპასუხა ძაღლიკამ.

— აი ჩემ ხმალს მოგცემ, — სთქვა ერეკლემ, — სართი სხვა იქნება.

— ვაი დედას მტრისას, ერეკლევ ბატონიშვილო, ეგ ხო ჩემ მოკვლა იქნების?! მამკალ კიდეც, რაკი ხმალს გამამართომ.

ერეკლემ იცოდა კარგად, ვაჟკაცისათვის კარგი ხმალი მეორე სიცოცხლე იყო, მაგრამ რა ექნა, თითონაც ვაჟკაცი იყო და ხიმიკაურის ხმალიც მეტისმეტად მოეწონა.

საქმემ იარა და იქამდე მივიდა, რომ დაუთმო ძაღლიკამ და მის ნაცვლად მიიღო სხვა ხმალი და ერთი თოფი, რომელიც დღეს ხევსურეთში ინახება ხიმიკაურების ოჯახში; ამ თოფს ხევსურნი „ბატონიაანთეულ თოფს“ ეძახიან და ვისაც სურს მისი ნახვა, ამ სახელით შეუძლიან მოიძიოს და ჰნახოს.

ძაღლიკა ხიმიკაურს იმ ვაჟკაცობისა და ერთგულებისათვის, რაც მან ასპინძის ომში გამოიჩინა, მეფე ერეკლემ სიგელით დიდი მამული უბოძა; ის „ნაჩუქრობის ქაღალდი“ ამ 7—8 წლის წინათ მე ვნახე ძაღლიკას შვილიშვილის ხელში. სპილენძის კოლოფში შენახული ჰქონოდათ და იქნება დღესაც ისევ ჰქონდეთ; პატრონი დავას აპირობდა და არ ვიცი, საქმე როგორ წაუვიდა. ხოლო ის კარგად ვიცი, რომ დღეს მის პაპისთვის ნაჩუქარ მამულით სხვანი სარგებლობენ, სხვა მფლობელობს.

ალბად გაწყრა ძაღლიკა, „გულს შამოეყარა“, რომ ხმალი „წაართვეს“ და აღარც ადგილი — მამულ-დედული ინდომა, მეფისაგან ნაჩუქარი.

ამის შემდეგ, როცა კი ერეკლე ლაშქარს დაიბარებდა მთიდგან, ძაღლიკა ხიმიკაურს პირველად მოიკითხავდა, მაგრამ ძაღლიკა სალაშქროდ გამზადებულ ხევსურთა „ახალ-უხლებს“ ამას აბარებდა, ხოლო ადგილიდგან აღარ იძვროდა მტერთან საომრად: „უთხარით ერეკლე ბატონიშვილს, ავად არის-თქო ძაღლიკაი...“

[1902 წ.]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაპრალნი

პირდაპირ იდგნენ დიდ მთათა შორის. დაბლა მდინარე ღრიალებდა გაბრაზებული, ასქდებოდა დიდრონს ლოდებს, თითქოს ეჩხუბებოდა: ნუ მიშლით, გზა მომეცით, მინდა თავისუფლად ვიდინოვო. მაგრამ ამაო იყო ყოველივე მისი მეცადინეობა, — ლოდები წარბსაც არ იხრიდენ; ხოლო მდინარის ტალღების შენახეთქები, ამ ლოდებზე წინწკლებად ქცეული, ნისლის მსგავსად ესხმებოდა ამ ნაპრალთ; იქაც ვერა სძლებდენ, ისევ წვეთ-წვეთად მდინარეშივე ჩადიოდენ... ეს ნაპრალნი მხოლოდ ერთმანერთს შესცქეროდენ. არც ერთ მათგანს არ შაეძლო მაღლა აეღო თავი, ან გვერდზე მოეხედნა, იქით ან აქეთ. ძალაუნებურად უნდა ერთს მეორისათვის ეცქირა თვალ-წარბში. ერთად ყოფნამ, ერთმა ჭირმა და ლხინმა შეაყვარა იმათ ერთმანერთი, თუმცა ერთად მისვლა არ შაეძლოთ: ერთი გამოღმა აყუდებულიყო, ხოლო მეორე — გაღმა. ან რა ჰქონდათ გასაყოფი — მამული თუ ფული? თუ, ვინიცობაა, სიყვარულის საგანი რამ? არც ერთი, არც მეორე; მათი ნდომა-მისწრაფება თავთავის გზაზე დიოდა, ერთისა მეორეს არ ეღობებოდა წინ. იქნება შურდათ რამ ერთს მეორისათვის და ამით ედაგებოდათ, ეწვებოდათ, ეშხამებოდათ გულ-ღვიძლი და ნატრობდენ ამას: ღმერთო, მე მომეც, მაგას წაართვი... ღმერთო, ეგ დაამხე, მე ამამაღლეო?! არა, არა. მათ შორის შურის გესლს ადგილი არ ჰქონდა. რაც ერთი იყო, იგივე მეორე; იგივ სალი მკერდი დაყაშებული და შიგა-შიგ დახავსებული, ალაგ-ალაგ გადმოკიდებული ძუასავით ბრაწი და ობლად მომჩინარე დეკა... სწვიმდა თუ სთოვდა — ორივესთვის; ქარი ხვიოდა — ჰაერის ტალღები ორივეს ერთნაირად ჰხვდებოდა. ზვავი ჩამოწვებოდა — ორივეს კალთაზე და მუხლებზე ერთნაირად დალაგდებოდა... ხოლო მზე, შეიძლება, გაღმითურს უფრო ათბობდა, ვიდრე გამოღმითურს, მაგრამ იგი ამ მზისაგან მკერდზე დანასხურებ სითბოს მოპირდაპირე თავის მეზობელს უზიარებდა, უგზავნიდა. ან კი რას ვამბობ?! იქ შურს რა უნდა, საცა სიყვარული

და სიბრალულია! ორივეს თავზე სვავები დაჰფანფალებდენ და დაჰყაშყაშებდენ; ორივეს ლეშის მაძიებელი ყორნები ერთნაირად შეჰყრანტალებდენ.

— ჩვენ ერთნი ვართ, — ამბობდა ერთი, — ერთი სხეული ორად გაპობილი. ამ მდინარის ბრალია, ჩვენ ამან გაგვათავთავადა, გაგვაცალკევა და სხვასაც გვიპირობს რაღაცას.

— ვიცი, ძმაო, ვიცი. გგონია, არ ვიცოდე? ნუთუ ეგრე ბრიყვიცა გგონივარ? — უპასუხებდა მეორე.

ორივეს სიცოცხლე სწყუროდა და ორივენი ღმერთს ამას ევედრებოდენ:

„ღმერთო, ნუ მოგვიღებ ბოლოს! ღმერთო, გვაცოცხლე ჩვენც ამ მთათა შორის!“

ეშინოდათ გულში და ამ შიშის მიზეზი იგივე მდინარე იყო. გამოგვითხრის ძირს და დაგვამხობსო, — ფიქრობდენ ნაპრალნი.

„ნუ გეშინიანთ, ნუ, მაგრად, შეუპოვრად იყავით, ვერაფერს დაგაკლებსთ თქვენ მდინარე!“ — გაისმოდა რაღაც იდუმალი ხმა, ქარად შემოვარდნილი ამ ნაპრალთა შუაზე, ბნელს ხეობაში.

წარმოიდგენდენ თავისთავს დანგრეულ-დაფუშვილად, ლოდებად, ხეობებში მიფანტულ-მოფანტულად მდინარისაგან. ვინც უნდა, ფეხს დაგვადგამს, ვინც გინდა, ზედ დაგვაფურთხებს, აგვიღებს ხელში და გაგვისვრისო, — ფიქრობდენ ისინი.

დღეს იმათი ნაღველი უფრო დიდია: ერთს იმათგანს ეწვია დიდი, როგორც შავი ნისლი, ვეშაპი, დაადგა თავს და შუაგულზე დაუწყო ნგრევა, ბუხაგს იკეთებდა. ნაპრალი ცრემლსა ჰღვრიდა და ეხვეწებოდა თავის ძმას: „ძმაო, ნუთუ ვეღარაფერს მიშველი, ეს რა ღვთის რისხვაა ჩემს თავს?! ამიერიდან ჩემი იმედი სიცოცხლისა ნულარ გექნება, მე მოვიწამლები, ჩემი დღენი უკვე დათვლილია!“

მეორე ნაპრალი ოხრავდა, მიშველება უნდოდა, ეწადა განძრეულიყო და ზედ დასცემოდა ამ შხამიანს ცხოველს, მაგრამ ძვრა არა ჰქონდა: „ვაჰმე, მოგიკვდა, ძმაო, ჩემი თავი! რადა ვარ ცოცხალი, რადა?! მინდა გიშველო და ვერაფერსა გშველი უბედური!“

— ჭკვიანად იყავით, ხმა ჩაიწყვიტეთ, თორემ მე გიჩვენებთ თქვენ როგორიც შველა გინდათ! — ბუზღუნებდა ვეშაპი, — ხომ არ გინდათ, თქვე უბედურნო, სულ დაგანგრიოთ და ნაცარმტვრად გაქციოთ?! მაშ სადღა წავიდე? საცა ფეხი დავდგი, ყველგან გლოვისა და ტირილის ხმა შემომესმა.

ნაპრალთა მიდამოებში ნადირობდა ვეშაპი და არა ცხოველს თუ ფრინველს არა ჰზოგავდა თავის გაუმაძღარი ფაშვის ამოსაყორავად. ნაპრალთა მიდამოები მალე აივსო ძვლებით, ბუმბულით, ნა-

დირთა ბალნით და ბიტირით. საზიზღარი სუნი და სურნელი დატ-
რიალდა ნაპრალთა მიდამოებში. ორივეს სული ეხუთებოდათ, ჭირი
ერთისა მეორისათვისაც ჭირი იყო. მაგრამ ღმერთმა ისინი ამ ერთს
ჭირვარამს როდი დააჯერა. ერთში თუ ვეშაპი დაბუდდა, მეორეში
ალმა მოიკალათა. ერთმანერთის მოქმედებას ეს ორი არსება კარ-
გად ჰხედავდა და შეჰხაროდა.

ალი გადმოჯდებოდა სადგურის კიდურზე და ფეხების თამაშო-
ბით, თმაგაწეწილი კისკისებდა, ხედავდა რა, როცა ვეშაპი ნანადი-
რევს სწეწდა და ჯიჯგნიდა; მისი კისკისი შორს, ძალიან შორს
ისმოდა და მთელ იმ არემარეს ჰზარავდა.

დღე იგი ნაპრალის მღვიმეში იმალებოდა და ათასში ერთხელ,
როცა იმედს აიღებდა, ადამიანი ვერა მნახავსო, მაშინ გადმოსკუპ-
დებოდა აჩემებულს ადგილზე და თავის ჩანადინარს ოინებს უამ-
ბობდა ვეშაპს გაცხარებით, სხაპა-სხუპით, ხელების, ფეხების და
სახის თამაშით, მოუღალავად; წყალთა ნაკადულივით მოსდიოდა
პირიდგან სიტყვა-სიტყვაზე. ვეშაპიც გაკვირვებით ყურს უგდებდა
და თან თავის დიდრონს ლაშებს აღებდა... თითქოს შეუყვარდა კი-
დეც მას იგი და „თავის-ქალი“ დაარქვა.

— ყოჩაღ, ყოჩაღ, ჩემო ქალო! ყოჩაღად მოქცეულხარ! — ხან-
დახან კიდეც გადალახლახდებოდა იმის ბუნაგში, ალთან ახლო ყოფ-
ნა ეწადა, მაგრამ ალი უფრთხოდა, გაექცეოდა და შორიდან მხო-
ლოდ სიცილ-ხარხარს მიაშლიდა თვალ-პირში; არ ეწადა ჩაჰვარდ-
ნოდა ხელში ამ ბინძურს; ჰოო, ბინძური ბინძურს ერიდებოდა.

„ღმერთო, მამაო ზეციერო, გვიხსენ ბოროტებისაგან!“ — ამბობ-
დენ ნაპრალნი. ნაპრალთა თავზე მდგომარე მუხები წყრომით არ-
ხევდენ ტოტებს: — „მოგვეწამლა, მოგვეშხამა ფესვები! თუ კიდევ
დიდხანს გაგრძელდა ამ ბოროტთა მეუფება, ჩვენ ამოვიფხვრებით,
გავწყდებით, გავხმებით! ღმერთო, დაგვიფარე განსაცდელი-
საგან!“

ალი ხშირად დღისითაც ჩამოვიდოდა ნაპრალიდან და დახეტია-
ლობდა ხევებში, მთა-გორებზე. მდინარის, წყაროს პირზე გაიწეწ-
და თმას, მოჰყვებოდა მის ვარცხნას; დაიწყებდა ტკბილის ხმით
მღერას, ხანდახან სალამურს უკრავდა და გულუბრყვილო მწყემ-
სებს იბირებდა თავისკენ. პატარა გოგო-ბიჭები შემოესეოდენ გარს,
იგი უცინოდა, სათითაოდ გულში იკრავდა და აღრჩობდა. შემდეგ
მოჰყვებოდა კისკისს: „გაუწყდით თქვენს მშობლებს, რატომ ჩემები
არა ხართ? ვინ მისცა თქვენი თავი თქვენს პატრონს?! რატომ მე
არა მყავს შვილები? ჩემის სისხლისა, მცოდნე ჩემის ენისა, ზნე-
ჩვეულებისა რატომ არა ხართ?!“ — ამის მომქმედს ალს ოდნავაც

არ ეტყობოდა მხილება სინდისისა; იგივე მხიარული, იგივ ლალი, იგივე მოკისკისე და ლამაზი იყო ის წყეული.

ბევრჯერ მონადირეს მოსჩვენებია ჯიხვად. თოფნასროლი წაქცეულა და როცა მონადირეს გახარებულს ჩაუჭიდნია ხელი რქაში, თავის სახით სცემია ყელში და დაუხრჩვია, — „ნადიროობ? მეც ვნადიროობ, მეც! გესმის თუ არა?“ — და მოჰყოლია კისკისს.

ბევრჯელ ბევრი მწყემსი, თეოზე დაძინებული, დაახრჩო, დაახრჩო ბევრი მთიბელი დაღალულ-დაქანცული, ნაბადწახურული, ახლად გათიბულს ბალახზე ტკბილად დაძინებული; იმისთვის ეს ცოდვა ცოდვად არ ითვლებოდა. გულდაარხეინებული ბრუნდებოდა და კისკისებდა უდარდელი, უვნებელი. მაგრამ ალი, სიმართლე რომ ითქვას, არც გველეშაპს იზავებდა. ბევრად არ ეჭაშნიკებოდა იმის იქ ყოფნა და ცდილობდა იგი როგორმე დაეტანჯა: ამისთვის ალი ცდილობდა თავი შეეყვარებინა, მოეწონებინა მისთვის და უიმედო სიყვარულით დაეტანჯა. აკი კიდეც შეაყვარა? დღითი დღე ვეშაპის გულში ალისადმი სიყვარული იზდებოდა. „როგორი ცქრიალა გოგოა ეგ შეჩვენებული! რა მოხდენილი, რა ლამაზი!“ — ბუტბუტობდა ვეშაპი თავისთვინ და თან ლაშებს აწკლაპუნებდა. ალმა ეს კარგად იცოდა.

— ეი, ბიძიავ — დაუძახა ერთხელ ალმა პირდაპირ, — სიყვარული მომწყურდა. მინდა ვინმე შევიყვარო, მაგრამ ვერავინ ვპოვე ამ ქვეყანაზე; არავინ მომწონს... მხოლოდ... მხოლოდ... გინდა გითხრა? არ გეტყვი, მე ვარ და არ გეტყვი!..

— ნუთუ, ნუთუ?!. როგორ დავიჯერო?.. განა არ იცი, ვინც არის შენი სიყვარულის ღირსი?! იცი კარგად... მე გულში ცეცხლი ამინთე, დაუქრობელი, — ეუბნებოდა ვეშაპი.

— მეც... მეც... მეც, ჰოო, შენმა, ჰოო, შენმა მზემ!.. — და კისკისით გაჰქრა ქვეყნის სივრცეში. „ვეშაპი მიყვარს, ვეშაპი მიყვარს!“ — გაისმოდა ხმა მისი დიდხანს ჰაერში. ეს ბუნების მტერნი ასე ქეიფობდენ, არშიყობდენ, ტკბილად ატარებდენ დროებას... ალი ეხლა ხევში, მდინარის პირას იჯდა და თმას ივარცხნიდა.

დრონი იცვალნენ. იმ არემარეში საზარელი ტანისა და საზარელი ხმის პატრონი ფრინველი გაჩნდა. ხშირ-ხშირად ჩამოავლებდა თვალს ნაპრალთ. უფრო ხშირად ამ არემარეს დასტრიალებდა თავს და დაჰყეფდა გულმრისხანედ, თითქოს იმუქრებოდა. ეს ორივემ, ნაპრალთა დაუპატიჟებელმა სტუმარმა, იგრძნო. მის ხმაზე ტანში ჟრუანტელი უვლიდათ; მისი დანახვა რაღაც შიშსა ჰგვრიდა ორივეს. ფრინველს მართლაც რომ აბრაზებდა იმათი ყოფაქცევა და დროს ელოდა ორივესთვის დღე დაებნელებინა. რა იყო მიზეზი?

ვინ იცის. სხვა რა იქნებოდა, თუ არ ის, რომ იმას პირიდან ლუკმას აცლიდენ, ფრინველთა მეფის სანადიროში ნადირობდენ. შურისძიების დროც დადგა...

ერთხელ ალი ნაპრალის კიდურზე გადმომჯდარიყო. თავისებურად ლაყბობდა, იცინოდა და ვეშაპსაც აცინებდა, ხელებსა და ფეხებს ცელქი ბავშვივით ათამაშებდა, რომ ამ დროს საზარელი ჭექა გაისმა ცაში და ფრინველი მხრებმოკუმშული დაეცა მას თავზე. ოჰ, რა საშინლად დაიწივლა მაშინ უბედურმა! მის საშინელს წივილ-კივილს და გოდებას დაეყრუებინა მთები... გაჰქრა ფრინველი, გაჰქრა ალი. ვეშაპი თავისთვის მოიკუნჭა, უნდოდა მიჰშველებოდა თავის სატრფოს, მაგრამ სად შეეძლო ჰაერში ფრენა?! პირიდან დორბლებს, ცოფსა ჰყრიდა, ხვნეშოდა, კვნესოდა და უგემურად ილანძღებოდა. ამაოდ. ხმა ალისა და ფრინველის მხართაგან ჰაერის კვეთისა გაჰქრა... „სიფრთხილე, სიფრთხილე! — ამბობდა დღეს ვეშაპი, — სიფრთხილე მმართებს, დიდი სიფრთხილე! ჰხედავ, რა მოხდა? ღმერთო, ეს რა ვნახე? ნუთუ ალის მომრევიც გამოჩნდა?! საშინელებაა, სწორედ მოულოდნელი საშინელებაა! განა ხილულმა ძალამ უნდა სძლიოს უხილავსა?! არ მესმის, ვერ გამიგია!..“

გავიდა ერთი დღე, ორი, სამი, ოთხი. ალი აღარსად სჩანდა, აღარსად მისი კასკას-ტიკტიკი, აღარსად მისი გაშლილი თმები!.. ვეშაპი სწუხდა, ფრიად სწუხდა. უგემურად ხვნეშოდა, თავის ბუნაგში იგვლარძებოდა და, ცოტა არ იყოს, დღისით გარეთ გამოსვლისა ეშინოდა...

ერთის კვირის შემდეგ ფრინველისაგან ალის მოტაცებისა კვალად ხმაურობა, გმინვა, ტკაცა-ტკუცი და გუგუნი ისმოდა ნაპრალთა მიდამოებში, თითქოს თოფ-ზარბაზნებს ვინმე ისროდა და ამ ხმაურობას მთათა და ნაპრალთა გამოძახილი აათკეცებდა... დიდი ომი იყო.

იგივე არწივი დასცემოდა ახლა ვეშაპს და სიკვდილის პირზე მიეყვანა. ვეშაპი, სისხლში მოსვრილი, ბოლოს აწყვეტდა უკვე თავს. მაღლა ფრინველს შეწყალებასა სთხოვდა, მაგრამ ამაოდ: იგი, დაატყო რა, რომ დაჰრია ხელი, უფრო მედგრად სცემდა ნისკარტს და ბჯღალებს და აგერ... აგერ ვეშაპი, როგორც დიდი უზარმაზარი ძელი, დაგორდა და ჩაიჩეხა ხევში.

— მადლობა შენთვის, უფალო! დიდება და სახელი, ჩვენო მხსნელო, ცისა და ქვეყნის შემოქმედო! — ამბობდენ ნაპრალნი.

— ჰოი, შენი ბიჭობის, შენის ვაჟკაცობის ჭირიმე, შენი!.. აკურთხოს და განაძლიეროს შენი ძალა ღმერთმა, ფრინველო! — ამბობდენ ნაპრალთა თავზე მდგომიარე მუხები.

— ვაშა, ვაშა! — იძახდენ ლოდები, დეკანი, ჯოყრები წვრილი და მსხვილი, ნედლი და ხმელი ბალახი.

— უძლეველი მხოლოდ ღმერთია! — ამბობდენ ორბები, გუნდად გადმოსულნი ცაზე და ვეშაპის თავზე მოფარფაშენი.

— ერთი დრო არავისაც არ შერჩენია!.. — ბუტბუტებდენ სვავები.

— დროება ცვალებადია! — ამბობდა თავისთვის ნისლი, რომელიც ბარიდან მთისკენ მიიზლაზნებოდა დინჯად, აუჩქარებლად, უდარდელად.

ამიერიდგან ნაპრალთა ბედ-იღბალი სრულიად შეიცვალა: მალე იქ მოიყარა აუარებელმა ხალხმა თავი: დიდნი და მცირენი, ქალი თუ კაცი, დიდი და პატარა, მთელი ნაპრალთა მიდამო ხალხით აივსო... ეს ადგილი ხალხმა წმინდა ადგილად დასახა. ყველას მოჰქონდა სხვადასხვა ყვავილები, მცენარეულობა და იმათ ძირებზე ჰრგავდენ.

არ გავლო დიდმა ხანმა, რომ ნაპრალნი ყვავილებით და ხვეულის მცენარით შეიმოსნენ; იმაზე ლამაზს სანახავს კაცის თვალი ველარას ნახავდა. სულ მწვანედ შეიმოსნენ ორივენი. შიგადაშიგ ამ მწვანიდან ათასნაირი ჯურის ყვავილნი გამოიცქირებოდენ. ორივე მხრიდან წამოვიდა მცენარეთა შტოები, ერთმანეთს გადაეხვივნენ და ერთი გუმბათი შეიკრა, რომლის თავზე ცხოველი თაიგული გამოისახა გუმბათის მსგავსად, საიდანაც დაუსრულებელი ხმა ისმოდა: „მე მკლეს და ვერ მომკლეს!“

— უწინამც დღე გაჰქრობია შენს მკვლელსა! — ამბობდენ მუხები, განზე ტოტებგადართხმულნი.

— ცდილობდენ ჩემთვის დაეხშოთ ყოველი კაცური გრძნობა, მაგრამ მოსცდენ, ვერაფერს გახდენ!

— უწინამც საუკუნოდ დაჰხშობია იმათ თვალები!—ამბობდენ იმ ხმის პასუხად არყნი და დეკანი, ნაპრალთა მიდამოებში დაქსაქსულ-მოქსაქსულნი, მათთან ერთად ბალახი, ქუჩი და ყვავილნი.

[1902 წ.]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზოგის წინა-ღამე ტყეში

(სურათი)

დიდს, დაცემულს ტყიანს ჭალაში, კახეთში, რამდენიმე წნული ქოხი იდგა, ჩალით დახურული. დიდრონი, თოვლით გადალესილი მთები დაჰყურებდა თავზე ჭალას და ქოხებს. ღამეა ბნელი. ქარს ზუზუნით შემოჰქონდა წნულებში თოვლის ნამქერი. სინათლე ცეცხლისა მარტო ერთის ქოხიდან მოსჩანდა და ხმაურობა, კაცების საუბარიც იქიდან მოისმოდა. მხოლოდ ცეცხლზე დიდრონი ნახეჩები ეწყო რცხილისა და წიფლისა და ზედ ხის საკიდელზე ყორანივით შავად ჩალხანა ქვაბი მოსჩანდა. ორივე მხარეს სხვადასხვა წლოვანების კაცები მოსჩანდენ.

აქეთ თავში ჩიკაზე კარგა მოხნიანებული კაცი იჯდა, ჩიბუხს ჰსუტავდა და თან რაღაცას უამბობდა ამხანაგებს. ისინიც ზოგნი თავერთმანერთისკენ იყვნენ წამოწოლილნი მიწაზე და თავით საერთო მუთაქად კუნძი ედოთ; ზოგს ფეხები ჰქონდა ერთმანერთისაკენ გაწვდილი; სხვანი მხარ-თეძოზე შემოწოლილიყვნენ, მიეხურათ ფხროკი ტყავები, მოეკუმშათ მუხლები და შიშველი ფეხი ფეხზე დაედოთ. სველი ქალამან-წინდები და ბანდულები ცეცხლის თავზე დაეკიდათ, ისე კი, რომ ქვაბში არ ჩასულიყო მათი ნაჟური; აშრობდენ ცეცხლზე; როგორც შეშა ცეცხლზე ბოლსა ჰბადებდა, ისე ესენი ორთქლსა, და შაერთებით ადიოდენ მაღლა ჭერის ჭუჭრუტანებიდან, იქ ინთქებოდენ ჰაერის უფსკრულში.

შუა ბოძზე თოფები ეკიდა, ზოგი წვერაღმა და სხვა წვერდაღმა, ისე არევდარევით, როგორც თვით ფანჩატურის მდგმურნი.

— ვერაფერი შობა გვითენდება, ბიჭებო, — ამბობდა მოხუცებული, — ბევრი არაფერი. სად გაგონილა? დღეს ხუთი კაცი მასცდით და სიწითე ვერას გამაართვით. ჰაი. გიდი, რა დრო იყო უწინა... საცა უნდა, აი, ემ ქედებში, წადილზე მოვკლავდი ნადირს. ვინ იყო მჭამელი? ძაღლებსაც კი ნადირის ხორცს ვაჭმევდი, ღმერთო, თუ გცოდებ.

— მონავსულები ვართ, ხელი შაგვეკრა, ბიძავ, — სთქვა ერთმა ახალგაზდამ, ახლად ულვაშამწვანებულმა, — მართლაც ერთის მეტს არ დაგვიცლია დღეს თოფი.

— ეჰ, ახლა მოხიბლვას და მონავსვას დააბრალეთ თქვენა! — სთქვა შუახნის კაცმა და თან წამოჯდა, წელიდან ქამარში ჩატანებული ტყავი, სათამბაქოვე, თავის ჩიბუხიანად ამოიღო და ჩიბუხს დაუწყო მართვა: — რაღა ახლა გაჩნდა ნავსი, როცა ნადირი დაცოტავდა! რატო, როგორც ჩვენი ბიძა ბატარკაცი ამბობს, უწინ არ იყო ნავსი? კაცი ამბობს, წადინზე ვხოცდი ნადირსო, — ეგ სულ ტყუილებია, ტყუილები! — სთქვა მან და თან ჩიბუხში დაუწყო თითით ტენა ხელისგულზე გაფშვნეტილს თამბაქოს კლერტებს.

— ხალხი მოერია, ხალხი, ყველაფერს, — სთქვა მესამემ, — ტყეც გაღარიბდა, დედამიწაც.

— ვაი დედას მტრისას, ხვალ უნდა პირგაუხსნელები დავრჩეთ?! ისევ თუ გვიშველს რასმე, ღაღოლა გვიშველს. — ღაღოლას თეთრი ტყავის ქუდი ჩამოეფხატა და სთვლემდა. მხოლოდ მისი სახელი რომ ახსენეს, თვალები მაშინ გაახილა და თავიც მაღლა აიღო.

ყველამ დაცინვის თვალით გადახედეს ღაღოლას; ამას ყველა ბეჩავ კაცად ჰხედავდა და ბეჩავობის მეტს იმისგან არავინ რას ელოდა.

— ჰოდა, რაღას იცინით? თუ ხსნილს გაგვაგებინებს, ისევ ღაღოლა, თორემ ჩვენ ვერაფერს გავხდებით. აბა თქვენა ჰნახავთ, თუ ჩემი სიტყვა არ აცხადდეს: მე სიზმარიც ისეთი ვნახე, — სთქვა კვალად ზურაბამ.

— ნახე? რო სთქვა, განა ღმერთი გიწყენს?! — სთქვეს ხმებმა.

— იქნება, არ ვარგოდეს, სიზმრის ბიზღება არ ვარგაო, გამიგონია.

— ეგ ტყუილია, თუ რამ ჰნახე, ასრულდება კიდეც. თქვა რას დაუშლის?! — სთხოვეს ზურაბას დანარჩენებმა და თან დაცინვის თვალით გადაჰხედეს ღაღოლას.

საწყალი ღაღოლა მაინც დაჩაგრული ჰყავდათ მის ამხანაგებს, ერთი მოხუცი ბატარკაცის გარდა. ხან თოფს დაუმალავდენ, ან ტალს გამოუძრობდენ ჩახმახიდან, აწვალებდენ საცოდავს. საქონელში იმას ჰგზავნიდენ იმ პირობით, რომ ნანადირევის თავის სწორი წილი იმისთვისაც მიეცათ. დიაღაც საბუთი ჰქონდათ დაეცინათ ღაღოლასათვის, რადგან ყველას „ბერდანკა“ თოფები ეჭირათ და იმას კი ქართული ჯაზეირი... ღაღოლას ამხანაგების ცელქობა არა სწყინდა მაინც და მაინც. იგი მათ დაცინვას გულდაარხე-

ინებით იტანდა და დავალებულს საქმეებსაც ერთგულად ასრულებდა.

სთხოვეს რა ზურაბას ამხანაგებმა ეთქვა მათთვის სიზმარი, ამანაც უარი ვერ უთხრა.

— აბა, რაც იქნება, იქნება. უნდა ვსთქვა, მეტი რა ღონეა; მე წუხელ სიზმარში ისა ვნახე, რომ ღაღოლას თავზედ კლდის კაცის რქები ამოჰსვლიყო, პირი ბუმბულიანი ჰქონდა და ხელში ბარკალი ეჭირა ცხვრისა.

— ბიჭოს! ბიჭოს! აბა ჰნახავთ, თუ ღაღოლამ არ გვასახელოს და რქაბუდიანი ირემი არ ჩამოგვიგოროს ხვალა! — სთქვეს იმათ და თან გულიანი სიცილი დააყოლეს... ღაღოლამ ახლა კი ენა ამოიდგა, დრო იპოვნა მოპირდაპირეთათვის სიტყვა მოეჭრა.

— თქვე კაი კაცებო, ჯერ თქვენ ვერაფერსა ჰკლავთ ბერდანკეებით შაიარაღებულები და მე რომ ჩემის დუგლუგის თოფით ვერაფერი მოვკლა, რა საკვირველია?!.

— შენ დასაცილი არას გავნებს, ბიძაის კაცო, ნუ იწყენ! ნათქვამია: დასაცილს კაცი არ მოუკლავს და მუცლის ტკივილს კიო, — სთქვა ბატარკაცმა, — ესენი დაგცინიან, ღმერთიმც ნუ დაგცინებს!

ქარი ზუზუნებდა, წყრებოდა, თუმცა არ იცოდა, ვის უწყრებოდა: თავისთავს, თუ სხვას.

— ეჰ, — სთქვა აქამდის ხმაამოუღებელმა ბეკურმა, — ნეტავი თქვენ, ვისაც რა გინდათ, ის მოგცათ და მე კი ჩ — ს დამაგდო ამალამ ჩვენს სალუდეში, ჩვენს ხატში...

— შაიწვადე ე ფეხები და ისე იუბენ, — წაიბუზღუნა ზურაბამ.

— ჩემი ფეხები თქვენ რას გიშლით? — მიუგო ბეკურმა.

— განა შენის მეტს აღარავისა სცივა!.. ჩვენც გვინდა ცეცხლი... რას წამაჰგდებულხარ, ადე და ისე იუბენ, თუ რასმე ამბობ.

— აჰა, აჰა, ოღომც შენ გათბი და ამ ფეხებს თუნდა სუ დავიჭრი, — მიუგო ბეკურამ, და თან წამოდგა. ძველი, გახეხილ-გახრეშილი ფარაჯა მოიხვია და მიეხუხა ცეცხლს ორივე ხელებაპყრობილი, თითქო ლოცულობდა.

— შენ უფრო კარგი მაიგონე... ჰაი, ჰაი, რო კარგი იყო, ჩვენც რო იქ ვიყვნეთ... — ყველას წარმოუდგა თვალწინ თავისი სახლი, ოჯახის წევრნი...

— კარგი, კაცო! ბევრგან ამეედინება ხვალ ხინკლის კოწოლაი, ბევრი შაჰმღერებს ხვალ: „დაგძინებია, ხინკალო, გამოგალვიძებს ჯაბანი, წამოდგა გაჯავრებული, წამამიღირა ხანჯარი. ვერ შავიმპოვრე ხვეწნითა, თავს დამალეწა აბჯარი!“ „ვაჰმე, ხინკალო, ხინკალო, მემრე მარწყვასთან ყოფნაო, ერთ წამს არმოსვენებაო, გა-

თენებამდე ბრძოლაო!“ აბა რა ჩემი ფეხები სიცოცხლეა, ხვალაც, როგორც ამაღამ, ხუთკურის ფუხლუხით უნდა ამოვიყოროთ მუცლები.

— ფიქრი არ არის, ფიქრი, ხვალ ღმერთი მოგვცემს სახინკლე ხორცს, თუ ღაღოლა ცოცხალი გვყავ, — სთქვეს კვალად სხვებმა. ხოლო ზურაბამ ქვაბი გადმოიღო ცეცხლიდგან.

— ამას ეყოფა, — სთქვა მან და ჩამოდგა ქვაბი იქვე ცეცხლაპირას, — აბა თქვენ ნიორი გაარჩიეთ, ნიორი.

თვითონ ქაფქირით დაუწყო ზღმარტლს ჭყლეტა. საჭამადი მალე მზად იყო. ღაღოლა ფილთაქვით ნიორსა ჰნაყავდა ფილში. ყველანი წამოსხდენ ცეცხლაპირას და მოვიდა ხონჩები მჭადით შემკული, ხის ჯამები და საერთო ხმა გაისმა: — ღმერთო, შენ გვიშველე, მოგვიმართე ხელი და გაუმარჯვე ამ ბიჭებს!

— გაგიმარჯოს, გაგიმარჯოს! — გაისმოდა ხმა აქეთ-იქიდან.

— ცოდვა კი არის, — სთქვა ზურაბამ, — ღაღოლავ, რო ეხლა შენ ხინკლიანს სუფრას არ უზიხარ და მუზარადით შავს ლუდს არა ჰსომ.

ღაღოლა ამ დროს მჭადით ამოტენილს ხის ჯამსა სტორავდა და ჰნიჩბავდა ხისავე კოვზით. ყველას სიცილი მოუვიდა პირზე.

— ღაღოლა რა დაბალი ღობე ჰნახეთ: ხინკლიანს სუფრას და ლუდიანს თასს არავინაც არ დაიწუნებს, — სთქვა ბატარკაცმა.

— ა აახ, ცოდვა კია, ბიძავ, შენ ეხლა ჩვენს ღვთიშობელში არა ჰხევისბრობდე და ლუდიანს კოდებს არ დაჰბრუნავდე თავზე, — უთხრა მოხუც ბატარკაცს ზურაბამ, — ცოდვაა ხუთკურაის წვენსა ჰხვრეტდე, მაგრამ რა იქნება, დრონი მეფობენო, ნათქვამია.

მის სიტყვაზე საერთო სიცილი გაისმა.

— იდ, იდ, დაილოცე, დაილოცე ხუთკურის წვენო! როგორ უხდება ეს დალოცვილი ნიორი! — ამბობდა კვალად ზურაბა და იწვევდა საერთო სიცილს...

დიდხანს არ გაგრძელდა საერთო კოვზებით და პირით მუშაობა და მალე ყველანი მიწვნენ-მოწვნენ. მიიხურეს ზედ, ვისაც რამ ტყლაპ-ტყლუპები ებადათ საბან-ლეიბად და ტკბილი ხვრინვა გაისმა. გარეთაც გორ-გორის პირებზე ისმოდა მგლების ღმუილი. ერთი მხოლოდ ბატარკაციღა იჯდა ცეცხლაპირას და წმინდა სანთელს ადნობდა ცეცხლზე. ჩუმად მან ღაღოლა გააღვიძა. ჩამოქნა სამი ცალი სანთელი და ქუდმოხდილმა ბუტბუტით, ჩუმის ლოცვით მიაკრა იქვე თაროდ გადებულს ფიცარზე. შემდეგ მიუბრუნდა ღაღოლას და უთხრა:

— შენ დილაზე ადრე უნდა ასდგე და, მანამ გათენდება, საირ-

მეში მიხვიდე, თოფს ტალი დაუპირე... ღმერთმა ხელი მოგიმართოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითონაც მიწვა და დიდრონი, შებოლილი, შემჭვარტლული ცხვრის ტყავი მიიხურა ზედ.

დილით ჯერ ისევ ფეხჩაუცმელნი იყვნენ ყველანი, რომ კარებზე ხველა გაისმა, მაგარი ხველა, და ქოხის კარებში შემოიჭედა ძლივძლივობით კისერზე ირმის თავრქაგადადებული თავის ბანჯღვლიანის ქუდით ღაღოლა. ყველანი გაოცდენ, მუცელში ენა ჩაუვარდათ, ვერაფერი მოეხერხებინათ და, ბოლოს, თითქოს გონს მოვიდენ, ყველანი ერთად მიეხვივნენ და ულოცავდენ გამარჯვებას.

— ხვალ მტრის თავი მოგცეს! გაუმარჯოს შენს თოფსა! აი გიშველა ღმერთმა! მუდამამც ხელი მოგემართება, მუდამამც გაგემარჯვება! — ისმოდა დაუსრულებელი ხმა. თან შაექმნათ იმის გამოკითხვა, სად ან როგორ მოჰკლა ღაღოლამ ირემი, მარტოკას შეჰხვდა, თუ კიდევ ჰყავდა ამხანაგები.

ღაღოლას თავი მაღლა აეღო, წელში გაშლილიყო, თვალებს ეხლა მამაცად, ამაყად ახილებდა.

[1902 წ.]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პაპას მსოფლიო ფიქრები

პაპამ ანდაზებით ლაპარაკი იცის: რაც ძველებს უთქვამთ, ერთი სიტყვაც არ ჩავარდება, სულ მართალია, ამბობს იგი. კაცი უნდა დინჯი იყოს, რადგან „სიდინჯე გმობილი სჯობს სიჩქარესა ქებულსა“, და მომთმენი, რადგანაც „მოთმინება კაი საქონელია“. ყოველი ფიქრი, სიტყვა და აზრი, რაც კი რომელიმე ანდაზას არ ეთანხმება, ფუჭია, სიცრუვეა. ამიტომ თავის ფიქრს და რჩევას უმცროსებისათვის სავალდებულოდ ხდის. „დედის წინ მორბინალს კვიცს მგელი შესჭამსო“.

მისი სიწყნარე და სიდინჯე, სხვაც რომ არაფერი იყოს, აქედანაც გამოიხატება: ერთის დღის სავალს სამი და ოთხი დღე უნდება. საფერხედ ჯორაი ჰყავ და ძალიანაც ეზოგება; სულ ფეხით დაუძღვება წინ და მინამ თითონ კარგად არ მოიღლება, არ შეჯდება ზედა. შეჯდება და ვაი იმ შეჯდომას, უნაგირზე კი არა, ეკლებზე ზის და წამდაუწუმ დუდუნებს: „მოვკალ ჯორაი, მოვკალ ამ უღმერთომ!“ და ჩამოუქვეითებს. ჯორამაც კარგად იცის პატრონის ხასიათი და ამიტომ ბევრს თავს არც ის იტკივებს, სწორედ კატის ნაბიჯით მიცოცავს ყურების ბარტყუნით. გაივლის პაპა ცოტაოდენს მანძილს და მოაძოვებს, რომ ჯორა არ შეწუხდეს, არ დამჭლევდეს. ჯორი სძოვს ბალახს, პაპა კი გავას უსინჯავს, აათვალ-ჩაათვალიერებს, რამდენი ხორცი მოაკლდა, მოადნა მის ჯორას, რათა დანაკლისი ისევ შეუვსოს შეპატიებით.

პირუტყვი ძალიან ებრალება, რაც უნდა იყოს იგი: ცხენი, ჯორი, ხარი, ცხვარი, ძროხა და სხვ. ამიტომ თითონ დასთმობს სიმშილს, ხოლო პირუტყვის სიმშილს ვერ აიტანს მისი გული... როცა ჯორა დასაპალნებული მოჰყავს ფშავისკენ კახეთიდან სულადით ან კულუხით (ღვინით), მაშინ მისი მოგზაურობა სწორედ კუს მგზავრობაა და სულ იმას ჰფიქრობს, შეხვდეს ვინმე მგზავრი, რომ ბარგის ჩამოხდაში იშველიოს...

— გამარჯობა, ძმობილო!

— გაგიმარჯოს ღმერთმა! — ესმის პასუხად პაპას.

— მოდი, თუ ძმობა და ან ღმერთი გწამ, ე ჯორაის მოხდას მიშველე!

როცა ჯორას გაანთავისუფლებს პაპა, მაშინ ამოისუნთქებს თავისუფლად, თითქოს საპალნე იმას მოეხადა ზურგიდან, და ვიდრე მისი საფერხე კარგა ფერდს არ გამოიღებს, მანამდე არც შედგება პაპა გზაზე. მეტი არ შეიძლება, ისე გააზაქრებული, გარყვნილი და განაზებული ჰყავს. ციგნობა და ეშმაკობა პაპას ჯორას იმდენი შეუძენია პატრონის ხასიათის შესწავლით და დაკვირვებით, რომ ხანდახან ავადმყოფად მოაჩვენებს თავს, — კვნესის და რაღაც ერთნაირად, საუცხოოდ ფრუტუნებს და ხრუტუნებს. „რა გაიგება, იქნება, ავადაც გახდა“, — ამბობს პაპა, — „პირუტყვია, რამდენჯერ შესცივდება, ან მოჰშივდება, მაგრამ ვერას იტყვის, — უენა-პიროა და იმით, კაცს უნდა ჰქონდეს იმდენი ცნობა, შეატყოს...“ პაპაც იგებს ჯორას ავადობას, ხოლო უბედურება ის არის, რომ უკულმა იგებს და ბევრჯელ მოტყუებული რჩება გაბატონკაცებულ ჯორაკაის მიერ.

პაპას ჭირივით ეჯავრება დუქანი, იქ ქეიფი და ფულების ხარჯვა, ნამეტნავად სასმელზე. თუ არ საჭირო საგნისთვის, როგორც, მაგალითად, მარილია, ნავთი და სხვა და სხვა, იგი ფეხს არ შესდგამს დუქანში. ჯავრობს პაპა და დუდუნებს თავისთვის: „ოჰ, ძმაო, ოჰ! ძალიან გალოთდა ხალხი, ძალიან, — მუცლები თავზე აქვ ჩამოცმული ეხლანდელს ხალხსა: თუ არ დაითვრა ეხლანდელი კაცი, თავი კაცად აღარა ჰგონია! ოჰ, ოჰ, ღმერთმა მშვიდობა მისცეს ეხლანდელს ქვეყანას!“

ცოდვის ქმნა პაპას ფრიად აშინებს; აშინებს იმიტომ, რომ ღმერთი დაჰსჯის შვილებით ან შვილიშვილებით, მოუკლავს ვისმე. დღეს ღვთისა და ხატისა მადლობელია, რადგან თითონაც ცოდვას ერიდება და ღმერთი და ხატიც უფასებს ამაგს და არავითარ ზარალს არ აძლევს არც კაცით და არც საქონლით. როცა პაპა მადლს რასმე შვრება: გლახას გაიკითხავს, გაჭირვებულს უშველის, მაშინვე იმას ჰფიქრობს — ღმერთი დაინახავს, ის მე შემეწევაო. იგი მადლს მარცხენა ხელით ისევ ვერ დასთესავს, მარჯვენამ არ გაიგოს. რაც მართალია — მართალია. ერთხელ, როცა პაპა ცხვარში დადიოდა თავის ჯეილობაში, ჩობანი იყო, ამხანაგმა ძალიან შეაფიქრიანა. გეჯურა სრულიად სხვა ჯურის ადამიანი იყო. მთხოვარას არ გაიკითხავდა, გააგდებდა, თუმცა სიმდიდრით ბევრით, გაცილებით სჯობდა პაპას; ეტყოდა: „ღმერთსა აქვ ბევრი, წადი, ის მოგცემსო“.

— ცოდვაა, რად იცი, კაცო, ეგრე? აკი ყველა ღმერთს ვეხვეწებით?! — უთხრა ერთხელ პაპამ გეჯურას.

— ნეტავი შენა! გამოგწყვეტია საქმე და ამბობ, რაც არ არი, იმას. ჰო და ღმერთს რო ვეხვეწებით, კიდეც ეგ არი... ზოგს რად აძლევს ღმერთი და ზოგს არა! ალბად, ვისაც არა აქვს რა, არც ღირსია ქონებისა. ღმერთმა ჩვენზე კარგა არ იცის, ვინც რის ღირსია, ჩვენ იმაზე წინ რად უნდა გავრბოდეთ, რად უნდა ვეწინააღმდეგებოდეთ უფალსა?!.

გეჯურას ფილოსოფიამ, ცოტა არ იყო, პაპა შეაფიქრიანა. მართლაც, იქნება, ეგრეც იყოსო, — ჰფიქრობდა თავისთვის პაპა. თავი პაპამ ამ მაცდურ მიმართულებას იმ ფიქრით დაახწია მხოლოდ, რომ ასე განსაჯა: გეჯურა კრიჟანგია, ღმერთი გვიწერს — საწყალი შეიბრალეთო. თუ სწყინს უფალს საწყალის, ბეჩავის შებრალება, ეხათრება ჩვენი, თუ რა არი, განა ვერ გვიბძანებდა: მე ვინც გავაბეჩავე, თქვენ, კაცნო, ნუ შეიწყნარებთო?! არაო, სთქვა მან. გეჯურასავით რომ ვიფიქროთ, მაშინ ცოდვასაც მადლად გადავაქცევთ, ცოდვასაც მადლი მოექვივნება. ბოლოს ასეც იფიქრა: ეხლა მეც მწყემსი მიჭირავ, მე — აღა, ის მწყემსი, მაშ ჯამაგირი აღარ უნდა მივცე?! ფუ! არა, არ ვარგა ასეთი ფიქრი. ქვეყანა წაიწყმიდება, თუკი შებრალება და შეწყნარება აღარ გვექნება ერთმანეთისა... მიჰყვება პაპა ისევ თავის გულისა და სინიდისის განაჩენს, მამაჩემსაც ასე ესმოდა ცოდვა-მადლი და მეც ასე უნდა მოვიქცეო, — ჰფიქრობს იგი თავისთვის. „რაც არ ექნას მამაშენსა, ნურც შენ დაჰხევ მარმაშებსაო“.

ყისმათიანი კაცი ვარო, — ჰფიქრობს პაპა თავისთვის. — პური არ მაკლია, ღმერთო, შენის ძალითა, ვინცა მყვანან — შვილები, შვილიშვილები, კარგადა მყვანან, არავინ მომკვდომია, საქონელიც საკმაო მყავს, დაილოცა ღმერთი, სხვა რა მინდა! არაფერს არ ვემდური ხატსა და ღმერთსა, ნეტავი, სულ ასე ვიყო, მინამ ცოცხალი ვარ. სამი ვაჟი ჰყავს და სამივე დაქორწინებული. ცოლის თხოვის დროს ყველას ამ დარიგებას აძლევდა: პირლამაზს კი ნუ ეძებთ, ბიჭო, სხვაფრივ იყოს დედაკაცი ლამაზი, არ იყოს გარყვნილი, არ იყოს ქურდი, ავის ენისა... ხომ გაგიგონიათ: „თივა — მთიბლების ნათიბი, ირმების ნაგელარია; ცოლსა ნუ ეძებ ლამაზსა — ბევრის ყმის ნახელარია“. თოვლიც ლამაზია, მაგრამ... და სხვა და სხვა. „ქალს ნუ ჰკვლევ ხატობაშია: ტანთ ნათხოვარი აცვია; ქალი თუ გინდა ლამაზი, დაჰკვლიე ქერის მკაშია...“

ღვთისა ძალით, რძლებიც კარგები გამოადგა, არც სილამაზე აკლიათ და სხვაფრივაც შემკობილები არიან. ცისმარე დღეს ჯარა-

სავითა ტრიალებენ. ქმრებიც უყვართ, მაზლებიც, ერთმანერთიც, დედამთილ-მამამთილსაც დიდად პატივსა სცემენ. მუშაობა იმათი ხელობაა. მოდი და ღმერთს მადლობას ნუ შესწირავს პაპა!..

არც უჯილაგოები არიან პაპას რძლები, რადგან იგი თავდაპირველად ჯიშზე, ჩამომავლობაზე ეძებდა რძლებსა. ძველთაგან ასე ჰქონდა გაგონილი: „ჯიში იკითხე, ცხენი იყიდეო,"; „კვიცი ჯიშზე ხტისო"; „არ შეიძლება ჯიშმა არ მაჰზიდნოს თავისაკენ", — ამბობდა პაპა, — „ცოლის შერთვა საბოლოვო საქმეა, ჩვენ არა ვართ უჯიშო ხალხი; უჯიშოს ნუ გაურევთ თავის გვარში: ზოგს თეოდორაიანობა მაუდის ჯიშად, სხვას — ბნედა, ქურდობა, სიქაჩლე, უკბილობა და სხვა".

თავისი ოჯახი უმცროს-უფროსობის წესზე ჰყავს დაყენებული, უმცროსმა უფროსს უნდა გაუგონოს, ვინაიდან უფროსს მეტი ჭკვა აქვსო: „ვისაც უფროსის სიტყვა არ ესმისო, იმის ვენახს არ ესხმისო". პაპა კარგად ჰგრძნობს იმას, რომ ზოგჯერ შეიძლება უმცროსის ჭკვა სჯობდეს ზოგი უფროსის ჭკვასა, მაგრამ ეს იშვიათად მოხდება, უფრო ხშირად უფროსების ჭკვაა გამოსადეგი, ამიტომ უპირატესობა იმას ეკუთვნისო. ზოგ შემთხვევაში პაპა სწორედ უკუღმართად მსჯელობს და თუ ზე-ზერ შეხედე მის მსჯელობას, უსათუოდ დაიწუნებ; უკეთუ ღრმად ჩაუკვირდი და ფესვებიდან გასინჯე, არ შეიძლება არ მოიწონო. ერთის შეხედვით მართლაც რა მოსაწონია ჩვეულებრივი, საყვარელი მისი ანდაზა: „ვირი რო ბატონადა გყვანდეს, აჩიობას ნუ ჰკადრებო!" რატომ? ვირს მაშ რა უნდა ჰკადროს კაცმა, თუ არ „აცეობა", „აჩიობა"? მე და შენ, მკითხველო, ასე ვსჯით: ვირს, ჯერ ერთი, ბატონად ვერ მოვიხდენთ, ვერ გავიხდით, ვერც ვითვისებთ, და თუ როგორმე დაგვიდგა ასეთი ბატონი, ათასი წიხლიც რომ დაგვკრას, „აჩიობას" მაინც ვკადრებთ და მაინც. პაპა არა ჰკადრებს იმიტომ, რომ მას წიხლებისა ეშინიან, მას გრძნობა თავისთავის დაცვისა, შენახვისა ძლიერი აქვს. ღმერთსა და ხატსაც თავის სარგებლობის გულისთვის ეფერება. ცოდვა აშინებს, ცოდვის ქმნას ერიდება, ჰფიქრობს რა, ღმერთი დამსჯისო. დღეს თუ მადლობელია ღვთისა, ეს იმიტომ, რომ მას დაუფასდა კეთილსინდისიერობა და პატიოსნება, და შემდეგისათვისაც ღვთის მფარველობის იმედი აქვს. შვილებსაც ამას უქადაგებს: „არამს, ცოდვას ერიდეთ; ღმერთმა დალოცოს თავისი ალალის ოფლით ნაშოვარი და მონაგარი". „ღმერთს რომ შეეხვეწებით, ეს უნდა სთხოვოთ: „ღმერთო, ის მაფიქრებინე, რაც ჩემთვისა სჯობდესო". ძალიან კარგად ნათქვამია: „კაცს რო ღმერთი გაუწყრება, ჯერ გონებას წაართმევსო". მართალიც არის: საქმე

გონებაა; უჭკუო, უგონებო კაცის საქმე სად თქმულა ან სად გაგონილა გამოსადეგი და თავსმოსავალი?! საღი გონება ცხოვრების სწორე გზის მაჩვენებელია, ხოლო სნეული გონება (იგივე უგონებობა)—მრუდე გზისა. „კაცის გაჯავრებას ერიდეთ; ვინც კაცს გააჯავრებს, ის ღმერთს გააჯავრებს“, „როსტომ თქვა: გმირი მეც ვიყავ — ჯირითი შემოვისრიე; მეზობლის შეჩვენებასა, ისევ დათმობა ვირჩიე“. ვაჟკაცობა ის არის, კაცმა მტერი მოკეთედ გაიხადოს, თორო მოკეთე რო გადაიმტეროს, ეგ არაფერი ბიჭობაა... „მოთმინება კაი საქონელია“.

კაცის მოკვლის ამბავი პაპას თავზარსა სცემს. კაცმა კაცი როგორ უნდა მოჰკლას?! დიდი, დიდი, უდიდესი ცოდვაა, თუნდა დიდი დანაშაულიცა ჰქონდეს. იტყვიან, ესა და ეს კაი ბიჭია: ხუთი თათარი ჰყავს მოკლულიო. რაო ვითომ? თათარი კი კაცი არ არი, ადამიანი? იმას კი არა ჰყავს ცოლ-შვილი, არავინ აუტირდება შინა? ჩვენ რო ჩვენს მკვდარსა ვტირით, თათრები კი არა ტირიან?.. თათრის დაწიოკებული ობლები კი არ თუ არიან შესაბრალისნი? კაცი თუ კაცია, რა რჯულისაც უნდა იყოს. ყველა ღვთის გაჩენილია, ყველა ღმერთს ეხვეწება და ემუდარება — ღმერთო, მაცოცხლე და მაცხოვრეო! ჩვენ კი უნდა მოვკლათ? ფუუუჰ!

— რად იცი ეგრე საუბარი, პაპავ? — ეტყვის მას თავისავე მეზობელი ბერიძე, — მაშ რა ვქნა, რომ მპარავს, თუ ქურდი მე მკლავს, პირში სულსა მხდის, სულის საზრდოსა მტაცებს?

— გაგტაცოს, წაიღოს — ერთი მგლის ვახშამი დიდი საქმეა? ნუ მოჰკლავ, გაისარჯე, ღმერთსა სთხოვე და ღმერთი მოგცემს. ერთისა და არა ათისა და ასის ცხვრის გულისთვის მაშ კაცი უნდა მოვკლათ? — უპასუხებს პაპა, — მე არც მამიკლავს და არც მოვკლავ. ღმერთმა ჩემობილი ნურავინ გარიოს ადამიანის სისხლში. ულმერთოებმა შარშან ემანდ ურია მოჰკლეს, დიდი სახელი ჰქნეს, არა? მოჰკლეს — ურია, ცოდვა არ არიო. აბა ვის რას უშავებდა საწყალი? დადიოდა თავისთვის, ერთ-ორ შაურსა შოულობდა, არავის რას ართომდა ძალით, არავის რასა სტაცებდა. ყველასთან თავდაბალი, ყველასთან საწყალი. აიღეს და მოჰკლეს. ღმერთი არ არი? მეტიღა ცოდვა იქნება?

— ეე, ბიჭოთ, — ეუბნება პაპა შვილებს, — გზაში რო კაცი შეგეყაროსთ, ეცადენით „გამარჯობა“ თქვენ დაასწროთ. რადა, იცით? იმით, რო ის „გაგიმარჯოსო“ იმას გეტყვისთ, და ღმერთიც გამარჯვებულებს გამყოფებსთ.

— ზოგს რო გამარჯვება ღვთის რისხვად ეყურება? — მიუგებს პასუხად უფროსი ვაჟი ბესო.

— რა ვუყოთ: შეიძლება ზოგმა ბოდიშიც არ გადაიხადოს; სხვამ კიდეც გაგლანძღოს და გითხრას: ნეტავი შენ, საქმე არა გაქვსო! მაინც არაფერი უშავ, ნუ იწყენთ, შარს ნუ აუტეხთ. იმის მაგივრად ღმერთი გადაიხდის ბოდიშს. ის იტყვის: „გაგიმარჯოს!“ მაინც წაგებული არ იქნებით და მაინც, უფრო მოიგებთ. მგზავრობაში ნუ დაითვრებით, დაგეძინებათ, ცხენს დაჰკარგავთ, ან ბარგსა, წყალში ჩაჰვარდებით, ან კლდეზე გადაჰვარდებით; მგზავრი ათასის ჯურისა დადის, ჩხუბი ვისთანვე მოგივათ, — ესეც კლდეზე გადავარდნა და წყალში ჩავარდნა არისო.

პაპას ყმაწვილების აღზრდისა საკუთარი მეთოდი აქვს და საცა შემთხვევა მიეცემა, შინ თუ გარედ, ყველგან ამას ქადაგებს: „შვილი გაზარდე მტრულადა, მოყვრულად გამოგადგებაო“. შვილს ნუ მოამშევ, ნუ შეაციებ, უსამართლოდ ნუ მოექცევი; კარგი მოუწონე, ავი დაუგმე, და, თუ საჭიროა, დაკა კიდეც; კარგს, სასარგებლო ყოფაქცევას სიყრმითვე შეაჩვიეთ; უსაქმურობას ნუ დასჩვევთ; დილით ადრე ააყენეთ, უფროსის ხათრი ასწავლეთ, ყბედობას ნუ დასჩვევთ; რაც გკითხოს, თუ იცით, ასწავლეთ, ცუდს მაგალითს ნუ აჩვენებთ, იმასთან ცუდს ქართულს ნუ დაჰხარჯავთ: ბალღი რასაცა ჰხედავს და რაც ესმის, იმასა სწავლობს. ბევრს ჭამას ნუ დაჩვევთ, ნუ ჩააცივდებით კი, აქაოდა, ეგება გავასუქოთო: შვილო, ჭამე, ჭამე, შენი ჭირიმე! რიგზე აჭამეთ: — „მუცელს აქორებ — ქორია, აღორებ — ღორიაო“.

ბალღს უფროსისა ცოტა შიში თუ არა აქვს, გაირყვნება, გაფუჭდება, რადგან „ბალღს ისე არა აქვს ნამუსი, როგორც ძაღლსაო.“

ზომიერს ცხოვრებას პაპა არა მარტო პატარაებისთვის ნდომობს, არამედ დიდებისთვისაც. ბუნების დაკვირვებამ ეს აცოდინა: „არ ვარგა არაფერი მოჭარბებული, — უწვიმოდ არაფერი მცენარე არა ხარობს, — ამბობს იგი, — მაგრამ თუ მოსჭარბდა, ისიც ავნებს, აგრეთვე თუ უმზეოდ, მაგრამ თუ სულ მზე ჰხედავს და თავის რიგზე ნამიც არ მოჰხვდა, ყველა ჭირნახული ფუჭდება. წამალი ხომ წამალია, მაგრამ იმასაც თავის ზომაზე უნდა დალევა, თუ მოიჭარბა კაცმა, მოჰკლავს. მტრობა ხომ არ ვარგა გადაჭარბებული და არც კი სანაქებო სიყვარული: „დიდს სიყვარულს დიდი სიმძულვარე მოსდევსო“, — ნათქვამია. ყველაფერში ზომა, ზომაა საჭირო: „კაცი არ ვარგა უმტერო, არც მეტად მტერმორეულიო“. მტერიც კი თავის რიგზე და წესზე საჭირო და გამოსადეგია.

— ე ქვეყანა რო ქვითკირის სახლებსა სჭიმავს, ჩვენც შევიძ-

ლოთ ერთი-ორი ოთახი სუფთა დავდგათო, — ეტყვიან შვილები პაპას.

— ქვეყანას რა ყურს უგდებთ? ნათქვამია: — „სახლი გედგეს ფანჩატიო, შიგ რამ გედვას ფარსაგიო“. ქვეყანამ ბუზმენტიანი ჩოხები და ვერცხლის ქამარ-ხანჯრებიც შემაიღო: მერე შიგ რა ყრია? „ქუდი მრუდია ციბალთი, შუშპარი შვენიერიო, — რაცა აქვ, ტანზე აკრია, შინ სახლი ცარიელიო“. კოხტა-პრიზაობამ ეგრე იცის. თუკი სახლი დაცარიელდება, ცარიელმა კედლებმა და ქამარ-ხანჯარმა რა მიშველოს? ვინც კოხტად იცომს, ის კოხტადაც ჰფიქრობს ცხოვრებას, წუთისოფელს კი კოხტაობა არ უხდება. კაცს საბოლოვო ფიქრი უნდა ჰქონდეს.

ფულის უსარგებლოდ გაცემა პაპას დიდ მადლად მიაჩნია. თავი მოსწონს ამით, ჰფიქრობს თავისთვის: „სარგებელი ფულში არავისთვის გამომირთმევია, მაშ ეს მადლი არ არის? ოღონდაც მადლია, ღმერთი დაინახავს ამას, დამიფასებს სიკეთეს“ — და მისი გული სიამოვნებით გაიფართხალებს. ვინც ფულს დაესესხება, თუ აქვს, მისცემს, თანაც დაუყოლებს: „აჰა, წაიღე, როცა გექნება, იშოვნი, მომიტანე, ჩემი ჩამაბარე, შენი სარგებელი არ მინდა...“

ატყდება ყრილობის დროს ყაყანი: „არა, შენ მეტი და უკეთესი მამულები გიჭირავ და მე კი მაკლია!“ მოხდება ამაზე ლანძღვა-გინება, თავპირის მტვრევა.

— რაზე სჭამთ და ჰგლეჯთ ერთმანერთს, შვილო, სასაფლაოზე მაინც არ გაგივლიათ, არ გინახავთ, რამდენი ხალხი წევს იქა? გაზომეთ თითო საფლავი და გაიგებთ მაშინ, მიწისგულისათვის ჩხუბს რაც ძალა აქვს. როგორც ისინი დაიხოცნენ, ისე ჩვენ დავიხოცებით, და დედამიწა აქვე დარჩება, ჩვენ ცოდვისა და მადლის მეტი თან არაფერი გაგვყვება. ეს ნუ გვავიწყდება, უნდა მუდამ გვახსოვდეს, თორო ჩხუბსა და დავიდარაბას არ მოვშლით. ეგრე, კაცებო, — ეტყვის პაპა დინჯად, აუჩქარებლად, — ჩვენი ბოლო სამი ადლი მიწაა და იმდენივე ადლი ტილოა. ეგ არის და ეგ!..

პაპას დიდ ცოდვად და სირცხვილად მიაჩნია აგრეთვე, რომ როცა ნათესავი ან მეგობარი ვინმე დაუზარალდება, იმ დროს არ მივიდეს, არ „მიჰხედოს“. „მიხედვა“ რა არის, როგორ გგონიათ? უნდა წირვის დროს მიიყვანოს ერთი საკლავი, ერთი ან ორი თუნგი არაყი, ერთი კელაპტარი, ერთი დიდი ფშაური ქადა და ერთიც ხმიადი. ყველა ამას აჰკიდებს თავის ჯორაკას და ამ სახით, ჯოხის ბჯენით, გამოცხადდება თავის მოკეთესთან. მოვალედ ჰრაცხს თავისთავს ასე მოიქცეს, რადგან უამისოდ იგი თავისთავს კაცად

არ ჩასთვლის და ხალხის მხრივაც თითით საჩვენებელი გახდება. მოკეთის მიცვალებული იგივე საკუთარი მიცვალებულია, და რო-გორც საკუთარს მკვდარს უნდა დამარხვა, ისე გარდაცვალებულს მოკეთეს. მივა პაპა და მიუტირებს: „რა ძნელი საქმე მოგვივიდა, შე ჩემ-თავმომკვდარო! ღმერთმა ნუ დაინანოს, ვისაც არ დაჰნან-დი! ღმერთმა ზარალი ზარალად გაკმავოს, ვინც დაგრჩნენ, ღმერ-თმა ისეები გიცოცხლოს. ნუღარა ავი და ურიგო მოგარგინოს! სხვაფრივ ხომ აღარა გიჭირს? როგორა ხართო?“

მოკეთეც ბოდიშს გადაიხდის: — „ღმერთმა წყენა აჰხადოს თქვენს თავსა, ღმერთმა შვილები გიცოცხლოს! არა გვიჭირს. ცოცხლები ვყრივართ. დღესნამდე ვათენ-ვაღამებთ“.

ჯორასაც, ამასობაში, მოტანილი ძღვენი მოეხსნება ზურგიდან და... ხონჩით სუფრა გაჩნდება, ხელადით არაყი. ერთი-მეორის სადღეგრძელო და მკვდართა შესანდობარი. ზედ სანელად დინჯი, დარბაისლური საუბარი გაიბმის სიკვდილ-სიცოცხლეზე, სააქა-საიქიოზე და სხვა მრავალი.

აი, ამ პაპას გონება იქამდე შეზღუდული აქვს, რომ დღესაც სჯერა და ჰგონია, რომ დედამიწა ვეშაპის ზურგზეა დაფუძნებუ-ლი, მზე დაღისტნის იქით მთის უკან იმალება, დილით იქიდან ამოდის, საღამ-საღამოობით კი იმერეთის მთას უკან იმალება.

[1903 წ.]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოცნება

ორივე ხელის იდაყვები მაგიდაზე დაეწყო, ორივე პირისთვის მიებჯინა. თმაგაწეწილი იჯდა და ტიროდა, ცრემლი ღაწვებიდან დაწყებული ხელებზედაც კი ჩამოსდიოდა. უცბად თავს წავადევ. შევკრთი, თავი ვერ შევიმაგრე; ვიდრე ტირილის მიზეზსა ვკითხავდი, მე თითონაც ტირილი დავიწყე, იმის ცრემლების დანახვამ მეც ამატირა, — მიყვარდა და იმიტომ. როცა მეც ტირილით გული მოვიოხე, კისერზე ხელი გადავხვიე და ვკითხე: — რა გატირებს, ჩემო კარგო, ჩემო სიცოცხლევ?!.

— მეც არ ვიცი, მინდა ვიტირო, ჩემმა ფიქრმა ამატირა. ვიფიქრე, ვიფიქრე და ბოლოს დავიწყე ტირილი, — მიპასუხა მან და თან ცრემლები წაიწმინდა.

— რას ფიქრობდი? რა გაქვს საფიქრალი?

— მეც როდი ვიცი, არ ვიცი. მხოლოდ ის, რომ... — და გაჩუმდა, ღრმად ამოიოხრა, მწუხარე თვალებით შემომხედა. იმის თვალების მაშინდელი გამომეტყველება გულში ჩამებეჭდა და არც დამვიწყებია...

ამ დროს ცამ საშინლად დაიჭექა, ისე საშინლად, რომ მთელმა სახლმა ზანზარი დაიწყო. მე პირჯვარი დავიწერე. ღამე იყო. დაუშვა ხშირი წვიმა. წვიმის ჩქამი შინ გარკვევით გვესმოდა. ჩვენ ორივემ ყური ბუნების მოვლენას დავუგდეთ და სასაუბრო საგანი დაგვავიწყდა. კრამიტებიდან ჩამონადენი წვიმის ცვარი ფანჯრების წინ წკაპწკაპებდა, თითქო რაღაცას ამბობდა; ისინიც საუბრობდენ ერთმანეთთან და ჩვენც გვესაუბრებოდენ; არ გვეყურებოდა, მაგრამ სასიამოვნო იყო მათი საუბრის ერთფეროვანი კილო, საიდუმლოებით მოცული. მეორე საიდუმლოებამ პირველი დამავიწყა, ამას უფრო დავუკვირდი.

— გვიკვირს? რად გვიკვირს? ეგრე ყოფილა წინათ, ეგრევე იქნება მომავალში. ზამთარი ზამთრად დარჩება, გაზაფხული — გაზაფხულად და ზაფხულიც იგივე იქნება, რაცა ყოფილა და არის, ხოლო ჩვენ... ჩვენ აღარ ვიქნებით. ჩვენ წავალთ ამ სოფლით, გავ-

ქრებით, გავნაცარმტვერდებით; ბუნება კი იქნება უცვლელი, როგორც ყოფილა... — სთქვა მან და თავი დაბლა დაჰკიდა.

— იქნება, იმიტომ სტირი, ჩემო ტურფავ? მადლობა ღმერთს, თუ იმდენად ბედნიერნი ვართ, რომ სიცოცხლე არ გვეთმობა....— ვუთხარი მე.

— არა, ჩვენ ბედნიერები არცა ვყოფილვართ და არც ვიქნებით... უბედურნიც აძასვე იტყოდენ, რასაც მე ვამბობ... ეხლა მე წავალ და შენ კი იშრომე, იშრომე! შრომა და სიყვარული აძლევს შნოს და ლაზათს ადამიანის სიცოცხლეს.

— წასვლა როგორ იქნება? წვიმაა, შეხე, როგორ კოკისპირულადა სწვიმს.

— მინდა დავსველდე, მიყვარს წვიმას ქვეშ ყოფნა, — სთქვა მან და წამოდგა ფეხზე. — ნახვამდი, ვნახავთ კიდევ ერთმანეთს... იშრომე, იშრომე! ეგ არის ჩემი ანდერძი, ეგ იქნება მხოლოდ წამალი შენის დარდისა და ვარამისა.

კარებთან რომ მივიდა, მოიხედა ჩემკენ, ატირდა და სთქვა:

— ნახვამდის!

სწრაფად გავარდა კარში და თან კარები მიიხურა...

— მეც წამიყვანე, მეც!.. მეც მინდა დავსველდე, ძეც მინდა წვიმაში ყოფნა, შენთან ერთად!.. თუნდა ჯოჯოხეთში!.. — ვამბობდი მე, მისკენ ხელებგაპყრობილი, ვცდილობდი თან გავყოლოდი. მაგრამ ვერ ვინძრეოდი, ვიდექი ერთს ადგილას გაშეშებული, დალურსმულივით დავრჩი, ველარც წინა ვდგამდი ფეხს, ველარც უკან... ენაც გამიშეშდა.

ვსდუმვარ. ვხედავდი ფანჯრიდან, ჩვენს ეზოში რომ დიდი ლოდია, იმაზე იჯდა მტრედივით, თვალები ცისთვის მიეპყრო დაშტერებით, სწორედ ისე, როგორც მე იმას ვუცქეროდი. მინდოდა რამ მეთქვა: ვერ ვამბობდი ვერაფერს, მინდოდა მეთქვა: „ქალო, წამო შინ, დაჰსველდები, გასცივდები, ავად გახდები!“ — მაგრამ ენა არ მემორჩილებოდა.

ამოვარდა საშინელი ქარი, წამოშოლტა ხეები და მიწას გააკრა. წვიმის ცვარები სეტყვასავით მკვეთრად სცემდა ფანჯრების შუშებს. გამოურკვეველი გუგუნი ისმოდა, ძალაუნებურად გაფიქრებინებდა: წარღვნის დღე ხომ არ დადგაო... მოიწყო ჩიტების გუნდმა მოდენა: ერთს რიგობას მეორე მოსდევდა, ქარს მოჰქონდა ესენიც წვიმასთან ერთად, და განუწყვეტლად ისმოდა ჩიტთა ჟივილი... ჟჟჟ... ყველა ეს თავის საიდუმლოებით შიშის ზარსა მცემდა... ჩემს ძარღვებსა და სისხლში ჭიანჭველების გროვა ირეოდა. იგი იჯდა უნძრევლად, შეუპოვრად. თვალს არ აშორებდა ცის სივრცეს. მხოლოდ მის გრძელს, გაწეწილს თმას აბრიალებდა ქარი.

უეცრად განათდა მთელი მიდამო, წვიმის ცვარები ცეცხლის ნამად იქცნენ. ცეცხლის კაცები გაჩნდენ, ქალს ხელი სტაცეს და გაჰქრნენ ცაში...

„რას სჩადით, რას? ვინა ხართ, თქვენ რა ხელი გაქვთ მაგასთან?“ — ვამბობ ჩემთვის გულში, რადგან პირი დაკეტილი მაქვს და ხმის ამოღება არ ძალმიძს. მუხლები მომეკვეთა. პირქვე წავიქეცი და ბალღივით ტირილი დავიწყე... ვტიროდი, დიდხანს ვტიროდი... სიმღერა მესმის. მხოლოდ მაშინ ავიხედე; მშვენიერ ყმაწვილთა — ქალთა და ვაჟთა — გუნდი მედგა თავზე და ტკბილის ხმით მღეროდა... იმღერეს კარგა ხანს... ძეც ყურს ვუგდებდი... ბოლოს? ამ ტკბილმა ხმამ დამაძინა. და რომ გავიღვიძე, მთელი სახლი წვიმის წყალს აევსო, მაღლიდან ჩამოდიოდა, მგალობელთა გუნდი გამქრალიყო და ბაყაყები დახტოდენ ტახტზე, ფანჯრის თავებზე. აქ ყოფნა შეუძლებელი იყო. გავიქეცი თავის სახლიდან. მივრბივარ თავგადაგლეჯით; მაშინებს საკუთარი ბინა, საკუთარი სიცოცხლე. გავცდი მინდორს, შევედი დაბურულს ტყეში... ჩემს წინ ბილიკია... ჩემს წინ მირბიან პატარა, პაწაწინა ბალღები და მიტირიან... „მოიცათ, მოიცათ!“ — ვუძახი. არ მიგდებენ ყურს, მირბიან, რაც ძალი და ღონე აქვთ... მინდა დავეწიო, ვერ ვეწევი... დავიღალე, სულის მოსაბრუნებლად დიდის ჭანდრის ქვეშ დავჯექი. ისევა წვიმდა, ბილიკი სველი იყო. ბნელოდა. ტყეში მგლებისა და ტურების ჩხავილი ისმოდა მხოლოდ... ახ, ის პატარეები, ვინ იცის, რა მოუვათ?.. მაგრამ აი კიდევ საკვირველება: ტყე უზარმაზარ ქალაქად იქცა. მე ერთის ტაძრის წინ სკამზე ვიყავ მოთავსებული: მოდის აუარებელი გლახაკთა გროვა, კაცი და ქალი, მოხუცნი, ბრმანი, კოჭლნი, საპყარნი და იძახიან: „ღვთის გულისათვის, მოიღეთ მოწყალება!..“

— მოიდათ დევი! — დაიძახა ვიღაცამ.

მართლაც მოედანზე გამოჩნდა უზარმაზარი ტანის კაცი, თან თავის ლაშქარი მოსდევდა, ხელში მახვილი ეპყრა; ფარცხივით დიდი წვერი მთელს მკერდს უფარავდა, მისი მსხვილი საცერივით თვალები ცეცხლს აკვესებდენ.

— სიკვდილი მაგათ! — დაიძახა მან მედგარის ხმით. — არ გაუშვათ ერთი ცოცხალი, ქვეყანაზე უბედურება მაგათგან არი!.. გაავლეთ მუსრი!..

უფროსის ბრძანებას დაემორჩილნენ მისნი მხედარნი და ჰმუსრავდენ გლახაკთა. გოდებისა, მუდარისა და კვნესის ხმა ცასა სწვდებოდა... სისხლი წყალივით იღვრებოდა... საშინელება იყო. თვალით ვინ ჰნახავდა ამ უბედურებას! გავეშორე იქაურობას.

მივრბივარ ისევ... მივრბივარ... თუნდა კლდეზე გადავვარდე, თუნდ წყალში ჩავვარდე... ნუ ვნახავ ამ სურათს... ააახ!.. არ მინდა მოვიხედო უკან, აღარ მინდა ვნახო ეს ქვეყანა... სად წავიდე, სად?.. მივრბივარ, წინ მივიწევ...

შორს წავსულვარ, ქალაქი აღარც კი სჩანს თვალით. მინდორია. ზედ ხალხი ირევა. ბარისა, ქარჩისა, წერაქვისა, ნიჩბების წკაპაწკუპი ისმის... ვუცქერი: საფლავებს სთხრიან... საფლავებს ადამიანთათვის... უნდა ხალხი დაფლან, დამარხონ... ააახ, ღმერთო!.. კიდევ გულსაკლავი სურათი? აღარ მინდა ამგვარი სურათები, სხვა მაჩვენე, კარგი, გულის სალბუნო; მაჩვენე მდელო, ყვავილებით მორთული, იქ მოსეირნე იგივე ხალხი, მოსეირნე, მომღხენი და მოკისკისე! არ მინდა დავინახო საფლავის მთხრელნი, არ მინდა საფლავების ნახვა, მეჯავრება!.. გვერდზე გავუარე, გავსცდი. იმათ კიჟინა დამცეს. მე ყური არ ვუგდე... ბრიყვები! სულელები!.. რაც ჰნებავთ, ისა სთქვან, რაც უნდათ, ისა ქმნან!.. მე მაინც მივრბივარ წინ, გულმტკივნეულს ფეხებიც მტკივა... პირდაპირი ქარი მიბერავს, წვიმასთან ერთად მინდვრის მტვერს მაყრის თვალ-პირში და მაბორიალებს. უკანიდან ვიღამაც ხელი მომკრა კისერში, ჩოხის კალთა დამიჭირა:

— საით? საით? დადექ, მოიცადე, სად მირბიხარ?

მოვიხედე. ღმერთო, ეს რასა ვხედავ? ნუთუ ოცნება, მოჩვენებაა?

— შენა, ჩემო სიცოცხლევ? მე შენ მკვდარი მეგონე. ცეცხლის კაცებმა რომ გაგიტაცეს, ის მახსოვდა, მე უბედურმა ვერაფერი გიშველე.

— არა, — მიპასუხა იმან, — მე ისევ ცოცხალი ვარ.

მინდა მოვეხვიო, მინდა დავუკოცნო ხელები, ფეხები, ტურფა სახე და თვალები.

— ჩემო კარგო, შენ?! გხედავ კიდევ თვალით?..

— ნუ მოხვალ ახლო, ნუ! — მიპასუხა მან და გადგა განზე, — დაბრუნდი, უკან დაბრუნდი, სირცხვილია, სად გარბიხარ? დაბრუნდი, დაბრუნდი, ჩქარა, არ დაიგვიანო!

სთქვა რა ეს, ქალი მიბრუნდა და ერთ წამს მიმეფარა თვალთაგან. იქ სად წავიდე, ვისთან? ჩემ სატრფოს დავანებო თავი და ვიხეტიალო ცარიელს სივრცეში? მეც დავედევნე თან.

— მოიცა, ჩემო სიცოცხლევ, მოვდივარ, დამიცადე! ეხლავე მანდა ვარ, ეხლავ, ამ წუთას! — გამოვუდექ უკან, მუხლებში ერთი-ორად მეტი ძალა მომეცა, — სად დამემალე, სად? მინდა შენ-

თან ვიყო მეც! — მივსდევდი და თან ბავშვივითა ვტიროდი. იქნებ ველარა ვნახო?..

ხალხი ირევა ერთმანერთში, როგორც ფუტკრის მართვე. ჟრიამული ისმის, ტრიალს მინდორზე ორი ბოძი მოსჩანს, თავში ერთის მორით გახიდული.

— რაა ეს?

— სახრჩობელაა.

— ახრჩობენ? — ჰკითხავს ერთი მეორეს...

— ეხლავე დაახრჩობენ. აგერ ჯალათი მზად არის, — უპასუხებს მეორე.

— რა დაუშავებია? — ჰკითხულობს მესამე.

— ბევრი რამ, ბევრი, — უპასუხებს მეოთხე.

— სად არის, რომელია? დამანახვეთ ერთი! — ამბობს მეხუთე.

— აგერ, აგერ, როგორ ვერ ჰხედავ? — უპასუხებენ მას გროვიდან.

ამ დროს მეც იქით მივიხედე, საცა გროვა უჩვენებდა, და დავინახე: ის იყო... ჩემი... ჩემი სიცოცხლე... იგი ამაყად იდგა, წარბს არ იხრიდა... ჯალათმა ხელი მოავლო და წაუძღვა წინ, მიჰყვანდა სახრჩობელაზე... მე ცეცხლად გადვიქეცი, თვალების წინ დამიბნელდა: „უნდა მოვკვდე, მანამ მაგის სიკვდილს ვნახავ“. აი, რას ვამბობდი,—„რას სჩადით, უსამართლონო, რასა, მტარვალნო?“—ამას ვიძახდი და მივარღვევდი გროვას... აღარ ედვა ჩემს ენას ბორკილი. მუხლები და მკლავებიც მემორჩილებოდა... ყველამ თვალები მე მომაპყრო... და სწორედ იმ დროს, როცა ჯალათისათვის უნდა მეტაცა ხელი და ბრჯღალებით ვცემოდი სახეში, დარაჯმა მახვილი დამკრა და უგრძნობლად დავეცი. მხოლოდ ეს გავიგონე, ხმა გაისმა მედგრად ხალხისა:

— გადარჩა, გადარჩა, სამჯერ გაწყდა თოკი!..

მეც თვალები გავახილე... გაქრა სიზმარი... გაქრა ოცნება... ხელში ბარათი მეპყრა და ზედ მსხვილი ასოებით ეწერა: „ქვეყნის ერთგულნო, იშრომეთ!“

[1903 წ.]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არწივი

I

დაფიქრებული იყო, იჯდა მაღლის მთის მწვერვალზე. მაღლიდან ცა დაჰყურებდა, თითონ კი როდი უცქეროდა ცას. არაა იგი ჩვეული მაღლა ცქერას. რადა? — მადა, რომ სანადირო ცხოველი თუ ფრინველი დაბლა მოიპოვება, მაღლა ფრენა მხოლოდ წეროებს უყვარს, მაგრამ იმათაც არწივი ძირს მოიქცევს, თავად მაღლიდან დაჰბრუნავს თავზე; გამარჯვებისათვის ამისთანა ზნე-ჩვეულება სჯობია: ზევიდან დაცემა მის მსხვერპლს თავზარსა სცემს და წინააღმდეგობის საშუალებას უსპობს; არწივის მხრებით გაკვეთილი, გაპობილი ჰაერი ქუხილია ცისა, საშინელია, ღვთის რისხვაა, სიკვდილია პირდაღებული, ხმალმოღერებული, შეუპოვარი, შიშუცოდარი. თქვენ, იქნება, არ გაგეგონოთ და არც გენახოთ მარგილზე ჩამოგებული არწივი, მსხვერპლისთვის დატეეებული, მაგრამ მოტყუებული?! სამსხვერპლომ გაასწრო, თავს უშველა, არწივმა კლანჭი ვეღარ მოჰკრა და გამწვეტებულს ხეზე მოიკლა თავი. მაგრამ იმისი სიკვდილიც ვაჟკაცურია. სულის დალევის დროს იგი მაინც არა ჰკარგავს სიამაყეს, მამაცად აბრიალებს თვალებს, თითქო ეუბნება თავის ნიშის მგებლებს: „მიცქირეთ და ისწავლეთ, როგორ უნდა მოკვდეს ნამდვილი ვაჟკაცი!“ ბევრჯელ, ნადირობის დროსვე, შაენარცხება არწივი კლდესაც და მასზე გაიპობს მკერდს. წყლულს იმას არავინ შეუხვევს და არცვინ წამალს დააყრის. წამლად და ნუგეშად მის ქვეშევრდომთა ხმა ისმის მხოლოდ: „ახია შენზე!.. ჰე, მოგხვდა, თუ არა?!.“ ეგრეა წუთისოფელი! აბა ცოცხლისთვის ეთქვა ვისმე ასეთი ქართული?!. არა, ვერავინ გაჰბედავდა. ეხლა თუ ამბობენ, დრო დაჰრჩათ და იმიტომ: იგი მოკვდა, თვალები დახუჭა, მჭრელი ნისკარტი დაიკეტა სამუდამოდ, მძლავრი ფრთები და ბასრი კლანჭები დაუქმდა...

თუ მისი წინაპარნი დაიხოცნენ ცდაში, ყოჩაღობაში, ეს ხომ ცოცხალია იმათი მოდგმისა, დღეს რომ მთის მწვერვალზე ვხედავთ

ღრმა ფიქრებში გართულს და დაღონებულს. ამასაც წინაპართა სისხლი ედგა ძარღვებში, დიდის არემარისა და დიდის მთების მფლობელია იგი, მაგრამ დღეს მისი მფლობელობა მხოლოდ ცარიელი სიტყვა იყო... დასცქეროდა გულზე ბოლმამორეული აუარებელს მთების გროვას, იგონებდა, სადაც რა ნადირი თუ ფრინველი ენადირა და გულზე ეკალი ესხმოდა. რადა?.. რისთვის? ნუთუ ფრინველი და ნადირი გათავდა? რა ბრძანებაა: აუარებელი იყო ყველა ცხოველი თუ ფრინველი; გულის საკლავად ეწვეთებოდა კაკბების კაკანი, როჭოების ყაყანი, შურთხების ლამაზი სტვენა, და მძიმე ოხვრა ამოჰხდებოდა გულიდან. იქნება, მეტოქე ვინმე გამოუჩნდა თავზე მძლავრი, იმან დაჩაგრა და აღუკრძალა ნადირობა? არა. იქნება ავად არის? არა. იქნება საყმო აუჯანყდა და აღარავინ ემორჩილება მის ბრძანებას?.. — ამის მსგავსი საქმეა არწივის თავს!.. როგორ მოხდა ეს წარმოუდგენელი ამბავი?.. საყოველთაო საზოგადო ბუნების წესის თანახმად იგი დაუძლურდა, დაბერდა; წინანდელებრ აჭრეინებდა ველარც თვალებს და ველარც კლანჭებს, გული თუმც კიდევ ერჯოდა, გული არ დაჰბერებოდა... „ღმერთო, მომკალ! — მხოლოდ ამას ამბობს ღღეს არწივი, — რადა ვარ ცოცხალი, რისთვის? ქვეყნის თითით საჩვენებელი? ქვეყნის მასხარა? ფუჰ!..“ — უკვირდა და ვერ აეხსნა ვერაფრით თავის სიუძლურე; მისი ურჩი გონება და ამაყი გული არ ურიგდებოდა ბუნების მძლავრს კანონს. არწივი თავის სიცოცხლეში ავად არ ყოფილა, არადროს სისუსტე არ უგრძვნია. არ მოუთმენია სიმშილი; ღღეს კი ჰშიან და ძალიანაც ჰშიან: მთელი თვეა, არაფერი უჭამია: ეტევება ფრინველებს, მაგრამ ველარ იჭერს, მიურბიან. ბალახი ძოვოს და ეს ნახონ მის ქვეშევრდომთა? ყოვლად შეუძლებელია, მისი გული ამას ვერ აიტანს, მისი გონება ამას ვერ მოინელებს. გუშინ, გუშინწინ, იმას წინ დაიწყო საზარელი ყეფა ნიშნად იმისა, რომ მთელი მისი ქვეშევრდომნი, მთელი საყმო მოსულიყო მეფესთან, მაგრამ ამაოდ. ფრინველნი ერთი-მეორეს აფრთხილებდენ: „ჰაა, ფეხი არავინ მოიცვალოთ!“ ყველა კლდესა, ღრესა, ხევსა და ტყეს ეფარებოდა. ბატონს არავინ ეახლა, მხოლოდ მის თავზე რამდენიმე ყვავს მოეყარა თავი-თავს და მაღლიდან ნიშნის მოგებით დასჩხაოდენ, ახლო როდი უდგებოდენ. იმათი ხორცი თავისდღეში არ უჭამია არწივს და ღღეს კი სიამოვნებით შაექცეოდა, თუ, ერთიც არი მაინც, ხელში ჩაუვარდებოდა. ბრაზმორეული თვალებს უბღვერდა ამ თავხედ ფრინველებს, მაგრამ იმათ სიცილადაც არა ჰყოფნიდათ მისი რისხვა და მუქარა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

არწივს ჰშიან, ძალიან ჰშიან... ნუთუ აღარაფერი სახსარი აქვს მოიკლას სიმშილი? მხოლოდ ერთადერთი საშუალება არის მის ხელთ, თუ თავმოყვარეობა არ დაუშლის. სახელდობრ ისა, რომ წაართვას სხვას ნანადირევი და თვით დაისაკუთროს. ან ქორ-შავარდნების ნასუფრალებით, ნარჩომით გამოიკვებოს თავი, და მერე? ეს არწივმა იკადროს? არა, არ შეუძლიან ეს არწივს; ჯერ კიდევ ფრენა შეუძლიან, ჯერ კიდევ ბჯღალები და ნისკარტი აქვს... უნდა უკანასკნელადა სცადოს თავისი ძალღონე. ნეტავი, წეროები მაინც დაბრუნებულიყვნენ სამხრეთისაკე. იმათ კიდევ, როგორც იქნებოდა, გაუმკლავდებოდა... მაგრამ არა სჩანან. ჯერ ისევ შუა ზაფხულია... უნდა სცადოს უკანასკნელად არწივმა თავისი თავი ღა, თუ არა იქნა, დაუყარაულოს სხვებს — ქორს ან შავარდენს, და ნანადირევი იმათ წაართვას. უშაროს, უთხრას: ვინ მისცათ იმათ ნება მის სამფლობელოში ნადირობისა და იმით გაიმართლოს თავი... წინად ხომ არ უშლიდა იმათ ნადირობას, დღეს რადღა კადრულობს ამ უმსგავსს საქციელს; „ჩემი ნებაა ჩემი ადგილი და ჩემი სარჩო, ქონება. ვის რა საქმე აქვს?“ აი ამას ფიქრობდა არწივი: „გუშინ ნებას ვაძლევდი ნადირობისას, დღეს მე ვარ და აღარ ვაძლევ. მორჩა და გათავდა... მაშ ჩემი შიში და ხათრი აღარ უნდა ჰქონდეთ?! ვტყუი მაშ? არა, ეს ტყუილი არაა, ეს ნამდვილი საბუთია...“

არწივმა აიწია, აფრინდა და დაიწყო ჰაერში ტრიალი. მის შორიახლო ხან შავარდენი გამოინავარდებდა, ხან ქორი გამოჰქროლებდა. არწივი გულმოკლულად თვალს ადევნებდა იმათ და ამბობდა: — „ჰაი, გიდი, დროებავ! რას მოვესწარი, — ეგენი, ეგ გინგლიანები კი უნდა ნადირობდენ, ლაღობდენ და მე მაგათ შავყურებდე?!. ააახ! ახ, ჩემო სიცოცხლევ, ჩემო გაჩენავ, ჩემო დაბადების დღეო!“ აყოლებდა იმათ თვალებს. შავარდენმა გამოიგდო ერთი მამალი როჭი, შორს არ გაუშვია, მალე მოეწია. დაჰკრა ბრჭყალები. როჭოს ბუმბული იელ-ციელით მიდ-მოდიოდა გაფანტული უფსკრულის თავზე. როჭო ძირს სადღაც ხევში დაეშვა, შავარდენიც ჩაჰყვა თან. არწივი ამას ჰხედავდა. „ჰმ, მოკლა მაგ წუწკმა!“ — წარმოსთქვა არწივმა, მოიკუმშა მხრები და დაეშვა იქით, საცა შავარდენი და მისი მსხვერპლი ჩაეფარნენ. ნახა: შავარდენი როჭოს სწიწკნიდა. არწივი მათ შორიახლო კლდის კინჭუხზე დაჯდა. შავარდენს უკვე გაეხლიჩა თავი როჭოსათვის და შაექცეოდა.

— როგორ ჰბედავ, შე წუწკო, შენა? — უთხრა მას არწივმა.

— რასა, ბატონო ჩემო? — მიუგო მას შავარდენმა ცოტა დუმილის შემდეგ.

— როგორ თუ რას? არ იცი, ვის ეკუთვნის ეს არემარე, ეს მთები მის მცხოვრებლებითურთ?.. — სთქვა განრისხებულმა არწივმა.

— პირველად მესმის... — სთქვა შავარდენმა და თან იგი ნისკარტით უჯიჯგნიდა თავს მკვდარს როჭოს, არაფრად ჩააგდო ფრინველთა მეფის მრისხანება.

— მე შენ გიბრძანებ, ამ საათში როჭოს ხელი გაუშვა და დაიკარგო აქედან. გესმის თუ არა? — უთხრა კვალად არწივმა, ნისკარტი გააღო და მხრები აიწია, მზად იყო დასცემოდა თავზე შავარდენს, მომკვდარიყო და ან ის მოეკლა.

შავარდენმა დამცინავის თვალით გადაჰხედა არწივს და წარმოსთქვა: — მიკვირს, ჩვენო მეფევ, თქვენი მრისხანება და არც ძესმის მიზეზი, რად სწყრებით. ამისთანა მაგალითი არწივის მხრით პირველია, არც წინაპართ და არც ახლებს არავის უნახავს და არც გაუგონია, რომ მეფე ფრინველთა ქორ-შავარდნებს ლუკმას პირიდან სტაცებდეს.

— მიზეზი? ჩემი ნება, ჩემი სურვილია. აღარ გაძლევთ ნებას ინადიროთ ჩემს ფრინველებზე. გესმის? სწორედ ეგ არის მიზეზი... ჩემთვის მინდა მე ყველა ეს ფრინველები, რაც ჩემს სამფლობელოში გაჩნდა და აღიზარდა, იმათზე ხელი, ჩემს გარდა, სხვას არავის არა აქვს, ხომ გაიგე? — სთქვა არწივმა და თან თვალებით სჭამდა შავარდნის კლანჭებით დაბღუჯვილს როჭოს.

— მეფე ბრძანდები და არ მინდა გაწყენინო, — უთხრა პასუხად შავარდენმა: — არც გაწყენინებ, თუმცა სიმართლეს კი მოგახსენებ.

— სთქვი, თუ არ იცრუებ. — წარმოსთქვა არწივმა.

— ეგ არ არის მიზეზი თქვენის წყრომისა. სულ სხვაა და ჩვენ ყველამაც გავიგეთ და ვიცით. გგონია, არ ვიცოდე, ვიცი ყველაფერი, კარგად ვიცი. როცა თქვენს სამეფოში სანადიროდ დაჰბძანდები, მე მუდამ თვალს გადევნებ. ვიცი... მობძანდი, მიირთვი... მე ღმერთი კიდევ მომცემს საზდოს, სიმშილით არ მოვკვდები: კლანჭი და თვალი კიდევ მიჭრის, მობძანდი, მიირთვი, ფეშქაშ. მხოლოდ... ჰოო, ფრინველნი... გნახონ კი, გნახონ და ვნახოთ, რას იტყვიან, ნუ იფიქრებ. მეშინოდეს და იმიტომ გთავაზობდე... არა, არა. — სთქვა შავარდენმა და აიწია ასაფრენად.

— მოიცა, შე ბრიყვო, მოიცა! — წარმოსთქვა არწივმა უფრო განრისხებით: — ვის ეკადრება შენი უმსგავსი ნისკარტით და

ბრჭყალებით ნაჯიჯგნი ლეში? თუ მინდა, თუ მოვიწადინე, ათასს და ათი-ათასს არ ვიშოვი?

შავარდენი განშორდა და შორიდან მოისმა მისი ხარხარი... იგი მაღლა-მაღლა იწევდა და თან თვალს არ აშორებდა არწივს. არწივმაც იცოდა მისი ფიქრი და განზრახვა. ჰშიან არწივს ისე, რომ, ლამის, სული ამოჰხდეს; უცქერის მთლიანად მდებარეს როჭოს, მხოლოდ თავიდან ტვინამოჭმულს, და ელამუნება ბუმბულითურთ გადაყლაპოს. მაგრამ რა ჰქნას, რო ჰნახავენ სხვები? სცხვენიან, ძალიან სცხვენიან. ნეტავი, ღამე იყოს, არავინ ჰნახოს, მაშინ ბედნიერი იქნებოდა. ვაი, რომ დღეა!..

— არა, — წარმოსთქვა მან, — წავიდე, გავშორდე აქაურობას, დამცინებენ თუ შავანიშვნინებ უხეიროდ თავს. გაუგიათ, ალბათ, იციან... ვაჰ, შენ ჩემო ყოფნავ, ჩემო სიცოცხლევ!... აქ, მთაში, მე აღარ მედგომება, უნდა წავიდე აქედან. — ერთხანად იმ ფიქრმაც გაუელვა, ღამე მოსულიყო და ქურდულად ეჭამა შავარდნის ნანადირევი. მაგრამ ვერ გაბედა... შეჭმულს ჰნახავენ, იმას დაჰბრალდება მაინც. იქნებ, ბუმ ნახოს, ის არ დაჰმალავს, გამოამჟღავნებს საიდუმლოებას... — უნდა წავიდე აქედან. — სთქვა მან და აიწია. აფრინდა დამჩატებულის ტანით, დასუსტებულის მხრებით დაიწყო ჰაერში ტრიალი... ფრინველნი ზოგი წინ ეხეჩებოდენ, სხვანი თავზე უვლიდენ... მორიდება, მოკრძალება არწივისა ოდნავაც აღარ ეტყობოდა არავის.

III

საღამო ხანი იყო. მზე ჩაიწურა და მოეფარა მთებს. მისი სხივები მხოლოდ მაღალი მთების თხემებზეღა ენთნენ კელაპტრებივით. ცას მოეყრეინა გულმკერდიდან ღრუბლები და ჩაებერტყა დაბლა ხეობებში. მაღლიდან მოწმენდილი ცა დასცქეროდა დაბლა ნისლების გროვას, ისინი აღელვებული, აბობოქრებული ზღვის ტალღებივით ერწეოდენ ქვეით, სადღაც ჯურღმულში, გულჩათხრობილ უფსკრულში.

გაბეჩავებული არწივი მიფრინავდა მაღალი კლდისაკენ, კლდე სამფეროვანად — ყვითლად, ლურჯად და შავად გამოიცქირებოდა. ამ კლდეში დაიბადა იგი და იქ მიეშურებოდა. კლდეს შუა წელში ნაკვეთი ჰქონდა, იქ იყო მათი ბუდე, როცა არწივი დაიბადა. დედა ხშირად გამოიყვანდა და ბუდის პირას დასვამდა, ვიდრე ფრენას შესძლებდა, საჭმელსაც აქ უზიდავდა. ეს ალაგი კარგად ახსოვდა არწივს. მის დანახვამ მოაგონა ის დრო, როცა ბარტყი იყო, ის დროც, როცა დაჭაბუკდა და პირველად ნადირობა დაიწყო.

სწორედ იმ ადგილას დაჯდა, საცა სიყრმის დროს უყვარდა ყოფნა. დაღამდა კიდეც, არწივი უნძრევლად იჯდა და მხოლოდ თვალებიდან ღაპაღუპით ცრემლები ჩამოსდიოდა. სამუდამოდ ხვალ უნდა გამოსთხოვებოდა იმ ადგილს, სადაც დაიბადა, აიზარდა და გაატარა სიცოცხლე, სადაც ბევრი სიამოვნება ნახა. ეძნელებოდა აქედან გაშორება... დღეს გადასწყვიტა, წასულიყო ბარად და იქ მომკვდარიყო. წარსულის და მომავლის მოგონებამ აუჩუყა არწივს გული, ვეღარ შეიმაგრა თავი და თვალთაგან ცრემლმა გადმოჰხეთქა. მთელი ღამე ასე ვაებით გაატარა. არწივის ცრემლების მოწამე მხოლოდ სალი კლდე იყო და სხვა არავინ. არც უნდოდა. სხვას ვისმე ენახა იგი მტირალი და კლდისა კი არ ეშინოდა, რადგან არავის ეტყოდა: დედა იყო მისი და იმიტომ...

IV

ძალიან ადრე, ისე რომ თითქმის არც კი ვისმე შეუნიშნავს. არწივი გამოემშვიდობა მთებს და გასწია ბარისკენ; პირდაპირ მიფრინავდა და საით — თითქმის არც თითონ იცოდა. ჩვეულებრივად აღარ ავლებდა გარემო თვალებს: აღარავისგან ელოდა სალამს, აღარც ქება-დიდებას... ყველა ეს დღეს მას ამაოდ მიაჩნდა... ბევრს სოფლებს გადაევლო თავს, ბევრს ტყეს და მინდორს, დაბალ გორაკებს.

თითქმის შუადღემ მოატანა. მას თვალწინ აუჩნდა დიდი, თვალგადუწვდენელი მინდორი, ალაგ-ალაგ ტყიან-ჭალებიანი. ლეშის სუნი ეცა. მთები შორს ძლივსღა მოსჩანდენ... დაბლა დაეშვა. იქნებ, ღმერთმა უშველოს და სიყმილი მოიკლას? მდინარისგან გამორიყული იდუმალ ტყით შემოფარგლულ ადგილს მძოვრი შენიშნა... რა ქნას, ჭამოს? არ არის ჩვეული მძოვრის ჭამას. განა სვავია, უმსგავსი სვავი, გინგლიანი?.. „ეჰ! — სთქვა მან, — ვკვდები, მაშ რა ვქნა? მოთმენა აღარ შემიძლიან, აქ მთის ფრინველი ერთიც არ მოიპოვება. ვერავინ მნახავს...“ არწივი ნელა-ნელა დაბლა იწევდა... მძოვრზე რამდენიმე კაჭკაჭი იჯდა. არწივის დანახვაზე გაფთხნენ, გაიფანტნენ. არწივი მძოვრის შორიახლო დაჯდა. იგი ყურს აღარავის უგდებდა: „ვინც რა უნდა სთქვას, ვინც რა უნდა იფიქროსო“. — ამბობდა იგი... კაჭკაჭები ხომ ფრინველებად არც კი ჩაითვლებიან. არწივი ლეშს მიუახლოვდა... ზედ შეახტა, გულმა ვერ მოუთმინა, თავისებურად დაზვერა, დაათვალიერა გარეშემო, გარდა კაჭკაჭებისა, სხვაც ხომ არავინ მხედამსო და... დააპირა ლეშის ჭამა. თუმცა კი ეზარებოდა.

სწორედ ამ დროს ტყიდან კვამლი გაჩნდა წამლისა, თოფის ხმა გაისმა და არწივი ზედ მძოვრზე წაიქცა...

[1904 წ.]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიზმარი ობლისა

ფეხშიშველი, ჩამოგლეჯილი კაბის ამარა ობოლი ჭილობზე იწვა და ეძინა. დედინაცვალმა არ იცოდა, როდის იძინებდა ობოლი, ან როდის იღვიძებდა. ზედ საბანის მაგივრად გახრეშილი, დაძველებული, მშობელი დედის შალის ნაგლეჯი ეხურა... ობოლი დედინაცვალსაც ხომ დედას ეძახდა. მაგრამ ხანდახან დაფიქრდებოდა და იტყოდა თავისთვის: „ეს ხომ დედაჩემი არ არის... დედას სულ სხვა სახე და თვალები ჰქონდა, სხვა ხმა, სხვა ყოფაქცევა; ნეტავი, დედა ერთხელ, ერთხელ კიდევ მაჩვენა თვალით, როგორ ჩავკოცნიდი, მოვეხვეოდი ყელზე, აღარ გავუშვებდი, აღარ დავანებებდი თავს. სულ დავუკოცნიდი ხელ-ფეხს, თმას, თვალებს... აახ! ნეტა, ვერ წავალ იქ, სადაც დედაჩემია? ან რად დამანება თავი? თითქოს ვუყვარდი, მკოცნიდა, მიალერსებდა. რად მოხდა ასე? იქნება, ვაწყენინე, გავაჯავრე და თავი იმიტომ დამანება?“

რად ფიქრობდა ამას ობოლი? იქნება, ვერაგი დედინაცვალი ჰყავს?

იქნება, უდიერად ეკიდება? სცემს, სტუქსავს, პურს ამშევს? — ძალიანაც კარგად ეპყრობაო, — მეზობლები ამბობდენ: — ღვთისნიერი ადამიანია, სხვა უმაგისო მაგრეც არ მოეპყრობოდაო... მაგრამ ობლის გული მაინც კიდევ შუაზე იყო გაპობილი, იმას ვერაფერი ციური და ქვეყნიური ძალა ვერ გაამთელებდა. ეჯავრებოდა ობოლს დედინაცვალი? — თითქოს არცკი. თავს ძალას ატანს — შეიყვაროს იგი, მაგრამ გული არ ემორჩილება. გული და გონება იქვე მიფრინავს... იქ... იქ... სადაც ბრწყინავს მშობელი დედის სახე: მის გონებიდან, თუნდ დედინაცვალი ანგელოზად ვარდიქმნეს, ვერ ამოჰშლის დედის სახის მეტყველებას. ის სულ სხვაა... სხვაა... ააახ!..

სძინავს ობოლს, მცველი ანგელოზი ადგა თავს. იგი ლმობიერია, ობლების მოყვარული და მობრალული... მან იცის ობლის გულის ტკივილი, უნდა უწამლოს და როგორ? შეუძლიან დაუბრუნოს ობოლს მშობელი დედა? ვერა, ვერა. ერთია მხოლოდ იმის ხელთ:

ცოტახნობით გაამთელოს წყლული ობლისა, ხოლო ბოლოს გა-
დასწყვიტა, უნდა აგრძნობინოს ობოლს ბედნიერება, რაც შეიძლება
დიდხანს, და მოუვლინა სიზმარი.

ობოლს სიზმარში დიდი უზარმაზარი ფრინველი დაეცა, ჩასჭიდა
ბრჭყალები და წაიღო. ჯერ დაბლა-დაბლა მიწის პირად მიჰქონდა.
გზაში შეჰხვდათ დიდი, გრძელი, სპეტაკ თოვლივით თეთრი შენობა
საიდანაც მშვენივრად ჩაცმული დედა ობლისა გამოჩნდა და თმა-
გაწეწილი, ხელებგაშლილი, გააფთრებული მიესია ფრინველს. დე-
დის დანახვაზე ობოლი ტკივილს აღარ გრძნობდა, სახე გაუბრწყინდა.

— წყეულო, წყეულო, შეჩვენებულო! — დაიკივლა მან: — სად
მიგაქვს, სად ჩემი გულ-მკერდით გაზრდილი შვილი? — და სწვდა
კისერში ფრინველს. ბავშვი ხელში შერჩა, ხოლო კისერმოგრეხილი
ფრინველი მიწაზე გაერთხო.

— მოდი ჩემთან, ჩემო სიცოცხლევ, ჩემო თვალისჩინო! — ეუბ-
ნება დედა შვილს. ობოლი ვერაფერს ამბობს, სიხარულისაგან ენა
ჩაუვარდა. მხოლოდ ჰკოცნის დედას, ეხვევა ყელზე, თვალთაგან
ცრემლი ჩამოსდის ღაპაღუპით... და...

სიზმარმა ფერი იცვალა; თეთრი, სპეტაკი სახლი გაქრა; იმას-
თან ერთად გაქრა ის საზარელი ფრინველიც; ეხლა ორივე დედა და
შვილი თავის ქოხში, საკუთარი კერის პირას ისხდენ. შვილი დედას
ყელზე ჩამოჰკონწიალობდა, მშვენივრად იყო მისი დედა ჩაცმული.
დიდრონი ბოხჩა გახსნა დედამ ბოლოს, ამოართვა შვილს სულ
ახალთახალი ტანისამოსი: კაბა, ფეხსაცმელები, თავმოსახვევი, საყუ-
რეები და სხვ. ათასნაირი ხილი გაუფინა დედამ შვილსა. ობოლი
სიხარულით, ბედნიერებით ცას ეწეოდა.

ჩააცვა ტანთ დედამ შვილს ახალი ტანთსაცმელი, მორთო, მო-
ალამაზა.

— სულ ჩემთან იქნები, დედავ? — ჰკითხავდა ობოლი: — ხომ
აღარსად წამიხვალ? თავს ხომ აღარ დამანებებ?

— არა, შვილო, აღარ წავალ არსად, სულ შენთან ვიქნები, —
უპასუხა დედამ.

— სად იყავი? აქამდის რატომ არა მნახე, მე ხომ ბევრსა ვტი-
როდი, შენზე დაწუხებული? ნახევარი ღამე არ მეძინა, ჩუმადა ვქვი-
თინებდი. არ გესმოდა ჩემი ტირილი?.. ამდენი ხანი რად დაიგვიანე?

— დამწყვდეული ვიყავი, შვილო, ციხეში. — უპასუხა დედამ: —
ისეთს ციხეში ვიყავი დამწყვდეული, ცხრა კარი ჰქონდა და ცხრა
კლიტე ედვა. ეხლა ყავლი გამივიდა, ციხეში აღარ ვიქნები.

— ოჰ, რა კარგია!.. ოჰ, თუ თავს აღარ დამანებებ, შენი გულის
ჭირიმე! — ეუბნებოდა ობოლი დედას.

— აღარ დაგანებებ თავს, შვილო, აღარ, ამიერიდან სულ შენთან ვიქნები, არ მოგაკლებ ახალს ტანსაცმელს, გაგახარებ და გავიხარებ შენგან. — უპასუხა დედამ.

— გაჰქრეს, მორჩეს სიზმარი! — ბრძანა მცველმა ანგელოზმა და ამის შემდეგ კვალად სიზმარმა ფერი იცვალა: დედა-შვილი რომ ტკბილად ჭუკჭუკებდენ, სწორედ ამ დროს გაჩნდა დედინაცვალი; ობოლის ახალს კაბაზე ხელი მოჰკრა. მერე იმავე ხელით საყურეებს შეეხო და სთქვა:

— ვინ მოგცა, გოგო, შენ ესენი? გაიხადე ეხლავე კაბა! გამოიძრე ეგ საყურეებიც!..

ობოლი შეკრთა. თვალები გააჭყიტა, ხელებს ფათური დაუწყო, დედას ეძებდა. დაბარბაცებდა კუთხიდან კუთხეში, აპოტინებდა ხელებს და ლუღლუღებდა: „დედავ, დედავ, დედავ! სადა ხარ, დედი? სად დამემალე, დედი, დედიი, შენი ჭირიმე!“ და... — პასუხი არ მოესმა არსაიდან. ხელებგაფარჩხული მიწის იატაკზე გაერთხა და გაისმა საზარელი, გულსაკლავი ქვითინი. გარეთ ნელი, ჟუჟუნა წვიმა მოდიოდა, ხეხილი წითლად, ყვითლად, თეთრად ჰყვაოდა. შორიდან ბულბულის კვნესა-გალობა ისმოდა. გაზაფხულის ღამე იყო... დაღლილს, დაქანცულს სოფელს ტკბილად ეძინა.

ობლის ქვითინი ესმოდა ვისმე? — არავის. ობლის ტირილი ობლად იყო მიტოვებული. იქნება, ესმოდა კიდეც ვისმე, ხოლო მეშველად, მანუგეშებლად არავინ მიდიოდა...

მცველი ანგელოზი, თუმც იქვე, ობლის ახლო იდგა, მაგრამ ობლისთვის ზურგი ექცია. ბოლო სიზმარისა აღარ ეჭაშნიკა არც იმას. მინამ სიზმრით ობოლი სტკბებოდა, გახარებული იყო, ეხლაკი ისიც ტიროდა...

ერთადერთმა ძაღლმა მორთო ობლის ქვითინზე ღმუილი. საზარელი იყო მისი ხმა, საზარელი. გეგონებოდათ, მთელი ის არემარე სამარედ ქცეულა და მთელი ქვეყანა მოზარედ მოსულაო. ეს ხმა, როგორც მჭვალი, ისე ჰხვდებოდა მთა-ბარს, ხესა და ქვას, გულამდე სწვდებოდა, როგორც ლახვარი და აჟრჟოლებდა.

კატა, საყვარელი მეგობარი ობლისა, ტოტსა სცემდა ობოლს და უალერსებდა, თითქოს ეუბნებოდა: რა ვატირებს? რა გაჩივლებს? ადე, ვიხტუნოთ, ვითამაშოთო...

— ააახ!..

[1905 წ.]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კოდალა

არ ვიცი, გივლიათ თუ არა დიდს, ულრანს ტყეში?

შორიდან ხომ დაგინახიათ შავად დაბურული, დაფიქრებული? აბა, კარგად დააკვირდით... რას მოგაგონებთ იგი?

თქვენი არ ვიცი, მკითხველო, და მე კი მეტისმეტად დაღონებულს, დადარდიანებულ ადამიანს ვამსგავსებ, რომელიც ისეთ ყოფაშია ჩავარდნილი, რომ მუდამ წამს რაღაც საშიშროებას, მტრის თავდასხმას მოელის, მაგრამ დგას შეუპოვრად, გულმაგრად და ადგილიდან ფეხს არ იცვლის... თითქოს კიდეც ლოცულობს, ღმერთს მფარველობას სთხოვს...

რა აშინებს, რა აღონებს, რადაა მწუხარე? ჰკითხეთ, რას გიპასუხებთ. აი, მისი პასუხი: მე ვარ მამა ერთის მთელის, განუყოფელის ოჯახისა, მე მყავს აუარებელი შვილები. ფრინველნი თუ ცხოველნი. უკანასკნელი ბუზიც კი ჩემის გულ-მკერდით არის აღზრდილი, არ ვიტყვი ტურფა, რქაბოჯოჯღა ირმის სიცოცხლეს; პირველის სიცოცხლეც შიშს ჰბადებს ჩემს გულში: ვაი, თუ მომიკლან, ვაი, თუ მოუსპონ სიცოცხლე. მგლის სიცოცხლეც კი, რომლის მოსპობასაც თქვენ, ადამიანნი, ესწრაფვით, გულს მიწყლავს. მახინჯი შვილია. მაგრამ ძლიერ მიყვარს და მებრალება. პატარა წკეპლაც რომ მოიჭრას, ისიც გულს მატკიებს. ჩემი ოჯახის წევრნი ზოგნი უდროოდროდ იხოცებიან, ჭლექდებიან, ხდებიან და რამდენი კიდევ კაცის ხელით ისპობა!.. ბევრი მაქვს საფიქრებელი, ბევრი მაქვს სატირელი.

ხოლო დიდი, შავი კოდალა, ტყისავე შვილი, ამას როდი ჰფიქრობდა. კოდალა დღე გაჰკიოდა და მთელს ტყეს ახმაურებდა, ხოლო ღამღამობით ბუ ეწეოდა მის მაგიერობას. ეს ორი დარაჯი ჰყავს ტყეს: ერთი ღამისა, მეორე — დღისა.

დიაღ, კოდალა იმას არ ფიქრობდა, რასაც ტყე, მაშ რას ფიქრობდა? იმ დღეს დაუდეგრად დაფრინავდა, ერთი ფუტუროსაგან მეორისაკენ რომ გაემართებოდა, უთუოდ წინ კივილ-ჭყივილს მიიმძღვარებდა: „მოვდივარ და, აბა, კარგად გამიმასპინძლდით!“

ახლაც გამოათრია ერთი მსუქანი მოთეთრო ჭია. დიდად დახელოვნებული იყო ამ საქმეში: ღრმად უყრიდა ნისკარტს, რაკი ზედაპირს ააცლიდა, მერე ადვილი იყო ფუტუროს ამოჩიჩქვნა და შიგ ნისკარტის ტრიალი. ნისკარტიც საკმაოდ მჭრელი ჰქონდა. დაძაბუნებული ხეები იმის ნისკარტით იყო მოჭვრეთილი. ადამიანს ნატყვიარები ეგონებოდა, ზოგი ისე ძალიან იყო ამოღრუტნული, თითქოს ზარბაზნის ყუმბარა მოუხვედრებიათო.

ამიტომ ბუ დიდი მადლობელი იყო კოდალასი და მუდამ, როცა კი სადმე ფუღუროში მჯდომარეს წააწყდებოდა, მადლობას უცხადებდა. მათი ერთად შეყრა ყოველთვის დღე ხდებოდა და ბუც შორიდან დაუწყებდა ლაპარაკს, მიესალმებოდა: „გაუმარჯოს კოდალას, ჩემს კეთილისმყოფელს, ჩემს ერთგულს მეგობარს! იცი, ძმობილო, რა მადლიერი ვარ შენი?! შენ ჩემთვის შრომობ; რა მოსვენებითა ვარ, რომ იცოდე. ძირს ფუტურო მიგია რბილად. ღმერთს გეფიცები, მამაჩემის სულის განათლებამ, ღმერთს მუდამ იმასა ვსთხოვ: იცოცხლო, გამარჯვებული გამყოფოს, საზრდო უხვად, მრავლად მოგცეს. ამ თავმკვდარმა, არ იქნა, ვერ შევიძელ, პატივი ვერაფერით გეცი. მაგრამ რა ვქნა ან კი: ჩიტების შიშით დღისით კარში ვერ გამოვსულვარ. ხომ იცი, როგორ უხათროდ, უნამუსოდ მექცევიან ეგ სვინდისგაწყვეტილები? დამეცემიან ქივილ-ხივილით, ზოგი უკანიდან, ზოგი წინიდან, გზას აღარ მაძლევენ, რომ პატარა მივდგე, მოვდგე, ვიშოვო რამე, შენი სიკეთეც გადავიხადო და თავადაც ოლად გამოვიდე. ღამე გამოვალ და რას ვიშოვი? განა არ იცი, ყველა სულდგმული მაშინ მიჩქმალულ-მიმალულია? ხელში ვინ ჩამივარდება? გაგიხარიან, თუ მოვიგდე ხელში, იმათ ბდღვერს ვადენ... არამზადები!..

— ჩემი ამაგი შენზე ალალი იყოს... ბინას არ გიჭერ. იცხოვრე, მოისვენე, მხოლოდ ხარბად ჭიების ჭამას მოერიდე. ხომ იცი, მეწყინება. — ეუბნებოდა მას კოდალა ჩაგონებით.

— არა, ბატონო, მეცა ვფრთხილობ და შენს წყენას ისე ვერიდები, როგორც ღვთისას... ღმერთი, მართლაც, ჩემზე ხელაღებული როდია: ხანდახან ჩემი მტანჯველთაგანი, ალალისა ან მიმინოსაგან დამფრთხალი, მოატანს ხოლმე ჩემს ბინას და მაშინ უნდა ჰნახო იმისი წეწა-გლეჯა... მტანჯავ? მაწვალებ? დამცინი? ეგეც შენ, ნახე?.. უსვინდისოები!

— ბიჭოს, ეგ კარგია!.. ღმერთი ვისაც მისცემს, კომბლით უკან მისწევსო, — ეტყოდა კოდალა.

ბუს დალოცვისა კოდალას ნამეტანად ის ნაწილი მოეწონა, რომლითაც პირველი მას მრავლად საზრდოს მოპოვებას უქადიდა, რად-

განაც მეტისმეტად გაუმაძღარია. სულ დაწრწის, ტყეს დღეში ათას-ჯერ შემოუვლის, სჩიჩქნის ხეებს, ურახუნებს ნისკარტს, სჭამს, სჭამს, სჭამს განუწყვეტლად; ერთს წამს ნისკარტს არ დაასვენებს, ყბებს არ დააყენებს. ჰეუეავს ჭია-ღუებს, ჰსინჯავს ყველა შუახანს გადაცილებულს ხეებს — სიბერე შეეპარა, თუ არაო. უნდა ჰნახოთ, როგორ უხარიან, თუ იმედი გაუმართლდა და ტყეში ახალი დაფუტურებული ხე გაჩნდა... ახალი დაყანთრებული ხის გაჩენა ახალი საზრდოს, ცხოვრების წყაროს მომასწავებელია მისთვის.

ტყე, ხომ გახსოვთ, რასა ჩივის და ტირის, როგორც კოდალას, ისე მის მსგავსის ათასი და ათი ათასის დედა და აღმზრდელი?.. კოდალა კი სულ სხვასა ფიქრობდა, სხვას ნატრობდა; იჯდა წაქცეულს ხმელს წიფელზე, ჩაჰკრავდა ნისკარტს და თანაც თავისთვის ბჭობდა.

„ნეტავ, სულ გადახმეს მთელი ტყე, ათასწილად ის აჯობებსო...

„უჰ, რა დროებას გავატარებდი!.. ოჰ, როგორ ვიქეიფებდი!..

„სამოთხე მაშინ დამყარდებოდა ქვეყანაზე — ჭია-ღუებით აივსებოდა მთელი ეს არემარე და... იქეიფე, ბიჭო!.. გაჰკარ და გამოჰკარ ნისკარტი დღე და ღამე.

„არა, ბედნიერი ვიქნებოდი მაშინ.

„რა საჭიროა ან კი ხეებისთვის სინედლე?! რომელსაც შეჰხედავ, გაუდგამს ღრმად ფესვები, გადაუფარჩხია განზე ტოტები, იმოსებიან ფოთლით, ისხამენ ნაყოფს. ვის რად უნდა იმათი ნაყოფი? რაში მეპრიანება რკო და წიფელი, პანტა-პუნტა, კუნელი, ასკილი, ზღმარტლი, ჟოლი, მაყვალი და, ვინ იცის, კიდევ რა და რა არა!.. მე ჭიები მიყვარს, ჭიები, რომლებსაც მხოლოდ გამხმარი, დაყანთრებული, დაფუტურებული ხე ჰბადებს. რაში მარგია მაგათი ფოთლები? მარგია კი არა, ხელსაც მიშლის საზრდოს შოვნაში: ველარ დამინახია ხმელი ხე“.

ცოტახანს შედგა, დაფიქრდა, თავი ჰაღლა აიღო, ქარასხასავით ნისკარტი ცისკენ აიშვირა: „მშვენიერი, დიდებული აზრი მომივიდა: ვინატრო, ვეცადო, იქნება ნანატრი ამიხდეს. ცდა ბედის მონახევრეაო, ნათქვამია“. დიდხანს აღარ გაჩერებულა ერთს ადგილას. ელდანაკრავივით წამოხტა, დაფეთიანებულივით დაფრინავდა ტყეში, მარჯვნივ თუ მარცხნივ, აღმა თუ დაღმა და ერთსა და იმასვე გაიძახოდა: „ტყეო, გახმი და გაშავდი!“

მთელი ტყის მცხოვრებნი ფეხზე დადგნენ. ფრინვლები კბილებს აღრჭენდენ. ცხოველები ზოგნი პირიდან სიბრაზისაგან ქაფსა ჰყრიდენ, სხვანი, როგორც მაგალითად, შვლები, ირმები, არჩვები, კურდღლები ამბობდენ თავის ქნევით: „გაცეტებულა, გადარეულა

საცოდავი, რა დაჰმართნია, რა ღმერთი გასწყრომიაო". ზოგს კოდალას ნატვრა სიცილად არ ჰყოფნიდა... სხვები აფურთხებდენ... ტყე კი ტიროდა: — აახ, რა უბედური, რა უკეთური შვილი გამომივიდაო! მოსთქვამდა იგი, — არ გესმით, ხალხნო, რას ნატრობს? ვაი ჩემი ბრალი, ვაი მე უბედურს!

მხოლოდ ქორს სხვაგვარად სწყენოდა და ამბობდა თურმე: „მაგისთანა მახინჯებს წყევლა-კრულვა და ფურთხი არ გასწრთვნის. მხოლოდ გაბრაზება რა ვაქკაცობაა? გაჰბრაზდე და ბრაზი გულშივე ჩაიკლა?! არა, ჩემს კარაბადინში ეგ არ სწერია. როცა მე ვბრაზობ, ვმოქმედობ კიდევაც, რად მინდა ბასრი კლანჭები და გაფხავებული ნისკარტი, თუ მაგისთანა ვერაგებს ვერ მოვაჭკვიანებ? ეგ თითონ წყეული და შეჩვენებული... ეგ ჩვენ ყველას სიცოცხლის მოსპობას გვიქადის... სიკვდილი კოდალას!.."

— მეც მანდა ვარ, ყოჩაღ, ქორო, ყოჩაღ! ვენაცვალე მამაცს კაცს, მამაცს სიტყვას... ვენაცვალე ცხოველებში ვეფხვების ჯიშს და ფრინველებში — ქორებისას. მიჰყე, არ გაუშვა, შორს არ იქნება წასული. — ეუბნებოდა, ამხნევებდა ქორს დაბლიდან ვეფხვი.... და ქორი აღელვებულ-აღშფოთებული გამოუდგა კოდალას, რათა იგი დასაჯოს ღირსეულად; ქორი შურისძიებად არის გადაქცეული და თვალებიდან ცეცხლსა და ცოფს აფრქვევს.

ტყე კი ტირის, ცხარე ცრემლსა ჰღვრის.

[1905 წ.]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყორანი

მთებს შავად ნისლები მოსდებოდა და დაებნელებინა მთელი არემარე. დღე იყო, მაგრამ მზე გამქრალიყო. უკუნეთს შთაენთქა იგი, თუმც ებრძოდა ჯანღების გროვას, მოიწევდა მაღლიდან დედამიწის გასანათებლად, მაგრამ ამაოდ; ჰგზავნიდა სხივების რაზმებს, რათა გაეპო წყვდიადი და დაემკვიდრებინა ქვეყანა, მაგრამ დღესდღეობით ჯანღი იმარჯვებდა. თითქოს პირობა აქვთო, ახალ-ახალი გუნდი ნისლისა, — მთასავით დიდრონები, — მოგორავდენ ხეობებზე დაბლიდან მაღლისკენ — გაევსოთ ჯურღმულები. მთელი მიდამო სდუღდა. ფუოდა და უგემურად ფშვინავდა. მეტისმეტი შრომისგან ნისლებს ოფლი სდენოდათ. ნისლების ოფლი ბალახსა და მთის ყვავილებს თავზე ჰფრქვეოდა.

მაშ, ალაგ-ალაგ რამღა შეღება ბალახი წითლად? ეს ხომ სისხლია!.. ჯანღთან ერთად მგელი იმარჯვებდა: დაჰრეოდა მთელ ცხვრის ფარას და მუსრს ავლებდა...

მაღლიდან თავზე დასტრიალებდა ყორანი. ამაზრზენის ხმით თავზე დაჰყრანტალებდა. ამხნევებდა: „ყოჩაღ, ემაგრე! გამუსრე! არ გაუშვა ერთი ცოცხალი! რაც პირობა გვაქვს, უკლებლად აასრულე! ფიცი არ გასტეხო!“ ყორანი ხომ მგელთან გაფიცულია. მანამდე უნდა მუსროს ცხვრის ფარა, ვიდრე ძალი და ღონე შესწევს, ვიდრე ერთს ცოცხალსა ჰხედავს. ამიტომ არის, რომ დღე ყორანი მგელს წინ უძღვის და ხმით ამცნებს, სადაც საქონელია, საცა ცხვრის ფარაა...

ჰმუსრავს ცხვრებს მგელი. მთელი ტანი სისხლში აქვს მოსვრილი. ყველა ეს ხდება ჩუმად; ხმა მომაკვდავთა არავის ესმის, რადგან არც ერთი მათგანი კვნესას არ გამოსცემს, არც ბღავის, არც ღრიალებს, ეს ცხვრის წესია... იხოცებიან ხმაამოუღებლად. მხოლოდ ისმის ღრენა მგლისა და ყრანტალი ყორნისა: „გამოსჭერ ყელი!“

სად არის მწყემსი? სად არიან ძაღლები?

ვიდრე მგელი მიესეოდა ცხვრის ფარას, ძაღლები მტერმა დახო-

ცა, ხოლო მწყემსი, გულში დაჭრილი, თეოზე წევს, სისხლი შიდრევანივით ამოსდის და გულსაკლავად გმინავს... არსად მისთვის ექიმი, უბრალო წყლულის შემხვევიც კი არავინ უჩნდება...

„ნუთუ სულ გასწყდენ ადამიანები? აღარავინ არის ცოცხალი დედამიწაზე? მე ხომ ვკვდები, ცხვარს მაინც ვინმე უპატრონოს?“

— ვაჰმე, ჩემო ამაგო, ჩემო უქმად ჩავლილო შრომავ! — ლუღლუღებდა იგი მომაკვდავის ხმით.

ყორანი ხარობდა... შუადღე ახლოვდებოდა. ნისლებმა მაღლა აიწიეს და მთებზე დინჯად დალაგდენ. განათდა მიდამო, მზის სხივმა გასჭრა და დაქსაქსა ნისლები.

ახლა ცხადად სჩანდა, რასაც აქამომდე წყვდიადი ჰფარავდა. სისხლი, როგორც წყალი, ისე მიდიოდა და თავმოჭრილი ცხვრები რიყესავით ეყარა, მათზე ყორანი ნავარდობდა, ხარობდა... სისხლში ამოსვრილი ხან ერთსა სთხრიდა, სჩიჩქნიდა თვალებს, ხან მეორეს... მკვდრებზე მეორედ მოვლენილს სიკვდილსა ჰგავდა...

მგელი კლდის ძირას მიგდებულიყო და გალეშილი, გათოშილი ქასქასებდა. წითელი ენა გადმოეგდო, ხოლო თავის ნამოქმედარს თვალს არ აშორებდა. როგორ ხარობდა!.. როგორ ლაღობდა!.. საზარელი სურათი მგლის სულ-გულს სიამოვნებით ავსებდა.

სვავებს, ორბებს, ყაჯირებს, ყვავებს და სხვა მოსისხლე ფრინველთაც უკვე სუნი აეღოთ. ნოტო და ნოტო მოდიოდა, უზარმაზარი ტანისა, შესაზარი შეხედულობისანი გროვდებოდენ, სხდებოდენ, კლდის კინჭუხებზე, ხეებზე. მადააღძრულნი გარშემო თვალებს აფეთებდენ. ყორანი კი უკვე გამაძღარი იყო... ბრაზი მოსდიოდა.

— გასწყდით, გასწყდით! ვის ამაგზე მისდიხართ, თქვე მუქთაჭამიებო?! — ამბობდა თავისთვის ყორანი და თანაც სისხლი ყელში ებჯინებოდა: როგორ მოქუჩდენ, ვერ უყურებთ? ხვალ იქნება, ნაწლევის ნაგლეჯიც კი ვეღარსად ვიპოვო... ნეტავი შეიძლებოდეს დავმალო სადმე ლეში, მოვაფარო მიყრუებულს ადგილას. კაი ფიქრია, სწორედ კარგი. მაშ რა ვქნა? დღეს რომ გავძღე, ხვალ რაღა ვქნა, ხვალ აღარ მინდა ცხოვრება?.. განა მუდამ ასე გავიმარჯვებთ მე და ჩემი თანმხლებელი მგელი? ხვალინდელი დღეც უნდა მახსოვდეს. ჰყურობთ ამ გველაშაპებს, როგორ თვალებს აბრიალებენ? თითო სვავს ათი ცხვარი არ ეყოფა. რას გაუშვებენ, ხვალ-ზეგ, მგონი, ძვალის ნატეხიც კი არსად მოიპოვებოდეს... დღეს ლეშს შეჰყლაპავენ, ხვალ ძვლებს დაესევიან და ისეთ ლაწა-ლუწს აუტეხავენ, რომ, ვინ იცის, გეგონოს მთა-ბარი სქდება და კლდეები ინგრევაო.

არა! მე ჩემს თავს უნდა ვუპატრონო. ჩემთვის კარგი და კეთილი არავის არ უნდა. განა არ ვიცი? ახლა იმათ ყველას ჩემზე ბრაზი

მოსდის და ამბობენ თავიანთ გულში: ეგ უჯიშო, ეგ ყველა ფრინ-
ველებში გამორჩეული, როგორ ფარფაშებს, თითქოს ღმერთს ეს
განაჩენი ყორნის სასარგებლოდ დაედგინოს და მაგის სასარგებლოდ
მოეხდინოს განკარგულება. ჩვენც წილი გვაქვს, ჩვენც! დაიკარგოს
მანდედან, თორემ, იქნება, ზედ ცხვრებზე დავანთხეინოთ ტვინიო.

ჰააჰააა! ვიცი, კარგად ვიცი ძალიან, რასაც ბჭობენ, რასაც ფიქ-
რობენ!.. ეს ხომ ჩემი ამაგია; უნდა ჩემი ამაგით დაძღნენ, დატყვრ-
ნენ, მანცდამაინც ისევ მე უნდა მწყევლონ და მაგინონ... აბა, უცქი-
რეთ, თუ ერთი, ერთადერთიც არის, მოვიდეს და გამარჯვება მომი-
ლოცოს, მითხრას: გაუმარჯოს მადლიანს, სახელოვანს ყორანს, თა-
ვის ოფლით და ამაგით თავისა და ქვეყნის მარჩენალს. არა, არა!
არ იტყვიან, რადგან ვეჯავრები, შეიჯავროს ისინი ღმერთმა! გაუ-
წყრეს სამი სამება იმათ და ერთი არსება!..

გასწყდით, გათავდით, გრისხავდეთ ღმერთი მაღალი, რადგან არ
მემართლებით... უსამართლოდ გეჯავრებით, უსაფუძვლოდ გეზიზ-
ღებით... ჩემის ყოფაქცევის გამო არ ვიწვევ იმათ ზიზღს?.. აი ჩემი
ყოფაქცევის ნაყოფი!.. მაშ ნუ სჭამენ, იქვე წავიდენ, საიდანაც მო-
სულან... რას იტანებიან? რა თვალებს აცეცებენ და ნისკარტებს
ილესვენ; გასწით, წადით, თუ ნამუსიანი და სათნოიანი ბიჭები ხართ!

ჰმ! რას წავლენ, რა შვილები? ჩემს მოქმედებას სწყევლიან, ხო-
ლო ამ ჩემი, ვითომდა, უმსგავსი ქცევის ნაყოფს წარბშეუხრელად,
არც კი წითლდებიან, ისე გემულობენ!.. გიცნობთ, რაც შვილები
ბრძანდებით!..

ადამიანებს ხომ უძეტესად ვეჯავრები. სოფლის თავზე ისე ვერ
გადამივლია, რომ ყველამ მე არ მომაპყროს თვალი: „ყორანი, ყო-
რანიო!“ შეუდგებათ ერთი ჩურჩული, მითქმა-მოთქმა.

თუ ლეშის სუნი მეცა, მე ხომ მის სუნზე მეტისმეტად მოუთმე-
ნარი გუნებისა ვარ და არ შემიძლიან არ დავიყრანტალო. უხდა
ჰნახოთ, რა „ვაი და ვუი“ შეუდგებათ. „ყორანმა დაგვჩხავლა, დაგვ-
ჩხავლაო“, ყვირიან. „ეგ არის, დავიღუპეთო“, რამდენჯერ შევმსწ-
რალვარ, მაღლიდან თვალი მიდევნებია, რომ გაჯავრებული ერთი
კაცი მეორეზე იწევდეს და აყვედრიდეს: „ყორანი ხარ, ყორანი, გა-
მიშვით, მოვკლაო!“

აი, რა ამბავია ჩემს თავსა, ბედია, დაბადების დღეა!..

დიაღ, თუ თითო ნაჭრობით არ გავზიდე სადმე და არ მოვაფარე,
ხვალ და ხვალზევით სიმშილი მომკლავს...

ყორანი დაეძებდა ხორცის ისეთ ნაჭერს, რომ მოჰრეოდა, გა-
ეთრია და სადმე კლდეში ან ტყეში დაემალა, მაგრამ ვერ შეჰხვდა.
თანაც კარგი ნაჭერი უნდოდა...

ამ დროს ხანხალით, ფრატუნით, თანაც „ყვაო-ყვას“ ძახილით ყვავი მოფრინდა. ყორნის შორიახლოს ერთ ცხვარს დააჯდა და ჯიჯგნა დაუწყო. ყორანს ხმაც არ გასცა, ზედაც არ შეჰხედა.

„ეი, შე აბუეტო, შე ჩურჩუტო, გამოტვინებულო, სადა ხარ? ვის სუფრაზე ბობრძანებულხარ მაგრე თამამად, დაუკითხავად? ვითომ კითხვადაც აღარა ღირს, რაღა?“ — უთხრა მას შეტევით ყორანმა. ყვავმა ყურიც კი არ გაიბერტყა.

„არ გესმის, შენ გელაპარაკები, შენ, ეი, ქეციანო? ვის სუფრაზე ბოსდიხარ-მეთქი დაუკითხავად?“ — შეუტია კვალად ყორანმა.

— რა გაღრიალებს? რას მიყვირი, რო მიყვირი? როგორ თუ ვისზე? ეს სუფრა ჯერ ღვთისაა, მერე მწყემსისა, აგერ ზევით, ფარეხთან დაჭრილი სულთმაბრძოლი რომ წევს, და მერე მგლისა. შენ ვინა ხარ? შენ ისეთივე ნება გაქვს ამ სუფრაზე ჯდომისა, როგორც მე. — მიუგო ყვავმა და არხეინად განაგრძო ლეშის ჯიჯგნა.

„მართალია!.. სწორეს ამბობ!“ — დაიქუხა ერთხმად აქეთ-იქიდან ფრინველთა გუნდმა: — „ეგ წაწყმედილი, მაშ, ჩვენც მაგ პასუხით უნდა დაგვიხვდეს?!“

ყორანი აენთო. სიმწარისაგან აღარ იცოდა, რა ექნა. მისი ჯოჯოხეთის მსგავსი თვალები საშინლად ბრიალებდა. ყორანს უნდოდა მიჰვარდნოდა და ყვავი გაეგლიჯა.

„ჰი, შე უმადურო, შენა!“ — უთხრა მას ყორანმა: — „მაშ ვისი ამაგია? ვინ მოიქცა დროზე, გარემოების შესაფერად? ვინ გამოიჩინა უნარი და მოხერხება, მე თუ თქვენ? იცი, რეგვენო, საით, ცხრამთას იქით გადავფრინდი და გამოვუძეღ, მოვიყვანე მგელი და, რაკი ვიცოდი, მწყემსი დაჭრილი იყო, ცხვრის ფარა უპატრონო, თავგანებებული, მივუსიე მას და გაგიმართეთ მშვენიერი სადილი?! განა ახი არ არის, თავი ქვაზე გინაყო და ამოგხადო ეგ ბოროტი, უმადური სული?“ — უთხრა ყორანმა, მთელის ტანით ათრთოლებულმა.

— ბოროტი სული რომ არ იყო, ამდენ ცხვარს გააჟლეტვინებდი მგელსა? ახლა დამდგარხარ და ცოდვას მადლად ასაღებ? ბოროტიც შენ ხარ, წყეულიც, უმადურიც, ულმერთოც, — თუ მართალს მათქმევინებ... — ამბობდა ყვავი გაბედულად.

„მოვკვდე არ მირჩევნიან?“ — სთქვა ყორანმა, — „განა ამისთანა უმსგავსისაგანაც ეს მეკადრება?“ — და მიიწია ყვავის მოსაკლავად, ის იყო სწვდა კისერში...

„ხელი, ხელი გაუშვი, თორემ ვაი შენს ტყავს!“ — დაიქუხა კვალად ფრინველთა გუნდმა და როგორც ზვავი, როგორც სეტყვის მომავლინებელი ღრუბელი, დაეცა თავს ყორანს. ამანაც იკადრა გაეშვა ყვავი, რომელიც უკვე თავგაჭეჭყილი დაბლა ფორთხავდა.

— მოჰკლა კაცი მაგ ულმერთომ, მოჰკლა! დაჰკარით, ცოცხალი არ გაუშვათ! — გაჰკიოდენ ფრინველნი. საკმაოდ მოჰხვდა ყორანს მათი კლანჭი და ნისკარტი, როგორც იყო გაუსხლტა ხელიდან და ხშირ, დაბურულს არყიანს ტყეს შეაფარა თავი.

„ოხ, თქვენი ჯავრი!.. ოხმე!.. ნეტავი შამეძლოს თქვენი გაწყვეტა!“ — ამბობდა თავპირდასისხლიანებული ყორანი. ყორანს მიეშველა მგელი, ომგადახდილს იმასაც ბევრი აღარ შაეძლო და მიესია ლეშზე მსხდომარე ფრინველებს.

— დაჰკარით მაგასაც! — გაისმა კვალად ხმა ფრინველთა და მართლაც შეიქმნა კლანჭებისა და ნისკარტების პრიალი... ბლომად მოჰხვდა მგელსაც თავზურგში ფიჩხი და კომბალი. ბოლოს იმანაც იკადრა და ტყეს შეაფარა თავი.

მეორე დღეს ფრინველნი უკვე ძვლებსა ჰხრავდენ, სწიწკნიდენ, ზოგსაც პირდაპირ ჰყლაპავდენ. მესამე დღესაც იქავე ტრიალებდენ, კლდეებზე, ხეებზე სხდებოდენ, ხოლო ახლა თათბირი ჰქონდათ; ჯერ რჩევა არ გაეთავებინათ, რომ დაშლილიყვნენ.

წამოდგა წინ ერთი მხცოვანი სვავი და დაიწყო: „ჯარო და ჯამაათო!“

— ბრძანეთ, ბრძანეთ, ყურს გიგდებთ! — გაისმა აქეთ-იქიდან ფრინველების ხმა.

იმანაც განაგრძო: „ფრინველების დღევანდელი საქციელი, უნდა მოგახსენოთ, მე არ მომეწონა. რაზე, რისთვისა ვცემთ და ვლანძღავთ ან ყორანსა და ან მგელსა? რა დააშავეს საიმისო? დააშავეს კი არა, კიდევაც გაათეთრეს, — თავის მოხერხებით და ოსტატობით მთელი ორი დღე შაგვინახეს, გვაქეიფეს. მაშ რადღა ვემდურით? ხალისს რად ვუკარგავთ? ხომ მერმისთვის ასე აღარ ეცდებიან?.. ვგმობ თქვენსა და ჩემს დღევანდელს საქციელს და გთხოვთ, რომ თქვენც დაჰგმოთ და შემდეგში აღარ განიმეოროთ“.

სვავის შემდეგ ილაპარაკა სვავზე არანაკლებ მხცოვანმა, ჭროღა ფერის ყაჯირმა. ამ უკანასკნელს პირველზე მხრები ნახევარ ადლით გრძელი ჰქონდა, სახის გამომეტყველებაც რიხიანი. ის უფრო მჭევრად ლაპარაკობდა.

ყაჯირმა დაიწყო: „ბატონებო, ჩვენ ყორანი და მგელი იმიტომ კი არ დავსაჯეთ, ამოდონა ცხვრები რისთვის გაჰყლიტეთო, არა. ამით ჩვენ ვაგრძნობინეთ, თავს არ წავიდენ და ყოყლოჩინობა არ დაიწყონ. ან კი რა აქვსთ, მაინცდამაინც, საყოყლოჩინო? რა დიდი შრომა და ოფლი მაგათ დაღვარეს ცხვრების დაზრდაში. ერთი აირ-

ბინეს და ჩამოირბინეს. მორჩა და გათავდა... ეს იმათი ხელობაა ისე, როგორც ჩვენი — ჭამაა, ჭამა მადიანი. ჩვენი ნიჭი ამით გამოხატება, ხოლო იმათი — მოსწრება-გაგლეჯით. რა არის აქ საკვირველი და სასიქადულო? არაფერი. სრულებით უბრალო მოვლენაა. ხომ მიიღეს თავიანთი გასამრჯელო? ხომ გაძღენ ისინიც, როგორც ჩვენ. მაშ სხვა რა უნდათ? ყვავიც ჩვენი ძმაა. რაო ვითომ, რომ ისეთი უკადრისი სიტყვებით მიჰმართა ყორანმა, გააბიაბრუა და თავიც გაუტეხა. გარდა ამისა, ეს ადგილი და არემარე საერთო, საძმოა, ყველა ფრინველზე თუ ცხოველზე. — რაც აქ გაიზდება, ამ საერთო, საზოგადო მიჯნების ფარგალში. ყველა ჩვენგანს ერთნაირი თანასწორი უფლება აქვს. არ უნდა გვეშინოდეს იმისა, რად დავსაჯეთო, ვაი თუ გული გაუტყდეს, ხალისი დაეკარგოთ და ნადირობაზე ხელი აიღონო. სულ ტყუილია! ამისთანა ოინი წინადაც დაგვიწევია, მაგრამ მაგათ თავის საქციელზე ხელი არ აუღიათ, თუ მარჯვე შემთხვევა აქვთ, მუდამ ამას შვრებიან, მაშასადამე, ჩვენი ჯავრი კი არა აქვთ, თავის ჟინს იკლავენ, თავისთავს ასიამოვნებენ... მაშ, ასე არ არის?“

— სწორეა, სწორე!.. ვაშა, ვაშა! — დაიგუგუნა ერთხმად ფრინველთა გუნდმა.

ამის შემდეგ დაადგინეს, თუ ყორანი და მგელი უზრდელად არ მოიქცევიან, თავდასხმას მოერიდნენ.

განაჩენი რომ წაკითხულ იქმნა, სწორედ ამ დროს არწივმა ჩამოინავარდა, ზევით გახეჩილ კლდეთა შუაზე გამოჩნდა. ფრინველებმა საერთოდ სალამი მისცეს. არწივმა ბოდიში გადაიხადა და თან დასცინა: „ჰქეიფობთ, რაღა, ნაოხარზე?“

— ვქეიფობთ, მაშ რა ვქნათ, ბატონო! — გაისმა ფრინველთა ხმა. „ქეიფეთ!“ — სთქვა არწივმა, ბევრი ყური არ უგდო და კლდეებს მიეფარა.

— როგორ დაგვცინა?! — სთქვა ორბმა, როცა არწივი კარგად მოჰშორდა, — შენი კლანჭები მექნება, მე ვიცი, როგორც ვიქეიფებდი, მაგრამ, მოდი, რა ქნას კაცმა, როცა ღმერთმა არ მომცა მეტი ბედი და იღბალი.

„ოღონდაც, ოღონდაცო!“ — შეუმოწმეს ფრინველთა და აიშალნენ; დაიწყეს ჰაერში ტრიალი; ყველა ეძებდა თავის წასასვლელს ადგილს და ყველა თავისთვის ევედრებოდა ღმერთს, რომ ლეში არ მოეკლო მისთვის. დაიწყეს მარჯვნივ და მარცხნივ გორებში თავზე გადადენა.

საზარელი, საშინელი სუნი ტრიალებდა ჰაერში...

ყორანი სადღა იყო? რას აკეთებდა? — იჯდა მუხის ერთს ხმელს

ბინეს და ჩამოირბინეს. მორჩა და გათავდა... ეს იმათი ხელობაა ისე, როგორც ჩვენი — ჭამაა, ჭამა მადიანი. ჩვენი ნიჭი ამით გამოხატება, ხოლო იმათი — მოსწრება-გაგლეჯით. რა არის აქ საკვირველი და სასიქადულო? არაფერი. სრულებით უბრალო მოვლენაა. ხომ მიიღეს თავიანთი გასამრჯელო? ხომ გაძღენ ისინიც, როგორც ჩვენ. მაშ სხვა რა უნდათ? ყვავიც ჩვენი ძმაა. რაო ვითომ, რომ ისეთი უკადრისი სიტყვებით მიჰმართა ყორანმა, გააბიაბრუა და თავიც გაუტეხა. გარდა ამისა, ეს ადგილი და არემარე საერთო, საძმოა, ყველა ფრინველზე თუ ცხოველზე. — რაც აქ გაიზდება, ამ საერთო, საზოგადო მიჯნების ფარგალში. ყველა ჩვენგანს ერთნაირი თანასწორი უფლება აქვს. არ უნდა გვეშინოდეს იმისა, რად დავსაჯეთო, ვაი თუ გული გაუტყდეს, ხალისი დაეკარგოთ და ნადირობაზე ხელი აიღონო. სულ ტყუილია! ამისთანა ოინი წინადაც დაგვიწევია, მაგრამ მაგათ თავის საქციელზე ხელი არ აუღიათ, თუ მარჯვე შემთხვევა აქვთ, მუდამ ამას შვრებიან, მაშასადამე, ჩვენი ჯავრი კი არა აქვთ, თავის ჟინს იკლავენ, თავისთავს ასიამოვნებენ... მაშ, ასე არ არის?“

— სწორეა, სწორე!.. ვაშა, ვაშა! — დაიგუგუნა ერთხმად ფრინველთა გუნდმა.

ამის შემდეგ დაადგინეს, თუ ყორანი და მგელი უზრდელად არ მოიქცევიან, თავდასხმას მოერიდნენ.

განაჩენი რომ წაკითხულ იქმნა, სწორედ ამ დროს არწივმა ჩამოინავარდა, ზევით გახეჩილ კლდეთა შუაზე გამოჩნდა. ფრინველებმა საერთოდ სალამი მისცეს. არწივმა ბოდიში გადაიხადა და თან დასცინა: „ჰქეიფობთ, რაღა, ნაოხარზე?“

— ვქეიფობთ, მაშ რა ვქნათ, ბატონო! — გაისმა ფრინველთა ხმა. „ქეიფეთ!“ — სთქვა არწივმა, ბევრი ყური არ უგდო და კლდეებს მიეფარა.

— როგორ დაგვცინა?! — სთქვა ორბმა, როცა არწივი კარგად მოჰშორდა, — შენი კლანჭები მექნება, მე ვიცი, როგორც ვიქეიფებდი, მაგრამ, მოდი, რა ქნას კაცმა, როცა ღმერთმა არ მომცა მეტი ბედი და იღბალი.

„ოღონდაც, ოღონდაცო!“ — შეუმოწმეს ფრინველთა და აიშალნენ; დაიწყეს ჰაერში ტრიალი; ყველა ეძებდა თავის წასასვლელს ადგილს და ყველა თავისთვის ევედრებოდა ღმერთს, რომ ლეში არ მოეკლო მისთვის. დაიწყეს მარჯვნივ და მარცხნივ გორებში თავზე გადადენა.

საზარელი, საშინელი სუნი ტრიალებდა ჰაერში...

ყორანი სადღა იყო? რას აკეთებდა? — იჯდა მუხის ერთს ხმელს

ტოტზე და თვალებიდან ცრემლი ღაპაღუპით ჩამოსდიოდა. თან მუშტს იცემდა გულში: „მე მოვკვდე, თუ თქვენი ჯავრი ვჭამო! რა უბედურ დღესა ვარ გაჩენილი მე საწყალი? რამოდენა ცოდვას ვიღებ კისრად! რადა? რისთვის? რის გულისთვის? ვინ არის მადლობელი? რამდენჯერ გადავწყვიტე გულში, ამეღო ხელი ყორნობაზე და მეცხოვრა თავის ოფლით და შრომით, როგორც ბევრნი სხვანი ცხოვრობენ. ნუთუ იმდენს ვერ შევიძლებდი, მუდამ დღეს ლუკმა მეშოვა? თუკი ქეციანი ყვავი და გინგლიანი ძერა პოულობს დღის სარდოს, მე რაღა ღმერთი გამიწყრება, ვერ ვიშოვო?! მაგრამ, არა და არა, არ იქნა: ვერ დავძლიე ჩემი ფიქრი, ჩემი გუნება... არა უშავს-რა, ასე სჯობია... ეს კარგია... რამდენსა ვთხრი თვალებს და გემრიელად ვაკნატურებ. თუ ასე არ მოვიქეცი, ვინ მომცემს ცხვრისა და ცხოველების თვალებს საჭმელად?!. მხოლოდ, ეჰ, ამაგი არ მიფასდება, არავინაა ცისქვეშ ჩემი მადლობელი... ბრაზი მაღრჩობს, ბრაზი... მინდა, რომ გასწყდეს მთელი ფრინველთა სახსენებელი...“ — ამას რომ ამბობდა ყორანი, მაღლა გადმომავალმა სვავმა თეთრი ლაქა დააღვენთა და ჯერ ისევ სისხლიანი, მოკორტნილი თავი თეთრი ლაქით დაუბეჭდა...

აი, მისი შრომის, ამაგის დაფასება, — მისთვის მიძღვნილი სასჯიდელი!

[1905 წ.]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლექსის საძებრად

I

დემეტრეს სახლის ეზოში ღვინით სავსე ტიკები ეწყო. ეს-ეს იყო გაათავეს ღვინის ამოღება კარაპეტამ და დემეტრემ. ფულის სარგებელში დემეტრემ კარაპეტას ღვინო მიუწყო. მიკიტანი ეხლა მხოლოდ სადილსღა ელოდებოდა; ურემიც იქვე მზად იდგა, დაუდებდა ტიკებს და წაიღებდა. აივნის დირეზე იჯდა, კრიალოსანს აწკრიალებდა; ხოლო დემეტრეს ნაჯახი ეჭირა ხელში და ღია სახლის კარებში შეიცქირებოდა.

— რა დაგემართა, სადა ხარ აქამდის, ადამიანო? — სთქვა მან, — აქამდის კამეჩს დავკლავდი და გავატყავებდი, შენ ერთი ვარია ვერ დაგიჭერია? ჩქარა, მორჩი!

— ახლავე. მოიცა პატარა ხანი, საკენკი დავუყარე, — მოისმა შიგნიდან ხმა და თანაც კარები მოიხურა. სახლში ქათმები დაწიოკდა. ცოტა ხანს შემდეგ სახლის კარები ისევ გაიღო; გამოჩნდა დემეტრეს ცოლი მაგდანა, ხელში მოზრდილი ვარია ეჭირა, რომელიც საცოდავად ყვიროდა და ჭყიოდა, თითქოს ჰგრძნობდა თავის მომავალს. ჩამოართვა რა ვარიკა დემეტრემ ცოლსა, გაემართა ახლო მდებარე კუნძისაკენ, რომ იმაზე დაეკლა ქათამი.

— ტაბაკად კარგი იქნება, ხელად იქნება!.. — ამბობდა ხრინწიანი ხმით კარაპეტა.

— როგორც გესიამოვნება, — მიუგო დემეტრემ, — თუნდა ჩიხირთმად გავაკეთოთ.

— არა, გვიან იქნება, ტაბაკა სჯობია, — სთქვა კვალად კარაპეტამ და თან სიტყვას რამდენიმე მსხვილი ნერწყვი ჩააყოლა.

საითაც იყო და არ იყო, ჯერ ვარიისთვის დემეტრეს თავი არ მოეჭრა, რომ მამის ახლო მისი შვიდი წლის ლექსო გაჩნდა. დაინახა რა დასაკლავად გამზადებული ვარიკა, მორთო საშინელი ყვირილ-ტირილი: „ნუ, მამი, ნუ, შენ გენაცვალე, ნუ, ჩემს ნაცარას. ვაჰმე,

დედავ, დედიჯან, მოვკვდი!“ — ჰყვიროდა ლექსო, იგლეჯდა თმას და იკაწრიდა პირისახეს; ეტანებოდა მამას ხელებში და არ ანებებდა ვარიას დასაკლავად.

— დასწყევლა ღმერთმა! რა მოგვივიდა, ბიჭო, რა არი, მომეცა იქით, ქათამი დავკლა!! — ამბობდა გაჯავრებული დემეტრე.

ლექსო თანდათან უმატებდა ყვირილს და ტირილს, შვილმომკვდარ დედასავით გაჰკიოდა: „ნუ, ნაცარას, შენი ჭირიმე, მამი! მეც მოვკვდები, თუ მაგას დაჰკლავ! მიშველე, დედი, ნაცარას ჰკლავს მამაი!“

— ავაზაკია, ნამდვილი ავაზაკია! რა უნდა ჰქნას კაცმა, ვერ უყურებ ამასა? — სთქვა დემეტრემ.

— ბავშვია, რა ყურს უგდებ? — სთქვა კარაპეტამ, — ეხლა ტირის, თორემ როცა მოხრაკულ მაგის ხორცს დაინახავს, კარგად გიახლებათ, იქნება სჭამდეს და თანაც დამღეროს.

— შენი ბრალია კიდეც... შენთვის ჰკლამენ კიდეც ჩემ ნაცარას, — სთქვა ლექსომ და არასასიამოვნო ლექსით მოიხსენია კარაპეტა.

— ვერ უყურებ მაგ ლაწირაკს, — სთქვა კარაპეტამ და თანაც უსიამოვნოდ გაიღიმა.

— სუ, ჩუმად, ბიჭო, რას მიჰქარავ? — სთქვა დემეტრემ და თან ყუით ნაჯახი მოუღერა, — ემანდ ხმა გაიკმინდე, თორემ მე გაჩვენებ შენ სეირსა, შე არამზადავ; რა ვაჭამოთ, ბიჭო, მაშ სტუმარსა? მითხარი, შენ მითხარი, რომელი დავკლა, ქოჩორა? ღაბუა დედალი? — დაეკითხა დემეტრე თავის შვილს. ამ კითხვაზე ლექსო უფრო უმატებდა ტირილს.

— მაშ მამლაყინწას დავკლავ! — სთქვა კვალად დემეტრემ.

— არა, არა. — წარმოსთქვა ლექსომ უფრო მაღალის ხმით, გადაიქცა გულიმა, ტიროდა, ყვიროდა, იქნევდა ფეხებს, იშენდა თავში მუშტებს: „ვაჰმე, მამლაყინწავ, ჩემო მამლაყინწავ, ველარ იყივლებ!“ — გაჰკიოდა ლექსო.

— კარგი, დაანებე თავი! წადი, კაცო, ერთ ვარიას თებროს დაესესხე, მერე მივცეთ. თუკი არა შვრება, რა ვუყოთ მაშ? — სთქვა მაგდანამ და თან დაუწყო ყენება ლექსოს, — „ადექი, ადექი, შე ფინთო, შენა. ადე, წამო შინ, აღარ დაჰკლავს მამა, აღარ, ნუ გეშინიან, ნუ სტირი!“ — ეუბნებოდა დედა შვილსა. დემეტრე ხან ცოლს შესცქეროდა გაფითრებული, ხან კარაპეტას, რომელიც იქვე შორიახლოს იდგა ხელში კრიალოსნით და სახის გამომეტყველებით უკმაყოფილებას აცხადებდა.

დემეტრემ ბევრი ყოყმანისა და ტორტმანის შემდეგ მიჰმართა

შეზობელს და იქიდან გაიმართა ხელი. ლექსო კერის პირას ეჯდა ცრემლიან თვალებს იფშვნეტდა და თანაც შმიკშმიკებდა, ჯერ კიდევ ვერ მოეოხებინა გული ტირილით.

ზედადგარზე ჩალხანა ქვაბი დუღდა. ცოტა ხანს შემდეგ დემეტრემ ზღურბლიდამ თავის დედაკაცს თავმოჭრილი დედალი გადმოუგდო და მერე ქათმის თავიც მოაყოლა. მაგდანა დედლის ფურცქვას შეუდგა. ლექსომ დედალს თვალი გადაავლო და რა სცნო, რომ შინაური არ იყო, ცოტა გული დაიმშვიდა.

დიდხანს არ გაუვლია, რო დემეტრე და კარაპეტა კერის პირას ისხდენ, წინ ხონჩით პური ედგათ, ქაშანაურის თეფშზე — ცივად დანივრული დედალი. გვერდით სველი ხელადა ღვინით. სადღეგრძელო სადღეგრძელოს მოსდევდა. კარაპეტა დემეტრეს ვაზებს უდღეგრძელებდა, დემეტრე კიდევ „ჩოთქსა“ და „აღებ-მიცემას“; ლექსოს აინ-ოინები აღარ ახსოვდათ.

ხოლო ლექსოს გულში ღრმად ჩარჩა დღევანდელი სურათი და ამის გამო ფიქრებში წავიდა: „რამდონიც ვინმე მოვიდეს სტუმრად, რომ მამაჩემმა მოინდომოს ქათმის დაკვლა, ხომ ერთიც აღარ დარჩება?!. იქნება იმ დროს შინ არ ვიყო, მოვიდე და აღარსად ჩემი ნაცარა, აღარც ქოჩორა, აღარც ღაბუა, აღარც მამლაყინწა?!. ოჰ, უბედურობა იქნება დიდი ჩემს თავზე!“ — ამბობდა ლექსო თავისთვის. მერე რამდონი ამაგი აქვს ლექსოს ამ ქათმებზე? დედას არ ექნება იმდონი შრომა შვილებზე გაწეული. სულ ხელზე გოგმანით დაზარდა. ხელისგულზედ საკენკს აკენკებდა, თვალებს და ნისკარტს უკოცნიდა... აფსუს, ლექსოს ქათმებო! ვიღაც-ვიღაცების გულისათვის დემეტრემ უნდა თავები გააყრეინოს. ვითომ არაფერი, რაღა?!

II

ლექსოს ერთმა ფიქრმა გაუელვა თავში. ადგა და მაშინვე გარეთ გავიდა. „კარგი მოვიგონე, ძალიან კარგი!“— ამბობდა ლექსო თავისთვის, — „იქ ვერავინაც ვერ მიაგნებს, კარგად იქნებიან ჩემი ჯუჯულები, აქედან მუდამ დღე საკენკს ვუზიდავ, არასფერიც არ უშავთ“.

სად იქ უნდა გადაესახლა ქათმები ლექსოს, როგორ გგონიათ? — ხევ-გალმა საბძელ-კალო და გომური აქვს დემეტრეს, სწორედ იმ გომურში აპირებდა ლექსო ქათმების დაბანაკებას, რადგან გომური ცარიელი იყო... ლექსო უკვე ქათმების ჭერას შეუდგა, ღმერთმანი, გაუჭირდებოდა იმათი დაჭერა: ერთს თავისებურად დაუძახებდა „სკუპ“-ო და ქათამი მაშინვე დაყუნთდებოდა. „ქოჩორ, სკუპ! ნაცარ, სკუპ! მამლაყინწავ, სკუპ!“ — მორჩა და გათავდა. მაგრამ ოთხივეს

ხომ ერთად ვერ წაასხამდა, ამიტომ ჯერ ნაცარა და ღაბუა დაიჭირა, ამოიჩარა იღლიაში და გაექანა გომურისაკენ; შეაღო გომურის კარები. სად დასხას ქათმები, რო ქანდარა არსადა სჩანს. ამან ცოტად შეაფიქრიანა, მაგრამ მალე ღმერთმა უშველა: იქვე პირმოტეხილი ნიჩაბი იპოვნა, ბოსლის ერთს კუთხეში გარდიგარდმო გასდო და ზედ დაასკუპა ნაცარა და ღაბუა: „აქ იყავით გენაცვალე, ცოტა ხანს აქ მომიცადეთ; არ დავიგვიანებ, ეხლავე აქ გეახლებით“, ვარიკებმა გვერდზე მოიღრიცეს კისრები, ლექსოს ცალის თვალით გადმოჰხედეს და თანხმობის ნიშნად „კრრრი“-ობით უპასუხეს. „ხმა არ ამოიღოთ, არ ჩამოხვიდეთ, გესმით თუ არა?“ — განუმეორა ალექსიმ. პასუხად იგივე „კრრრ“ მოესმა. ვითომ, დიაღ, დიაღ, სწორედ ეგრე მოვიქცევითო. კარგად გვესმის, რასაც გვიბრძანებთო.

ლექსო ისევ შინისკენ გამოქანდა, გომურის კარები თან გამოუხურა. მოირბინა სახლის კარებზე. ცოტახანს ყური დაუგდო გარედან, კარები დაკეტილი იყო. სახლიდან მხიარულობის ხმა მოისმოდა. კარაპეტა უკვე „მრავალ-ჟამიერს“ დასძახოდა, დემეტრე, ლექსოს მამა, ბანს აძლევდა ჯერჯერობით, მაგრამ ბოლოს და ბოლოს კარაპეტას აღარ აცლიდა და თითონ უფრო მაღალი ხმითა ყვიროდა: „მრავა ჟამიერ! მრავა ჟამიერ!“ მაგდანა დიასახლისობდა, თავზე დასტრიალებდა ქმარსა და სტუმარსა.

— დედაკაცო, ჩვენ ხომ აღა კარაპეტასთვის ტაბაკა უნდა მიგვერთმია. ეს როგორ მოგვივიდა საქმე? მოდი, ერთი ტაბაკა მოგვიხერხე. ი ჩვენი ლექსოც გოგო-ბიჭებში იქნება გართული; ი ხომ ხელს ვეღარ შეგვიშლის? — ეუბნებოდა ცოლს ღვინისაგან გაბრუჟული დემეტრე.

დედის პასუხი ვეღარ გაიგონა ლექსომ, ხოლო მამის სიტყვების გაგონებაზე ჟრუანტელმა თავში დაჰკრა და ფეხებში გაურბინა. „ვაჰმეო“, წარმოსთქვა: „კიდე დაკვლას უპირებს მამაი!“ — სთქვა რა ეს ლექსომ, სწრაფად ბაღჩაში შევარდა. ქოჩორა და მამლაყინწა ლობის ძირას იყვნენ; მამალი ჰქექავდა ფეხებით ნაგავს და თან ქოჩორას ურუკრუკებდა, საუზმეზე ეპატიჟებოდა: მიირთვი, მიირთვი, ჩემო კარგოო!

ლექსოს ქათმები არ დაუფთხნენ. „სკუპ, მამალაყინწავ! და სკუპ, ქოჩორავ!“ — დაუძახა ნელის ხმით ლექსომ, თან აქეთ-იქით იხედებოდა, დედამ ან მამამ არ დამინახოსო. ხელად ორივე დაიჭირა, ამოიჩარა ისინიც იღლიაში და მოძუძგა თავგადაგლეჯილი გომურისაკენ. „სუთ, ჩუთ, ხმა არ ამოიღოთ, — თან ქოჩორასა და მამლაყინწას ჩაელაპარაკებოდა, — თორემ კაი დღე არ დაგადგებათო“. ქათმებიც, თითქოს ესმოდათ ლექსოს დარიგება, ხმას როდი იღებდენ...

მალე ლექსო უკვე გომურში იყო. მიჰმართა მის მიერ სახელდახელოდ გაკეთებულს ქანდარას. ლექსოს ელდა ეცა: მისი ღაბუა და ნაცარა აღარსად იყვნენ. „ვაჰმე!“ — წაიდუდუნა ლექსომ გულდაკოდილმა. სწორედ ამ დროს შორიახლოდან მოესმა: „კრრრ!“ ლექსომ მიირბინა იქ, საითაც ხმა მოესმა და დაინახა, მისი ღაბუა და ნაცარა ბაგაში ფუტკულაობდენ, ძველს, დარჩენილს ბზეში მარცვლებს ეძებდენ და, როგორც ეტყობოდათ, ძალიან კმაყოფილები იყვნენ თავიანთ ახალი ბინით.

ლექსომ საჩქაროდ მამლაყინწა და ქოჩორა შესვა ახალ ქანდარაზე და უთხრა ბრძანების კილოთი: „აქ იყავით, არ გაინძრეთ, თორემ ვაი თქვენს ტყავსო!“

შემდეგ ღაბუა და ნაცარას დაუწყო წურთნა: „თქვე ყაჩაღებო, თქვენა, მე არ გიბრძანეთ, არ ჩამოსულიყათ ქანდარიდან, როგორ გაბედეთ ჩამოსვლა, ჰა?“ სთქვა ეს ლექსომ და ჯერ ნაცარას ჩაარტყა თავში ოდნავ წკიპურტი. ნაცარამ მხოლოდ ერთი „ჭყუუ“ წარმოსთქვა და უკმაყოფილოდ შეჰხედა ლექსოს: ნეტავი არ გვაწუხებდე, ჩვენ ძალიან კარგადა ვართ, არაფერი გვიჭირს, ქანდარაზე რა უნდა ვაკეთოთ, როცა აქ ბაგაში თითო-ოროლა მარცვალს მაინცა ვპოულობთო?!

ლექსომ ამნაირადვე დასაჯა ღაბუა. მაგრამ არც ეს დარჩა ამ სასჯელით კმაყოფილი. წკიპურტის ჩარტყმაზე ღაბუამ „უჰ“ დაიძახა, მაგრამ, რადგანაც მეტს სასჯელს არ მოელოდა ლექსოსაგან, არც კი გაინძრა და არ ეცადა ხელიდან გაშვებოდა. ნაცარასა და ღაბუას ეს სასჯელი სიცილადაც არა ჰყოფნიდათ.

ლექსო მაინც თავისას არ იშლიდა. ოთხივე ქათამი ქანდარაზე გაამწკრივა, თავში მამალი დასო, იმის გვერდით ნაცარა მოუსვა, შემდეგ ღაბუა და სულ ბოლოს ქოჩორა.

„ემაგრე იყავით, არ ჩამოხვიდეთ, მინამ მე არ მოვალ და საკენკს არ მოგიტანთ, თორემ არ ვიცი, თუ რას გიზამთ!“ — ეუბნებოდა ლექსო და თან თითს უქნევდა, რამდენჯერმე გაუარ-გამოუარა თავის სამწყემსოს წინ: „თქვე ყუყუჩებო, არ იცით, რომ მე თქვენთვის კარგი მინდა? იცით. რა უბედურებას გადაგარჩინეთ? შენ, ეი, მამლაყინწავ, აქ ყივილს არ მოჰყვე, თორემ, იცოდე, ჯიჯლიბოს მოგაჭრი და წვერებსაც მოგაკრეჭ. გესმისთ, მოითმინეთ აქა, ეგრე ჭკვიანად, დინჯად იყავით“.

„კრა, კრა, კრااა!“ — გაისმა რამდენიმე ხმა, თანხმობის თუ უსიამოვნების ნიშნად, ღმერთმა უწყის, ხოლო ვარიკები დაბალ ხმაზე კუტკუტებდენ; თან თავის უფროს მამლაყინწას შესჩერებოდენ, ხან ლექსოს აკვირდებოდენ.

„მშვიდობით იყავით, ჩემო კარგებო, მე მალე გნახავთ. ბლომად საკენკს მოგიტანთ. ჭკვიანად იყავით, გარეთ არ გამოხვიდეთ, დაბლა არ ჩამოხვიდეთ, თორემ, იცოდეთ, ტყეში გაგრეკავთ. აღარც საკენკს დაგიყრით. შენ, ეი, მამლაყინწავ, ქათმებს არ გაუძღვე კიდე და გარეთ არ გამოჰრეკო. თორემ ცუდად იქნება შენი საქმე!“ პასუხად ქათმების მიერ ლექსოს მოესმა: „კრრრი“, „კრაა“ და „კრუშ“. ლექსომ შინისკენ გამოსწია და სწორედ იმ დროს გაჩნდა თავის სახლის ეზოში, რომ კარაპეტას და დემეტრეს ქეიფი უკვე გაეთავებინათ... ღვინიანი ტიკები ურემზე ეწყო, ტურებივით ყურებდაცქვეტილები. ურმის კოფოზე მისი ძია სესელა ეჯდა. კამეჩები გველებივით კუდებს იკლაკნიდენ, ჰგრძნობდენ, სესელა მალე გაუჯავრდებოდა იმათ წასასვლელად; კარაპეტა ლურჯს ხალებიან ცხენზე იჯდა და აქეთ-იქით ერყეოდა. მის მამას, დემეტრეს, ქუდმოხდილს, წინდების ამარას, კარაპეტას ცხენის ჯილავი ეჭირა, წინ და უკან ერყეოდა, შთაგონებით რაღაცას ელაპარაკებოდა, ცდილობდა სიმთვრალე არ შესტყობოდა, თვალებს ზარმაცად ახელდა და ჰხუჭავდა. ურემი დაიძრა. ტპიეო! — გაისმა სესელას ხმა და ზედაც დაერთო შოლტის ტყლაშუნი.

— მშვიდობით, დემეტრე!.. მშვიდობით, ნათლიდედ! — გაისმა კარაპეტას ხრინწიანი ხმაც.

— მშვიდობით ბრძანდებოდეთ! — მიჰყვა მხედარს და მის ცხენს კვალდაკვალ ცოლ-ქმრის მიძახილი.

ურემი დინჯად მიჭრიალებდა, კამეჩებიც დინჯად მიაბოტებდენ. ურმის უკან კარაპეტა მიაგოგმანებდა თავის ლურჯას.

— ქვეშაგები გამიშალე, ქვეშაგები, დედაკაცო! დავითვერ, დავითვერი ეს ოხერი და! აბა ჩქარა, რაღას სტორტმანობ, რა ვქნა?! — ეუბნებოდა დემეტრე ცოლს ბარბაცით.

— აქეთ, კაცო, აქეთ წამო, ემანდ ცეცხლში არ ჩაიბუგო, — ეუბნებოდა ქმარს ცოლი და თან ლოგინს უშლიდა. დემეტრე მიწვა, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, მიეგდო ქვეშაგებზე და თან ამოიხვნეშა. მზეც დაწოლას, ძილს აპირობდა: პირი უკვე გააბა გორის ფხას.

III

დასაღამოხნდა... ლექსომ მალედვე ქათმებს საკენკი ჩაუტანა, აკენკა, მიუალერსა, დააბინავა, გომურის კარები დაკეტა, საცა რომ ჭუჭუტანები შედიოდა ჩალაბულით ამოქოლა და ეხლა ისიც თავის ლოგინში დედის გვერდით იწვა, მაგრამ როდი ეძინა, ჩუმად ლოცულობდა, ღმერთს ევედრებოდა.

რას ლოცულობდა? რასა სთხოვდა ლექსო ღმერთს? აი რას: „ღმერთო, დაიხსენი ჩემი ქათმები ყოველი განსაცდელისაგან, რომ მელამ, ტურამ ან მგელმა კბილი არსაიდგან გაჰკრას!

„ღმერთო, ნუ გააგებინებ ჩემ დედ-მამას, საცა ქათმები მყავს დამალული.

„ღმერთო, ნუღარ მოიყვან ჩვენსას კარაპეტას; ღმერთო, შენ გენაცვალე, თორემ ერთხელაც იქნება გაჟინიანდება მამაჩემი და დაჰკლავს ან ნაცარას, ან ქოჩორას, ან მამლაყინწას.

„ღმერთო, ნურც ჩემ ნათლიას — გიჟ მათიას მოიყვან, ნურც მამასახლისს, რადგან იმათ მოსვლაზე მამაჩემი ქათმებსა ჰკლავს ხოლმე“.

ამ ლოცვა-ვედრებაში ლექსოს ჩაეძინა. ცუდი სიზმარი ნახა: კარაპეტა ისევ უკან დაბრუნებულიყო. იმათ ეზოში იდგა თავის ცხენით ყელმოღერებული და დემეტრეს გასვლას ელოდა. მისი მამა, დემეტრე, სამასპინძლოდ ემზადებოდა და მაგდანას ვარიკას უკვეთდა. „არა, არა! ნუ, ნუ!“ — დაიყვირა ლექსომ და წამოვარდა ქვეშაგებიდან.

მაგდანას ჯერ არ დაეძინა, შვილს პირჯვარი გადასწერა, შეშინდა: „რამ შეგაშინა, გენაცვალე? — ეუბნებოდა ლექსოს, — ღმერთი, სამას სამოცდასამი წმინდა გიორგი არს შენთანა!“ ლექსო ისევ ბურანში იყო. დედამ ხელები მოჰხვია და მიაწვინა ქვეშაგებში.

ჯერ კარგად გათენებული არ იყო, დემეტრე ახალუხა ლოგინში წამოჯდა, გაიჩმუჩნ-გამოიჩმუჩნა.

— დედაკაცო! — დაუძახა ცოლს დემეტრემ.

— რა იყო, ადამიანო? — მიუგო ცოლმა.

— ის იყო, რომა შენ ნახავ, თუ ჩვენი მამლაყინწა მელამ ან ტურამ არ გაითრია! — სთქვა დემეტრემ, — წუხელ აღარ უყივლია.

— თუ ეყივლა, მე ვიცი, შენ ბევრს რასმე გაიგებდი. მგონი თორმეტი ზარბაზანიც რო დაეცალათ ვისმე, იმის ხმასაც ვერ გაიგებდი, ისე მაგრა გეძინა, — მიუგო ცოლმა.

— ვნახოთ, თუ არა. მე კი მითქვამ და ეხლა შენ იცი, — სთქვა დემეტრემ.

ცოლ-ქმარი რომ ამის განსჯაში იყვნენ, ლექსო უკვე გომურში იყო თავის სამწყემსოსთან ერთად. ხელში ქუდით საკენკი ეჭირა და სთავაზობდა თავის საყვარელ ქათმებს მარცვლებს მარცვლებზე. ქათმებიც გარშემო ეხვეოდენ და კაკან-კრუშ-კრუშით დიდ მადლობას უხდიდენ თავის პატივისმცემელს.

[1905 წ.]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უძმოს-ძმა

(ფშავლების ცხოვრებიდან)

I

ტანით სწორედ მუხის ჯირკვსა ჰგავდა, ჩასხმული, ჩაკირული. წვივები ისეთი სქელი ჰქონდა, რომ ჩვეულებრივის ადამიანის თითოში სამი გამოიჭრებოდა. ამიტომ ჩალხო თავისთავს, როგორც უძმოს-ძმას, ისე წვივ-ტაგანს ეძახდა. და განა მარტო თავად? არა, — სხვანიც ამასვე ამტკიცებდენ. „აბა, დამკვლიე, ძმობილო, რა რიგ წვივ-ტაგანაი ვარო", — იტყოდა ხშირად ჩალხო თავის ტოლ-ამხანაგებში. ტაგანს ფშავლები რძის საწველ პატარა კოდს უძახიან. და ჩალხომაც თავისი წვივები ტაგანს დაამსგავსა. სიარულის დროს ისე მაგრა ადგამდა ფეხებს, რომ ხმელს დედამიწას იმისი კვალი, როგორც ბეჭედი ქაღალდს, ისე ცხადად ზედ აჩნდებოდა. ზამთარ-ზაფხულ გულგაღეღილი დადიოდა. ახალუხისას, სარტყელს ზევით, ორს ან სამს ღილს თუ შეიკრავდა. ამის გამო იყო, რომ განივრად ამოჭრილ შილის პერანგიდან, როგორც კაკლის ნუჟრები, ხშირის ბალნით დაფარული მოსჩანდა მისი გაუტეხელი გულმკერდი.

მარცხენა გვერდზე, მხარ-იღლივ თასმებზე დაკიდებული ჰქონდა სქელი, დაშიბული ტარიელის მათრახი. წითელს, ღაჟღაჟა სახეს ცისფერი, მოცინარი თვალები უმშვენებდა; ზევიდან ამ თვალებს, როგორც ჩარდახი, გადმოჰფარებოდა სქელი, შავი წარბები. მთელი მისი სხეულის აგებულება და სახის მეტყველება მოწმობდა, რომ ჩალხო შეურაცხყოფას ადვილად არავის აპატივებდა. მაინც ყველას ეშინოდა ჩალხოს მუშტისა; ვისაც იმისი ცარიელი მუშტი მოჰხვედრია, ყველა იძახოდა: „ქვა დამკრა მაგ ოჯახდაქცეულმა, ნამდვილად ქვა დამკრაო!"

მაგრამ ჩალხო, ეს უძმოს-ძმა, პირადად თავის შეურაცხმყოფელთ ხომ არ ეჩხუბებოდა, — ეს ძალიან იშვიათად მომხდარა, — არა,

უძმოს-ძმა სხვის გულისათვის ჩხუბობდა, სხვას ეშველებოდა. როცა კი დაინახავდა, რომ ერთს ორი ან სამი სცემდა, იგი მოსვენებას ჰკარგავდა და, როგორც თითონ იტყოდა, მაშინ „ეკლებზე იჯდა“. არ მოუთმენდა გული და პირდაპირ გადაირეოდა. დაჩაგრულის ნაცნობობა მისთვის როდი იყო საჭირო. საკმარისი იყო, დაჩაგრული ვინმე ენახა უსამართლოდ, ძალმეტობით, აცმრავლობით, რომ ჩალხოს თავი გადაედო სასიკვდილოდ. „რას სჩადით, ეი, ეჰეეე! არ იცითა, რო აქა ვარ უძმოს-ძმა?!“ — დაიბუხუნებდა, როგორც ვეფხვი, და გადიჭრებოდა მისაშველებლად თავის ჭრელის მათრახით და ვაი იმას, ვისაც ჩალხოს მოქნეული მუშტი ან მათრახი მოჰხვდებოდა! მისი ფეხზე დადგომა შეუძლებელი იყო. ბევრნი ამისათვის ჰგმობდენ და ამბობდენ: „უკეთურია, უჭკუოა, ბეჩავია, ეჩრება, საცა არავინ რასა ჰკითხავს, ძალად ჭირსა და ხათაბალას იცვამს თავზეო“.

უძმოს-ძმობა ბევრ საქმეს უჩენდა ჩალხოს და მრავალს უსიამოვნებასაც. ხატობებს, ქორწილებს ის არ დააკლდებოდა და, როგორც მოგეხსენებათ, ამისთანა ქეიფის დროს ხდება ყოველგვარი უსიამოვნება. თავად ჩალხოსაც ჩხუბის დროს, რა თქმა უნდა, ბევრი ჰხვდებოდა მუშტი, ჯოხი, თუ საცერული, რის გამოც თავი სულ გადაკორტნილი ჰქონდა, თითქოს ქათმებს ან ინდოურებს პურის ცომი უკენკიათო, ჭრილობაზე არავითარს წამალს არ მიიკარებდა, რაც უნდა ბევრი ჰხვეწნიყავით; სისხლს, პირიდან თუ თავიდან ჩამონადენს, მთელ ორ-სამ დღეს არ მოიბანდა. „ბიჭს ნაომრობა უნდა ეტყობოდეს“, — ამბობდა.

გათავდებოდა თუ არა ჩხუბი, დასჯიდა რა უძმოს-ძმა უსამართლობის ჩამდენთ, მიჰმართავდა სათამაშო მოედანს, სადაც ქალები გარმონს აჭყვიტინებდენ, ან ისმოდა სტვირისა დიდი, ბოხს ხმაზე დაძახილი: ნაღარა რაღაა, დატრიალდი, დატრიალდი, ტიტილ-ტიტილ, ნაღა, ტიტილი ნაღა!..

უძმოს-ძმა თამაშობის დროს საამო სანახავი იყო: ზოლ-ზოლად ჩამონადენი სისხლი ჯერ არ მიჰხმობოდა ხორცის კანზე, თვალებსახეგაბრწყინებული დაიძახებდა: „ტოში, ქალებო, ტოში! უძმოს-ძმა თამაშობს, დაუკარით! ფიცხი ფიცხი!“ დაიწყებდა რა თამაშობას, მიწა იძვროდა, ფეხებს ისე მაგრა სცემდა დაბლა, რომ მის ნაფეხურზე ბალახი აღარ ამოვიდოდა მისდღეში; როგორც ურო, მოკუმშული მუშტი, ვიდრე თამაშობას გაათავებდა, სულ მაღლა ეჭირა აშვერილი და ატრიალებდა წალმა-უკულმა.

ასე, რამდენიც ხანი გადიოდა, ჩალხოს წვივტაგანაობა შეიერთა, შთანთქა უძმოს-ძმობის სახელწოდებამ. დღეს ყველა ჩალხოს უძმოს-ძმას ეძახდა. ჩალხოს მტრობა ტოლ-ამხანაგებთან დიდხანს

არ გასტანდა: ოღონდ ერთი სიტყვა ვისმე კი წამოეყრანტალა შერიგებაზე, ის უკვე მზად იყო. ბევრ შემთხვევაში შუაკაცი არც კი იყო საჭირო; უძმოს-ძმა იქვე, დღეობაში, იმავე ან მეორე დღეს შეურიგდებოდა. თავადვე მივიდოდა თავის შეურაცხმყოფელის ბინაზე, დაადგებოდა თავზე და ეტყოდა: „არ შევრიგდეთა, ძმაო, სულ ხომ არ ვიჩხუბებთ? ადე, ბაშ მაკოცე, ადე, ჩქარა!“ მოპირდაპირეს რალა ეთქმოდა, — ადგებოდა და ერთმანეთს გადაჰკოცნიდენ. ხელდახელ მშვიდობიანობა ჩამოვარდებოდა. ცოტა ხანს შემდეგ ჩალხოს სიმღერაც გაისმოდა, მისივე „მტრების“ მობანებით:

ხანდახან შასმა ღვინოსა,
ხანდახან შამღერნებაო.
ხან ომი უნდა ძლიერი,
ხანდახან შასვენებაო.

ან ამ სიმღერას იტყოდა:

ყმა უმღერალი არ ვარგა,
ვაჟკაცი უხელებელი;
ვაჟკაცსა უხელებელსა
ქალი სჯობს უხსენებელი.

ჩალხომ იცოდა მხოლოდ სახალხო სიმღერები, რადგან წერა-კითხვისა არაფერი გაეგებოდა და თითო-ოროლა ადგილი „ვეფხვისტყაოსნიდან“ გაგონებით დასწავლილი ჰქონდა. უძმოს-ძმა ლაზღანდარა როდი იყო, მაგრამ ქეიფის დროს მღერა ძალიან უყვარდა. უყვარდა და მღეროდა საგმირო ლექსებს. აღფრთოვანებით და გატაცებით მღეროდა იმ სიმღერებს, სადაც იყო დასურათებული ქველობა, ვაჟკაცობა, ტყვეების დახსნა ტყვეობიდან, „ტყავ-გარექცევა“ ბიჭის მიერ.

ვაჟკაცს პურადზე გულადი
სამის გაფრენით მეტია.

თავადაც სულით და გულით სწყურდა დაჰმსგავსებოდა იმ „ტყავ-გარექცევა“ ტყვეთა მხსნელს ბიჭებს, იმათებრ სახელოვანი ყოფილიყო.

II

რამდენი უბედურება შეამთხვია ჩალხოს უძმოს-ძმობამ და რამდენჯერ ატირა დედა ცხარე ცრემლით, მაგრამ გულს მაინცდამაინც არ იღებდა, ვიდრე მუხლი მოსდევდა და მკლავი უჭრიდა. ერთხელ

ცაბაურთობას ფეხიც კი მოიტეხა. რამდენიმე ჯეილმა აუტეხეს ჩხუბი ერთს ჩობანს, რომელსაც ცხვრის ნათავარი თოხლი მოუყვანა ხატში და ერთიც მთავარანგელოზისათვის ასახელებული ჭედილა. მოუშარეს: აქ ქალებში დაძვრები, ათვალიერებ, ცუდი განზრახვა გაქვსო და სხვა ამისთანები მოდვეს შარად. საწყალი წააქციეს და ერთმა მათგანმა ყელში ჭირება დაუწყო. ჩალხო ამ დროს სიმღერაში და არაყის სმაში იყო გართული. დაინახა რა ეს სურათი, გაექანა მისაშველებლად. მოსჭიდა ხელი გამარჯვებულს ფშაველს, გააშვებინა ხელი, ასწია და გაასწორა წელში. „აქ ვერა მხედავა, ვინა ვარ, ძმობილო, რა ონა ჰქენით ამ საწყალს კაცზე? მე დამკარით, აბა, თუ კაი ბიჭები ხართ, აქ არი უძმოს-ძმაო“. სთქვა რა ეს, თან მიუყოლა მათრახიც. იგი წაიქცა. ორმა წაქცეულის ამხანაგმა ჩალხოს დაუშინეს, მაგრამ ვერ შედრიკეს. ჩალხომ დაირეკა ისენი მათრახით. რამდენსაც დაჰკრავდა, იმდენჯერ თან დააყოლებდა: „ემაგას დაგკრავსთ ყლარტიაული ფურის ბოჩოლა, უძმოს-ძმას რო ეძახიანო“. გვერდობი ალაგი იყო. მთელი ხალხი — კაცი და ქალი — იქ მოაწვა. ჩალხოს როგორღაც ფეხი დაუსხლტა და იქვე წარაფს კლდეზე გადიჩეხა. შეჰქმნეს ქალებმა წივილ-კივილი: „ვაჰმე, დაიღუპა კაცი, მოკვდა კაციო“, მხოლოდ ეს ისმოდა.

— არ მოვკვდი, არა. ცოცხალი ვარ და დედებს ვუტირებ ყველას, ვინც ბეჩავს კაცს იჩოლბოტებს!.. — მოისმა კლდის ძირიდან ჩალხოს მჭეხარი ხმა.

ჩავიდა ხალხი, გამოჩნდენ დოსტაქრები და დაუწყეს ხვევა ჩალხოს ფეხს. არტახებით შეუკრეს, თუმცა ჩალხო წყრებოდა, ჯავრობდა: არაფერი მიშავ, ჩემთვის არტახები საჭირო არ არისო. ახლა იმაზე გაწყრა, როგორ თუ ხელის კიდებით უნდა წამიყვანოთო. ჩალხო რო მოჰყვანდათ. თავისას მაინც არ იშლიდა და უთვლიდა მუქარას თავის მოპირდაპირეთ: „კიდევაც მოვა ზაფხული, დროშანი აებმიანო. დაიცათ, დედას გიტირებთ ყლარტიაულ ფურის გაზდილიო“. ჩალხო შინამდე ხალხს უნდოდა საკაცით მიეტანათ, მაგრამ ამაზე ვერ დაითანხმეს, თუმცა ბევრს ეცადნენ, და რომ ვერაფერს გახდენ, შესვეს ცხენზე და ისე მიიყვანეს მის სახლში.

— აბა, რაღა მეშველება, შე დედა-მამკვდარო, რაზე დამღუპე და დამაქციე! რაზე შემამიგდე წყალი? რაზე გამომჭერ ყელი? რა გარგო ქვეყანამ და უძმოს-ძმობამ, შე ბეჩავო? შენის ელდით აღარა ვარ. არ არის ჩემთვის მოსვენება არც დღე, არც ღამე, არა გწამა ღმერთი ან ხატი, რაზე მაღონებ, ბიჭო? — უთხრა ჩალხოს დედამ, როცა ჩალხო ჩამოახდინეს ცხენიდან.

ჩალხო ხმას არ იღებდა, დინჯად იჯდა დერეფანში ტახტად გადებულს, ცულით გათლილს ფიცარზე.

— რა გაჩივლებს და გატირებს, შე საწყალო? — უთხრა დედას ბოლოს ჩალხომ, — განა კი მოვკვდები? მამირჩება ფეხი და ისევ ჩალხო ვიქნები, უფრო უკეთესი ყანები გაჯავრებს, სათიბი? ნუ გეჯავრება.

— სადა და როდის? — უთხრა დედამ მზევინარმა, — ქვეყანამ კიდეც მოიკლო ნამუშაველი და ჩვენ ჯერ ნამგალიც არ შაგვიტანია ყანაში... რა იყო, ბიჭო, რა დაგემართა? აბა მაჩვენე ფეხი, სადა გტკივა? — დაუწყო სინჯვა დედამ და თან ცრემლები ჩამოსდიოდა თვალთაგან და ასველებდა ჩალხოს ყაბალახს, რომლითაც ფეხი ჰქონდა შახვეული. — „ვაჰმე და ქვა მე, — სთქვა კვალად მზევინარმა, — რა ბეჩავს დღესა ვარ და ხარ, შვილო, გაჩენილი... ვაჰმე, რა უჭკუო ხარ! რა ვქნა ამ წყალწაღებულმა!“

— ნუ წუწუნებ ერთი, თუ ღმერთი გწამს, ჩემო დედავ! არა მიჭირს მე სატირელი.

ჩალხოს დედამ საკუთარი ექიმობაც მოიშველია და დაუწყო ჩალხოს წამლობა, ხოლო მხარში ამოსადები და ტანის დასანაბრები ყავარჯენი უძმოს-ძმას ძმობილმა როსტიამ გაუკეთა. საწოლი ლოგინი ჩალხომ იქვე, რომელ ფიცარზედაც იჯდა, იმაზე გაიკეთა: გაფინა ზედ ხმელი თივა, თივაზე თეთრი, გახეხილი ნაბადი გადააფარა; ზედსახურად თავისი მოსახვევი ნაბადი ჰქონდა. ზაფხული იყო. თავით ედგა პირმოტეხილი ჩარექა წყალით. ჩალხო გასცქეროდა პირდაპირ ყანებით დაფარულს ფერდოებს. ბრაზი მოსდიოდა,—სხვების ყანები იმკებოდა: ბევრი მუშა ადგა თავს, ხოლო მის ყანაში მოსჩანდა მარტო მისი დედა მზევინარი, რომელიც დილიდან საღამომდე ორად მოხრილი თავაუღებლად მუშაობდა, მკიდა ყანას და ძნასაც თვითონვე ჰკონავდა, მაგრამ ვერ ახანებდა. ან რას გაახანებდა მარტოკა სამოცი წლის ადამიანი? უძმოს-ძმა ამოიოხრებდა მხოლოდ, არაფერს იტყოდა.

ჩალხოს არიგებდენ, სხვის ქომაგობასა და ჩხუბზე ხელის აღებას ურჩევდენ, მაგრამ იგი მაინც არ ტყდებოდა.

„რა ვქნა, გული არ იშლის, ოხერი-და! — ამბობდა იგი, — ბევრჯელ მინდა თავი მოვარიდო, მაგრამ დაჩაგრულს რომ ვნახავ, ჩემი გული იწვერნებს, მეზიდება, მიმათრევს, აღარა მახსოვს მაშინ აღარც თავი, აღარც სახლი, აღარც დედა, არც ცხოვრება. აი, ეგა ვარ. ამიღეთ და გადამაგდეთ კლდეზე, ან ერთი ლოდი აიღეთ, დამეცით თავში, მორჩა და გათავდა. ღმერთს ეგრე გავუჩენივარ: აჰათ, დამშალეთ და მეორედ ამაგეთ!“

დედაც ბევრს არიგებდა, აშინებდა ამით, — თავს მოვიკლავ, ან გაგეყრები, წავალ მამის სახლში. მთელს ქვეყანაში თავს მოგჭრი, კარში გამოსავალს დაგილევო.

უძმოს-ძმა ხანდახან დაფიქრდებოდა და იტყოდა თავისთვის: „ეჰ, ამის პატრონის!.. უნდა ჩხუბზე ხელი ავიღო, აღარც ვისა ვცა, აღარც ვის ვეცემი, ვეგდები ჩემთვის ჭკვიანად. მაგრამ რა, ტყუილია, სულ ტყუილია, გული არ გამიძლებს, ისევ ვიჩხუბებ, ტყუილია. ტყუილად ვამბობ. ბევრჯელა ვთქვი, აღარ ვიჩხუბოვო, მაგრამ არ იქნა, მათრახები რო დატყვრება, ჩხუბად რო გახდება, გული ამიღებს, ტანში ჟრუანტელი დამიდის, კანკალს მომკიდებს. არ ვიცი, ზოგს რის გული უძე, ან რის სისხლი უდგა, რომ მეჩხუბრებისაკე არც კი მიიხედავს, ჩაჰხედავს დინჯად არაყიანს ყანწს და ციცასავით ენით ტუჩებს ილოკს. აბა რა კაცია ესეთი კაცი? არაფერი, კაცუნაა. მაშ მეც კაცუნა უნდა ვიყო? ტყუილია, სულ ტყუილი!“

გარედან ჩაძახილი ხმა ვერა სძალავდა ჩალხოს გულიდან ამოძახილს ხმას, ვერა სთრგუნავდა მის შეუპოვარს, გაუტეხელს გულისთქმას.

ჩალხო ფეხისაგან ორი თვე იწვა. იქვე, გვერდით, ყორეში შატანებულს პალოზე იყო ჩამოკიდებული იმის დაშიბული მათრახი. დააცქერდებოდა თავის მათრახს, რომელიც ძმასავით უყვარდა, და იტყოდა: „ნუ გეშინიან, ჩემო მათრახო, კიდევ სად დაგატრიალებ, ძმობის მადლმა. კიდევაც მუა ზაფხული, დროშანი აესხმიანო“.

ჩალხოს უძმოს-ძმობამ ბევრი წყლული, ცემა-ტყეპა შესძლვნა და ერთადერთი სიკეთე — ცოლი აშოვნინა. გოგო ისეთი, როგორც მარწყვი. ჩხუბში ნახა ქალთამზემ ჩალხო პირველად, თუმც იმის სახელი წინათაც გაგონილი ჰქონდა. უძმოს-ძმა, მოჩხუბარი ჩალხო მოეწონა, შეუყვარდა და გაჰყვა ცოლად.

კარგს ყმას. შაჰყვარდი, ქალო,
ნუ სახსა ცხვარ-ბევრისასა,
კარგი ყოფნა და ქონება
მუხს მააქვ კარგის ყმისასა.

III

დღეს ჩალხო სამოცის წლის კაცია. ღარიბად ცხოვრობს. ცოლი ერთგული დედაკაცი გამოადგა. შვილად ერთი ვაჟი და ქალი ჰყავს: ქალი — გათხოვილი, ვაჟი სხვასთან არის ცხვარში ჩობნად. ჰყავს ოთხი-ხუთი სული ძროხა, იმათა მწყსის. აქვს სხვასთან ზიარი წისქვილი. ერთი ქვა ჩალხოსია, ერთი სხვისა — ხელდადგულათ გამი-

ხარდისა. თუ რა ღირსების წისქვილია და რა ჯურისა, ეს იმ ლექსი-
დანა სჩანს, რომელიც ხალხმა გამოთქვა წისქვილზე:

ჩალხომ გამართა წისქვილი,
კადაჩალს გააქვს გრიალი,
ორად სტეხს, სამად აღარა,
ეგ მამა-მადლის ტიალი.

ცოცხალნივ გადმეეყარნეს
ყელში ჩაცვინულნ ჭიანი,
მანდ ჭავჭავაძენ არ დაჰფქვენ,
ჩალხოს საფერი კი არი.

როგორც ჩალხო დაბერდა, ისე მისი წისქვილი და, რა თქმა უნდა, დღეს ერთსაც აბუჩად დაიჭერდა ქვეყანა და მეორესაც, წისქვილი გაილია, ასლსა და სიმინდს ვეღარა ჰფქვავდა. მაგრამ ჩალხომ მოახერხა და წისქვილს ზევიდან დიდი ლოდი დაადო სიმძიმის გულისთვის.

ხშირად იშლებოდა ჩალხოს წისქვილი, რადგან უმინდოდ ჰფქვავდა ყველა: ჩალხო უარს ვერ ეტყოდა, რის გამო მოზიარე გამიხარდი ხშირად ეჩხუბებოდა ჩალხოს.

— შენს სიცოცხლეში სუ უკლო როგორ უნდა იყო, შე ბეჩავო?! რაზე აშლეინებ და ანგრეინებ მა წისქვილს ქვეყანას? — ეტყოდა ხშირად გამიხარდი, — ასკარტუნე ეხლა, მართე, შაძვერ და გამოძვერ საღორეში.

— რა ვუყო მაშა? — ქვეყანაა, მეზობლობაა. სიკვდილ-სიცოცხლეა, მადლია, — ეტყოდა ჩალხო პასუხად, ჩალხო, დღესაც ისევ იგივე უძმოს-ძმა, მხოლოდ სხვა სახით, დღეს ისევ მუშტით ვეღარ მიეშველებოდა გაჭირვებულს და ეშველებოდა, რითაც შაეძლო.

— შენც რო გიჭირს, შე ბეჩავო, თავზე ქუდი არა გხურავ და ფეხებზე ქალმები არ გაცვავ? გლახა გამცემარა ქურდზე უარესიაო, არ იცი? არ გაგიგონია? — ეტყოდა კვალად გამიხარდი.

— ვიცი, მაგრამ რა ვუყო, მადლობა ღმერთსა. მე ეხლა ვეღარ გავმდიდრდები, ჩემის წისქვილისა კი არა, რაც ჩვენს სოფელში წისქვილებია, იმათი მინდიც რომ მე ავიღოო, — უპასუხებდა ჩალხო.

ჩალხოს, მართლაც, ძალიან ხშირად უნდებოდა წისქვილის მართვა, და სულ იმის გაზიდვაში იყო. ხან ბორბალსა ჰმართავდა, ხან გულს უმაგრებდა, ხან ქვებს აწყობდა ერთმანეთზე. საცოდავად ღრიჭინებდა იმის წისქვილი. შორს, ძალიან კარგა შორს ისმოდა მისი

ლრიჭინი, სადაც სარეკელაზე ჰქონდა დაკრული ნალის ნამტვრევები, რომლებიც ბუკ-წინწილას ხმას გამოსცემდენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამვლელ-გამომვლელი ხუმარა ბიჭები ცოტახნობით მაინც შედგებიან, როცა ჩალხოს წისქვილს მიუახლოვდებიან.

— ბიჭო, აბა ყური დაუგდე, რას იძახის ჩალხოს წისქვილი? კაი ბიჭი იქნები და იცნობ. — ეუბნებოდა ერთი მეორეს.

— რა დიდი ცნობა უნდა, ცხადია, რასაც ამბობს, — უპასუხებს მეორე. — ბიჭოს, ბიჭოს! — ჰე, ჰეე! — თან იცინის. ორივენი ყურს მიუპყრობენ გვერდზე დახრილები და წელში მოხრილები. ხოლო ერთი უთარგმნის ჩალხოს წისქვილის ლაპარაკს: ჰაი, ჰაი, ვაი, ვაი, ჩალხო, ჩალხო, რაღა ხარ? რაღა ხარ? იი, ჰოო! მიჭირს, მიჭირს, მამეშველე, მამეშველეეეე! გიკ...ვ...დე...ე...ბიიი!

— ყოჩაღ, ყოჩაღ! აჰხსენი! — ეტყვის მეორე და ორივენი ტკბილად გადიხარხარებენ.

ჩალხომაც კარგად იცის, რომ დასცინიან ორივეს, პატრონს და მის წისქვილს, მაგრამ არ ივლებს ბაიბუად და ამბობს: „ვინც რა უნდა თქვასო, წისქვილმა კი ფქვასო“. არავის არ ემდურის, არავის არ ლანძღავს, მხოლოდ, რომ დაფიქრდება, მოიგონებს თავის წარსულს ცხოვრებას, ამოიოხრებს და იტყვის: „საკვირველი ვიყავ, საკვირველი, სხვების საქმეში დაღალული, რაც მე ქვეყნის მუშაში (მამითადი) დავღალულვარ, სხვის საქმე მიკეთებია, იმის ნახევარი რო თავის სახლისათვის მერგო, ჩემზე წინ კაცი არ იქნებოდა. ახლა ნაჭრევები, ნაცემი რამდენი მჭირს სულ სხვის გულისათვის. ვინ დასთვლის? ეჰ, მადლობა შენთვის, უფალო, ნეტავი ისევ ჯეილი მქნა და თუნდა ათჯერ ამაზე მეტიც მამხვედრიყო, კიდევაც ავიტანდი. სიბერე, ეს ოხერი, ცუდი ჭირი ყოფილა. შინ ჯალაფთ მოძულებული გარეთაც აღარავის უნდივარ. სიცოცხლე მანამდე ულირს კაცს, მანამ იმას ქვეყანა რასმე გამოელის. მეც მარტო მაშინ მიღირდა სიცოცხლე და მაშინ ვიყავ კაი ბიჭი, მანამ ყველა გაჭირვებულს ჩემზე ჰრჩებოდა თვალი და ფიქრობდა: ან ეხლა მამეშველება ჩალხო, ან ეხლაო. აი, მაშინა ღირდა ჩემი სიცოცხლე სიცოცხლედ. ეხლა რა ვარ? არაფერი. იმისთანა საქმეს რო შავესწრო, უნდა თვალები დავხუჭო... ფუჰ!..

როცა არაყი ედგა და სტუმარი ვინმე ეწვეოდა, მომეტებულ ნაწილს შესანდობრებს სვამდა; იგონებდა გარდაცვალებულთ: დედამამას, ბიძას, თავის საყვარელ ტოლ-ამხანაგებს, რომელნიც გავიდენ ამ სოფლიდგან... „ღმერთმა შაიწყალოს, ღმერთმა გაანათლოს იმათი სული ამ გძელ ქვეყანას, დამრჩოები დიდხანს უცოცხლოს მამგონედ. კაი დროს დაიხოცნენ. ნეტავი მეც მომკლა, რის მაქნისიღა

ვარ, აბა, აქ რაღას ვაკეთებო და მეც იმათთან რად არ წავალო“ შესანდობარს როცა ამბობს, ცალ ხელში უჭირავს გაქუცული ტყავის ქუდი, რომელიც კინკრიხოს ძლივს უფარავს და მეორეში — არაყიანი ყანწი.

ჩალხოს ერთი იდეალი ჰქონდა, რომლის აუსრულებლობა გულს უკლავდა: ძალიან უნდოდა შაეძინა ერთი საარაყე ქვაბი, მაგრამ სიყმე სიბერედ აქცია და, არ იქნა, ვერ მოახერხა ქვაბის ყიდვა. ან კი რად უნდოდა საცოდავს? ისიც ქვეყნის სათრევლად, საწველად გახდებოდა, როგორც წისქვილი და ბოლოს საშაიროდაც.

თუმცა ჩალხო დღეს ემდურებოდა წუთისოფელს, სიბერეს, — აღარც თავს ვარგივარ, აღარც ქვეყანასაო, მაგრამ დღეს უკეთესი უძმოს-ძმა იყო. სადაც რამე სარიდი ჭირით მიცვალებული გაჩნდებოდა, ის იყო პირველი მოზარე მკვდრისა და მანუგეშებელი ოჯახისა. სხვები ერიდებოდენ, მაგრამ ჩალხოს მორიდებას ვინ იტყოდა? მაგრამ არც ერთი გადამდების ჭირით ავად არ გამხდარა. „ხე და ქვას რა მოუდგება“, იტყოდენ თავის გასამართლებლად მისი მეზობლები. სიბერის დროს ჩალხომ კიდევ იმდენი შესძლო, რომ დიყელიდან ყელჭირვებით დახოცილი იმედა და იმის ერთადერთი ქალი ჩამოიტანა; თავზარდაცემული ხალხი დაფრთხა, არავინ მიეკარა ახლოს, საქმე იქამდის მიდიოდა, ლამის იყო მკვდრები ზეზეურად დამდნარიყვნენ.

„გცხვენოდეთ, გცხვენოდეთ! ღმერთმა შაგარცხვინოთ, ღმერთმა!.. ეგ არი ძმობა და მეზობლობა?!“ — ეუბნებოდა ჩალხო შეკრებილს ხალხს და თან მუხლამდე თოვლს მიჰკვალავდა: „მე წავალ, მე, მარტოკა, მე ჩამოვიტან მკვდრებს. თქვენ შინ წადით, შინ ცოლებთან დაიმალენით, ხუმრობა საქმე არ არი, თავი კარში არ გამოჰყოთ, თორემ ჭირი მოგხვდებათ...“

ჩალხომ მართლა მარტოკამ ჩამოათრია მკვდრები სათრულით, მხოლოდ დაბლა ჭალაში რომ ჩამოიტანა, მოაშველეს სხვებმა ხარები და მარხილი, რაზედაც მკვდრები ჩალხომ დაასვენა: სხვები კი შორიახლოს გაჰყვნენ მიცვალებულებს სასაფლაომდე, სადაც საფლავის მთხრელები, მღვდელი და დიაკვანი დაჰხვდათ.

დღეს უძმოს-ძმა, თუმცა სამოც წელს გადაცილებულია, მაგრამ კიდევაც არავინ გაიცინებს, რომ ეთქვათ: „შენი ჭირიმე პირშია — კარგი ხარ გასაჭირშიაო“...

V

ამ წუთისოფელს თავი და ბოლო ერთად უძევს. ეს ჩალხოს ცხოვრებამაც დაამტკიცა: ერთ კვირა დღეს „კანცელიის“ კარებზე

კიდევ დასჭირდა ჩალხოს ჯეილობის დროინდელ ვაჟკაცობის გამოჩენა, მხოლოდ უმათრახოდ; დღეს ჩალხო მათრახს აღარ ატარებს. შესანიშნავი, სახელოვანი მისი მათრახი, ანუ, უკედ რომ ვთქვათ, ლახტი. მაღლა კარებზე ჰკიდია შებოლილ-შემოჭვარტლული; ბოლსა და ჭვარტლს ისე გაუშავებია, როგორც ყორნის ბოლო. ათასში ერთხელღა თუ შეჰხედავს ჩალხო თავის დაძველებულს სატრფოს და იტყვის: „ეჰ, წავიდა მაგის დრო, აღარ არი; მათრახის და მუშტის დრო მაშინ იყო, როცა მკლავფიქალა ფშაველები იყვნენ, ეხლა მორჩა!..“

დასჭირდა სიბერის დროსაც ჩალხოს უძმოს-ძმობის გამოჩენა.

კანცელარიასთან მთელს საზოგადოებას მოეყარა თავი ბოქაულის დაბარებით. ბოქაულიც იქ იყო თავის სტრაჟნიკებით. ბოქაული ბალკონზე იჯდა, ჩაის მიირთმევდა, ხოლო ხალხი კანცელარიის წინ იდგა გროვად. გროვიდან ერთი ჩალხოს კბილის მოხუცებული ქუდმოხდილი შესთხოვდა ბოქაულს: „ღმერთი გადღეგრძელებს, გაგვარჩიეთ დაგვაშორეთ ერთიმეორეს, არ მანებებს, ბატონო, ჩემს მამულს! თოფითა და ხმალით მიდგება წინ: ჩემია, შიგ მოვკვდები და არ დაგანებებო, იმას მეუბნება. მეც რო თოფი და მახვილი ავიღო, ერთმანეთს დავხოცთ, თქვენ გაგვასამართლეთ“.

— ოჰ, დაიწყებს ეხლა ეს ბერიკაცი და აღარ გაათავებს, — წარმოსთქვა ბოქაულმა, — ვინ არ განებებს?

— განა არ მოგეხსენებათ, ვინც არი, ახალი საქმე ხო არ არი. რამდენი ხანია თქვენთანა ვჩივი? — სთქვა მოხუცმა.

— მერე, შე გამოჩერჩეტებულო, შენს მეტი აღარავინა ჩივის? სათითაოდ საიდან დავიხსონო თქვენი საქმე და გვარები?! ვის უჩივიმეთქი, მე იმას გეკითხები. მომეცი აბის პასუხი...

— ვისა და ქერჯელათ ხუმარას, — მიუგო მოხუცმა.

— თქვენი საქმე მამასახლისს დავავალე, იმას უნდა გაესინჯა ადგილობრივ და მართალი მხარე დაეკმაყოფილებინა. ეგ ჩემი საქმე არ არი, — სთქვა პრისტავმა შუბლშეკვრით, — დაუძახეთ მამასახლისს, სად არის ქენჯელაშვილი?..

ორივენი მალე პრისტავის წინ გამოიხატნენ.

— მამასახლისო! რაც გიბრძანე ამ მოხუცებულის საჩივრის გამო, აასრულე თუ არა? — სთქვა განრისხებით ბოქაულმა.

— ყველაფერი, ბატონო, უნაკლულოდ, მაგრამ ეს მოხუცებული არა ხდება თანახმა; სტყუის და ჯიუტობს, — წარმოსთქვა მედიდურად მამასახლისმა.

— იმითა ვსტყუი, განა, რო ხუმარამ ერთი ლიტრა ერბო და ერთი ლიტრა თაფლი მოგიტანა? საკლავი დაგიკლა და მთელი დღე

და ღამე გაქეიფა? შამირცხვა თქვენი სამართალი! — სთქვა მოხუცმა.

პრისტავი ძალიან გაარისხა მოხუცის სიტყვებმა და მაშინვე შეესაფერი განკარგულება მოახდინა.

— ჰაი, თქვე მამაძაღლებო, არა ხარ კმაყოფილი?! ჩაფარო, მათრახი მაგას!

ჩაფარმაც მათრახები მიაყოლა მოხუცს.

აქ მდგომი ხალხი, სულგანაბული, გაყუჩებული, გაჩუმებული ხმაამოუღებლად შესჩერებოდა ამ უმსგავს სურათს. მხოლოდ ჩალხომ ვერ მოითმინა, ჯერ თავისი გაქუცული ქუდი მოიშვლიპა თავიდან და სთხოვა პრისტავს ეპატიებინა და, თხოვნამ რომ არ გასჭრა, ჩაფარს მოავლო ხელი და გამოსწია აქეთ.

— რასა სჩადი, კაცო, რა დააშავა ამ საწყალმა ბერიკაცმა, რო აგრე უდივრად ეპყრობი? — უთხრა ჩალხომ ჩაფარს. სხვანი ხელს არ ანძრევდენ.

— Ето тоже с ним вместе! — დაიყვირა ბოქაულმა მაღლიდან. ჩაფარმა ახლა ჩალხოს მიაყოლა მათრახები.

— დამკარ, მე დამკარ, აქა ვარ, კიდევ დამკარ!.. ეს ერთი... ეს ორი... ეს სამი!... — სთქვა ჩალხომ. ჩაფარი მეოთხედაც უპირებდა დარტყმას, რომ ჩალხო აენთო, საკირის ცეცხლი დაენთო იმის თვალებში და სახეზე. „გიჟია ეს მუდრეგი, რაზედ მაჯდება ამ დროულ კაცს, არა გცხვენიან?“ — და ჩალხომ ხელი ისე მაგრა ჰკრა გულში, რომ ჩაფარი იმავ წამს გულაღმა გაიშხლართა ჩალხოს წინ. ხალხმა ეხლა გამოიღო მხოლოდ ხელი და ჩალხოს შემოეხვია. უძმოს-ძმას იჭერდენ და ასუსუებდენ.

— რას ამბობთ, დაჰგიჟდით, ხალხნო?! — ეუბნებოდა ჩალხო ხალხს, რომელიც უმტკიცებდა, რომ სამსახურის კაცებია, კარგი არა შაგემთხვევა მაგათ ხელის შებრუნებითო.

ბოქაული სულგრძელი გამოდგა: ჯერ-ხანად გომურში დამწყვდევა გაუბედა, მხოლოდ მოხუცებულობის გამო აპატივა.

ხოლო ჩაფარს კი დასცინოდა ბოქაული:

— Как же тебя свалил старик, а?

— Так, случайно вышло, ваше благородие, — უპასუხებდა სტრაჟნიკი, რომელსაც რცხვენოდა ჩალხოსაგან მოულოდნელი დამარცხება.

იქ დამსწრენი ამ ამბავს რომ მოიგონებენ, დღესაც ბევრს იცინიან თავის სამარცხვინოდ. ხოლო იმ დღეს კი დიდი პატივი სცეს უძმოს-ძმას. დაიპატიჟეს და ღვინო ასვეს... „არ დაბერებულხარ, არა, ოი, შენი ჭირიმე, ჩემო ბიძი!“ — ეუბნებოდენ ახალგაზდები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვისაც მოუკლავ, ის მოჰკლავს
ხარსა ირემსა რქიანსა...

ნხვას რას მოელით, მკითხველო, ჩემგან ან ჩალხოსაგან? ამის მეტს ვერას გეტყვით იმის პიროვნებაზე, იქნებ გინდათ იმის სიკვდილის ამბავიც იცოდეთ? — ჯერ არ მომკვდარა, ისევ ცოცხალია, ხან საქონელს დასდევს ჩამოგლეჯილ ტყავით და გაქუცულის ქუდით და მისძახის: ო, მამო, ირმავ, ო, დედო, დაიელნავ!“ ხან თავის ყბადაღებულს წისქვილში ასკარტუნებს და ისმენს მოზიარის გამიხარდის საყვედურს: „შე უკლოვ, შე უკეთურო, შენა!“

[1906 წ.]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ირემი

ყვირილით, კიჟინით მორბოდა აუარებელი ხალხი. ხელში ზოგს თოფი ეჭირა. ზოგს ხმალი, სხვას ხანჯალი, შუბი, ყველას — ერთი რამ მომაკვდინებელი იარაღი. — საით წავიდა, საით გაიქცა? — ეკითხებოდა ერთი მეორეს: „მაშ წავიდა, წავიდა? ვერ მოჰკალით?..“

უკმაყოფილო სახით, რომ ცოცხალი გადაჰრჩენოდათ, ყველა წინ მიიწევდა, კბილებს აღრჭენდა, გულში მუშტს იცემდა. დიდი და პატარა, კაცი და ქალი იმას მისდევდა, — ერი, მღვდელი და ბერი; ძაღლებს უტევდენ. „დაიჭით, მოჰკალით, მოჰკალით!“ — გაისმოდა მძლავრად ჰაერში ხმა ერისა...

ვინ უნდა მოეკლათ? ვინ უნდა შეეპყრათ? ვის მისდევდა ეს ამოდენა დუნია? იქნება საპყრობილედან გამოქცეული ქვეყნის ამომგდებელი ავაზაკი, დედის ძუძუს მომჭრელი, — განხორციელებული ბოროტება, უმსგავსობა, უნამუსობა, რომლის შეპყრობა, დასჯა და ჯავრის ამოყრა ენატრებოდა ამოდენა ხალხს?

არც ერთი, არც მეორე, არც მესამე. ის იყო ყოვლად უვნებელი, მშვიდი ცხოველი — ირემი, რომლის დანაშაული ის არის მხოლოდ, რომ ტყეში თავისუფლად სცხოვრობს, არავითარი თავის დასაცავი მტრისაგან, გარდა ფეხებისა, თვალებისა და ყურებისა, იარაღი არ მოეპოვება. სცხოვრობს თავისთვის. არც ბატონია ვისიმე, არც ყმა. არ სტაცებს, არ ართმევს არაფერს, არავისს ნამუსს და ადამიანობას არ შეჰლახავს, არავის დასწყევლის, არავის რას მოჰპარავს, საზდოობს ბალახით, წყლით და ჰაერით, ბუნების მიერ ბოძებულით. აი მთელი მისი დანაშაული. — მაშ რად სდევნიდა ხალხი? რად უნდოდა მისი მოკვლა? იმიტომ, რომ გემრიელი ხორცი აქვს.

ნუთუ მარტო ეს არის მიზეზი? — არა, არა.

განა ნინიკას ირმას, სიმსუქნისაგან ჩუპეს რომ თითქმის მიწაზე დაათრევს, ნაკლებად გემრიელი ხორცი აქვს? რატომ იმას არ მიესია ეს ხალხი? ან სესიკას ქოსმანს, სიმსუქნისაგან რომ ძლივს ხრუტუნებს, ქონი ყელში ებჯინება და ფეხებს ძლივს ადგამს. ტანს

ძლივს ერევა, რატომ იმას არ დასდევს ქვეყანა მოსაკლავად? მაშ რა მიზეზია? ის, რომ ირემი უპატრონოა, გარდა ამისა, აქვს გემრიელი ხორცი. ირმის მოკვლისათვის პასუხს არავინ აგებს. სესიკა და ნინიკა კი აურზაურს ასტეხენ...

ირემი ზურგზე რქებგადაგდებული გარბოდა, უკანმიწეულს სიკვდილს წინშეჯახებული ერჩივნა. გარბოდა სოფლებზე, ქალაქებზე, არავის და არაფერს არ ერიდებოდა, ოღონდაც მდევრებს როგორმე ხელიდან გასხლტომოდა. რიცხვი მდევართა კი ამასობაში ერთი ათასად მატულობდა. ბევრი წინ ეხეჩებოდა იარაღიანი და ესროდა თოფს. ვისაც იარაღი არ ეჭირა ხელში, იგი სინანულს აცხადებდა: თოფო, სადა ხარ, ახ, თოფო! — იძახოდა.

ირემი უჭირველი გარბის, ოფლში გაწუწული, დაღალულ-დაქანცული; არ ამბობს არაფერს და არც ფიქრობს, მხოლოდ ერთს ამბობს: „ვის რა დავუშავე, რა უნდათ ჩემგან, რას მერჩიან?“.

აღარ იცის, სად შეაფაროს ირემმა თავი... რა საფარსაც კი მიჰმართა, ყველგან მტერი აღუჩნდა, ყველამ მისი მოკვლა მოინდომა. ერთ ადგილს სენაკი ნახა ბერისა — გამოქვაბული კლდე, და სთქვა: იქნება ბერმა მისტუმროს და გამიწიოს მფარველობა, შევეჭრები და ვსთხოვ, დამიფაროს მტრებისაგანაო. თვალდაფეთებული მიიჭრა სენაკის კარებზე და დაუძახა: „ბერო, მიშველე, ღმერთი გიშველის, მიპატრონე, მოკვლას მიპირობენო!“

ბერმა, შებრალების მაგივრად, ნაჯახს წამოავლო ხელი, რადგან სხვა იარაღი არ მოეპოვებოდა, უნდოდა დაედო თავში და იქვე სული გაეფთხობინა, მაგრამ ირემმა მალე შეუტყო განზრახვა და ხელიდან გაუსხლტა... გაიქცა, წინ გარბოდა, არ იცოდა, სად გარბოდა, დანიშნული ადგილი არა ჰქონდა არსად. მხოლოდ თავის გადარჩენა უნდოდა დღეს, სხვა არაფერი... ხალხი ისევ მოსდევდა. ირემზე ნაკლებად არც იმის მდევრებსა სდიოდათ ოფლი. ყველა დაქანცული იყო, ხვითქი გადასდიოდა თავ-პირზე...

არ იქნა, ხმელეთზე ირემმა თავშესაფარი ვერსადა ჰპოვა, ვისაც დაენუკვა მფარველობას, ყველამ მოკვლა დაუპირა, რა ადგილასაც კი დასამალავად თავი შეჰყო, ყველგან თოფის წვერი დაუხვდა. ყველგან მახვილი მოსაკლავად. არა სჩანდა ხმელეთზე მისთვის თავშესაფარი, და აგერ ზღვა გამოჩნდა, თვალგადაუწვდენელი, დიდი ოკეანე.

„იქნება, იქ. ზღვაში, მაინც ვპოვო თავშესაფარიო“. — გაიფიქრა ირემმა და გასწია პირდაპირ ზღვისაკენ, მოურიდებლად შეტოპა შიგ და გასწია უფსკრულისაკენ. ხალხმა დაინახა, ირემი როგორ ჩაიღუპა ზღვაში და გულჩათუთქული დაბრუნდა უკან. „ახ, რა ნადირი წაგ-

ვივიდა ხელიდან!“ — ყველა თითქმის ამას ამბობდა, მაგრამ თან ამასაც უმატებდა: — „რა გვინდა, რაზე ვიკლავთ თავს, რა შეგვიხვა, რა შეგვიჭამა, დაე იცოცხლოს მაგანაც, გაიხაროს ამ ოხერს წუთისოფელშიო“.

ამას თუმცა ამბობდენ, მაგრამ თან მზად იყვნენ, თუ სადმე ირემი ყურებს დააჩენდა, პირდაპირ დასტაკებოდენ, არცერთი არ დაინდობდა მოსაკლავად.

ასეა ადამიანის ბუნება: ბევრჯელ ისეთს რასმე ამბობს, რის წინააღმდეგი არ შეიძლება იყოს; მაინც ამბობს სათვალთმაქცოდ, რათა ერთიმეორეს ეჩვენოს კეთილმოწყალე და ქველ ადამიანად. ენა ადამიანისა სველია, ხოლო გული მისი მგელია.

ირემი მისცურავდა ზღვაში პირდაპირ უფსკრულისაკენ. გზადაგზა ბევრი ცხოველი, ათასნაირი თევზი ეხეჩებოდა, ვეშაპებიც კი, მაგრამ ის წარბს არ იხრიდა, იმას არავინ არ ერჩოდა. არც კი ვინმე ივლევდა ბაიბუად ირმის ზღვაში ყოფნას. თავისუფლად იგრძნო ირემმა აქ თავისი თავი, თავისუფლად ამოისუნთქა, ღმერთს მადლობა შესწირა, უკან აღარ იცქირებოდა, რადგან აღარ ეშინოდა არავისა. ზღვაში მას ადამიანი აღარ გამოეკიდებოდა მოსაკლავად. ზღვის ზედაპირზე ყოფნა მაინცდამაინც აშინებდა და იმიტომ უფსკრულისაკენ მიიწევდა, იქ უფრო შორს იქნებოდა ადამიანზე, აღარ გაიგონებდა ადამიანის შემაძრწუნებელს ხმას.

ირემი მიუახლოვდა ზღვის ფსკერს და... აი კიდევ უბედურება!.. ტანში ჟრუანტელმა დაურბინა... ნუთუ მოჩვენებაა? ირემი დააცქერდა კარგად. არ არის მოჩვენება, ნამდვილია. რა ნახა ირემმა? — ადამიანის გვამი. იგრძნო ირემმა, მკვდარი ადამიანი ვერაფერს ჩამორჩებოდა, მაგრამ მაინც შორს გასცდა, თვალი მოარიდა. „აქ ცოცხალი ადამიანი ვერ იბოგინებს“, — სთქვა მან თავისთვის.

ირემი რომ ზღვაში დაბინავდა, დედაბიწაზე ჩოჩქოლი ასტყდა. „დაიკარგა სიმართლე!“ — გაიძახოდენ ბრალიანნი და უბრალონი, მართალნი და უსამართლონი, — „აღარ არის სიმართლე, მხოლოდ ძალმომრეობაა, უსამართლობაა, უსამართლობა! წახდა ქვეყანა, ცუდი დროა, ცუდზე ცუდი!.“

ირემი, დაწუხებული ჰაერისა და მიწისათვის, ათასში ერთხელ ამოჰყოფდა თავს ზღვიდან და საჩქაროდ გარბოდა ისევ უფსკრულისაკენ. ეშინოდა ადამიანთან ახლო ყოფნისა... „მომკლავენ, არ მაცოცხლებენო — ამბობდა ირემი თავისთვის, — შეუბრალებელია ადამიანი“.

ქვეყნიერობაზე ჩოჩქოლი და უკმაყოფილების ხმა გაისმოდა: „აღარ არის სიმართლე! დაიკარგა სიმართლე!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოჩნდა მქადაგებელი, რომელიც ცისმარე დღე დადიოდა და ჩასჩიჩინებდა ხალხს სულ ერთსა და იმასვე: „აღვადგინოთ, ხალხო, სიმართლე! უსამართლობა დაგვღუპავს, ქვეყანა წახდება; სიცოცხლეს, ცხოვრებას ლაზათი დაეკარგა, ცოდვა გამრავლდა... აღვადგინოთ სიმართლე...“ — აღვადგინოთ, აღვადგინოთ! — გუგუნებდა, გრიალებდა ხალხი ისეთის მაღალის ხმით, რომ ცა და დედამიწა ინძრეოდა. ერთი რა არის, ერთი ადამიანიც კი არ გამოჩენილა, თვით უსამართლოზე უსამართლო, ეთქვა: არა, ნუ აღვადგენთო. ყველა, დიდი და პატარა, ჭკვიანი და უჭკუო სიტყვის თანხმობას აცხადებდა სიმართლის აღსადგენად; წინააღმდეგი არავინ იყო, არავინ.

ხოლო... დიაღ, ხოლო... აქ წერტილები დაუსვათ და შევჩერდეთ...

რად შევჩერდეთ, რისთვის? — მისთვის, რომ, განა რასაც ვამბობთ, ყოველთვის იმას ვაკეთებთ? ენით ნათქვამ სიტყვაზე ძლიერი ვნებაა, რომლითაც შეპყრობილია ადამიანი, იმას ემონება იგი, ვნების ყურმოჭრილი ყმაა. ამიტომ აღდგენა სიმართლისა ყველას თავისებურად ესმოდა: ღარიბს და მშიერს თუ იმიტომ უნდოდა სიმართლის აღდგენა, რომ გამძღარიყო, გამთბარიყო, კარგად მოეწყო თავისი ცხოვრება, არც მდიდარი ბრძანდებოდა თავის დაცვის და შენახვის ფიქრთან უკაცრავად, მდიდარიც ფიქრობდა: აღდგეს სიმართლე, ხოლო ჩემს სიმდიდრეს მოემატოს და ნურაფერი დააკლდება, ეგრეთვე სიმაძღრესა ჩემსა უმატოს ღმერთმაო... აღდგეს სიმართლე!..

საბრალო ირემი ზღვაში იმალებოდა და ეხვეწებოდა ღმერთს: „ღმერთო, როდემდის უნდა ვიყო დევნილი, დაჩაგრული, შეურაცხყოფილი? როდემდის უნდა ვიცოცხლო შიშით და მოკრძალებით?... ვჭამდე — ვკანკალებდე, მეძინოს — ჟრუანტელი მივლიდეს შიშისა, საცაა, მოვლენ და მომკლავენო... ღმერთო, გარდაქმენ გრძნობა, ფიქრი და ვნება ადამიანისა ისე, რომ მე არ მემტერებოდეს, ჩემი მოკვლა არ ედვას გულში. მეც შემეძლოს ცხოვრება თავისუფლად მზე-ქვეყანაზე. დააფიქრე, ღმერთო, ადამიანი და შეანანებინე ის ცხოვრება, რაც დაუშავებია და აშავებს წინაშე ჩემსა და ათქმევინე გადაჭრით: აღარ მოვკლავ ირემს, რადგან დაუნაშავარი ცხოველია, უბრალოდ სცხოვრობს, ალალ-მართლად, არავის რას სტაცებს, არავის ეცილება ლუკმა-პურს, არავისა ჰკლავს, მხოლოდ, რადგან ცოცხალია, უყვარს სიცოცხლე და ღირსიც არის სიცოცხლისა, გთხოვ, უფალო, შეისმინო ეს ჩემი ვედრება, მომეცი წუთისოფელში მეც

ამ საწყალ ცხოველს, მყუდრო ბინა... თუ ეს არ იქნება, ჩემი სიცოცხლე ტყუილია, არარაობაა, ტანჯვაა, ჯოჯოხეთია. უნდა აქ ზღვის ძირზე ვიყო დაკერებული და არ გავინძრე, ვიდრე სულს არ დავლევ“.

ამ ლოცვას რომ ამბობდა, ირემს დიდრონი მშვენიერი რქები ჰქონდა დაბჯენილი ერთს ტინზე, ღაპალუპით ცრემლი მოსდიოდა თვალთაგან და იმისი ცრემლები უერთდებოდა ზღვის უთვალავს ცვარსა და წყალსა.

[1906 წ.]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩემი შავარდენი

(ბესოს ნაამბობი)

I

ოჰ, რა მშვენიერი რამ იყო ჩემი შავარდენი! რომ გენახა, თვალს ვერ მოაშორებდი, სულ გინდოდა გეცქირა, ცქერით ვერ გასძღებოდი. მარტო იმის თვალები მთელ სიცოცხლედ ღირდა. მეტისმეტი ამაყი, თავმოყვარე, გამბედავი, უკადრისი და მწყრომელი იყო. ყველა ამას ცხოვლად ჰხატავდა მისი შავი კუმეტივით თვალები. თვალები? ერთი შავარდნისაა მთელს დედამიწის ზურგზე და მეორე — შურთხისა. მაგრამ შურთხი როდია მტაცებელი ფრინველი და კიდეც იმიტომ უფრო სიმშვიდე, სინარნარე, სიკეკლუცე გამოიხატება შურთხის თვალებში. შურთხსაც, არწივივით, მთის წვერვალებზე უყვარს ცხოვრება...

პირველად რომ შევიპყარ და შინ მოვიყვანე შავარდენი, როდი იყო ისეთი ლამაზი, როგორიც ბოლოს და ბოლოს დადგა, როცა წამოიჩეჩა, მოიზარდა; ნახევარ ტანი ტიტველი ჰქონდა, მარტო გინგლი ეტყობოდა, უშნო იყო, მხოლოდ თვალებში გინდოდა გეცქირა, და თუ გააჯავრებდი, ხმა გინდოდა გაგეგონა, გულზე ლახვარივით ხვდებოდა კაცს მისი ჭახჭახი.

გიამბო, საით, როგორ ვიშოვნე შავარდენი? ყველა ვერ შესძლებს იმას, რაც მე მოულოდნელმა, უცაბედმა შემთხვევამ შემაძლებინა.

„საორთვეოდ“ დათხოვნილი გახლდით. სოფლად ვცხოვრობდი. ერთადერთი ჩემი გართობა თევზაობა და ნადირობა იყო. გაგიჟებით მიყვარდა ტყე-ღრეებში, მთა-კლდეებზე ხეტიალი. გადავიგდებდი მხარზე თოფს, დავდიოდი აღმა და დაღმა, დამშლელიც, ჩემდა ბედად, არავინ მყავდა.

მთაში ვნადირობდი. იქნებოდა თიბათვისა ერთი თუ ორი კვირა. ჩვენს მთებში ერთი უზარმაზარი კლდეა, რომელსაც ხალხი „საშა-

ვარდნეს“ ეძახის. ალბად იმიტომ, რომ იქ შავარდნები ბუდობენ. მეც სწორედ საშავარდნის პირდაპირ ვიჯექ, მომცრო კლდის თავზე და სამხარს გიახლებოდი; გავხსენი ჩემი სანადირო გუდა, ამოვიღე პური და ყველი. ღმერთმანი, მადა არ მექნებოდა... მთებში მოსიარულე კაცი მადად იქცევა, საჭმელად გამგელებულია. ქვევით, ჯურღმულიდან ამონადენი ცივი ნიავი ისე მცემდა, თითქოს უხილავი ხელი ყინულს მისვამდა შუბლზე. ხევიდან ჩანჩქერისა საზარელი ხმაურობა ისმოდა: გლოვა, კვნესა, ტირილი და გიჟური სიცილი ერთმანერთში იყო არეული. ჩემი გუნებაც ირეოდა: შიშსაც ვგრძნობდი და სიამოვნებასაც. ჰაერშიც ფრინველები ირეოდენ. სვავები მხრების ლახლახით მიდი-მოდიოდენ ჩაფრებივით. მხოლოდ არწივი არა ფიქრობდა არსად წასვლას. საშავარდნის თავზე ტრიალებდა, წრეს ავლებდა და ხამუშ-ხამუშ ჰყეფდა: „ღაღაა!“

ეტყობოდა, რაღაცა სწყინდა, რაზედღაც წყრებოდა. არწივის წყრომის მიზეზიც მალე გამოაშკარავდა: საშავარდნის კლდიდან შავარდნის ჭახჭახი მომესმა. კლდეს შუა წელზე სრელად ყვითელი ზოლი მისდევს. თვალი დავაშტერე. ვნახე, რომ შავარდენი თავის ბუდის ზღურბლზე წარმომჯდარიყო: თურმე ისიც თავის ბარტყებს სამხარს აჭმევდა. მე ბარტყები ვერ შევნიშნე, მხოლოდ შავად რაღაც გაურკვეველს წერტილებს ვატყობდი.

გულმა აღარ მომითმინა, თოფი ვესროლე. დედა-შავარდენი, უეჭველია, აფრინდა, ხოლო ჯურღმულისკენ ორი რაღაც ჩვრების მინაგვარი წამოვიდა ტრიალ-ტრიალით. ესენი რომ დაინახა, შავარდენიც დაჰყვა თან, და მეც, რასაკვირველია, იქით მივაშურე. ძლივ-ძლივობით, ბღოტიალით, ცოცვა-ხოხვით, როგორც იყო, ჩავაღწიე დანიშნულ ალაგს.

სწორედ იმ დროს მივასწარ, რომ შავარდენი თავის შვილს რაღაცას უპირობდა, ბუდეშივე აყვანა ეწადა, მაგრამ მე რომ დამინახა, თავი ანება, აფრინდა და ჩემს თავზე ტრიალი დაიწყო. ყველაფერი ცხადი იყო, შავარდნის ბარტყი ტყვიას გაექარა, დაებნიდა, მიტომ გადმოვარდა; მის შორიახლოს გაჯიჯგნილი კაკაბი ეგდო... საწყალ დედა-შვილებს ნადიმი გავუმწარე, პატარა შავარდენს ფრენა არ შეეძლო, ძლივს დაბობღავდა.

რომ მივუახლოვდი, ყალხზე შედგა, ნისკარტი დააღო, მიქშენდა, თვალებს მაფეთებდა, მაგრამ ამაოდ, ჩემი ხელიდან ვეღარ წავიდოდა.

შევიპყარ და წამოვიყვანე. დედა-შავარდენი დამქროლავდა, შვილს არ მანებებდა. ხარი-ირემი რომ მომეკლა, ისე არ გამეხარდებოდა, როგორც ამ პატარა შავარდენმა გამახარა. ჩემთვის ეს დიდი

დავლა იყო. ბაზიერი არ გახლავარ და ბევრიც არაფერი მესმოდა ფრინვლის დაგეშისა, ხოლო ის კი ვიცოდი, მარილიანი ხორცი აწყენდა და მომიკვდებოდა. ამიტომ მარილიანს ყველაფერს ვარიდებდი და მუდამ ახალ-ახალ ხორცს ვაჭმევდი, რისაც შემხვდებოდა: ფრინვლისა, ცხვრისა, ძროხისა და სხვ.

II

ვინც არა მგონია, მოდიოდა ჩემი შავარდნის სანახავად, და ყველა ერთსა და იმასვე გაიძახოდა: „თვალები, თვალები!.. რა ლამაზი თვალები აქვს ამ შაჩვენებულს!“ მთელ ექვს კვირას სახლში ვინახავდი, მე თითონ ვაჭმევდი და ხელზე ვიჩვევდი, რადგან ვიცოდი, სხვისა ნაწურთნი, სხვის ხელზე მიჩვეული მე აღარ გამომადგებოდა. გაგონილი მქონდა, რომ ორისა და სამის ნაწურთნი ქორი, მიმინო თუ შავარდენი. ბოლოს უწვრთნელი რჩებოდა.

როცა მოიზარდა, მოყოჩაღდა, სახლის გვერდში გავუმართე ბინა. თუმცა საკმაოდ დახელისავდა: ვაჩვენებდი თუ არა ხორცს, მაშინვე მოფრინდებოდა, ხელზე დამაჯდებოდა, ოღონდ დამეძახა: აბა, ჩემო თვალლამაზო-მეთქი, სხვა არაფერი საჭირო არ იყო, მაგრამ მაინც არ ვენდობოდი და წვრილი თოკით ვაბამდი.

ეხლა იმდენად მოზრდილი იყო, კატა თუ ძაღლი ჩემს „თვალლამაზს“ ვერაფერს ჩამორჩებოდა. მაშასადამე, მისი გარეთ ყოფნა საშიშო აღარ იყო. ადგილი, სადაც შავარდენი დავაბინავე, წინად ქათმებისაგან გადაქექილი იყო; იქა ფუტკულაობდენ, გროვდებოდენ მუდამ, მაგრამ მერე ყველამ ფეხი ამოიკვეთა; ყველა შორს უვლიდა; ცალი თვალით უცქეროდენ და თავისთვის ბუზღუნებდენ: ეს ვინღა ოხერი მოთრეულა, რომ ჩვენს ბინას, ჩვენს საფიხნოს გვეცილებაო... მერე ერთად შეგროვდებოდენ და თათბირობდენ, როგორ მოეშორებინათ თავიდან ეს დაუპატიჟებელი სტუმარი... მამალი მის ახლოგახლო ყივილს ველარ ჰბედავდა, გაირეკავდა შორს დედლებს, ჩაუდგებოდა შუაში და შემოსძახებდა თავის სახელგანთქმულს „ყიყლიყოს“.

ჩემს „თვალლამაზს“ თუ რამე საშიშროება მოელოდა, ძაღლი ან კატა მიუახლოვდებოდა, მაშინვე ჭახჭახს ასტეხავდა, შფოთავდა, ჯავრობდა. მეც, რასაკვირველია, მაშინათვე იქ დავიბადებოდი.

III

„თვალლამაზმა“ ერთხელ ძალიან მასახელა, დილა იყო. იმ ღამეს იწვიმა. წვიმისაგან გალუსკული უხეირო შესახედავი იყო. მოიბუზებოდა, თავს მხრებში ჩაყოფდა და ისე იძინებდა.

მე ჯერ ისევ ქვეშაგებში ვიწექ, თუმცა კი მელვიძა, რომ შავარ-
დნის წყრომა მომესმა; წამოვხტი და პერანგა გარეთ გამოვვარდი.
რა წამს თავი გავყავ კარებში, დავინახე დიდი, უზარმაზარი ქორი,
რომელმაც ქათმები მთლად გაგვიჩანაგა, შეშინებული, თავზარდა-
ცემული ტყისკენ მიფრინავდა; მიწას ეკვროდა... ქორი უკვე მიე-
ფარა ტყეს. მეც ჩემ „თვალლამაზთან" მივედი; იმან მე ვერც კი და-
მინახა: ყალხზე იდგა, ბრჭყალებში ერთი მუჭა ბუმბული ეჭირა და
იზიდებოდა, იწევდა იქით, საითაც ქორი გაფრინდა და გაჰკიოდა...
უკვე გავიგე, საქმე რაშიც იყო. გაწუწკებულ ქორს ჩემი შავარდენი
ვარიკა თურმე ეგონა და უნდოდა თავისებურად გაეთრია, მაგრამ
მოსტყუვდა: ქათმის მაგივრად ბრჭყალნისკარტფხიანი ბიჭი დაუხვ-
და და მკერდდაზიანებული გაგზავნა.

„თვალლამაზს" მივუალერსე, მაგრამ სწორედ აღარ მიცქეროდა.
გულს აღარ იმშვიდებდა და თავმომწონე, გულად ვაჟკაცივით
წყრებოდა, თვალებით თითქოს სამდურავს მიცხადებდა: რად მაბამ?
რისთვის? აჰ, ერთი თავისუფალი ვყოფილიყავი, გიჩვენებდი ქორის
სეირსაო; განა ისე დამცირდა ჩემი ჯიში და გვარი, რომ ქორმაც ეგ
გამიბედოსო?! დიდხანს, ძალიან დიდხანს იბობოქრა. ხორციც კი
მივთავაზე დასამშვიდებლად, მაგრამ აღარ მიიღო ჩემი ძღვენი...

ბოლოს, ძლივძლივობით შევირიგე. ვისაც ეს ამბავი შევატყო-
ბინე, ყველა იცინოდა და ამბობდა: „მოვიდა სეტყვა, დაჰხვდა
ქვაო..."

მას შემდეგ ქორს აღარ გაუჭაჭანია ჩვენს ეზოში; მოისვენეს
ქათმებმა, კრუხ-წიწილებმა... ღმერთს მადლობას სწირავდენ და გა-
ნა მარტო ქათმები? — ჩვენ უფრო მეტად...

IV

ჩემი შავარდენი უკვე იმდენად მოიზარდა, რომ დრო იყო მე-
ვარჯიშებინა, ნადირობა დამეწყებინა... ამ ფიქრით წავიყვანე მინ-
დორში, თან ბადეც წავიღე, მინდოდა მეთევზავნა... მინდვრად რომ
გავედი, ავაფრინე; თან თვალს ვაყოლებდი. შავარდენი პირდაპირ,
წრის ვლებით მაღლა-მაღლა წავიდა, თითქმის ღრუბლებს ასცდა...
ველარა ვხედავდი. მხოლოდ იმავე ალაგას ვიდექ, ხელში კურდღ-
ლის ტყავს ვიქნევდი... გავიდა საათისა ჩარექი, რომ ჭექა მომესმა,
„თვალლამაზმა" რამდენჯერმე გამიქროლ-გამომიქროლა და სწო-
რედ იმ ხელზე დამაჯდა, რომელშიც კურდღლის ტყავი მეჭირა...
არაფერი ვაჭამე... ცოტახანს შემდეგ კიდევ გავუშვი... ისევ ისე წა-
ვიდა და ისევ ისე დაბრუნდა, მაშინაც უპურ-მარილოდ დავუხვდი...

ხოლო მესამედ რომ გავაფრინე, თუმც მოვიდა, მაგრამ ახლა ალარ მომეკარა, გამიქროლ-გამომიქროლა და, რა შემნიშნა, ხელში კურდღლის ხმელი ტყავის მეტი არაფერი მქონდა, გაუხვია გვერდზე ტყისკენ, კარგა შორს გაფრინდა და დაიკარგა... ბევრი ვიტრიალე იმ ადგილას, ბევრი ვეძახე, მთელი ორი საათი იქ დავყავ, მაგრამ ამაოდ... გაქრა, დაიკარგა ჩემი „თვალლამაზი“...

თქვენს მტერს ექმნას ის გული, რაც მე მაშინ გული მექმნა: ტირილის მეტი აღარაფერი მაკლდა... ავდეგ და წყალზე წაველ საბადეოდ... თან კიდევ იმედი მეძლეოდა, იქნება გული მოიბრუნოს, ცაში გამოჩნდეს და მოვიტყუილო-მეთქი. ორი თუ სამი საათი თევზაობას მოვუნდი. ის იყო მზეც დაეწვერა, გამოვწიე სახლში. მოვდივარ, მაგრამ, ვაი იმ სიარულს! მუხლები აღარ მომდევს და... აი ბედი! როცა იმ ალაგას მოვედი, საიდანაც პირველად გავაფრინე, შემომესმა ჰაერის კვეთა, შხუილი, მივიხედ-მოვიხედე: ჩემი შავარდენი მივლიდა გარშემო. გაგიხარიანთ, მაშინ კი ვიკადრე ჯიბიდან ქათმის ბარკლის ამოღება... მაგრამ მაინც კარგა ხანს მაწვალა, — როდი მოდიოდა... ბოლოს, როგორც იყო, მოფრინდა და გამგელებულმა დაუწყო ხორცს წიწკნა...

მაგრამ ამ ამბის შემდეგ შავარდენი დიდხანს აღარა მყოლია.

რამდენიმე დღით სხვაგან მომინდა წასვლა, ხოლო შავარდნის მოვლა, ჭმევა და თვალყურის გდება ჩემს უმცროს ძმას, ვანოს, ჩავაბარე...

დავბრუნდი სახლში და ვაი ამისთანა დაბრუნვას — ჩემი შავარდენი აღარ დამხვდა იქ: გაეჯავრებინათ, თურმე ვინც არა მგონია, უწრუწუნებდა, ხორცზე იწვევდა. გარყვნეს, გააფუჭეს და იმანაც მოძებნა წასასვლელი გზა. ვინ იცის, იქნებ კიდევაც ამშევდენ.

მეზობლისთვის ერთი ქათამი შაეჭამა და გადაკარგულიყო.

მესამე თუ მეოთხე დღეს ჩვენი მეცხვარე მოვიდა და იმან მომიტანა „თვალლამაზის“ ამბავი. მომახარა:

— ბესო, მე რომ შენი შავარდენი ვნახე! — სთქვა გიგლამ, სახეწამოწითლებულმა.

— სადა, ბიჭო, სად ნახე?

— სადა და საშავარდნეში, — განაგრძო გიგლამ.

— მერე რა იცი, რომ ის იყო მართლა?

— აპაჰმე! რა დიდი ცნობა უნდა, შე დალოცვილო, ი შენი შაბმული თოკი ზედვე აბია და არხეინად დაფრინავს. ბევრჯელა ვნახე საშავარდნის კლდის მიდამოებშიო.

— ვერა ჰყურობ? არ დავიწყებია თავის სამშობლო, — ვსთქვი მე და მეორე დღესვე წავედი გიგლას სიტყვების შესამოწმებლად.

გიგლას მართალი ეთქვა ჩემთვის: ჩემი „თვალლამაზი“ ისე გაქსუებულიყო ამ ცოტა ხანში, თითქოს კაცის სახე არ ენახა; დაფრინავდა თავისუფლად, ნავარდობდა ჰაერში, ხოლო ფეხზე შებმული თოკი ამხელდა მის ნატუსაღრობას... ბევრი ვეძახე, ბევრი ვუქნიე ხან ხელსახოცი, ხან ხორცის დიდი ნაჭერი, მაგრამ იმას ეს ყველა ქარის მონაბერ საქმედ მიაჩნდა. შემამჩნია კი? — არა მგონია...

ჩემი შავარდნის ამბავი მოხუცს, გამოცდილს მონადირეს და ბაზიერს სარდიონს ვუამბე და, აი, იმან რა მიპასუხა:

— ძალიან კარგად მოგსვლია, რომ გაგქცევია. ტყუილად საკვებავად გაგიხდებოდა, ხელს არ მოგცემდა, აღარ ინადირებდაო.

— რატომ?

— იმიტომაო, — განაგრძო სარდიონმა, — იმ თავითვე კარგად ვერ დაგიწყიათ მისი გერშვა... პირველად, როგორც სახლში მოიყვანეთ, უნდა თვალები აგეხვიათ, ან ქუთუთოები გაგეკერათ და ბნელ ოთახში გყოლოდათ, რომ მის გრძნობას, მის ალღოს, მისი ჩამომავლობის და ჯიშის შესაფერს, ემუშავა დაფარულად გულში... დაგუბებულიყო გრძნობა. მხოლოდ მოხარშულს, დიდხანს ნადუღარს გრძნობას აქვს ძალა... როცა წამოიზრდებოდა, აგეხილათ თვალები. ხელზე დაგეგეშათ და გაგეშვათ თუნდ მთელ ტრედის გუნდში. ერთს აღარ გაუშვებდა ცოცხალს, როგორც ხის ფოთოლს, ისე დასცემდა დედამიწაზეო.

რამდენად მართალია სარდიონის აზრი, ეს თქვენ განსაჯეთ.

[1906 წ.]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლმობიერი მონადირე და ირმის გონიერება

(ფშავლების ცხოვრებიდან)

გამიხარდი[1] განთქმული მონადირე იყო. ბევრი მოუკლავს ირემი, შველი, გარეული ღორი, დათვი, ჯიხვი, ფსიტი და სხვ. და სხვ. არ მოუკლავს ვეფხვი. ერთის მეტი და ისიც უნებურად თურმე შემოაკვდა: ხერგიდან[2] გადმოუხტა, მოულოდნელად დაეცა თავზე, — ისე სწრაფად, რომ გამიხარდიმ თოფის სროლაც კი ვეღარ მოასწრო და ხანჯალსღა მიჰმართა; მოჰკლა ვეფხვი, თუმც ხეირს არც თავად შეეყარა: გაშმაგებულმა ნადირმა მარცხენა ხელი მოაჯენჯა და გამიხარდი ორ თვეს ხელს ვეღარ ხმარობდა.

მოჰკლა ვეფხვი, გადარჩა მონადირე ხიფათს, მაგრამ ვერ გადურჩა სინიდისის ქენჯნას, რადგან გაგონილი ჰქონდა ძველ კაცთაგან გადარჩენილი ანდერძი: ადამიანისა და ვეფხვის მოკვლა ერთნაირი ცოდვა არისო.

ძველისძველი თქმულება მოაგონდა ვეფხვზე და მონადირეზე: ერთი მონადირე იყო სანადიროდ ტყეში; შეხვდა ვეფხვს, რომელსაც კლანჭში დიდი უზარმაზარი ეკალი შერჭობოდა. ბევრს თურმე ეწვალა საცოდავი ნადირი, მაგრამ ვერ ამოიძრო ფეხიდან ეკალი. გული სიმწარით უკვდებოდა; თან სიმშილიც აწუხებდა, — უკლანჭოდ ვეფხვი რას ინადირებს?! ძლივსღა დადიოდა. შეეხვეწა მონადირეს: შორიდანვე გაუწოდა მტკივანი კლანჭი, თვალებითაც ანიშნა — მიშველე, თუ ღმერთი გწამსო. მონადირე მოურიდებლად მივიდა ვეფხვთან, გაუსინჯა მტკივანი ფეხი, ამოუღო ეკალი და შეუხვია წყლული. ვეფხვი დიდად დაემადლიერა. ერთმანეთს ძმობა შეჰფიცეს, გამოემშვიდობნენ და გასწიეს თავთავიანთ გზაზე. იმ დღიდან ვეფხვთა და ადამიანთა შორის დაარსდა ძმური კავშირი.

---

[1] კაცის სახელია.

[2] წაქცეული ხე, ერთმანერთზე თავისთავად მოგროვებული ხეები.

დაივიწყა ვეფხვმა მონადირის სიკეთე? რა სათქმელია! პირიქით, იმავ დღესვე მიუძღვნა სამაგიერო: ერთი ქორბუდიანი ირემი შეაგდო მონადირეს და მოაკვლევინა. როცა ირემი წაიქცა, მონადირემ ირმის გასწვრივ შენიშნა მიმავალი ვეფხვი. მონადირე ყველაფერს მიხვდა და კვალდაკვალ მიაძახა: „გმადლობ, მეგობარო, გმადლობ!..“ ვეფხვმა თავი აღარ მოიბრუნა, გასწია და წავიდა. რამდენჯერაც კი ტყეში წავიდა მონადირე, თითქოს სდარაჯობსო, ზედ შეაგდებდა ირემს, შველს, ჯიხვს, ღორს და ისე მარჯვედ მიუყვანდა, რომ სროლა თოფისა და მოკვლა ერთი იყო. დაენახვებოდა ვეფხვი და გასწევდა თავის გზაზე.

გამიხარდის ეს ამბავი წარმოუდგა თვალწინ, დადარდიანდა. ღმერთს ცოდვის მოტევება სთხოვა და აღთქმა დაუდო — ამიერიდან ვეფხვისთვის ხელი არ ეხლო. მართლაც, მას შემდეგ, რაც ვეფხვი შემოაკვდა, რამდენჯერმე შეჰხვდა სხვა ვეფხვს ტყეში, მაგრამ თოფი არ უსროლია, თვალს არიდებდა, გზას უქცევდა.

ოცი ენკენისთვე იყო. ამ დროს დაიწყებს ხარი-ირემი ახლად ყვირილს, ფურს ეძახის. გამიხარდიმ მთელი სამი ღამე უყარაულა ტყიანს მაღლობებზე, რომ სადმე გაეგონა ირმის ყვირილი. გაიგონა კიდევაც, განთიადისას მიჰყვა ყვირილზე, მაგრამ ვერაფერს გახდა. დანაღვლიანებული დაბრუნდა სახლში, თუმც იმედს არა ჰკარგავდა და მონადირეთა საყვარელ ლექსს ამბობდა თავის გულში:

ნადირი, მონადირეო,
მთას წახვალ, გებედებაო:
დღეს რომ ვერ მოჰკლა, ხვალ მოჰკლავ,
აუგ[1] არ დაგედებაო.

მთიდან დაბლა დაეშვა. ჩავიდა არაგვის პირზე. სადაც მთიულეთის არაგვი ფშავისას ერთვის, მაღალი კოშკი დგას სალს კლდეზე, ფშავის არაგვის მარჯვენა ნაპირას. კოშკს გვერდზე სიცხეში მოსაჩრდილებელი მაღალი იფნები და ცაცხვები უდგას. გამიხარდიმ ამ ადგილს მიაშურა დასასვენებლად. კოშკის დასავლეთით ძევს სახნავი მიწები, მიბჯენილი ხშირის ტყით დაფარულს მთაზე. გამიხარდიმ ვერცხლის სალტებით მორთული, ოქროთი თავბოლოდაზარნიშული მამაპაპური თოფი ცაცხვზე მიაყუდა, მოიხსნა საგძლიანი გუდა და ჩამოჰკიდა ცაცხვის ტოტზე, თითონ ჩავიდა არაგვზე წყლის დასალევად. როცა დაბრუნდა, მივიდა ცაცხვის ქვეშ და ჰხედავს, რას

---

1 საძრახისი.

ჰხედავს? — გამოუგდია მგელს ფური-ირემი და მოსდევს უკან, როგორც გაგეშილი მწევარი. საცაა, უნდა მიეწიოს. გამიხარდიმ თოფი მოიმარჯვა, ხეს მოეფარა და გაფაციცებით ადევნებდა თვალს მგელს და იმის სადავლოს. ირემი პირდაპირ წყალს ეცა. ფონი როდი მოსძებნა, შევიდა წყალში კარგა შორს, თითქმის გაანახევრა არაგვი, მისცა მკერდი ალმა და გაჩერდა. მგელიც მიჰყვა, მაგრამ ფეხებს ვერ უწვდენდა დედამიწას, ჩქარა არაგვმა აითრია და ქვევით წაიღო. ირემი გამობრუნდა, აჰყვა წყალს, შესცურა უფრო ღრმა ალაგს; ირმის მკერდით ორად გაპობილი არაგვი ყვიროდა, ღრიალებდა. ირემი კი იდგა ერთს ადგილს გაჩერებული და ელოდა ბედისწერის განჩინებას.

მგელი მაინც გამოვიდა წყლიდან და შეჰყვა მდინარის ნაპირს, გაუსწორდა რა ირემს, შესცურა კვალად; მაგრამ წყალმა, ვიდრე ირემთან მიაღწევდა, აითრია და ისევ ქვევით წაიღო. ირემი გამობრუნდა უკან, გამოვიდა მშრალზე, შეიარა ცოტა ადგილი, ისევ წყალში შესცურა და გაჩერდა. მგელიც გამოვიდა მდინარიდან და გასწია ისევ ირმისაკენ. მაგრამ ეხლა წინანდებურად აღარ მოიქცა. გამოცდილებას მგლისთვისაც ჭკუა ესწავლებინა: ირემს ზემოდგან მოუარა და იქიდან დააპირა იერიშის მიტანა. ახლა კი ვეღარ გადურჩებოდა ირემი მგელს. გამიხარდის გულმა ვეღარ გაუძლო, გაუწყდა მოთმინების ძაფი. დაუმიზნა მგელს თოფი და ესროლა. მგელმა წყალში ჩააფარა თავი და დაიკარგა სამუდამოდ. ირემი კი იქვე იდგა გაჩერებული, ვერ გაეგო, რა მოხდა; იდგა წყალში გაყუჩებული და თვალი იქით ეჭირა, საიდგანაც მგელს მოელოდა.

გამიხარდიმ თოფი გატენა და მიაყუდა იქვე ხეზე. ხოლო მოკლულს მგელს ორი სიტყვა გაატანა საგძლად: „შე რჯულძაღლო, შენა!..“ ირემს არ დანახვებია, განაღამც თოფს ესროდა. ირემი კარგა ხანს იდგა წყალში და ელოდა თავის მტერს. ბოლოს გამოვიდა, აღარაფრის შიში ჰქონდა, — მგელი აღარსად სჩანდა და გაკურცხლა ტყისაკენ.

„არ მოგკლავ, წადი მშვიდობით, ღმერთმა ხელი მოგიმართოს!“— მიაყოლა გამიხარდიმ ირემს კვალდაკვალ და გამოსწია შინისკენ გახარებულმა, რომ მადლი ჰქმნა, — მოითმინა და ირემს თოფი არ ესროლა.

— ღმერთს შენთვის ლუკმა გადმოუგდია და შენ უარი გიყვია. ესროდი, შე კაი კაცო, რაღა ცოდვა და რაღა მადლი?!. რა მომათმენინებდა, — იქვე დავაწვენდი, — ეტყოდენ ხოლმე გამიხარდის კაცები, როცა მგლის და ირმის ამბავს უამბობდა ხალხს ყრილობაში, ქორწილში ან ხატობაში.

— ღმერთმა დამიფაროს, მაგას როგორ ამბობთ?!. განა იმიტომ გავაგდებინე მგელს პირიდან, ახლა მე ვქცეულიყავ მგლად? არა. ჩემი ჭკუა მაგას არ მეუბნება. ნეტავი, ღმერთმა ის ცოდვა მაპატიოს, რაც კისერზე მაძევს, ის არ მაზღვეინოს, რაც ნადირი დამიხოცია ჩემს სიცოცხლეში. ეგ რამ გათქმეინათ? — ეტყოდა პასუხად გამიხარდი და თან დინჯად ჩიბუხს აბოლებდა.

— უთუოდ არც კი სტყუის, კაცმა რომ გულისხმა გაავლოს მაგის სიტყვას: მართლაც, დიდს ცოდვას იზამდა, რომ მოეკლა; იქნება დღესაც ცოცხალია ის ირემი და ჰლოცავს თავის მხსნელს.

[1907 წ.]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უსურვაზის დასჯა

მზე ჩაესვენა. გრილი ნიავი ქროდა; ხეებზე ფოთოლს არხევდა. ნორჩს ხეებს არწევდა და აწყვეტდა, ჰზნექდა მხოლოდ, მოტეხით კი ერთი წკირიც არ მოუტეხია. ახლად ნაწვიმი იყო. ფოთლებიდან წკაპწკაპით ჩამოდიოდა ცვარი წვიმისა, მწვანე ბალახს და ყვავილებს ცრემლად დაჰკიდებოდა. მინდვრიდან ტყეში მოეშურებოდენ ქედნები ღამის სათევად. არ ისმოდა დედა-ტრედების ფრინვა, არც ქედნების ღუღუნი. მხოლოდ შაშვები გალობდენ. მათი გაბედული სტვენა შორს გაისმოდა, იბნეოდა ჰაერში, როგორც „ნანინა“ დედისა, მასიამოვნებელი, დასათირებელი, მშვიდობიანის ძილის მომგვრელი. მართლაც, ბუნება სთვლემდა, ემზადებოდა საძილედ.

ჩიტები დაფრთხიალობდენ; ნელის, ჩუმის ჭიკჭიკით დაეძებდენ ბინას ღამის გასათევად.

ტყე გაყუჩებულიყო, თითქოს რაღასაც უცდიდა, ვიღასაც ელოდა.

„გაიგონეთ, ღმერთი არ გწამთ?! მოისმინეთ ჩემი საჩივარი, გაიგეთ ჩემი ტანჯვა-წვალება; თუ ვსტყუი, გამამტყუნეთ; თუ არა და, მიეცით ჩემმაგიერი პასუხი ჩემს მტანჯველს, ჩემს სულისმხუთავს. განა ეგ არის კაცობა, ჰხედავდეთ ასნი, ათასნი ერთს დაჩაგრულს და ხელს არ უწვდიდეთ შველისას?! ვსტყუი? აბა კარგად ყური დამიგდეთ!..“ — გაისმა მიკნავებული, სასოწარკვეთილი ხმა ტყეში.

— ससუუ! მოვისმინოთ, ყური დავუგდოთ, გავიგონოთ, რას ამბობს ჩვენი თანამოძმე, — ამბობდენ შეჯგუფულნი, ერთმანერთში არევდარეულნი, დაქსულნი, დიდრონი ბებერი წიფლები, მწვანე ხავსით მორთული მუხები, რცხილები, დიდრონი ბებერი ცაცხვები, ვერხვები. ტყეს რომ ამშვენებენ, როგორც დარბაზს მორთულ-მოკაზმული ბანოვანნი, — თელები, ქორაფები... ერთი მეორეს აჩუმებდა, მეორე — მესამეს, მესამე — მეოთხეს...

— სთქვი, ყურს გიგდებთ! — გაისმა ბოლოს სიტყვა ტყისა, რომელსაც მოჰყვა სრული სიჩუმე და მყუდროება.

„ძმებო! მეც თქვენი ვარ, თქვენი სისხლი და ხორცი, ამავე მიწაზე აღმოცენებული; თქვენთან ერთად ვარ ჭირში და ლხინში; თქვენთან ერთად მიწოვნია დედამიწის ძუძუ; თქვენთან ერთად დამდის წვიმა ციდან და თოვლი, მარხევს და მაწყვეტს ქარიშხალი, მყინავს ყინვა. თქვენთან ერთად მადგება და მათბობს სხივი მზისა, მეფინება შუქი მთვარისა. ვემორჩილები თქვენს ზნე-ჩვეულებას: არადროს არაფერში მიღალატნია თქვენთვის — ტყისთვის, ვლოცულობ იმავე ღმერთს, რასაც თქვენ, არა ვყოფილვარ არადროს მტაცებელი, სხვისა მჩაგვრელი. ხომ ასეა? სთქვით, თუ ვსტყუი... — ამბობდა წელში მოკუზული, წვერხმელი თელა, რომელსაც გველივით შემოჰხვევოდა უსურვაზი ისე მაგრა, რომ შიგ ჩასჯდომოდა, თითქოს შესისხლჰხორცებოდა.

— არა სტყუი, მართალს ამბობ! — სთქვეს კვალად ხეებმა.

— კარგი, — განაგრძო თელამ: — მაშ ეს რა უბედურებაა ჩემს თავს? დაჰხედეთ ჩემს ტანს, განიხილეთ ჩემი ყოფა-მდგომარეობა, გასინჯეთ, რა ყოფაში ვარ და! რატომ არაფერს ეტყვით, არ შეარცხვენთ, წინ არ დაახედებინებთ? რა უნდა ჩემგან? რას ჩამცივებია ეს დალოცვილი უსურვაზი, რომ მიბოჭავს ხელ-ფეხს, მიხუთავს სულ-გულს. მთელს ტანს? სული ყელში მებჯინება და, ლამის არის, მოვკვდე. რადა მკლავს? რა დამიშავებია, ერთი ჰკითხეთ? თქვენ, თქვენი ჭირიმე, რატომ არავისა ჰბორკავთ და ჰბოჭავთ, თუ კარგია, თუ მადლია? ყველა თავის ტანზე დგეხართ. თავის ფესვებს და ტოტებს მიიყოლიებთ და ხართ თქვენთვის... ეს რა გახდა, ეს დალოცვილის შვილი, რომ აღარ მეხსნება? მე, ლამის არის გამახმოს, თითონ კი ნედლდება და სიცოცხლეს იხანგრძლივებს; მე მამჭლევებს, თავად კი სუქდება. ღმერთი სწამს ამას? აქვს სვინდისი? განსაჯეთ, განსაჯეთ, თქვენ გაასამართლეთ! — იძახოდა აღელვებული თელა: — ლამის დამარჩოს“.

ხეებმა თელას თვალიერება დაუწყეს. უკმაყოფილოდ თავს აქნევდენ. უსურვაზი კი, თითქოს აქ არაფერიაო, იტრუნებოდა, ინაბებოდა და უფრო მომეტებულად ეკვროდა თელას, — ეკვროდა ისე, როგორც ქორის კლანჭები მისგან შეპყრობილს კაკაბს.

ხეები წყრებოდენ, ჯავრობდენ. ხეების ტოტებმა თახთახი იწყეს სიბრაზისაგან, ხავსმა დაბლა დენა დაიწყო, ხმელი ტოტები სცვიოდათ, დაბლა ეცემოდენ ხმელს ფოთოლს.

— მოჰშორდი, შე სისხლისმსმელო, შენა! დაანებე თავი, იცხოვრე ისე, როგორც ჩვენ ვცხოვრობთ! უნდა მოჰკლა თელა, შე უსამართლოვ?! მოჰშორდი, დეე, თავისუფლად ამოისუნთქოს!

— თქვენ არ დაიჯერებთ, სხვებსაც ამ დღეს დაგვაწევს! წავიდეს,

დაიკარგოს აქედან, მაგის ხსენება არ იყოს ტყეში! ჰხედავთ, როგორ უსირცხვილოდ გვიკლავს ძმას ჩვენს თვალწინ, რომ არც კი წითლდება? — ამბობდა ნორჩი რცხილა.

— შენ უთხარი, შენ, ბიძიავ, შენს ნათქვამს უფრო დაიჯერებს, — ეუბნებოდა ერთი წიფლის შიმელა[1] დიდრონს წიფელს. ეს წიფელი ისეთი სქელი იყო, რომ ხუთი მხარი თოკი არ შემოსწვდებოდა. — შენ რა გენაღვლება, კარგად იცი, რომ შენ ვერ შემოგეხვევა, ვერაფერს დაგაკლებს, ჩვენ უნდა გებრალებოდეთ, მოზარდი ახალგაზდები, — ყველას სულს ამოგვხუთავს, დაგვარჩობს.

— როგორ თუ რა მენაღვლება! — სთქვა ბებერმა წიფელმა: — თქვენ ჩემი შვილები არა ხართ? მე მოვკვდე, თქვენ იცოცხლეთ; მე ჩემი წუთისოფელი უკვე მოვჭამე. რაცა ვნახე, რაც ვიგრძენ, ის მეყოფა. ამაზე მეტს მე ველარაფერს ვნახავ, ველარაფრით გავიხარებ. ვიცი კარგად, რომ წვიმას, ჟუჟუნა წვიმას, რომელსაც ზაფხული მაძლევს, შესცვლის თოვლი ზამთარში, ტოტებზე ყინული დამეკიდება, ისე მომიჭერს, რომ მთელს ჩემს ტანსა და კანს ჭახჭახი გააქვს. მომწყინდა: რამდენჯერ შევიმოსე მწვანე ფოთლებით, როგორ მიხარიან მაშინ, და ახლა ისა სთქვით, რამდენსა ვტირი და ვჩივი, როცა შემოდგომაზე ფოთოლი მცვივა. ათი ათასი წელი რომ ვიცოცხლო, ამის მეტს ვერაფერს ვნახავ და ვერც არას ვიგრძნობ. თქვენ იცოცხლეთ, თქვენ გაიხარეთ, შვილებო! მე დიდიხნის სიცოცხლე აღარც მინდა, რომ სიმართლე ვსთქვა, და არც ვიცოცხლებ, და ის დამემართება, რაც სხვებს დაემართა ჩემს გარეშემო: რამდენი ქარიშხალმა წააქცია და რამდენი კიდევ ადამიანმა მოსჭრა ცულით. თქვენთვის მემეტება სიცოცხლე და მეჯავრება ის, ვინც თქვენი სიცოცხლის მოსპობას ცდილობს. უნდა მოვსპოთ იგი. უნდა მოისპოს, ამოვარდეს ძირიან-ფოჩვიანად უსურვაზი, როგორც მტაცებელი სხვის სიცოცხლის და ბედნიერებისა. რას იტყვით თქვენ, ძმებო, შვილებო: ჰო, თუ არა?

— უთუოდ, უეჭველად! — დაიგრიალეს ხეებმა: — სიკვდილი მტარვალს!

ამ დროს მთვარემაც გადმოანათა და ბადესავით გადააფარა ტყეს თავისი სხივები. ბადის თვლებივით იყო ტყეში დაქსაქსული შუქი მთვარისა.

თელას ღიმილი დაეტყო სახეზე, ხოლო უსურვაზმა უსიამოვნოდ აიღო თავი და წაიდუდუნა: — რაო? რაო? სიკვდილიო? რადა, რისთვის? მეკი თქვენი ძმა არა ვარ? თქვენი დედის ძუძუ არ მიწოვნია?

---

[1] ნორჩი წიფელი.

გეკადრებათ ეგ თათბირი? განა მე არ მინდა, რომ საკუთარ ტანზე ვიდგე, როგორც თქვენ, არავინ შეგაწუხოთ? მაგრამ რა ვქნა, რომ მარტოკა თავს ვერ ვიმაგრებ, თუ არავის მივეყრდნე? მივეყრდნობი და ძალაუნებურად შემოვეხვევი ტანზე. მაშ რა ვქნა? მაშ უნდა მოვკვდე, აღარ ვიცოცხლო? აღარ ვიყო ქვეყანაზე? არ გეკადრებათ, მეც თქვენი ძუძუთი ვარ გაზრდილი.

— შხამად შეგერგოს შენ დედის ძუძუ! არგასაზრდელი გაუზრდიხარ დედის ძუძუს. მიკვირს, საიდან ამოხვედი ჩვენს შორის ღვარძლად, უნდა მოსრა მთელი ტყე და გაავერანო? არ გიკვირსთ, კაცებო, სადა გვქონდა, ნეტავ, თვალები, რომ აქნობამდის ვერა ვხედავდით? ან თელა რას უცდიდა, რომ ხმას არ იღებდა დღევანდლამდის? — სთქვა ბებერმა წიფელმა.

— ჩვენც ეგ არ გვიკვირს? — სთქვეს ხეებმა: — აქამდის როგორ ვერ შევატყეთ ვერაგობა?

— რა ვიცოდი, თუ დარჩობას დამიპირებდა? თავდაპირველად რომ შემომეხვია, მითხრა: „ძმები ვიყვნეთო, ერთად ტკბილად ვიცხოვროთო. ოჰ, შენ გენაცვალე, როგორ მიყვარხარო!“ — მითხრა და მეც დავიჯერე. რას ვიფიქრებდი, თუ ბოლოს დროს მოკვლას დამიპირებდა? — ამბობდა თელა.

— ჰაი და ჰაი! გაგიჭირდათ ამოდენა ტყეს საწყალი უსურვაზის შენახვა? უმადლონო, უსამართლონო! — დუდუნებდა უსურვაზი.

— რას ამბობ, ეი, ბრიყვო, როგორ თუ უსამართლონო? — წაიბუზღუნა ვერხვმა და შეუტია: — როგორ თუ უსამართლონო და უმადლონო? გვლანძღავ კიდეც? მაშ მადლი და სამართალი ის არის, ჭამო ჩვენი ძმები, ჩვენი შვილები: დღეს ერთი, ხვალ სხვა, ხვალზეით კიდევ სხვა; საიდან მობრძანებულხარ მაგ სამართალის პატრონი?! თუკი ჩვენ ასიათასი ვცხოვრობთ ჩვენი ოფლით და შრომით, ვჯერვართ იმას, რასაც დედამიწა გვაძლევს, შენც უნდა დასჯერდე; თუ არა და უნდა აღიგავო პირისაგან ქვეყანისა, როგორც მავნე წევრი ტყისა, სადაც სთესია მხოლოდ მადლი და სიწმინდე.

— დიაღ, სწორედ! სწორედ ამბობს ვერხვი. გვერდი არ აექცევა მაგის სიტყვას. — ამბობდენ ხეები.

უსურვაზმა თავი დაჰკიდა, მხოლოდ წარმოსთქვა:

— ღმერთი? ღმერთს რაღას ეუბნებით?..

— ღმერთს არა სწყინს სიმართლე. იგი, ვიცით, ჩვენი მომხრეა. შენ განა შეგიძლიან, ღმერთი ახსენო? არა, არა! ვერ მოგვატყუებ, ბიძიავ, ჩვენც ვიცით, რას ბრძანებს ღმერთი და რას აკეთებს ეშმაკი. — მრისხანებდა დიდი, გაფარჩხული მუხა. ტანზე რამდენსამე ად-

გილას ნაცულარი ეტყობოდა, მაგრამ წყლულზე ახალი ქერქი გადაჰრტყმოდა და მომაკვდავს პირი სასიცოცხლოდ ებრუნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უსურვაზმა თავი დაჰხარა. ბუზღუნებდა, იწყევლებოდა, ილანძღებოდა გაკვირვებული: ნეტავ, ვინ გადამირია ეს მშვიდი ტყე და ვინ აუხილა თვალი? ვინ ჩადგა ჩემს ცოდვაშიო?

ხეები განაგრძობდენ თათბირს, როგორ ამოეფხვრათ უსურვაზი, რომ იმისი თესლი და ხსენებაც კი მოესპოთ სამუდამოდ. თავისი გადაწყვეტილება უნდა იმავე ღამეს მოეყვანათ სისრულეში.

და აი რა გადასწყვიტეს:

წიფელმა, ვერხვმა და მუხამ დაჰხარონ ტოტები, ჩაავლონ ხელი, ასწიონ და ამოჰგლიჯონ ძირიან-ფესვიანად, რათა მას შემდეგ აღარავინ ჰნახოს ტყის შემაძრწუნებელი პარაზიტი. ასეც მოიქცნენ: დასწვდენ სამივენი ტოტებით, ზოგმა სად ჩაავლო ხელი, ზოგმა სად, და ასწიეს, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ.

[1907 წ.]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცრუპენტელა ალმზრდელი

ნაწილი პირველი

I

ტანზე თხის ტყავი ეცვა, თავზე წოწლოკანა თხისავე ტყავი ეხურა, სახე მოღუშული ჰქონდა, არადროს არ გაიცინებდა. რამდენიმე თხა-ცხვარი ჰყვანდა, იმათა ჰმწყსიდა. ჩვენკე მოდიოდა, თან მოლაპარაკობდა თავისთვინ: „შვილები, შვილები, ჩემი შვილები! შენის შვილების დარდი მაქვს? არ გაგიშვებ, არა, ჩემთან უნდა იყო. არა, ყურცქვიტავ, თავს ნუ იწუხებ“. რამდენიმე ტოლი ბიჭები ერთადა ვთამაშობდით. ციხელის სიტყვები კარგად, გარკვევით გვესმოდა.

— ვინ გაგაჯავრა, ძიავ, ვინ? — ვკითხეთ ჩვენ ციხელს.

— ვინა? — მოიბრუნა იმან პირი ჩვენკენ, თითქოს ეხლაღა დაგვინახა:

— ოჰო, ბიჭებო, თქვენც აქა ჰყოფილხართ? ოთხმოცის წლის კაცი ვარ და ჯერ ეგრე არაფერს, არავის დაუღონებივარ, როგორც იმან დამაღონა — გამიშვიო და გამიშვიო, მეხვეწება. — წარმოსთქვა ციხელმა და მწვანეზე შემოწვა.

— რა არის? ვინ არის? — ვკითხეთ ჩვენ უფრო გულმოდგინედ.

— არაფერი, განა დიდი ვინმეა! კურდღელმა გამაჯავრა. — წარმოსთქვა ციხელმა და თან სახე უფრო მოიღუშა.

— სად არის კურდღელი? ვინ მოგცა? — ვკითხავდით ჩვენ კვლად.

— იმ დღეს ყანაში განაბულს წავადევ თავზე. დამინახა და უფროც გაინაბა, როგორც ფიცარს ტყლაპი, ისე გაეკრა დედამიწას. იმას ეგონა, ვერ დავინახავდი, მაგრამ ჯერ ისეც არ დავბერებულვარ, ბალახი, ქვა, მიწა და კურდღელი ერთი მეორისაგან ვერ გავარჩიო. დავტაცე ხელი, დაიჩხავლა, გაიფხლაკნა. უნდოდა გამსხლტომოდა ხელიდან, მაგრამ ვერ მიართვეს. წავიყვანე და ეხლაც შინა მყავს.

არავის კი არ უთხრათ. ეხლა მეხვეწება, მემუდარება: „შენი ჭირიმე, გამიშვიო, შვილები დამრჩა ობლადაო, ელიან ჩემსა მისვლასაო“. წუხელისაც იჯდა კერის პირას დაყუნთებული და მოსთქვამდა, მწარედ ტიროდა:

სად ხართ, შვილებო,
კარგო, ტკბილებო,
პაწაწკინტელა, ფუნჩულეებო?!
ვაი თქვენს დედას,
თქვენ ვერა გხედავს,
ჯერ უმეცარნო, ყურცქვიტეებო!
ძუძუს ჰკითხულობთ,
უცქერთ ჩემს გზასა,
ჩემს ხმასა...
დაგბრუნავთ თავზე,
დაგიჭერსთ ქორი.
დამეკარგება
შვილები ორი.

— უი საწყალი, საცოდავი! — წამოვიძახეთ თითქმის ყველამ ერთად.

— აი ამისთანა ლექსით მოსთქვამდა და ვერ გამიბედნია გაუშვა, მინდა შინა მყვანდეს. არ ვიცი თქვენ რას მირჩევთ? — სთქვა ციხელმა, — თქვენ რას იტყვით? გაუშვა, თუ გავასუქო და დავკლა?

— ნუ, ნუ, დაკვლა ცოდოა. მე მაჩუქეო. — სთქვა ერთმა. სხვანი ერთმანერთს შევჩერებოდით და ველოდით ერთი მეორისაგან პასუხს. შაგვეცოდა ყველას კურდღელი, შაგვეცოდა იმის შვილები, ობლად დარჩენილნი, მაგრამ გაშვება, განთავისუფლება მაინც ვერ ვურჩიეთ ციხელს.

— გვაჩვენეთ, ძიავ, ვნახოთ და მერე ვეტყვით, რაც უნდა უყო.— ეს იყო საერთოდ ჩვენი განაჩენი.

— ძალიან კარგი, პატიოსანი — წარმოსთქვა კვალადა ციხელმა:—განა კურდღელი მყავს მარტო? ერთი კაკაბიც მყავს. ისიც იმასა მეხვეწება, რასაც კურდღელი: გამიშვი, ჩემი წიწილები ვნახო, ვინ იცის, გადამიჭამა ალალმა; ვინ იცის, სადა წივიან და ტირიანო. ორივე რომ გავუშვა, ხომ დავიღუპე? თქვენ რომ მითხრათ გაუშვიო, მე არ გავუშვებ. რადა და მადა, რომ ავაზაკები არიან: გაპარვა უნდათ. წუხელის ჩუმად ყური დავუგდე და იცით რასა ლაპარაკობდენ? მე ნისკარტით თოკს გავწყვეტო, — ეუბნებოდა კაკაბი კურდღელს,—და, როცა გაგანთავისუფლებ, შენ კიდე კალათას, რომელ-

შიაც მე ვზივარ, ფეხებით ფლასი გადააგდებინე და გავკურცხლოთ. კიდევ კარგი რამ ყური მოვკარი იმათ თათბირს, თორემ ნამდვილად გაიპარებოდენ. ავდეგ მეც და რა მოვუხერხე: კურდღელი ჯაჭვით ღავაბი, კაკბის კალათა ზევიდან წნელით გავწან-გამოვწან ისე, ბუზიც ძლივს გაძვრება შიგა. მააამ!.. მე ვერ მიცნობენ ისინი კარგად... დიალაც ჩემი ალი რო მყვანდეს, ორივესაც გავათავისუფლებდი, მაგრამ, ეჰ, სადღა მყავს, გამიწყრა და გამექცა ჩემი ძვირფასი შვილობილი. — სთქვა რა ეს ციხელმა, ცრემლები მოიწმინდა. ალი რომ ახსენა, ჩვენ ყველამ ყურები ვცქვიტეთ. ხოლო რაც ციხელმა გვიამბო ალზე, ბევრით განსხვავდებოდა იმისაგან, რაც ჩვენ გაგვეგონა მშობლებისაგან. ვეხვეწებოდით, ყელს ვუწევდით, ეამბნა ალის ამბავი. იმანაც დაიწყო.

II

მე გამოჩენილი მონადირე ვიყავი. რაც ნადირი დამიხოცნია, იმდონი თმა არა მაქვს თავზე: დათვი, ღორი, ირემი, ჯიხვი, მგელი, ტურა, ჯერანი და სხვ. ერთი ზამთრის განმავლობაში ასი მგელი მოვკალი. ყველას უკვირდა, გაოცებულები იყვნენ. სხვებს განა არ უნდოდათ მოეკლათ, მაგრამ არ შეეძლოთ და რატომ? მიტომ, რომ ოსტატობა აკლდათ. ბრიყვი, გამოუცდელი მწყემსი, როცა მგელი გამოერევა ცხვარში, ყვირილს მოჰყვება, კივის, ძაღლებს უტევს. ნადირიც გარბის. მე მუდამ გავჩუმდებოდი, დავაცდიდი, ვიდრე ცხვარს არა სტაცებდა პირს და თუ სტაცებდა, ეს იმის ნიშანი იყო, რომ ტყავსაც გასძაბავდა. თოფს მოვიმარჯვებდი, მივეპარებოდი ახლო, მგელი ნადავლს არ აშორებდა თვალს, მე საიდან უნდა დაეენახვე? ამ დროს — ჯაახ! მგელი დაბლა ეგდო.

ერთხელ სანადიროდ წავედი. ხარ-ირემს თოფი ვესროლე. დაჭრილი წამივიდა, გამოვუდექი, იმის დევნაში ერთს დათვს წავაწყდი. დაიწყო ბურტყუნი, შედგა ყალხზე, უნდა მცემოდა, მაგრამ ყოჩაღად დავუხვდი, დავეცი გულში თოფი: დაიღრიალა საშინლად, უზარმაზარი იყო, ადგა და დაეცა, რაც მოხვდა, ტოტით ჰლეწავდა, კბილებით ჰგლეჯდა. იმისი ტყავი ორმა კაცმა ძლივ-ძლივობით მოვიტანეთ სახლში, ჩემი სახლის ბანზე გავფინე, მთელი ბანი დაფარა. დათვს თავი გავანებე, ან კი სადღა გამექცეოდა? ირემს გამოვეკიდე. ცოტა აღაჯი გავიარე, ახლა უზარმაზარი გარეული ღორი, ტახი იყო, არ შამეხეჩა! ეშვები მტკავლის სიგძედ ეტყობოდა გარეთ და ისე ანათებდენ, როგორც ბნელ ღამეში კელეპტრები. კბილებს ილესავდა, პირიდან მუშტის სიმსხო ქაფს ქაფზე ისროდა, ეტყობოდა, გაჯავრებული იყო. მე რას შემაშინებდა, ისე ვიდეგ, როგორც კლდე, მაგ-

რამ ვიცოდი, ერთი ტყვია ვერ მოერეოდა და უსათუოდ ბრძოლა მოგვიხდებოდა. მე ხანჯლის იმედი მქონდა, დალოცვილს ბევრჯელ დაუხსნივარ სიკვდილისაგან. დათვსაც უნდოდა ერთხელ გადავეგდე კლდეზე, მაგრამ შემოვკარ კისერში და, როგორც ქათამს, გავაგდებინე თავი. ტახს თოფი ვესროლე, დაიჭრა და, როგორც შურდულის ქვა, გამოქანდა ჩემკენ, მე მაშინვე ხანჯარი გავიწვადე, მოვიმარჯვე, როგორც მოვიდა ჩემთან და გაიმრუდა კისერი, უნდოდა შემოესვა ჩემთვის ეშვი, მე ხანჯარი დავუსვი და ორივე ყბები ეშვებიანად ჩავასხვიპე. მივაყოლე და მივაყოლე თავში და წელში. როგორც იყო, მოვკალი. დავტოვე ადგილობრივ და გამოვუდეგ ისევ ირემს. როგორც იყო, იმასაც დავეწიე და დავიმორჩილე. ამასობაში დამიღამდა. ცას შავი ღრუბლები გადაეკრა და კოკისპირული წვიმა დაუშვა. ირმის გატყავება ძლივს მოვასწარი. შინ დაბრუნება არ შაიძლებოდა. ახლო ერთი გამოქვაბული კლდე იყო და იქ შევაფარე თავი. ცეცხლი დავანთე, მწვადები დავაფიცხე. პური მშიოდა და შევუდეგ პურის ჭამას. რაღაც წუწუნის, ტირილის ხმა შემომესმა იქვე ახლოს. უნდა სიმართლე გითხრათ, მშიშარა არა ვარ, მაგრამ შევკრთი, განა იმიტომ — თოფს ვინმე მესროდა, ხმალს და ხანჯარსა მცემდა? არა. მეც არ ვიცი რად შევკრთი. მაინც გული გავიმაგრე, გამოვძვერ ეხიდან და კარგად ყური დავუგდე. „ვაჰ ჩემი ბრალი, რა მეშველება მე საწყალსა?!“ — ისმოდა ხმა ადამიანისა, დავიდე ხანჯარზე ხელი და წავედი იქითკენ, საიდამაც ეს ხმა მოისმოდა. მივედი და რა ვნახე? წიფლის ძირას მიმჯდარა პატარა ბალღი და ტირის; სამი წლის გოგოს ტოლა იყო. ყვავილებისა და ფოთლების კაბა ეცვა, ისეთი მშვენიერი, იმაზე კარგს ადამიანის თვალი ველარაფერსა ჰნახავდა. გრძელი, ხშირი, ოქროსფერი თმა კოჭებამდე სცემდა, მსხვილი, ლურჯი თვალები ვარსკვლავებივით უნათებდა. მე მაშინვე მივხვდი, უნდა ალი ყოფილიყო. წავიყვანე გამოქვაბულში, გავათბე, ვაჭამე პური. შენ მამა, მე შვილიო, მითხრა. მიამბო თავის თავგადასავალი: გამომდევნეს ალებმა თავის წრიდან, რადგან ცუდ საქმეებს ბევრსა სჩადიოდენ და მე ვუშლიდიო. შენთან უნდა ვიცხოვრო და, იცოდე. ბედსა გწევო. მე რა ძალა შამეძლო. პირიქით, ღმერთს მადლობასა ვწირავდი, რადგან გაგონილი მქონდა, რომ ალს თუ დაუზავდებოდა ადამიანი, იმის ბედს ძაღლი აღარ დაჰყეფდა. წამოვიყვანე შინა. გავმდიდრდი, ისე გავმდიდრდი — ჩემი ცხვარი და ძროხა დედამიწას ამძიმებდა; ფულით — ოქრო და ვერცხლით სავსე ქვევრები მქონდა. მეორე დღესვე თავის უნარი მაჩვენა. მითხრა: „მამობილო. არ გინდა ჰნახო მოსახილებელი სურათები?“ — რატომ, ძალიან კარგი იქნება-მეთქი.

ვნახე და რა ვნახე? ალი გაჰქრა უცბად და ჩვენს ეზოში იქვე კა-
რებს წინ ვნახე ტურფა ბაღი, რა ხილს იტყვის ადამიანის ენა, იქ აბ
იყო: ვაშლი, მსხალი, ატამი, ბალი, ალუბალი, შიგ ხეივნები იყო
გამართული, დაბრაწული მტევნები ეკიდა ისეთი მსხვილი, თითო
მტევნისა ადამიანს გაუჭირდებოდა ტარება. რიგი მწიფდა ხილი, რი-
გი ჰყვაოდა. ნაირნაირი ფრინველები დაფრთხიალებდენ და გალობ-
დენ. ბაღში შვლები დაკუნტრუშობდენ. მე გაშტერებული შავცქე-
როდი და მიხაროდა, რომ ამისთანა ბაღის პატრონი გავხდი მოუ-
ლოდნელად. მინდოდა დიდხანს მეცქირა ბაღისთვის და დავმტკბარი-
ყავი იმის სიტურფით, მაგრამ მოულოდნელად გაჰქრა ეს სანახაობა,
თვალწინ სულ სხვა სურათი წარმომიდგა: დიდი მინდორი, ზედ მო-
დიოდა მძიმე ცხვრის ფარები. ორასზე მეტი მწყემსი მოსდევდა, მე
წინ მოვუძღვებოდი, ლურჯს, ბედაურს ცხენზე ვიჯე, ოქროსა და
ვერცხლში ჩამჯდარი; ხმალი, ხანჯარი, თოფი, დამბაჩა, რახტი
ცხენისა, უნაგირი და უზანგოები, სულ ოქრო-ვერცხლით იყო მო-
ჭედილი. ყველანი, ვინც წინა მხვდებოდენ, ქუდებს მიხდიდენ, მეფის
საკადრისს სალამს მაძლევდენ. ჩემს წინ, ცოტა მოშორებით, გამოჩნ-
და დიდი სასახლე, ოქროთი შაღებულის სვეტ-კედლებით. პირდაპირ
იქ მივედი, გამომეგება ოცამდე მსახური, დაფაცურებულნი, არ
იცოდენ როგორ ეცათ ჩემთვის პატივი. შავედი სახლში, მომეგებნენ
ნაზირ-ვეზირნი, ცივ-ცივად ამწიეს და დამსვეს სამეფო ტახტზე,
თავს მიკრავდენ, ჩემს ბრძანებას ელოდენ: „დიდებულო, ჩვენო მე-
ფევ, რას გვიბძანებო?“

— რას გიბძანებთ და იმას გიბძანებთ, — წარმოვსთქვი მრის-
ხანედ: — ჩქარა სუფრა გაშალეთ, მოიტათ არაყი და ღვინო ბლომად
ხინკალი, ჩქარა ხინკალი მოხარშეთო! — ვუბძანე! ისინიც ასრუ-
ლებდენ უარის უთქმელად ჩემს ბრძანებას. გავმართე მეჯლისი,
ვსვამდი და ვმღეროდი. მოვიდენ მოსაკრავენი და უკრავდენ სხვა-
დასხვა საკრავებს. ვკმეჭდი წვნიანს ხინკალს და თან არაყს ვაყო-
ლებდი. მეფე ვიყავ, ნამდვილი მეფე. სამი წიწანი არაყი გადავკარ
წინწანაქარი. — მიყვარს კიდეც, ღვთისა წინაშე, ცოტა არ იყოს, მო-
მეკიდა. მერე ძილი მოვითხოვე; დამიგეს ბუმბულის დოშაქი ოქროს
ტახტზე, დამხურეს ძვირფასი ფარჩა-ატლასის საბნები და დავიძინე.
როცა გავიღვიძე, ვნახე, რომ ჩემს მეზობლიანს სახლში ვიყავი, ისევ
ის ეზო, რაც გუშინ იყო... ჩემს წინ ალი იდგა და იცინოდა...

„როგორ მოგწონს, მამობილო?!“ — მკითხა ალმა.

— ოჰ, შე უსამართლოვ! — ვუთხარი მე, — ნეტავი არ მოგეჩ-
ვენა ჩემთვის ეგ სანახავი და თუ მაჩვენე, გამართლებულიყო კი-
დევაცო.

— „ყველაფერი ნამდვილად იქნებაო“, — მიპასუხა ჩემმა ალმა: „მე იმიტომ გაჩვენე ეგ სანახავი, მოგეწონებოდა თუ არა, რომ ნამდვილად მეფედ გაგხადო და დიდი დოვლათი მოგანიჭოვო“.

— აბა, თუ ღმერთი გწამს, მაგაზე მეტი რაღა უნდა მოვინდომო?!

დანაპირები ამისრულა კიდეც. სანამ ალი მყვანდა, მეფე ვიყავი და დოვლათიც დიდი მქონდა. ეხლა მის მოგონებითღა ვსულდგმულობ. ეჰ, რაღა ვსთქვა, შვილებო, ალის სახსოვრად მხოლოდ იმის ლოგინიღა მაქვს: დეკისა და ბრაწისა, მოწნული იმისვე ხელით. ეჰ. რა ვსთქვა და რა ვქნა... ღმერთმა მომცა ბედი და ისევ წამართო. დიდება იმის სახელს. ეხლა ალის მაგივრად კურდღელი და კაკაბიღა მყავს.

— ნეტავი ლოგინი მაინც გვაჩვენა ალისა! — წამოვიძახეთ ჩვენ.

— ჰნახავთ იმასაც, როცა კურდღლისა და კაკბის სანახავად მოხვალთ. — წარმოსთქვა ციხელმა. — მეორე დღეს, განაგრძო ციხელმა, — ტყეში წავედით, მე ერთი კონა ფიჩხი შევკარი წამოსაღებად. ალმა მითხრა: „ეგ რა არის? მაგის გულისთვის უნდა მოსცდე? მოსჭიდე ხელი აგერ იმ წიფელს და მოსწიე“, — მიმითითა ერთს უზარმაზარ წიფელზე. სულ ცოტა, ათი ურემი შეშა გამოვიდოდა. მე ყოყმანი დავიწყე. „რას ყოყმანობო?“ — შემომიტივა და რა მეტი ღონე იქნებოდა, ამოვწიე და ძირ-ფოჩვიანად ამოვწვადე წიფელი; გავიდე მხარზე, ისე მსუბუქა. მეგონა სახრე მქონდა გადებული მხარზე, და გამოვწიეთ შინისკენ. რომ მოვდიოდით, ხეზე ჩიტები სხდებოდენ და გალობდენ: ჩხიკვები, მტრედები, ყვავებიც კი ბრიყვდებოდენ, ვერა მხედავდენ ალბათ. ერთი კოდალა მოფრინდა და ზედ ჩემს თავზე მიეკრა წიფელს, დაუწყო ნისკარტით თავისებურად კაკუნი. მე ნელანელა ხელი ავაპარე. ვწვდი, დავიჭირე. დამიწყო ხვეწნა: ხორცი არ გამოგადგება ჩემი და ტყავი, რად მიჭერ? რისთვის? გამიშვი, თუ ღმერთი გწამსო. მეც ავდექი და გავუშვი. ან კი რა უნდა მექნა, თხილის ტოლა ცრემლები ჩამოსდიოდა და ნისკარტის წვერზე ეკიდებოდა.

III

მესამე დღეს სათიბს წავედი, მთაში. „მამობილო, მეც თან წამიყვანე, თუ ვერა ვთიბ, წყალს მაინც მოგიტანო“. — მითხრა ჩემმა შვილობილმა. მეც დავთანხმდი. ჩავიდე გუდაში საგძალი, გავიდე მხარზე ცელი და გავწიეთ. თიბა რომ დავიწყე, ჩემი ალიც იქვე იჯდა და ალერსიანს თვალებს მადევნებდა; მე რაც შემიძლიან უსვამ ცელს, ვაწვენ ნაფთევზე ნაფთევს. მწვანე ბალახი, ათასნაირი ყვავილებით

აკრელებული, საამურად დაეწყო ერთი მეორის გვერდზე და მახალი-
სებდა. „ცოტა ხანს დაისვენე, მამობილო, თავს რად იკლავ?“ —
მითხრა ალმა. მე არ გავუგონე. ჯიბრზე, ალბათ, ამოიღო უბიდან
სალამური, დააწკრიალა, დაუკრა და რა დაუკრა, ცაში წავედი, ისე
საამურად უკრავდა. თავბრუ დამესხა. ვხედავ და რას ვხედავ: დაი-
წყო ცეკვა მთა-ბარმა, თამაშობდენ ბალახნი, ხეები — დიდრონი მუ-
ხები, გორის ფხაზე ჩამწკრივებულნი არყები, ვერხვები. მეც ძალა-
უნებურად ავყევი, ვროკავდი ხელცელიანი. ცაზე მომფრინავი სვა-
ვები, ძერები, მთის ქორები ჩამოსხდენ დაბლა, ჰროკავდენ ისინიც.
სვავები ბობღავდენ. კაკბებს, გნოლებს, როჭოებს ხომ რაღა თქმა
უნდა. გამოჩნდა საითღაც მელია — კუდაფშეკილი ხტოდა,
ცეკვავდა. მეცინებოდა ამ სურათის დანახვაზე. სადღა იყო ჩემთან
დაღლა? როცა მოიჯერა გული სალამურის დაკვრით, ჩემმა შვილო-
ბილმა ჩაიდო უბეში სალამური; გონებაზე მოვედი. მივიხედ-მ ივი-
ხედე — ყველაფერი თავის წესზე იყო. მხოლოდ ჩემი შვილობილი
იცინოდა: „აი, თუ არ დაისვენებ, ეგეც შენ! რად სწუხდები, შენ მო-
ხუცებული კაცი ხარ, მომეცი აქ ცელი“, — მითხრა და წამგლიჯა
ცელი ხელიდან. როგორც ცეცხლი ისე დატრიალდა და რასაც მე
ორს კვირას ძლივს გავთიბდი, იმან ერთს წუთში გათიბა. მე სიხა-
რულით აღარ ვიცოდი, რა მექნა, რომ ასეთი შვილობილი გამომად-
გა... კიდევ რასმე გეტყოდით, მაგრამ, ვაჰ მე, რომ გამცეთ? უთხრათ
ვისმე; მაშინ რაღა ვქნა?

— არა, ზიარების მადლმა. — იყო საერთო ჩვენი პასუხი.

— მაშ გეტყვით. ალის სალამური მე მაქვს, მაგრამ ვერ იქნა,
ვერ დავუკარ, ბევრისაგან ბევრი ვეცადე. არ იქნა! — სთქვა ციხელმა.

— მე დავუკრავ, ძიავ, მე. კარგად ვიცი სალამურის დაკვრა. —
სთქვა ერთმა.

— არა, მე უფრო კარგად ვიცი, — იძახოდა სხვა.

— ჰო და ვნახოთ. ვინც დაუკრავთ, იმის ფეშქაში იყოს. —
სთქვა ციხელმა და კვალად განაგრძო: — ამ სალამურით ჩემი ალი
დიდ ოინებსა შვრებოდა. ვნახოთ, მოდიან დამწკრივებული წეროები.
ოჰ, როგორ მიყვარს იმათ ცაში დანახვა! დაუკრავდა ჩემი შვილობი-
ლი თავის სალამურს თუ არა, მაშინათვე, როგორც პანტა, ჩამოცვ-
ივდებოდენ დაბლა. ვიჭერდი, რამდენიც მინდოდა, და ვინახავდი
სახლში — ეგრეთვე თუ სავათებს, გარეულ ბატებს, იხვებს, ტრე-
დებს და სხვ.

კიდევ უკეთესი გითხრათ: ერთხელ არაგვზე წავედით სათევზაოდ.
ამოიღო სალამური წყლის პირას და დაუკრა. შევხედე და თავბრუ
დამესხა: გამოდის მდინარიდან ორაგულები — აღებენ პირებს —

ხააპ, ხააპ, შვრებიან. კალმახები — თითო ორი-სამი მტკავსლი, ჭანრები, კაპუეტები. უკრავს სალამურს ჩემი შვილობილი — ძოდის და მოდის თევზის ქარავანი რიყეზე. კარგი-მეთქი, რად გვინდა ამაზე მეტი, წაღება აღარ უნდა? — ვუთხარი მე. მართლაც რაც გარეთ თევზი გამოვიდა, იმის ნახევარი ძლივს წამოვიღეთ სახლში, დანარჩენი, როცა სალამურის ხმა მისწყდა, შეცურდა ისევ წყალში. კიდევ კარგი რამ ცხენი მყვანდა თანა, თორემ ვინ წამოიღებდა იმოდენა თევზსა? მე კიდევ იმედი მაქვს, იქნება მოვიდეს და მოიკითხოს თავის სალამური. რა ვიცი, იქნება ღმერთმა მომხედოს. ნეტავი ერთხელ კიდევ მაჩვენა თვალით, როგორ შავეხვეწებოდი, მუხლებზე შოვეხვეოდი. იქნება თავს აღარ დამანებებდა. თუ მოვიდა ჩემთან, უსათუოდ თქვენც გიჩვენებთ, შვილებო, ჩემს შვილობილს.

ჩვენც ვეხვეწებოდით, როგორც კი შაგვეძლო ხვეწნა, ყელს ვუწევდით. ერთხმად ვსთხოვეთ კურდღელი, კაკაბი და სალამური მაინც ეჩვენებინა. ყველანი ვემზადებოდით იმ დღესვე თან გავყოლოდით. მაგრამ ციხელმა დაგვითხოვა: — დღეს მე შინ არ მივალო და დანაპირების ასრულება შემდეგისათვის გადასდო.

მზე გორის ფხას გაება და ციხელიც გაემზადა შინ წასასვლელად. გაუქეჩა ცხვარს, წინ გაუმძღვარა დიდრონი ვაცი, რომელსაც ხმლის სიგძო რქები ჰქონდა, წვერის ცანცარით ცხვარს წინ მიუძღვებოდა დინჯად, ამაყად. უკან ციხელი მისდევდა ჯოხის ბჯენით და ნელის სტვენით: ნტრიეეე, ქსიეეე! — ჩვენ შურის თვალით გავცქეროდით ამ ბედნიერს ადამიანს... ციხელის ნაუბარი მე ღრმად ჩამებეჭდა გულში. ალი შემიყვარდა; შემიყვარდა, რადგან ციხელის ალი სულ სხვა ჯურის ალი იყო და არა იმათ მსგავსი, როგორიც მსმენოდა... „ნეტავი მაჩვენა თვალით! — ვამბობდი ჩემთვის: — ნეტავი ჩვენსა მოიყვანა, მამაჩემს აპოვნინა. მე და ის დავმეგობრდებოდით. რამდენი ცხვარი და საქონელი გვეყოლებოდა ახლა მაშინ! ეხლა კი რა მყავს! სამი ხბო, სამი ცხვარი. ერთად სალამურს დავუკრავდით. რაკი ისეთი გულკეთილია, მეც მასწავლიდა სალამურის დაკვრას. რა გაიგება, იქნება მაჩუქებდა კიდევაც? მაშინ ხომ ველარც გზირი შეგვაწუხებდა, ვერც ნაცვალი, ვერც მამასახლისი და ჩაფარი? გირაოს ველარ წაგვართმევდა ვერავინ, და მომაგონდა ის სურათი, მამაჩემს რომ მამასახლისმა სილა გაარტყა და რაღაც საკრეფ-ხარჯებში ერთადერთი ჩალხანა ქვაბი წაგვართო და წაიღო.... მამაჩემმა ხმა არ გასცა... ააახ! ამ ფიქრებში გართულმა გამოვრეკე შინ ჩემი საწყემსო... იმ ღამეს დამესიზმრა: ალი ჩვენსა იყო. მე მშვენივრად ვიყავი მორთულ-მოკაზმული. აუარებელი ცხვარი და ძროხა გყვანდა. მე და ალი ვმწყსიდით, სალამურს ერთად ვუკრავდით და, ვინ მოს-

თვლის, რამდენს თევზსა და ფრინველს ვიჭერდით! ვენახი გვქონდა დიდი, თვალგადუწვდენელი, დავდიოდი, ვკრეფდი ყურძენსა და ვჭამდი, რამდენიც მინდოდა... ჩვენი სახლის სიტურფეს ხომ ენა ვერ ასწერდა. მოაჯირის წინ იდგნენ ქუდმოხდილი მამასახლისი, გზირი და მამაჩემს ყელგადაგდებულები რაღაცას სთხოვდენ. დედაჩემსაც ჭრელი კაბა ეცვა და წულების ბაკა-ბუკით დადიოდა...

— ეფრემს არ გაუღვიძნია, ადამიანო?! გააღვიძე, ადგეს, რა ხანია გაუთენდა, — შემომესმა ძილში მამიჩემის ხმა.

„ადე, ბიჭო, ადე, შვილო, გაიღვიძე, ყველამ წაასხა საქონელი!“ — წამჩურჩულებდა დედაჩემი. გავიღვიძე, მაგრამ, ნეტავი არ გამეღვიძოს, წარმოვსთქვი, როცა სიზმარი გაჰქრა და სინამდვილე დამიდგა თვალწინ.

ცოტა ხანს შემდეგ ფეხშიშველა, კონკებში გამოხვეული, ხელში სახრით მივერეკებოდი ჩემს საწყემსოს—სამ ხბოს და სამ ცხვარს— იქითკენ, საცა გუშინ შევხდით ციხელს. ისღა დამრჩა ნუგეშად, რომ მოხუცებული კიდევ რასმე გვიამბობდა ალზე.

— ერთხელ დილაურის საქონელი მოვლალე, — განაგრძო ციხელმა: — უცბად თვალი მოვკარ, ეზოში რაღამაც გაირბინა, ქათამს ჰგვანდა, ჭრუღა ფერისა იყო. კარგად დავაკვირდი: ტყის პირს რომ მიაღწია, ცოტა ხანს დაეყუდა. ოღონდაც კაკაბია... ვიფიქრე: შარშან მყვანდა სხვა კაკაბი, იმასთანავე კურდღელიც ერთი, მაგრამ გამეპარნენ; — იქნებ ის იყოს? საით და როგორ? რადღა მოვიდა, რა მოიტანა, ან რა მიაქვს? ალბათ მოვიდა ჩემს გამოსაჯავრებლად, — ჰე, შენი ტყვე ვიყავი, გაგეპარე და რა ყურებზე ხახვი დამათალეო! — აბა რაკი ეგრეა და ახლა მე ვიცი, თუ შენი ჯავრი შავჭამო, კაკაბო, და მე კაციმც ნუ ვიყო, ქუდიმც ნუ მხურებიაო, ვსთქვი და დავეტიე. ხელში ჯოხის მეტი არაფერი მიჭირა; არც თოფი ჩემთან, არც ხმალი, არც ხანჯარი, და არც დამბაჩა. გამოვუდეგ: შამიძვრა ჯაგებში, შავყევ მეც; გაიქცა მუხრიანაზე, — მივდევ. თვალს არ ვაშორებდი — თავადაც როდი ცდილობდა თვალიდგან დამმალვოდა, თუმცა არც ისე ახლო მიშვებდა, დამეჭირა, ან ქვა მესროლა, ჯოხი დამერტყა. გავათავეთ ტყიანი, გადავედით სარაყდრის გორაზე. დააკრა იმ დასაქცევმა სარაყდრის გორას და გასწია პირდაპირ აღმა, მირბის, მიგოგავს, ერთხელაც არ გაფრენილა. მივსდევ მეც თან. ღმერთო, რა მუხლადი ვიყავ! არ ვიცოდი დაღალვა, დამახეთქა ოფლმა შუბლზე და მკერდზე. მაინც არ გავტყდი. კაკბის ჯავრი როგორა ვჭამო, — ვამბობდი ჩემთვის. — უნდა დამცინოს, გავხდე იმის გულისთვის? არა, მირბის, — მივდევ. გავათავეთ ეს გორიც, მოვებენით ტყეს. გადირბინა გოდორა კლდის თავზე, გახდა მოწამ-

ლულთ ხევზე, გავიარეთ საგულებელზე, გადავედით წითელჩი, გასწია პირდაპირ საშავარდნეთ თავისაკე, მოდის დოსტოლრივ. ... ბუბა ჭიუხებს, ოლრო-ჩოლროებს. დრო და დრო შემოუბერავდა ნიავი და აბურძგნიდა ნაცარა ბუმბულს, თეთრის თვლებით მოწინწკლულს. ულდებოდა იმ დასაქცევს, მაგრამ მე კი ბრაზი მომდიოდა. რამდენჯერმე ქვა ვესროლე. მინდოდა მომეკლა, მაგრამ ავაცდინე. კაკაბი აინუნშიაც არ იგდებდა ჩემს ქვის სროლას.

გადავედით ქოფჩი. ისეთს კლდეებზე მომინდა ბლოტვა და ცოცვა, რომ ფეხებისა და ხელების ფრჩხილები დამცვივდა, მაგრამ არ შევდრკი და არც უკან დავიხიე. თუნდა მოვკვდე, სული ამომხდეს, უნდა მივსდიო კაკაბს. ზღვაში შევა, შევყვები, მიწაში ჩაძვრება, ჩავყვები, — ვამბობდი ჩემთვის: — უნდა გავიგო, რა სწადია, რა უნდა ჩემთვის. უნდა შემამთხვიოს ხიფათს რასმე, ჩემი სიკვდილი უნდა? დაე უნდოდეს, დაე მოვკვდე. გატყდეს და ვინ, ციხელი? აფსუს!.. რაღა ბევრი გავაგრძელო, ჩემო შვილებო, დააკრა შუა გორას კაკაბმა და როგორც ცისაკე გატყვარცნილი ისარი, წავიდა სასვეეთ თავისაკე. მივყევ მეც თან, ცოტა არ იყო, დაღალვა დამეტყო, მოვიკრიბე რაც ძალი და ღონე მქონდა... იძრა კაკაბმა, ვიარე მე. დადეგ, შე ულმერთო, საცამდე უნდა იარო და მავლოვო? — დავუძახე. ის იყო მთის წვერს მივატანეთ, საღამომაც მოატანა. კაკაბმა ჩემს ძახილზე ბალღივით დაცინვის კილოთი გაიკასკასა, აფრინდა და ცაში დაიკარგა. ხოლო ჩემს წინ დაერჭო მიწაში ფრთა. რაღას ვიზამდი, დავრჩი ხახამშრალი, გულს ვიმჯიღავდი, აქეთ-იქით გიჟივით ვხტებოდი. რა დაგიკარგავ, რას ეძებ, ჩემო თავო? ნუთუ ეს ერთი ფრთა უნდა ვიკმავო? ამოდენა ტანჯვამ ჩამიაროს ტყუილად?! ეჰ, რაც არის, ეს ფრთა მაინც შავინახოვო, ვიფიქრე. თუ მკითხა ვინმემ კაკაბის ამბავი, ვეტყვი: მოვკალი და შევჭამეო. დავჯე, სული მოვიბრუნე. მაღლა ვიყავ ძალიან, ძაფით ცაში ჩამოკიდებული მეგონა ჩემი თავი. მიბერავდა ცივი მთის ნიავი; ირგვლივ ჯაჭვით, გაუტეხელის ჯაჭვით გადაბმული, ბუმბერაზი მთების ხროვა-ხროვა ეყარა, ზოგი მწვანედ, სხვა შავად. ზოგი დაგლეჯილ-დაფლეთილი და ზვავ-ღვარებისაგან ჩამოღადრულ-ჩამოკაწრული. ზოგები დაბლა არაგვისაკე ჩაწვდილიყვნენ და შავად ჩაცმულ მოზარეებსა ჰგვანდენ, სატირელზე მტირალთა; ისინი მე ვერა მხედავდენ, ჩემი ამბავი იმათ არ გაეგოთ. მაგრამ აქ სხვები იყვნენ, მაღლა ქედაწვდილები, პირმოღუშულნი, მე დამცინოდენ. ბრაზმორეული დავბრუნდი უკან, მომაგონდა თავდანებებული ძროხები. სახლი. გამოვწიე შინისკენ. ხელში, გამწარებული. კაკბის მიერ მოძღვნილს ფრთას ვატრიალებდი..

გაბოროტებულს, იქნება, ფრთა კიდეც გაედამეგდო, როგორც ხმელი ჯოყარი, უბრალო ჩხირი, ღამეს რომ არ ესწრო. ღამემ რა გამოაჩინა? ისა, ჩემო კარგებო, რამდენიც დაბნელდა, ფრთამ სინათლე გამოსცა, აენთო, როგორც ჩირაღდანი, ანათებდა, არც იწვებოდა, არცა მწვავდა. გამიხარდა, გამიხარდა, სიხარულით ცას დავეწიე. ვიწერდი პირჯვარს, ღმერთს მადლობას ვწირავდი, უსწორმასწორო გზებზე, ფრთის წყალობით, როგორც დღისით — მზისით, ისე მოვდიოდი.

ეს ფრთაც შინა მაქვს შენახული, სანთლად მუდამ იმასა ვხმაროობ, დავსდებ კიდობანზე და მთელი ღაწე ჩემი სახლი სამოთხესავით განათებულია.

ჩვენ ამოვიოხრეთ და ერთი-ერთმანერთს გადავხედეთ იმის ნიშნად, როდის მოვესწრებოდით ყველა ესენი ვნახოთო.

არ გაიარა ერთმა კვირამ, — განაგრძო ციხელმა, — შუადღე იქნებოდა, ძროხებს ვასაგრილებდი, მე დერეფანში მხარ-თეძოზე ვიყავ წამოწოლილი. საითაც იყო და არ იყო, ჩემ წინ ეზოში ყურდაცქვეტილი კურდღელი გაჩნდა, შეხტა და შემოტრიალდა, დაიწყო კუნტრუში.

მაშინვე წამოვფრინდი. ჩემი კურდღელი იყო, შარშან რო გამეპარა. შენ ნახავ, თუ ამანაც ბედს არა მწიოსო, ვიფიქრე. მივეტანე დასაჭერად, გამექცა. გამოვუდეგ. გაიქცა პირდაპირ ხოდისაკე — მირბის ჯაგიანზე. მივდევ მეც. სულ გადავიკაწრე თვალ-პირი. კარგა გზა მარბენინა. ბოლოს აფხუშოურს ნანგრევებში შეიჭრა და დასკუპდა ერთ ადგილას. გაშეშდა, აღარც იქით მიდის, აღარც აქეთ. მეც თამამად მივედი, მივეწვადე, უნდა დამეჭირა, მაგრამ მაგარი ის არის, კურდღელი გადახტა, გამექცა, ხოლო ადგილმა, სადაც ის იჯდა, ფამფალი, ზანზარი დაიწყო და წამოდგა საფლავიდან უზარმაზარი ტანის კაცი, მშვენიერის სახისა, მხარ-ბეჭი ორი ადლი ექნებოდა, თავით ფეხამდე იარაღში იყო ჩამჯდარი, ტანზე ჯაჭვი ეცვა, მუხლებზე ოქროთ დაზარნიშული საჩერნეები, საგანგებოდ მოვარაყული სამკლავეები, თავზე მუზარადი ედგა, წელზე დიდრონი ხმალი ერტყა, ფარი მხარ-იღლივ ჰქონდა გადაგდებული და ხელში ლახტი ეჭირა. მეტისმეტად ლამაზი, საამო სანახავი იყო, თუმცა მე შემზარა ასე უცბად იმის ადგომამ. უკან გადმოვხტი. „ნუ გარბიხარო“, — მითხრა ლმობიერის, გმირულის ხმით, — „რაკი ჩემამდის მოაღწიე, როგორიც მოჰსულხარ, ისეთს ვეღარ გაგისტუმრებ, ძმობილო! მე ცხოვრებაული ვარ, ჩემი სახელი დაკარგულია, აღარც ხალხს ვახსოვარ და აღარც ქაღალდს და საწერ-კალამს, მაგრამ ჩემს ვინაობას მე გაგაცნობო... დიდხანს ვიბრძოლე, დიდხანს ვეომე საქართველოს

მტრებს, ბოლოს მაჯობა მტერმა, ლაშქარიც გამიწყდა და მე ცოცხალი დამმარხეს. დაილოცოს ღვთის მადლი და სამართალი, სჩანს, ჯერ არ მომკვდარვარ, ისევ ცოცხალი ვყოფილვარ, ხოლო ღვთისაგან აი ამ იარაღისა, რასაც ჩემს ტანზე ჰხედავ, ხმარების ნება არა მაქვს. ეს შენ უნდა გიანდერძო და შენ იცი, როგორც მოიხმარო". აიხსნა მთელი აბჯარი და გადმომიყარა. „აიღეო!" მითხრა. მე კანკალი მომივიდა. ღირსად არ მეჩვენებოდა ჩემი თავი იმ დიდებული ვაჟკაცის აბჯრით დამეშვენა ჩემი უძლური ტანი. ვერ ვბედავდი აღებას. შემატყო მოკრძალება და უფრო რიხიანად დამიყვირა: „მე შენ გეუბნები, აიღე, წაიღე და მოიხმარე იმის წინააღმდეგ, ვინც საქართველოს ებრძვის და სჩაგრავსო". მეტი რა ღონე იყო, დავეწვადე გმირის იარაღებს, თან ხელები მიცახცახებდა. როცა გავსწორდი წელში, ავიხედე მაღლა — ჩემს წინ მხოლოდ დიდრონი იფნები და მუხები იდგა. აღარსად გმირი, აღარც კურდღელი. გადვიწერე პირჯვარი, შევწირე ღმერთს მადლობა და წამოვედი შინ აბჯარ-აბგრით დატვირთული. წელი მოვიწყვიტე, ძლივს მოვიტანე იმოდენა რკინეულობა. ხმალი გამოდგა ისეთი, რომ კამბეჩს შუაზე გაჰკაფავდა. სახელოვანი ომებში მე იმ ხმლით და ცხოვრებაულის აბჯრით ვიყავი. როგორც გველის თვალს, ეხლა იმ იარაღებს ისე ვინახავ და ვუფრთხილდები. ვინ მოსთვლის, სად შემიძლიან გიამბოთ სად რა ომებში ვყოფილვარ და მიტრიალებია ცხოვრებაულისეული ფრანგული.

თქვენ ძოლან საცდელადა გკითხეთ, გავათავისუფლო თუ არა კურდღელი და კაკაბიო. თქვენ რო კიდეც გეთხოვათ და შამხვეწნიყავით — გაუშვი, გაანთავისუფლეო, მაგას არ ვიზამდი... თუ გავუშვებ, იმ პირობით გავუშვებ, მარგონ რამა, როგორც წინათ ურგია ჩემთვის კაკაბს და კურდღელსა. ვიცი, რო ესენიც ბედსა მწევენ...

ჩვენ უფრო და უფრო ცნობისმოყვარეობა აგვეძრა და ვსთხოვეთ კვალად ეჩვენებინა ჩვენთვის ყველა ის ნივთები, რითაც ციხელმა აღძრა ჩვენში ცნობისმოყვარეობა და საღერღელი თვალით ნახვისა აგვიშალა: აღის ლოგინი, მისი სალამურიი, კაკბის ფრთა, სანთელივით მანათობელი, გმირის ნაანდერძევი იარაღები და სხვ. ციხელიც უარს როდი გვეუბნებოდა, პირობას გვიდებდა, მაგრამ არ იქნა, ერთხელ არ დააკმაყოფილა ჩვენი თხოვნა. იმის შემდეგ რამდენჯერ კიდევ შევხვდით და ათასი რამ გვიამბო, სხვათა შორის ისაც, როგორ მოსტაცა გველს თვალი. ხოლო თან ფიცს გვართმევდა, არავისთვის არ გვეთქვა, არსად გაგვემხილა. ჩვენც ვეფიცებოდით და გულდასმით ვისმენდით ციხელის მიერ მოთხრობილს ამბებს. სხვა

საუნჯეს ციხელმა გველის თვალიც მიუმატა. ჩვენ ამ ამბების სმენით თავბრუ გვესხმოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაგვის ჭალაზე მოვდიოდიო, — განაგრძობდა იგი. — დაღამდა, დაუკუნეთდა. თოფი მხარზე მკიდია — მგონია ნადირობიდან მოვდიოდი. ჩარგლის კარს რო შამოვჩნდი, დავინახე ზევით, ჭალის თავში თითქოს ცეცხლის ნაკვერჩხალს რაღაც ისვრის. ხან ჩაქრება, ხან გამოჯიელავდება. მაშინვე გულში მომხდა, რო გველი უნდა ყოფილიყო. გავეკარ ჭალის ყურეს. შავეხვეწე ღმერთს, ჩვენს სალოცავებს, ზოგს კურატი აღუთქვი, სხვას ჭედილა და სამღთო, მოემართათ ჩემთვის ხელი, გავეხადე ღირსი გველის თვალის მოტაცებისა. გაგონილი მქონდა, რომ არ იყო ადვილი. მაგრამ, როცა კაცს ყისმათი უჭრის, ყველაფერი ადვილია. ჰო, იმას გიამბობდით, გავეკარ ჭალის ყურეს და ამოვყევ მურყნიანს, თან ვუთვალთვალებ. მართლაც ფიქრმა არ მიმტყუნა. გავარჩიე კარგად, რო გველია, საყურიანი; გამოჰკრავს პირით თვალს და ტყვიასავით დაეტაკება, აიღებს პირში, ახლა კიდევ. ახლა კიდევ.

ეჰ, რაც უნდა მომივიდესო, ვსთქვი. ჩავიმალე ფლატეში, იპრიანა ღმერთმა და პირდაპირ იქითკე დაიწყო გველმა თვალის სროლა, საცა მე ვიყავ ჩამალული და მესამედ რო გამოისროლა, ისე ახლოს დაეცა გველის თვალი, რო ხელის გაწვდის და დავლების მეტი არაფერი დამჭირებია. დავტაცე ხელი და დავიძარ, ნიავქარივით გადავიქე, ისე მოვრბოდი. გველმა საშინლად დაიწივლა და გამომეკიდა, მორბოდა და მოწიოდა... ვირბინე, ვირბინე ძალზე, კინაღამ გული ამოვიგდებინე სირბილით. წივილი გველისა თანდათან მისწყდა, შორსღა ისმოდა, ზარის ხმასავით ძლივსღა აღწევდა ჩემს ყურამდი. მოუკელ ნაბიჯს, გველის თვალი კი მაგრა მიჭირავ ხელში დაბღუჯვილი. ცახცახებდა, კანკალებდა, როგორც ცოცხალი არსება, თითქოს ენანებოდა ძველი პატრონის გაშორება. სიმართლე რო გითხრათ, დავიღალე, წყალი მომწყურდა. მაშინ ჯეილად ვიყავ და ეხლა რო ულვაშები მაქვს, ესეთი ულვაშები კი არა მქონდა, ყურებზე კი არა, უკან კეფაზე ვინასკვავდი და იმ დროს, რა ვიცი, თუ აღარა მქონდა შეკრული, თუ გამეხსნა. წყალი მწყუროდა, დავეწაფე არაგვს, გველისა აღარ მეშინოდა, ძალიან შორს დარჩა და მწარედ ტიროდა და გლოვობდა თვის უბედურებას. დავეწაფე წყალსა, დავლიე და კარგა ხარბადაც დავლიე პირქვე წაწოლილმა. ავიწიე, მაგრამ ველარ ვიწევ, შიგნით წყალში რაღაც მეზიდება. მე გავჯავრდი და რაც ძალი და ღონე მქონდა ავწიე თავსა. ვნახო და რა ვნახო! იმაზე საკვირველს რაღასა ვნახავდი? ორივე ულვაშის ტოტზე თითო ორაგული მომბმია და ორივე გამოვთარე.

გველის თვალმა თავისი ძალა მაშინვე მაჩვენა. ისეთები იყო, თითოს ძლივა ჰზიდავდა კაცი. ცას დავეწიე სიხარულით, ოთხიც სხვა რო ყოფილიყო, რას ვერასა ვზიდავდი, ლომივით ვაჟკაცი ვიყავ. წამოვიკიდე ორივე ზურგზე და გამოვწიე გამარჯვებულმა შინა. იმ ორაგულის ლაჩა ყბებს გველის თვალთან ერთად ვინახავ....

თვითეული ნაამბობის შემდეგ ჩვენი თხოვნა საერთო ის იყო, რო ერთხელ ეჩვენებია ყველა ესენი ჩვენთვის, მაგრამ ციხელის მხრით დაპირების მეტი არაფერი გვესმოდა.

როცა არ იქნა და ვერაფერი შევასმინეთ, პირობა პირობად რჩებოდა, ასრულება დანაპირებისა არსად იყო, ჩვენ გადავწყვიტეთ ბალღებმა, ერთად წავსულიყავით ჩვენ თითონ, რაც უნდა მოგვსლოდა, და მთელი ციხელის სახლი გადაგვეჩხრიკა და ყველაფერი თავის თვალით გვენახა.

ციხელმა საღამოზე ჩვეულებრივად გაუმძღვარა დარბაისელი ვაცი ცხვრებსა, თავადაც თავის წოწლოკინა ქუდით გაჰყვა თავის საწყემსოს და გაურიალა: „ჩიეე, ნტრიეეე!“ ჩვენ კიდევ ზურგს უკან მუქარა მივაყოლეთ: მოიცა, მოიცა, ციხელო, არ გინდა შენ გვაჩვენო შენი ძვირფასი სალარო, მაგრამ ჩვენ თითონ ვნახავთ. თუნდ ცხრაკლიტულში გქონდეს დამალული.

ციხელის სახლი თითქმის ყველამ ვიცოდით საცა იდგა, ხოლო სახლში ნამყოფი არც ერთი ჩვენგანი არ აღმოჩნდა. გადავწყვიტეთ ხვალვე იერიში მიგვეტანა ციხელის სახლზე ისეთ დროს, როცა ის ცხვარში იქნებოდა. ფიქრი და ასრულება ერთი იყო.

მეორე დღეს, შუადღის ხანს, ჩვენ უკვე ციხელის სახლის კარებთან მოვიყარეთ თავი-თავს. თავთავიანთი საწყემსო უპატრონოდ დავტოვეთ, ისე გაგვიტაცა ცნობისმოყვარეობამ, ციხელის სახლი თითქმის არა სჩანდა გარშემო აყვირებულს შამბში. ანწლი, ჭინჭარი, დიყი და ლემხურა ტყესავით ჰქონდა გარს შემორტყმული, ბანზედაც, გაუზვეპავობით, ბალახი ამოსულიყო. ორგან ჭერი იყო ჩამონგრეული. სახლის კარები ადვილად გავალეთ. მე თავად შევყავი კედელში სარკმელივით გამოჭრილს ფიცარში ხელი და გამოვუგდე ურდული. სახლის კარმა, ორის დაფუტურებული ფიცრისაგან შეთანთხილმა, საბრალოდ ჭრიალი მოიღო... ჩვენ თულებივით შავიჭრენით სახლში და რა ვნახეთ? ვნახეთ ის, რის ნახვამაც მთლად წელები მოგვწყვიტა ყველას და თავზე ცივი წყალი გადმოგვასხა. კაცს აეტირებოდა. სახლში ისეთი საცოდაობის სუნი ტრიალებდა. როგორც იტყვიან, სახლში ეკლის ჯაგი რომ გექნია მთელი დღე, არაფერს მოედებოდა. არსად ხმალი, არსად ფარი და აღარსად გველის თვალი. განა, ვისაც გველის თვალი აქვს, ასეთი საცოდაობა

ტრიალებს იმის ოჯახში?! თითებზე ჩამოგითვლით ციხელის მთელს ავლა-დიდებას: მარჯვენა კედლის წინ იდგა ფეხებ გვერდზე მიწვენილი, ფეხებდამტვრეული კიდობანი. წინდაწინ ამ კიდობანს მივმართეთ, რადგან ის უფრო თვალებში გვეჩხირებოდა. ავხადეთ თავი და რა ვნახეთ? ერთი პირმოტეხილი ყურიანი ქილა დაგვიხვდა. შიგ ყველის წვენი, თუ გათქვეფილი ხაჭო იყო, ღმერთმა უწყის. იდგა ქილაში მწაკე და მწკლარტე. რაღა ბევრი გავაჭიანუროთ, წაკა იდგა ქილაში, რომელსაც ალბათ ციხელი შაექცეოდა. ეგდო შიგ ერთი გალეული ნამგალი. ცელის ნამტვრევი. ერთი ხარის რქა და ერთი წყვილი თუ სამი ცალი ქალმის ჯღანი, თაგვებისაგან ოთხგან თუ ხუთგან ძირგახვრეტილი და ნახრავი... თაროზე ორი ჯამი იდგა, ორი კოვზი და ერთიც ქიტურა ხისა, ტარმოკლე. თაგვების ნახრავი კაჩხაზედ ცალის სახელით გვერდგამოჭრილი თხის გუდა ეკიდა. კიდობნის გვერდით იდგა პატარა საფქვილე კოდი, შიგ ნახევარი თუ ერთი ლიტრა ქერის ფქვილი ეყარა; კიდობანზე ეკიდა პირებ-ჩაჟღლილი ნაჯახი. კარების მარჯვნივ, წინა კედლის სისწვრივ, ციხელს ჰქონდა გამართული ლოგინი. ეს ადგილი საწოლად იმიტომ აერჩია, რომ აქ წვიმის წყალი ისე არ ჩამოდენილიყო, ეტყობოდა, როგორც სხვაგან. რკინის საკიდლის მაგივრად, კერაზე ხის საკიდელი ეკიდა. მოგრეხილი წნელი, მაღლა დამაგრებული, წნელში გაყრილი თავბოლომოხრილი თხილის ხე-კაკაჩუნა. თავის ლოგინისთვის თავსა, გვერდზე და ბოლოს ნახჩები შემოევლო წიფლისა, შიგ შამბი ჩაეგო და სახურავად კი ხუთგან თუ ექვსგან გაგლეჯილი, ჭვარტლისაგან გაყვითლებული ნაბადი ჰქონოდა, სათავითურად — ხის კუნძი.

კედლებს, ყორით აგებულს კედლებს, ვათვალიერებდით. ვუსვამდით ხელს და იქ სხვა არაფერი შეგვხვდა, გარდა ხის ლურსმებისა ქვებ შუა შეტანებული. მხოლოდ ზემო კედელში, უფრო ვითომ მოფარებით, ჟანგისაგან შეჭმულს შუბის წვერზე პატარა ჩალხანა ქვაბი ეკიდა და შიგ ჩოხის შალის ნაჭერში დაფქული მარილი იყო გამოკრული. რა დაგიკარგავ, რას ეძებ? ოჰ, რა ცუდია გაცრუებული იმედი?! რას მოველოდით და რა ვნახეთ? ღმერთო, ღმერთო! სადა ხართ, სადა, ალის სალამურო, გველის თვალო, ფრთავ, ჩირაღდნად მანათობელო? ჰაერში თუ ციხელის გონებაში? მოგვწყდა წელები, მოგვეკვეთა მუხლები... აღარ ვიცით, რა ვქნათ. უნდა გავლანძღოთ ციხელი, უნდა შეურაცხვყოთ მოხუცებული. რად მოგვიწამლა იმედი, რად მოკლა ასე უღმერთოდ ჩვენი აღფრთოვანება?!.. უნდა, უნდა უეჭველად ვუთხრათ, რაც უნდა მოხდეს, უნდა

შევუძახოთ ერთხმად ასე: ჰაი, შე მატყუარავ, ცრუო, გცხვენოდეს, გცხვენოდეს! ვერ შევხვდებოდით თუ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ და ციხელი მეორე დღესვე შევხვდით ერთმანეთს. ციხელმა არჩეულს გეზზე მორეკა თავისი საწყემსო და შორიდან დაგვიწყო ცქერა, ჩვენ შორიდან ვუცქეროდით მგლის თვალით და წინანდებურად აღარ გავრბოდით სხვადასხვა ამბების მოსასმენად. უკვირდა ციხელს ჩვენს მხრით ასეთი გულცივობა. იმან არ იცოდა, რომ ჩვენ უკვე გაჩხრეკილი და გადაქექილი გვქონდა მისი უბადრუკი ქოხი. ციხელი ამაყად იცქირებოდა, ჩვეულებრივ მხარ-თეძოზე შემოწვა, ჩვენ ადგილიდან არ ვიძროდით. ბოლოს ალბათ მოთმინება გაუწყდა და თავადვე მიგვიწოდა თავისთან. ჩვენც ეს გვინდოდა. დაუყოვნებლივ გავწიეთ ციხელთან.

სახეალესილები წარვსდეგით ციხელის წინაშე. იმან ჩვენი სულიერი განწყობილება ვერ გაიგო, რადგან ეჭვი არაფრისა ჰქონდა და ისევ ძველებურად, თავისებურად დაიწყო.

— ჰოო, იმას გიამბობდით, ბალღებო. — წარმოსთქვა ციხელმა.

— რაც გვიამბე, ისიც სულ ტყუილია, — წამოვიძახეთ ჩვენ ერთხმად და მოულოდნელად გადავუსხიპეთ შუაზე დაწყებული სიტყვა. ციხელი ამას არ მოელოდა; არც ერთხელ ამისთანა პასუხი ჩვენგან არ ჰსმენია და ცოტა არ იყოს შეკრთა.

— როგორ თუ ტყუილი? — სთქვა ციხელმა.

— ტყუილია, ტყუილი! — ვყვიროდით ჩვენ და თან უკან-უკან ვიხევდით...

— რა იცით რო ტყუილია? ვინ გაგაბრიყვათ? — წარმოსთქვა ციხელმა.

— ვნახეთ, ვნახეთ, გავსინჯეთ შენი სახლი. ველარ მოგვატყუებ. ველარ. რაც მოგვატყუე, ისიც გვეყოფა. — ვამბობდით ამას თუმცა. მაგრამ გულში კი გვინდოდა კიდევ რამ ეამბნა ჩვენთვის ციხელს საკვირველი და საოცნებო. რა გაგვეწყობოდა, ერთხელვე ჩათრეულები ვყავდით.

— როგორ? — წარმოსთქვა ციხელმა და ცბიერად გაიღიმა. — ჩემი სახლი გასინჯეთ? — და გადაიქნ-გადმოიქნია თავი. — მერე იერას იპოვნიდით არ ჰნახავდით, თქვე საწყლებო, გიჟი ვარ განა თქვენსავით, კარლია, თავლია სახლში შევინახო იმისთანა ძვირფასი რამეები? — სთქვა რა ეს ციხელმა, ნაძალადევის სიცილით ჩაიცინა. — იმეებს თქვენ ვერ იპოვით ათიათასი წელიც რომ ეძებოთ.

ჩვენ ერთმანეთს გადავხედეთ და თვალებით ვეკითხებოდით, იქნება მართალი იყოს? იქნება არა სტყუის ციხელი! შაიძლება, შაიძლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ იმ სამდურავის შემდეგ, რომელიც გამოვუცხადეთ ციხელს, მალე შევხვდით. ჩვენმა სიყვარულმა მისდამი მაინც არ იკლო; მაინც ისევ ეჭვში ვიყავით, უბრალო შემთხვევას, ჩვენს უკეთურობა-უხეირობას დავაბრალეთ, რომ ვერ გავხდით ღირსნი გვენახა ციხელის ძვირფასი სალარო: გველის თვალი, ალის სალამური, ცხოვრებაულის აბჯარი-ჯაჭვი, მუზარადი, ხმალი და ფრთასანთელი, კაკაბმა რომ უძღვნა ციხელს.

ციხელი ჩვეულებრივ თავის თხა-ცხვრებსა ჰმწყსიდა. ჩვენ დაგვინახა, მაგრამ ყურადღება სრულიადაც აღარ მოგვაქცია. საბრალო სანახავი იყო: ისევ ის ძველი ტყავი ეცვა. ისევ ის ქუდი ეხურა, მაგრამ, ჩვეულებრივ, გვერდზე აღარ იყო შემოწოლილი: ორივე იდაყვები მუხლებზე დაეყრდნო, გარდიგარდმო ჰქონდა კალთაში გადებული სამწყემსო ჯოხი, ჩასჩერებოდა დაბლა დედა-მიწას, თითქოს ტიროდა. ჩვენ ნელის ნაბიჯით, გაუბედავად გავწიეთ იმისკენ.

— გამარჯვება, პაპავ, გამარჯვება! — შევუძახეთ ჩვენ ერთხმად, თუმცა ყველას ხმა გვიკანკალებდა, გვრცხვენოდა იმის შემდეგ, რაც ჩვენ მოხუცებულს ტყუილად შეურაცხყოფა მივაყენეთ. იმან ხმა არ გაგვცა, მინამ მესამედ არ დავუძახეთ გამარჯვება; მხოლოდ მაშინ ძლივს აიღო თავი და ცრემლიანის თვალებით გადმოგვხედა. მართლა ეტირნა. ჩვენ ძალიან შაგვეცოდა მოხუცი, ვიფიქრეთ: რა უნდა ატირებდეს? იქნებ ციხელის სალაროს მიაგნო ვინმე ბედნიერმა და გაქურდა? შესაძლებელია. შემოვეხვიენით გარშემო.

— რადა სტირი, პაპავ, რა დაგემართა? ვეკითხებოდით და გვინდოდა ჩქარა მიგვეღო პასუხი და თუ რამ ჩვენგან შეიძლებოდა, მიგვეცა ნუგეში, დავხმარებიყავით.

კარგა ხანს პასუხი არ მოგვცა. ბოლოს ძლივს ნამტირალევი ხმით გვიპასუხა:

— ეჰ, — ამოიხვნეშა ციხელმა: — დასხედით, შვილებო, დასხედით... რა მატირებს? რა არ მატირებს, მაშ რა მაქვს სასიხარულო, აბა თქვენვე მითხარით? მუხლი აღარსად, ჯანი, თვალთახედვა, ყურთასმენა!.. ბებერი ცოცხალ-მკვდარია. ნელ-ნელაობით კვდება კაცი, როცა ბერდება, ცოტ-ცოტაობით ცივდება, მინამ სამუდამოდ არ გაცივდება. მოხუცი რისღა მაქნისია? ეხლა მე გინდ საფლავში ვდებულვარ, გინდ აქა ვგდებულვარ? ასლი სასამარეო ვარ, სამიწესხვად აღარსადა ვარგივარ, არა, თუ არ მიწად, ან ქვად. ამას მე კარგად ვხედავ და ვგრძნობ. ნეტავი ისევ ომში მოვმკვდარიყავი,

ტყვიას გავეგმირე, ან ხმალს გავესხიპე და ეს არ მეგრძნო, რასაც დღესა ვგრძნობ. მერე რამდენ ომებში ვყოფილვარ უნდა იცოდეთ და! ან კი საითა ვრჩებოდი, მიკვირს. ალბათ ასე მეწერა; ჩემმა წერამწერელმა ასე დამიწერა: იცოცხლე ციხელო და ეწვალე. რისთვის ვიცოცხლე? რა გავაკეთე, რა გავარიგე? ჩამოვბერდი შავად, როგორც რიყიანს ჭალაზე ბერდება მურყანი უნაყოფოდ. ამოვვარდი ძირ-ფოჩვიანად. აღარავინ მრჩება, რომ ჩემი შესანდობარი მაინც დალიოს, ჩემობა ეთქმოდეს... იმითღა ვნუგეშობ, რომ თქვენა გხედავთ ბალღებს, თქვენ გიყურებთ, როგორც თავის შვილებს... იცოცხლეთ, დაიზარდენით! აახ, როგორ ჯავრი მომივიდა ჩემს თავზე, ბეწვი გასწყდა, თავი არ მოვიკალ წუხელ, სწორედ წუხელ. ამოწვდილა ქარქაშიდან ცხოვრებაულის ხმალი, ტარით მეჩეჩება ხელში და თან მეუბნება: „შენ, ეი, ციხელო, ძმობილო, სულკურთხეულმა, დიდებულმა გმირმა ცხოვრებაულმა როცა ჩემი თავი ჩაგაბარა, რა გითხრა? დაგავიწყდა? ამ ხმლით ეომე საქართველოს მტერსო. შენ კი დასდიხარ არხეინად, თხა-ცხვრებს ურიალებ. მე კი ჟანგი მჭამს. ვგდივარ უპატრონოდ. მტერი — კი ბევრია, ბევრზე ბევრი. ესეც მისაყვედურა ცხოვრებაულის ჯაჭვის პერანგმა — ჩამიცვი ტანზე და ხმალი მოიქნიეო, ხომ იცი, მე ხმალი ადვილად ვერ გამკვეთსო. მუზარადმა: დამიდგი თავზე, რა დაგემართა, რა ჰყოფილხარ? ერთხელ როგორ აღარ მაჩვენებ ომის გრიალსა და ხმლების პრიალსაო?! — საიდან, ჩემო კარგებო! მე ვუპასუხე: — აბა საიდან? დამკვლიეთ, ამხედ-ჩამხედეთ, მაქვს განა თავი თქვენის ხმარებისა, ომში შატანისა? გაბედე, უნდა გაჰბედოვო, ავწიე ხმალსა, ძლივს ავიღე; მარტო აღება ხომ არ არის, ხმალს მოქნევაც უნდა? ჩემი ალი რო მომსლოდა, იქნება ის რასმე მიწამლებდა, ის შაიძლებდა ჩემს გაახლებას. ნამდვილად გამაჯეილებდა, მაგრამ ბედი ადამიანს თავის სიცოცხლეში თურმე ერთხელ ეწვევა. თუ მაგრა ჩაბღუჯე, შაგრჩება ბოლომდე, თუ არა და მალე ისევ გაგისხლტება ხელიდან. ტყუილია, რისთვის ვაწუხებ ღმერთს ლოცვა-მუდარით? მთელი ღამე დაჩოქილი შევღაღადებ ღმერთს, რომ გამხადოს ღირსი ჩემი ძვირფასი შვილობილის ნახვისა. ნწ! აბა, არა! ამაოა, ამაო, წავიდა, მორჩა. რაც მინახავ, ველარა ვნახავ.

— ჩემი ვაჟკაცობა რომ მომაგონდება, ღმერთო, რა ვიყავი, რა? ლომი ვიყავ, ლომი, დევი. ხელს რასაც მოვავლებდი, თუნდა ჭანდარი ყოფილიყო, ან უნდა ამომეგლიჯა, ან მკლავები ზედ უნდა დარჩენილიყო, არ შაიძლებოდა. — ციხელი თანდათან ეშხზე მოდიოდა, მისმა საუბარმა მწუხარე კილო დაკარგა, მხიარულება დაეტყო და ჩვენი ჯავრის ამოყრაც შოინდომა: მოიწადინა ჩვენი

ტყვიას გავეგმირე, ან ხმალს გავესხიპე და ეს არ მეგრძნო, რასაც დღესა ვგრძნობ. მერე რამდენ ომებში ვყოფილვარ უნდა იცოდეთ და! ან კი საითა ვრჩებოდი, მიკვირს. ალბათ ასე მეწერა; ჩემმა წერა-მწერელმა ასე დამიწერა: იცოცხლე ციხელო და ეწვალე. რისთვის ვიცოცხლე? რა გავაკეთე, რა გავარიგე? ჩამოვბერდი შავად, როგორც რიყიანს ჭალაზე ბერდება მურყანი უნაყოფოდ. ამოვვარდი ძირ-ფოჩვიანად. აღარავინ მრჩება, რომ ჩემი შესანდობარი მაინც დალიოს, ჩემობა ეთქმოდეს... იმითღა ვნუგეშობ, რომ თქვენა გხედავთ ბალღებს, თქვენ გიყურებთ, როგორც თავის შვილებს... იცოცხლეთ, დაიზარდენით! აახ, როგორ ჯავრი მომივიდა ჩემს თავზე, ბეწვი გასწყდა, თავი არ მოვიკალ წუხელ, სწორედ წუხელ. ამოწვდილა ქარქაშიდან ცხოვრებაულის ხმალი, ტარით მეჩეჩება ხელში და თან მეუბნება: „შენ, ეი, ციხელო, ძმობილო, სულკურთხეულმა, დიდებულმა გმირმა ცხოვრებაულმა როცა ჩემი თავი ჩაგაბარა, რა გითხრა? დაგავიწყდა? ამ ხმლით ეომე საქართველოს მტერსო. შენ კი დასდიხარ არხეინად, თხა-ცხვრებს ურიალებ. მე კი ჟანგი მჭამს. ვგდივარ უპატრონოდ. მტერი — კი ბევრია, ბევრზე ბევრი. ესევე მისაყვედურა ცხოვრებაულის ჯაჭვის პერანგმა — ჩამიცვი ტანზე და ხმალი მოიქნიეო, ხომ იცი, მე ხმალი ადვილად ვერ გამკვეთსო. მუზარადმა: დამიდგი თავზე, რა დაგემართა, რა ჰყოფილხარ? ერთხელ როგორ აღარ მაჩვენებ ომის გრიალსა და ხმლების პრიალსაო?! — საიდან, ჩემო კარგებო! მე ვუპასუხე: — აბა საიდან? დამკვლიეთ, ამხედ-ჩამხედეთ, მაქვს განა თავი თქვენის ხმარებისა, ომში შატანისა? გაბედე, უნდა გაჰბედოვო, ავწიე ხმალსა, ძლივს ავიღე; მარტო აღება ხომ არ არის, ხმალს მოქნევაც უნდა? ჩემი ალი რო მომსლოდა, იქნება ის რასმე მიწამლებდა, ის შაიძლებდა ჩემს გაახლებას. ნამდვილად გამაჯეილებდა, მაგრამ ბედი ადამიანს თავის სიცოცხლეში თურმე ერთხელ ეწვევა. თუ მაგრა ჩაბღუჯე, შაგრჩება ბოლომდე, თუ არა და მალე ისევ გაგისხლტება ხელიდან. ტყუილია, რისთვის ვაწუხებ ღმერთს ლოცვა-მუდარით? მთელი ღამე დაჩოქილი შევლაღადებ ღმერთს, რომ გამხადოს ღირსი ჩემი ძვირფასი შვილობილის ნახვისა. ნწ! აბა, არა! ამაოა, ამაო, წავიდა, მორჩა. რაც მინახავ, ველარა ვნახავ.

— ჩემი ვაჟკაცობა რომ მომაგონდება, ღმერთო, რა ვიყავი, რა? ლომი ვიყავ, ლომი, დევი. ხელს რასაც მოვავლებდი, თუნდა ჭანდარი ყოფილიყო, ან უნდა ამომეგლიჯა, ან მკლავები ზედ უნდა დარჩენილიყო, არ შაიძლებოდა. — ციხელი თანდათან ეშხზე მოდიოდა, მისმა საუბარმა მწუხარე კილო დაკარგა, მხიარულება დაეტყო და ჩვენი ჯავრის ამოყრაც ბოინდომა: მოიწადინა ჩვენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაბრაზება. ჩვენ რო ერთხელ ვაწყენინეთ, ეხლა სამაგიეროს გვიხდიდა.

— ჰოო, იმას გიამბობდით, — განაგრძო ციხელმა: — მართალია, გეწყინებათ, მაგრამ უნდა გითხრათ სიმართლე და არა სიცრუე. სიმართლე კი არ უნდა გეწყინოსთ, ბალღებო. ერთხელ მამათქვენებმა ჩხუბი გამიმართეს, აი სწორედ აგერ იმ ადგილას, იმედის კაკალთან, აღდგომა დღეს. ხატში ვიყვენით, ლუდი ვსვით, მე კარგა ქეიფიანად ვიყავ. კარახელს, გეჯას, შალვას, ბერიძეს და გამახარეს — მამათქვენებს მოელაპარაკნათ, ეგ ციხელი როგორღაც ბიჭობს, ყოყოჩობს, მოდი, ერთი მაგასა ვცეთო. მე რა ვიცოდი, შეზარხოშებული კაცი შინ დასაძინებლად მოვდიოდი, მოულოდნელად თავზე დამესხნენ, დამიწყეს ცემა, ლანძღვა. ბიჭო, დადეგით, ჭკვიანად იყავით, მე თქვენი არა მმართებს, თქვენ ჩემი, თუ ღმერთი გწამთ, ხელი არ გამაღებინოთო. აბა, იმათ არ შაისმინეს. გამოვიღე ხელი, მივაყოლე. ისე გავუხადე საქმე, რო სულ თავბედი ვაწყევლინე, ვიხვეწე, — თუ ღმერთი გწამ, თავი დაგვანებე, ხო არ გაგვწყვეტო. — ახლა მე გავჟინიანდი, აღარა ვდგებოდი. ბოლოს, კარგა რო მოვრეხვე თქვენი ჯიუტი მამები....

— დიახ, დიახ, მაშ არა?! — წამოვიძახეთ ჩვენ ერთხმად, რადგან შეურაცხყოფილად ვიგრძენით ჩვენი თავი.

— ახლა, დამაცადეთ, თქვე კაი კაცებო, გითხრათ და, — სთქვა ციხელმა. — და იქვე შორი-ახლო ზემო სოფლელების ვირები ება, დავხსენი საბლები, საბლები და რა საბლები, კაი მაგარი ბალნის საბლები! შავუკარ ხუთსვე ხელ-ფეხი, კარგა შავბოჭე ხუთივე, გადავაბი ერთი-მეორეზე, ცალი საბელის წვერი ხელში დავიჭირე და სახრით დავირეკე. მივრეკე ყველა თავთავის სახლში, არავის არ გავაგებინე. მამაშენი ცხვირით დავაბი დიდს ძირხვენაზე, თქვენი სახლს წინ რო დგა, სწორედ იმაზე დავაბი. გავუხვრიტე მახათით ი დიდი კეხიანი ცხვირის ნესტო, გავუყარე შიგ ბალნის ღაზლა, ბევრი მეხვეწა, მაგრამ, აბა, არ შავიბრალე. ან რად შავიბრალებდი? მე რო მომრეოდენ, ვინ იცის, რა ცეცხლში ჩამაგდებდენ?!. მამაშენი, — სთქვა კვალად— მაშინ დიაკვნად იყო, გრძელი წვერი ჰქონდა, წვერით თქვენის კარების რკინის კოჭაკზე დავაბი. ისიც ბევრს მეხვეწა, თუ გწამს უფალი, ხელები მაინც გამიხსენ, ჩემო ციხელო, მოიგონე, კაცო ქრისტემ რო ბრძანა: — შეიყვარე მოყვასი შენიო. მე ვარ და არ შევიყვარეო, — ვუპასუხე. ხელები, გიჟი ხომ არ ვიყავი, რო გამეხსნა?! არც ერთსაც არ გავუხსენი ხელები, აეშვებოდენ, და რაღა ლაზათი ექნებოდა იმათ დაბმა-დატყვევებას? — არაფერი. — მამაშენი, — მიუბრუნდა მესამეს: — ყურებით თქვენის დერეფნის ბოძზე მივაკარ ზურგით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავაკარ, როგორც ჯვარზე ქრისტე გააკრეს, ორივე ყურის ბიბილო-ები გავუხვრიტე, შიგ ღაზლა გავუყარე, შემოვახვიე ბოძსა და გავ-ნასკვე. ბევრი მემუქრა, იტორტმანა, მაგრამ ტყუილად. ვერაფერს გახდა... აახ, ნეტავი ხელთ ნებას ვიყოვო, ბუტბუტებდა. წელან ხო ნებას იყავ, რად მოიხდინე, რა ძალა გედგაო, მე ვეუბნებოდი.

ჩვენ უთანხმოებას ვუცხადებდით ციხელსა, ვბრაზობდით, ვწყრებოდით. თითქმის მზად ვიყავით, მშობლების სამაგიერო გვეხ-დეინა ციხელისათვის. ციხელი მაინც არა სცხრებოდა. — მოიცათ, შვილო, მაითმინეთ, გაიგეთ ბოლო და! რასა ჰგავ ეგეთი სულისწრა-ფობა?! — გვეუბნებოდა ციხელი დინჯად, აუჩქარებლად, შეუშფო-თებლად.

— მამაშენს კიდევ, — უთხრა მეოთხეს, — რადგანაც ბურნუთი უყვარს, ცხენის თოფრა ამოვდე პირზე, შიგ ბლომად თამბაქო ჩა-ვუყარე. ხმაც არ ამაიღო, როგორც ვატყობდი, კიდეც უხაროდა, ვინ იცის, რა სასჯელს მოელოდა ჩემგან და რაკი ასე მცირე თან სასიამოვნო სასჯელით გადარჩა, რა ეთქმოდა, წავიყვანე და მოშო-რებით, რო ცინტაობა (ცხვირის ცემინება) არავის გაეგონა, ბოს-ტანში რო პანტა გიდგათ, იმაზე დავაბი... მამაშენი შავიყვანე ბო-სელში, — უთხრა მეხუთეს — და გრკალით ძროხების საბმელ ბაგაზე დავაბი. ყველას შუბლზე ნახშირით ჯვარი გავუკეთე და გავწიე ჩემთვის. მამებს რო ჰკითხოთ, არ გეტყვიანთ, იუარებენ, კაცს სა-მარცხვინო ამბის თქმა თავის თავზე არ უყვარს, სასახელოსი კი ესიამოვნება. ჰო და იმას გეუბნებით, არ იტყვიან მართალს და შაიძ-ლება დედებმა კი არ დამალონ და თქვან სიმართლე, რადგან თქვენი მამები დედათქვენებს გაენთავისუფლებინათ მეორე დღესა. ასე იყო, ასეთი ბიჭი ვიყავი ჩემს ჯეილობაში, ჩემო შვილებო, და რო სჯავ-რობთ, რასა სჯავრობთ, განა ეხლაც კი გვეჯავრება ერთურთი მე და მამათქვენებს, არა. ძალიანაც გვიყვარს. მალევე შავრიგდით და როცა მოვიგონებთ, სიცილადაც არა გვყოფნის.

— ტყუილია, ტყუილი! შენ მამაჩემს ვერ მოერეოდი, ვერა. მამა-ჩემისთანა ლონიერი არავინაც არ იქნება, — სთქვა ერთმა.

— მამაჩემი კი ულონოა? ისეთ ძელებს მიიტანს შინ მხრითა, ულელს ხარს გაუჭირდება საზიდავად, — სთქვა მეორემ.

— ტყუილია, ეგ არ შეიძლება. როგორ არა; დიახ მაშ, მაშ?! ვიძახდით ჩვენ უკმაყოფილო კილოთი.

— ეგრე კი იყო და ეხლა თქვენ იცით, სთქვა ციხელმა და შე-მოწვა მხართეძოზე; მერე ისევ წამოიწია და განაგრძო: — ვიცოდი, გეწყინებოდათ და მუდამაც ეგრეა, როცა კაცს პირში სიმართლეს ეტყვი. აკი წელანვე გითხარით — გეწყინებათო. გეწყინოსთ, რა ვქნა.

რაც მართალია, — მართალია. გამოიკვლიეთ, გამოიძიეთ, დააფიცეთ, არ დამალონ, სწორად იუბნონ, რაც მოიხილეს. ვინ იცის, იქნება არც იმათა თქვან, ან რა სასიამოვნოა, თუ ღმერთი გწამთ, ცოლისთვის ქმრის გახიახება? ქმარზე ავის, აუგის საუბარი. შაიძლება არა სთქვანვ ისე, ხვეწნა-მუდარამ იქნება იმოქმედოს, თუმცა ვამბობ მაინც გამეორებით, — შაიძლება ხვეწნამაც არ გასჭრას. რა სასიამოვნოა, არა, თუ ღმერთი გწამთ, ცოლმა სთქვას თავის ქმარზე საქვეყნოდ: „იმ დამეხილს ციხელს ჩემის ქმრისთვის ცხვირი გაეხვრიტა, ძირხვენაზე დაებაო; ჩემის ქმრისთვის ყურები დაეხვრიტა, ბოძზე მიეკრაო? ჩემისათვის ცხენის აბგა ამოედვა თამბაქოთ სავსეო“ და სხვადასხვა. არ არი ადვილი სათქმელი. მაინც ეცადენით, იქნება როგორმე მოახერხოთ და ათქმევინოთ. მიამბობდით, თუ ღმერთი გწამთ, ერთი რას იტყვიან.

ჩვენ ერთმანერთს გადავხედეთ, თვალებით გამოველაპარაკეთ და თვალებითვე გადავწყვიტეთ: მოდი, მართლაც ვკითხოთ დედებს, ვნახოთ რას იტყვიან, იქნებ არა სტყუოდეს.

ნაწილი მეოთხე

I

კვირა დღე იყო. რამდენიმე ტოლ-ამხანაგებმა მოვიყარეთ თავითავს მშვილდ-ისრებით, ბოძალდებით შეიარაღებულებმა, ვისაც არც მშვილდ-ისარი ჰქონდა, არც ბოძალდი, იმათ კომბლები ერჭოთ წელში და ვდევდით ჩიტებსა, ბოძალდებით შეიარაღებულნი ნამდვილ მონადირეებს ვგვანდით, რადგან ბოძალდი თოფსა ჰგავს, კონტახით გამართული, რაზედაც მშვილდია დაკრული, — ფეხზედაც შემოდგება, დასასხლეტიც აქვს. ასე რომ, თოფს ბევრში არ დაუვარდებოდა ჩვენის ფიქრით. მე, რადგანაც ნამდვილი ზროები (რკინისაა, ისრის წვერზე დასაგები) არა მქონდა, თუნუქისა გავაკეთე. რამდენიმე ჩიტი, — შაშვი ვინადირე: თუნუქობით ისრის წვერები არაფერს იშლიდა, თავის დანიშნულებას კარგად ასრულებდა. ტყეებს და ტყის პირებს ვიყავით მოდებულნი, იქვე სოფლის ახლო, რომ მოულოდნელად თავზე წავადექით ციხელს. გზის პირას იჯდა, მელოტი გუდა მოეხადნა, წინ დაეფინა, ზედ ქერის კოტორი იდვა და ნაჭოს ნატეხი, გვერდით მარჯვნისკე შუბი ედვა. სჩანდა, სადღაც სამგზავროს უნდა ყოფილიყო. „სალამი ვაქკაცებსა“, დაგვასწრო მოსალმება მოხუცმა, — „კაი კაცი სუფრაზედაო“, ნათქვამია, მობძანდით, სამხარზე მეწვიენით. ნადირ კლოვ გიზღოსთ, მოჰკალით.

ხელი მოგიმართოსთ, ხვალ ხარი ირემი მოგაკვლეინოსთ რქიანი. „ნადირი, მონადირეო, მთას წახვალ, გებედებაო, დღეს თუ ვერ მაჭ-კალ, ხვალ მაჭკალ, აუგ არ დაგედებაო“. „თოვლი სთოვს, ჯიხვი ფეხს უცემს, გული გგლის[1] მონადირეო: ჯიხვო, ვერ მოგკალ, ტიალო. სისხლი ვერ გაგადინეო, ვერ გადაგაგდე კლდეზედა, რქაზედ ვერ დაგაბჯინეო, ვერ დავიკვეხე სწორებში, გული ვერ გაგაცინეო“[2], „დუშმანიმც არი, დედაო, მონადირისა ცოლია, შინ უგავ თბილი ლოგინი, თავად ჭიუხში[3] სტოლია, საშუალამო ვარსკვლავი საგათე-ნებო ჰგონია“. ეს ლექსი რომ სთქვა, ციხელი თანაც განმარტებას მოჰყვა: კლდეზე გადავარდნილა საწყალი. დამზადებულა საჯიხვეში წასასვლელად, ცოლს უთქვამს, ჯერ შუალამეა, რა დროს წასვლა არიო. ქმარს უპასუხნია: ცისკარი ამოვიდა, და სწორედ დროც არის წასვლისაო. თურმე ხარიპარია ცისკრის ვარსკვლავად მოეჩვე-ნა. წავიდა, არ დაიშალა და ბნელში კლდეზე გადაილია. „რაად კარ-გია კაი ყმა, რაის კარგისა მქნელია, წავა და მოჰკლავს ნადირსა, ჭალაში მწვადის მწველია: დააძღებს ამხანაგებსა თავად მშიერა მგელია“. გაგიმარჯოს, ბევრი კი გავაძღე მეც ნანადირევით და განა მარტო ადამიანი? ფრინველი რამდენი? სად შამეძლო ზიდვა, რაც მე ნადირსა ვხოცდი: რასაც მოვერეოდი, წამოვიღებდი, რაც არა და, ვინც კი შამხვდებოდა, მტერი იყო თუ მოკეთე, ვაძლევდი. ძალიან მეხვეოდა ნადირი. ნადირობისა დიდი იღბალი მქონდა. კაცი დავბერ-დი და დღესაც თუ სახლს გავცდი, მაშინვე საითაც იქნება და არ იქნება, უნდა რამ ნადირი ამიჩნდეს, შამეხეჩოს წინა. ეს ორი დღეა, შინაით წამოსული ვარ, შუაფხოს მკითხავთან ვიყავი და იმდენი რამ შამემთხვა, რო გიამბოთ, ხვალ ამ დრომდე ვერ გავათავებ“. გვიამბე, გვიამბეო! ვსთხოვდით ჩვენ ყელგადაგდებით.

„ჰო და, ჯერ აქედან რომ მივდიოდი, საყანურებში რო გავჩნდი, ვნახე, ორი ყოვი წაკიდებულიყო, ჰქოჩრავდენ ერთმანეთს, სამკვ-დრო-სასიცოცხლო ომი ჰქონდათ: ჩაეყარათ ნისკარტი ნისკარტში. ხუტას მამულიდან დაწყებული პაპუჩელის მამულში ჩამოვიდენ ამ ყოფით: მეც იქვე ვეყუდე და სეირს ვუყურებდი, როდი მხედავდენ, იქამდე თავი ჰქონდათ დავიწყებული და თვალები სისხლით და ბრა-ზით სავსე. ორივე ხელში ავიყვანე, გავწიე აქეთ-იქით, ძლივ-ძლი-ვობით, გავათავთავადე, ერთი ერთს ხელში დავიჭირე, მეორე — მეორეში. პირებს აღებდენ, ჯავრისაგან ჰფეთქდენ, ქაქანებდენ,

---

[1] გკლავს.

[2] ე. ი. ნიშნი ვერ მოვიგეო.

[3] კლდეებში.

ერთმანეთისაკენ იზიდებოდენ, მე არ ვუშვებდი. რაზე სჩხუბობთ, თქვე საწყლებო, რა გაქვს გასაყოფიო? დავეკითხე, — მამულს ვეცილებაო — მითხრა ერთმა. რომელ მამულს? — აგერ იმას, მიპასუხა ყვავმა და თანაც ხუტას მამულზე მიმითითა, საიდანაც მართლაც დაიწყო ამათი ბრძოლა. მე გამეცინა. ის ხომ ხუტასია. შენ ვინ მოგცა მამული, შე უბედურო, ან რა გუთნეულს გამიჭიმავ, კიდეც რომ მოგცენ? — მამული ხუტასი მარტო ოთხ თვეს არი მთელი წლის განმავლობაში, ვიდრე წლის მოსავალს მოიკლებს და შინ წაიღებს, მერე მამული სულ ჩემს ხელთ არისო. — მიჰქარავ, ყვავებს ჩვენ მაგნაირად არ გაგვინაწილებია, საცა ვის მოგვეწონება, იქ დავსხდებით; მარტო შენ გამოსჩნდი მაგისთანა ოხერი, რო მესაკუთრეობა გინდა განაწესოვო, სთქვა რა ეს მეორემ და მიიწია პირველზე საცემნელად, მაგრამ მე არ გავუშვი და დავემუქრე: თუ იჩხუბებთ, ორივეს თავებს წაგგლეჯავთო. მაშინ პირველმა ყოვმა მთხოვა, გამიშვი, წავიდე, სამართალს პირი ვუკითხო, იქნება ვსტყუი და გავმტყუვნდები, ხმასაც აღარ ამოვიღებო. ვისთან უნდა უჩივლო?—მამასახლისთანაო. არ იცნობ ჩვენს მამასახლისსაო?—არა. — ოო, ძალიან ჭკვიანი ვინმეა, ძალიან დიდი ტანისაა და დიდი თავიცა აქვს, სასოვეთ კლდის გვერდზე რომ მეორე კლდეა, იმ კლდეში სცხოვრობს და ისეთი დიდი ხმა აქვს, იქ რომ დაიჩხავლოს, ცის ნაპირამდე გაიგონებაო.

ძალაობას სამართლით მოშველება სჯობიაო, ვუთხარი და გავუშვი. ყვავმა მართლაც, იქით გასწია, სადაც მამასახლისის სადგურს მანიშნებდა. მეორემ ზიდილი დაიწყო, უნდოდა ხელიდან გამშვებოდა და უკან გამოჰკიდებოდა, მაგრამ მე არ გავუშვი, ვიდრე პირველი ყვავი მთა-გორებს სრულიად არ მოეფარა. ისიც იმის კვალზე წავიდა და რას იზამდენ, ღმერთმა იცის.

გავედ არაგვზედ, შევუდეგ ჭალას. ბუქალოს ძირს რო შავჩნდი, გამოვარდა ტყიდან ხარ-ირემი, ოფლში გაწურული და გაიბოტინა შუა შარაზე. შემომხედა და შემომძახა: ციხელო, თოფი არა გაქვ, დამკარ, შენზე უპრიანია ჩემი ლეში, ვიდრე მგელზე, რომელიც კვალდაკვალ მომდევს და აღარ მეშვება, უნდა შემჭამოსო. გასწი, გზას მიჰყევო, — დავუძახე, — მგელს მე მოგაშორებო. ირემი წავიდა ჯან-ჯალით და ლაშდაღრენილი მგელიც გამოჩნდა. სჩანს არ დავბერებულვარ, მოვიბრუნე შუბი, გავტყორცნე და მგელმა კუდი გადიქნია. ირემი არაგვს გავარდა, კილდოვანის ტყეს შეუდგა, თვალს ვადევნებდი, ერთ ბორცვზე გადმოდგა და იქიდან თავს, ბოჯოჯლი რქებით შემოსილს, მიქნევდა, ვითომ მადლობელი ვარო. მეც მადლობელი ვიყავი, მგელს ირემი გავაგდებინე პირიდან. და მეც მგლის

ტყავი ვიშოვნე. ხელად გავაძრე ტყავი და მეწვრილმანე აღაღოს ორ მანეთად მივყიდე. თოფ-იარაღს აღარ ვატარებ, რადგან ჩემ დროულ კაცს აღარ უხდება იარაღის ტარება: რაც ცოდვა მიქნია, ისიც მეყოფა ცოდვად, ნეტავი ის მაპატიოს ღმერთმა, მაგრამ ის დალოცვილი თითქოს თვითონვე ცდილობს მიმიყვანოს ცოდვაში. მაშ რა არის ესა? თოფ-იარაღიანები ვერა ჰხოცავენ მგლებსა და მე შუბით მოვკალ. წამოვედ იქით, ნაწვეთაში რომ მოვედ, პური მომშივდა, დავჯე-კლდეზე არაგვის პირად, მოვიხსენ გუდა, ამოვიღე პური, დავუწყე ჭამა. მესმის ჯავრობის ხმა. საიდან? გუბიდან. დავაცქერდი, მომდგარა თევზი, მომდგარა ფარცხად მთელი ქარავანი, კაბდო ვერ გასწვდებოდა, შუა თევზებში ორაგული ტრიალებს და უჯავრდება: გაწყდით, თქვე გასაწყვეტნო, ამოვარდეს თქვენი ქოქი!.. ვეღარსად დამიმალია ქვიშაში ქვირითი, დაუღიათ პირები, ეს ფიჩხული ვარო, ეს მურწა, ეს კალმახი, ეს ნაფოტა, ეს გველანაო, ეს კაპუეტიო, რამდენ ქვირითსაც კი გავიგდებინებ, სტაცებენ პირს მანამ ქვიშაში ჩავმალავ და ყლაპან?.. აფსუსი არ არი ჩემს ქვირითს თქვენ ეგრე ძალლ-უმადურადა სჭამდეთ, და ათიათასობით ორაგული არ უნდა იზრდებოდეს, რომ ესაზრდოვებინათ, აი იმისთანა საწყალი კაცი, როგორც ციხელი. თავზე რო დაგვჩერებია და ცარიელ ქერის პურსა ჰღოღნის! თქვენში რა მადლია, გინდ დაგიჭიროსო კაცმა, გინდ არა, ყლაპი გამოხვალთ, ყლუპი აღარა, თქვე უჯიშოებო, თქვე ლაწირაკებო! საწყალ ორაგულს უთხარა, მისი ნათხარი იქვე ეტყობოდა, შამეძლო დამეცა შუბი, მომეკლა, მაგრამ ხმაც არ გავეცი. „საჭმელად, სათქმელად, ბევრი გდნებათო“. მართლაც ის წყეული თევზები ისე მზირას ედგნენ, როგორც კატა თაგვსა.

გავათავე პურის ჭამა, ავდექ, წავედი...

II

მივდივარ, ვნახო. ორწყალს ქვეით რომ ხიდია და პატარა მინდორი, იმაში დათვები მოდიან, დაგზიურებულნი, ზურგზე ხურჯინები ჰკიდიათ რკოთი, კაკლით, თხილით, წაბლით, სოკოთი სავსეები. — გამარჯობათ — „გაგიმარჯოსთ“. — საით მისდიხართ? — ღმერთმანი, ბატონთან, ღალა მიგვაქვსო, მიპასუხა ერთმა, როგორც ეტყობოდა უფროსობას ჩემულობდა, ხოლო რო ბელადი იყო, ეს ცხადადა სჩანდა, რადგან სხვებს წინ ის მოუძღვებოდა. „სადათვეთი განათლდაო, უფროს-უმცროსობა გავიგეთ, წინად რომ დათვები ყოფილან მარტო უვლიათ და უჭამიათ და არავისთვის კი არაფერი უძლევიათ, ის დათვები აღარ გახლავართო“. მითხრა თავმომწონედ.

ძალიან კარგი... „შენ სადღა მიდიხარო?“ მკითხეს. — მკითხავთანო, მეც აღარ დავუმალე ჩემის მგზავრობის მიზეზი. აი ჩვენა გვყავ მკითხავი, ფასი არ უნდა და პატივიო. ტვლეპიავ, აბა ერთი ციხელს უკითხე, გაუგე, რა დაღონება ადგიაო. მოიყრეინეს გუდა-ნაბადები დათვებმა, შემოგვერტყნენ გარსა და ტვლეპიაც მოჰყვა მკითხაობასა: „ციხელო, იცოდე, ყველგან იტყოდე. მშიერს უნდა ჭამა, მწყურვალს — სმა, სიტყვას — თქმა, ბატონს—ყმა, მუნჯს—ენა, ყრუს — სმენა; ბრმას — თვალები, ძაღლს — ძვალები, უკბილოს — კბილები, უშვილოს — შვილები“. მოჰყვა დათვი აბდა-უბდას, ეგ არი თქვენებური დათვური მკითხაობა? — „ეს არისო“! თანაც დათვებმა სიცილი დაიწყეს, თავის ჭკვაში ხუმრად დამიჭირეს, მასხარად ამიკდეს. მამივიდა ბრაზი, ცხოვრებაისეული ხმალი რო მქონიყო იქა, სულ თავებს გავაყრეინებდი, სულ ავკუწავდი, ერთს არ გავუშვებდი ცოცხალსა, ისე, როგორც ცხრა თავიანი დევი ავკუწე. მაგისთანა მკითხაობა გცოდნიათ, იმიტომ თქვენი ბიძაშვილი ერთმა წუწკმა მელამ ერთის თხილის გულით მოატყუილა, ჯერ ორივე თვალები თავის თათებით დასთხარა; როცა დააბრმავა, გზა აღარა ჰქონდა წასასვლელი, მელასვე შეეხვეწა, წამიყვანე, ბინაზე მიმიყვანეო. მელამაც ატარა, ატარა და ერთს დიდ კლდეზე გადაჩეხა, მართლა ასე იყო, მე ტყუილი არ მითქომს,—განა ტყუილია, მართალია. შემოჰხვდა ტყეში დათვი მელას იმ დროს, როცა მელა ნათაგურის თხილს შაექცეოდა. თაგვის ორმოს თხილი ხომ ძალიან გემრიელია. მივიდა ახლოს დათვი და მიესალმა. მელამაც ბოდიში გადაიხადა, ხოლო ცალი თვალი დახუჭა. „რას შაექცევიო?“ ჰკითხა,—თვალი გამოვითხარეო. — მიუგო მელამ. „ერთი მაჩვენე რა გემოსიაო?“ მელამ კარგი თხილის გული მიართვა. დათვს ძალიან ეგემრიელა, თაგვის ორმოს თხილი იმას თავის სიცოცხლეში არ ეჭამა. „მოდი, ბარემ მეც გამომთხარე თვალი, მინდა შევჭამო, ძალიან გემრიელი მომეჩვენაო“. მელამ გამოსთხარა მარჯვენა თვალი და მისცა. დათვმა შეჭამა, მაგრამ ემწარა; ეს ის არ არისო, მოუშარა მელას. მელამ ივაგლახა: აახ, შემცვლია, უნდა მარცხენა თვალი გამომეთხარა, გემო იმაშიაო. „ჩქარა გამომთხარეო“! დათვს ემწარება თვალების თხრა, მაგრამ გემოს გულისთვის ითმენს. მოსთხარა მარცხენა თვალიც, გადასცა, მაგრამ არ მოეწონა დათვს და დაუწყო საყვედური მელას. მან უთხრა: — შენი თვალები ყოფილა მწარე, ჩემი რა ბრალიაო, ჩემი თვალი ტკბილი იყო და რა მომაგონებდა, თუ შენიც ისეთივე არ იქნებოდაო. დათვმა ხმა აღარ ამოიღო. დაჰკიდა თავი, დაღონდა, დარჩა უშტარი, უსინათლო. აღარ იცის საით წავიდეს. შეეხვეწა ისევ მელას, რომელმაც თვალები დასთხარა და გააბრიყვა: წამიყვანე, შენ

ღმერთს შეჰხედე, ბინაზე მიმიყვანეო. მელასაც ეს უნდოდა. გაუძღვა წინ დათვსა და თანაც დაარიგა: როცა გითხრა ახტი-დახტი, ბერო ბიძაო, მაშინ ჩქარა მომყე, გამოიქეცი, და როცა გითხრა ცოკლი-ცოკდი, ბერო ბიძავ, ნელ-ნელა გამოაბიჯეო. ეს საჭიროა იცოდე, რადგან ზოგან ვაკეა, შაიძლება ჩქარა გავლა და ზოგან გვერდალი, კლდიანი, თუ არა ცოკვით, არ გაივლებაო. ძალიან კარგიო, უბედური დათვი დასტურს უცემდა, მელა, საცა ვაკე იყო, დათვს იქ აცოცებდა და საცა კლდე და გვერდული, იქ ახტუნებდა, ამ ხტუნაობაში ერთს დიდს კლდეზე გადაჩეხა დათვი და იმისი ტყავი და ხორცი თავად დაინარჩუნა. მელისა და დათვის ამბავი რო მოვაგონე, დათვებს არ ესიამოვნათ. მაგრამ რას იზამდენ, მე ჩემს გზაზე წავედი, ისინი თავისაზე. იქიდან წავედ და მშვიდობით მივაღწიე მკითხავთან. იმასთან ჩემი ყოფნა ან კი რა სანიაზოა თქვენთვის? რატომაც არ გვენიაზებაო, ჩვენ უთხარით და თანაც ვთხოვეთ გაეზიარებინა ჩვენთვის რა უთხრა, რა უკითხა მკითხავმა.

გეტყვით იმასაც, რაკი გულით გინდათ. დასამალი არაფერია, ჩემო შვილებო, თქვენც არ გიამბოთ, ვისღა ვუამბო მაშა? ჩემს ბებერს ციცას? ჩემის სახლის მჭვარტლიან კედლებს? ან ჩემს ბებერს თხასა? ვინ იცის, ან კი დამიხვდება ცოცხალი? გიამბობთ. მივედი ნაოგურთან, ვთხოვე მიკითხეო. ამხედ-ჩამხედა, ამათვალ-ჩამათვალიერა და მითხრა: ამაღამ აქ უნდა დაჰრჩე, სიზმარს ვნახავ და მერე გიკითხავო; იმისთანა ყისმათის კაცი სჩნიხარ, მე შენსას უსიზმროდ ვერაფერს გავიგებო.

III

ჩემსავით ტიალ-ოხერი კაცი ყოფილა ისიც: მარტო ცოლ-ქმარნი ყოფილან. არავის შამნახავ-დამმარხავი არ დარჩენიათ. ღმერთმა ააშენოს იმათი ოჯახი, მე კარგად დამიხვდენ: ხინკალი ჩაყარეს, არაყი ჰსდგომიყოთ, იმ ღამესა ვსვით და ვუამბე ჩემი თავგადასავალი, ჩემი ალის ამბავი, რაც კი გადამხედია ჩემ სიცოცხლეში და რაც მახსოვდა, რაც კი მომაგონდა, და განა ცოტა ხნის კაცი ვარ, ცოტა რამ მინახავ და ან გამიგონია, 700-800 წლის კაცი ვიქნები, თამარ ნეფე ესე მინახავ პირ და პირ, როგორც თქვენა გხედავთ, ბალღებო და თქვენ რო მშვილდ-ისარი გიჭირავთ, მაგისთანა საომარი იარაღი გვქონდა, მაგრამ ეგეთები კი არ იყო, ისეთ ხმას გამოსცემდენ, როცა ისარს ვტყორცნიდით, როგორც თოფი. მშვილდები რქისა გვქონდა, ისრის ფრთები სულ არწივისა, შევარდნისა და ქორისა, ახლა როგორ ვესროდით?! ეხლა ზოგი თოფით ვერ მოჰკლავს ნადირს, რა მანძილზედაც მე ისრით ნადირი მომიკლავ. მაშინდელი

ფშაველები რო გენახათ, შეგზარავდათ, ისეთი ვაჟკაცები იყვნენ. ხარკამეჩისათვის რომ ხელი მოევლო თითო ისეთი ვაჟკაცი გამოჩნდებოდა თავრქაზე, როგორც კატას ისე დააწყვეტდა მიწაზე. ისეთი მათრახები იცოდენ, აი ემ მკლავის სიმსხო, როგორც ხმალს, ისე აჭრეინებდენ. როგორ შვენიერები იყვნენ, როცა ჯაჭვში ჩასხდებოდენ და საომრად დაემზადებოდენ. სამკლავე-საფუბრეებს, საჩერნეებს (საწვივე) გაიკეთებდენ და თავზე მუზარადებს დაიდგამდენ. ჰაიგიდი დროებავ, რა დროება იყო! ნეტავი ის დრო ქნა და მეც იმდროთაივა მქნა, რამდროთაიც მაშინ ვიყავ. თვალს ვერ მოაშორებდა კაცი, სუ გინდოდა გეცქირნა, არც თვალი დაიღლებოდა ცქერით და არც გულს მოსწყინდებოდა სიამოვნება. დალახვრა ღმერთმა, ეს კაცები ხო დაქალუჩუნავდენ და ცხენებს რაღა ღმერთი გაუწყრათ?! სუ თვალს ვადევნებ და იმ ჯურის ცხენის მნახავი აღარა ვარ, როგორიც ცხენები მაშინა გვყვანდა. ცხენები ცის დაელნებასა ჰგვანდა, ხოლო ჩვენი ომი ჭექა-ქუხილსა. საცა ჩვენი ჯარი მივიდოდა, იქ ქვა-ქვაზე აღარ დადგებოდა. ერთი სიტყვით, ლომები ვიყვენით, აზეზებული ლომები, უკან დახევა წესი არ იყო; ომი ჩვენთვის ქორწილი იყო; დახოცილები, სისხლის მორევში დაწოლილები, წითლის ღვინით დამთვრალნი გვეგონა, განა თუ დახოცილან და აღარ გაიღვიძებენო. ახლა თამარი როგორ გვათამამებდა, გვამხნევებდა, როგორც დედა ერთად ერთს შვილსა — თვალის ჩინსა. როგორ გვასაჩუქრებდა, თქმა აღარ უნდა. ჰაი გიდი, ვაჟკაცებო, რა ვაჟკაცები მახსომს მაშინდელები, ღმერთო? კლდეები იყვნენ, გაუტეხელი, ცოდვა არ არი მიწა სჭამდეს იმათ მკლავებსა?! ცოდვაა, დიდი ცოდვა!..

მაშინ სად იყო თოფის ხსენება, ნელადღა გაჩნდა თოფი, ისიც უჩახმახო, რამით ცეცხლი უნდა დაგედვა ყურზე, რო გავარდნილიყო, ან აბედი დაგედვა. კარგმა ხანმა გამოიარა, ახლა ჩახმახი მაიგონეს და ის მიაკრეს. წინად თოფი ძალიან ძვირი იყო, ათასში ერთს თუ შაეძლო ყიდვა. ერთს მეთოფეს თოფის გულისათვის ხუთს წელს მოჯამაგირედ ვედეგ.

ჰო და იმას გიამბობდით: ნაოგური კარგა დამიხვდა; ბევრი ვიუბენით და მერე დავიძინეთ, მე კი საკვირველი სიზმარი ვნახე და ნაოგურს რა დაესიზმრა, არ ვიცი. ჩემს დღეში ამისთანა სიზმარი არ მინახავს. სადღაც უცნაურს ადგილას ვიყავი. უცნაური სასახლე იდგა, სულ ბროლისა, მინისა. დაბლა დედამიწა მის გარშემო და ბალმა ხეები ათასფრად ყოოდენ, სურნელებით კაცსა ჰბნედდენ, ისმოდა საოცარი ჟივილ-ხივილი ათასის ჯურის ფრინველთა. სადა ვნახავთ ცხადად იმისთანა ფრინველებს? არ შაიძლება. რა ფრინვე-

ლები იყო და ან რა ერქვა სახელები, არ ვიცი. ზოგებს კი ვამსგავსებდი ტრედს, ხოხობს. იყო სახლის ეზოში მარმარილოს აუზები და შადრევნები ამოდიოდა, შიგ გედები დაცურავდენ. ირეოდა, მიდიოდა და მოდიოდა ფრინველთა გუნდები, დასხდებოდენ ხეებზე, იგალობებდენ და გაფრინდებოდენ, ბაღის სხვა ყურეში გადაუვლიდენ ბინას, იმათ მაგივრად სხვა უკეთესი ფრინველი მოფრინდებოდენ და უკეთესს გალობას იტყოდენ. გულში გამეფიქრა: სამოთხეს რომ იტყვიან, სწორედ ეს უნდა იყოსო. ეს საკვირველი სახლი საკვირველად იყო გამართული, ჭერი როცა უნდოდათ გაიხსნებოდა და დაიხურებოდა. ორმა კაცმა შამიყვანა შიგნით, მღვდლური ტანისამოსები ეცვათ და ისეთი სინათლე მეცა თვალებში, კინაღამ იქვე დავპირქვავდი მაღლობ ადგილზე. მთელ ამ ადგილს ცეცხლი ჰქონდა წაკიდებული და არკი იწვებოდა, ცეცხლის მოხუცებული კაცი იჯდა და მოშორებით კედლების ჩაყოლება ცეცხლისავე კაცები ერტყენ. მე რომ შავდგი სახლში ფეხი, სწორედ იმ დროს გაიხსნა სახლის ჭერი. გამოჩნდა ცა და ზედ დაკიდებული ჭაღები და ცეცხლის კიბეები, ზედ პატარა ბალღები ად-ჩამოდიოდენ და ისე მშვენივრად გალობდენ, ისეთს სიტყვებს ამბობდენ, რომ სიამოვნებით, როგორც შაქარი ცხელ წყალში დადნეს, ისე ვდნებოდი.

მოხუცმა კაცმა საუბარი გამიბა: შენ, ციხელო, სთქვა მან: დიდს იღბალსა გწიე, თითქმის არვინ კი დამისაჩუქრებია ეგრე, როგორც შენ. კაცმა რომ ნატვრის თვალი იგდოს ხელში, მეტიღა იღბალი შეიძლება? სალამური, რომელიც ალმა დაგიტოვა, ფრთა კაკბისა, რომელიც ღამე მზესავით გინათებს, და ამასთან აბჯარი ცხოვრებაულისა, სადაც კი მოიხმარ, მტერზე მუდამ გამარჯვებული იქხები. შენ კი, შე დალოცვილიშვილო, ყველაფერი თავის-პირად სიამოვნებისთვის მოინდომე, სიმდიდრით არავის არაფერი არგე და ხმლით მტრისაგან შენი ქვეყანა ვერ დაიფარეო. თუ სხვისთვინაც არ გიზრუნია და თუ საქართველოს გულისთვის არ მოგიქნევია კიდევ ხმალი, იცოდე, რაც შემიწირავ შენთვის, ისივაც გამოგწირავ, შენ მე სიკეთე გიყავ იმიტომ, რომ ჩემთვის მოგებაძა, შენ სხვისთვის გექნა სიკეთეო. ეს პირველად მიპატიებია, რადგან საქართველოს გულისთვის დამაშვრალხარ და უკეთუ არ მოჰქცეულხარ ისე, როგორც მე გარიგებ, ჩემს სიტყვებს ავასრულებო. გასწიო, — მიბრძანა, დაილოცოს იმის მადლი და სახელი. ეს რომ სთქვა ციხელმა, ქუდი მოიხადა და პირჯვარი დაიწერა. გასწიო, მიბრძანა, და არ დაივიწყო ჩემი დარიგება. არც მოჰკვდებიო. ისიც დაატანა, ვიდრე საქართველოს იმ წრეზე არა ჰნახავ, როგორც ოდესმე გინახავო. ერთბაშად ხრიალი რალამაც მოიღო, თითქოს კარები დაიხურაო. მე გედზე ვიჯე და ცის

სივრცეში, მოვფრინავდი, ყურებში—კი ისევ ის მშვენიერი ბალღე-
ბის გალობა მედგა და ჯერაც კიდევ ისე მეჩვენება, თითქოს ჩემს ყუ-
რებში გალობენო. ჰაერში წინ შაგვეჩეხნენ ორი, სწორედ იმისთანა
ცეცხლის ბალღები, როგორიცა ვნახე მგალობლები, მხარში შეჰ-
სხდომოდენ ერთი იქით, მეორე აქეთ, ვიღაც ბავშვს, ჩვენ ადამიან-
თაგანს და მიჰყავდათ. ბალღი მეტად მხიარულად იყო, იცინოდა,
კურთხევა უფლისა იყო თქვენზედაო, წაილაპარაკა გედმა, რომელ-
ზედაც მე ვიჯე... კურთხეულიმცა, ვინც არ დაივიწყოს უფალი,
უკუნითი უკუნისამდეო. მიუგეს მათ პასუხად და ელვის სისწრაფით
გაგვცდენ.

ცოტა გზა რომ გავიარეთ, შაგვხვდენ სხვანი, მახინჯი სახისანი,
შავები, ისინიც ანგელოზებს კვალზე მოსდევდენ, მოფრინავდენ და
რომ დაგვინახეს, დაიძახეს: გედო, ეგ ჩვენია, ჩვენია, სად მიგყავსო?!
გედმა ხმა არ გასცა, მაგრამ ტანში ჟრუანტელმა დამიარა და შე-
შინებულს გამომეღვიძა.

ნაოგურმა რა ნახა, არ ვიცი, სიზმრებს მკითხავები სხვას არ
უამბობდენ, მაგრამ ისეთი ნიშანი დამიდგა, რომ ხეირიანი, თავის
გამოსადეგი იმას არაფერი არ უნდა ენახოს. დილით რომ ადგა, სამ-
კითხაო ცერცვის მარცვლები მოიკითხა. თიკვში (ნაკუწში) გამოკ-
რული, ყორეში ჰქონიყო შატანებული, მოეგდოთ თაგვებსა მარცვ-
ლები სულ ერთიანად დაეხრათ, ჩაეკემსათ თიკვიცა. ნაოგურს დანა
პირს ალარ უხსნიდა, ისეთი იყო. ჩემთვის მაინც კიდევ იშოვნა სამ-
კითხაო მასალა — ზოგი მარცვლები, ზოგიც სანთლები. „შენ დიდი
დოვლათისა, დიდი სიმდიდრის პატრონი ჰყოფილხარაო“, მითხრა:
„რაც სხვა და სხვა მასალები, ნივთები შაგიძენია, მაგით შაგიძლიან
მთელი ქვეყანა ხელში დაიჭირო, ხოლო შენთვის ეგენი საჭირო არ
არის, უნდა დაარიგო ქვეყანაო და რამდენიც კი შაიძლო, თითქმის
ერიდე და ღამეს ყველა ოჯახში მოსტრიალდე, თვალ-ყური ადევ-
ნო დიდსა და პატარას, ვინ როგორ იქცევა, დაესწრო მუდამ წირვა-
ლოცვას, თვალყური ადევნო ღმერთს ვინ როგორა ლოცულობს.
გადი მუდამ ყრილობაში და ყური დაუგდე ვინ რას ამბობს ან თა-
ვისა, ან ქვეყნის სასარგებლოდ. წადი ნახე მწყემსები, ვინ როგორა
ჰმწყსის თავის სამწყსოს და ისე დაარიგე შენი ძვირფასი ნივთები
საჩუქრებად. ყურადღება მიაქციე უფრო ბალღებსა: გამომავალი
თუ არი, პატარაობაშივე შაეტყობაო, ადევნე თვალყური დედ-მამას
როგორ ვინ ექცევა, უფროსის სიტყვა ვის როგორ ესმის, ვის
უყვარს შრომა, ვინ არის ზარმაცი, ვინ დგება ადრე, — და ვის
უყვარს ძილი. ეცადე გაიგო ყოველი მათგანი მომეტებულად რაზე
რასა ფიქრობს. რა ფიქრებითა და ვრძნობებით იგეშება, იწვრთნება

მათგანის გული და გონება. ეს არის ადამიანის ბუნების ასაშენებელი მასალა; მისი ხასიათის დამადგენელი და გამსაზღვრელი ვაჟკაცობის დროს ცხოვრებაში. გაიგე ვინ არის ნამდვილი ვაჟკაცი, განა მარტო მკლავით? არა, ზნეობითაც. ვინც მხოლოდ საქართველოსთვის იბრძვიან და იბრძოლებს, ვერავითარი სასჯელი თუ სასყიდელი მას ვერ შეუცვლის რწმენას, ვერ შეაქცევინებს ზურგს მშრომელი ქვეყნისთვის. იმას მიეცი ცხოვრებაულისეული აბჯარი. ღმერთმა ნუ ქნას მოსტყუვდე და ვისმე მოღალატეს, ჩვენი ქვეყნის მტერს ჩაუგდო ხელში ჩვენი შემმუსრველი და მომსპობი იარაღი. აბა, იფიქრე როგორ დიდ ცოდვას იზამ: მთელს ერსა, ქვეყანას ყელს გამოსჭრი. ეგრევ თუ სხვა ნივთების დარიგებაში უნდა იყო დიდად და დიდად ფრთხილი. ხუმრობა საქმე ხომ არ არი, გველის-თვალი ჩაუგდო ხელში იმისთანას, თავის ქვეყანა, თავის ხალხი კი არა, სხვა ვინმე უყვარდეს და სიმდიდრეს იმასა სძღვნიდეს. თავისი ძმები, თავისი შვილები სიმშილით დახოცოს და ჩვენი ქვეყნის მტერი კი გააძღოს, რას ეგვანება ეგა?! სადაური კაცობა იქნება, სადაური ქვეყნის აშენება? არ მოსტყუვდეო.

არ მოსტყუვდე და არ მისცე ფრთა ისეთს კაცს, ვისაც უყვარს სიბნელე, ავკაცობა, ავი საქმე, ღმერთმა იმის ხელში ნუ ჩააგდოს მზე და მთვარე, — სინათლის წყარო, ვინაიდგან ამისთანა კაცი ქვეყანას დაანატრებს ნათელსა. გაიგე ვინ არის ქველმოქმედი, ვის ებრალება დავრდომილი, დაცემული ადამიანი. შენ, ციხელო, თუმც დიდი დოვლათი გიჭირავს ხელთა, მაგრამ დღეს ისეა დაყენებული შენი ცხოვრება, რომ პურის გამომცხობელი, წყალის მომტანი არავინა გყავს, თუ შენ თავად არა, ცეცხლსაც კი არავინ აანთებს შენს კერაზე.

ვინც ქველია, უნდა იგრძნოს შენი ყოფა-მდგომარეობა, უნდა შაგიბრალოს და მუდამ რამე კერძს მოგაწოდებს, ამიტომ შენის სახლის კარის თავზე კედელში ფიცარი შეატანე და ვინც გულით მოწყალეა და არა სათვალფეროდ, ე. ი. ქვეყნის დასანახვებლად კარგის მქნელი, — ჩუმად მოიპარება და რაც გულით ემეტება, იმ სანოვაგეს მოიტანს და ჩუმად დასდებს. შენ, რასაკვირველია, უნდა დაუყარაულო, შორიახლოდან უთვალთვალებდე, დაისწავლო და სამაგალითოდ დაჰსაჩუქროვო.

მკითხავმა ნაოგურმა, ჩემო შვილებო, ისეები მიამბო და ამნაირად დამარიგა. ესეც ასე, ხო გიამბეთ და ველარ დამემდურებით. ციხელმა ცას შეჰხედა: ოჰ, სად გადახრილა მზე. რამდენ ხანსა ვგვიანობ?! დროა წავხანხალდე. ვინ იცის, ჩემნი თხა-ცხვარნი როგორს გუნებაზე დამხვდებიან? თუ ცოცხლები დავხელე, კიდევ ჯარ-

გი. აბა, მშვიდობით და გამარჯვებით იყვენით. ციხელი წამოდგა, გუდა მხარ-იღლივ გადაიკიდა, შუბი ხელში დაიბჯინა და გზას გაუდგა. ცოტა გზა რომ გაიარა, შედგა, თითქოს რაღაც მოაგონდაო, მობრუნდა ჩემსკენ და დაილაპარაკა: — მართლა, ერთი რამ დამავიწყდა, აღარ მომაგონდა ამ გადაყრუებულს. სარაყდრის გორზე რო ამოვდიოდი, ერთი მელა დავიჭირე, მინდოდა გუდაში ჩამესვა, მაგრამ მე ჩემი ჩემადა ვქენ და არ იქნება, ვერ მოვახერხე, გადამკაწრა ხელები იმ ღვთისაგან წყეულმა. ავდეგ გაჯავრებულმა, გაუკარ ბაწრით ფეხები და ბაჩიაანთ გეჯურას რო საქონის ბაკი აქვ და იმ ბაკის ბოლოს დიდი მუხაა, ზედ იმ მუხაზე შევსვი. თუ წახვალთ ვინმე და წამოიყვანთ, ურიგო არ იქნება, თუ ხორცი არ იჭმევა, ტყავი ხო ფარად გაიყიდება: თუ გეჯურა ჰნახოთ კიდევა, საარაყედ პანტასა ჰკრეფდა, მკითხა როგორ იციან ამის არაყი, როგორა ჰხდიანო. ვასწავლე და ის დამავიწყდა, ვერ უთხარ ამ თავმკვდარმა და ვინძლო თქვენ უთხრათ, უამბოთ ჩემი ნაბარები: თუ უნდა ძალიან ცხარე არაყი გამოუვიდეს, ნახევარი პანტა დ, ნახევარი მარილი უნდა ჩაყაროს კოდში, ზედ წყალი დაასხას და ისე აფუვლოს. არ დაგავიწყდესთ!

[1908 წ.]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სათაგური

I

ქალაქიდან ძია ესტატე ღამეღა იყო, როცა სახლში მოვიდა. მეორე დღეს შობა თენდებოდა: ძალზე მოერეკებოდა შინისკენ ესტატე თავის „მერანს“ [1], რომ შობა დღეს საკუთარ ოჯახში ყოფილიყო. „მერანიც“ თავს როდი ზოგავდა: მოძუნძულებდა გაყინულ გზაზე და, როგორც მოხუცი ყავარჯენს, ისე მოაბაკუნებდა დაუძლურებულ ფეხებს; ყურებს, თითქოს დაჰმტვრევიაო, უხეიროდ ატლაკუნებდა [2]. სიბერე ძნელია, გმირს როსტომსაც [3] კი მოჰრევიაო, ნათქვამია, და, რა საკვირველია, ესტატეს მერანი დაეუძლურებინა. პატრონი მაინც დღესაც გაყიდვას არ უპირობდა. თუმცა მისი ცხენი ოცს წელს გადაცილებული იყო და მუშტარიც ბევრი ჰყვანდა. ვინ იყვნენ, თუ იცით, ესტატეს მერნის მუშტრები? წვრილი მოვაჭრენი: ჩარჩები, ქათამ-კვერცხის, წვრილმანის მყიდველ-გამყიდველნი, რომელნიც სუნით დაეძებენ იაფფასიან საქონელს ცოტა ხნობით ხელის მოსანაცვლებლად. მაგრამ ესტატე დიდს უარზე იდგა:

ჩემი ცოცხალი თავით მერანს ვერ მოვიშორებ, დიდი ამაგი აქვს ჩემზედ; აქო და დაბერდაო, ამიტომ ავიღო და ჩარჩებს ჩავუგდო ხელში, რომ ტყავი გააძრონ? ბებერი ვარ, მაშ ჩამსვით გოდორში და დამაგორეთ კლდეზე! ეგ არის თქვენი სამართალი?! გაყიდვა არ შაიძლება; უნდა ჩემს წელში მოკვდეს! — ამ პასუხით ისტუმრებდა ესტატე ყველა მუშტარს.

ძია ესტატე მეტისმეტი კეთილი, სათნო ადამიანი იყო: იმისაგან წყენა სოფელში პირუტყვსაც კი არ მოაგონდებოდა, განაღამც ადამიანს. მხიარული, ღაჟღაჟა [4], მუდამ მოცინარი, გადაპენტილი სახისა, ოჯახის გაყრაში და მოჩხუბართა შერიგებაში აუცილებელი შუაკაცი იყო და ლხინში — თამადა.

---

[1] მერანი — თოხარიკი, იორღა ცხენი.
[2] ტარების დროს აქნევდა (აქ დაცინვითაა).
[3] ზღაპრული გმირი.
[4] წითელი ფერის.

— ჰაა, აბა შერიგდით. — ეტყოდა ესტატე მოჩხუბრებს: რა გაჩხუბებთ, თქვე კაი კაცებო, განა სულ ცოცხლები ვიქნებით, ხომ უნდა დავიხოცნეთ?! ეს ჩვენი წუთისოფელი — წუთია; სიამოვნებით გავატაროთ, იმას რა სჯობია, სისხლი სისხლით არც დაბანილა და არც დაიბანება; სისხლს წყალი დაჰბანს მხოლოდ. აბა, მოდით, პროშტი: ჯერ მე მაკოცეთ, მერე ერთმანეთს აკოცეთ; თუ რა საჩხუბარი გაქვთ, იმას რა სჯობია — დინჯად მოლაპარაკებით გავათავოთ. მუშტი-კრივით ვის რა გაურიგებია, თქვენ გაარიგოთ?! ოღონდ შერიგდით და სადილი ჩემი იყოს. — ესტატეს არც შუაკაცობა მოუცდებოდა და დანაპირებსაც ხელად აასრულებდა. ხელობით სოფლის დალაქი იყო და თავისთვის ტკბილად ცხოვრობდა: ჰქონდა საკუთარი სახლ-კარი, ვენახი, ცოტაოდენი სახნავი მიწა, ერთი თვალი წისქვილიც უბრუნავდა. ძმათმოყვარეს, კეთილს, სათნოს [1], უწყინარს, პურადს, გულადს და ამასთან ხანში შესულს ადამიანს სოფლელებმა ძია ესტატე დაარქვეს. ყველა, დიდი და პატარა. ესტატეზედ ხნიერებიც კი „ძიას“ ეძახდენ.

ესტატეს ხანდახან ხუმრობაც უყვარდა. როცა, მაგალითად, ქალაქიდან მოაძუნძულებდა თავის რაშს და გზაში ნაცნობები მივსალმებოდენ:

— ძია ესტატეს გამარჯობა! საიდან? საიდან?

— იერუსალიმიდგანაო, — უპასუხებდა.

ქალაქში მიმდინარს თუ შეეკითხებოდა ვინმე:

— საით? საითკენ გაგიწევია?

— იერუსალიმშიო, — უპასუხებდა და თან გულიანად იცინოდა: — არა, ეგ ოჯახქორები, რომ მკითხავენ, საით მიემგზავრებიო, როგორ არ იციან, კატის მანძილი საბძელია. არა, თუ არ დაგიშლია, მე და ჩემი ცხენი განჯა-ერევანს, [2] ტრაპიზონს [3] ან თეირანში [4] წავალთ თუ ჩავალთ, ქალაქში სხვაგან სად უნდა წავიდეთ? ეჰ, განა არ იციან, მაგრამ ჩვეულებაა, ეგეც ერთი რამ სალმის სანელია.

II

ესტატე ჩვეულებისამებრ ზარხოშად [5] იყო, როცა სახლში მოვიდა. ცხენი თავის ერთსართულიან სახლის მოაჯირთან ისე ახლო მიაყენა, რომ „მერანს“ თავი დერეფანში გადააყოფინა და დაიძახა:

---

[1] მოსიყვარულე, მასიამოვნებელი, კეთილის მომქმედი.

[2] განჯა-ერევანი — ქალაქებია კავკასიაში.

[3] ქალაქია ოსმალეთში.

[4] თეირანი — სპარსელების სატახტო ქალაქია.

[5] ცოტათი მთვრალი

„ოჯახიშვილებო, გამოიხედეთ, სტუმარი არ გინდათ?“ შინ ფაცა-ფუცი შეუდგათ. „პაპა მოვიდა, პაპა მოვიდა“, გაიძახოდნენ ესტატეს შვილიშვილები, სონა და კოლა: გოგო ექვსი წლისა, ხოლო კოლა რვისა. „სანთელი მოანათეთ, სანთელი! — იძახოდა ესტატე: — რა დაგემართათ, ხომ არ დაიძინეთ?“

ჯერ სიტყვა არ გაეთავებინა, რომ პატარა ხელის ლამფით გამოვიდა კარში მსხვილი, ჩარგვალებული დედაკაცი, მეუღლე ესტატესი, ეფემია.

— ოჰ, საღამო მშვიდობისა, ეფემიავ! ჰაა, როგორა ხარ, სულიკოჯან? მე კარგადა ვარ, ძალიან კარგად. ცოტა შემცივდა.

— ღმერთმა მშვიდობა მოგცეს! რა არის, კაცო, ამ ღამე სიარული? სხვა არა იყოს რა, ნადირისა მაინც არ გეშინიან? — სთქვა ეფემიამ.

— რა ვქნა, დამიგვიანდა. ნადირიო? განა მე ნადირი მერჩის? სამგლე და ნადირის შესაჭმელი ხალხი ცოტაა განა? — სთქვა ესტატემ.

— პაპა, სათაგური არ მოიტანე? — ჰკითხავდენ ესტატეს დაჟინებით სონა და კოლა. — ჩუსტები, წაღები, საკაბე? — შესტიკტიკებდენ მოაჯირზე მიყრდნობილი ბალღები პაპას.

— ყველაფერი მოგიტანეთ, შვილებო, ყველაფერი! — უპასუხებდა ესტატე და თან ხურჯინსა ჰხდიდა. ამ დროს მისმა მერანმაც დაიხვიხვინა და ისეთი ორთქლი გამოუშვა ნესტოებიდან, რომ ეფემიას კინალამ ლამფა გაუქრო.

— რა იყო, ჰოო, კარგი, ცხენო?! — სთქვა მან გაჯავრების კილოთი.

— ქერი უნდა საწყალს ჩემ მერანს, — სთქვა ესტატემ, — მაგრამ ჯერ დაღლილია, დაისვენოს პატარა ხანი და მერე ვაჭამოთ: ცოდოა, ძალიან გამოვრეკე. — ესტატემ ტანიდამ აიხსნა მოხვეული ნაბადი და ცხენს გადააფარა; ხოლო თავად ყაბალახით თავ-ყურშეხვეული, ხურჯინით ხელში, გაჰყვა უკან თავის დედაკაცს, რომელიც წინ მიუძღოდა. ესტატემ გახურებულ ბუხარს მიაშურა. ხურჯინი ტახტზე დასდო.

— სანდრო როგორ იყო? ვენაცვალე იმას სიყმეში! [1] — ჰკითხა ეფემიამ, ვიდრე ესტატე ბუხარს მიუჯდებოდა.

— ძალიან კარგად არის. ჯამაგირიც მოუმატებიათ: თვეში სამი თუმანი აქვს, — სთქვა ესტატემ თავმომწონედ, რომ ასეთი ყოჩაღი შვილი გამოუვიდა. ეფემია ღმერთს უმადლიდა. ხოლო რძალმა სო-

---

[1] სიყმე — ჯან-ღონე, აგრეთვე სიყმაწვილე, ვაჟკაცობა.

ფიომ მამამთილს მიაშურა და ლეკური ჩუსტების ხდა დაუწყო. ბავშვები მიეხვივნენ პაპას და აღარც აცდიდენ ლაპარაკს: სათაგური, ჩუსტები, საკაბე და იმისთანები იყო იმათი სალაპარაკო. ეტყობოდათ, რომ უფრო სათაგური ენიაზებოდათ[1] ყველაზე ძეტად. პაპამ ორივენი გადაჰკოცნა და აღუთქვა, რომ მალე ყველაფერს ამოართმევდა ხურჯინიდან:

— ცოტა ხანს დამაცადეთ, შვილებო, ხელები მოვითბო, მცივა, უფრო კარგად ამოვალაგებ ხურჯინიდან ყველაფერს. ამისთანა ხელებით რა ამოვიღო?! აი ნახეთ, როგორ დაკრუნჩხული თითები მაქვს, — და უჩვენა დალურჯებული თითები. თანაც ხელი ჯიბეში ჩაიყო და ამოიღო მჯიღით კანფეტები, — მანამდე ამას შეექეცით.

— მოდით აქეთ, თქვე ავაზაკებო, ნუ აწუხებთ პაპას, ჭკვიანად დასხედით! — შეუტია ბავშვებს სოფიომ. ბავშვები გაფაციცებით ჰკრეფდენ ტახტზე გაბნეულს კანფეტებს.

— ჰაა, აბა ჩხუბი არ მოგვიდეთ, თორემ, იცოდეთ სათაგურს ისევ ქალაქში წავიღებ, — სთქვა ესტატემ: — ერთი ჩაი რომ დამალევინოთ, ძალიან კარგს იზამთ. გზაში შემცივდა და ცოტა ზარხოშადაც გახლავართ. — ვიდრე ესტატე საუბარს დაიწყებდა, სოფიო ჩაის თადარიგს შეუდგა: მიაშურა იქვე თეთრ ტილოთი გადაფარებულს სამოვარს და ხელად ლანგრით[2] ჩაი და შაქარი მიართვა მამამთილს.

— ოჰ, ღმერთმა მშვიდობა მისცეს ასეთ ლოთობას! კაცი დავბერდი და ჩემს სიცოცხლეში ამისთანას არას მოვსწრებივარ: მეტისმეტი ლოთობაა; უქმი და საქმი არ გააჩნიათ; სარდაფები მუდამ დღე სავსეა ხალხით; დიდი, პატარა, მდიდარი, ღარიბი, ყველა ლოთობს. კაცს ეგონება, თავებს იმარხავენ, ხვალ სიცოცხლეს აღარ მოელიანო. არ ვიცი — მე მეჩვენება, თუ მართლა ასეა.

— ეჰ, ქალაქია, ესტატე-ჯან: ქეიფს რა გამოჰლევს! — სთქვა ეფემიამ: — მაგრამ მე ეგ როდი მეკითხება, თვალი იმათაც დაუდგესთ! ასემც უქნიათ, ღვინისა და არყის რუმბებში ჩაუხრჩვიათ თავები! შენ ეს მითხარი, სანდრო არ აპირობდა ამოსვლას?

— როგორ არა, როგორ არა: საახალწლოდ უსათუოდ მოვა, პირობა მომცა. მართლა, ზალიკამ და სიდონიამ დიდი მოკითხვა.

— საწყლები! გმადლობთ, გმადლობთ, — სთქვა ეფემიამ, — ჰნახევი?

— როგორ არა, გუშინ სადილად იმათსა ვიყავი. კაი დროება გავატარე.

---

[1] ეინტერესებოდათ.

[2] ლანგარი — სპილენძის რგვალი ბლუდი.

— როგორ არიან? როგორ რასმე ცხოვრობენ? — დაეკითხა ეფემია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კარგად, ძალიან კარგად. კაცი გამდიდრებულა: ასი თუმანი ნაღდი ფული მექნებაო. აქ ასი კაპეიკი არა ჰქონდა. ბზეს, ერთს კალათას და ერთს ვირს შენი მამიდაშვილი ზალიკა, ეფემიავ, კაცად გამოუყენებია.

— ღმერთმა ბრძანოს, ნეტა არ იქნება!.. მოხერხებული კაცი ქალაქში მუდამაც გამდიდრდება, — სთქვა ეფემიამ კვალად. ამ დროს ესტატეს მერანმაც დაიხვიხვინა.

— ოჰ, ქეიფში გავები, ცხენი კი დამავიწყდა. საწყალს ქერი უნდა, გომურში უნდა შევიყვანო, თორემ შესცივა, — სთქვა ესტატემ, წამოდგა ზეზე და გაემართა კარებისაკენ. გააღო თუ არა კარები, ბოდიში მოიხადა თავის მერანთან, რომ დაუგვიანა ქერი.

— ჩემო მერანო, ჩემო მერანო! ეხლავე იქნება ქერი, ეხლავე. მომიტევე, რომ ამდენი ხანი გაცდეინე, შე საცოდავო! ცოტა ხანი მომითმინე, მერანო, ყველაფერს მოგართმევ, რაც გესიამოვნება. რასაც მიირთმევ, — უთხრა ესტატემ თავის მერანს, რომელმაც პატრონის დანახვაზე უფრო მოუმატა ხვიხვინს, ხოლო დაბალ ხმაზე ნესტოებს ბერავდა და თან ხელებში ეტანებოდა ძია ესტატეს.

ესტატემ მერანი დააბინავა და სახლში დაბრუნდა.

— პაპავ, წაღები!.. პაპავ, სათაგური!.. — გაისმა ბავშვების ხმა. ორივეს გაეფარჩხათ ხელები და საწყლად იღმიჭებოდენ.

— ამ ბავშვების ცოდო წამწყმედს, თუ თხოვნა არ ავუსრულე, — სთქვა ესტატემ.

არ დამჯდარა, მაშინვე ხურჯინს მიჰმართა. ჯერ ერთი თვალის სახლართები გახსნა და დაუწყო ამოლაგება. ბავშვები თვალ-წარბში და ხელებში შესცქეროდენ. ეფემია დინჯშემოყრილი, თავმომწონედ დასჩერებოდა; სოფიოც შორიახლოს იდგა გულხელდაკრეფილი და პირმოკუმული. დიდი ჭრელი კატა ტახტზე მიდი-მოდიოდა კუდაფშრუკული, ბუხარში ცეცხლზე ხუხვით გვერდებზე და ზურგზე გატუსული ტყავით. ექლიშებოდა, ეხახუნებოდა ბავშვებს და მოკაუჭებულს კუდს, როგორც შოლტს, თვალ-წარბში უსვამდა. ისიც თითქოს რაღაცას მოელოდა. ამ კატას ღნავალას ეძახდენ, რადგან წამდაუწუმ ღნაოდა და კნაოდა. თაგვი კი თავის სიცოცხლეში ერთიც არ დაუჭერია. ჩხავანა კატა, განა არ იცით, რა თაგვს დაიჭერს?!

— აბა, რაზე რა დავაწყო; მოიტათ რამე, ადამიანებო! — წარმოსთქვა ესტატემ.

ეფემიამ მაშინვე მოურბენინა ლაბგარი და ტაბაკი.

— ეს ბახტაკი![1] იჰ, იჰ, რა არის, რომ იცოდე, ეფემიავ?! ნახე, რა არის და! — სთქვა ესტატემ და ორი წყვილი გელაქნური[2] დააწყო ტაბაკზედ[3].

— ოჰ, თევზები, დედილო, თევზები! რა კარგებია, ჭრელები! — ამბობდენ ბაშვები და თან ხელებს უსვამდენ და საკოცნელად ელამუნებოდენ; ყურს არ უგდებდენ დედის ბუზღუნს და დარიგებას: ჭკვიანად იყავითო.

— ესეც ძროხის ხორცი! ჩალაღაჯია[4], ყასაბ გიგოლას მოვაჭრევინე. ჩემი ძველის-ძველი ძმობილია; რა შვილია, ჩემთვის ურიგო რასმე გაიმეტებდა! ესეც ბრინჯი, აქულისაა![5] ესეც ჩაი და შაქარი! კიდევ რა? კიდევ რა? — ამბობდა ესტატე მოღიმარი სახით: — ოჰ, ესეც მწვანილი, ოხრახოში და წიწმატი თავის რამე-რუმეებით!.. ჰაა, კიდევ გინდა რამე. ეფემიავ? ღმერთო, ღმერთო! აბა, ვნახოთ: ესეც ხმელი ხილი საახალწლოდ! მუდამ ქალაქში ხომ არ ვირბენ! ესეც ილი, მიხაკი და დარიჩინი[6]. ყველა ამას, ეფემიავ, ერთი დედალი მიუმატე და ხვალ სწორედ ხელმწიფის საკადრისი სადილი გვექნება. ხომ იცი, ხვალ სტუმრები მეყოლება.

— ადვილია, ადვილი, — წარმოსთქვა ეფემიამ.

— ჰაა, როგორი ბიჭი ვარ, ეფემია-ჯან? — ეუბნებოდა პირმოღიმარი ესტატე თავის მეუღლეს.

— ძალიან კარგი, ძალიან კარგი; ვინა გწუნობს მერე? — მიუგო ალერსიანად ეფემიამ და თანაც მხარზე ხელი დაჰკრა.

— ვნახოთ მეორე ვაგონი[7], — სთქვა ესტატემ. — ვნახოთ აქ, რაღა ამბავია? აბა აქ არის, რაც არის და! აბა მოდით, მოდით, ამოდით, ნუ იმალებით და! — ჩაჰხაროდა ძია ესტატე ხურჯინის თვალში ჩაწყობილს ნავაჭრ საქონელს. — ესეც სონას საკაბე და ფეხსაცმელი.

— დილილმე, დილილმე! — შესძახა სონამ და მიეტანა პაპას ხელებში. ფეხსაცმელს და საკაბეს გულ-მკერდში იხუტებდა და სანახავად არავის ანებებდა.

---

[1] თევზია.
[2] კალმახის ჯიშის თევზია, გოჭის (ერევნის გუბ.) ტბაში იჭერენ.
[3] ხის რგვალი ბლუდი.
[4] ძროხის ზურგის ნაწილი კისერს უკან ბეჭებ შუა.
[5] მხარეა სპარსეთში.
[6] სუნელებია.
[7] რკინის გზებზე მოსიარულე ოთახი.

— ესეც კოლას წაღები, სთქვა ესტატემ: — „ზაგრანიჩნია“[1]. ნამდვილი; როგორ ლაპლაპებენ. — კოლამ ხელები მიატანა და ჩამოართვა პაპას წაღები. — ესეც სოფიოს საკაბე, თავის მეფემ გამოუგზავნა, — სთქვა ესტატემ და მიაწოდა სქელ ლურჯ ქაღალდში გამოხვეული თავის რძალს, მაგრამ ეფემიამ დაასწრო და ჩამოართვა.

— ქიშმირია[2], ქალო, ქიშმირი! ეტყობა, რომ გამდიდრებულა ჩემი შვილი, აქამდის ჩითის კაბის ყიდვაც კი ეზარებოდა და ახლა ჰყურობთ?.. უცბად ქიშმირი. კარგია, მშვიდობაში გაცვითე, შვილო! — სთქვა ეფემიამ და გადასცა რძალს საკაბე.

— ესეც შენთვის ფლოსტები, ჩემო გვრიტო და მარგალიტო, — სთქვა ესტატემ: — ნამდვილი საშენოა, საბებრო. ამის მეტი ვერაფერი გიყიდე, რადგან ჯიბესთან უკაცრავად გახლდით[3]. ეჰ, ჩვენ ბებრები ვართ: მე ძველი ჩოხით, შენ ძველი კაბით, ჩემო ეფემიავ. ამათ გაიხარონ, ჯეილები[4] არიან. ჩვენ იოლად გამოვალთ.

— ვინ გემდურის, კაცო! ამისაც დიდი მადლობელი ვარ, — სთქვა ეფემიამ.

სულ ბოლოს ძია ესტატემ დიდი ამბით ამოიღო სათაგური, რომელიც დააბარა ყველა ოჯახის წევრმა დიდიან-პატარიანად გულმოდგინებით.

— ესეც თქვენი სათაგური! — წარმოსთქვა ესტატემ; — ვნახოთ, რამდენს თაგვს დაიჭერთ?!

— გიშველა ღმერთმა! — სთქვა გახარებულმა ეფემიამ: — სულიღა დაამწარეს ამ თაგვ-ტიალებმა, განჯინაში[5] ვეღარაფერი შემინახავს...

ბავშვებმაც სათაგურს დაუწყეს სინჯვა: „აბა როგორია, დიდედო?“ — გაიძახოდენ ისინი და თან გულმოდგინედ ათვალიერებდენ თაგვების სულთამხუთავს...

— მაშ არა, შენ დაიჭერ თაგვსა, მეხი კი ჩაგარტყი მაგ თავში! — სთქვა ეფემიამ და თანაც ღნავალას, რომელიც ცეცხლა-პირას წამოყუნთებულიყო, თავში სილა ჩაარტყა: — მთელი წელიწადია თვალ-ყურს ვადევნებ და მე ამის დაჭერილი თაგვი ვერა ვნახე. ეს სასიკვდილე მარტო ხელებში შემოგვჩერებია, რომ ვაჭამოთ რამე.

— თქვენც სათაგური ამუშავეთ, — სთქვა ესტატემ: — ღნავალა ძალიან ჭკვიანად იქცევა, ცოდოს ერიდება.

— ცოდოს, ამისმა, მზემ, — სთქვა ეფემიამ და წაჰკრა მუჯლუ-

---

[1] საზღვარგარეთული.

[2] ერთნაირი შალის ქსოვილია.

[3] ვითომდა ფული აღარა მქონდა.

[4] ახალგაზრდები.

[5] განჯინა — ოთახის კედელში ჩაშენებული შკაფი.

გუნი კატას: — დაიკარგე აქედან, შე სასიკვდილევ: ეგ შნო ჰქონდეს, ცოდოს არ მოერიდებოდა, მაგრამ უნარი რომ არ გახლავთ!

თაგვების ჯავრის ამოყრის იმედი ყველამ სათაგურზე დაამყარა. იმის მომზადებას შეუდგნენ. ეფემიამ ცეცხლზე დიდი კაკლის ლებანი მოშუშა, დააგო მავთულზე და ასე ფეხზე შემოყენებული დადგა განჯინაში, როცა ბავშვებს აუხსნა და თვალსაჩინოდ აჩვენა, თუ როგორ შეძვრებოდა თაგვი, როგორ დაუწყებდა ცუცნას ლებანს, მახე როგორ დასხლტებოდა და მოამწყვდევდა შიგ ავაზაკს.

მცირე ვახშმის შემდეგ დაიძინეს. ბავშვებმა საშობაო საჩუქრები ბალიშქვეშ ამოიდეს... ბუხრის წინ მხოლოდ ღნავალა სთვლემდა, ხოლო ბუხრის გვერდზე ლობიოს სადუღარი მოჩანდა სახელოვანი ციცხვით, ყორნის ბოლოსავით გაშავებულ სარქველიანად [1].

III

სათაგვეთის სამეფოში დიდი ჩოჩქოლი ატყდა. განჯინიდან არაჩვეულებრივი, გულის წარმტაცი, ყნოსვის დამატკბობელი სუნი შემოდიოდა. მთელი გუნდი თაგვებისა დაიძრა ამბის გასაგებად, წინ მოუძღოდა სახელოვანი ფიცხელა, განთქმული სიმარდით, გულადობით და გამბედაობით; იმას მოსდევდა ცელქა, შემდეგ ცქმუნა, მერე კუდა, ფხორა; დანარჩენი თაგვების სახელს ვინ ჩამოსთვლის ან კი? მთელი ფარა იყო: სულ რჩეული ვაჟკაცები. როცა პირველად ჩამოიხედეს განჯინაში, ცოტა არ იყოს შეკრთნენ: სათაგური დაინახეს.

— ბიჭებო, აქ რაღაც ოინია! — დაიძახა ფიცხელამ: — ჯერ ამისთანა რამ მე აქ არ მინახავს: არც ჯამსა ჰგავს, არც ქილაა, არც თეფში, არც ბადია [2], არც საშაქრე, არც ბოთლი; სხვა რაღაც რამ არის საუცხოვო, საგანგებოდ მოწნულ-მოქარგული და ის მშვენიერი სუნიც სწორედ იქიდან მომდინარეობს. ვხედავ კიდევაც, ლებანია კაკლისა. აბა შეხედეთ, შეხედეთ, როგორ მარჯვედ მოსატაცებელია.

თაგვებმა ცქერა დაუწყეს: ხან ერთი თვალით გასცქეროდენ, ხან მეორეთი.

— მართლაც საუცხოვო რამ მანქანაა. სიფრთხილეს თავი არ ასტკივა. ჩვენ სამტროდ არ იყოს, ბიჭო, მოგონილი და! რაღაც იმნაირი რამა ჩანს. ჩემი გული და თვალი არ ენდობა, — სთქვა ცელქამ.

---

[1] სარქველი — ქვის სახურავი, ქვევრის (ჭურის) და სადულრის (ქოთნის).

[2] სპილენძის ან ვერცხლის ჯამი (ჩვეულებრივ ჯამზე დიდია ხოლმე).

— ჭეშმარიტებაა! — ჩურჩულებდენ სხვა თაგვები და ადასტურებდენ ცელქას მოსაზრებას: — უნდა ახლოდან გავჩხრიკოთ; მაგრამ ვინ გაბედოს, საქმე ისაა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აქ რას ვაკეთებ? ვაჰ, დედას ჩემი მტრისას! განა ეგრეც დავლაჩრდით[1]: უნდა შევარცხვინო სათაგვეთი?—სთქვა ფიცხელამ.

— შენ იცი! — დართეს ნება სხვა თაგვებმა: — მხოლოდ ახლო არ მიეკარო შორიახლოდან გაჩხრიკე. ახლო არ მიეკარო, გირჩევთ: შორი გზა მოიარე, შინ მშვიდობით მიდიო, ნათქვამია.

ფიცხელა პირდაპირ მიცუნცულდა. ლებანი სუნს თვალ-წარბში აბნევდა და უნებლიედ იზიდავდა თავისკენ, მაგრამ ფიცხელამ გზა აუქცია კარებს და სათაგურს გვერდიდან მოექცა: შემოუარა რამდენჯერმე გარშემო. ვერაფერი სახიფათო ვერ დაინახა, სათაგური უბრალო მავთულის ჭურჭლად დასახა, სადაც ერთი ლებანია დარჩენილი: უთავდარიგო დიასახლისს დავიწყებია. დაბრუნდა და თავის ამხანაგებსაც ესევე უამბო...

— რას იტყვით, ბიჭებო?! — უთხრა ფიცხელამ თაგვებს: — მე საშიშს იქ არაფერს ვხედავ; გაბედავთ ვინმე შიგ შესვლას თუ ვერა?

— მოდი, მოვერიდოთ, სულ თავი გავანებოთ ეგ რაღაც მანქანაა... გვაკლდეს ეგ ერთი კაკლის ლებანი, — სთქვეს თაგვებმა.

— ჰაი, თქვე ლაჩრებო, თქვენა! ეგ არის თქვენი ბიჭობა, რომ ტრაბახობთ: მე ეს ვაჟკაცობა ჩავიდინე, მე ესაო?! შეგირცხვათ ვაჟკაცობა! მე წავალ და მიცქირეთ, რა ბიჭია ფიცხელა! — სთქვა და გაემართა სათაგურისკენ. ხოლო სხვა თაგვებმა სული განაბეს და შორიდან უთვალყურებდენ. ფიცხელა მარდად მიცუნცულდა სათაგურთან და ცოტა ხანს შესავალ კარებთან გაჩერდა; მიიხედ-მოიხედა: — არაფერი ამბავია, მშვიდობიანობაა. აქ რაა სახიფათო? ჰაი, თქვე ლაჩრებო! — წარმოსთქვა თავის ამხანაგებზე და შეჰყო თავი სათაგურში. სულ მშვიდობიანობაა: თავში არავინა სცემს და გვერდში არავინა სჩხვლეტავს. რაო? რა სჭირს? არაფერი, სრულიად არაფერი! ძალიან კარგად შეიძლება შეექცეს ფიცხელა ნიგოზს; დეე ამხანაგებმა შორიდგან უცქირონ და ნერწყვი ულაპონ. მიუახლოვდა ლებანს და ოდნავ მოავლო კბილი, პირი გაიტკბარუნა. სრულიად დამშვიდდა. იმედი აიღო, რომ არავითარი უბედურება მას აქ არ მოელოდა, და მოსწია კიდევაც მაგრა ლებანს. მაგრამ, აი სწორედ უბედურებაც ამ დროს მოხდა: სათაგური დასხლტა და ჩხაკანი მოისმა. თავზარდაცემული თაგვები გაფთხნენ. ეგონათ, იმათაც გამოუდგებოდა სათაგური. ფიცხელამაც იგრძნო თავისი შეცდომა. მობ-

[1] დავგლახდით, მშიშრები გავხდით.

რუნდა ფიცხლად და გაექანა კარებისკენ გასასვლელად, მაგრამ ამაოდ: კარები უკვე მაგრა, ძალიან მაგრა იყო დაკეტილი. ძალიან შეწუხდა, სული და გული დაეკეტა. ამხანაგებისაკენ გადაავლო თვალი: არავინ სჩანდა. — ჰაი თქვე მოღალატენო, თქვენა! — წარმოსთქვა მან: — გაიქცნენ, დაიმალნენ, როდი მოდიან და მეშველებიან. — შეახტა მაღლა სათაგურის ჭერს, მიაწყდა-მოაწყდა იქითაქეთ კედლებს, ჰყოფდა ცხვირს მავთულებში, უსვამდა თათს, ღრღნიდა კბილით, — ამაო იყო ყოველივე ცდა. თანაც წრუწუნებდა. ტანზე ჭირის ოფლი დაასხა. ცოტა ხანს შეისვენა. ლებანი ისევ მთლიანად ეკიდა მავთულზე; ვის მოაგონდებოდა იმისი ჭამა?! გულმა აღარ გაუძლო და შეუძახა თავის ამხანაგებს: — სად მიიმალენით, თქვე უნამუსოებო, აღარ მომხედავთ? ერთ-ერთი მაინც მოდით, ანდერძი დაგაბაროთ: მე მტრის ხელთა ვარ, მინდა გამოგესალმოთ. — თაგვებს ესმოდათ თვითოეული სიტყვა ფიცხელასი და ჩოჩქოლი შეექნათ.

— მართლაც, — ამბობდენ თაგვები: — რატომ ასე ლაჩრულად ვიქცევით, ეს ხომ სირცხვილია! მივხედოთ იმ კაცს, საუკეთესო ვაჟკაცსა ვკარგავთ. — სთქვეს და დაემზადენ მისაშველებლად. ყველაზედ წინ-წინ ცქმუნა მიცუნცულდა ფიცხელასთან ვიშ-ვიშით.

— მოგიკვდა ჩემი თავი, — ამბობდა ცქმუნა და თან ცრემლებს იწმენდავდა თვალებიდან: — აბა, რაღა თავი ქვას ვახალო და როგორ გიშველო?! უნდა გაგეგონა, რომ გაფრთხილებდით! მეტად უჯიათი[1] ხასიათი გაქვს, არ დაგვიჯერე. შენი თავიც დააღონე და ჩვენაც. — უსვამდა ცქმუნა გარედან თათს, ცდილობდა გაეგლიჯა სათაგურის მავთული.

—ნუ გეშინიანთ, ფიქრი არ არის: როგორც იქნება, გამოვალ. ნუ ტირით! მოკვდეს ბიჭი ფიცხელა, თუ ადამიანს ხელში ჩაუვარდეს! და თუ ვინიცობაა მოვკვდე და მტერმა გაიხაროს, შენ გეუბნები მარტო საიდუმლოს: ეზოში რომ დიდი კაკალი დგას და გზისკენ მსხვილი ფესვი აქვს გაწვდილი, იქ ერთი ორმო თხილი მაქვს შენახული: ამოიღე და მოიხმარე.

— შე გასახარელო, მაგის დარდი მაქვს ეხლა?! — უპასუხა ცქმუნამ, თუმცა ნათქვამი ესიამოვნა და კარგადაც დაიხსომა.

ამ დროს სხვა თაგვებიც მოვიდენ ჯარად და შემოერტყნენ გარს სათაგურს: ყველამ სათითაოდ მიუტირა გალიაში დამწყვდეულს თანამოძმეს უბედურება. ფხორა მაღალი ხმითა ტიროდა, მოსთქვამდა; სხვანი ბანს ეუბნებოდენ. თაგვების ზარი გაიმართა, მაგრამ ისევ ფიცხელა უტევდა, ამხნევებდა:

---

[1] ახირებული, თავის ნათქვამი.

— ნუ ტირით, დანო და ძმანო! მე თქვენი ჭირის სანაცვლო ვიყო; მაგრამ ჯერ კიდევ იმედია დავეხწიო ამ წყეულ საპყრობილეს, — სთქვა ფიცხელამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— საიდან და როგორ, მოგიკვდა ჩემი თავი? არ შეიძლება! — უთხრა ფხორამ.

— სხვაფრივ თუ ვერა, ხეს გავჭრი კბილით, მაგრამ ეს ოხერი კბილი არ უდგება არსაიდან, — მიუგო ფიცხელამ.

დიდ ვაებაში და საგონებელში ჩავარდა თაგვების გუნდი. ზოგნი ლოცულობდენ და ღმერთს ეხვეწებოდენ, დაეხსნა გაჭირვებიდან მათი თანამოძმე. სხვანი გარედან მახის მავთულებსა ღრღნიდენ. ტყუილად თავ-პირს იმტვრევდენ. გათენდა კარგად. უნდა წასულიყვნენ თავ-თავიანთ ბინაზედ, მაგრამ ფიცხელას მარტოდ-მარტო, უნუგეშოდ, უპატრონოდ დატოვება ემძიმებოდათ.

ამ დროს ნემსა მისდგომოდა ფიცხელას, ჰბაქავდა და საყვედურით ავსებდა.

— ჰეეე, ახია შენზედ! გეგონა შეგრჩებოდა, იმ დღეს რომ კაკალი მომტაცე და შეექეცი: ვერ ამოგშხამდა!.. ვენაცვალე ღმერთს, შენი ჯავრი რომ ამომყარა. გამობრძანდი, რაღა, თუ კაი ბიჭი ხარ, — ეუბნებოდა ნემსა ნიშნის მოგებით.

— გამოვიდე? მაშ შენ გგონია, სულ აქ ვიქნები? ვაი დედი-შენის ღმერთს, თუ გამოვედი! მაშინ მიცნობ, როგორი ფიცხელა ვარ: იქნება შენი ქათიბის ბეწვი ნიავს აქეთ-იქით მიჰქონდეს. გიხარიან, რომ დავემწყვდიე? მოიცა, ჯერ გავთავისუფლდე და მაშინ ჰნახავ შენს სეირს! — ეუბნებოდა გაბრაზებული ფიცხელა. ცქმუნამ ველარ მოითმინა და ნემსას თავში თათი ჩაჰკრა.

— განა ისეც დაეცა ფიცხელა, რო შენც მაგას ეუბნებოდე, შე წუპაკო[1], შენა! განა ეხლა დროა საყვედურისა? დაიკარგე აქედან! — შეუტია ცქმუნამ. სხვა თაგვებიც ასევე მოეპყრნენ ნემსას და გააძევეს იქიდან.

თაგვები ბჭობდენ, როგორ ეშველათ ფიცხელასათვის, როგორ დაეხსნათ იგი საპყრობილედან.

— ძმებო, ამხანაგებო! — დაიძახა ბოლო დროს კუდამ: — მე ძალიან კარგი, კარგზე კარგი ხერხი მოვიგონე; თუ თქვენაც დამეთანხმებით, ვცადოთ და თუ არ გამოდგა, ჩამქოლეთ.

— სთქვი და! თუ მოსაწონია, ჩვენც აქ მზადა ვართ, დაგეთანხმოთ, — სთქვეს თაგვებმა.

— მე, იცით, რასა ვფიქრობ, — განაგრძო კუდამ: — ეს რაღაც წყეული მანქანა შემოიტანა ამ ჩვენს სანადიროში შეჩვენებულმა

[1] წუპაკი — უსუფთაო, მუდამ ჭუჭყიანი.

ადამიანის ხელმა, რომელმაც შეიპყრო ჩვენი ძვირფასი ძმა და მეგობარი, სახელოვანი ფიცხელა, უნდა აქედან გადავკარგოთ! შევეგებნეთ ყველანი შიგ, შინ ავათრიოთ და იქ დავლეწოთ, დავამსხვრიოთ, რომ ერთი ნამცეცა ნაჭერიც არსად მოიპოვებოდეს მაგისა ამ მიდამოში, თორემ განა მარტო ამ ზარალს გვაკმარებს? ბევრ სხვას უმეცარს ჩვენი ტომისას იმსხვერპლებს ეგ მანქანა.

— მართალია, მართალი! ყოჩაღ, კუდავ! — დაიგრიალეს თაგვებმა ერთხმად: — მშვენიერი აზრია, მშვენიერი! — ფიცხელასაც ამ საუბარზე მეტი გული მოეცა და უფრო მამაცად და მარდად დაიწყო სათაგურში სირბილი და ზედ ბლოტიალი. — აბა, შევუდგეთ საქმეს; დაგვიანება ხელს არ მოგვცემს: მოგვასწრობენ და ავს დღეს დაგვაწევენ. — თაგვები ერთად მიეხვივნენ სათაგურს. ცელქამ ჩასჭიდა კბილი, კუდზე ცელქას ფხორა მოეჭიდა, ფხორას — კუდა, კუდას — ცქმუნა, იმას სხვა, იმას სხვა და გაიჭიმა გუთნეული[1] ხარ-კამეჩებივით თაგვების გუნდი.

— აბა, გასწით, ბიჭებო, გასწით, თქვენს ღმერთს ვენაცვალე! — აქეზებდა შიგნიდან ფიცხელა! — დაიძრა, მივდივართ, შინ მივდივართ! — მართლაც, თაგვებმა ერთს გოჯზე გაათრიეს სათაგური და უფრო გამხნევდენ.

— ნუ გეშინიან, ძმაო ფიცხელავ! მოკვდეს ფხორა, თუ მტრის ხელში ჩაგაგდოს! — უთხრა ამან ფიცხელას, როცა თაგვებმა სულის მოსათქვამად შეისვენეს. — შეისვენეთ, დაისვენეთ, უფრო კარგად გასწევთ! — ეუბნებოდა თაგვებს ფხორა.

— ეს რა კარგი რამ მოიგონა კუდამ, ვერ უყურებთ?! — ამბობდენ თაგვები: — მეტის მოგონება შეუძლებელია!..

კუდაც თავმომწონედ ულვაშებს აცმაცუნებდა.

— მაშ თქვენ გეგონათ, მე თავში ბზე მიყრია? არა ძმობილებო, მეც ჩემი ჭკუითა ვცხოვრობ! იცით, რა ოინები გამიწევია, სად გამძვრალვარ, სად გამომძვრალვარ, სად გადამხტარვარ?! მე ეს კუდი სათაგურმა არ მომაკვნიტა? ის სულ სხვანაირი იყო, მაგრამ გამოვუსხლტი მაინც ცოცხალი და დავიძარ. მას შემდეგ ემაგისთანა ოჩხო-მაჩხო[2] რაც შემეჯახება, მუდამ გზას ვუქცევ, ვერიდები. ან კი ძალად თავი რად უნდა გაიფუჭოს კაცმა! გიჟი ვარ, კაკლიანს, თხილიანს კოდში[3], ან გოდორში შევძვრე! რა ჭკუა იყო, რომ ერთი ლებანის გულისათვის ფიცხელამ თავი გაიფუჭა?!

---

[1] გუთნეული — შვიდ-რვა უღელი ხარ-კამეჩი, რომელსაც გუთანში აბამენ ქართლ-კახეთში.

[2] გაბმულ-გამობმულია.

[3] დიდი კასრი (ბოჭკის მსგავსი).

— თუ ჭკუა არ იყო, ვაჟკაცობა ხომ იყო? — სთქვა სათაგურიდან ფიცხელამ: — მაგის მეტი რა გეთქმევათ ან კი? ვაჟკაცის გული სულ სხვაა. თქვენ რა ვაჟკაცები ხართ მერე? სათაგური რომ დასხლტა, თქვენ დაფრთხით: გეგონათ, უკან გამოგეკიდებოდათ, მაგრამ უნდა გენახათ, მე როგორი ომი ავუტეხე და როგორ გადავკაწრე მავთულები... მაშ!..

ის იყო გათენდა, როცა თაგვებმა სათაგური თავიანთ საძრომ-სათარეშო ხვრელთან მიათრიეს და რაც ძალი და ღონე ჰქონდათ წრიპინებდენ, წრუწუნებდენ, ამხნევებდენ ერთიმეორეს, ბეჯითად გაეწიათ და აეთრიათ სათაგური, მაგრამ ვერაფერს ხდებოდენ: ვერ მოისაზრეს, რომ სათაგური ხვრელში არ გაეტევოდა, და მაინც თავებს აკლავდენ.

IV

მღვდელმა წირვა ჩვეულებრივზე ადრე გამოიყვანა: ასე, თერთმეტი საათი იქნებოდა, რომ საყდრიდან ხალხი გამოიშალა. წირვაზე მხოლოდ ესტატე და მისი რძალი სოფიო იყვნენ. ეფემია კი სახლში მზარეულობდა, სტუმრებს მოელოდა. ჩვეულებისამებრ ამ საუფლო დღეს ძია ესტატე უსტუმროდ არ დადგებოდა. ეფემიამ ყველაფერი მოამზადა. ღვინოც ამოიღო ქვევრიდან დოქებში. და აგერ ესტატეც გამოჩნდა თავის სტუმრებიანად. წინ მღვდელი, მოხუცებული მაქსიმე, მოდიოდა. წითელს ბზის ჯოხს მოიბჯენდა. თეთრი წვერი გულმკერდზე სცემდა, გაჟინჟღილებული[1] სახით მხიარულად მოლაპარაკობდა. იმას გვერდს მოსდევდა დიაკვანი. მასწავლებელი სპირიდონი, „ატსტავნოი“[2] კაპიტანი მიხეილი, რუსოსმალეთის ომისდროინდელი[3] გმირი, რომელიც სოფლად ცხოვრობდა თავის მამულში და თავის სიცოცხლეს ატკბობდა, გუნებას იხალისებდა წარსულის მოგონებით, გლეხებთან თავის ვაჟკაცობაზე და გმირობაზე საუბრით. იმათ მოსდევდა რამდენიმე გლეხკაცი. ეფემიამ, დაინახა რა მომავალი სტუმრები, მაშინვე შეუდგა სუფრის გაშლას და გადაფინა ტახტზე გრძელი, ლურჯი სუფრა. დაალაგა პურები, დადგა შუა სუფრაზე ბლუდი, რომელზედაც ჯერ ისევ ორთქლი ასდიოდა ალმა ფეხებაშვერილს დეღალს; ჩაამწკრივა

---

[1] გაწითლებული.
[2] სამსახურიდან გამოსული.
[3] ეს ომი იყო 1877/8 წლებში.

ბოთლები, დაალაგა სხვადასხვა სანოვაგე. აგერ სტუმრებიც შემოქუჩდენ დერეფანში და აუტეხეს ფეხებს ბრახა-ბრუხი: იყრეინებდენ ფეხსაცმელებიდან თოვლს და ტალახს.

— მობრძანდით, ბატონებო, მობრძანდით, არაფერი უშავს: ნუ შესწუხდებით, იატაკი არ გაფუჭდება, — უთხრა სტუმრებს ეფემიამ, რომელიც წინ გაეგება და გულმოდგინედ ეპატიჟებოდა სახლში.

— მოგვილოცნია დღესასწაული, დაესწარით მრავალს, მეუღლით, შვილებით! — ულოცავდენ სათითაოდ სტუმრები.

— გმადლობთ, თქვენიანად! — უპასუხებდა დიასახლისი და თან თავს უკრავდა ყველას.

— აბა, მზადა ხარ, ეფემია-ქალო?! — დაეკითხა ესტატე მეუღლეს: — გვშიან. აი, მამა მაქსიმე სულ მუდამ იმას გვიბძანებს ხოლმე, პური და ღვინო ახარებს გულსა კაცისასაო, — დააბოლოვა სიცილით ძია ესტატემ.

— ღვთის მოწყალებით ყველაფერი მზად არის, — წარმოსთქვა ეფემიამ.

— ოღონდაც რომ ახარებს, — სთქვა მამა მაქსიმემ და ესევე გაიმეორეს სხვებმა. მიიპატიჟა ესტატემ სტუმრები სუფრაზე და ესენიც დალაგდენ, ზოგნი მუთაქაზე მოკეცით, სხვანი ჩიკებზედ [1]. არყით დაიწყეს. თამადობა ყველამ ესტატეს მიულოცა, ჯერ ერთი — როგორც ნაკურთხს, საზოგადოების ამორჩეულს, და მეორეც — როგორც მასპინძელს. ესტატე პირველად უარზე დადგა, ბოლოს დასთანხმდა. გაჩაღდა სმა-ჭამა. ძია ესტატემ პირველ სადღეგრძელოსთანავე მრავალჟამიერი შემოსძახა.

თაგვები რაღას შვრებოდენ?.. — ეწეოდენ სათაგურს, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, თან ადამიანებზე, იმათ ქეიფზე ბრაზობდენ: ჩვენ ვტირით, ეგენი იმღერიანო. არაჩვეულებრივი ფეხების ფხაკური აუტეხეს, თან სხვადასხვა სუნი აბრაზებდათ. განჯინა, როგორც უწყით, იქვე ტახტის თავში იყო, ასე რომ ძია ესტატე განჯინის ძირითა პირს თავს ახვედრებდა. სტუმრები და მასპინძელი კარგად შეზარხოშდენ.

— ქალო, ეფემიავ! — დაიძახა ესტატემ: — ამ განჯინაში რაღაც ამბავია.

— დამიდგა თვალი! — წარმოსთქვა ეფემიამ და ორი თითი მიიდო ტუჩზე გაკვირვების ნიშნად, — ფაცა-ფუცში სათაგური როდიღა მომაგონდა: უეჭველად თაგვი გაებმოდა, — წარმოსთქვა ეფემიამ და გაემართა განჯინისაკენ.

---

[1] სკამებზედ.

— განა ერთი, დედაკაცო, აქ ისეთი ხმაურობაა, რომ იქნება ასი ერთად დაგიჭიროსთ სათაგურმა, — სთქვა ესტატემ.

— ხმაურობა დიდი ხანია ისმოდა, მაგრამ ყურადღება არ მივაქციეთ, — სთქვა მასწავლებელმა და სხვებმაც შეუმოწმეს.

ეფემიამ განჯინა მარდად გააღო; სათაგურს სწრაფად ხელი დაატანა. შიგ თაგვი შენიშნა, ხოლო სხვა თაგვები ვერ დაინახა, რადგან განჯინაში ბნელოდა. სათაგური გადმოიღო და აი საკვირველება! — მთელი აკიდო[1] თაგვებისა თან გამოჰყვა: ცელქა, ფხორა. ცქმუნა, კუდა, ეცა, ბეცა და სხვანი მრავალნი. ამ სურათზე ყველამ თვალები სჭყიტა, ჭიქები ხელში გაუჩერდათ და პიროლიად დაუწყეს ცქერა. თაგვები მაგრა ჩასჭიდებოდენ ერთმანეთს ამხანაგის საშველად, მაგრამ რადგან შველა აღარ შეიძლებოდა, უშვეს ხელი ერთმანეთს: ზოგი აქეთ ეცა, ზოგი იქით. ცელქამ მღვდელს ღვინიანი ჭიქა დააქცევინა და ამანაც: „ჰაი, შე წყეულოვო“, მიაყოლა თან; კუდა მასწავლებელს გადაახტა თავზე; ცქმუნა კაპიტან მიხეილს მიახტა ზედ გულზე და იმან ხმლისკენ წაიღო მტრის მოსაგერებლად ხელი ჩვეულებისამებრ, მაგრამ ამ დროს ზედ არ შერჩა; ფხორა მამასახლისის წვნიან ჯამში ეცა და სულ დაიბუგა ფეხები. ბეცა თვალ-პირში ეცა ღნავალას, რომელსაც გზირი სოსია სთავაზობდა გამოხრულს ძვლებს, მაგრამ იმან, თითქოს აქ არაფერიაო, ყური(ვ) არ გაიბერტყა.

ასტყდა სახლში აურზაური: „ჰაი, თქვე წყეულებო!“ „დაგწყევლოთ ღმერთმა!“ „ვაჰ, რა ამბავია?“ — გაისმოდა აქეთ-იქიდან, ქეიფის ნირი[2] გააფუჭეს თაგვებმა. თუმცა ეცინებოდათ სტუმრებს, მაგრამ თანაცა სწყინდათ: მასხარად გვიგდებენ, თუ რა არისო! თაგვებმა თავს უშველეს; დარჩათ ხელში მარტო ფიცხელა, და მინდომეს იმაზე ჯავრის ამოყრა. მოითხოვეს სადგისი. უნდა დაეჩხვლიტათ. ეფემია ყველაზე მეტად ბრაზობდა. ფიცხელა აღარ ინძრეოდა; გაფითრებული დაბლიდან აძგვლენდა[3] საბრალოდ თვალებს. გადაწყვეტილი ჰქონდა თავისი ბედი. „ააჰ, რაზბონიკ!“[4] გადაუტრიალა თვალები მიხეილმა. ყველა იმ აზრზე დადგა, რომ დაეჩხვლიტათ ფიცხელა, მოეკლათ სათაგვეთის გამოჩენილი გმირი, და ისიც გულჩათუთქული, მუხლმოკვეთილი მოელოდა სიკვდილს. დაუპირეს ფიცხელას მოკვლა, დაჩხვლეტა, წამება, მაგრამ მფარველად ესტატე დაუდგა.

---

[1] ვაზის რქის ნაჭერი, რომელსაც აქეთაც და იქითაც მტევნები ჰკიდია.

[2] ნირი — ე. ი. გუნება.

[3] აძგვლენდა — აცოცებდა (ქურდზე იტყვიან).

[4] ქართულად ავაზაკი, ყაჩაღი.

— არა, ბატონებო, მე, როგორც თამადა, ვათავისუფლებ მაგ თაგვს, რადგან დღეს საუფლო დღეა და ეგ თაგვიც ალბათ რითიმე შესანიშნავია, რომ თავის თანამოძმეთა თანაგრძნობა მოუპოვებია. ხომ ნახეთ, როგორ ეშველებოდენ თაგვები და უნდოდათ მისი გათავისუფლება. უნდა გავათავისუფლოთ! ზოგი ღვთის გულისთვის, ზოგიც მე მიხათრეთ! — რა გაეწყობოდა, დაეთანხმნენ ძალაუნებურად ესტატეს, და ეფემიამ ფიცხელა სათაგურიდან გაუშვა გარეთ თოვლში, რომ ეგები იქ მაინც მომკვდარიყო. ფიცხელა ფხაჭა-ფხუჭით გარბოდა, თოვლისას ბუქს აყენებდა და გამალებული ეცა ბეღლის [1] ქვეშ... როგორ უხაროდა! ახლა რას ეტყოდა თავის ამხანაგებს, რამდენს ტყუილს შეჰხანხლავდა!.. [2].

სტუმრები ჰკვირობდენ თაგვების ამგვარ ერთმანეთისადმი შებრალებას და თანაგრძნობას. მასწავლებელმა ეს განმარტა და რამდენიმე მაგალითი მოუყვანა ფრინველებისა და ცხოველების ცხოვრებიდან...

ქეიფი განახლდა. ესტატე განაგრძობდა სადღეგრძელოებს; თაგვები დაეძებდენ ერთიმეორეს...

როცა ესტატემ და მისმა სტუმრებმა გაათავეს ქეიფი, თაგვებმა სწორედ მაშინ დაიწყეს. შეიყარნენ სალამოზე ერთად, დაჰკრეს დაფს, დოლს, დაირას, დუდუკს, ზურნას; ლეკურს თამაშობდენ, მღეროდენ. ფიცხელას ცაში ისროდენ, ხელზე იქორქორებდენ; ეს უკანასკნელი ბაიათებს ამბობდა, ამაყად გამოიცქირებოდა, გამარჯვებას დღესასწაულობდა.

[1908 წ.]

---

[1] ბეღელი — მარცვლეულობის შესანახი ოთახი (ფიცრისას აშენებენ).
[2] ხელდახელ მოიგონებს, გამოაცხობს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნადირთა პატრონი

ელიზბარს ძალიან უყვარდა ნადირობა: კვირაში ოთხ დღეს ტყეში ატარებდა; „ტურასავით ტყეში დაძვრებაო“, ელიზბარზე ხალხიც ამას ამბობდა. ელიზბარის სასაუბრო მუდამ თოფი, ნადირობა, ტყე და მთები იყო. ოჰ, რამოდენა ჯიხვი იცის ბაისუბნის თავს! ღმერთო, რა ნადირი ყოფილა მაზიმზე!.. კაცებო, გაოცებული დავრჩი, პირჯვარსღა ვიწერდი იმოდენა ნადირის შემაცქერალი; გაგიხარიანთ, მე იქ გავძელ თოფის სროლით! რაც იქ ნადირი დამიხოცნია... ნუ მომილოცავთ; ვინ არ მოჰკლავდა იქ ნადირს?! როგორც ძროხის ნახირში, ისე შავრეულვარ ზოგჯერ ნადირის ფარაში.

ელიზბარმა მთელი კახეთის და არაგვის სანადირო ადგილები ჯაგის ძირითურთ იცოდა, როგორც იტყვიან, — ხელისგულზე ჰქონდა გადაშლილი; მჭვარტლის წყალი ვარო, შავი კლდე, სხალთგორი, სიმური, სპეროზა და სხვა და სხვა, მოგიყვებოდა ყველა ადგილების ამბავს, იქ მოკლული ნადირის რიცხვს და სხვადასხვაობას. მონადირეებს საერთოდ ერთი ცუდი ზნე სჭირთ: სიცრუე, გადაჭარბება-გაზვიადება შემთხვევისა. ელიზბარს კი სიცრუეს ვერავინ დასწამებდა. სინამდვილეს გათქმული მონადირე ვეღარაფერს მოუმატებდა. თოფი ხომ, სანადირო თოფი, თავის თავზე მეტად უყვარდა. მუდამ სწმენდავდა, ჰფერავდა; გამარჯვებისათვის ელიზბარს ბევრჯელ უკოცნია თავის ხირიმისათვის ჯავარს ლულაზე. მართლაც, საამო სანახავი იყო ელიზბარის ხირიმი: თოფი თავსა და ბოლოს ოქროს ვარაყით იყო დაზარნიშული, ჩახმახიც კი მოვარაყული ეკრა და, რომ ფალიაში წვიმის წყალი არ ჩასულიყო, ირმის კანჭის ტყავი ჰქონდა ჩაჩად გადაფარებული: საჭიროების მიხედვით აჰხდიდა და დაჰხურავდა. „ტიალი, მიყვარს, ძმაო! თოფი რომ გავარდება ტყეში, გაჰხვივ-გამოჰხვივლებს, დაივლ-მაივლის მთების ყურე-მარეებს დალოცვილი, გულს როგორმე იამება, გულში სინათლე ჩამიდგება“. და თუ ვინმე შეაქებდა ელიზბარის თოფის ხმას, მონადირეს მთელი სახე სიამის ალში დაუტრიალდებოდა და გაუბრწყინდებოდა.

ზურაბს, ელიზბარის მოხუცებულ მამას, არ მოსწონდა ელიზბარის ყოფა-ქცევა: „აღარა აქვს მაგ ბიჭს სახლსა და საქმეზე გული, მგელივით სულ ტყისაკენ გაიყურება. ნანადირევს, ხომ იცით, რა მადლი და ბარაქა აქვს? აღარც ცოდვა-მადლს უყურებს“, — შესჩიოდა ხშირად მეზობლებს ზურაბი.

რამდენჯერ შვილსაც დაუშალა ნადირობით მეტისმეტი გატაცება; მოაგონებდა განთქმული მონადირეების უმადურს ყოფას, ცოლ-შვილის გაწყვეტას. — ბიჭო, შვილო, არ არის კარგი მაგრე გამოკიდება ნადირისა, ნადირსაც პატრონი ჰყავს. აბა, ერთი მითხარ, მონადირეებს რომელს აყრია ხეირი? აი, შორს ნუ წავალთ, აქვე, ჩვენს ახლო-მახლოს მივიხედ-მოვიხედოთ: ნავროზას, მამუკას, ღვთისავარს? ნავროზა და მამუკა სულ ამოვარდენ ძირ-ფოჩიანად. ღვთისავარისას ერთს შავერდისა ვხედავთ და ან ეგ რა სანახავია — შვილი მაგას არა რჩება, პურის ბარაქა არა აქვს და ფულისა?! წესზე, რიგზე სუყველაც კარგია, ურიგო კი არაფერი არ ვარგა, გადაჭარბებული, წრეს გადასული. ჩემს მტერს დაემართოს, რაც კაცს დაემართება, თუ ნადირთა პატრონმა დასწყია. გამახარეს რისაგანა აქვს თვალი გამოთხრილი, იცი? ჰოო, არ იცი განა? მე გეტყვი. თუ არ დაიჯერებ, წადი, ჰკითხე და თავადაც არ დაგიმალავს. საწვერის გორში მოეყარა ირმის ხრო, საყელში, ერთს ადგილში ხუთი ირემი მოეკლა — სამი ხარი, ორი ფური, ერთი ღა გაჰქცევოდა. არც გავუშვებდიო, გვიამბობდა, როცა საღამოზე შინ მოვიდა ნასახელარი და მანამ თვალს გამოითხრიდა. მეორეს დილას კი თავში და პირში მჯიღსა და ქვას იცემდა: რა ღმერთი გამიწყრა, ამოდენა ნადირის ცოდვა დავიდევ კისერზეო, რადგანაც იმ ღამესვე საბძელში ჩალაში დასაძინებლად წასულმა თვალი გადმოიბზარა. გუგულის მსგავსი ფრინველი დასტრიალებდა ირმებს, როცა ვსთოფავდიო. ის უნდა ეცნო საწყალს და ვერ იცნო. ნადირთა პატრონი ათასნაირი სახით ეჩვენება მონადირეს. ბრიყვი, ვერ მოსულიყო ცნებასა, თუ იანვარში ტყეში გუგულს რა უნდოდა და ან ირმებთან სათამაშო რა ჰქონდა!..

შე ულმერთოვ, ვისაც ვეუბნები და არ ესმის, მოჰკალ ერთი, ორი, გაუშვი დანარჩენები და! ისეთები სხვამ მოკლას, არა და აღარ გინდა, რომ ნადირის ჭაჭანება იყოს ტყეში?! მაგრამ როცა კაცი პირჯვარს არ დაიწერს და არა სთხოვს: ღმერთო, ცოდვაში ნუ შემიყვანო, ვერ ასცდება უკეთურ საქმეს. მე კარგა ვიცი, ერთი ან ორი რომ მოეკლა, არც თვალი გამოეთხრებოდა და არც ღმერთი გაუწყრებოდა. ეხლა ნანობს, მაგრამ სინანულმა თვალი ველარ

გაუმთელა... შენც, შვილო, ნადირობით ქეიფი ბოლოს არ გაგიმწარდეს. გაიგონე!..“

— მე კი გაგიგონებ, მამავ, მაგრამ გული რომ არ გაიგონებს! კაცს უმწერლოდ ბეწვი თმაც კი გაუთეთრდება თავზეო, ნათქვამია; ალბათ ჩემი ბედი და წერაც ეს არის, — ეტყოდა პასუხად ელიზბარი და ერთ-ორ დღეს რომ მამის დარიგებაზე გაევლო, მესამე დღეს მაინც ისევ ტყეში გარბოდა ჩოხაშემოკალთული, მხარზე თოფგადაგდებული, სასწრაფო-საპირისწამლით მკერდაყვავებული და, როცა სწორ-ამხანაგებში მოხვდებოდა, მაინც ამ თავის საყვარელ სიმღერას მღეროდა:

ვაჰ დედას თქვენსა, ჯიხვებო,
დავბერდი, მაკლეს თვალთაო;
ფეხდაფეხ ველარ მოგყვებით,
მუხლები დამეხლართაო.
კიდევ სამ გაყურებინებთ
ჩემის ხირიმის ხმასაო,
ჭიუხში შეგაბერტყინებთ
ცისკრის ხანს ქუჩის ნამსაო.

თოვლი თოვს, ჯიხვი ფეხს უცემს,
გული გკლავს მონადირეო:
ჯიხვო, ვერ მოგკალ, ტიალო,
სისხლი ვერ გაგადინეო.
ვერ დავიკვეხე სწორებში,
რქაზე ვერ დაგაბჯინეო;
ვერ გადაგაგდე კლდეზედა,
გული, ვერ გაგაცინეო.

შემოდგომას ხომ გულგადალეული ელოდა; ელოდა „ყვირილობას“, როგორც დედა ერთადერთს შვილს, ლაშქარში წასულს. მთელს ღამეებს ტყეში ატარებდა. თავზე ირმის რქას იდგამდა, მხრებზე ირმის ტყავს იფენდა და „ყვიროდა“, როგორც ხარი ირემი. ელიზბარის ყვირილს ირმის ბღავილიდან ვერ გაარჩევდა კაცი. ორჯელ თუ სამჯერ უცხო მონადირეებს კინაღამ არ შემოაკვდათ; ირმის მაგივრად კინაღამ ელიზბარი არ გამოასალმეს წუთისოფელს. რას მოიფიქრებდენ, თუ ელიზბარი დაუხვდებოდათ ირმის ქურქში გამოხვეული, მაგრამ როცა გაიგეს იმის ნადირობის წესი, ყოველი მონადირე ფრთხილობდა, ირმის მაგივრად კაცი არ

შემოჰკდომოდა. ამგვარად ნადირობდა ელიზბარი, ხოლო გულში კი მუდამ, განუშორებლად იმ ფიქრს ატარებდა, რომ ღმერთი არ განერისხებინა, ნადირთა პატრონი არ გაეჯავრებინა, — თვალგაფაციცებით ჰსინჯავდა სროლის დროს, ლანდი ნადირთა მეფისა ხომ არსად გამოჩნდაო. იგი ხომ უფრო ხშირად პატარა ტანის ქალის სახით ეჩვენება მონადირეებს, დიდრონ გაშლილ თმებით; ხელში ჯოხი უჭირავს და ხან უკან მისდევს თავის სამწყსოს, ხან წინ მიუძღვის, ხან გვერდზე, მხარდამხარ, და თან ნელი ხმით მიუსტვენს. თუმც ხშირად ათასნაირ სახეს იღებს, ხანდახან ბუზადაც კი იქცევა, დაუჯდება მონადირეს ლულაზე, რომ მიზანი შეუშალოს, იქცევა ზაფხულში დიდრონ წვიმის წვეთად, ჩამოვარდება მაღლიდან. დაეცემა კვესზე ჩახმახს, რომ ფალია დაუსველოს, თოფი აღარ გავარდეს; ზამთარში იქცევა თოვლის ფარტენად ამავე მიზნით; გადაიქცევა ფრინველად, ან საუცხოვო ნადირად, რომ დაატრთხოს სამწყსო და ხიფათს გადაარჩინოს.

ამდენი ხანია ნადირობს ელიზბარი და ერთხელაც არაფერი მსგავსი არ უნახავს. სჯერა და არც სჯერა ეს ამბავი. ბევრჯელ ჩხიკვს დაუფრთხია ელიზბარისთვის შვლები. იქნება ნადირთა პატრონი იყო? შეიძლება. ერთხელ ხარ-ირმისთვის უნდა დაეცა თოფი, მთელის თავის ტანით ედგა წინ ელიზბარს, იქვე წააქცევდა. დაიმედებულმა თოფი მოიმარჯვა, მაგრამ მოულოდნელად მაღლიდან ჩამოვარდა ხმელი წიფლის ტოტი, დაეცა ირემს რქებზე; ირემს ელდა ეცა და როგორც ნაპერწკალი, ისე გაქრა. შეიძლება ისიც ნადირთა პატრონის ბრალი იყო? შესაძლებელიაო, ფიქრობდა კვალად მონადირე. ბევრისგან ბევრი მაგალითები მოიგონა განვლილი გამოცდილებიდან, ისეთი მაგალითები, რომ ნადირის გადარჩენა ყოვლად შეუძლებელი იყო, მაგრამ მაინც გაჰსხლტომია ხელიდან. ყველა ეს მაგალითები ეჰვს უბადებდენ, აფიქრებინებდენ, რომ უსათუოდ უნდა ბრალი დაედო უჩინარი ძალისთვის. ეს ძალი იყო ერთადერთი ნადირთა პატრონი.

შაბათ საღამოს ესტუმრათ თევდორე, გათქმული მონადირე, ხოლო დღეს დაუქმებული, რადგან აზარი ხუთჯერ ჰქონდა ათავებული, ხუთჯერ ჰქონდა თოფი მიწაში დამარხული. ძველი სამონადირეო ჩვეულების ძალით აღარ შეეძლო იმას ნადირის მოკვლა, თუნდა ნადირის ხროვა შინ შეჰხტომოდა. აღთქმა ჰქონდა, ამიერიდან ნადირი აღარ უნდა მოეკლა. საკმაოდ ხნიერი თევდორე ნადირობის ჟინს მხოლოდ წარსულით, თავგადასავლის მოგონებით იკლავდა. უყვარდა, ესიამოვნებოდა სხვის ნაუბარი ნადირობაზე და თავადაც ისეთი აღტაცებით ლაპარაკობდა, როგორც ოცის წლის

ჭაბუკი. მთელი ღამე თევდორემ და ელიზბარმა ნადირობაზე ლაპარაკში გაატარეს. გაათავებდა ერთ-ორს ამბავს თევდორე, ელიზბარი დაიწყებდა, მერე სიტყვას ისევ თევდორე ჩამოართმევდა...

ნადირთა პატრონის არსებობას თავის თვალით ნახული მაგალითებით უმტკიცებდა თევდორე ელიზბარს ისეთი პოეტური აღწერით, რომ იმ ღამეს სიზმარშიც კი ნადირთა პატრონი მოელანდა. მეორე დღეს, კვირას, ელიზბარი სანადიროდ ემზადებოდა, ყვირილობა იწყებოდა. ენკენისთვის შუა რიცხვები იყო. „ხვალიდან, აი სწორედ ხვალიდან, შვილო, აქვს უფლისაგან დანიშნული ვადა ხარ-ირემს და ორაგულს, ირემს — ყვირილისა, ორაგულს — თხრისა. ცდილობენ, რომელი რომელს დაასწრობს, ირემი ყვირილს, თუ ორაგული თხრას[1]. მოსაკლავი ორივე ეხლაა, მსუქანი. ხარს, რაც უნდა გძელი ხანჯარი იყოს, ხომ იცი, კისერზე ვერ გააწვდენ, რომ დასცე. ტანის სისქე კისერი აქვს და ორაგულისაც რაც კი სიმსუქნე შეიძლება, ეხლა აქვს დრო, ამის შემდეგ ხდება ავად და ლუბდება, თხრას რომ გაათავებს, დედალი ორაგული აღარც კი იქმევა სილუბისაგან“. თოფის სროლის და თავის ნადირობის წესს უხატავდა ელიზბარს: „ხელზევით სროლას ეცადე, რაც შეიძლო. დადებით მსროლელი მონადირე მონადირედ არ მიმაჩნია, — განაგრძობდა თევდორე, — თოფი ბოშად გეჭიროს, რომ ჩახმახის დასხლეტის დროს არ დაგეძრას, რაც შეიძლება გული დაიდინჯე სროლის დროს, ხოლო ხელი ააჩქარე. ნადირობაში ხელისა და თვალის სიჩქარეა პირველი იღბალი. მე თუ ნადირი ამაჩქარებდა, იმის დღე გათავებული იყო. ნადირმა სუნი იცის, ამიტომ როცა ეპარები, უნდა აურჩიო ისეთი გეზი, რომ ნადირის მხრიდან მონაბერი ნიავი შენ პირში გცემდეს“. ზოგი რამ ამ წესებისა, რა თქმა უნდა, ელიზბარმაც იცოდა, მაგრამ თევდორეს მაინც სიტყვაშეუბრუნებლად უგდებდა ყურსა.

ღამეა. თითო-ოროლა ღრუბლის ნაჭერი დასეირნობს წყნარად ცის გულმკერდზე და მთვარის სხივებს უშლის გაანათოს ხშირი ტყით დაფარული არემარე. მაღალ სერზე, დიდრონ წიფლის ძირას ზის ელიზბარი, დილით ადრიან წამოვიდა სანადიროდ. მთელი დღე ტყუილად დააღამა, თვალით ვერაფერი განიცადა. ზურგი მიუბჯენია წიფლისთვის და თოფი, თითქო გულზე დედას შვილი მიუხუტებიაო, ისე უჭირავს. ყურგაფაციცებული, მოუთმენლად მოელის ირმის ყვირილს. ტყეში მყუდროებაა. მხოლოდ თრითინების „ჭიიტ-

---

[1] ორაგული ორმოს აკეთებს წყალში და იქ გორაობს, აწყვეტს ბოლოს და ქვირითს აბნევს.

ჭრიტ“ აღვიძებს მიდამოს. შორს, ძალიან შორს, საბრალო ხმით ბუ გაჰკივის... ტყით დაფარული გორაკები ზოგან ერთმანეთზე მიყრილი, ზოგან ერთიმეორისაგან ვაკედაცემული ადგილებით დაშორებული, ერთს დიდს გამოურკვეველს საიდუმლოებას წარმოადგენდა.

შუალამე გადავიდა. ელიზბარს ჯერ თვალი არ მოუხუჭავს, თუმც ძილი ნელა-ნელა ეპარებოდა იმ დღის ნავალს; ეკიდებოდა თვალებზე, როგორც ფოთოლზე წვიმის ცვარი. უმაგრდებოდა ძილს, ჯიუტობდა, არა ჰნებდებოდა ბუნების ულმობელს კანონს: ცოტას რომ წასთვლემდა, მალე ისევ გააჭყეტდა თვალებს და მახვილ სმენას მიუპყრობდა მის წინ გადაშლილ არემარეს; ბუ ისევ გაჰკიოდა... დაკივლა და მიჩუმდა. სხვა რაღაც მოესმა ელიზბარს, ისე, როგორც ზარის ხმა გაუარა ამ ხმამ ჟრუანტელად მთელს ტანში, შეათამაშა ფოთლები და გაჰქრა. „ძლივს, ოჰოო!“, — წარმოსთქვა მან. — „მადლობა ღმერთს!“ — და გადაიწერა პირჯვარი. ყური უფრო გულმოდგინედ დაუგდო, დახრილმა ცალი ყური თითქმის დედამიწას შეახო. ხმა უფრო ცხოვლად მოესმა. ირმის ყვირილი შორიდან ისმოდა, მაგრამ თანდათან უფრო გარკვევით. „პირ-აქათ არის“, — წარმოსთქვა თავისთვის ელიზბარმა: — „აჰ, ნეტავი ცოტას კი დაჰნამავდა ეს დალოცვილი“. ელიზბარმა ბევრი აღარ დაახანა, გაემართა იქით, საითაც ირმის ყვირილი მოდიოდა, რომ საგათენებოდ მიჰსვლოდა ახლოს და ესროლა თოფი. მიდიოდა ტყეში, კლდე-ღრეებზე სვენებ-სვენებით, თან ყურს უგდებდა, სხვა არაფერს ყურადღებას არ აქცევდა; მთელი მისი გული და გონება მიისწრაფოდა ირმისაკენ. ზოგან შველი გაექცა, სხვაგან მგელი ირმის პარებაში, მაგრამ არა ნაღვლობდა. ერთ ადგილს პანტაზე ნაჯდომმა დათვმა მოიღო ზღაპა და თავზარდაცემულმა წაიღო ლაწალუწი. „წადი, ირბინე, არა უშავს, ხვალ სადღა გამექცევი, დავითავ!..“ — ჩაილაპარაკა თავისთვის ელიზბარმა.

მიუახლოვდა ელიზბარი ირემს, ხმა ახლოდან ესმის, აღარ იქნება იმათ შუა დიდი მანძილი, ელიზბარი ჩამოჯდა, დაისვენა. ნიავს არჩევდა, თენებამაც მოატანა...

გარიჟრაჟია. მონადირე ირმის კვალზე შედგა. ირემმა ყვირილი შესწყვიტა. ელიზბარმა თოფს ფალია გამოუცვალა. თვალებს ძლივს ახელს, გაბლანტებულია. აი ნაბოტარი ირმისა, ირმის სუნი მოსდის ირმისგან რქით მოგრეხილს თხილსა და წიფლის ბონცვრებს, ესევე სუნი ასდის ბუერებს და ბალახს, სადაც ირემს ფეხი დაუდგამს, რისთვისაც კი ტუჩი მიუხლია. ფეხებს ელიზბარი ფრთხილად სდგამს, თვალებს იქით-აქეთ აცეცებს მგელივით. ხამუშ-ხამუშ შედგება; ყველაფერი, რაც კი თვალში ეხეჩება, უნდა

განჭვრიტოს თვალით. ფაჩა-ფუჩი მოესმა, ნალეწი გატყდა. ელიზბარი ხეს გაეკრა, თოფი მოიმარჯვა... შესჩერებია გულის ფანცქალით დგნალებს, საიდანაც ირმის ყოფნის ნიშნები მოესმა და... აგერ რქები — თავი... დაჩნდეს... კარგად დაჩნდეს... უცქერის გაშეშებული. ირმის რქებმა გააოცა. ყელი, თავი და რქები უჩანს, სუნს იყრის. ჩამოჯდა ელიზბარი და დაუმიზნა თოფი. უცდის მხოლოდ, რომ ტანი გამოაჩინოს. — ღმერთო, ეს რა რქებია, კელაპტრებივით ანათებს მისი შტოები! თეთრი ტრედივით ფრინველი დაჰფარფატებს თავზე... ირემი წამოდგა წინ და მთელი მკერდი დაუჩნდა. ის არის. უნდა დასხლიტოს ელიზბარმა თავზე შემოყენებული თოფი, რომ ირემს წინ აეფარა ხმალამოწვდილი კაცი, ხელში ცეცხლის ხმალი უჭირავს და ემუქრება. ხელიც თითქოს ვიღაცამ დაუჭირა და ჩასჩურჩულა ყურში: „ნუ, ნუ! ჰაა, არ ესროლო, ღმერთი არ გაგიწყრეს!..“ ელიზბარს მოუდუნდა მკლავები, შემოყენებული თოფი ხელიდან გაუვარდა. თოფმა დაიგრიალა და იქვე მიწაში მოჰხვდა ტყვია, ირემმა თავს უშველა...

მონადირე დიდხანს გაფითრებული იჯდა გაქვავებულივით ერთს ადგილას და გონზე ვერ მოსულიყო... როდის როდის მოეცა გონება, ადგა ბარბაცით... დაიწყო თვალების ფშვნეტა. იწერდა პირჯვარსა და ამბობდა: „ღმერთო, შენ დამიხსენ ყოველი განსაცდელისაგან! ჰოო, ვნახე, ვნახე, ის იყო ის...“

(1908 წ.)

განჭვრიტოს თვალით. ფაჩა-ფუჩი მოესმა, ნალეწი გატყდა. ელიზბარი ხეს გაეკრა, თოფი მოიმარჯვა... შესჩერებია გულის ფანცქალით დგნალებს, საიდანაც ირმის ყოფნის ნიშნები მოესმა და... აგერ რქები — თავი... დაჩნდეს... კარგად დაჩნდეს... უცქერის გაშეშებული. ირმის რქებმა გააოცა. ყელი, თავი და რქები უჩანს, სუნს იყრის. ჩამოჯდა ელიზბარი და დაუმიზნა თოფი. უცდის მხოლოდ, რომ ტანი გამოაჩინოს. — ღმერთო, ეს რა რქებია, კელაპტრებივით ანათებს მისი შტოები! თეთრი ტრედივით ფრინველი დაჰფარფატებს თავზე... ირემი წამოდგა წინ და მთელი მკერდი დაუჩნდა. ის არის. უნდა დასხლიტოს ელიზბარმა თავზე შემოყენებული თოფი, რომ ირემს წინ აეფარა ხმალამოწვდილი კაცი, ხელში ცეცხლის ხმალი უჭირავს და ემუქრება. ხელიც თითქოს ვიღაცამ დაუჭირა და ჩასჩურჩულა ყურში: „ნუ, ნუ! ჰაა, არ ესროლო, ღმერთი არ გაგიწყრეს!..“ ელიზბარს მოუდუნდა მკლავები, შემოყენებული თოფი ხელიდან გაუვარდა. თოფმა დაიგრიალა და იქვე მიწაში მოჰხვდა ტყვია, ირემმა თავს უშველა...

მონადირე დიდხანს გაფითრებული იჯდა გაქვავებულივით ერთს ადგილას და გონზე ვერ მოსულიყო... როდის როდის მოეცა გონება, ადგა ბარბაცით... დაიწყო თვალების ფშვნეტა. იწერდა პირჯვარსა და ამბობდა: „ღმერთო, შენ დამიხსენ ყოველი განსაცდელისაგან! ჰოო, ვნახე, ვნახე, ის იყო ის...“

(1908 წ.)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ერთი უყურეთ ტყესა-და!

ერთ დროს სახელოვანი, ნადირით განთქმული, უზარმაზარ სივრცეზე გადაჭიმული ტყე გახმა; დაედო შავი საზარელი ფერი; სამარესთან მიტანილს, კუბოში ჩასვენებულს, დასამარხავად გამზადებულს ცხედარსა ჰგვანდა. გაწყდა ნადირთა და ფრინველთა ხსენება. აღარ ისმოდა იქიდან შემოდგომით გულის მანათობელი ხარ-ირმის ყვირილი, აღარც შვლის ხავილი, აღარც ტურის ჩხავილი და აღარც ყმუილი მშიერის მგლისა. მთელი ტყე რომ შემოგევლოთ თავიდან ბოლომდე, ერთგან ვერ შენიშნავდით რაიმე ცხოველის კვალს, შაშვისაგან გადაქექილს ხმელს წიფლის ფოთოლსაც კი ვერსად ნახავდით. მონადირენი შორს მიურბოდენ ეხლა ტყეს. დაშრა ცივი წყაროები, მოჩუხჩუხე ხევები, ნაკადულები, მოკვდა ტყე, მოკვდა. ტყის სიცოცხლისა და სიმწვანის მომსწრე მგზავრები გულში მუშტს იცემდენ, თავებს აქეთ-იქით აქნევდენ და ერთხმად იძახოდენ: „ااا, რა ტყე გაფუჭდა, რა ტყე დაიღუპა!.. აფსუს!..“ იტყოდენ გულჩათუთქულნი და გაუდგებოდენ თავიანთ გზას.

იყო, კარგა ხანს იყო ტყე ამ მდგომარეობაში. გრძნობდა კარგად თავის უბედურებას, ემდურებოდა მუხთალს ბედს, ტიროდა მწარედ თავის-თავს, ხოლო მის ცრემლებს ვერ ამჩნევდა ვერავინ. ჩამონადენი ცრემლი კუპრივით აშავებდა დაბლა დედამიწას. მთელი დღე და ღამე ლოცულობდა: „ღმერთო, ღმერთო! რად მომისპე სიცოცხლე? რა დავაშავე, უფალო? ნეტავი ვიცოდე, რა დავაშავე? მაპატივე უფალო, ჩემი დანაშაული, დამიბრუნე სიცოცხლე, ან თუ არა, მომისპე გრძნობა სიცოცხლის სურვილისა, მომკალ, რომ აღარაფერს ვგრძნობდე. ااا, ღმერთო, ღმერთო, შე დალოცვილო, დაილოცოს შენი სახელი და სამართალი!“ — ბუტბუტებდა ტყე და თან ღვრიდა ცხარე ცრემლებსა... „თუ არ მაცოცხლებ, უფალო, ამარიდე მზე და მთვარე, აღარ მესიამოვნება იმათი სხივები, მაბრაზებენ მხოლოდ ესენი; მომაშორე ჟუჟუნა წვიმა, მჩხვლეტავს ეკალივით მისი წვეთები!“

შორს, შორს სადღაც ჰხედავდა ამწვანებულს, აყვავებულს მთაბარს და ტყეებს. — დამთხარე, მაშ, ღმერთო, თვალები, რომ ვერა ვნახო გულსაკლავი სურათი...

გაზაფხულზე მოსულს მის თავზე მიმფრინავს გუგულს ეპატიჟებოდა თავისთან; ეპატიჟებოდა გადამავალს ქედნებს; ბუსაც კი, უბედურს ბუს ყელს უწევდა და ეძახდა თავის საწყალის, უბედურის ხმით. გამხმარ ტყის უბეში შორს მიმრბინალს ხარ-ირემს ხელს უქნევდა, ჩოხის კალთების ქნევით თავისთან იპატიჟებდა, მაგრამ ამაოდ... ყველა მიურბოდა, უფრთხოდა ტყეს, შორს, შორს, აღარავინ ეკარებოდა.

„იქნებ სიცოცხლე დამბრუნებოდა, — ამბობდა ტყე, — ფრინველნი და ნადირნი რომ არ შემომწყრომოდენ?!. დამანებეს იმათაც თავი, წინად კი ვუყვარდი, შემომფოფინებდენ, როგორც შვილები დედას, ჩემს კალთაში თავსა ჰხვევდენ. უყურე ეხლა: მნახესრა გასაწყლებული, შემომეფანტნენ, აღარ უნდათ მნახონ, თვალს მარიდებენ. ან კი რად მიკვირს? რად ვემდურები? მე რომ ჩემი თავი მეჯავრება, მებრალება, ისინი რისთვისღა შემიყვარებენ, რაღას გამოელიან ჩემგან? აღარსად წყალი ჩემს მიდამოს, აღარსად ბალახი, აღარსად ფოთოლი! იქნება ვებრალები? მაშ, რატომ არა ტირიან და თავიანთ გოდების ხმას მეც არ გამაგონებენ? მაშინ ხომ გულზე შემოწოლილი ბოღმა მეფონებოდა, ცოტა ხანს დავისვენებდი...“

განვლო ხანმა. ხალხი, მთელი ქვეყანა, სოფელი და ქალაქები შეინძრა, ათოთქორდა: ხმა გავარდა, — ხმელი ტყე აბიბინებულა, აყვავებულა, ისეთი მშვენიერი სანახავია, ადამიანი თვალს ვერ მოაშორებს, ავსილა ნადირით და ფრინველებით, სამოთხეს დაჰმსგავსებიაო. დიდი და პატარა, ასის წლის მოხუცებულნი მიეშურებოდენ გამხმარი ტყის სანახავად. აყვავებული, აჭრელებული ათასნაირად ხალხი როგორც მუმლი დასტრიალებდა ტყეს თავზე, სწირავდა ღმერთს მადლობას. ისე უბრწყინავდა ყველას სახე, თითქოს საიქიოდან მოჰსვლოდა ყოველს მათგანს საყვარელი არსება. ტყეს შრიალი, ბიბინი გაჰქონდა. რაც ხმელობის დროს ძალა აკლდა, ეხლა ერთი ათასად შეევსო. მართლაც ავსილიყო ნადირებით, დანავარდობდენ აუარებელი შვლები, ირმები... ფრინველების ჟივილ-ხივილი ადამიანს აყრუებდა. ხევები, დამშრალი ხევები საამურად მოჩუხჩუხებდენ, დამშრალ წყაროებს ამოეხეთქათ. ტყეს უხაროდა, ღმერთს მადლობას სწირავდა... ერთი ვინმე მორწმუნე შემდგარიყო მაღლობზე და ისეთი ხმით გაჰკივოდა, რომ დედამიწა იძვროდა: „ურწმუნონო, ხომ იხილეთ ძალა უფლისა? ასევე აღად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენს უფალი მკვდარსა, როგორც აღადგინა გამხმარი ტყე. დიდებულ არს სახელი უფლისა!“ ხალხი პირჯვარს იწერდა და ერთხმად გაიძახოდა: მართლაც, ერთი უყურეთ ტყესა-და! დიდება შენდა, უფალო!

გზად მიმავალი მგზავრი, რომელსაც ენახა შარშან და შარშანწინ გაუდაბურებული ტყე, სიამოვნება-გადაფენილის სახით, გაბრწყინებულის თვალებით ღმერთს მადლობას სწირავდა და ისიც ამას ამბობდა: ერთი უყურეთ ტყესა-და!

ხალხი ტყეს ვეღარ აშორებდა თვალს, ყველას აქ ეწადა დარჩენა, ეზარებოდა სახლში დაბრუნება.

ერთს საკვირველებას მეორე მოჰყვა: ციდან ჩამოეშვა ხშირი, გრძელი თმით, თითქოს ნისლში გახვეულაო, პატარა ტანის ქალი ღვთიურის სახით, ღვთიურის თვალებით. ტანზე ყვავილების და ფოთლების კაბა ეცვა. ჩამოეშვა ციდან და ჩაიმალა ტყეში. — „ტყის ანგელოზი, ნადირთა პატრონი!“ — გაისმა ხალხში ხმა. ყველამ პირჯვარი გამოისახა. — „ღმერთო, ნუ მოაკლებ შენს მოწყალებას ტყესა; ღმერთო, ადღეგრძელე და აცოცხლე!“ — ამბობდა ხალხი. სახლში რომ დაბრუნდენ, თვითეულის სახე სიამოვნების მზით იყო გაბრწყინვებული: მოესწრენ მკვდრის აღდგენას, დარწმუნდა ყველა, რომ შესაძლო ყოფილა აღდგენა მკვდრისა. — ყველა განგებას ლოცავდა, რომ უსამართლოდ, უბრალოდ არაფრის დამნაშავე ტყე არ დაისაჯა, არ დაიტანჯა სამუდამოდ. — ყოფილა სიმართლე და დაჯილდოვება ამ სიმართლისა.

აი რად უხაროდა საერთოდ მთელს ქვეყანას და რისთვის გრძნობდა თავს ბედნიერად.

[1908 წ.]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეშმაკი

(საშობაოდ)

და სწუხდა საშინლად, თვალები სისხლით ევსებოდა, მთელის ტანით, ბოროტ-მღელვარებისა გამო, თრთოდა... მაშ უნდა დაიბადოს? არ შეიძლება განა ჩავშალო განკარგულება ღვთისა? — ამბობდა იგი დაჟინებით, ეკითხებოდა თავის თავს, კბილებს აღჭენდა. ირودის მიერ გაგზავნილ ჯალათებს გადააჭარბა, ვიდრე ისინი მოასწრობდენ ახლად დაბადებულის თავის მოკვეთას, ის უკვე ასრულებდა საზიზღარს განაჩენს, უმსგავსს განკარგულებას ურიასტანის მბრძანებლისას. უჩინრად შედიოდა სახლებში და არჩობდა ახლად დაბადებულთ აკვანში, — დედის კალთაში; საზიზღარმა რამდენს მოუსპო სიცოცხლე მშობლის გულ-მკერდზე მიხუტულს ყრმასა!.. დედანი სტიროდენ, თმებს იგლეჯავდენ, სახეს იკაწრიდენ, გულ-მკერდს იღადრიდენ... ისმოდა ურიასტანში გოდება საშინელი, გამოუთქმელი. საბრალო მშობლები! შთანთქა დროთა სვლამ იმათი ცრემლი და ტანჯვა-ვაება ისე, როგორც ბევრი რამ სხვა შთაუნთქავს ადამიანთა ცხოვრების ისტორიას.

თუ ირودის ჯალათებმა არ იცოდენ, ვინ იყო იესო და ამიტომ ჰყლეტდენ, ჰსრავდენ ყველას განურჩევლად, იმ განზრახვით, ახლად დაბადებულთა შორის იქნება მაცხოვარიც მოჰყვესო, — ამან, ამ ბოროტმა სულმა, ყველაფრის მცოდნემ, ხოლო ბოროტის მენდომემ, ხომ იცოდა კარგად, ვინც იქნებოდა მაცხოვარი, მაშ ის რადღა სჩადიოდა ამდენს ბოროტებას?! — დიაღაც იცოდა, კარგად ესმოდა, რომ არ ერივა მაცხოვარი მათ შორის, ვისაც იმან სიცოცხლე მოუსპო, მაგრამ ჰყლეტდა მაინც უსუსურთა: — გაიზრდებიან და მაცხოვარს დაემოწაფებიანო, — ფიქრობდა იგი, — გაიზრდება სიმართლე, რომელიც მას სძულს, ეჯავრება საშინლად.

მოიჯერა ქალაქ-სოფლებში ბავშვების ყლეტით გული და მიაშურა იქ, სადაც ეგულებოდა მაცხოვარი... რა კარგი იქნებოდა, რომ შაიძლებოდეს იმის მოკვლა, მაგრამ მოჯადოვებულია, არ ძალუძს.

უნდა უთხრას ჯალათებს, ასწავლოს ის ადგილი, გამოქვაბული მიგვარდნილ უდაბურს ტყეში, საცა იშვა მაცხოვარი, მაგრამ ენა უდუნდება: ვერ ამბობს ვერაფერს, ენა ებმევა, გონება ებნევა.

გარბის მარტოკა ბეთლემის განაპირა უდაბურ ადგილას. როგორც ქარიშხალი, მიიჭრა იგი გამოქვაბულთან და აიტუზა შესავალ კარებთან ყველაფერს ჰხედავს და უფრო ბრაზით და ნაღვლით ევსება გული და გონება. ყრმა იესო ჩვრებში გახვეული სწევს ბაგაში, ეხლავე მისი თვალები და გონება რბის ცისაკენ, — მისი თვალები, აღსავსე მადლით და სასოებით, ხოლო ბოროტ სულს გადმოსდის თვალებიდან ძმარი. მოსულან მწყემსნი, მოგვნი და დიდის იმედით შეაცქერიან თავის მხსნელს, იყრიან მუხლს წინაშე მისსა, იხრიან ქედსა სიხარულით აღვსილნი: აუსრულა ღმერთმა აღთქმა და მოუვლინა ტანჯულ ერს მხსნელი; იცის ეშმაკმა, რომ ერს იმედი არ გაუცრუვდება, იესო ჩაუდგამს ქვეყანას ცხოველს სულს თავის მოძღვრებით, ხალხი გაჰყვება მას უკან; მის ფეხის დანაბიჯებს ემთხვევა ყველა, — გზაში დაუფენს თავის ტანსაცმელს, დაარქმევს მას მაცხოვარს; ეს ჩააგონებს ხალხს: „შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისიო!“ ღმერთმა დაიფაროს! მართლა რომ დაიჯეროს ეს მოძღვრება ქვეყანამ და ამ გზას დაადგეს, ხომ დავიღუპე მე, მე — ეშმაკი. არა, არ შეიძლება, ეგ სიტყვები უნდა დაეკეროს ადამიანს ენაზე, ხოლო გულამდე არ ჩასწვდეს, ასე უნდა მოხდეს! ასე სჯობია... სიყვარული მოყვასისა?! ეს ხომ შხამი და ბალღამია, ეს ხომ წაწყმედაა სიცოცხლისა?! ამიტომ მე ამ თავითვე ვწყევლი ამ მოძღვრებას და ვამბობ: — არ იქმნას აღსრულება შენი კაცთა შორის არაოდეს, არამედ იტანტალოს დედამიწაზე ისე, როგორც ქარმა, რომელიც დაჰქროლებს, შეარხევს ხეებს, ბალახს, თმასა და წვერს ადამიანისას, კალთას მის ტანთსაცმელისას და გაივლის, გაჰქრება, არ დასტოვებს არსად კვალს. იესო ნაზარეველო, მეუფევ ურიათა! მე მუდამ მზად ვიქნები გადავეღობო წინ შენს მოძღვრებას, ვაკვეცო მას ფრთები; უწყიდე, რომ ჩემი ცალი ბრჯღალი მუდამ იქნება ჩაჭიდული ადამიანის გულზე, რათა ჩამოვფხიკო ის ჭუჭყი, რომელიც მიეკვრის მას შენის მოძღვრების წყალობით. უწყიდე ეს, უწყიდე კარგად! — ბუტბუტებდა ეშმაკი თავისთვის.

— ააახ! ნეტავ შემეძლოს მოვუსპო მას სიცოცხლე! ყველაფრის მცოდნეს, ყველაფრის შემძლებელს მხოლოდ ეს არ ძალმიძს, მიდუნდება მკლავი, მებოჭვის ხელ-ფეხი. რა საჭირო იყო მოვლინება მაცხოვრისა? სულ მეტია, ძეტი! დაკარგა საბრალო ცამ ჭკუა-გონება, ეს ნაყოფია ცის უგუნურობისა. რა წახდა ქვეყანაზე უქრისტეოდ? არაფერი, სრულიად არაფერი!

უდგია ეშმაკს იესო უკვე დავაჟკაცებული, შემორტყმია გარშემო აუარებელი ხალხი, რომელიც სულგანაბული შესჩერებია მას თვალწარბში და მზად არის დიდი და პატარა, კაცი თუ ქალი, არც ერთი მისი სიტყვა არ დაუშონ დაბლა. ესწრაფვებიან, როგორც ქათმები საკენკს. და ესეც ასწავებს ერს, ეუბნება ეშმაკის გულისა და სულის მოსაკლავს სიტყვებს, არ იღლება ენა იესოსი, არ იშრიტება მისი გონება. მას უკვე ესმის მძლავრი ხმა ქრისტესი: „ნეტარ იყვნენ, რომელთა შიოდეს და სწყურიოდეს სიმართლისათვის, რამეთუ იგინი განძღენ!“ — სიმართლე და სიმართლე! სულ სიმართლე აკერია ენაზე! — ბრაზობს ეშმაკი.

— ნაზარეველო, მოვკლავ მე შენს სიმართლეს! რათ არ ძალმიძს შეგახო შენ ხელი, მოგისპო სრულიად სიცოცხლე? ვინ დამიშლის შევცვალო სიმართლე უსამართლობით? დავამკვიდრო იქ ტაცება და ჩაგვრა, შეუბრალებლობა, სასტიკობა, საცა შენ გინდა დარგო რაღაც სიმართლე, სათაყვანებელი მხოლოდ ბრიყვთა, უბირთა გონებით?! არ მწამს მე და ვეცდები, არ ვაწამებინო იგი კაცობრიობას!

„ნეტარ იყვნენ მშვიდნი, რამეთუ მათ დაიმკვიდრონ ქვეყანა!“

— სიცრუვეა, მტკნარი სიცრუვეა!.. ვინ არის მშვიდი? სად ჰნახავთ იმას? არსად. არ დავამშვიდებ არავის. ნუ გგონია, ნაზარეველო, ნუ! შევქმნი ცხოვრების ისეთს პირობებს, არ იყოს არსად სიმშვიდე, — სტაცებდეს, არბევდეს ერთი მეორეს, იყვნენ გლახაკნი და მდიდარნი, მაძღარნი და მშიერნი ხორციელად და სად იქნება მაშინ სიმშვიდე? არსად. ვინ დაიმკვიდრებს მაშინ ქვეყანას? არავინ. მხოლოდ მე, მაშინ დამკვიდრდება ქვეყანაზე ჩემი მეუფება.

„ნეტარ იყვნენ მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალნენ!“—ჰქუხს კვალად ხმა იესოსი.

—არა, არა! როგორ სწადიან, რომ დამყარდეს სიმშვიდე. — მოწყალებამ დაამშვიდოს უკმაყოფილო და ჩამოვარდეს სიყვარული! ტყუილია, არ იქნება, მაშ მე სადღა ვარ? ჩავუდებ ადამიანს გულს ქვისას, არ იცოდეს მან შეწყალება, არ მიეკაროს გრძნობა სიბრალულისა, გავამხეცებ მის ბუნებას, რომ არც იწყალებდენ კაცნი ერთმანერთს, ძლიერი თავის ძალას მეტის ნაყოფიერებით ავარჯიშებდეს უძლურთა ქედსა და ზურგზე, რათა განმტკიცდეს მეუფება ჩემი! — ამბობს ბოროტი სული.

„ნეტარ იყვნენ დევნულნი სიმართლისათვის, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა...“

— ჰყურობთ? ხომ გესმით — სიმართლე და კვალად სიმართლე? არა, მე შევამცირებ რიცხვს დევნულთა სიმართლისათვის, რათა დაკარგონ მათ სასუფეველი ცათა, ჩაირიცხნენ ჩემს ლაშქარში და

ემსახურონ უსამართლობას, რომელსაც უნდა ეკუთვნოდეს მხოლოდ სასუფეველი ცისა და ქვეყნისა. მივცემ დიდ პალატთა საცხოვრებლად, შევმოსავ ძვირფასის სამოსლით, მივუჩენ კეკლუცთა ბანოვანთა, დავატკბობ ყოვლის ქვეყნიურის სიკეთით და ვნახოთ მაშინ. იქნებიანლა ისინი დევნულნი სიმართლისათვის?! ჰნახეთ მაშინ, უკმევდენ რა გუნდრუკს უსამართლობას, სცემდენ მას თაყვანს. ეძიე, ნაზარეველო, მაშინ დევნული სიმართლისათვის და უკეთუ ჰპოვო, დაუთმე სასუფეველი ცათა! — იძახოდა იმედიანად ბოროტი სული.

„ნეტარ იყვნეთ თქვენ, რაჟამს გყვედრიდენ და გდევნიდენ და სთქვან ყოველი სიტყვა ბოროტი თქვენდა მიმართ სიცრუით ჩემთვის. გიხაროდენ და მხიარულ იყვენით, რამეთუ სასყიდელი თქვენი ფრიად არს ცათა შინა“. — ისმის კვალად ხმა ნაზარეველისა.

— სტყუვდები, იესო! ვერ შესძლებ განახორციელო ვერც ერთი მუხლი შენის მოძღვრებისა. ვამბობ ამას მე, რადგანაც ვუწყი და ვიმედოვნებ, მთელი შენი მოძღვრება დავამხო ძირს; მოვმართავ ქვეყნის გონების ჩარხს ისე, რომ ყველა ამბობდეს: „რაც სთქვა იესომ, სათქმელია ადვილად, ხოლო საქმნელად ძნელია“. ვათქმევინებ და ვაფიქრებინებ ამას ადამიანთა; ურწმუნოებით, იმ ფიქრით, რომ ყოველი შენი რჩევა მიუწდომელია ადამიანისაგან, — გავჟღენთავ მთელს ქვეყანას. იქნება მხოლოდ სახელი შენი, რჩევანი და საქმენი კი იქნებიან მკვდარნი. ასე უნდა იქმნას, ამას ვეცდები მე და მივაღწევ კიდევაც ჩემს მიზანს.

აქამდის მდუმარე ყრმა იესოს ეუბნებოდა ბოროტი სული და ეს სიტყვები ესმოდა მხოლოდ მას და ეკალივით ესობოდა გულში. მისი სიტყვები ვერ გაიგონეს ვერც მწყემსებმა და მოგვთა, რომელთაც ძღვნად შესწირეს მას ოქრო, გუნდრუკი და მური.

— განვედ, მაცდურო სატანავ, ჩემგან! წყეული ხარ შენ ღვთისაგან და წყეული იქნები მუდამ ადამიანთა მიერ! საბრალოვ, საწყალო არსებავ! მუდამ თავისთავის მტანჯველო, მუდამ მქნელო ცოდვის, სიბნელევ! ბნელეთის ქურუმო, განვედ! სიცოცხლე ჩემი არს დაუსრულებელი, ხოლო შენი — წუთიერი. რის იმედი გაქვს, რისა, საცოდავო? ნუთუ არ იცი, რომ სახლს, რომელსაც აშენებს ღმერთი, შენ ვერ დაანგრევ? იცი, კარგად იცი, მაგრამ სჯიუტობ, რეგვენო! სიკერპე გონებისა და სირეგვნე გიშლის, შეიგნო სიმართლე, მიჰხვდე, რომ პირველად ყოვლისა ხარ თავისთავის მტერი! მტრობა შენი ადამიანთადმი მოგიძღვნის მხოლოდ წყევლას და შეჩვენებას, თვით იმათგანაც კი, ვინც შენს გზაზე დადის, ვინც შენს რჩევას უგდებს ყურს, — ვისაც მოეწამლა ფიქრი და გრძნობა შენის გესლით, თვით ისინიც კი მოგაფურთხებენ, როდესაც დაუკვირდებიან თავიანთ

საქმეთა და ხმა ჩემი, შთანათესი იმათ გულში, დაუდგებათ თვალწინ...

ამ დროს ეშმაკი თვალებიდან ცეცხლს აკვესებდა ბრაზმორეული. უნდოდა მოეხპო იესოსათვისაც სიცოცხლე, როგორც სხვა ყრმათა, მაგრამ წინ წადგმული ფეხი უკანვე უვარდებოდა, გაშლილი ფრთა უდუნდებოდა, აწეული ხელი თავში ჰხვდებოდა. იქ დგომა, ცქერა ქრისტესი აღარ შეეძლო. გაჰქრა იქიდან. იწყევლებოდა, ემუდარებოდა იმ ძალას, რომელიც უბორკავდა ხელფეხს ბოროტ განზრახვის ასასრულებლად. აფრინდა ცის სივრცეში, დასტრიალებდა თავზე საბრალო წუთისოფელს და ამბობდა თავისთვის: — მე ვარ მეუფე ამა სოფლისა! — უტატანებდა ბეთლემის ვარსკვლავს, საუცხოოდ ცაზე მოკაშკაშეს, რათა ჩამქრალიყო იგი და ჩაექრო ადამიანთა გულში სასოება ქრისტეს დაბადებისა.

უხმობდა ღრუბელთა, რათა დაეფარათ იგი, უჩინარეყოთ, მაგრამ ამაოდ. ვარსკვლავი ბრწყინავდა და ტანჯული ურიასტანის ერი იყრიდა მუხლს წინაშე მისა.

შეძრწუნებული, შეწუხებული ამ სანახავით ბოროტი სული ჩაიჭრა უფსკრულში, საცა მას ელოდენ მისი თანამოაზრენი, თანამოძმენი და მეუფე ბოროტებისა — ბელზებული.

და გაისმა ჯოჯოხეთის ბჭეთა რაკუნი...

— ვერ გაჰხდი ვერაფერს? — ჰკითხავდენ მას ძენი სიბნელისა. ბოროტებისა, შხამისა.

— ვერა! — უპასუხებდა იგი: — წყეულიმცაა სიმართლე ქვეყანათა ზედა და გაუმარჯოს ბოროტებას!

— ამინ, ამინ! — გრიალებდა მთელი ჯოჯოხეთი ისეთი საზარელი ხმით, რომ ამ ხმამ შეძრა მთელი დედამიწა; იძროდენ მთანი, იზნიქებოდენ ხეები, ირყეოდენ ზღვანი...

განვედ, სატანავ, ჩვენგან!

[1908 წ.]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახალი წელი ფშავში

(ბეჟანის ნაამბობი)

ძალიან ღარიბად ვცხოვრობდი, ხელმოკლედ, საწყლად. განა არ იცით, სიღარიბე როგორიც არის? ერთი ფური მყვანდა და ერთი ხარი, სამი დედალი, ერთი მამალი, ჩემს ბედად სხვა არა მოიძებნებოდა ქვეყანათა ზედა. მართლა, ესეც ხომ სიმდიდრეა: ორი შვილი მყვანდა — ქალი და ვაჟი; ქალი ექვსი წლისა, ბიჭი ოთხისა და ცოლი.

პური, ე. ი. ქერი, რაც მომივიდოდა, სამ თვეს გვყოფნიდა. დანარჩენ ცხრა თვეს სულ ვყიდულობდი და რით? ფულს ვინ მომაშავებდა? ფული ჩემი მკლავები იყო, ცული, სატეხი, საჭრეტელი და ხოწი. ვხვეწდი თაბხებს, ხონჩებს, ხის ჯამებს, თეფშებს, ბაკნებს.

ვატარებდი სოფლიდან-სოფლად და ვცვლიდი პურზე. ფასი ხის ავეჯისა განიხრული იყო, ფულზე არც კი ვყიდდი, ჩემს ბალღებს პური ერჩივნა ფულსა: ჯამი თუ ხონჩა რამდენ პურსაც ჩაიტევდა, იმის ფასი ის იყო.

მოვაგროვებდი პურს, წამოვიკიდებდი ზურგზე და მივუტანდი ცოლშვილს. ვკვებავდი, როგორც ჩიტი თავის ბარტყებს.

საახალწლოდ შინ მოვედი. ჩემი ბალღები — შალვა და ნენე წინ მომეგებნენ და ორივემ ერთხმად მომახარეს: „მამავ, ჩვენი ჭერემა იჩნევს, დიდი ცური აქვს, დიდი, რომ რა!“ ჭერემას ძროხას ვეძახდით.

— დაილოცა ღმერთი, დაილოცა, შვილებო, — ვუპასუხე მე.

ცოლმა ხმაც არ გამცა. კეცი გადმოეღო ცეცხლიდან, მჭადს აცხობდა და დაფხრეწილ-გაყვითლებულ ტყავის ბოლოს აწყვეტავდა აქეთ-იქით. რამდენიმე ბედის კვერიც გამოეცხო. მე სიცივისაგან დაკრუნჩხულ ხელ-ფეხს ვითბობდი და ცეცხლს ვეხუხებოდი, ხოლო გუდა მოვიხადე და კერის თავში მივაყუდე.

— ეგ კარგია კიდევ, რომ სახლი მოგაგონდა, — წარმოსთქვა ჩემმა დედაკაცმა უკმაყოფილო ხმითა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაშ შინ ჯდომით რა მოგივათ, თქვე საწყლებო? ძალიან კარგი, ვიჯდები მეც შინა და ვნახოთ, რა მოგივათ მზამზარეულად?

ცოლმა ხმა აღარ გამცა, და ნენეს მიუბრუნდა: „რა პირი დაგიღია, მოიტა ასტამი, მომაწოდე!“

ნენემ, — ასტამს რკინისას ვინ მოგვაშავებდა, — ხის ნიჩაბი მიაწოდა. დედაკაცის გამოსაჯავრებლად, რათა დამემტკიცებინა, რომ ტყუილად არ ვეხეტიალებოდი, როცა მჭადთან ერთად ბედის კვერებს ცხელი ნაცარი მიაყარა, ვუთხარ — მოიტა ჯამი და ხონჩა, — და თანაც ხელი გუდას გადავაწოდე. საწყლები, ჩემი ბალღები, კატის კნუტებივით თვალ-წარბში შემომჩერებოდენ. ااااه, ბალღები, ბალღები! საწყალი კაცისა, თორემ მდიდრებისა არ ვიცი რა იქნებიან?! დედ-მამა იმათი ღმერთია.

— ჩქარა, ჩქარა ხონჩა და ჯამი, ხომ გაიგონე, ადამიანო!

— ეგ ჯამი და ხონჩა რადღა გინდა? — მკითხა დედაკაცმა და ცოტა არ იყო შუბლი გაიხსნა.

— შენ რასა ჰკითხულობ, რადაც მინდა? — ვუპასუხე მე, — გაიგებ რადაც მინდა.

ცოლმა მალე აასრულა ჩემი თხოვნა და მეც დაუყოვნებლივ მივითრიე ახლო დიდი ხბოს გუდა, სადაც მედგა მოზდილი ხის ტაგანი თაფლით სავსე. ტყეში სახვეწი ხეების ძებნის დროს ერთი ძირი ფუტკარი ვიპოვნე და თაფლი იმას გამოვაცალე.

ხოლო ტაგნის ძირში ირმის მწვადი იდვა, — ესეც ტყეშივე ნადირობით შეძენილი. ხის ჯამში დავუსხი ბალღებს თაფლი, ავუვსე პირამდე: — დაძეღით, შვილებო, დაძეღით, დამიბერდით ასე ტკბილად, ჩემზე კარგი მეკვლე ვერ მოგივათ! მაგრამ არ იჩხუბოთ კი, თორემ გამაჯავრებთ.

ჩემ დედაკაცს ევას ძლივს გუნება გაუნათლდა.

— რა არი, მაგოდენას რო უსხამ, ხვალ აღარ გვინდა? წელიწადი დილა ხვალა თენდებაო. — წარმოსთქვა მან.

— ჭამეთ, შვილებო, ხვალის საკმაოც არის. — მოიტა ჯამი, შენც დაგაბერო.

— მე არ მინდა, — უარობდა ჩემი დედაკაცი და მხოლოდ, სწორედ, შუაღამე იყო გადასული, მაშინღა დამელაპარაკა. რა სწყინდა, არ ვიცი, საცოდავს, იმის მეტი, რომ დავიგვიანე? ერთადერთი დანაშაული ჩემი ეს იყო. მაგრამ რაკი უძღვნოდ არ მოვედი და ამასთან ერთად იმ ღამეს ძროხამაც მოგვიგო კარგი, თამამი სახარე ბოჩოლა, გუნება გამოიცვალა. ჩარექით არაყიც კი მომიტანა. სამი

ყანწი ზედიზედ დავლიე, შევავედრე ღმერთს საწყალი ჩემი თავი, ჩემი ბეჩავი ცოლ-შვილი, — შევთხოვე ღმერთს, რომ დამდეგი, მომავალი წელი მაინც ბედნიერი ქმნილიყო ჩვენთვის. ბედნიერად ვგრძნობდი ჩემს თავს: თუმცა ჩამოგლეჯილ-ჩამოწეწილი ცოლ-შვილი დამიხვდა, მაგრამ მადლობა ღმერთს, ხომ ცოცხლები არიან, ვამბობდი.

მოვძებნე ჩემი ჭვარტლიანი ფანდური, გავაბ-გამოვაბი მისი დაწყვეტილი ლარები და დავუკარ. დავლიღინებდი ნელი ხმით, როცა ჩემმა დედაკაცმა, ძონძებში, ჩვრებში გახვეული ხბო შემოიყვანა და დააწვინა კერაზე ცეცხლაპირას, ჯერ ისევ ლოპრიანი, ყურებს დუნედ აცქვეტდა, მაგრამ არ ისვენებდა ერთს ადგილას, მალ-მალე წამოდგებოდა ზეზე ტანის ზლაყუნით, მუხლები ედრიკებოდა, ეხლართებოდა. „მუუუ!“ დაიყვირა. დედას კითხულობდა. ჩემი ბალღები მაშინვე ფეხზედ დადგნენ. „დედავ, ფუჩინა, კარგი ფუჩინა!“ იძახდა ჩემი შალვა. ეხვეოდენ ორივენი, ნენე და შალვა. ერთი იქითა ყბაში, მეორე აქედან ჰკოცნიდენ, უალერსებდენ, ხოლო ჩვენ ორივე ცოლი და ქმარი ვჯავრობდით, ვუშლიდით — გვეშინოდა, თითქოს ატკენდენ და ავნებდენ რასმე ხბოსა. საცოდავებს იმის ნებაც კი არ მივეცით, გული მოეჯერებინათ ხბოს ალერსით. ასეთია სიღარიბე. ნეტავ თუ ვინც მდიდარია და ბევრი საქონელი ჰყავს, იმათი ბალღებიც ასე შეჰხარიან ხბორებს? არა მგონია. ჩემი პატარებიც კი გრძნობდენ თავიანთ საწყლობას, სიყვარული ხბოსადმი ამის გამო უათასდებოდათ და გამოუთქმელ სიხარულში იხატებოდა.

დილით ადრიან მე სახინკლე ხორცი დავკეფე, ჩემმა ევამ თაფლ-ერბო მოამზადა მეკვლისათვის...

ჯერ ისევ დილა იყო, რომ სახლის კარებზე ჯახანი რაღამაც მოიღო. ეს იმას მოასწავებდა, გარედან ვიღაცა გვეძახოდა — დაძახება ახალ წელიწადს კარგი არ არის — მეკვლის მოსვლის ნიშანი იყო.

გავაღე კარები, დავინახე მეკვლე, ჩემივე მეზობელი რამაზი, თავზე ჩამოფხატულ ბანჯღვლიან ქუდით, დურა ტყავში გახვეული.

„მოიტათ კვერი, აბა სად არი?“ ამის მეტს არაფერს ამბობდა. მეც მივაგებე საოჯახო ბედის კვერი — თეფშის ტოლა ხმიადი, რომელიც სამჯერ შემოაგორა სახლში. მე თვალს ვადევნებდი კვერს, წალმა დგებოდა თუ უკუღმა, ხოლო ჩემი ნენე მიურბენინებდა კვერს მეკვლეს. შეასრულა მეკვლემ თავისი წესი, კვერი სამჯერ შემოაგორა. დაილოცა ღმერთი, რომ სამჯერვე წალმა შემოტრიალდა! ეს კარგი ნიშანი იყო.

შემოვიდა სახლში და წარმოსთქვა: „შემოვდგი ფეხი, გწყალობდესთ ღმერთი, ფეხი ჩემი, კვალი ანგელოზისაო“. ამოიღო ვაშლის ნაჭრები და ყველა სათითაოდ დაგვაბერა, თანაც ამ სიტყვებს ატანდა: „დიდი გიმატებია, დიდი გიმატოს ღმერთმა, — ახალმა წელმა, ახლის წლის გამოცვლამაო“.

— ეგრევ შენ შენიანადა, — ვუპასუხებდით ჩვენს ძვირფას მეკვლეს მე და ჩემი დედაკაცი; ჩემს ბალღებს რა ბოდიშის გადახდა შაეძლოთ. ისინი „ფუჩინას“ შესჩერებოდენ, შესჭიკჭიკებდენ, შეჰხაროდენ. მეც ჩემი მეკვლე თაფლ-ერბოთი დავაბერე.

ქვაბში უკვე ხინკალი იხარშებოდა.

მეკვლე ტახტზე დავსვი, წინ სუფრა დავუდგი, თაფლ-ერბოიანი ჯამი, მასთან ერთად ხმიადი და დამბალი ხაჭო. იქვე, სუფრის გვერდზე იდგა რაყიანი ჩარექა, პირში დაფარული ჰქონდა ყანწი, მისი განუყრელი ძმა და მეგობარი.

სიმღერაც გავაბით. ჩვენს ხმაურობაზე „ფუჩინაც“ ხამუშ-ხამუშად წამოიყვირებდა — „მუუო“. ჩემი ბალღები სულ იმას შესცქეროდენ თვალ-წარბში, სმა-ჭამა დაავიწყდათ და, როცა ხბო დაიყვირებდა, უზომოდ გახარებულები კისკისებდენ, იცინოდენ. დედაც გომურიდან უყვიროდა, შვილს კითხულობდა, იმათთვისაც ახალი წელი იყო. მერმე მეზობლებს მივულოცეთ მე და ჩემმა მეკვლემ, სოფელში ჩავედით.

ეს ახალი წელი ჩემთვის სხვაფრივ, სხვა მხრივ არის ღირსახსოვარი. როცა ჩემის ბალღების სიხარული ვნახე, იმათი კიჟინა გავიგონე ერთის ხბოს გამო, რომელიც შამოემატა ჩვენს ბეჩავს ოჯახს, მე თვალებიდან ცრემლი გადმომცვივდა, გულში მტკიცედ გადავსწყვიტე: უნდა რაც აქამდის ვიყავ, ერთი ათასად ვიქცე, რომ საწყალი ჩემი ცოლ-შვილი მართლაც ნამდვილი ცხოვრების ღირსი გავხადო, და მართლაც ასე მოვიქეცი. შრომას მოვუმატე, ნაშოვარიც დავზოგე, დუქანს აღარ მივეკარე.

და დღეს, დაილოცოს ღმერთი, ჩემთვის ყველაფერი საკმაო მაქვს, ფულიც, პურიც და საქონელიც, ჩემი ცოლ-შვილი სხვას აღარ შეჰნატრის. მადლობელი ვარ იმ ახალი წლისა, ღმერთმა შენც ნუ მოგაკლოს გონებისა და გრძნობის გამხსნელი... — ასე დაამთავრა ბეჟანმა თავის პატარა მოთხრობა.

[1909 წ.]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დიდებული საჩუქარი

(საშობაო მოთხრობა)

მექათმეს ცხენზე აკიდებულ გალიებით ქათმები მიუდიოდა ბაზარში გასასყიდად. გალიაში დედლებთან ერთად მამალიც ჰყავდა დამწყვდეული. მეუფე ქათამთა გვარეულობისა უსიამოვნოდა ჰგრძნობდა თავს გალიაში, რადგან ქათმების სიმრავლისაგან ვიწროობა იყო, მამალი კი მუდამ თავისუფლებას იყო ჩვეული: თავისუფლად მხრების გაქნევას, ბოლთას და კისრის აძაბვით თავისებურ მღერას. გალიაში კი საძრაობა არა ჰქონდა; სწუხდა ფრიად მამალი. სული ყელში მოებჯინა. არც აცივა ბევრი, არც აცხელა, იშვირა ფეხი გალიის სახელურიდან და პირდაპირ დაბურულ ტყეში ამოჰყო თავი, რადგან ამ დროს დიდს ღიჭიან-ბარდიანს ჭალაზე მიუძღვებოდა მექათმე თავის კუდალა ტაიჭს; მამალს ეგონა, რომ თავის პატრონის სოსე ტვლეპიაშვილის საბძელ-კალოს ახლო იქნებოდა, მაგრამ მოსტყუვდა. მიიხედ-მოიხედა, ადგილის სიუცხოვემ თავზარი დასცა; თავგადაგლეჯილი დარბოდა აქეთ-იქით: უნდოდა გასვლა მინდვრად, მაგრამ რამდენიც ტყის გაშორებას ცდილობდა, იმდენი უფრო და უფრო ღრმადა სტოპავდა ტყეში. ხანდახან შედგებოდა,—ღაააა, ჰაააა! — იძახოდა გზაკვალარეული. „ფუჰ, ეს რა ცუდ ალაგას მოვემწყვდიე“, — ამბობდა მამალი: „შენ უყურებ? აბა თუ ერთი ქათმის კურკური ან კაკანი საითმე ისმოდეს?! ეს რა სისულელე ჩავიდინე? ვაი დედას მტრისას! აფსუს, ჩემო თავო, უნდა მარტოდმარტომ ვიხეტიალო ამ ულრანს, უდაბურს ტყეში?..“

მამლის გარეშემო, თუ თავზე, დიდრონ ხეებზე, სხვადასხვა ფრინველები — ტრედები, გვრიტები ირეოდენ, ედგათ ჟივილ-ხივილი; ისინი მამალს ყურს არ უგდებდენ და არც ეს იტკივებდა იმათთვის თავსა. ჭალას ნისლი დააწვა შავად და ისედაც ჩამობურულ-ჩაბნელებული არემარე უფრო დააბნელა. მამალი გაჩერდა ერთ ადგილას, დიდრონ წიფლის ძირას. გარინდებულმა აღარ იცოდა საით წასულიყო. მალე ისევ გასინათლდა და მამალმა დაინახა, რომ შორი-

ახლო, ბარდის ძირას დაგოგავენ რაღაც ჭოლა, ნაცარა ფრინველები. — დედა, რა მშვენივრები არიან, რა ლამაზი, მოხდენილი ტანი და ყელ-ყური აქვთ. — ერთი წითელი ფერისაც ერია იმათში, თეთრსაყურეებიანი. — თუნდა მომკლან, ასო-ასოდ ამკაფონ, უნდა გამოვემცნაურო, — სთქვა მამალმა, წავიდა ხოხბებისაკენ და უცბად წაადგა თავსა. — თქვენს ღმერთს ვენაცვალე, თქვენსა! ვინა ხართ, დებო და ძმებო, შვენიერებო, კარგებო. გთხოვთ მიმიღოთ, როგორც თქვენი ძმა და მეგობარი. არა ვარ საშიში არაფრით, ღმერთი, რჯული.

ხოხბებს მამლის დანახვაზე თავზარი დაეცათ და მაშინვე გაფრთხნენ, გაიქცნენ; მამალიც გამოეკიდა უკან ფეხდაფეხ. შეშინებული ხოხბები მაღლა ხეზე შეფრინდენ და მამალიც ყელგადაგდებული მიადგა ხის ძირს და გაუბა საუბარი: — განა ეგრე უნდა, თქვე კაი კაცებო, რას მიფთხებით, ხომ არ შეგჭამთ? მე ერთი ეული ვინმე ვარ, უთვისტომო, გადმოვარდნილი ამ თქვენს არემარეში და ნუთუ სალამიც უნდა დამიძვიროთ? — ეუბნებოდა მამალი კისრებგადმოძაბულ, გაოცებულ ხოხბებს.

ხოხბები ყურს უგდებდენ, მაგრამ ლაპარაკით არ ელაპარაკებოდენ; მხოლოდ ბოლო დროს წითელი ფერის საყურეებიანმა ხოხობმა გასცა პასუხი.

— ვის ელაპარაკები, ძმობილო? შენმა გაზრდამ, ტყუილადა სცდები, ჩვენ ყველას კი არ ვენდობით, წადი, შენი გზა მოსძებნე. ეული ვარო, იძახი, და იმდენი ხათრიც არა გაქვს, რომ მოდიხარ და თავს გვესხმი, აი ამ მანდილოსნებს გულები დაუხეთქე; საწყლებს ეხლაც გულები უფანცქალებთ. ხიზანი მორიდებით უნდა იყოს, განა შენსავით ბრიყვი და თავაღებული.

— მაშ არ მენდობით? კარგად მაინც გამსინჯეთ, მანდ ამოვალ თქვენთან, რა მაქვს ცუდი, რომ მირიდებთ? — სთქვა რა ეს მამალმა, შეფთხრიალდა, უნდოდა ხოხბებთან ასვლა, მაგრამ გაიგეს რა მამლის წადილი, წამოიშალნენ და ზრიალით, როგორც შურდულის ქვა, გასწიეს და შორს ჩაეფარნენ, უფრო უდაბურს ადგილს.

დარჩა მამალი ხახამშრალი. — ააჰ. ვაგიწყრათ ღმერთი!.. მოგიკვდათ თავი!.. ნეტავი თვალით მაინც არ მენახა ეგ ოხრის შვილები!.. აფსუს, მამალო, აფსუს ჩემო თავო, რომ გწუნობენ, ალბად მტერი ვეგონე, მოსისხლე ვინმე. — სთქვა მამალმა და ბოლოს ამით ინუგეშა თავი: მტერს ყველაც მოერიდება, ალბად, არ მიცნობენ კარგად. — სთქვა რა ეს მამალმა, განაგრძო უგზო-უკვლოდ ხეტიალი... უცბად დაინახა მისკენ მომრბინალი კურდღელი. შიშისაგან ტანში ერუანტელმა დაუარა, იფიქრა, ეგ არის, უნდა გამოვესალმო წუთი-

სოფელსაო, თავი დაღუნა, ბალახებში ჩაიმალა... კურდღელი გაძ-
ლიერებული გარბოდა, იმას თავისთვის ეშინოდა; გადარჩა ხიფათს
მამალი.

ის იყო ღამდებოდა. მამალი მეტისმეტად სწუხდა, უნდა მარტოდ-
მარტოკას გაეთია ღამე...

— გამარჯობა შენი, ძმობილო, გამარჯობა! — მოესმა ხმა მაღ-
ლიდან და თანაც კრრ — კრი-ი-ი...

მამალმა ძალაუნებურად შეიხედა მაღლა.

— ვინა ხარ მანდ? მტერი, თუ მოკეთე? — შეუძახა მამალმა გა-
ბედულად, დაინახა რა წვერხმელს წიფელზე მიკოსებული დიდი
შავი კოდალა და თანაც გაუხარდა, რომ გამოუჩნდა ტყეში ისეთი
სულიერი, რომ სალამი მისცა.

— გაგიმარჯოს, თუ მოკეთე ხარ, და თუ მტერი და... ჰო, დიაღ,
თუ მტერი, ვაი შენს ტყავს.

— არა ვარ მტერი, ძმობილო, არა! ჩემზე ალალმართალი, მშვი-
დობიანი, ღვთისმოყვარე, ძმათმოყვარე ადამიანიშვილი ერთი არ
მოიპოვება დედამიწის ზურგზე. სტუმართმოყვარეობა ჩემი ხომ გათ-
ქმულია და გათქმული კიდით კიდემდე. — ეუბნებოდა კოდალა.

— თავის ქება კიტრადა ღირსო, გამიგონია, — წარმოსთქვა მა-
მალმა.

— მაშ ტყუილი გითხრა? არა, სიმართლე მიყვარს და მართალს
ვამბობ, თავადაც დარწმუნდები, როცა კარგად გამიცნობ. — უთხრა
კოდალამ.

მამალს გაუხარდა გუნებაში, როცა კოდალასაგან ესმა ეს სიტ-
ყვები — როცა კარგად გამიცნობო: — მაშასადამე დამეგობრება უნ-
და ჩემიო, — და უფრო თამამად დაუწყო ლაპარაკი:

— შეიძლება, ვნახოთ! კარგი და პატიოსანი, მხოლოდ ეს გამა-
გებინე, ძმობილო, რა გქვიან და რა გვარისა ხარ? გვარით გავიგებ
შენს ხასიათს და ჯიშს, — უპასუხა მამალმა. — კვიცი ჯიშზე ხტი-
სო, ხომ გაგიგონია. — წარმოსთქვა მამალმა რიხიანად.

— მე მქვიან, ჩემო კარგო, კოდალა, ხოლო გვარი ჩემი არის
ხეკაკუნაშვილი. თქვენი ვინაობაც მინდა გავიგო. ჩემ სიცოცხლეში
პირველად გხედავთ. უნდა, როგორც გატყობ, დიდგვაროვანი ვინმე
იყოთ, თავზე ჯიღა იმის ნიშანია — მეფე, ან მეფის ჩამომავალი და,
დახე, მე უბედური როგორ ბრიყვად და უზრდელად გელაპარაკები.

მამალმა მედიდურად ჩაახველა, გასივდა, გაიფხორა და თუმცა
ერთი მხრით ეწყინა კოდალასაგან ამგვარი კითხვა, მაგრამ მეორე
მხრით მოურჩა ხოხბების მიერ უმეცრებისა გამო გულზე დაჩნეული
წყლული.

— ჰმ, არაფერი უშავს! — წარმოსთქვა მამალმა: — არა ცოდნა არა ცოდვაო, ნათქვამია, მაგრამ ჩემი ვინაობის უცოდინობა კი არ მიეტევება არავის. თქმულა? გაგონილა? წელანაც შემხვდენ აქ ვილაც ბრიყვები, ჩემს მისალმებაზე გაფრთხნენ და გაიქცნენ.

— შეიძლება ვერ გიცნეს; გენაცვალე, უნდა აპატიო! — უთხრა კოდალამ.

— რომელ ერთს გაპატიოთ! სულ ბრიყვები და რეგვნები ყოფილხართ, — ამბობდა მედიდურად მამალი.

— ჰო და კიდევაც, როგორც ტყის ხალხს, ბრიყვს, გაუნათლებელს, უნდა მოგვიტეო. თუ ამიერიდან არ დავისწავლეთ, მაშინ შეგიძლიან დაგვსაჯო. — სთქვა კოდალამ მოწიწებით, თავმდაბლად: — იმ ბრიყვებს სახეზე მაინც უნდა შემოეხედნათ, მაგრამ როცა ბრიყვები ვართ, რა გაგვეწყობა?!

— ჰო და მაშ!.. მე ვარ, — წარმოსთქვა მამალმა დიდი რიხით და გაჭიანურებით: — მამააალიი, გმირთაგმირიშვილი... გაიგე? არ გაგიგონია? — კოდალამ თვალები დააჭყიტა და ხან ჰოს იძახდა და ხან არას.

— გვარი როგორაო, — ფაფხურაშვილიო? — დაეკითხა კოდალა.

— ფაფხურაშვილი კი არა, რეგვენო, — შეუძახა მამალმა, — გმირთაგმირიშვილი...

— მეცოდინება, მეცოდინება, გენაცვალე ჯიბლიბოში და ჯიღაში, — უპასუხებდა კოდალა. — მე უნდა ამიერიდან შენს ყმად და მოსამსახურედ გავხდე, თუ ღირსი ვიქნები. შენ აქაური არა ხარ; უკაცრავად, რომელი ქვეყნიდანა ბრძანდები? ან რა ქარმა გადმოგაგდო, მიკვირს, ამ ჩვენს ქვეყანაში? უსაქმოდ არ გაირჯებოდი?

— რა თქმა უნდა. საკენკიანიდან კაცი აქ უსაქმოდ არ წამოვა. მეც საქმისთვის ვარ წამოსული, უნდა გავანათლო ეს თქვენი ბრმა და ყრუ ქვეყანა, გონებაზე მოგიყვანოთ. ჭკუა არ გაკლიათ, აი მაგალითად, თუნდა შენ, მაგრამ როცა სწავლა არა გვაქვს, ხეპრე ხარ... ჭკვა უხმარი არს ბრიყვთათვის, ჭკვა ცოდნით მოიხმარებისო.

— არა სტყუი. არა, ბატონო მამალო. როგორ გეტყობა ლაპარაკში, რომ დიდი ნასწავლი უნდა იყო. იმნაირი ქართული მოგდის და! პირველად რომ დაგინახე, მაშინადვე შეგატყვე. რადა ღირს, ვინც კი იცის და ესმის, შენთან სიცოცხლე, ცხოვრება და თვით სიკვდილიც კი. — სთქვა კოდალამ.

მამალმა თავი მოიწონა, ბოლთასა სცემდა, დეზს დეზზე ისვამდა, ქება-დიდებამ თავბრუ დაჰხვია, ცაში იყო განა, თუ დედამიწაზე. აღარ ემდუროდა ბედსა: გამოჩნდა არსება, რომელმაც დააფასა იგი; უნდოდა დაეყივლა. მაგრამ თანაც ითმენდა, უცდიდა მარჯვე

დროს, იმ დროს, რომ კოდალას ეთხოვნა: ერთი შენი ხმა გამაგონეო! იცოდა კარგად, რომ მაშინ უფრო ლაზათი ექნებოდა მისსიმღერას.

— საკენკიანში არა ჰყოფილხარ, ძმობილო, როდისმე? — დაეკითხა მამალი,

— როგორ არა, გენაცვალოს ჩემი თავი, განა არ მოგეხსენება, მე ისეთი ხელობა მაქვს, რომ უნდა მივაწყდ-მოვაწყდე აქეთ-იქით ცხოვრების გულისთვის. ვყოფილვარ იქაურ ვენახებში, მინადირნია ბებერს კაკლებზე, თუთებზე და ტირიფებზე.

— მაშ ქათმები არ გინახავს, ფრინველები სახლების კარ-მიდამოში? — დაეკითხა მამალი.

— კი, კი, როგორ არ მინახავს! იმათ წრიდან მშვენიერი სიმღერაც გამიგონია. ამგვარი მღერა ღამე განთიადისასაც მსმენია და ფრიად დავმტკბარვარ, დედაჩემს უამბნია, რომ ჩვენი ნათესავები ადამიანს ჰყავს დატყვევებული და ღამე დავალებული აქვს იმღერონ და ადრე გააღვიძონ თავისი პატრონებიო, თუ არა და მაშინვე თავს მოსძმარავენო...

— ჰმ, ჰმ, — წარმოსთქვა მამალმა თავმომწონედ: — ის მე გახლავარ სწორედ, მე ვარ მამამთავარი ქათმებისა; მხოლოდ ეგ ტყუილია, ვითომ პატრონი მავალებდეს, არა, თვით ჩემი ბუნება თხოულობს სიმღერას. მე უმღერლად ვერ გავძლებ, როგორც შენ უჭმელად...

— ოჰ, შენ კი გენაცვალე, თავს შემოგევლე, წერა მოგხადე. არ შეიძლება გამაგონო შენი ხმა? როგორ გულით მინდა, რომ იცოდე! — სთხოვა კოდალამ.

მამალსაც ამის მეტი არ უნდოდა, რადგან მღერის საღერღელი ისედაც აშლილი ჰქონდა.

— რატომ, შეიძლება, — უპასუხა მამალმა: — მხოლოდ ეს მითხარ, მშიშარა ხომ არა ხარ? გული გაიმაგრე. მე რომ სიმღერას დავიძახებ, არ შეგეშინდეს. ნუ გეწყინება, ამას რომ გეუბნები, დიაღ, ნუ გეწყინება. ჩემს მღერაზე ქათმები — დედლები ვიშვიშს მორთავდენ მუდამ და მისაყვედურებდენ: „რა არის, შე კაი კაცო, პატარა დაბლა სთქვი სიმღერა, გულები რაზე დაგვიხეთქეო“. ამიტომ გაფრთხილებ, არ შეგეშინდეს... გული გაიმაგრე!..

— არც ძალიან მშიშარა ვარ, გენაცვალე, შენ რაც შეგიძლიან ასწი მაღლა!.. — მიუგო კოდალამ.

მამალმა რამდენიმე ნაბიჯი გადასდგა წინ, შეაფრაშუნა ორივე მხარი, შემოიბარტყუნა ფერდებზე, აიბურძგნა რაც რამ ბუმბული ჰქონდა ტანზე, კისერი აძაბა, აჭიმა ისე, თითქოს ჩამოურჩვიათო და

დაიყივლა. ბოლოს ყანყრატოში — ღოოოვო, დაატანა... თანაც ცალი თვალით კოდალას გადაჰხედა, მოეწონა თუ არა ჩემი გალობაო. კოდალას სიცილი მოერია, მაგრამ დამალა ოსტატურად, მეგობარს არ შეამჩნევინა და გახარებული გადმოენთო მაღლიდან დაბლა.

— ოჰ, შენ კი გენაცვალე ყანყრატოში, შენა! რა მშვენიერი ხმა გქონია და რა ლამაზად ჰგალობ! ჩემი ცოცხალი თავით აღარა ვარ შენი მომშვები. კიდე, კიდე, გენაცვალე! — ამხნევებდა კოდალა მამალს და თანაც ნისკარტს ნისკარტზე უსვამდა, კოცნის ნიშნად, ყელზე ეჭდობოდა. — ახ, ნეტა მე კი მასწავლა მაგნაირი გალობა და სხვა არაფერი მინდა. — სთქვა კოდალამ და თანაც მიიპატიჟა სამხარზე მოულოდნელად შეძენილი მეგობარი... — ზევით ხეზე მობძანდი, ბატონო, შენ დაბლა ვერ დაგტოვებ: ათასი მტერია — ტურა, მელა, ქორი, ზარნაშო... ზევით მობრძანდი, სამხარი მიირთვი, იმედი მაქვს, მასპინძლად არ დამიწუნებ, ჩემ საწყლობაზე ცოტა რამ სანოვაგეს მოვახერხებ.

მამალი დასთანხმდა, ტურა-მელების და ქორის ხსენება არ ესიამოვნა, მაგრამ იმჟამად არაფერი უთქვამს. აჰყვა კოდალას მაღლა ხეზე და გამოიჭიმა დიდრონ წვერხმელ წიფლის ტოტზე, ხოლო კოდალა დაფაცურდა, როგორც მასპინძელი, გაჰკრა-გამოჰკრა ხეს ნისკარტი და საჩქაროდ რამდენიმე თეთრი ჭია მიართვა სტუმარს.

— რაიღა ღმერთმა შენი თავი ძმად, მეგობრად თუ ბატონად მომცა, — წარმოსთქვა კოდალამ, — უნდა სულ ეგრე დაგაბრძანო, ხელი არ გაგანძრევინო, საჭმელი თუ სასმელი მე მომკითხე. შენ მხოლოდ იგალობე, მე სხვა არაფერი მინდა, და თუ შეიძლება, მეც მასწავლე შენი გალობა. ოჰ, რა ბედნიერი ვიქნები მაშინ!

— ვნახოთ, რატომ! შეიძლება ისწავლო, მაგრამ გაგიჭირდება, მეგობარო, — წარმოსთქვა მამალმა; — მღერა-გალობისთვის გული და ყანყრატოა საჭირო, ჯიშიც, რა თქმა უნდა, ხოლო ისიც უნდა ვსთქვათ, რომ მოცადობა ყოველგვარ სიძნელეს დასძლევს. არ გაგიგონია, ღმერთს რა უთქვამს? მოცადმა ნახევარი ძალი ხელიდან წამგლიჯაო, გამომტაცაო.

— მე ეგ არ გამიგონია, გეთაყვანე, — მიუგო კოდალამ: — ოჰ, როგორ ბევრი რამ იცი! მე კი საწყალს არაფერი გამეგება... უნდა მაშ ვეცადო... — და ვიდრე მამალი მისგან მიძღვნილს ჭიებს შაექცეოდა, კოდალა ვარჯიშობდა, ყელში ყიჭყიჭობდა, უნდა დაეყივლა, მაგრამ ვერ ახერხებდა... გაჯავრებულმა გასწია სულ მაღლა-მაღლა, მოევლო წიფელს წვერებში, დაჰკრა ნისკარტი ხეს და თანაც ჩვეულებრივი თავის საგალობელი შემოსძახა, რათა ეჩვენებინა მამლის-

თვის თავის მღერის უნარი: წი-ი-ი-ი, წე-ე-ე-ჰაჰაააა! — გაისმა ხმა კოდალასი.

— ბიჭოს, ბიჭოს! ყოჩაღ, მეგობარო, ყოჩაღ! შენც კარგი გალობა გცოდნია. — ეუბნებოდა მამალი.

— ეჰ, ჩემი მღერა რა მღერაა! სიმღერა შენია სათქმელი. როცა დაიძახე, მთელმა ტყემ ზანზარი დაიწყო. განა არ შემეშინდა, მაგრამ გული გავიმაგრე, — მიუგო კოდალამ.

— უსათუოდ უნდა შევისწავლო შენი ჰანგიცა, — წარმოსთქვა მამალმა: — აბა მაშინ იქნება ჩემი მღერა დიდებული.

კოდალასაც, რასაკვირველია, გაუხარდა, — ჩემი მღერა შესასწავლად ღირსადა სცნა მამალმაო, და მართლაც შეუდგნენ მეგობრები ერთიმეორის ჰანგის შესწავლას; ხოლო ეს იყო უბედურება, არაფერი გამოდიოდა ამ ცდისაგან: როცა კოდალას უნდა დაეძახა — ყიყლიყო, გამოუდიოდა ისევ — წი-წიო და მამალსაც „წი-წიოს“ მაგივრად თავისივე ჰანგი. იმედს მაინც არა ჰკარგავდენ და ფიქრობდენ ბოლოს დაეძლიათ ბუნების ჯიუტობა...

ამასობაში შემოღამდა და მეგობრებმა, გვერდისგვერდ მსხდომარეთა, იმავე დიდრონს წიფელზე გაათიეს ღამე. მამალმა იმ ღამეს სიზმარი ნახა: ვითომ სოსე ტვლეპიაშვილის კართ-მიდამოში იყო, გარს ეხვია ქათმების გუნდი, უამბობდა თავის თავგადასავალს, — სად ქორი დაამარცხა, სად ძერა, სად ყვავი და სხვ. ქათმებიც უწონებდენ ვაჟკაცობას მამალს და აქებ-ადიდებდენ... თავმოწონებულმა მამალმა დაიყივლა... თავისავე ყივილზე გამოეღვიძა. მამალმა მიიხედ-მოიხედა, შეჰხედა ცას და ჯერ ხარიპარიაც არსად სჩანდა, ამოიოხრა მწარედ და ჩაიძინა... განთიადისას გააბა მამალმა ყივილი! ისე დასძახოდა, რომ იმ არემარეს სულ ზანზარი გაჰქონდა... კოდალას კი თავი მოსწონდა თავის მეგობრის სიკეთით, ისიც — თითქოს ხმას აყოლებდა და ფიქრობდა თავისთვის: როგორ შეუძლიან, მტერი ახლო მოგვეკაროსო.

როგორც კი ინათლა, მამალმა, თითქოს ქანდარაზე მჯდარიყოს, ჩამოფრენა დააპირა, მაგრამ მეგობარმა გააფრთხილა: — ჯერ დრო არ არის, ძმაო საყვარელო, ჯერ ისევ დილაა, ათასი ჯურა ფრინველი და ნადირი ირევა, ემანდ ხიფათი არაფერი შეგემთხვას, მოითმინე პატარა ხანი. მილაგ-მოლაგდეს ყველა და მაშინ ერთად ჩავისეირნოთ დაბლა. იქნებ მოგშივდა, ვერ მეტყვი? აქ რას ვაკეთებ?..

— არა, სიმშილით არა მშიან, — მიუგო მამალმა: — მაინც ადრე ადგომა მიყვარს, გავლა-გამოვლა სუფთა ჰაერზე.

— სხვა? როგორ გაათენე ღამე, ჩემო კარგო? — ჰკითხა კოდალამ.

— კარგადა, — მიუგო მამალმა, — ხოლო სიზმარმა დამალონა, დამაფიქრა: წუხელ ვითომ სიზმარში ქათმებთან, ჩემს ოჯახში ვიყავი, თავის დაღონებას მიამბობდენ საწყლები. დარდები ამეშალა, მეგობარო, დარდები...

— იმათ ნახვასაც მოესწრები, ჩემო კარგო, ნუ დაღონდები.

— სად და როდის? ვინ იცის, ველარც კი მივაგნო, სად გადმოვიკარგე ამ უდაბურს ადგილას?! ვინ იცის — უპატრონობით დააწიოკა ქორმა, ან ძერამ! ვიდრე მე იქ ვიყავ, ვერავინ რასა ჰბედავდა. გაგიხარიან მე ბოლს ვადენდი ზურგზე ქორსა და მის მსგავს სხვა მტაცებლებს და, აბა, აქედან რა ვუშველო საწყლებს? — ამბობდა მამალი. კოდალაც იმედს აძლევდა, მე წაგიყვან, ზურგზე აგიკიდებ და ისე გატარებო.

— ან კი რად გინდა, მეგობარო, სოფლად დაბრუნება, ვგონებ, თავისუფლად ცხოვრება უნდა სჯობდეს სხვისა თვალ-წარბში ცქერას. მონობა განა საკადრისია შენისთანა ვაჟკაცისათვის? მერე ისიც ადამიანის ხელში? ღმერთმა მშვიდობა მისცეს: თუ რასმე გასიამოვნებს, ისევაც მალე ამოგაშხამებს, ხომ იცი კარგად? ეგ კი არა, ღმერთს მადლობა შესწირე, რომ თავისუფლებას ეღირსე, თუ ქათმებისათვის დასწუხდი, მაგ დარდსაც ეშველება: ამ ჭალაში ბევრია ქათამზე უკეთესი ფრინველი — ხოხბები, კაკბები, გნოლები და ტყისქათამა. იქნებ არ გენახოს ის ნაცარა, ჩემზე გრძელი ნისკარტი რომ აქვს? წაგიყვანო ტბაზე, ნახე რამდენი იხვი, ბატი, წერო და სავათია! ერთი იხილე თვალით და ვნახოთ თუ სულ არ დაგავიწყდეს სოფელი თავის ქათმებიანად... — ეუბნებოდა კოდალა ჩაგონების კილოთი.

— ეჰ, შენ არ იცი, მეგობარო, — განაგრძო მამალმა: — არ იცნობ დედლებს, რა მშვენივრები არიან — ზრდილობიანნი, თავაზიანნი, როგორ მეალერსებოდენ და სულ ხელზე მიქორქორებდენ. რამდენი ამაგი მაქვს იმათზედ, რამდენჯერ მიომნია იმათ გულისათვის, ერთხელ არწივსაც კი შევებრძოლე. — მამალი ჰკვეხდა თავის ვაჟკაცობას და კოდალაც გულდადებით ყურს უგდებდა.

ამ ტრაბახის დროს იქვე, შორი-ახლო მუხაზე ჩხიკვი იჯდა და ყურს უგდებდა მეგობართა საუბარს... უცბად მამალს შემოესმა: „კრუუ, კა-კა-კაა“. მამალმა ყურები სცქვიტა. ეს ხომ ქათმების ხმაა, იფიქრა, იქნება წამოვიდენ ჩემს საძებნელად. ის იყო, უნდა გადამხტარიყო და მიჰგებებოდა ქათმებს, რომ ამ დროს მოვიდა ქორის მსგავსად დახულუზნებული[1] ჩხიკვი, ისე ახლო გადუარა

[1] მხრებშეკუმშული.

თავზე, რომ მუცელი და ფეხები ჯიჯლიბოზე გადუსვა. მამალმა საცოდავად დაიყვირა და გაინაბა.

— ნუ გეშინიან, მეგობარო, ჩხიკვი იყო, ჩხიკვი. — უთხრა კოდალამ და თან სიცილი აუტყდა, რომ ასეთ შახის და ფახის პატრონი მისი მეგობარი ასე მხდალი და მფრთხალი გამოდგა. ჩხიკვი პირდაპირ ხის ტოტზე სიცილითა კვდებოდა.

— ჩხიკვიო? უყურე მაგ შეჩვენებულს! — წარმოსთქვა შერცხვენილმა მამალმა: — მე მეგონა წიფლის ტოტი თუ დამეცა თავზეო! სად არის, სადა? მე ვაჩვენებ მაგას სეირსა, მაგ წუწკსა, მაგასა! — ამ დროს გაისმა ჩხიკვის ჩხიჩხიო იქვე ახლოდან, მამალმა დაინახა რა ჩხიკვი, უნდოდა მისი დასჯა, მაგრამ ჩხიკვი მარდად, მალხაზად დახტოდა ხის ტოტიდან ტოტზე. მამალს ტყუილად შერჩა ფოთლებში ფრატუნი. ჩხიკვის კვალს ამაოდ ეძებდა გაბრაზებული მამალი — იგი გაჰქრა ერთს წამში.

— განა ღირს დევნად? რა შენი საკადრისია, მეგობარო?! — ეუბნებოდა კოდალა.

— მოიცადოს, მომიცადოს, კიდევ ჩამივარდება ხელში; კიდევ მიდგება ქაჩალი მექუდის კარებზეო, ხომ გაგიგონია. გაგიხარიან, ბევრჯელ ვაწრუწუნე მე ეგ ავაზაკი, როცა წიწილების მოსაპარავად შემოიჭრებოდა ჩვენს ეზოში; ბევრჯელ ვაჩუქე სიცოცხლე, თუმცა შემეძლო იმავ წამში დამეხრჩო. ვაჩუქე სიცოცხლე, არ გავიმეტე სასიკვდილოდ, რადგან მე სულგრძელი ვარ და, ვერ უყურებ, დღეს მასხარადაც კი მიგდებს? ობოლო, ვისა სცემ და ვინც გამზარდაო. ამას იქით თუ ჩამივარდა ხელში, მოთმენა აღარ შემიძლიან, მოვკლავ ცემით, გეტყვი პირდაპირ, გავატიტვლებ, გავაძრობ იმ ჭრელ ახალუხს, მოვის პერანგს, მოვხდი თავიდან წითელ ფესს, დედიშობილა, თითივით ტიტველი უნდა გავუშვა. მოიცა შენა! მოკვლით არ მოვკლავ, რადგან მე სიკვდილით დასჯის წინააღმდეგი ვარ. ცემას კი არაფერი უშავს. — წარმოსთქვა მამალმა.

— ან კი ღირს ცემად, დიდებულო მამალო? — უთხრა კოდალამ, — განა მაგისთანა ლაწირაკებს თავი უნდა გაუყადრო?

— ჰოო, ეგეც მართალია, მეგობარო, — სთქვა კვალად მამალმა, — მაგრამ დაუსჯელად ამისთანა ყოფაქცევა არ უნდა დარჩეს, კეთილგონიერების თანახმად თუ მოვიქცევით.

— თუ მაინცა და მაინც გინდა დასჯა ჩხიკვისა, მე აქ რას ვაკეთებ? მე დავსჯი, მე, შენ არ გაგრჯი.

იმღამინდელმა მამლის ყივილმა დიდი ცნობისმოყვარეობა აღძრა იმ არემარეში მცხოვრებ ფრინველთა და ცხოველებში. სხვათა

შორის მელასაც ესმა მამლის ყივილი, გუნებაში იამა და გასწია იქითკენ, საითაც მამლის ყივილი ესმოდა.

გარიჟრაჟზე მელია მამლისა და კოდალას საჯდომ ხის ძირას დაიბადა; პირში ღალღა ეჭირა, მამალმა მალე შეასწრო თვალი და ხმა გაკმინდა. თვალები დახუჭა, თავი დაჰქინდრა — ნუღარა ვნახავ მაგ წუწკს და წუპაკსაო. ბევრი ოინი ახსოვდა მელიასი, როცა შემოდგომობით დედლებთან ერთად მამალი ლეღვებზე განისვენებდა; ბევრჯელ სტუმრებია მელია, ბევრი დედალი დაუთრევია. ერთხელ შემხტარმა ჯიჯლიბოში კუდის წვერიც კი მოახვედრა; ბეწვი გასწყდა, კინაღამ დაბლა ჩამოაგდო, აქ სახეიროდ არ მოდისო, გაიფიქრა მამალმა. მელიამაც თვალი მოარიდა, ვითომდა ვერა ვხედავო.

— „გამარჯობა, კოდლი-კიკო!“ — მიესალმა მელია კოდალას.

— გაგიმარჯოს, მელა-ქურდო!

მამალს კოდალას პასუხზე ტანში ჟრუანტელმა დაუარა: როგორ უბედავს და ქურდს ეძახის, ერთიც ვნახოთ, ამოხტეს და ორივეს დღე გაგვიმწაროსო, თანაც გაუკვირდა კოდალას მამაცობა. ის კი არ იცოდა, რომ კოდალა და მელია შეხუმრებულები იყვნენ, დიდი ხანია ერთმანეთს იცნობდენ. კოდალას ხორცს მელია მაინც და მაინც არ ეწყობოდა, რადგან სანოვაგედ სხვა ფრინველებს უკეთესი ხორცი ჰქონდათ და, თუნდაც მოენდომა კოდალას ჩანადირება, ვერაფერს გახდებოდა: ხეზე ის არ ავიდოდა და კოდალა დაბლა არ ჩამოვიდოდა. რა გაეწყობოდა? ისევე მეგობრობა არჩია. კოდალამაც ეს კარგად იცოდა და მელას მასხარად იგდებდა... მამალი თვალს მაინც ვერ ახელდა, თავი მოიმძინარა.

— ეგ საიდან რა გიშოვნია, მელიკო? — დაეკითხა კოდალა, როცა მელიამ პირიდან მკვდარი ღალღა დააგდო და ზედ თათი დაადო.

— ეჰ, ეს საცოდავი, მკვდარი ვიპოვნე. გული მომიკვდა, რომ იცოდე, რამოდენა ვიტირე ამის ცოდვით. ჯერაც თვალზე ცრემლი არ გამშრობია... — ამ დროს მამალმა ცალი თვალი ოდნავ აახილა და გადაჰხედა მელიას: იქნება ეს ის მელა არ იყოს, ჩემს დიასახლისებს რომ იტაცებდაო, ღვთისნიერია, ეტყობაო, მაგრამ მალე ისევ დახუჭა, რადგან მელიას თვალების ცეცხლმა აუტრუსა წარბ-წამწამი და თვალიც დასწვა. „ჰოდა იმას გიამბობდი, — განაგრძობდა მელია: — ძალიან ბევრი ვიტირე. მკვდარს ღალღას რომ წავადექი“.

— იტირე, შენ ნუ მომიკვდები, თვალებს დაითხრიდი, — მიუგო კოდალამ. — განა არ ვიცი შენი გულჩვილობის ამბავი, ვიცი, ბევრს იტირებდი: ეგ საკენკი, ძმობილო, წაბრძანდი ოლეზე, იხვებს და ღალღებს დაუყარე. ვის ელაპარაკები, ვის? — მიუგო კოდალამ და თანაც გულიანად გადაიხარხარა.

— ღმერთო, რა ცუდია, კაცს რომ ეხტიბარი გაუტყდება, — მიუგო მელიამ, — მაშ, არა გჯერა? მაშ ქვის გული მქონია? შენი ნებაა, ნუ დაიჯერებ და, აი, ეხლაც კი მენანება ეს საცოდავი და იცი რადა?

— რადა? აბა სთქვი, რად გენანება? — დაეკითხა კოდალა.

— იმიტომ მენანება, — განაგრძო მელიამ: — რომ ჯერ ერთი, ბარტყია, ჯეელია, სულ სამი თვისა არ იქნება. და მეორეც იმიტომ, რომ დამტირები თვისტომი არავინა ჰყავს საცოდავს. ეგდო ოხრად ჩალაში და თავზედ ბუზები დასტრიალებდენ. მოდი და ნუ შეგეცოდება.

— ოჰოჰოჰო, პა-პა-პა!.. უთუოდ ახლა კი დასაჯერისია, აი! — სთქვა კოდალამ: — როგორც გეტყობა, დამარხვას უპირობ და წირვასაც გადაუხდი, არა?!

— სწორედ! რატომ არა? მოვალედა ვრაცხ ჩემ თავს. — სთქვა მელიამ.

— მაშ წირვაში ჩვენ კი არ დაგვპატიჟებ? — დაეკითხა კვლავ კოდალა.

— დიდი სიამოვნებით, — მიუგო მელიამ: — მხოლოდ ვის თქვენ? მე მხოლოდ შენა გხედავ, კოდლი-კიკოს. — სთქვა რა ეს, მელამ სხვა მხარეს დაიწყო ცქერა, თავს ისე იჭერდა, ვითომ მამლის იქ ყოფნა სრულიადაც არ იცოდა.

— ვინ ჩვენა? — სთქვა გაკვირვებით კოდალამ: — მაშ არ იცი, რომ მე ერთი დიდებული სტუმარი მყავს?..

მამალი შიშით იწურებოდა. გრძნობდა, რომ იმაზე იყო ლაპარაკი.

— არ ვიცი, ვინ სტუმარი? — წარმოსთქვა გაკვირვებით მელიამ.

— მაშ, დავიჯერო, სუნი არ აგიღია არაფრისა? ჰაი, დიდი ფლიდი ხარ, ვინც არ გიცნობს, დიდი ჭორიკა! ორ თვეზე მეტია, შენ მე აღარ გამომლაპარაკებიხარ, რაღა დღეს დილით შეგიყვარდი! არა მჯერა. სტყუი და რა ვქნა! გიცნობ, ბიძია, ვერ მომატყუებ, ვერა და ვერა. — მიუგო კოდალამ.

— არა, ღმერთი, რჯული. — ფიცულობდა მელია: — გზაზედ გამოვიარე და შეგხვდი. რაო? საკვირველია მერე?

— ძალიან კარგი. მაშ წუხელ განთიადისას არც საუცხოვო გალობა გსმენია? — განაგრძო კოდალამ.

— არაფრისაგან არაფერი. — სთქვა მელიამ: — რაღასა მტანჯავ, მაწვალებ, თუ გყავს ვინმე სტუმარი, სთქვი და გაათავე; გეპატიჟებით, მითქვამს და გამითავებია. მე მუდამ ასრულება ვიცი და-

ნაპირებისა. მაინც რასა ჰმალავ, ვინც უნდა იყოს შენი სტუმარი, ისე მივიღებ, როგორც მამასა და შვილსა. — სთქვა მელიამ.

— გეტყვი, ვინც არის და, ვიცი, გაგიხარდება კიდეც, — სთქვა კოდალამ: — ჩემი სტუმარი გახლავს მამალი... ხომ გაგიგონია? რას არ გაგიგონია, მეც როგორ ბრიყულად გეკითხები? ეი, დიდებულო მამალო, საბა ხარ! რატომ ხმას არ იღებ? — შეუძახა კოდალამ. მამალი ხმას არ იღებდა. — საწყალი, ნამგზავრია, წუხელაც ბევრი იმღერა-იგალობა, დაიღალა ძალიან და მაგარი ძილი დაეცა ალბად, — ბოდიში მოჰხადა კოდალამ.

— მამალი?! უჰ, მაგის ღმერთის ჭირიმე, — წამოიძახა მელიამ. — ვენაცვალე მაგას ჯიბლიბოში, ყანყრატოში. ვიცნობ და ეგრე? ძალიან ვაჟკაცია... მაგის იღბლად მივლია, რომ იცოდე!

— როგორ? — დაეკითხა კოდალა.

— წერილი მაქვს მამალთან. დედლებმა გამომატანეს. აბა, რომ მიწყრებოდი, შენ საკეთილოდ არ მოხვედიო, ნახე, რომ შენი სტუმრის იღბლად მოვსულვარ.

დედლების ხსენებაზე მამალმა ორივე თვალი დააჭყიტა: ღა-ა-ა!

— საიდან, როგორ მოხდა, რომ წერილი შენ ჩაგივარდა ხელში? — ჰკითხა კოდალამ.

— გუშინწინ სოფელში ვიყავი, საქმე მქონდა. სოსეს ვენახზე შემოვიარე და, შენს მტერს, რომ მე სანახავი ვნახე: დიდი გლოვა და ტირილი ქათმებისა: დავკარგეთ ჩვენი ბატონ-პატრონი მამალიო. აღარა გვყავს ჭირში მანუგეშებელი და ლხინში მოზიარეო. დავიწყვი იმათი ცოდვით.

— ოი, შენმა მზემ, ტირილით თვალებს დაითხრიდი! — მიუგო კოდალამ და ერთი გულიანად გადიხარხარა, რაიცა მამალს არ ესიამოვნა, რადგან დედლების ხსენებაზედ თვალთაგან ღაპაღუპით ცრემლი ჩამოსდიოდა. — არ გესმის, მეგობარო, რას ამბობს მელია? — დაეკითხა თანაც კოდალა მამალს.

— მესმის, მესმის. — მიუგო მამალმა ტირილის ხმაზე და თანაც კოდალას აღარ აცალა და თავად შეეკითხა: — მერე, როგორ არიან. თუ ღმერთი გწამს, დაწვრილებით მიამბე. — სთხოვდა მამალი, თუმც მელიასთვის არ შაეძლო სახეზედ შაეხედნა.

— ოჰ, — წამოიძახა გახარებულმა მელიამ: — მანდა ბრძანებულხარ? დამენახვე, შე კაი კაცო, რაღა ფოთლებში იმალები?!. უშენობის მეტი არაფერი აკლიათ. წერილი გამომატანეს, ვინძლო, საითაც იყოს და არ იყოს, წერილი მიაწოდოვო. ააახ, არ ვიცოდი შეგვხდებოდი, თორემ თან წამოვიღებდი. სულ ერთია, მაინც ხომ უნდა

წირვაში მეწვიოთ შენ და კოდალა, წერილს იქ მოგართმევ... ნუ იდარდებ, კარგად იყვნენ ყველანი...

— რა ვქნა, გეტყვი და გეწყინება. — სთქვა კოდალამ.

— არაფერიც არ მეწყინება. — მიუგო მელიამ.

— სტყუი, — განაგრძო კოდალამ, — შენ ქათმები წერილს არ გამოგატანდენ, არ მოგენდობოდენ. რას იტყვი, ძვირფასო მეგობარო, ასე არ არის? მართალს არ ვამბობ? — მიუბრუნდა კოდალა მამალს.

— მეც ეგრე მგონია, — წაილუღლუღა მამალმა: — და შეიძლება, რა ვიცი.

— როგორ თუ, რა იცი?! შენ არ მიამბე, შემოდგომობით ლელვებზე ვსხდებოდით ქათმები და მელიამ რამდენიმე დედალი მოიტაცაო? ეს ის მელია გახლავს, წერილის მომტანი. — უთხრა მამალს კოდალამ ცოტა არ იყოს მრისხანე კილოთი.

— შეიძლება ის სხვა მელია იყო. ეს როგორღაც სხვანაირად ლაპარაკობს, მობრალული, გულჩვილია, ეტყობა. — ლუღლუღებდა მამალი.

— აი კაცური კაცი და კაცური სიტყვა. — წარმოსთქვა გახარებულმა მელიამ.

— რაღა სხვა? რის სხვა? გასწყდეს ამათი თოხუმი, მელია სულ ერთია: შავი, რუხი, თუნდ წითელი. მიკვირს, როგორ გულუბრყვილო ყოფილხარ, მეგობარო!.. ნათქვამს რაღა კვალის კვლევა უნდა, თითონვე იძახის, სოსეს ვენახზე შემოვიარეო! რა ესაქმებოდა ერთი, კაცმა ჰკითხოს, რომ შემოიარა? მითხარით ერთი, გამაგებინეთ, რა. ჯერის სასყიდლად იყო სოფელში? ღვინისა? საქონლისა თუ რისა? აბა, რა საქმე ექნებოდა სოფელში კანტალაობის მეტი? — ამბობდა გაჯავრებული კოდალა.

— თქვენი თოხუმი გასწყდეს და გასაწყვეტნიცა ხართ, — ამბობდა განრისხებული მელია, — ღმერთმა გაწყვიტოს თქვენი ჯილაგი. ღმერთო, რა გასაჩენი იყო კოდალა? სულ იმათაგან არის გადამხმარი ხეები; საბრალო ჩიტებმა ლამის არის ფოთოლს ველარსად შეაფარონ თავი, ისე გააჩანაგეს ტყეები ფეხებისა და ნისკარტის ფხაკუნით. — მელიას ბევრი სხვა საყვედური უნდა ეთქვა კოდალასთვის, მაგრამ ამ დროს გაისმა შორიახლო თოფების ჭახაჭუხი, ძაღლების ყეფა, საყვირის ხმა. ეს ცუდი ნიშანი იყო, მელიამ დასტაცა პირი ღალღას და წინწელივით გაქრა.

თუ კოდალა არა, მამალს უნდოდა გამოჰკიდებოდა უკან, ქათმების წერილის ნახვა ძალიან უნდოდა.

— ღმერთი არ გაგიწყრეს, ადგილიდან არ დაიძრა. მიკვირს, ღმერთმანი, ტყეში მეტი ჭკვა ყოფილა, ვიდრე სოფელში. შეხს ჭკვა-

ში ვითომ უნდა გაჰყვე მელიას და წერილი ჩაიბარო, არა? ვაჰმე! ვაჰმე! — სთქვა კოდალამ.

— ვფიქრობდი, ძალიან მინდა ჩემი ოჯახობის ამბავი შევიტყო. ძალიან დარდიანადა ვარ, მეგობარო, შენ არ იცი: სიზმარში სულ ისინი მელანდებიან.

— მერე, ეგ რას გიშველის? ფლიდია, ცრუა, მეგობარო! წერილი-კი არა, შავი ქვა გამოატანეს, თავში დაირტყას... უნდა ჩაგიტყუოს და მაშინ ნახავ წერილს, არ გაბრიყვდე! როგორ შეიძლება, ვინც მეგობრულად დაგელაპარაკოს, ყველას მიენდო.

— მე მინდა... ვითომ წავყვები-მეთქი, მაგას კარგად სცოდნია სოსეს კარმიდამო. ერთი იქამდე მიმეღწია და მერე, რაც უნდა მომსვლოდა, — სთქვა მამალმა.

— ვუი, ვუი, სსსუუუ! ეგ აღარა სთქვა, მოდი, ბარემ ყელი გამომჭერი. თუ ძალიან მოგეწყინა, მე თითონ წაგიყვან. განა მართლა მე კი არ დავსეირობ ვენახებში. ძველს ბებერ კაკლებს ვესტუმრები ხანდახან სანადირობ, — ანუგეშებდა კოდალა. — მე წაგიყვან, ნუ იდარდებ, ვაჟკაცი მაგარი უნდა. ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა, ვით ქვითკირსო, ხომ გაგიგონია?

— ოჰ, თუ მაგას იზამ, ჩემი ღმერთი შენ იქნები.

— ძალიან ადვილად, ძალიან კარგად.

მონადირეების ხმაურობა, ძაღლების ყეფა თანდათან უახლოვდებოდათ.

— ახლა, მეგობარო, მაღლა ავფრინდეთ, ხის კენწეროში და იქ შევაფაროთ ფოთლებს თავი. ხიფათს მოვერიდოთ, ხმა, კრინტი არ დასძრა. ეგენი ჩვენ ვერ დაგვინახავენ, გაივლიან, გაგვცდებიან და მერე არხეინად გავატაროთ დროება. საითაც გვინდა, იქით წავიდეთ.

მამალიც დასთანხმდა, აფოფხდა ისიც მაღლა და უჩინარ ადგილას, ფოთლებში შეაფარა თავი.

მამალი და კოდალა ყველაფერს კარგად ჰხედავდენ დაბლა, ხოლო იმათ ვინ დაინახავდა? გამოჩნდენ ძაღლები ქასქასით. იმათ თან მოჰყვნენ მონადირენი, ნანადირევით დატვირთულნი. ჩამოეკიდათ წელსა და გულზე იხვები, სავათები, გნოლები, წეროები, კურდღლები და სხვა და სხვ. სწორედ იმ ხის ძირას გაიარეს, რომელზედაც კოდალა და მისი მეგობარი განისვენებდენ.

მამალს, დახოცილი ფრინველები რომ დაინახა, ცახცახი დააწყებინა, კოდალაც დიდს უსიამოვნობას ჰგრძნობდა. მონადირეთა მიერ მოვლენილმა განსაცდელმა მშვიდობიანად გაიარა, მეგობრებს არაფერი ევნოთ. ვერავინ შენიშნა იმათი იქ ყოფნა. მამლისა, თორემ

კოდალა ვის რად უნდოდა, ტყავს არავინ დაეშურებოდა და ლეშსა; მაგრამ კოდალას ასე როდი ეგონა. ფხიზლად ავლებდა თვალს აქეთ-იქით და ფიქრობდა, ყველა ჩემი მტერია და ძოსაკლავად ძელაძუნება, ნამეტხავად ადამიახიო.

— ჰნახე? — მიუბრუნდა მამალს, როცა მონადირეები კარგა შორს წავიდენ და ორივემ თავისუფლად ამოისუხთქა. — ჰნახე? ემანდე. ადამიანს ეგ ღმერთი და სამართალი აქვს: ტყეში არ ინდობს ფრინველსა და ნადირს და შინაურს ფრინველსა და ცხოველს რაღა ხეირს დააყრის? შენ კი დაგინიჟია და ქათეეისა და ლოსეს ოჯახს გაიძახი! თავისუფლებისთანა რა იქნება? რასაც გინდა სჭამ, ჰსვამ; როცა გინდა ადგები, დაჯდები, არავინ შეგაწუხებს. რომელ ხეზედაც გინდა შეჯდები, საცა გინდა გაივლ-გამოივლი, მოსჩიჩქნი ფეხით თუ ნისკარტით და საზრდოს იშოვი. აბა, გადაავლე თვალი, რამსიდიდე ტყეა. როგორი უზარმაზარი ხეებია... არც გამტყუნებ, რადგან ჯერ ხამადა ხარ და, თუ აქაურობას შაეჩვიე და აქაურ მცენარეებს გემო გაიგე, იქნება ძალით გაგდებდე და აღარც მიდიოდე. ხომ არ მოგწყინდა მაღლა ყოფნა? ჩავიდეთ დაბლა, ახლა საშიში არაფერია; ეეგვიელიახ თავისუფლად ვისეიროთ.

ორივენი ჩამოეშვნენ დაბლა; კოდალა ხის ძირს მიეკრა, მამალმა თავისუფლად ბოლთას დაუწყო ცემა ბალახით და ხმელ მოლეწილ ხეებით მოფენილს დედამიწაზე.

— თუ რაიმე საშიში დაინახო, ხეზე შეხტი, მეგობარო. — მისძახოდა კოდალა — და მეც აქა ვარ, ნუ გეშინიან, მოგეშველები. ქორი კი ვერაფერს დაგაკლებს. იცოდე, და ტურა-მგლისა კი რა მოგახსენო. ამიტომ უნდა ეცადო და ხეზე შეუფრინდე, იქ ველარაფერს დაგაკლებენ.

— ნუ გეშინიანო? — წარმოსთქვა მამალმა ამაყად: — მე ვიცი, გული მისკდება. ნეტავი ისე სხვა ჯავრი და დარდი არ მაღონებდეს, — შიში რას მიქვიან?

— ფიქრი არ არის. მაგ დარდებსაც გაგიქარვებ.

ტბაზე და ოლეებზე გასვლა მეორე დღისათვის გადასდეს, რადგან კოდალამ ასე ამჯობინა: დღეს ვერავის ვნახავთ, მონადირეებისაგან დაწიოკებულები არიანო.

მეორე დღეს ორივენი ოლეებისკენ მიფრინავდენ: წინ კოდალა მიუძღოდა და თანაც, თითქოს მახარობელიაო, მიჰკიოდა, მიწიოდა თავისებურად. მამალი ეხვეწებოდა, — თუ ღმერთი გწამს, ნელა იფრიხე. მე შენთან სად ეემიძლიან ფრენაო. კოდალა უცდიდა; ალაგ-ალაგ ხეებზე ისვენებდენ. როგორც იყო მიაღწიეს ტბას, აუარებელი ფრინველი ირევოდა, იხვებისა, ბატებისა და წეროების

ჟრიამულისაგან ყურთა სმენა აღარ იყო. მამალი, ცოტა არ იყოს, გამხიარულდა, თავისებურად ამაყად გამოიჭიმა თვალსაჩინო ადგილს, ერთს ბორცვზე და იქიდან ადევნებდა თვალყურს ფრინველთა მიდმორობას; ეგონა მთელი დუნია იმის ნახვით გაოცებული დარჩებოდა, მაგრამ ყურსაც არავინ უგდებდა, მხოლოდ ერთი იხვუნა მიმჯდარიყო ტბის პირას ჩალიანში და იქიდან ელაპარაკებოდა, დასცინოდა.

— ოჰ, რა ბიჭი ხარ, რა ბიჭი! საიდან მოსულხარ, ტურფავ, მშვენიერო?! ცოლის სათხოვნელად ხომ არ დადიხარ? გოგოებს ხომ არ ათვალიერებ? რომელი უფრო მოგწონს? შენ ოღონდ აარჩიე, ყველაც გამოგყვება, შენ ნუ მოუკვდები ჩემ თავს... არ გიყვარს ბანაობა? მოდი, ვიბანაოთ, წყალში უფრო გალამაზდები.

მამალმა მართლაც თავი მოიწონა, ნახა რა, რომ იმისი მისვლა შეუმჩნევლად არ დარჩა და მხრები შეაფრაშფრაშა, აიღო მაღლა თავი და დაიყივლა.

— ბიჭოს, ბიჭოს! ნახე, რომ ვამბობდი, — ამბობდა იხვუნა სიცილით.

ამ დროს გამოიარა მამლის გვერდზე კანჭწითელმა ბაყაყიჭამიამ და ისეთი მაგრა ჩაუკაკუნა თავისი გრძელი ნისკარტი, რომ მამალს თავბრუ დაესხა.

— რა გაღრიალებს, შე ოხერო, შენა, ვიღაცა მოთრეულხარ! — უთხრა გაჯავრებულმა ბაყაყიჭამიამ. — აქ ვის კარმიდამოში ღრიალებ? საიდგან მოთრეულხარ? — უნდოდა მეორეჯერაც ჩაერტყა. მაგრამ მამალმაც მოიმარჯვა კლანჭები, თან თვალი კოდალასკენ ჰქონდა; შეახტა ბაყაყიჭამიას და ერთი ბუმბული გამოაგლიჯა კისრიდან. „არიქათ, ყაჩაღი, ყაჩაღი“! დასცა განგაში ბაყაყიჭამიამ. იქვე ბატები ისხდენ და მაშინვე სისინით გამოექანენ კისერწამოგბელებულები მამლის დასასჯელად.

— ეი, ეი, ძმობილებო! — გაისმა უცბად ხმა და თანაც — წი-ი-ი, კრი-ი-ი — ვისა სცემთ, ვისა?! — ყვიროდა გაბრაზებული კოდალა. მამალი კოდალასკენ გამორბოდა და ნისკარტგაღებული ბატებიც მოსდევდენ უკან. ძალიან ცუდ დღეს დააყრიდენ, ძმობილი რომ არ მოჰშველებოდა.

კოდალამ ქორივით დაუქროლა ბატებს, უკან დააჰევინა.

— შესდეგით, მე და ჩემმა ღმერთმა, — იძახოდა კოდალა, — თორემ სულ მუსრს გაგავლებთ! იცით, ვინ არის ესა? ვისა სცემთ, თქვე ბრიყვებო?!

მამალიც გამხნევდა, მიუტრიალდა ბატებს და შეუძახა:

— აბა, მოდით, მოდით, რაღა, დედას აგიტირებთ მე თქვენა! რა-

ლა მამალი ვიქნები, სულ ბდღვერი და ბოლი არ აგადინოთ ზურგ-ზე! — ბობოქრობდა მამალი.

— წამო, მეგობარო, წამო, წავიდეთ, მოვშორდეთ ოხერ-მოხერ ხალხს! მაგათ იციან განა ადამიანის დაფასება?!

— როგორ თუ მოვშორდე? მოვშორდე კი არა, არ ვიცი, რა ვუყო, მაგ უზრდელ ბრიყვებს, — ბრაზობდა მამალი, რომელსაც კოდალა ებღაუჭებოდა ჩოხის კალთაზე და ტყისკენ ციათოევდა.

— ეგეც ეყოფათ! — წარმოსთქვა კოდალამ. — წავიდენ, საცა თავისი დაიკვეხონ, იქავე ჩვენიცა სთქვან. ამას იქით ველარ გაჰბედავენ მაგისთანა ოინებს...

— გაგიხარიან, მე იმას ყელი ჩამოვაღადრე. — შეჰკვეხოდა მამალი, როცა სამშვიდობოში გავიდენ.

— ძალიან ვაჟკაცობა მოიხმარე, ძალიან, რომ მეტი აღარ შაიძლება! ხუმრობაა იმოდენა ბრბოს გაუმკლავდეს მარტოკა ადამიანი? — შეაქო კოდალამ.

— მაშ, როგორ გეგონა? დაგეცადა, გაყურებინებდი იმათ სეირს!.. — მოიწონა თავი მამალმა, აიბურძგნა, აიფხორა და მტრების გასაგულისებლად, გამოსაჯავრებლად სამჯერ ზედიზედ დაიყივლა: ხომ ნახეთ, რა ბიჭიცა ვყოფილვარო!..

ამიერიდან, როცა კოდალა ამა და იმ მტრის ამბავს ჩამოაგდებდა — ქორისას, მელა-ტურისას, თუ სხვისას, — მე ვაჩვენებ იმას სეირსო. — წამოიტყოდა მამალი, რადგან კოდალას, როგორც თავად იყო დარწმუნებული, სჯეროდა მისი გმირობა და შეუდრეკელობა.

— არ შეიძლება, — წარმოსთქვა კოდალამ: — ჩვენ ამიერიდან ბევრი მტერი გაგვიჩნდება და, რომ უფრო არხეინად ვიყვნეთ, უნდა ჩემს ძველისძველ ბინას მივმართოთ. მე მაქვს დასაკუთრებული ერთი დიდი, უზარმაზარი წიფელი და ღამღამობით იქ უნდა შევაფაროთ თავი. ისეთი ჭუჭრუტანები აქვს, ფუღუროები, რომ იქ ვერავინ რას დაგვაკლებს. საშენო ბინაა ერთი იმ წიფელში მშვენიერი. ჰა, რას იტყვი, მეგობარო, კარგი არ იქნება? — კოდალას მართლაც ეს წიფელი ციხე-კოშკად ჰქონდა, სწორედ ქაჯეთის სიმაგრედ მიაჩნდა.

— შენთან ერთად მე ყველგან მზად ვარ, — მიუგო მამალმა.

ასე ჭასლაათით მიდიოდენ მეგობრები ტყე-ტყე და თანაც არ ივიწყებდენ იმდღეინდელ ომს ბაყაყიჭამიასა და ბატებთან, სწყევლიდენ და ჰკრულავდენ. ემუქრებოდა მამალი: ერთხელაც იქნება ჩამივარდებიან ხელში და მაშინ ნახე იმათი სეირი.

გზაზედ, საღამო ხანი იყო, მეგობრებს კაკბების გუნდი შეეფეთა. წინ მოუძღოდა ერთი დედა-კაკაბი, როგორც ბელადი, და დიდი

ამბით და განგაშით ამხნევებდა თავის რაზმს და მიერეკებოდა ზევით სერებ-გორაკებისაკენ. ბელადის კაკანს სხვებიც ხმას აძლევდნენ, გაისმოდა გუგუნი: კაჰ-კა-კა-კა-კაჰ!..

მამალს კაკბების დანახვაზე თავბრუ დაესხა, მეტისმეტს აღტაცებაში მოვიდა, აღარ იცოდა, რა ექნა, მოეწონა ფრიად კაკბები და გაექანა იმათკენ, გადაუდგა წინ, უკრავდა თავსა, ეწონებოდა... დიდის სალმით მიეგება, დიდს კოლტობაში იყო: იმათ ცქერაში ქათმები სრულიად დაავიწყდა. „საღაძო მშვიდობისა, მახდილოსნებო! სად ბრძანებულხართ? საიდან მობრძანდებით, სად მიბრძანდებით? რას გვიბრძანებთ, გემსახუროთ, მხლებელი არა გნებავთ? განა მაგისთანა ტურფა მშვენივრები უპატრონოდ უნდა დაიარებოდეთ? მე აქ რას ვაკეთებ, უნდა შემოგევლოთ თავსა, უნდა თქვენთვის მოვკვდე“, — ეუბნებოდა თვალცრემლიანი მამალი.

კაკბებმა გზა აუქციეს, სხვა მხარეზე გაემართნენ, ისე გასრიალდენ, როგორც ყინულზე სალა... კაჰ-კა-კა-კა-კა-კაჰ! მამალი აღარ ეშვებოდა, მისდევდა უკან, დაივიწყა გულითადი მეგობარი კოდალა. მხოლოდ მაშინ შეყოყმანდა, როცა ერთი კაკაბთაგანი, უფრო მოზრდილი, რომელიც გუნდს ჩობანივით გვერდზე მისდევდა, მოუბრუნდა და უთხრა: — საით, ძმობილო, საით? შენი ბოსტანი მოსძებნე, აქ შენ ბინა არა გაქვს. შენებს უპატრონე... შესდეგ, გირჩევნია!

მოსწყდა მამალს წელი. „ოჰ, გაგიწყრა ღმერთი. შე სულკრულიშვილო, საით რას წამოეჩხირა ეს ოხერი! ფუუუ“: აღარ იცოდა, სიბრაზისაგან რა ექნა. განეგრძო დევნა, არ შეიძლებოდა, რადგან კაკაბი ჩხუბის გუნებაზე იყო, და თანაგრძნობაც კაკბებისა, ეტყობოდა, იმას ჰქონდა დამსახურებული.

— აქეთ წამო, აქეთ, მეგობარო, მოშორდი ვიღაც ოხრები არიან, რას ეხვეწები და ემუდარები?! — უძახოდა კოდალა. მამალი დიდხანს გაქვავებული იდგა ერთ ალაგას, გასცქერდა და თვალს აღარ აშორებდა კაკბების გუნდს, ვიდრე სულ არ მოეფარა თვალთაგან. იქნება არც კი დაძრულიყო ალაგიდან, კოდალას რომ არ ეთქვა: — რას უცქერი, არ გიცნობენ, მეგობარო, და იმიტომ გიფრთხიან. დრო მოვა, გაგიცნობენ, და იქნება თავიდან ველარც კი იშორებდე.

— ოჰ რა კარგები იყვნენ! — წარმოსთქვა მამალმა გულამოსკვნით. რადგანაც მამალი გრძნობდა, რომ მასთან მეგობრობას ყველა სხვა ფრინველები მორიდებულნი იყვნენ, ამიტომ კოდალას უფრო დაუმეგობრდა. კოდალაც ზნეობრივს კმაყოფილებას გრძნობდა, რომ უთვისტომო, ობლად შთენილი მამალი შეივრდომა და ძმად გაიფიცა.

მათი მეგობრობა შეურყეველი იყო. მამალი თანდათან შაეჩვია ტყეში ცხოვრებას. საზრდოს ბლომად შოულობდა: ბალახის თესლს,

ჭიაღუას; ჭალა სავსე იყო კრიკინით, რასაც სიამოვნებით შეექცეოდა; არავინ უშლიდა; სოსეს ვენახში კი არ შეეძლო ასე თავისუფლად ყურძნით ქეიფი; მამალი ამას კარგადა გრძნობდა და თითქოს კმაყოფილიც იყო თავის ბედისა, კოდალა ნაირნაირ ამბებით შეაქცევდა. მაგრამ ქათმები კი მაინც არ გადუვარდა მამალს გულიდან. იმათი ხსოვნა ისე ჰქონდა შენახული გულში, როგორც ნაცარწყაურილი ნაკვერჩხალი და კოდალაც მუდამ იმედს აძლევდა, აი დღეს, აი ხვალ წაგიყვან და ყველას გაჩვენებო...

ყველა სულდგმულის ბედი, თითქმის უსულოსიც კი, ცვალებადია.

მამლის ბედიც შეიცვალა. იმან და კოდალამ თითქმის სამი თვე იცხოვრეს ერთად ტკბილად, არც ერთხელ უსიამოვნება არ მოსვლიათ, მაგრამ ბოლოს მათი მეგობრობაც დაირღვა და დაიშალა. რადა, რისთვის, არ იკითხავთ?.. მოულოდნელი შემთხვევისა გამო, თუ მაინც ასე უნდა მომხდარიყო, ეს თქვენ ივარაუდეთ... ჭალის ფრინველებს ერთს დღეს ყრილობა მოეხდინათ. გამოეთქვათ დიდი უსიამოვნება იმის გამო, რომ რაღაც ერთი ფრინველი თუ ოთხფეხი გაჩნდა და ღამე ღრიალით აგვიკლო, აღარ გვაძინებს, მოსვენებას არ გვაძლევს, როგორც იქნება და არ იქნება, უნდა მოვძებნოთ ეს დაუპატიჟებელი სტუმარი, ვიპოვნოთ, კარგად გავტყიპოთ და გავაძეოთო.

„ბატონებო და ქალბატონებო, — გამოხტა ჩხიკვი და დაიწყო: — მე ვიცი იმისი ბუნაგი, ადვილად გაპოვნინებთ. თვით იმ ვაჟბატონსაც კარგად ვიცნობ. ის გახლავთ მამალი, კოდალამ გაიძმობილა, შინაურად გაიხადა, ბინაც იმან მიუჩინა. თავისავით მყვირალა მეგობარი იპოვნა. მე ძალიანაც მიკვირდა, რომ აქამდის ხმა არ ამოიღეთ. ვიცოდი, არ გესიამოვნებოდათ იმისი ყვირილი და ღრიალი, რომელიც ერთავად ყივის, რითაც ძლიერ მოსწონს თავი.

კოდალაც უწონებს სიმღერას და, მისდა უნებურად, რამდენჯერ შევსწრებივარ, აყვირებს ხოლმე. სად გაგონილა? სადა თქმულა ამისთანა უმსგავსობა? ჩვენს ჭალაში მამას არ გაუგონია და პაპას მამლის ყვირილი, ახლა კი ლამის არის მთელი ჭალა მამლის ყივილმა ამოაგდოს ძირიანფესვიანადაო. გარდა ამისა, ხომ მოგეხსენებათ, იჩივლეს იხვებმა და ბატებმა, შეურაცხყოფა მოგვაყენესო. ხოხბისთვისაც რაღაც-რაღაცები დაეწყო. კაკბებიცა სჩივიან, უზრდელად მოგვექცა, გზაში გადმოგვიდგაო“.

— ერთი უყურე იმ უკუთურს, იმას! — წარმოსთქვეს ერთხმად ფრინველთა: — ყველას გამოგვიჭედა ყურები წივილითა, ნისკარტის რაკუნითა, გადაახმო მთელი ჭალა, ერთი ხე აღარ არის, რომ მაგის

ნაჩიჩქნი და ნაჯიჯგნი არ იყოს; ეს არ იკმარა და ახლა ამხანაგიც მოიშველია?! დავსაჯოთ კოდალაცაო, — დაადასტურეს: — ახლავ, ამ საათში!.. — წამოიშალა მთელი ფრინველთა გუნდი, ყველანაირი, რა დაგითვალოთ, გაიმძღვარეს წინ ჩხიკვი და შემოარტყეს ალყა კოდალას და მამლის სადგომ ბინას სწორედ იმ დროს, როცა მეგობრები საუზმეს შაექცეოდენ.

— რა არის? რა ამბავია? ბერიკობაა თუ არიფანაზე დადიხართ? — შეუძახა კოდალამ მოზღვავებულ ფრინველებს.

— არიფანას გაჩვენებთ, შე არამზადავ, შენა! — უპასუხეს ფრინველებმა, — შენი რა დიდი მადლობელი ვართ ამ ჭალაში ცხოვრებისა, რა დიდი სარგებლობა ნახა ტყემ ან ჩვენ შენგან, რომ ახლა შენზე უარესი სხვა არ გაგვიხადო ჭირად, საკვებავად. თქვენმა ყვირილმა და ღრიანცელმა ხომ წაიღო ყურთა სმენა. გასწით ორივენი, დაიკარგენით აქედან, თორემ, იცოდეთ, ცოცხლებს არ გაგიშვებთ არც ერთს. ვინა გყავს ეგ გაძმავებული, უნდა ხელში მოგვცე. უნდა იარაღი დაჰყაროთ, ჩვენს განკარგულებას დაემორჩილოთ.

მამალი ძალიან მოიბუზა. გულში შიში შეეპარა, მაგრამ კოდალას მაინც გასამხნევებელი სიტყვა უთხრა: ვიბრძოლოთ, მანამ წვეთი სისხლი გვიდგაო.

— გაგიჟებულხართ, თუ რა არი? არც იარაღს დავყრით და ვერც ძმად გაფიცულს მოგცემთ ხელში. რაღა კაცი ვიქნები მაშინ? თქვენ, როგორც გატყობთ, უნდა დაისაკუთროთ ეს ჭალა, მაგრამ რა საბუთით? რისთვის? ბევრნი რო ხართ და მოგვერევით, იმიტომ? არ არის კაი კაცობა, ვაჟკაცს არ შეჰშვენის მაგისთანა საქციელი, — გაუმეორა კოდალამ.

— ბევრს ნუ ყბედობ! ასრულებთ ჩვენს ბრძანებას თუ არა?! — დაუყვირეს ფრინველებმა ერთხმად. ძერა ამ დროს მოთათბირეებს თავზე დაჰბრუნავდა და წრეს ავლებდა.

— არასოდეს, ჩვენ სულელურ განაჩენს არ ვემორჩილებით, — სთქვა კოდალამ.

— სწორედ ეგრეა. — შეუმოწმა მამალმა და თან თავი გამოჰყო ფუღუროდან.

— რაღა ბევრს ვალაპარაკებთ, დაჰკარით მაგ წუწკებს, მაგათ! — დაიგრიალა ერთხმად ფრინველთა გუნდმა და მიესივნენ ნისკარტებით და ბრჭყალებით ჯერ მამალს, რომელიც ცოტა ხანს გაუმაგრდა.

— რას სჩადიხართ, თქვე უზრდელებო, იქნებ არა ჰხუმრობთ? ალარ იცით სტუმარ-მასპინძლობა? — უპასუხებდა მამალი და მიმართულს ნისკარტებს ბრჯღალებით იგერიებდა.

— ჩვენა ვართ და არ ვიცით სწორედ, — იძახოდენ ფრინველნი და უშენდენ ნისკარტებს ჯიჯლიბოზე. კოდალა ძალიან მხნედ მოიქცა. მხარი დაუჭირა მეგობარს, მედგრად იბრძოდა, მაგრამ იძლია, თავსისხლიანი დაბლა ფორთხავდა. მამლის მხნეობამ ველარ გაუძლო მტრის სიმრავლეს, უკუიქცა: გაუსხლტა ფრინველებს ხელიდან, იღბლად ერთი ფუღუროწაჩეხილი წიფელი შეხვდა და ამ წიფლის ფუღუროს ეცა. გული საშინლად უცემდა, თავ-პირიდან სისხლი ჩამოსდიოდა; ბოლო და ფრთები მთლად გაჯიჯგნილ-გაწიწკნილი ჰქონდა, ყველაფერი დაავიწყდა, კოდალაც აღარ ახსოვდა. მიკუნჭული, საცოდავად მობუზული იქაც ელოდა ფრინველთა იერიშს და გადასწყვიტა სიკვდილი, ღმერთს აბარებდა სულს და სთხოვდა ცოდვათა მიტევებას. მაგრამ ფრინველნი გამარჯვებულნი გაიფანტ-გამოიფანტნენ, მოედვნენ ტყეს და შეუდგნენ თავ-თავიანთ ხელობას, დარწმუნდენ, რომ მამალი, თუ ცოცხალი გადარჩა, ჭალაში აღარ გაიჭაჭანებდა.

ნუ დაივიწყებთ, რომ ამ დროს უკვე ზამთარი იდგა. ჭალის ბოლოს, ასე 4 — 5 ვერსის მანძილზე, პატარა სოფელი მოსჩანდა. ამ სოფლის მცხოვრებნი შეშას, თუ სხვა ხის მასალას, რაც დასჭირდებოდათ, ამ ჭალიდან ეზიდებოდენ.

ამ სოფლიდან გზაც პირდაპირ ჭალაში შედიოდა. შობის წინადღე იყო, რომ დამწკრიებული ურმები შეშით დატვირთული მოდიოდა ტყიდან და იდგა შოლტების ტლაშა-ტლუში და ზედ-დაძახილი; „ოტპუ, კამეჩო ნიშაო, გასწი, არა გიშავო!“

ვისაც ურემი არა ჰქონდა, პირდაპირ წნელით გამოებათ მორები ხარებისათვის და ისე მოათრეინებდენ.

სოფლის განაპირას იდგა მიწური სახლი ნინიკა პანტაყლაპიაშვილისა. ნინიკას ერთის ცოლისა და თავისთავის მეტი არავინ გააჩნდა, თუმცა ორივენი, ცოლი და ქმარი, შუახანს გადაცილებულნი იყვნენ... სწყინდათ ასე უნაყოფო სიცოცხლე, მაგრამ რა გაეწყობოდა: მეტი რა ღონე ჰქონდათ, უნდა დამორჩილებოდენ თავიანთ ბედს. ღმერთს, ხატს ბევრი ეხვეწნენ, ბევრისგან ბევრს მკითხავს აკითხვინეს და, რაკი საწადელი არ აუსრულდათ, ყველას თავი მიანებეს და მიყუჩდენ.

— ოჰოო, ე, ოჰოო, დადექით! — ეუბნებოდა ნინიკა ხარებს, როცა კარებზე მიათრევინა გრძელი წიფლის ხე.

— სალომე, სალომე! — დაუძახა დედაკაცს, თვითონ კი ხარებს უშვებდა უღლიდან, ტაბიკებიდან სამალდესა ჰხსნიდა: — სალომე! —

დაიძახა კვალად ნინიკამ და, ჯერ არ დაემთავრებინა სიტყვა, რომ სახლის კარებიდან გამოჩნდა შუათანა ტანისა, საკმაოდ სქელი, წითური დედაკაცი.

— რა არის, კაცო, რამოდენა ხე აგიდვია ხარებისათვის? მოგძულებიან, ხვალ აღარ გინდა შეაბა უღელში? — უთხრა სალომემ ქმარს საყვედური.

— რაო? დიდია ვითომ? ამათ კი ვენაცვალე ღმერთში, ისე მოიტაცეს, როგორც ბუმბული. განა ვერ შევატყობ, როცა უჭირთ და ხარები ვერ ერევიან, არც კი გაუგიათ, ისე მოიტანეს. — სთქვა რა ეს ნინიკამ, დაუწყო ფხანა ყელ-ყურში ხან ერთს, ხან მეორეს, თავის საყვარელ ნისლა მოზვრებს. ამ დროს სალომე ხეს ათვალიერებდა თავსა და ბოლოს.

— მე კვრივი ხე მეგონა, ფუღურო ყოფილა და კიდეც იმიტომ მოიტანეს ხარებმა აგრე სუბუქად, — წარმოსთქვა სალომემ.

— ფუღუროა და, აბა, ეგ არის კიდეც, აი! ისე მოედება ცეცხლი, რჯულის მადლმა, როგორც კვარსა, — ფიცხია კვერცხის ნაჭუჭივით... არც ახლა დამიკლავ, სალომე, დედალს? ჰო და რაო, რიღასთვის ინახავ, შე კარგო ადამიანო, შობა ხვალ არი.

— ეჰ, ნეტავი შენა! — წარმოსთქვა სალომემ ალერსშერეულ წყრომის კილოთი. — რაღაც სამი დედალი მიგდია, იმათაც კიდევ მოვაკლო, წიწილები რასღა გავაზღეინო...

— არ იქნება, მაშ, არ იქნება? არ შაიძლება? აი ახლა მაწყენინე. მაშ, ცარიელი მჭადი უნდა ვლოღნო საუფლო დღესა? არაფერს არა ჰგავს, თორე შენ იცი, სალომე-ქალო! — სთქვა ნინიკამ.

— რათა ცარიელი მჭადი? ჩადი დუქანში, იყიდე ერთი-ორი გირვანქა ღორის ხორცი, — დაე სამი იყოს, — ამოიტანე. ყველი და ცოტაოდენი ერბო შინა მაქვს. გამოგიცხობ კეცეულებს და იქეიფე. რაო, ქათამი რომ არ იყოს, აღარ შაიძლება შობის მიგებება? — უთხრა სალომემ ქმარს ისეთის ტკბილის და შთაგონების კილოთი, რომ ნინიკა ძალაუნებურად უნდა დასთანხმებოდა.

— მოიტა, მაშ, ფული! — სთქვა ნინიკამ და თან გაიცინა. — გახსენი დარდუბლის კიდობანი, — ეუბნებოდა ნინიკა და თან ხელს უშვერდა.

— აბაი, მოიცა, სულთამხუთავი ხომ არა ხარ, კაცო! ჯერ ხომ არსად მისდიხარ? სხვა არა იყოს რა, პური არ მოგშივდა? პური ჭამე და მერე წადი სავაჭროდ.

— ჰოო, აი ეგ კარგი სთქვი, სალომე-ქალო! რაც კარგია — კარგია, მე და ჩემმა ღმერთმა. პური ძალიან მშიან, — წარმოსთქვა ნინიკამ და ხელების ფშვნეტით შევიდა სახლში. ბუხრის წინ ტახტი-

დან ლიტრა აიღო. ხელები გადიბანა, შეიწმინდა ჩოხის კალთით და ცეცხლს მიუპყრო გასაშრობ-გასათბობად, ბუხრის გვერდზე კოხტა პატარძალივით მოპეწენიკებული ლობიოს სადუღარიც მოსჩანდა.

ნინიკამ არხეინად ტახტზე მოიკეცა, ცოლმა ხონჩა მოართო, რომელზედაც ორი მჭად-პურა იდო. დაუსხა ჭრელ ქვის ჯამზე ლობიო და დაუდგა წინ თავის მეუღლეს.

— აქ მობძანდი, ძმობილო, ჩემთან, — უთხრა ლობიოიან ჯამს ნინიკამ და მიიწია ახლო... ჩააბუჟბუჟა ლობიოში მჭად-პურა, დაადგა თავს სამი თითით და ისეთი მადიანად ილუკმებოდა, რომ სახლის დედაბოძის ყბებმაც კი ტოკვა და ნერწყვის ყლაპვა დაიწყო და შუა წელში ბოძზე დარჩენილი ტოტი ისე იყო წამოშვერილი, თითქოს ხელს აწვდიდა — ცოტაოდენი მეც მითავაზეო.

მოწმინდა ჯამი კარგად სალოკი თითით, გადადგა ხონჩა და ჯამი ერთად, გადიბერტყა კალთიდან ნამცეცები. აგაშენოს ღმერთმაო, ზედ დააყოლა და წამოდგა ფეხზე.

— აბა, სალომე-ჯან, რა ჰქენი, გახსენი დარდუბლის კიდობანი?! მოიტა ფული, უნდა წავიდე დუქანში, — უთხრა ნინიკამ.

— ჯერ შეშა დააპე თვალნათლივ, სჯობია. შენ, მე ვიცი, იქ მოიგვიანებ, შეგხვდება ვინმე, გაებმები და ხვალ უშეშოდ დავრჩებით, — უთხრა სალომემ.

— გავებმები კი არა, ის არ გინდა. თუ არ დაგიშლია, ფსონში დავჯდები. მივალ, ხელად ვივაჭრებ და წამოვალ, — მიუგო ნინიკამ.

— მართალს ამბობ, სწორედ? — შეეკითხა სალომე: — მაშ, ღვინოს არ დალევ დავიჯერო?!

— გიჟი ვიქნები, არ დავლიო, თუ შემომთავაზა ვინმემ, ღვინოსაც დავლევ, არაყსაც კარგად გიახლები, მაგრამ არ გავებმები კი, იცოდე. ახლა ხატსა და ღმერთს ხომ არ დამაფიცებ.

— კარგი, გენდობი, — უთხრა სალომემ და თან ჭრელ ჩითის ნაკუწში გამოკრული ათშაურიანი ჰქონოდა და ის ჩააბარა მეუღლეს, თანაც სანავთე თუნუქის გირვანქიანი თუ გირვანქანახევრიანი, მჭვარტლისაგან გაყვითლებული. წასვლის დროს ესეც დააბარა: ნინიკო, იცოდე. თუ მთვრალი მოსულხარ, კარებს არ გაგიღებ...

— კარგი და ეგრე იყოს, — წარმოსთქვა ნინიკამ, როცა ათშაურიანი ჩაიბარა, — რა და რა გიყიდო? წყვილი პოლაპოჩკი? ფარჩი, საკაბე? აბრეშუმის ქალაღაია? კიდევ რა? მაშ, ხურდა რამდენიღა მოგიტანო? — ეუბნებოდა ნინიკა ცოლს დაცინვის კილოთი!

— შენ ხომ რა, აღარ დაიშლი! რომ მე შავბნელმა ათთუმნიანი მოგცე, მაშინაც არ მიყიდი არაფერს. ჰოო, კარგი, წადი ჩქარა და

ბალე მოდი, — მოჰკრა ხელი ალერსიანად ცოლმა ნინიკას და, მხარში ხელჩაჭიდებული, კარებამდის მიაცილა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაავლო ნინიკამ ჯოხს ხელი და გასწია ძუნძულით დუქნისაკენ. მართლაც ნინიკა პირობაზე მალე დაბრუნდა, ჯერ არ დაბინდებულიყო, ხოლო მეორე მუხლი პირობისა დაერღვია — შეზარხოშებული გახლდათ. გადასცა ნავაჭრი ცოლსა და შეუდგა შეშის ჭრას. იმ დღეს მოტანილს წიფლის ხეს დაადგა ცულით წვერიდან, რადგან უფრო წვრილი იყო. წიფელი წვერში მკვრივი აღმოჩნდა. ხოლო შუა წელში ნუჟრი ჰქონდა და აქედან ხე უკვე გამოფუღურებული იყო. ნინიკამ ნუჟრს ააცილა ცული და ნუჟრის ქვეით დაჰკრა, ჯერ ერთხელ, ახლა მეორედ... ჰმ, რაღაც ჭუჭყუხი შამოესმა ხიდან... ნინიკა უკან გადმოხტა... შეჩერდა ცოტა ხანს. მიიხედ-მოიხედა, ხომ არავინა მხედავსო. მიუახლოვდა ხეს, შემოჰკრა ცული — რაღაც ფართხალობს ხის ფუღუროში. ეჰ, აქ რაღაც ამბავია, ამ ვერანაში ტურა ან მელა კი არ იჯდესო, იფიქრა ნინიკამ და დაუძახა ცოლს.

— სალომე, დედაკაცო, ერთი სანთელი მოანათე, — უყვიროდა ნინიკა ცოლს.

— სანთელი რაღად გინდა, რა ვქნა? — უპასუხა სალომემ.

— მოიტა-მეთქი, ჩქარა — უყვიროდა ნინიკა და თან ფხიზლად ადევნებდა თვალს ხის ძირს, რომ დამწყვდეული, რაღაც იყო, იქიდან არ გაჰსხლტომოდა, სალომემ მოანათა სანთელი და შეეკითხა, რა დაგემართა, რა იყოვო.

— მე ცულს შემოვკრავ, — ეუბნებოდა ნინიკა ცოლს, — და შენ ერთი ყური დაუგდე, ამ ხის ფუღუროში რა ამბავია, მე მეჩვენება, თუ მართლა არის რამე. ჩემს თავს ვერ ვუჯერებ. აბა, ჰა, ყური დაუგდე კარგად! — უთხრა ცოლს ნინიკამ და თანაც დაარტყა ხეს ცული. მოისმა კვალად ჭუჭყუნი. — ჰაა, გაიგონე? — ჰკითხავდა ნინიკა სალომეს.

— არის, კაცო, არის რაღაცა, — უპასუხა სალომემ, რომელიც გაფაციცებით ყურს უგდებდა.

— აბა, ჭილობი, ან სხვა რამე, ჩქარა, დაუცოთ პირი ხეს, რომ ფუღუროდან არ გაგვიძვრეს, ვინ იცის, იქნება კვერნაა. უყურე მაშინ შენს იღბალს — ხელად საქათიბეს იშოვი, თუ არა — მელა ხომ იქნება და იქნება, ან ტურა.

სალომემ სწრაფად მოარბენინა ძველის ჭილობის ნაგლეჯი, რომელიც ცოლ-ქმარმა მაგრა დაუცეს ხეს ფუღუროში და ზედ ქვები მიაწყეს, რომ უფრო მაგრა დაეკეტათ კარები იმ უჩინარის ცხოველისათვის, ხის ფუღუროში რომ განისვენებდა.

სალომე უფრო აიტანა ცნობისმოყვარულობამ და სულ იმას იძახოდა — ნეტა რა უნდა იყოსო!

ნინიკა უშენდა ახლა უფრო გაბედულად ცულს და ჩააჩინა კიდეც ფუღუროში და უფრო ცხადად შამოესმა ფხაკუნი. უნდოდა ნინიკას ხელი შაეყო, მაგრამ თანაც ვერა ჰბედავდა, ვაი თუ ხელზე მიკბინოსო და, რომ შიში არ გამიგოს ცოლმაო, სალომე წააქეზა.

— სალომე, სალომე! მე დიდი ხელი მაქვს, არ ჩაეტევა, მოდი ერთი ხელი შაჰყა, გავიგოთ, რა არის, — უთხრა ნინიკამ ცოლსა.

— დიაღ, გინდა კი ხელი ჩავყო, განა ხელი ნათხოვარი მაქვს? შენ შაჰყა რა! ხელი კი არა, თუნდა ფეხიც ჩაგეტევა, იმოდენა ჭუჭრუტანაა, — უპასუხებდა სალომე და თან უკან-უკან იწევდა.

— რისა გეშინიან, რა ვქნა, აქ არა ვარ?! — ამხნევებდა ნინიკა.

— შენ რომ აქა ხარ, ჩემ ხელს რას უშველი? — უპასუხებდა სალომე. ბევრის თხოვნისა, თათბირისა და ერთისაგან მეორის შეგულიანების შემდეგ ძლივს ისევ სალომემ გაბედა და წკეპლა შეუჩუჩხუნა. ჭუჭრუტანიდან უკვე გარკვევით ყვირილი მოისმა და თანაც კენტად ერთი წითელი ფრთა გამოჩნდა. ახლა კი აღარ აცალა ცოლს ნინიკამ და თავად შეყო ხელი ფუღუროში და ერთის ვაივაგლახით და ყვირილით გამოათრია მამალი...

— არ გიკვირს, ადამიანო? — ამბობდა ერთი.

— არ გიკვირს? — იმეორებდა მეორე. — საიდან? როგორ?

— ეს რაღაც ღვთის წყალობაა! — ამბობდა ნინიკა და სიხარულით ცას დაეწია. ცოლი უფრო გახარებული იყო.

— ოჰ, დაილოცე, ღმერთო, მამალი არა მყვანდა და ვიშოვეო. ცოლ-ქმარს დიდი თათბირი შაექნათ იმის თაობაზე, თუ საიდან გაჩნდა მამალი ფუღუროში, თუმცა ნამდვილს კვალს კი ვერ მიაგნეს. მამალი ისეთსა ღრიალებდა, ვიდრე შინ შეიყვანდენ, რომ მისი ყვირილი სოფლის თავიდან სოფლის ბოლოს ისმოდა. სალომეს დედლებმაც კი ქანდარაზე ვიშვიში და კრიახი დაიწყეს — რა არის, რა ამბავიაო? ეკითხებოდენ ერთმანეთს. ნინიკას თვით მამალი არ ალაღებდა ისე, როგორც მამლის სასწაულებრივი შეძენა: — აქ რაღაც ამბავია! რაღაც ღვთის წყალობაა! რიღასიც ნიშანია და კაი ნიშანიც, — ამბობდა თავისთვის ნინიკა და ამ ფიქრს გულში იმარხავდა, არავის უმხელდა... დარწმუნებული იყო, მამლის ამნაირი მოპოვება ვაჟს შემძენსო — დაინახავს ქვეყანა თუ არაო! მხოლოდ, ვიმეორებ, არავისთან არ ამხელდა და არც განმარტავდა ამ ამბავს, დაე, ვისაც ჭკვა აქვს თავში, მიჰხვდეს და გაიგოსო. სალომესაც კი არ ეუბნებოდა მამლის ამ არაჩვეულებრივად მოპოვების მნიშვნე-

ლობას, ხოლო აგრძნობინებდა კი: — ეს ხუმრობა საქმე ნუ გგონია, სალომე! კაი ამბავია, რო იცოდე, — ეტყოდა ნინიკა სალომეს.

— ვენაცვალე უფლის მადლსა და სახელს, ნეტა არ იქნება, — უპასუხებდა სალომე.

— აბა, შე ოჯახდაქცეულო, ახი არ არის, ახლა ეს მამალი დავკლა შენს ჯიბრზე, დედალი რო არ დამიკალი? — უთხრა ნინიკამ სალომეს, თუმცა ნისლა მოზვერს უფრო გაიმეტებდა დასაკლავად, ვიდრე მამალს.

— დიაღ, მამალს ხომ დაგაკვლეინებ, მაშ არა? — უპასუხა სალომემ. — საწყალი, საიდან მისულა ტყეში, იქ რა ესაქმებოდა? საკვირველია, ღმერთმანი! — ამბობდა სალომე და მაშინათვე ბაწრით თაროს ბოძზე დააბეს მამალი და საკენკიც დაუყარეს. მამალი გაბრუებული იყო, ჯერ ისევ ეტყობოდა ფრინველების მიერ დაჩნეული წყლულები. მხოლოდ, ცოტა არ იყოს, გულში სინათლის შუქი შაეპარა და მომავლის, ბედნიერის მომავალის იმედი გაუბრწყინდა: უბრუნდებოდა ძველს, სანატრელს ცხოვრებას, ჰშორდებოდა უჩვევს ყოფას, უცხო ტომში, სადაც გული გულს ვერა სცნობდა და სული — სულსა...

მცირე ვახშამის შემდეგ ცოლ-ქმართ ადრე დაიძინეს. ნინიკამ იმ ღამესვე კაი სიზმარი ნახა; სიზმარში ბერი გამოეცხადა, ახლო მონასტრის ბერს, ონოფრეს, მიამსგავსა; ძვირფას ფარჩა-ატლასებში გამოხვეული ბავშვი მიაწოდა ამ სიტყვებით: „შვილი შენი — ნათლული ჩემი, ღმერთმა გაგიზარდოს, ბედნიერი მამა ხარ, რომ ამისთანა შვილი გეყოლა, შესანიშნავი კაცი გამოვაო.“ ნინიკა სიხარულით ფეხზე აღარა დგებოდა. მართლაც, ბავშვი მშვენიერი იყო: მსუქანი, მსხვილთვალა, ფუნთუშა, ოქროსფერი ხუჭუჭი თმა ბეჭებზე ეყარა. მამა შვილს ხელში ბურთივით ათამაშებდა, ჰკოცნიდა ხელ-ფეხზე, მთელს ტანზედ, თან ეუბნებოდა: „ენაცვალოს მამა შვილსა, კარგსა, ტკბილსა, მშვენიერსა,“ ამ დროს სალომე აკვანს უმზადებდა, იქვე ტახტზე მუხლმოკეცილი... ოჰ, ზარი რომ არ დაეკრათ, ვინ იცის, კიდევ რასა ჰნახავდა, მაგრამ იმ დასაქცევმა ყიყლიყომ (ასე ეძახოდენ მეტსახელად სოფლის მღვდელსა) გაუფრთხო ტკბილი სიზმარი!.. მაინც ნინიკამ დიდად ნასიამოვნებმა გაიღვიძა, სიზმარი მხოლოდ სალომეს უამბო, თუმცა ამასაც ნანობდა, იქნება სჯობდა, არავისთვინ გამემხილა ის, რაც მოვიხილეო...

შობა დღე გათენდა, — მრავალი გაგითენოთ ღმერთმა! — და ნინიკასაც ეწვია სტუმრად მისი ნათლიმამა და გულითადი მეგობარი მჭედელი, კოჭლი სვიმონა. მასპინძელს გაუხარდა სტუმრის მოსვლა.

შაშინვე მოჰხადა ორჩაფიან ქოცოს, ზედაშეს, და იმ დილითვე შეაყოლეს. სვიმონა გამხიარულდა, ნინიკამ მამლის ამბავი უამბო და სტუმარმაც ეს შემთხვევა ნინიკას განსაკუთრებულს ილბალს მიაწერა და თავისებურად გაბრტყელებით წარმოთქმულ ანდაზით დაადასტურა: „ვისაც ღმერთი ბედს მისცემს, ნათლიჯან, ნათქვამია, ზურგს უკან კომბლით მისწევსო!“

კარგად რომ გადაჰკრეს, „ჰარუნანო-თარუნანოც“ დასძახეს. ამ დროს იმათზე ნაკლებ განცხრომაში არც მამალი იყო: შემოჰხვეოდენ გარს დედლები, თვითონ შუაში ჩასდგომოდა, დეზს დეზზე იცემდა და დასძახოდა თავის საგალობელს. მოსაგონებლად ეჯავრებოდა ტყე და იქ ცხოვრება უცხო ტომში, სადაც უსიამოვნობის მეტი ვერაფერი ნახა... აღარ ახსოვდა თავისი მეგობარი, მისთვის თავდადებული, მოჭირნახულე კოდალა, რომელიც ბრძოლის ველზე დარჩა დაკოდილი და ცოცხალმკვდარი...

[1909 წ.]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბერდიხა

(სურათი ფშავლების ცხოვრებისა)

I

სამის წლის მათიას დედამ მეტი სახელი წიწმატა დაარქვა და მას შემდეგ ეს ახალი სახელწოდება მათიასი მთელმა ოჯახმა პირზე დაიკერა: ძმებმა, დებმა, ბიძებმა, ძალუებმა და სხვებმა. გარეშე მეზობლებიც, რასაკვირველია, ამ სახელით იხსენიებდენ მათიას: „ოჰ, წიწმატას გაუმარჯოს!.. სადა გყავ, წიწმატავ, მამა? დედაშენი სადღა არი? ოჰ, რა ბიჭია, რა ბიჭია წიწმატა და!“ რაო, რა მიზეზი იყო, რომ მათიას წიწმატა დაარქვეს? მაშ, რაღა დავარქო, წიწმატივით მამწარებსო, — ამბობდა მზექალა.

მართლაც და ჟინიანს წიწმატაზე აღარც „სსუუ“ სჭრიდა და აღარც „ბუუუ“.

უდგას, მაგალითად, წიწმატას წინ დოთ სავსე ჯამი. მოაქვს დედას კეცში გამომცხვარი დიდრონი მჭადის ყუა, რადგან წიწმატას ხასიათი იცის, იცოტავებსო.

„ჩოტაა, კიდევ მინდა“; — მაინც ცოტაობს წიწმატა; უსიამოვნოდ იჩმუჩნება მხრებში და ხმელ უსახლო ტყავის კალთებს აფხაკურებს დაბლა კერაზე, ფინთად იღმიჭება.

— ჭამე, შვილო, ჯერ ეგა და მერე კიდევ მოგიტან. — ეუბნება დედა.

— ეხლა მინდა, ეხლა — წყრება წიწმატა და, თუ არ ასრულდა მისი ბრძანება, ისეთ აურზაურს ასტეხავს, რომ სახლში აღარავის ედგომილებოდეს. რა ქნას საწყალმა დედამ, ის დააჩუმოს, თუ ოჯახის საქმე აკეთოს?!

— აჰა, გასკდი, გატყვრი! — ეუბნება მზექალა: — ჯერ ნუ შაგიჭამია სულა, — თან ხელში აჩეჩებს კიდევ სხვა მჭადის ნატეხს, — მაშინ ჰნახავ შენს სეირსა. ქვით ქვაზე გაგინაყ მა თავნიერასა.

წიწმატა ბლუჯავს მჭადის ნატეხებს და ფაცაფუცით ილაგებს კალთაში. გვერდით უზის დიდი, ჭრელი კატა, წიწმატას ძმობილი.

თვალებს ჰკულავს, ვითომ ვერაფერს ვხედავო, თუმცა კი ყველაფერს კარგად ჰხედავს და უცდის მარჯვე დროს — თავის მეგობარ წიწმატას ხელიდან ლუკმა წაჰგლიჯოს.

— ეშ კოვჯი არ მინდა, დიდი კოვჯი მინდა! — ამბობს წიწმატა და ისვრის კოვზს დაბლა.

— აჰა, ესეც შენი დიდი კოვზი! — ეუბნება დედა და აჩეჩებს ხელში დიდ კოვზს. — დო კი არ დაჰღვარო, ბალღო, თორო მე ვიცი შენი!

— ალა! — უპასუხებს წიწმატა და თან ალაგებს ლუკმას ლუკმაზე, არ დასდევს იმას, რომ ნახევარი დო ეღვრება დიდის კოვზის წყალობით და გულისპირი თეთრად აქვს გადათხუპნული თვითეულის ლუკმის აღებაზე კატა თვალებს აყოლებს მეგობარს და უცდის მარჯვე დროს, ერთი ლუკმა მაინც დაჰვარდეს ხელიდან, რადგან ძმობილის ხასიათი კარგად იცის, თავის ნებით არაფერს მისთავაზებს.

II

წიწმატა განა მარტო პურსა და კოვზზე ჩხუბობდა? არა, თითქმის ყველაფერზე, რაც არ მოსწონდა, ჭკვაში არ უჯდებოდა: ეჯავრებოდა, რომ იტყვიან, ესიკვდილებოდა, მაგალითად, პირის დაბანა. ფეხთ ჩაცმა, ერჩივნა ბევრით ფეხშიშველას თოვლში და ტლაპოში სირბილი, რის გამოც ბევრი სილა მოჰხვედრია ყბაში, ბევრი სამდურავი, დარიგება, წყევლა-კრულვა გაუგონია წიწმატას ყურებს, მაგრამ ამაოდ. არ შეეძლო საბრალო მზექალას კარებს გასცილებოდა. დაედევნებოდა უკან ტირილით: „სად მიხვალ, დედავ?! დამიჩადე, ქალო, ვაჰმე, ვაჰმე!“ — ყვიროდა წიწმატა. აშინებდენ სხვადასხვა რამეებით: დიდი ვირთაგვაა ბოსელში, რქიანი, ეშვებიანი, იქიდან ყურს უგდებს შენს ტირილს, თუ არ დასჩუმდები, მოვა და შაგჭამსო; ეს ღადუნიო (გარეული კატა) ჩამოგაფხაჭნის მთელ სახეს და სხვ... ყველა ამ საფთხობელას წიწმატამ ყური შეაჩვია. ერთხელაც არ გამართლებულა შინაურების მუქარა, ბევრჯელ იტირა, ილრიალა, მაინც უვნებლად გადაჰრჩა ერთსაც და მეორესაც, იმას არც ღადუნი დაჰხედვებია და არც ვირთაგვა... ამან გააგულადა წიწმატა.

III

მაგრამ სხვა ჯურის მტერი სულ სხვა მხრიდან მოევლინა, აღმოჩნდა იქ, საიდანაც არ მოელოდა, ვერ იფიქრებდა.

ერთხელ შაბათ საღამოს ძმას ბერიძეს და რძალს მზექალას ეწვია

სტუმრად თინა, მზექალას მული, მაღალ-მაღალი, ომახიანი, ეშხიანი. ყოჩაღი მოლაპარაკე დედაკაცი. მოვიდა ეს დედაკაცი დაბაზალიასა-შიშროება თან სწორედ იმან მოიყოლა...

თინას ყელზე ვერცხლის შიბი ედვა, მთელს გულ-მკერდს უფარავდა. ერთმანერთზე ვერცხლის ჯაჭვით გადაბმული ვერცხლის ფულები — აბაზიან-უზალთუნიანები ერთი მეორეზე იყო აკინძული. შიგა და შიგ პატარა ვერცხლის ჯვრები ჰქონდა დატანებული; ამ ჯვრების ტოტებზედაც ყუნწით ჰქონდა დაკიდებული ვერცხლისავე ფულები. ტანთ ქათიბი ეცვა შავ ლასტიკ-გადაკრული.

— ჯალაფნო, ოჯახიშვილებო, შავ-გიორგაანო! ვინა ხართ შინა?!. — დაიძახა თინამ, როცა დერეფანი გაიარა და დარბაზის კარებს მიუახლოვდა. ძაღლმა ბროლიამ იცნო სტუმარი, ლაქუცით, კუდის ქნევით მიუძღოდა წინა.

მულს კარებში მოეგება მზექალა.

— ყველანიც შინა ვართ, ვისაცა გვკითხულობ, — უპასუხა რძალმა თინას და თან მხურვალედ გადაკოცნა საყვარელი მული. მოიკითხეს ერთმანეთი.

— ენაცვალოს მამიდა, რამსიდიდო კაცი გამხდარა! — წარმოსთქვა თინამ, დაინახა რა მზექალას გვერდზე წიწმატა, რომელსაც ცალი ხელი დედის ფაფანაკის კალთაზე ჩაეჭიდა, ხოლო მეორე პირში ჩაედო. — რა მშვენიერი ვაჟკაცი დამდგარა! — მოჰხვია ხელები და დაუწყო კოცნა ძმისწულს. — ეს რაღა დაგიდვავთ, ქალო, თავზე ამ ბალღისადა? შამირცხვა თქვენი ოჯახიშვილობა! — უსაყვედურა რძალს თინამ, როცა წიწმატას თავზე დაინახა თეთრი, გაკრეჭილი ცხვრის ტყავის ქუდი, სკუფიის მსგავსად შეკერილი. — ფიქრი არ არის, თავის მამიდამ მოუტანა კარგი ქუდი. თუ თავადაც კარგი ბიჭი იქნებაო,—ანუგეშა მამიდამ წიწმატა. მართლაც თინამ, როცა შინ შევიდენ, გუდიდან ამოართო შავი ნაბდის ქუდი, გუმბათის გარეთაპირზე ჯვარედინად სირმამოკერებული და თავის ხელით დაჰხურა თავზე. ქუდთან ერთად გუდაში იყო ბლომად თხილ-კაკალი, პანტის ჩირი და წიწმატასთვის საკუთრად დაქსოვილი მატყლის ჭრელი წინდები.

— უცოცხლოს შენი თავი და შენი ქმარ-შვილი! მშვიდობაში, მშვიდობაში! აი როგორი კარგი მამიდა გყავ და შენ კი ყროლი, მტირალა ხარ,—წარმოსთქვა მზექალამ, როცა თინამ ძმისწულს თავზე ქუდი დაჰხურა და მისი ძველი ჩაჩი კი მიაგდო უბრალო ჩვარივით იქვე კუთხეში.

— დედილამა, შენმა დღეგრძელობამა, თუ კაი ბიჭი იქნები, დამ-

ჯეროზი[1], ცხვრებს და ხბუებს კარგა მაული, არ იტირებ, ყელიანს წულებსაც მოგიტან, — აიმედებდა მამიდა წიწმატას და თანაც მისძღვნა თხილ-კაკალი ჩირში არეული, ქადის კვერი; ყველა ამას წიწმატა ხარბადა ჰბლუჯავდა და ილაგებდა მადლობის გადაუხდელად, ხმის ამოუღებლად. გუდაც, საცა ერთი ხონა თხილი ეყარა, ძალით წაჰგლიჯა მამიდას და თავისთან მიითრია. მამიდა, რა თქმა უნდა, არ ეწინააღმდეგებოდა, პირიქით, ცდილობდა რაც შეიძლებოდა მომეტებულად გაეხარებინა თავისი ძმისწული.

— დამჯეროზი, დამჯეროზი რას არა! მაგისაგან გაკვირვებულია მთელი ქვეყანა, — სთქვა მზექალამ: — ეგეც არამია მაგაზე, რაც ტანთ აცვია; უნდა ეგეც გაჰხადოს კაცმა და ტიტველა გაუშვას, იმის ღირსია.

— რას ამბობ, ქალო?!. იქნება მართლა? რა მიზეზს აძლევთ ჩემს ძმისწულს, ენაცვალოს მამიდა ვაჟკაცობაში! — და თანაც ხელი გადაუსო თინამ ძმისწულს თავზე.

— მართლა, მაშ ტყუილად?! — განაგრძობდა მზექალა. — ტანთ ეგ არ მაცმევინებს და ფეხთა, პირს ეგ არ დაიბანს, არი და მსუნაგია: თუნდ არა ჰშიოდეს, ძალად იხახებს, იტენს პირს საჭმლითა. თუ ორივე ყბა არ გამოიტენა, ცალის ყბით ვერა სჭამა; ყველაფერი ბევრი მინდაო და საიდან მოვუტანო ის ბევრი? არა და მაგის შიშით კარებს ველარ გავცილებივარ, საქმეზე ველარ წავსულვარ: ისეთს ღრიალს ასტეხს, მთელს ქვეყანას ფეხზე დააყენებს; დამედევნება: „ვაჰმე, დედავ, ვაჰმე, დედაო! აღარ მოხვალო, აღარაო!“ ვეფიცები — იჯე შინ, ეხლავ დავბრუნდებიო, და არა სჯერა.

ამ ლაპარაკის დროს წიწმატა ჩირით პირს იტენდა და თანაც ზარნაშოსავით თვალებს ატორღიალებდა.

— უჰ, უჰ, ვაჰმე, ეგ ვერ კაი საქმე! — წარმოსთქვა თინამ. — ბერდიხა არცადა ყოფილა აქა? ხევსური ბერდიხა, ქალო, ბალღებს რო ჰკრეფს?

— ჰო, ჰო, გაგონილი მაქვ, — შეუმოწმა მზექალამ, რაკი მიუხვდა, რა განზრახვითაც გაიხსენა ბერდიხას ამბავი.

— შენს მტერს, თუ ის აქ საითმე ჩამოჩერჩეტდა. ხუმრობა საქმე არ არი, ბალღი არ წააყვანინოთ, გააფრთხილეთ, არ იტიროს, თორო, თუ ტირილში მოასწრო, არ გაუშვებს, უეჭველად წაიყვანს, იმასთან ძალი არ გამოდგება და ხვეწნა-მუდარითაც კაცი ვერაფერს გახდება, ჩაჰსომს გუდაში, მოაკრავს პირსა, წამოიკიდებს ზურგზე და ჰერი ბიჭო!

წიწმატა გულმოდგინედ უგდებდა ყურს მამიდას და, რა თქმა უნდა, ეს ახალი ამბავი არ ესიამოვნა.

---

[1] უფროსების ბრძანების ამსრულებელი, მორჩილი.

— უიმე, უიმე! — სთქვა მზექალამ: — აბა, ბიჭო, რო გეუბნები, ნუ იტირებო, ხო გესმის, რას ამბობს შენი მამიდა? აღარ იტირო, აღარ იტირო, დედაშვილობას, თორო, თუ ბერდიხა წაგიყვანს, მეც თავს მოვიკლავ და დედა აღარ გეყოლება. განა არა, მეზობლებიც ამბობდენ: ერთი რამ ხევსური დადის დიდი, აყლაყუდა, ხან ვის სახლის კედელთან აიტუზება, ხან ვისასთანაო, ის დამეხილი, ის იქნება: ბალღის ტირილი საითმე გავიგონოვო.

— ახლა უნდა ჰნახო, ქალო, — განაგრძობდა თინა, — რამსიდიდო ბარდღლიანი ხბოს გუდა ჰკიდია! როგორც კი ბალღის ტირილს გაიგონებს, მაშინვე იქ დაიბადება, უკრძალავად შევა სახში, დაავლებს ბალღს ხელსა და უკრავს თავს გუდაში იმავ წამსა. ახლა როგორ უხარიან მაშინა!.. მემრე უნდა იცოდე, რა საელდოა: — თავადაც ბარდღლიანი, გუდაც ბარდღლიანი, ქუდიც ბარდღლიან-ბანჯგვლიანი, ტანზე ჯიხვის ტყავი მჭვარტლიანი, ხელში შუბი გძელტარიანი, ფეხები ჯღანიანი, წვერ-ულვაში ჯაგრიანი, ტანი—აბჯარაბგრიანი, წელი — ყაწიმის ქამრიანი, თითბრით მორთულ ხმალიანი, პირისახე — როგორც ცა ავდრიანი. როცა ბალღის წასაყვანად მივა, ერთი ამას დაიძახებს (აჯავრებს): „ვინ ხართ? სად ხართ? ვინ ტირის მაგაჩი? დაიცათ, დამაცადეთ, აქ მე ვორ ბალღების მოსწავლეი!“ (ვითომ მასწავლებელიო). — ერთს ამას იტყვის და მერე თავად იცის, მთელი ქვეყანა რო თავზე დაეცას, ბალღს ხელიდან ველარავინ გააგდებინებს.

— უიმე! და-და-და-დაიი! ჩემი მტერი ჩავარდეს იმის ხელში!— და თან ღრმად ამოიოხრა, თუმცა გული-გულში ძალიან გაუხარდა, რადგან მამიდამ თავის ძმისწულს ძალიან მოხერხებული საფრთხობელა დაუყენა, ვინაიდგან წიწმატას საზოგადოდ ხევსურებისა ეშინოდა მას შემდეგ, რაც იმ ორი თვის წინათ, ხატში სალოცავად რომ მიდიოდენ, გზაზე ხევსურების ჩხუბი ნახა თავის თვალით. იმათ ხმლების პრიალს რა დაავიწყებდა?..

— დიდი საკვირველია — სთქვა კვალად თინამ, — თუ ის ამაღამ აქ არ მოეხეტა. ჭალაზე ერთად შემოვიარეთ. უკან მომეწია, ორი თუ სამი ბალღიც ეჯდა გუდაში. შამბრალდენ საწყლები: გუდაში გოჭებივით ჭუჭყუნებდენ, ეტირნებოდათ, მაგრამ, აბა როგორ იტირებდენ ბერდიხაის შიშითა: — „ბალღებო, ხმა წაჰკარითო, თორო მე ვიცი თქვენიო!“ — უშტიალებდა. მე ვკითხე: — ჩემო ბერდიხავ, არ თუ გებრალებიან ე ბალღები, რადა სდგები მაგათ ცოდვაშიაო? კიდეც შავეხვეწე: — მოდი, ეგ ხელობა გაუშვი და სხვა რამ ხელობა დაიჭირეო. ბალღებზე ჰოო, ახია, მაგრამ საწყალმა დედ-მამამ რაღა ქნას, თავის შვილი გველსაც კი უყვარსო. „რას ამბობ, ხო არ შეიშა-

ლეო?“ ისეთი შამამიტივა, შიშით კინაღამ გავქრი — ღმერთი არ გა-
უწყრეს და მეც გუდაში არ მიკრას თავიო, ქალო, ვიფიქრე; იმას-რა
გაუჭირდება ან რა გაუკვირდება? და აი რა მითხრა ბოლოსა: „შენს
ძმას ბერიძესთანაც მინდარის შამოვლაი, უნდა ვნახო, როგორ-რა
ბალღ გაეზდება, ი წიწმატას რო ეძახიანო. თუ კვლავ მტირალ არაა,
ხო რა კაი, თუ არა და, მე გითხრა შენ, იმასაც ის დაემართების, რაც
დამიმართებავ სხვისად. შამახედნე ე გუდას, მამიავ, ე გუდაჩი ამო-
ვაყოფიებ თავრიელასაო“. ბაიაანთანამდე ერთად შამოვიარეთ;
სახს რო დაუსასწორდით, მაშინ შადგა ერთბაშად, დაუგდო ყური,
ბაიაანთით ბალღის ტირილის ხმა გაიგონა, ძალიან გაუხარდა: —
„ოჰო, დაილოც, ღმერთო, რო სანადირო არ დამელევისო!“ — სთქვა
და გასწია; არ გაუშვებდა ბაიაანთ ბალღსაც, გუდაში ჩასვამდა. და-
ვმეხე იმის თავ-ლაშნი, დევივით ხელნი, გაფშლეკილნი წვერნი, ჭია-
ცეცხლსავით (ციცინათელა) თვალნი.

ბერდიხას მოვლინებამ დიდი ძალა გამოიჩინა და დიდად ჩააფიქ-
რა წიწმატა. მართლაც რომ ბერდიხას ჩაუვარდეს ხელში, მაშინ ხომ
დედას აღარავინ აჩვენებს თვალითა?! ოჰ, რა უბედურება იქნება!
ვინ იცის, ბერდიხა რაღა სატანჯელში ჩააგდებს? ეს მწარე ფიქრები
მიმოჰქროდა ბავშვის გაუფურჩნავ გულ-გონებაში.

— აი დალახტოს წმინდამ გიორგიმა!... ვიცნობ, ვიცნობ, მინა-
ხავ მე ის ძაღლი,—შეამოწმა მზექალამ: — ამ ზაფხულ ლაშარს რო
მივდიოდით, ზარის ჭალას გაჰხდიყო ხევსურებს. ის იქნებოდა, ორი-
სამი კაცი დაეჭრა, კიდევაც ხმალს იტრიალებდა და თანაც იმუქრე-
ბოდა.

— ის იქნებოდა, შენი ჭირიმე! ავ-ბერდიხას ეძახიან, — დაუდას-
ტურა რძალს მულმა: — ამაღამ აქ მოუსვლელი არ დადგება და განა
ვერ იცნობ?

— ნეტავი კი არ მოვიდეს! — სთქვა კვალად მზექალამ.

— მობრძანდეს, რას წაიღებს? — უპასუხა თინამ: — თუ კი არ
ვიტირებთ, რას ჩამოგვრჩება?

— ჰოო, თუ არ იტირებს შენი ძმისწული, დიაღაც, მაშინ რას
დაგვაკლებს, მაგრამ ვინ არი ამის თავდები? ვიცით, რო არ იტი-
რებს? მაშინ რაღა ვქნათ, რო წიწმატამ ღრიალი დაიწყოს თავისე-
ბურად და ამ დროს იმ ძალმაც მოასწროს, საქმე მაშინ არი და! —
სთქვა მზექალამ.

— არ ვიტირებთ, არა, ტყუილად იმედი აქვ ბერდიხასა, განა,
შვილო?! — მიუბრუნდა და შეეკითხა თინა თავის ძმისწულს. წიწმა-
ტამ ხმა არ გასცა, მხოლოდ ამოიოხრა და დედას დაუწყო ჩურჩუ-
ლით ლაპარაკი.

— რაო? რა გინდა? — დაეკითხა შვილს დედა.

— „მეჯინება“ — სთქვა წიწმატამ მიკნავებულის ხმით და თანაც ამ თქმას ერთი ღრმა ოხვრაც ამოაყოლა. ქალებმა ერთმანეთს გადაჰხედეს და ჩუმად ჩაიცინეს.

— გეძინება? ძალიან კარგი და პატიოსანი. ადრევე იტყოდი, შე კაი კაცო, დაგიგებ ლოგინს და დაიძინე. ნეტავი მუდამაც ეგრე სჩადიოდე.

მზექალამ იქვე ტახტზე გაუშალა შუაზე მოკეცილი თეთრი ნაბადი, მუთაქის მსგავსად მოკუნჭულ ფლასზე გაჭუჭყიანებული ჩითის საპირიანი ბალიში დაუდო და მიაწვინა წიწმატა. საბნის მაგივრად ჭრელი ფარდაგი დაჰხურა. წიწმატამ, რა თქმა უნდა, მამიდას მოტანილი საჩუქრები ლოგინში ჩაიყოლა და გვერდით შემოიწყო. ჩვეულებრივ, დედასაც მიჰპატიჟა დასაძინებლად.

— აი, ქალო, ეს ბიჭი რას ამბობს, არ მოგდის? — სთქვა მზექალამ.

— რასა? ვერ გავიგონე, ვერა, — მიუგო თინამ.

— მოდი და შენც გვერდით მომიწექიო, — განუმეორა მზექალამ.

— ვაჰმე, ეგ ალარა თქვას, საცაა ბერდიხა მოვა, იმას ძალიან ეჯავრება, თუ ბალღი თავისთავად არ იძინებს. განა მარტო ტირილისათვის მიუდის ბერდიხას ბალღები? არა. ის სხვადასხვა საქმესაც ძეულობს, დაიძინე, შვილო, დაიძინე! ჩვენ საძილედ არა გვცალიან, ბერდიხა რო მოვა, ფხიზლად უნდა დავუხვდეთ, კარგად გავუმასპინძლდეთ, გული მოვულბოთ, მოვიმადლიეროთ.

წიწმატას ბარემ ეწადა თავისებურად გაჟინიანებულიყო, მაგრამ რა გაეწყობოდა, დრო და გარემოება საბრალოს ხელს არ უწყობდა. სიწყნარე და ძილი არჩია, ეზარებოდა ბერდიხას თვალით დანახვა. უნდოდა ისე მისულიყო და წასულიყო, ვერც კი გაეგო, წიწმატა მართლა არსებობდა სადმე თუ არა. ბერდიხას სიკვდილსაც კი ნატრობდა. ნეტავი იმის მამა თოფს ესროდეს იმ წყეულ-შეჩვენებულს ბერდიხას. რად უშლის დედასთან ყოფნას, თუ ის კაი ადამიანია? ნუთუ დედასთან ყოფნა განუშორებლად დანაშაულია?! თუკი დედა უყვარს, რა ქნას, მაშ, საწყალმა წიწმატამ, რომ არ გაეტიროს, უკან არ გამოუდგეს, როცა დედასთან ყოფნით ვერა ძღება? ნეტავი მოერეოდეს მაინც, რომ კაი-კაი ჯოხები უთუთქოს და ისე გაისტუმროს. ალბად დედა და მამიდაც ჰღალატობენ წიწმატას, თორო, თუ მოინდომებდენ, კარებზედაც არ გაატარებდენ! ااااჰ, ნეტავი მოერეოდეს, რომ კარგად სცემოს ბერდიხასა და, რაც გუდაში ბალღები ჰყავ დამწყვდეული, ისინიც გაანთავისუფლოს! მამიდა არ სტყუის: ერთხელ ხომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის თვალითაცა ნახა ის ბოროტი ადამიანი, ხატში რომ ეყვნენ სალოცავად. არ იყო კაი კაცი, ხმალ-ხანჯარს ატრიალებდა და რამდემსამე კაცს სისხლი დაადინა თავპირიდან, დაკეჭნა. ცხოვლად აგონდება ბერდიხას მიერ სამუქაროდ წარმოთქმული სიტყვები: „ერთს არ გაგიტევთ ცოცხალს, მე ბერდიხას მეძახიანო!“

წიწმატა ამ ფიქრებში იყო გართული, რომ ჩაეძინა. პატარამ ორივე თავის პატარა ხელები გულზე დაიწყო. მძინარე რომ გენახათ, მის ფიქრს ძილის დროს ასე აჰხსნიდით: „ეჰ, შენს ხელთა ვარ, ღმერთო, უძლური ვარ, არ შემიძლიან თავისთავის დაცვა, შენ იცი და შენმა სამართალმა, როგორც მომივლი და მიპატრონებო“!

დაეძინა წიწმატას და აი რა სიზმარი ნახა: ჰხედავს სიზმარში, რომ დედა ლოგინიდან სადღაც გაჰპარვია; ჩვეულებრივად გაიფიქრა — აღარ მოვა, ეგ არი — წავიდა, სამუდამოდ დამანება თავიო; წამოხტა თავგადაგლეჯილი და გაიქცა, გარბის, უნდა დედა იპოვნოს, სად მიდის, უნდა იმასთან ერთად იაროს. დიდება შენს სახელს, უფალო, რომ წადილი აუსრულე: დედა დაინახა წყალგალმა თავქვე მიდიოდა, ზურგზე გუდა ეკიდა, უეჭველია, წისქვილში მიდის, საფქვავი მიაქვს.

— დედავ, დედაო! დაიცადე, სად მიხვალ, სადა, ქალო?! — უძახის გამოღმიდამ, დედა ყურს არ უგდებს, მიდის თავგადაგლეჯილი, მიეშურება, როგორ გულცივობს? ნუთუ გული აიყარა თავის საყვარელ შვილზე? „ვაჰმე, ვაჰმე, რაღა ვქნა, რაღა მეშველება?!“ — იძახის შვილი და გარბის, არ ერიდება არც ქვას, არც ხეს, არც წყალსა, იქცევა, მაგრამ ისევა დგება ფეხზე და მიიწევს დედისკე, რომ დაეწიოს. მიაღწია ხიდის ყურამდე, ის-ის არი უნდა შედგეს და, აი, უბედურება: მუხლთ ეკვეთება, ხმა ჩაუწყდა. ხიდის ყურიდან გამოჩნდა საშინელი ადამიანი, ბანჯგვლიანის ქუდით, ხელში შუბით, ზურგზე გუდით და მიაშურა. ოჰ რა დროს გამოჩნდა ის ფეხმოსატეხი და! ის იყო, უნდა მოსწეოდა დედას, იმასთან ერთად იქნებოდა და, დახეთ, რა დროს გამოტყვრა უბედურება?!

— სა მიხვალ, სა, ვოჟაო?! დედას მე მოგცემ შენ, რაღაც წიწმატაი ხარ, ჭკვას მე გასწავლებ. მინდოდი და შაგხვდი კიდეც, ღვთისა ძალითა! — შემოუძახა იმ საზარელმა ადამიანმა. „ნუ შემჭამ, ჩემო ბერდიხავ, დედა მინდა!.. შენი კვნესამე, ჩემო ბერდიხავ, აგერა დედა მიდის, აღარ მომივა, მინდა იმასთან ვიყო, აღარ ვიტირებ, აღარ!“ — ლუღლუღებდა წიწმატა. ბერდიხა კი, საშინელი ბერდიხა თავისას არ იშლიდა, ბალღის ხვეწნამ გული ვერ მოულბო.

მოხსნა გუდას პირი და წავიდა წიწმატასკენ, წიწმატა გულაღმა გადაგორებული ხელებს ჰფარჩხავს, ფეხებს იქნევს. ტირის, თან ეხ-

ვეწება ბერდიხას: „ნუ... ნუ... ნუ... ჩემო ბერდიხავ! ვაჰმე, ვაჰმეხაბა, რაღა ვქნა?! მიშველე, დედავ, სადა ხარ, დედავ, სადა?!“—ყვირის საცოდავი წიწმატა, ხოლო ბერდიხას შავი, გრძელი ბანჯგვლიანი ხელები უახლოვდება ბავშვს შესაპყრობად, ის არი — უნდა დაბღუჯოს პატარა არსება... სიზმარი გათავდა...

წიწმატა ელდანაკრავივით წამოიჭრა ზეზე. დაიყვირა საშინლად. პირველი მისი სიტყვა იყო — დედა!

თავზარდაცემული ქალებიც წამოცვივდნენ ფეხზე და შემოეხვივნენ წიწმატას საწოლს.

— ღმერთო და ფშავის ხევის სალოცავებო! დასწერეთ ჯვარი, აშორეთ ყოველი მავნე! — ამბობდა მამიდა თინა.

— ნუ გეშინიან, აქა ვარ, შენი ჭირიმე, აქა, — მიუალერსა დედამ.

— რა გინდა, თავს შემოგევლე, წერა მოგხადე, აქ აღარ არი, წავიდა, გაიქცა ის დამეხილი ბერდიხა. — ანუგეშა მამიდამ.

კატამაც კი იგრძნო ეს უსიამოვნო ამბავი, ისიც თავის აფშეკილის კუდით ჩაერია კრებაში, უვლიდა გარს თავის მეგობარს და თან გაფხორილს კუდს უსვამდა პირისახეზე, თითქოს ცდილობდა მოეყვანა ბავშვი გონს და ენუგეშებინა.

[1909 წ.]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძაღლმა ციკანი მოიგო

I

მაისის პირველი რიცხვები იყო: ცხვრის ფარა ფარაზე მოდიოდა ჭალაზე სამთოდ; ბატკნებისა და დედების ბღავილი მთა-ბარს აქცევდა, ყურთა სმენა აღარ იყო; მთელის ერთის კვირის განმავლობაში ფარები განუწყვეტლივ წყალივით დიოდა. შოლტების ტყლაშატყლუში „ბრიე-ქსსიეს“ ძახილში ისე ექსოვებოდა, როგორც ჭექაქუხილში ელვის ტკრციალი; ამწვანებული ჭალები გათეთრდა, თითქოს დაეთრთვილოს. ფარების შუაგულში ჩაჩხირული დატვირთული სახედრები ყურების ბარტყუნით დინჯად მიაბიჯებდენ. უკან კუდგაკრეჭილი, ენაგადმოგდებული მყეფრები მისდევდენ. რა ხანია, ცხვრის ფარებმა მთები გაათეთრა, დათოვლა; თითქმის ორი კვირა გავიდა, მაგრამ გზას, რიყეს, რაზედაც ცხვარმა გაიარა, საამური სუნი ასდის ისევ.

„ცოფიანი, ცოფიანი“! გაისმა ხმა შარად: „აგერ, აგერ, კიდევ გამოჩნდა, მიწას ჰსუნავს, ღმუის, ლასლასებს“.

დედები შვილებს სახლში ერეკებოდენ, სახლის კარებს ჰხურავდენ. მამაკაცები თოფებს იმარჯვებდენ, უნდა მოეკლათ „ცოფიანი“. მაგრამ ჯერ კარგად უნდა გაეგოთ, დარწმუნებულიყვნენ, მართლა ცოფიანი იყო თუ არა, უთვალთვალებდენ.

— ნუ მოჰკლავთ, არ არი ცოფიანი, არა! — დაიძახა ერთმა: — არ ერჩის არავის. ხბოებს, ცხენს გვერდზე გაუარა, ზედაც არ შეჰხედა, არ არი ცოფიანი! — დაიძახა კვალად შუახნის კაცმა, რომელსაც ვერცხლის სალტებიანი ჯაზეირი ეჭირა ხელში.

— ცხვრის ძაღლი უნდა იყოს, — ჩამოართვა სიტყვა მეორემ: — ყელზე ჩანგალიც რომ აქვს, მეცხვარეებს დაჰრჩებოდათ ნამდვილად. რა ძაღლია!

როგორც იყო, ბოლოს და ბოლოს, ძლივს დარწმუნდა ხალხი, რომ უპატრონო ძაღლი არ იყო ცოფიანი. ახლა სხვა თვალით უცქე-

როდენ, ყველა ცდილობდა მოებირებინა, უალერსებდა. პურსა სთავაზობდა, მაგრამ ცოფიანი ყურს არავის უგდებდა: ერთის ფიქრით, ერთის დარდით შეპყრობილი შორს გაიყურებოდა, ასწევდა ცხვირს მაღლა და საზარელის ხმითა ღმუოდა; ასდევდა და ჩასდევდა გზას, ჭალებს, მდინარის პირებს, სუნავდა მიწას, ვიღაცის კვალს დაეძებდა.

მე მაშინ ყმაწვილად ვიყავი, ასე, რვა-ცხრა წლისა. ძაღლი ძალიან შამეცოდა; თუმცა ახლო ვერ ვუდგებოდი, მაგრამ შორიახლოდან თვალყურს ვადევნებდი; მეც ვეცადე მის გადმობირებას; შორიდან პურისა და ხორცის ნაჭერი გადავუგდე უნაყოფოდ. რამდენიმე დღე ჩვენის სოფლის მიდამოებში ვხედავდი, ბოლოს სადღაც გადიკარგა. გავიდა სამი დღე და ვნახე, რომ ჩვენის სახლის ბოლოზე არაქათგამოლეული მოლასლასებდა, ფერდი ფერდზე მიჰკროდა. უკან დავედევნე, თვალი აღარ მოვაშორე. მდინარის პირს აღმა მისდევდა, დაბურულ ჭალაში შეაფარა თავი, სადაც ჩვენ წისქვილი გვქონდა. მივსდევ შორიახლოს. წისქვილის კარებს მიადგა, აეფოფხა, ქურდობას ჰბედავდა, ვერაფერს გახდა, შიგ შესვლა ვერ მოახერხა. წავიდა, განშორდა იქაურობას, აჰყვა წისქვილის რუს და დიდრონ ტირიფის ფესვებს შუა ჩაწვა. საშინლად დაღლილ-დაქანცული იყო; ეტყობოდა, საშინლად ჰშიოდა.

ნუთუ არც ეხლა მიიღებს ძღვენს? ვნახოთ. სიკვდილის პირად არის მისული. ვეცდები; ეს ჩემი ცდა უკანასკნელი იქნება, მაგრამ, რა ვიცი, რომ ნაყოფს არ გამოიღებს?!

II

მე სახლისკენ მოვკურცხლე. თაროზე რაც პურის ნატეხები, თუ ხორცის ნაჭრები შემხვდა, მოვაგროვე, შევკარი ხელსახოცში და წავედი. შორიახლოს დავდეგ, ძაღლმა არ შემომხედა. გადავუყარე, რაც კი რამ ხელსახოცში სანოვაგე მეპოვებოდა; ყველა ეს იმის ცხვირწინ დაეცა. შემომხედა, მაგრამ თავი სხვა მხარეს მოიბრუნა, თვალები მომარიდა.

იქნება ჩემი სცხვენიან? ვიფიქრე, — მოვშორდე, მოვეფარო სადმე. ასეც მოვიქეცი. წისქვილთან დავიმალე. ნახევარ საათს შემდეგ დავბრუნდი. ჩემს ოსტატობას გაეჭრა. ძაღლის წინ ნამცეციც აღარ მოიპოვებოდა არც ხორცისა და არც თუ პურისა. სიხარულით ცას დავეწიე. „ძაღლი ჩემია“! — ვდუდუნებდი ჩემთვის. ბედნიერი ვარ, ბედნიერი! რა ძაღლი მეყოლება! საცა წავალ, თან წამომყვება. დავაბუბნინებ მეზობლის ძაღლებს, ვანადირებ კურდღლებზე. ათასი საგმირო საქმე წარმოვიდგინე ოცნებაში.

ერთხელ კიდევ ვეცი ამნაირად პატივი და, მესამე პატივისცემის შემდეგ ძაღლი უკვე კუდს მიქნევდა, მადლობის ნიშნად. საღამოზედ თანაც წამომყვა სახლში. ჩვენებსაც გაუხარდათ, თუმცა მამაჩემს არა სჯეროდა ჩემის ბედნიერების ხანგრძლივობა: „პატრონი გამოუჩნდება, შვილო, ტყუილად კვება შეგრჩებაო!“

— ვინ პატრონი? პატრონი მე ვარ-მეთქი! — ვუპასუხე.

— ახლა შენ იცი! — სთქვა მამაჩემმა, ამით გათავდა ძაღლის შესახებ ჩვენი კამათი.

ვინცა ნახა, ყველას ძალიან მოეწონა და ყველა იმას ამბობდა: მგელს დაარჩობსო, ათი ძაღლიც ვერას დააკლებსო, ტოტები და ლაშები იმისთანა აქვსო. მართლაც, თავად რაც იყო, ხომ იყო და ჩანგალი, ყელზე ჩადებული, საჩეჩლის კბილებიანი, ათს იმოდენასა ჰშველოდა. უნდა დამება, თოკი მოვუმზადე, მაგრამ მიღრინა, ითაკილა, მეც თავი დავანებე, რა გამეწყობოდა? სახელად ჯავრია დავარქვი. ორ-სამ დღეს არ იყეფებოდა, ნაღვლიანი, დაჩაგრული იყო. მე კი მოუთმენლად მოველოდი — გამეგონა მისი ხმა... როგორც იყო ამასაც მოვესწარი და ჩემს აღტაცებას სამზღვარი არა ჰქონდა. ბოხი, ზავთიანი მისი ხმა გამოუთქმელს ნეტარებას მიბადავდა გულში: ღაფ-ღაფ-ღაფ! ვეფხვივით ბრტყვინავდა.

მომყვანდა ამხანაგები, მეზობლის ბიჭები, რომ მეჩვენებინა იმათთვისაც ჩემის ძაღლის სიკეთე. უხაროდათ თუ სწყინდათ ჩემი ბედნიერება, ღმერთმა უწყის.

ასე იყო თუ ისე, ჩემს ძაღლს დიდი სახელი გაუვარდა სოფელში: „მღვდლიანთ ძალიან ავი ძაღლი ჰყავთო, მხედარს ცხენიდან გადმოიღებსო!“ ამიტომ ბევრი პირდაპირ ვერ ჰბედავდა მოსვლას! ზოგი შორიდან იძახოდა: მოვდივარ, ძაღლი არ მარჩოლოო!

სხვა კაკალზე, ან პანტაზე აებღაუტებოდა და იქიდან გვამცნევდა თავის ვინაობას. მე ამით, რა თქმა უნდა, თავი მომწონდა...

ვაჟკაცი დინჯი სჯობია,
ძაღლი თეოზე მყეფარი.

III

დღეს ღამე მოსდევს, დარს — ავდარი, ტკბილს — მწარე, სიცოცხლეს — სიკვდილი, ლხინს — მწუხარება, ასეთია წუთისოფელი.

გავიდა ხუთი თვე. დადგა შემოდგომა. დაიწყო ფოთოლმა ჩამოცვენა. გრილა. ღამე რთვილს აგდებს. მთის წვერებს, თუ პატარა წამოწვიმა, მაშინვე თოვლს მოჰკიდებს. აღარ ედგომილება ცხვარმწყემსს მთაში. დაიძრა მთიდან ფარები საბაროდ. მოსდევს ფარას

ფარა ამავე წესით, როგორც გაზაფხულზე ვნახე. მხოლოდ ახლა ცხვარს სულ სხვაფერი ადევს. სიმსუქნით ხორცი ტანზე უთამამებს, დუმებს თითქო დაბლა მიწაზე მოათრევენ. მოსჩანან ცხვართან მხარზე კომბლებგადადებული, ტყავიან-თექიანი მწყემსები, სახედრები ახლა უფრო ყოჩაღად მოაბიჯებენ, ფერი დაუწმენდიათ, ბეწვი გამოუცვლიათ, იალაღს ყველასთვის ახალი სული ჩაუდგამს, ახალი სიცოცხლე შთაუბერია. ძაღლებს დასცხომიათ, ქასქასებენ. ჩვენი — და რა ჩვენი — მთელის სოფლის თვალი და ყური ამ დროს ცხვარ-მემცხვარისკენ არის მიპყრობილი.

ჯავრიამ, რა დაინახა ეს სურათი, ვეღარ ისვენებდა ერთ ალაგას, დაიწყო წკმუტუნი, არაჩვეულებრივი ალერსი დამიწყო. მეტოტავებოდა, ხელებს მილოკავდა, თითქოს სამუდამოდ უნდა გამომთხოვებოდა და ხან ცხვარსა და მთელს იმის მოკაზმულობას, მის მხლებლებს გასცქეროდა. გულმა ვეღარ გაუძლო, გაიქცა ცხვრისკენ... შედგა. მოიხედა ჩემსკენ. მე ვიგრძენ, რომ ძაღლის მღელვარებაკარგს არას მოასწავებდა.

— ჯავრია, ჯავრია, აქ, აქ მოდი! — შევუძახე.

წამოვიდა ჩემსკენ, მაგრამ თან ცხვრის ფარას ვერ აშორებდა თვალს. დამიწყო ხელების ლოკვა, ატოტავდა, ორივე ფეხი გულზე მომაბჯინა, თვალებში მომაჩერდა, თითქოს ბოდიშს იხდიდა იმ გრძნობისათვის, რამაც დღეს მოულოდნელად იმის გულში გაიღვიძა, უნდოდა ეთქვა — მაპატივეო, მაგრამ როგორ მეტყოდა პირუტყვი მეტყველს?

ენა სდუმდა, ხოლო თვალები უფრო მეტს ამბობდა, მეტს ნაღველს ჰხატავდა, ვიდრე ენას შაეძლო ეთქვა. ბოლოს ფეხები ჩამომაშორა და ცხვრებისკენ გაიხედა... გაიქცა კიდევაც. მე ვეღარაფერს ვამბობდი, მხოლოდ დანაღვლიანებული თვალს ვადევნებდი ძაღლის ყოფაქცევას. როგორც ანდამატმა ნემსი, ისე მიიზიდა ჩემი ჯავრია ცხვარ-ბინამ, რომელიც არც კი ისაკლისებდა ძაღლს და გადავიწყებულიცა ჰქონდა ერთს დროს თავის ერთგულის ოთხფეხის არსებობა. თვით ჯავრიასაც დაჰვიწყებოდა, რა ყოფაში ჩააგდო იგი ცხვრის დევნამ, დაჰვიწყებოდა ჩემი ამაგიც, იქ მიიზიდებოდა, იქ ეწადა. დაჰგმო ფუფუნება, საუკეთესო საჭმელი და მყუდრო საადგური. როცა ცხვარს მიუახლოვდა, ერთხელ კიდევ დავუძახე ხმამაღლა, მაგრამ ყური აღარ მიგდო. შეიჭრა პირდაპირ ძაღლების გუნდში; მისმა ნაამხანაგრებმაც დაქინდრული თავები მაღლა აიღეს, დაშვებული კუდები ასწიეს და ჯავრიას ალყა შემოარტყეს, როგორც მოულოდნელად მისულ მტერს; დაუწყეს ღრენა... ხოლო ღრენა მალე სუნვად გადაიქცა, კუდების აფშლეკა — კუდებთან გადაჯვარედინებად. საქმე

ცუდად იყო. ჯავრიამ თავისთავსაც უღალატა და მეც. ველარ მოვი-
თმინე და მეც იქ მივედი. შორიახლოს დავდეგ.

მწყემსმა იცნო თავისი საყვარელი ძაღლი, მწყემსობაში ძვირფა-
სი ამხანაგი და მიაშურა ძაღლისკენ. ჩემი ჯავრიაც მიეგება, რო-
გორც შვილი დედას, და გაიმართა მათ შორის თავაზა და სალამი.
ძაღლი ხელებს ულოკავდა, ხოლო მწყემსი თავზე ხელს უსვამდა და
ალერსიანად ჩაელაპარაკებოდა.

— ღურბელავ, ღურბელავ, ჰეი შენ რჯულძაღლო, შე მამაძაღ-
ლო, სად იყავ, კაცო, რად დაგვანებე თავი, უშენობით, იცი, რამდენი
ვიზარალეთ?!

სწორე სახელიც არა მცოდნია ძაღლისა მე უბედურს, — ვსთქვი
გულში. განა საკვირველია, ის ძველი პატრონი არჩიოს ჩემს თავს.
რომელსაც პატარა შვილივით გაუზრდია, მერე ამდენის ცხვრის პატ-
რონი. ეჰ, ნეტავი მეც ცხვარი მყოლოდა.

ჯავრიამ დამინახა, შერცხვა, თვალები მომარიდა, გადგა განზე,
მეცხვარესაც მოშორდა და სხვა მხარეს დაიწყო ყეფა, თუმცა დასა-
ყეფი არავინ და არაფერი იყო.

— წავიდეთ, ერთად წავიდეთ, ჩემო ღურბელავ, ახლა მაინც
თავს ნუღარ დამანებებ, — ჩაეუბნებოდა ძაღლს და თან ბანჯღვლი-
ანს ქუდს აფამფარებდა.

— სად უნდა გამოგყვეს, ძმობილო, ძაღლი ჩემია! — ვუთხარი მე
მწყემსს სახეალეწილმა და საჩხუბრად გამზადებულმა.

— განა არა ჩანს, ძაღლი ვისიც არი. — წარმოსთქვა მან და თან
გულიანად გადიხარხარა: — ეს მგელი, ეს იმის კვალიო.

მოვუყევ აქეთურ-იქითურს, თუ რამდენი შრომა გავწიე ძაღლზე,
გამოვკვებე. მწყემსმა ყურზე ხელი არ მოიკიდა.

წავედი შინ, შევჩივლე მშობლებს, დამეხმარეთ-მეთქი, მაგრამ
იმათაც უარი მითხრეს. „პატრონი გამოსჩენია, რა გვეთქმისო“!

თვალცრემლიანს მომინდა ისევ მწყემსებთან მისვლა და მუქარა
ახლა ხვეწნაზე შევცვალე. ვეხვეწებოდი, დამითმეთ ძაღლი-მეთქი,
მაგრამ დიდი უარი მითხრეს.

— ვისია ეს ბალღი? — დაეკითხა ჯავრიას პატრონი ერთერთს
მწყემსს, რომელიც ჯოხზე იყო დაბჯენილი და ჩვენს ლაპარაკს
ყურს უგდებდა.

— ღვდლისა უნდა იყოს. — უპასუხა იმან.

— ჰო, მღვდლის შვილი ვარ-მეთქი,—წამოვიძახე გათამამებულმა,
რომ ეგებ მღვდლისშვილობას მაინც ეშველა ჩემთვის.

— ძალიან კარგი! მახარე, მახარე, — მიუბრუნდა ჩემის ჯავრიას
პატრონი მესამე მწყემსს, — დაუჭირე ერთი ნაგალა ციკანი, ტყუპის

ცალი: რაკი ძაღლი კარგად შაუნახია, ჩვენც პატივი ვცეთ, არაფერი გაგვიხდება ერთი მგლის ვახშამი და ეს ჯეელიც არ დაგვწყევლის.

მე ჯერ ვიუარე, მაგრამ ბოლოს უდედობას დედინაცვალი ვამჯობინე.

ცხვარსა და მეცხვარეებს სამის ვერსის მანძილზე გავყევი, ჯავრია ჩემთან მოდიოდა, ეგონა მეც იმასთან ერთად ვიქნებოდი ცხვარში, უხაროდა, აღარ ირცხვენდა თავის მოქმედებას. ბოლოს გამოვეთხოვე მწყემსებს გულდაკოდილი და ნაფეშქაშარი ნაგალა ციკანიც თან წამოვიყვანე. ცოტა მანძილი რომ გამოვიარე, ჯავრიას სამჯერ კიდევ დავუძახე. ჯერ წამოვიდა ჩემსკენ. გაასაშუალა ჩემი გამოვლილი მანძილი, დადგა, კუდის ქნევით მიცქირა, ცოტა ხანს მერე ამოიძუა კუდი და მიმეფარა თვალთაგან.

ახლა ციკანი მყვანდა ჯავრიას მაგივრად. ძაღლის ხმა ღაფღაფით მომწონდა, ამის ხმა კიკინით მახალისებდა. როცა კიკინით მომეგებებოდა, გულში ვიხუტებდი და ვკოცნიდი. პატარა რქების ძირებზე ვფხანდი, ესიამოვნებოდა, თავს მიშვერდა, ბუჩაობაც ვასწავლე... ბაკაბუკით დაბძანდებოდა, თითქოს ქოშები აცვიაო. ისე გაეშმაკდა, რომ, ვინ იცის, რა ოინებსა შვრებოდა; სიცილითა გვხოცავდა, მეტადრე მაშინ, როცა კატას ებუჩავებოდა...

ჯავრია ღმერთმა პატრონს მოახმაროს მშვიდობა-გამარჯვებაში, იმის წყალობით ბევრი ბეკეკა და ციკანი გააზრდევინოს!..

[1909 წ.]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როგორ გაჩნდენ გუეგი ქვეყანაზედ?

I

— ბალღები სადღა არიან? — იკითხა იოთამმა, როცა სახლში შევიდა, ისრით იღლიაგაგმირული, ტყავგაუხდელი არჩვი კერაზე დააგდო ისე დაუდევრად, რომ ნადირის წვერმოკაუჭებულმა რქებმა მიწაც კი მოჩიჩქნა. ვერ იყო იოთამი კარგ გუნებაზე: თავიდან ფეხებამდის წურწურით წყალი გასდიოდა. ავდარს დაესველებინა: მშვილდი და კაპარჭი (საისრე) დედაბოძზე წნელით მიმაგრებულს ირმის რქაზე ჩამოჰკიდა და აჩქარებით კერაზე გახურებულს ცეცხლს მიაშურა; გასათბობად ხელები მიუპყრო; ტანზე გარექცევ ნაცვამი ჯიხვის ტყავის კალთებიდან ორთქლმა დაუწყო პირისახეზე ადენა; თბებოდა ცეცხლზე და თანაც ცოლისაგან პასუხს ელოდა, რომელიც იქვე, კერის შორიახლოს იწვა არხეინად, ძუ ვეფხვსა ჰგვანდა. გველხოკერასავით სქელი, შავი ნაწნავები ზოგი უკან, ბეჭებზე ჰქონდა გადაყრილი, ზოგიც წინ, გულ-მკერდზე ელაგა. პირისახე მოსინულ სპილენძს მიუგავდა. პატარა ბიჭს, იოთამთან ნაყოლს, ძუძუს აწოვებდა. ბავშვი ორის ხელით ჩაჰბღაუჭებოდა და გაშმაგებით სწოვდა ტუჩების ტკბარუნით. ვეფხვის ლეკვი ვეფხვის რძეს შეექცეოდა. დედა-შვილნი განცხრომაში იყვნენ. ლოგინად არჩვებისა, ირმისა და მგლის ტყავები ეგოთ, ხავსსა და ლელზე დაფენილი.

ეს მეორე ცოლი იყო იოთამისა, მოტაცებული, ნანადირევი. ტყეში შეჰხვდა, სანადიროდ ნამყოფი, სტაცა ხელი, არც აცივა, არც აცხელა, პირდაპირ თავის ქოხში ამოაყოფინა თავი. შენ ჩემი ცოლი ხარ, ჩემი მონა-მორჩილო. მდევრად წამოსული ცოლის ძმები ისრით დახოცა, სიმამრს ქვით გაუტეხა თავი, კინაღამ ისიც საიქიოს გაისტუმრა. იოთამი ძალიან მძლავრი, მამაცი ადამიანი იყო.

ქმრის გამოხმაურებაზე ცოლმა მხოლოდ გადმოიხედა და ცეცხლივით შავი თვალები გადმოანათა, ოდნავაც არ შენძრეულა.

— ბალღები სად არიან-მეთქი, შენ გეკითხები? — განუმეორა იოთამმა.

მოუხეშავს, ბრიყვს, სასტიკს იოთამს ფრიად უყვარდა პირველი ცოლიდან დარჩენილი შვილები, ქალ-ვაჟი, მზია და ვეფხვია.

— ძროხები დაუკარგიათ, იმათ საძებნელად დავგზავნე, — უპასუხა ცოლმა.

— ოჰ, ოჰ, ჩამწარდა წუთისოფელი, სიცოცხლე შხამი გახდა შენს ხელში, დედაკაცო! ხუთი-ექვსის წლის ბალღები ამ უკუმეთს ღამეში რა ძროხებს მოგიძებნიან?! ვინ იცის, რა დაეშართებათ ამ უკუმეთ ღამეში? გინდა ისინიც ნადირს დააჭამო? ამდენს ჩემს სულით ტანჯვას და ჩემი შვილების წვალებას ბარემ ერთხელ თავები დასჭერ, მორჩი და გაათავე, შენც მოისვენე და მეც მომასვენე, — სთქვა გაჯავრებულმა იოთამმა.

— შენ გააჭირე საქმე და შენმა შვილებმაც... რა გახდა შენი შვილები, გველის წიწილები ცოტაა ქვეყანაზე? — უპასუხა განრისხებულმა ცოლმა.

გაშტერებული იოთამი დიდხანს უცქეროდა ცოლსა.

— ჰაი, შე გველო, მართლა და გველო, — წარმოსთქვა მან ბოლოს... მაშინვე ჩამოიღო კაჩხიდან მშვილდი და საისრე, ლახტი წელში გაირჭო, დაიბჯინა შუბი და გავარდა გარედ: წვიმა კოკისპირულად ასხამდა. მიდის იოთამი უგზო-უკვლოდ. თავბრუ ესხმის. ერთხანად შედგა, ჩაფიქრდა, უნდოდა დაბრუნებულიყო, ცოლისთვის სამაგიერო გადაეხადა, მაგრამ ფეხი და აზრი აღარ შეშალა. გასწია პირდაპირ, მიდიოდა როგორც გატყორცნილი ისარი. თავი შეყო ხშირს დაბურულს ტყეში, ავიდა მაღლობზე და ყვირის: „ჰეი, ვეფხვიავ, ჰეი, მზიავ!“ პასუხი არ მოსცა არავინ. იმის ძახილზე მხოლოდ ნადირნი გარბოდენ, მიალაწუნებდენ; ხის ტოტებიდან დამფრთხალი ფრინველები ზოგი ჰაერში ფარფატებდა, ტყის თავზე, სხვა ტყეშივე დაფთხრიალებდა, დასაჯდომ ალაგს ეძებდა.

დადის თავგადაგლეჯილი, ხელებდასისხლიანებული, თავ-პირდაკაწრული. „სადა ხართ, ჩემო შვილებო, თქვე საწყლებო, სადა? ჰაი, ვეფხვიავ, ჰაი, მზიავ!“ ხან თავისთვის ბუტბუტებდა იოთამი და ხან კი მაღალის ხმითა ჰყვიროდა. ამაო იყო მისი ძახილი: გაღმა ფერდობებიდან მხოლოდ კლდეები გამოხმობით, გამოძახილით უპასუხებდენ.

თმაგაწეწილი, თვალებდაფეთებული იოთამი გიჟსა ჰგავდა, აქეთიქით აწყდებოდა, არ იცოდა, სად დაედგა ფეხი, რისთვის ეხლო ხელი, ყველგან თავისი შვილები ეგულებოდა, აქ მალე ისე შორს სად წავიდოდენ, რო ვეღარ შევხვდიო, ფიქრობდა თავისთვის... ჰაი, მზიავ, ჰაი, ვეფხვიავ! როდი იცოდა საბრალომ, რომ მისი შვილები დედინაცვალმა იმავე საღამოთი დაირეკა კარში, როცა ის სანადიროდ

წავიდა და დღეს მესამე ღამეა, რაც იმათ ტყის ჭერი ჰფარავს, ნიავი ეალერსება დედასავით, ნაკადულები უამბობენ სახუმარო, საცინელს, სასიამოვნო ამბებს, რომ ისინი ცოცხლები იყვნენ, მხოლოდ სხვა სახით; იმათი ხმა, ძახილ-ძუხილი კიდეც ესმოდა, მაგრამ არ იცოდა, ეს ხმა ვისი ან რისი იყო. უკვირდა იოთამს, კაცი ბერდება ამ ტყეებში და ჯერ ამისი მსგავსი არაფერი ჰსმენია. რა იცოდა, თუ მისი შვილები ეძახოდენ ერთი-მეორეს. რას ეძახოდენ, მით უმეტეს, არც ის ესმოდა.

II

დედინაცვალს არ ეხდინებოდა იოთამის შვილები, უნდოდა იმათი თავიდან მოშორება და აი ღონე იხმარა: იმ საღამოსვე, როცა იოთამი სანადიროდ წავიდა, როცა ვეფხვიამ და მზიამ საქონელი მორეკეს, იმათ შეუმჩნევლად ეს საქონელი ბაკიდან გამორეკა, უჩინარ ადგილას მოაფარა, ხოლო გერებს მოუშარა, საქონელი რად დაგიკარგიათო, გასწით, მოძებნეთო, ბალღების თავის მართლებამ ვერ გასჭრა. ნახეს — საქონელი ბაკში აღარ იყო. „გასწით, გასწით, ამ წუთში იპოვნეთ საქონელი, უიმისოდ თვალით არ დამენახოთ, თორემ ამ სიპებზე გაგინაყთ თავს“. დედინაცვალს ორივე ხელში სიპი ქვა ეჭირა, ერთიმეორეს ტაშივით შემოჰკრა, ისე მკვეთრად და სარწმუნო კილოთი წარმოსთქვა ეს სიტყვები, რო ბალღებს ტანში ჟრუანტელმა დაუარა. „მინამ არ იპოვოთ, თვალით არ დამენახოთო!..“ საშინლად ბნელოდა. ბავშვები ტირილით გაუდგნენ გზას, მაგრამ სად იყო გზა? ულრან ტყეში უგზო-უკვლოდ დახეტიალობდენ, ერთმანეთს ეკვროდენ, ხელიხელჩაკიდებულნი მიდიოდენ, ერთი რომ ჩაიქცეოდა, მეორე აყენებდა ფეხზე. მოსთქვამდენ, გარკვევით ისმოდა იმათი ტირილი. „ვაი, დედი, ვაი დედიო“! უხმობდენ დედას მოჰშველებოდა, მაგრამ დედა არსადა სჩანდა. იმათ გარშემო მხოლოდ მხეცების ბრდღვინვა და ფშვინვა ისმოდა. ბალღების ტირილზე ზოგი მათგანი დამფრთხალი გარბოდა, მაგრამ ზოგი კი, სიმშილით შეწუხებული, პირდაღებული თავზე წაადგებოდათ, მაგრამ ბალღების ღრიანცელი მოსისხლე მხეცსაც კი გულს ულბობდა, ერიდებოდა — გვერდზე გაუვლიდა იგი. რამდენჯერ ორთქლმავალივით თვალები შეანათა მგელმა, მაგრამ თავს დაცემას ვერც ის ბედავდა.

ბავშვები შიშით ზეზეურად დნებოდენ, ცახცახებდენ, ყოველ ფეხის გადადგმაზე სიკვდილს მოელოდენ, საქონელი კი, ოხერი, არსადა სჩანდა. თავის დაცვის ძალ-ღონე არა ჰქონდათ.

„ოჰ, ღმერთო, ღმერთო!“—წარმოსთქვეს ერთად, ერთხმად ერთ

დიდ ჭანდრის ფესვებში მიკუნპულებმა: „ღმერთო, გვაქციე ფრინ-
ველებად, რომ მაღლა ხეზე შევაფაროთ თავი, მხეცებმა ველარაფერი
დაგვაკლონ, ადვილად მოვიაროთ ეს არემარე და მალე ვიპოვოთ
საქონელიო“. სწორედ ამ დროს ჩამოიარა „ამინმა“. ხომ გაგიგონიათ
ძველი თქმულება — „ამინი“ დღეში სამჯერ ჩამოივლისო და რა-
საც იმ დროს ინატრებს კაცი, უნაკლულოდ აუსრულდებაო. „ამინი“
ერთი თვალის დახამხამებაზე ხდება. როცა ვეფხვიამ და მზიამ
ფრინველობა ინატრეს, „ამინმა“ ამინი დაუცა და გადაიქცნენ ბუე-
ბად. ერთმანეთის გამომშვიდობება ვერც კი მოასწრეს. ერთი ერთ
მხარეს გაფრინდა, მეორე — მეორეს და შეუდგნენ თავშესა-
ფარის ძებნას. დღე დედინაცვლის შიშით ვერ გამოდიან კარში, იმა-
ლებიან ხის ფუღუროში. სხვა ფრინველებსაც იმიტომ ეჯავრებათ
ბუები, რადგან თვისტომად, თავისიანად არა სცნობენ. ამიტომ
ჩვენც, ადამიანები, როცა ერთს ვისმე აწვალებენ, დასცინიან, სტან-
ჯავენ მრავალნი, ვამბობთ „აიბუეს საწყალი კაციო!..“

დიაღ, გაფრინდენ საწყლები სხვადასხვა მხარეს და შეუდგნენ
თავიანთ საქმეს — საქონლის ძებნას. რამდენიმე ათასმა წელმა გან-
ვლო დღევანდლამდე, ისინი კი ისევ გულმოდგინედ დაეძებენ დანა-
კარგს, უძახის ერთი მეორეს, ეკითხება: „ვერ იპოვეო?“—„ვერა, ვე-
რაო“, — უპასუხებს მეორე და თავიანთ ამაო შრომას. „ვაი, დედიო,
ვაი დედიო!“ ამ სიტყვებით აბოლოვებენ...

III

ოთამი არა სცხრებოდა, გაფაციცებით დაეძებდა შვილებს, იმას
საქონელი აღარ აჯავრებდა, არ გადურჩა გაუჩხრეკელი არც ღრან-
ტები, არც ხის ძირი, არც კლდის ძირი. ამაო იყო ყოველი ცდა,
არსად სჩანდა დედამიწაზე იმის შვილების კვალი. ღამ-ღამობით გა-
ნუწყვეტლად ესმოდა ეს საუცხოვო ხმა — ბუების ძახილი; ბევრ-
ჯელ ვაის ძახილით თავზედაც გადაუარა ბუმ, მაგრამ ერთმანეთს
ველარა სცნობდენ მამა-შვილები. მთელი ორი კვირა შვილების ძებ-
ნას მოანდომა. რასაც კი მტაცებელს ნადირს, თუ ფრინველს შეჰხვ-
დებოდა, ისრით გულს უპობდა, ღმერთმანი, ააცდენდა, საოცარი
მსროლელი იყო შვილდისრისა. ერთხელ გალეშილი, თავპირგასის-
ხლიანებული მგელი ნახა ტყეში. მაშინვე გულში ფიქრმა გაუარა —
უთუოდ ჩემის შვილების სისხლით აქვს მგელს ლაშები მოთხუპნუ-
ლიო. დიდხანს არ ალოდინა, ხელდახელ მოიმარჯვა მშვილდი, გაუ-
დო ისარი და მოსწია ლარს. ისარი სტვენით წავიდა და ნადირს
გულში გაუარა: ასე გულეურად ისარი არასოდეს არ გაუსროლია.

„ოჰ, შე წყეულო, შე მოსისხლევ, შენ დასჭამე ჩემი შვილები?“ — ჩაეუბნებოდა იოთამი. აღარ აცალა ნადირს თავისთავად მომკვდარიყო, ყურებში დასტაცა და აითრია, თავში ლურსმებით მოჭედილს ხვედას უშენდა: „მოკვდი, არამზადავ, მოკვდი!“ თან ხახაში ხელებს უყოფდა. მგელს სიკვდილი არ აკმარა, დანით მუცელი გადუსერა და შიგ ხელებს აფათურებდა, თითქოს ცოცხლებს ამორეკავდა მგლის მუცლიდან თავის შვილებს. როცა ვერაფერი ნიშანი იპოვა, გაუტყაველებელს ნადირს მიანება თავი. წყლულიდან ისარი ამოაძრო, გაწმინდა სისხლიანი ზრო (ისარზე დასაგები წვეტიანი რკინა), ჩააგო საისრეში და წავიდა. მეორე დღეს მიეყუდა ბუნაგში ნაწოლს დათვს, — რაღაც ცხოველის ძვალსა ხრავდა. „შენ დასჭამე ჩემი შვილები და ახლა ძვლებსა ხრავ, შე მურტალო?“ დათვმა მხოლოდ ღრიალით უპასუხა, უკან ფეხებზე შედგა, იოთამის მოსაგერებლად ემზადებოდა, მაგრამ იოთამის წვერმახვილმა შუბმა აღარ დააცალა და იქვე სული გააფთხობინა... იოთამმა ძვლებს დაუწყო სინჯვა, მაგრამ დათვის ნახრავი ძვლები ერთიც არ გამოდგა ადამიანისა. დარწმუნდა, რომ არც მგელს და არც დათვს იოთამთან არაფერი დანაშაული არა ჰქონდათ, მაგრამ იმათი დახოცვა მაინც არ ენანებოდა...

IV

„რა ვქნა?“ — წარმოსთქვა იოთამმა: — „მთელი დედამიწა გადავჭყვენე, გადავქექე, გადავბზარე, კინაღამ გადავაბრუნე და ვერ ვიპოვე შვილები, ნუთუ დედამიწამ უყო პირი და ქვესკნელს ჩაიტაცა? იქნება ცამ ცაში აიტაცა საცოდავები? აღარ ვიცი, საით წავიდე, აღარ ვიცი, რაღა ვქნა? რა წყალს ჩავუდგე?“ — ოხრავდა და ჰბორგავდა; მუხლები ეკვეთებოდა, წელში მოიხარა ასი წლის მოხუცივით. მალ-მალ გიჟივით წამოიტყოდა: „ვაჰმე, შვილებო, საწყლებო, უსუსურებო, ჩავდეგ თქვენს ცოდვაში ეს თავმკვდარი, ესა!“

კლდეზე ბღოტიალში ვეფხვს წააწყდა, ერთმანეთი მალე იცნეს. ვეფხვი გულიანად მიესალმა.

— გამარჯობა, ჩემო კეთილისმყოფელო! — მიახალა პირში ვეფხვმა, როცა იოთამისა და ვეფხვის თვალები ერთმანეთს შეხვდენ.

— გაგიმარჯოს, ჩემო მეგობარო, მაგრამ ვაი ამისთანა გამარჯვებას, მე რომ გამარჯვებული ვარ. — სთქვა გულამოსკვნით იოთამმა.

— რაო, რა დაგმართნია? რა ამბავია? რა საქმე წაგიხდა ისეთი, აღარ შეიძლებოდეს გამოვაკეთოთ? ნუთუ ვეღარას ვუშველით, ვერაფერს ვუწამლებთ შენს ვარამს — წარმოსთქვა ვეფხვმა და თანაც მოშავფრო სალტებით აჭრელებული კუდი გავაზე შემოიგდო ნიშნად

იმისა, თუ შენ რამ გიჭირს, მე ხომ არ გამიჭირდებაო. ვეფხვი ფიქრობდა, იქნება ველარ მოკლა ნადირი და დახმარებას მთხოვს, ისევე, როგორც წინათ დავხმარებივარო. მართლაც ამ ვეფხვმა იოთამს თმაზე უმრავლესი ნადირი მოაკვლევინა, ზედ შეაგდებდა და იოთამი ისრით ხოცავდა. რა თქმა უნდა, იოთამისაგანაც სიკეთე მოაგონდებოდა და სიკეთეს ვეფხვიც სიკეთით უხდიდა. კლანჭიდან იოთამმა ვეფხვს სიპი ქვა ამოუღო, ისეთ დროს უექიმა, რომ ვეფხვს აღარ შეეძლო მოძრაობა. იოთამს შველა სთხოვა და ამანაც არ დაიზარა მიშველება, ამის შემდეგ დამეგობრდენ. ამ დამეგობრების ხანში ვაჟიშვილიც ეყოლა იოთამს და ამას ახალ მეგობრის სახელი — ვეფხვია დაარქვა.

— შვილები დავკარგე, მეგობარო, უსუსური ბალღები; დღეს ათი დღეა დავეძებ და სრულებით ვერაფერი გავიგე იმათი ვერც სიცოცხლისა, ვერც სიკვდილისა. ვინ იცის, იქნება ნადირმა დამიჭამა შვილები? — მიუგო იოთამმა.

— მე კი ღმერთმა დამიფაროს ადამიანის ლეშს პირი დავახლო! განა ფიცია საჭირო? განა იმ სიკეთის შემდეგ, რაც შენ ჩემზე დასთესე, შემიძლიანდა ვახლო ადამიანის ხორცს პირი, არა მარტო შენს და შენობილისას, არამედ ვინც უნდა იყოს, მხოლოდ ადამიანის სახე ჰქონდეს. სხვა მხეცებისა რა მოგახსენო, იმათ ვერ დავუფიცავ. ვერ დავუფიცავ ვერც მგელს, ვერც დათვს, ვერც აფთარს, ვერავის, ვერა. მე, მეგობარო, სამსახურისთვის მზადა ვარ, არ დავზოგავ შენთვის ჩემს ჯანს, ჩემს კლანჭებს და თვალებს, თვით სიცოცხლესაც კი. წავიდეთ, მივიარ-მოვიაროთ, მოვძებნოთ, ან მკვდრებს შევხვდებით, ან ცოცხლებს, — უთხრა ვეფხვმა.

მეგობრის ნუგეშიანი სიტყვები იოთამს გულზე მალამოდ წაესო. იოთამმა მადლობა გადაუხადა.

— თუ მაგდენს სიკეთეს მიზამ, მეც იქნება ისე არ მოვკვდე, არაფერი გარგო, დიდადა ვარ შენგან დავალებული და ეხლა თითქმის ყელთამდე ავივსე შენის დავალებით. ძალიან დიდი მადლობელი ვიქნები, თუ ჩემის გულისთვის გაირჯები, — უთხრა იოთამმა. წავიდენ სხვადასხვა მხარეს და თანაც პირობა დადეს, ამავე ადგილას შეყრილიყვნენ, სცდილიყვნენ ერთიმეორისთვის და გაეგებინათ ერთმანეთისათვის საქმის ავ-კარგი.

ვეფხვი გულმოდგინედ შეუდგა მეგობრის შვილების ძებნას, მოვლო მთელი მიდამოები. იოთამსაც, რა თქმა უნდა, არც დღე ეძინა, არც ღამე. ბევრი იარა, ცოტა იარა, მიადგა ერთს მდინარეს.

— მდინარევ, მდინარევ, ხომ არ გინახავს ჩემი შვილები, ჩემი მზია და ვეფხვია? ნუ დამიმალავ, სწორე მითხარი? ხომ არ მოსულან

შენს კიდეზე? წყალი ხომ არ დაულევიათ? იქნება შენ დაარჩვე, მაგრამ რა შვილი მეტყვი! — სთქვა რა ეს იოთამმა, თან შუბის წვერი ჩასჩხვლიტა ერთს დიდ მორევში.

— რასა სჩადი, რასა, ეი, ხეპრევ, უგუნურო? — წარმოსთქვა გაჯავრებულმა მდინარემ: — შვილები თავად შენ დაარჩვე და, აქ, ჩემთან კითხულობ? შენს შვილებს რა დაუშავებიათ, რო დავარჩო. ისინი ანგელოზებია, უსუსურნი, უმეცარნი, ცხოვრებაში გამოუცდელნი, დასარჩობი შენა ხარ და, რომ შევიძლებდე, არც დაგზოგავდი, რადგან ღირსი ხარ ამ სასჯელისა.

— რადა? რა დავაშავე? — დაეკითხა იოთამი.

— დანაშაული მეტი იქნება? რად ჩაჰყარე ჩვილი ბალღები დედინაცვლის ხელში, თუ შენ კაი კაცი ხარ? როცა ის თვალუუჟუნა, თმაგრძელა შენს კერაზე დააბძანე, მაშინვე დაარჩვე შენი თავიც და შვილებიც, — მიუგო მდინარემ. იოთამმა ხმა გაკმინდა, თავი დაჰკიდა...

— ჰო, ჰო, უთუოდ არა სტყუი, მდინარევ, — წარმოსთქვა მან ბოლოს: — ნამდვილად ჩემი ბრალია, მოდი, ნუ დამზოგავ, დასარჩობი ვარ, დამარჩვე.

პასუხს არ დაუცადა მდინარისას, გადაეშვა პირდაპირ წყალში. წყალმა წაიღო, კარგა მანძილზე ატარა და გარიყა. როდი დაარჩო. იოთამი კვალად გადავარდა მდინარეში, მაგრამ წყალმა ისევ გარიყა. ასე ცხრაჯერ, თუ ათჯერ გამორიყული ისევ წყალში ვარდებოდა, მაგრამ წყალი არ არჩობდა, ჰზოგავდა, ენანებოდა, ბოლოს გალუმპულმა, რისხვისაგან აცახცახებულმა ერთ გამოქვაბულ კლდეს შეაფარა თავი... მოიბუზა კლდის ქვეშ და თანაც მოსთქვამდა: „ვაჰმე, ჩემო შვილებო, ჩემო ვეფხვიავ, ჩემო მზიავ!“...

ულრანი ტყე, უდაბური ადგილი რაღაც ხმაურობამ ააზრიალა... „მზიავ, ვეფხვიავ!..“

— კაცო, კაცო, ადამიანო, რასა სტირი? რას სჩივი, რას დაეძებ? აგერ შენი შვილები, აგერ იმათი ძახილი, ისინი უკვე ფრინველები არიან, იმათ რომ შეხვდე, ველარ იცნობ, საბრალოვ! აგერ ერთი ეძახის: „ვეფხვიავ, ვეფხვიავ, ვერ იპოვე?“ — ვერა, მზიავ, ვერაო,— მეორე უპასუხებს. — უთხრა კლდემ იოთამს, — ეხლა ტირილით და ჩივილით ვერაფერს უშველი.

— მართალს ამბობ? სწორეა? საწყლები ისევ საქონელს დაეძებენ, რადღა უნდათ საცოდავებს? — სთქვა იოთამმა და თვალებიდან ცრემლების წმენდა დაიწყო.

— მაშ, ვსტყუი? რა საკადრისია. ქვეყანაზე რაც მოხდება, განა მე გამომეპარება? არადროს, — მიუგო კლდემ.

— მაშ, დავიჯერო — გეყურება ჩემი შვილების საუბარი? — წარმოსთქვა კვალად იოთამმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნათლად, ცხოვლად, ისევე, როგორც შენი საუბარი, გოდება და გულის ტკივილი, — უპასუხა კლდემ.

— არ შეიძლება, გეთაყვანე, გამოელაპარაკო ჩემს მაგივრად, შეატყობინო, რომ მე აქა ვარ და მინდა იმათი ნახვა, ასე დაუძახო: მამა თქვენი აქ არის და თქვენი თვალით დანახვა უნდა-თქო? — შესთხოვა კლდეს იოთამმა.

— სულ ტყუილია, არაფერი გამოვა. ისინი მაინც და მაინც არ მოგეკარებიან, არც ხმას გაგცემენ; ვერც არაფერს შენ გააგონებ, დავიწყებული ჰყავთ მამა, სიტყვა მამა აღარ არსებობს მაგათთვის,— მიუგო კლდემა.

— მაშ, ნეტავი მეც კლდედ მაქცია, რომ ჩემი შვილების ხმა მაინც მსმენოდა მუდამ, ამით მენუგეშებინა თავი. ღმერთო, ყოვლად შემძლებელო, მაქციე მეც კლდედ. — წარმოსთქვა იოთამმა ხელაპყრობით. სწორედ ამ დროს ჩამოიარა „ამინმა". იოთამი კლდედ იქცა, აეტუზა, მიეკრა იმავე კლდეს, სადაც თავი შეაფარა, მხოლოდ იოთამს ადამიანის სახე შეჰრჩა. სდგას თავდაკიდებული, გულხელდაკრეფილი და თვალებიდან ცრემლს აფრქვევს. როცა გაიგონებს თავის შვილების გულის მომწყვლელ კივილს, იოთამი — კლდედ ქცეული, დაიწყებს გულამოსკვნით: „ვაჰმე, შვილებო, ვაჰმე, შვილებო!..."

V

ვეფხვი, იოთამის მეგობარი, რაღა იქნა? იჯდა დანიშნულ ადგილას გაუნძრევლად დაყუნთებული და თვალებს აწყალებდა მეგობრის მოსასვლელ-გზასა. ერთს ადგილას იყო ტკიპივით მიკრული, აღარც საჭმელი აგონდებოდა ვეფხვს და აღარც სასმელი. მიცემულ პირობას არა ჰღალატობდა, ელოდებოდა თავის კეთილის მყოფელს. უცადა ერთი კვირა, უცადა ორი, — თვე, — ორი, ოთხი, მთელი წელი, ხმებოდა ვეფხვი და დნებოდა ერთ ადგილას დაკერებული. იოთამი არსადა სჩანდა. ჩამოდნა, როგორც ცვილი, დაეღვენთა დედამიწას. ვეფხვის ძვლების და ლეშის ნაღვენთისა ამოვიდა დეკა ქუჩად, დაყუნთებულ ვეფხვის სახედ, რომელიც აღარც იზრდება, აღარც პატარავდება, არცა ხმება. ვეფხვის მსგავსად ამოსულს დეკას მხარს უმშვენებს ზამთარ-ზაფხულ აყვავებული, დაუჭკნობელი პირიმზე — ყვავილი მთისა.

[1909 წ.]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დათვი

(ზღაპარი)

I

გამარჯვებული დათვი სარკეში იცქირებოდა; წვერს ივარცხნიდა, ულვაშებს იწკეპავდა, იმშვენებდა; თვალებს, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დიდად ხან გაახელდა, ხან მიჰლულავდა და გუნებაში ამბობდა: „იჰ, იჰ, რა ბიჭი ვარ, ძალიან მოხდენილი ვარ, ძალიან! ჩემზე ლამაზი დედამიწის ზურგზე არც ერთი ცხოველი არ მეგულება. ლომი? — კატაა. ვეფხვი? — ისიც ხომ კატაა. მგელი? — ძაღლია, ძაღლი. ტყუილია ჩემისთანა. ამ ტოტებს უყურებთ? რა ტოტები მაქვს, თუნდა მოვდვა და ეს ჭანდარი ეხლავე პირქვე დავცე?!“ — სთქვა რა ეს, უკანა ფეხებზე შედგა, ტოტი ტოტს შემოჰკრა და სიამოვნებით გაიღიმა. „არა, — განაგრძო დათუნამ, — მე რომ წინ მიდგებიან, ვითომ რაო? რა ჰგონიათ? არ იციან, რომ დავლეწავ, დავფშვნეტ, ყველაფერს ნაცარ-მტვრად ვაქცევ? ვინა ვარ მე? ვინ? ვის უბედავენ? — რადა სჭამო? — ჯერ ერთი, მშიან და ამასთანავე ძალაც შემწევს. მაშ ძალა, ღონე არ მოვიხმარო? გიჟი ვიქნები არ მოვიხმარო და თავს სიამოვნება მოვაკლო. ვერ მოხვდათ? ვერ იგემეს ჩემი ტორები? ეგრე უნდა, ბიჭმა იცის!“

ამას, იცით, ჩვენი დათვი როდის ამბობდა? — ომგადახდილი იკვეხოდა თავის სამფლობელოში, დაბურულს, ულრანს ტყეში, — მაშინ, როცა მთელი ნინიას ოჯახი და მისი მეზობლები გმინავდენ და ტიროდენ დიდიან-პატარიანა თავპირდამსხვრეულნი, ტანდალეწილები ბიძია დათუნიას წყალობით. დათვი ნინიას სიმინდში დაეჩვია: ჯერ საქონელი გაულაგა ბაკიდან, რაც კარებზე პანტა-პუნტები ედგა, ის ჩამოლეწა და ახლა სიმინდს მიჰყო ხელი... გამწარებულმა ნინიამ ვეღარ მოითმინა, თითონ არ ჰქონდა თოფი და რის ვაინაჩრობით ქართული ჯაზეირი იშოვა, მთელი სოფელი შემოიარა იმის გულისათვის. მთელი ერთი კვირა მართა. როგორც იყო, ჩახ-

მახი მოაკოწიწა, ტალიც ძლივძლივობით იშოვა, — ერთი-ორი სროლა ტყვია-წამალი, და ჩაუსაფრდა თავის დამღუპველს და გამაჩანაგებელს: „თუ ვერ მოვკლავ, გაფთხება მაინც ეგ ვერანაო“, — ამბობდა ნინია.

დათვი ჩვეულებრივ შებრძანდა სიმინდში და დაუწყო ტაროებს ლეწა-მტვრევა. ნინიამ თოფი დაახალა დათვს. მაგრამ ააცდინა. დათუნია ეცა ნინიას, ამოიდო ქვეშ და დაუწყო ბეგვა; კარგად მიტორა. ნინიამ მორთო ყვირილი: „მიშველეთ, მომკლა დათვმაო“,—ღრიალებდა საცოდავი კაცი. ქმრის ყვირილზე მოვარდა ნინიას ცოლი ნენე, დედას მოჰყვნენ თან შვილები, ჯოხებით და კეტებით შეიარაღებულნი. დათვმა ყველასაც ის დღე დააყენა. რაც საბრალო ნინიას, შეიქნა საშინელი წივილ-კივილი, მოცვივდენ მეზობლები კეტებით ნინიას მისაშველებლად. დათუნიამ არავინ გააბედინა, ყველა ერთმანერთს მიაკლა, ადგა და უჭირველმა გასწია თავის ბუნაგისკენ. მოიგონა გარდახდილი ბრძოლა, უსამართლობა ადამიანისა, წინააღმდეგობა, ურჩობა, გამარჯვებამ თავი მოაწონებინა და სამერმისოდ გაამხნევა.

„როცა იციან მაგ ბრიყვებმა, — ამბობდა კვალად დათვი, — რომ ვერაფერს ჩამომრჩებიან, რატომ თავისთვის არა ყრიან?! არ ეტევიან თავიანთ ქერქში? მე დავტევ ძალით! ჩვენი შრომაო, ჩვენი ოფლი დათვს მოუნდაო, — გაიძახიან. მომინდა? ალბათ შამერგება კიდეც. თუ არ შამერგება, წაიღონ! ეცადონ, ვის, ან რაღას ელიან?! აი მე და აი ისინი! გაგიხარიან, კარგად მოვტორე ყველანი, ვგონებ რომ ველარ გაბედონ კრინტის დაძვრა. ბრიყვები, სულელები! ჰმ, ჰმ, ვერ უყურებ მაგათ თავხედობას!“ — ბურტყუნებდა თავისთვის დათვი კალხზე შემდგარი. უსვამდა ტოტებს წიფლისა და მუხის ბონცვრებს, ამსხვრევდა, ჰლეწდა, — ეგონა, ისევ სიმინდში ვარ და ხალხს ვეომებიო.

როცა გული მოიჯერა ბობოქრობით და ორონტრიალით, დათვმა მიიხედ-მოიხედა, შემდეგ დაყუნთდა, თავი დაქინდრა და დაფიქრდა. „ჰოო, — წარმოსთქვა დაბოლოს, — ვიდრე ერთი ურჩია ქვეყანაზე, ჩემი ბედნიერად ცხოვრება ყოვლად შეუძლებელია. სრულს ბედნიერებას მხოლოდ მაშინ მოვიპოვებ, როცა ურჩნი მთლად გასწყდებიან, აღიფხვრებიან პირისაგან ქვეყნისა. ამიტომ საჭიროა ყველას გონების ჩარხი ასე მოიმართოს, ასე ფიქრობდეს და სხვაგვარად არა: დ ა ე მ ო რ ჩ ი ლ ე ნ ი თ უ ძ ლ უ რ ნ ი ძ ლ ი ე რ თ ა, რ ა მ ე თ უ მ ა თ ხ ე ლ თ ა რ ი ს ს ი ც ო ც ხ ლ ე თ ქ ვ ე ნ ი, ე. ი. ჩ ვ ე ნ ი ო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხეცთა შორის გავარდა ამბავი, რომ ბიძია დათუნას ბრწყინვალედ გაუმარჯვნია. დაჰრევია სოფელში უიარაღო ხალხს, დიდი და პატარა ერთმანერთისთვის მიუყოლებია. ერთს ვიღაცას თოფი დაუხლია. წაურთმევია, დაულეწია და გადაუყრიაო. ამ ამბის გამო მხეცებს თათბირი შეექნათ და გადასწყვიტეს ერთხმად დათვისთვის გამარჯვება მიელოცათ. სწორედ უნდა მიელოცათ, რადგან გამარჯვება დათვისა საერთოდ მხეცთა გამარჯვებას მოასწავებდა ადამიანთა ტომზე: სუსტს ამაღლებდა, ამაღლებულს ხომ სიმაღლეს ჰმატებდა. ამ ყრილობას ვეფხვი და ლომი არ დასწრებიან, ამიტომ მხეცებმა იმათთან დელეგატები გაგზავნეს, რათა შემოერთებოდენ საერთო გადაწყვეტილებას, მხეცთა განაჩენს. ლომს მოწიწებით ეახლნენ მგელი და მელა, სალამ-ქალამის შემდეგ განუცხადეს მხეცთა დადგენილება. ლომი სიბრაზისაგან თვალებიდან და კბილებიდან ცეცხლსა ჰყრიდა, იფრინა ორივენი, როგორც მელა, ისე მგელი, და კუდამოძუებულები გაგზავნა შემდეგის პასუხით: „როგორ? მე, ლომი, ნადირთა მეფე, ვეახლო ტარტლიანს, ყარტლიანს დათუნას, უიარაღო ხალხს რომ დაერია და დაგლიჯ-დაფლითა? დაიკარგეთ აქედან, თქვე არამზადებო, თქვე ქეციანებო, თქვენა!.. მე ათასი და ხუთასი შეიარაღებული მიფრენია, ჩემთვის არავის მოულოცია გამარჯვება, მე წავიდე და სიმშილისაგან გადახრწნეული ხალხის დამარცხება მივულოცო ცინგლიანს მძოვრიჭამია დათვსა?! გასწით და თქვენ მიულოცეთ, რაც ის არის, ის თქვენ ბრძანდებით, როგორიც ალხანა, ისეთი ჩალხანაო“.

ვეფხვმა უფრო ზრდილობიანად დაითხოვა მხეცთაგან გაგზავნილი ჩაფრები: „არა მცალიან, საქმე მაქვს, ვერ წამოვალ. თქვენ წადით და მიულოცეთ. რაღა თქვენ, რაღა მეო“. ამ პასუხით მოიშორა ვეფხვმა თავიდან დელეგატები.

პირველად დათვთან გამარჯვების მისალოცად მგლები წარდგნენ. დათვი დაბღორილი, თავმოწონებული დაუხვდა მგლებს, დინჯად თავს უკრავდა და თითქოს აგრძნობინებდა — თქვენც ცემა-ტყეებას მოელოდეთ, თუ ჩემი ხათრი და რიდი არ გექნებათ, ჩემი სახელის დამხობას, აბრუს გატეხას ეცდებითო. მგლებმა დაიწყეს: „დიდებულო, ყოვლად ძლიერო, ორგულთა შემმუსვრელო, ერთგულთა მოწყალევ, ყოვლისა კეთილით აღსავსევ, აღმატებულო. ცათამდე აღტყინებულო, მფლობელო ტყეთა და კლდეთა, მთათა და ბართა, მშვენიერო დათვო! გავიგეთ რა თქვენ მიერ სამაგალითოდ დასჯა ურჩთა და ორგულთა სოფლელთა, რომელთაც გაბედეს და გამოიჩინეს

სიბრიყვე და სიჯიუტე თქვენს წინაშე, როცა თქვენ მოისურვებდით იმათ სიმინდისა და ყანის მირთმევასა, გილოცავთ ბრწყინვალე გამარჯვებას იმათზე ყოველ ქამს, უკუნითი უკუნისამდე. თქვენა ბრძანდებით უფროსი ძმა ჩვენი და გამარჯვება თქვენი არს ჩვენი გამარჯვება. ან რას ჯიუტობენ სოფლელნი და თავში ქვას იხლიან? რატომ არ უნდათ დარწმუნდენ, რომ ჩვენ ვართ იმათი ბატონი და ყოველი მათი სარჩო-საბადებელი ჩვენ ხელთ არის და რომ მოვიწდომოთ, ერთს დღეს გავუჩანაგებთ მთელს საცხოვრებელს. ცხვარს ან ძროხას რომ ვიტაცებთ, თოფითა და ხმლით უკან მოგვდევენ და ძაღლებს გვისისინებენ... უსვინდისონი არა ფიქრობენ იმას, რომ ტყე და მინდორი ჩვენი საკუთრებაა და იმათი ცხვარი და ძროხა ამ ჩვენს ტყე-მინდორში იკვებება. უარესად უნდა დავსაჯოთ, უარესად! ცოტაა კიდევაც ეს სასჯელი, რაც აქამდის მივაყენეთ. გაუმარჯოს დიდებულს დათვსა, იმის ხმალსა და ძალასა!..“ ღმუოდენ მგლები, მარჯვენა კლანჭებს ჰაერში იქნევდენ, ხოლო კუდებს დაბლა მიწაზე ატყაპუნებდენ.

დათვმა თავისებურად, დარბაისლურად მადლობა გამოუცხადა: — „გმადლობთ, მგლებო. დიდად გმადლობთ, როგორც მოლოცვისა, ისე კეთილგონიერებისათვის, რომელიც თქვენ დღეს წინაშე ჩემსა გამოიჩინეთ. სწორედ სთქვით, სწორედ ჰბჭობთ. ნუ დაზოგავთ ამიერიდან სოფლელთ ნურაფერში, უფრო მომეტებული ჩვენი ხათრი მაშინ ექნებათ, როცა დაშინებულნი და შეძრწუნებულნი იქნებიან ჩვენ მიერ. ხოლო ერთი უნდა გახსოვდეთ, სახელი ჩემი და აბრუ აღამაღლეთ ქვეყნის თვალში ქებითა და დიდებითა, რათა თქვენც აღმაღლდეთ“.

მელებმა, ვიდრე დათვს ქებას შეასხამდენ, ლომი და ვეფხვი დაჰგმეს. იმათი უზრდელობა, უხეირობა აღიარეს დათვის წინაშე და დათვი კი ცამდე ასწიეს. ფიანდაზად გაეგნენ ფეხთ ქვეშ და დიდი ერთგულობა აღუთქვეს. ტურებიც საბრალოდ ჩხაოდენ მხოლოდ ერთს და იმასვე: „გაუმარჯოს დათვს. გაუმარჯოსო!“ თანაც თვალთაგან გულწრფელობისა თუ გულჩვილობისა გამო ცრემლები ჩამოდიოდათ ღაპაღუპით. მაჩვები დაჩოქილები იდგნენ დათვის წინაშე. ბურტყუნებდენ რაღაცას, იმათ ლაპარაკიდან მხოლოდ ეს გაირჩეოდა: — ჩვენო დათვო, ბატონო, ჩვენც შენის ჯიშისა ვართ, შენი უმცროსნი ძმანიო. მზად ვართ ავასრულოთ შენი ყოველი სიტყვა, ყოველი ბრძანებაო და სხვა...

ტყეში დიდი ამბავი იყო. ხემა და ქვამაც კი გაიგო, რომ მხეცები დათვს გამარჯვებას ულოცავდენ, ყველა მისკენ ქება-დიდების შესასხმელად მიისწრაფოდა. კურდღლებს ამ ამბის გაგონებაზე ტანში

კანკალი მოჰკიდა, შეიყარნენ და მოილაპარაკეს: „ჩვენთვის დღესაქამომდე დათვს არაფერი დაუშავებია, არც გამოგვდგომია დასაჭერად და ვაი თუ ამიერიდან, რომ არ მივულოცოთ, გაწყრეს და დაგვემტეროსო“.

ამ ფიქრის გამო გასწიეს იმათაც დათვთან სალმის მისართმევად. ახლოს ვერ მიჰბედეს და შორიდან უცხადებდენ თავიანთ გრძნობებს წვერების ცმაცუნით და ყურების ბარტყუნით, ხტომით და ფუნდრუკით.

კორდზე ვირი ება საბლით, გაიგო, რომ დათვს ულოცავენო, შხეცთა მიდენ-მოდენამ აუტოკა იმასაც გული, გაწყვიტა საბელი და გვერდზე ცხვირგაჭრილი გაიქცა დათვთან სახელის მოსალოცად. აჰყვა ვირიც ფეხის ხმას.

დათვის მილოცვები ორი-სამი დღე გაგრძელდა. ამ ხნის განმავლობაში, რა თქმა უნდა, დათვს მოჰშივდა. ვირის დანახვა ძალიან ესიამოვნა. თუმცა ვირი დაფითა და საყვირით ულოცავდა დათვს გამარჯვებას და თანაც ფუნდრუკობდა, უვლიდა თამაშობით გარშემო დათვის საბძანებელს. დათვი ღრმად მადლობას უცხადებდა, ტოტებზე შემდგარი პირქვე ემხობოდა და უწოდებდა თავისთან: „დიდად გმადლობ, ვირო, სახელოვანო ვირო,— ეუბნებოდა დათვი, — შენისთანად არავის უსიამოვნებივარ, შენისთანა სალამი ჩემთვის არავის მოურთმევია. მოდი, გაკოცო, გენაცვალე, გაკოცო მაგ მშვენიერ ყელში, საიდანაც ეგ მარგალიტი სიტყვები ამომდინარებსო“. ვირს ქებამ თავბრუ დაჰხვია და მიიჭრა დათვთან. დათვმაც მაგრა ტოტები მოჰხვია და დაუწყო ლოღნა. წამოაწვინა და, ვითომ ყელში ჰკოცნიდა, პირს უსვამდა, თან კბილები უკაწკაწებდა ლეშისთვის. ვირმა სული განაბა, თვალები დახუჭა, სიამოვნების მორევში შესცურა: ხუმრობა საქმე ხომ არ იყო, — დათვი, დიდებული დათვი, ეალერსებოდა. დათვმა, ალერსით გატაცებულმა, ყრონტში კბილი მოუჭირა. ვირმა შეჰყვირა: „ვაჰმეო“, მაგრამ დათვი უფრო უჭერდა კბილს და თან მაგრა ჰბღუჯავდა ვირს ღონიერის, მძლავრის ტოტებით. ვირმა მორთო ღრიალი: „სუ, ჩუმად, რა გაყვირებს? — ეუბნებოდა დათვი: — მიყვარხარ, ძალიან მიყვარხარ, ჩემო ვირო!“ ეუბნებოდა რა ამას, თან მაგრა კბილებს უყრიდა. ამ ალერსში და ხვევნა-კოცნაში, რაღა ბევრი გავაგრძელოთ სიტყვა, ვირი გათავდა. დათვი თავის სატრფოს ყვავსა და ყორანს ხომ არ გადაუგდებდა შესაჭმელად, იმაზე უპრიანი იყო და მიჰყო კიდეც ხელი და არც სინიდისი ჰქენჯნიდა. რატომ არა? იმიტომ, რომ დათვი ძლიერია და ვირი სუსტი,— პირველი ბატონია და მეორე ყმა. ვირი იმიტომ მივიდა დათვთან — ესიამოვნებინა, დათვს კი დღეს მილოცვა აღარ ესიამოვნებოდა, რად-

გან ჰშიოდა, ცარიელი სიტყვების რახარუხი მას ხომ სასმელ-საჭმელობას ვერ გაუწევდა?! მაშასადამე, სრული, უნაკლულო, ნამდვილი მილოცვა — ვირისა გამოდგა, რადგან მთელი თვისი არსება ძღვნად მიართვა თავის ბატონს. ბატონყმობა, თუ ვიტყვით, ამისთანა უნდა სწორედ. დათვი ასე სჯიდა: ვინც ჩემი ნამდვილი პაციენტისმცემელია, ჩემი სიამოვნება უნდა, რო შევჭამო, ხმა-კრინტი არ უნდა დაძრასო... დათვის შეხედულება, აზრი მსოფლიო ცხოვრებაზე ასეთი გახლავთ საზოგადოდ: თუნდა სტუმრად მივიდეს ვინმე მასთან, თუნდა მისალოცად, ნამეტნავ მაშინ, როცა ჰშიან, უნდა შაჭამოს. სიმშილი თავისთვის იყოს, — ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო, ნათქვამია.

III

გავიდა ცოტაოდენი ხანი და დათვის სრასახლის კარებზე ჯაშუშების გუნდი გაჩნდა. ვინ გინდა, რომ არა ჯაშუშობდა: მაჩვებიც კი, რომელთა ათი ნახტომი ერთი ადლი არ გამოვა; და ყველა დათვისაგან რაღაც გამოუთქმელს და დიდს წყალობას მოელოდა; ხოლო არავის არა ჰქონდა კარგად გამორკვეული, ეს მოწყალება დათვისა რა ჯურისა, რა თვისებისა იქნებოდა. თუ დათვი გაიმარჯვებდა, ყველა მათგანი უსათუოდ უნდა დიდს ბედნიერებას მოჰსწრებოდა. ასე ჰქონდა ყველა ჯაშუშს აღბეჭდილი წარმოდგენა გულსა და გონებაში. ამიტომ დიდს ფაცაფუცში იყვნენ, მიდიოდენ და მოდიოდენ. ყოველი ჯაშუში იმას ცდილობდა, საუკეთესო რამ ცნობა მოეტანა ბატონისთვის.

პირველად განგაში მელამ დაჰკრა. მოიტანა დათვის წინაშე და დააგდო თავი კურდღლისა. „შეთქმულობაა, ბატონო ჩვენო, შეთქმულობა თქვენს წინააღმდეგ: შეკრებილიყვნენ კურდღლები და ჩურჩულ-კურკულებდენ — უნდა დათვი დავამხოთო, — უყურებ წყეულებს!.. მე დავუქროლე, ერთს ვსტაცე ხელი, წავაგლიჯე კისერი, სხვები შეშინდენ და გაიქცნენ. აი ეს გახლავთ თავი იმ წყეულის ბოროტგამზრახველისა“. — სთქვა მელამ, გადისო ულვაშზე ხელი და თანაც დოინჯი შემოიყარა.

— ყოჩაღ, — უთხრა მას დათვმა: — ტანი რა უყავი, ვსთქვათ, ეს თავი აქ არი.

— ტანი, ბატონო? — განაგრძო მელამ, — ჯურღმულს მივაბარე.

— როგორ, ჯურღმულს? — დაეკითხა დათვი.

— ისე რომ, — განაგრძო მელამ, — ავიღე და კლდიდან ღრმა ხევში გადვუძახე.

მელამ იცრუა: კურდღლის ხორცს თითონ გიახლათ, მაგრამ ამას ხომ არ გაამჟღავნებდა.

— კარგი იქხებოდა, თან წამოგეღო, — სთქვა დათუნამ. — რომ გაგვეროზგნა სხვებთან, სხვების სამაგალითოდ.

— გაბრაზებულმა რომ ველარ მოვისაზრე, ბატონო! — სთქვა მელამ.

— რაღა გაეწყობა — დააბოლოვა სიტყვა დათვმა, — მხოლოდ შემდეგისათვის გაფრთხილდი, თუ კიდევ მოასწრო სადმე, რამდენსაც თავი მოჰკვეთო, მთლიანად აქ მომართვიო.

მელამ თავის მიწაზე დაყრდნობით „ბალი-აღა“ მოახსენა. დათვმა მელა გაისტუმრა ამ სიტყვებით: — მელები, საზოგადოდ, მოხერხებულები ხართ, თქვენი იმედი დიდად მაქვს, ვიმედოვნებ, რომ ჩემი ერთგულები იქმნებით ბოლომდე და ჩემს ბრძანებასაც სავსებით შეასრულებთ. ხოლო ამას ნუ დაივიწყებთ, ტყეში ნადირობას დროებით ხელი უშვით და სოფლებს მიჰყავით ხელი. ტყეში ნადირი მუდამ ჩვენს ხელთ არის, სოფელში კი — არა. ხომ გესმის? „მესმის, ბატონო!“ — მოახსენა მელამ თავის დაქინდრვით.

— სწორედ ეგრე მოიქეცი! — სთქვა დათვმა.

მელამ ძუნძულით გასწია. მელიას წასვლა და მგლის მოსვლა.

— ბატონ დათვს გაუმარჯოს! — დაიძახა მან შორიახლოდან.

— გაგიმარჯოს მგელსაც! — მიუგო დათვმა, — ამბავი, ხაბარი? — ამ დროს დათვი ვირის კანჭალასა ჰხრავდა. მგელსაც მსხვილი ნერწყვები მოუვიდა პირში, მაგრამ რა გაეწყობოდა.

— მშვიდობა, თქვენი კარგად ყოფნა და დღეგრძელობა, — სთქვა მგელმა.

— მაინც შენ უსაქმოდ არ გაირჯებოდი? — განაგრძო დათვმა.

— არც კაი ამბავია, — განაგრძო მგელმა: — თქვენა ბრძანდებოდეთ კარგად, თორემ მაინც არც არაფერი იმითი იქნება.

— რაო! რისაგან რა უნდა იყოს? — სთქვა დათვმა.

— ეჰ, განა არ მოგეხსენება, ბატონო, ბრიყვი ქვეყანაა და თანაც სხვები აბრიყვებენ და თქვენს წინააღმდეგ ამხედრებენ. — სთქვა მგელმა.

— როგორ, ჩემ წინააღმდეგ? ვინ არიან ის ავაზაკები? — სთქვა დათვმა თვალების ბრიალით.

— ჩემი თქმა რა საჭიროა? თქვენც ხომ კარგად იცით.

— მაინც ვინ არიან? ვინ არიან ის ავაზაკები? — ამბობდა დათვი განრისხებული და გამწარებული.

— დასამალი რაა, ბატონო? — განაგრძო მგელმა, — სულ ციყვებისა და კვერნების ბრალია, აბრიყვებენ და აბუნტებენ ქვეყანას.

— ااااخ! ვერ უყურებ მაგ მატლებს, მაგათ! მოიცადონ, მე ვაჩვენებ მაგათ სეირს! — სთქვა დათვმა განრისხებით და სამი მუჭა ქაფი გადმოაგდო პირიდან.

— დღეს დილით, — განაგრძო მგელმა, — შეკრებილიყვნენ შვლები, ირმები, არჩვები, ღორები, და ვინ იცის კიდევ სხვა რამდენი... თათბირი ჰქონდათ, მე ჩუმად მივეპარე და ყური დავუგდე...

— მერე რას ამბობდენ? — გააწყვეტინა სიტყვა დათვმა.

— ერთხმად იძახოდენ: „უსათუოდ უნდა დათვი განვდევნოთ, დავამხოთო. მთელი ტყე, ტყისა და დედამიწის მოსავალი მაგას მოუნდაო“.

— ხა-ხااا! ხა-ხااا!! — გადიხარხარა დათვმა: — მერე ვინ მიპირებს დამხობას, ან რით, შენ ეს მითხარი? შვლები? ირმები? არჩვები? ჰმ, ჰმ... — დაეკითხა დათვი გაკვირვებით.

— არა, ბატონო, ისინი არა! — სთქვა კვალად მგელმა, — სხვები გახლავანო.

— ვილა სხვები? — ჰკითხა დათვმა.

— ტახები... მერე რა ჯონგა-ჯონგა ტახებია! უჰ, ღმერთო, შამიწყალე... თითოს ოროლი მტკაველი კბილი აქვს. იმათ კბილებს რომ ვუცქეროდი, ტანში ჟრუანტელი მივლიდა; თქვენთან საბრძოლველად ისინი ამოირჩიეს ერთხმად, და ტახებმაც თანხმობა გამოუცხადეს, დაიწყეს ეშვების ლესა და ისეთი ხმაურობა გამოსცა იმათმა კბილებმა, თითქოს ცა სჭექდა. თანაც წარმოსთქვეს: „ჩვენ ამოვაშხამებთ დათუნას, რაც ჩვენთანა ზიარი რკო და წიფელი შესანსლაო“.

— მობრძანდენ, იმათ მე გავცემ პასუხს, — სთქვა დათვმა რიხიანად, თუმცა გულში კი რამდენიმე ძარღვი ჩასწყდა. არ ესიამოვნა ტახების ამხედრება. — სხვას ხომ არაფერს იტყვი?

— არაფერს, ბატონო. ეგ იყო ჩემი სათქმელი და მოგახსენეთ კიდეც. — მიუგო მგელმა.

— ძალიან კარგი, — განაგრძო დათვმა: — ყველას პასუხს გავცემ, ხოლო თქვენ, მგლები, — განაზრახე ყველანი, — უნდა ამიერიდან სოფლებში ჰნადირობდეთ. ტყეს ხელი უშვით, აქაური ცხოველი და ფრინველი არსად გაგექცევათ და, რაც შეიძლება, სოფლელები შეაწუხეთ, გაიგონე?

— დიახ, ბატონო! — მიუგო მგელმა.

— გასწი და აასრულეთ ყოველივე წმინდად, უკლებლად! — უბრძანა დათვმა რიხიანის ხმით.

— ბატონი ბრძანდებითო! — სთქვა მგელმა და გასწია, ხოლო ვირის კანჭალას თვალს ვერ აშორებდა.

არ გაიარა დიდმა ხანმა, ახლა მაჩვი მობობღდა. დიდის ამბით დათვს: „გაუმარჯოს ჩვენს სახელს, ჩვენს დიდებას, ბ-ნს დათვს!“

— ოჰ, ბიძაშვილსაც გაუმარჯოს! — დათვი მაჩვს ბიძაშვილს ეძახდა და მაჩვსაც ამით თავი მოსწონდა.

— სხვა, როგორ რასმე ხარ? როგორ გიკითხო, ბიძაშვილო? — მოიკითხა დათვმა მაჩვი დამცინავის კილოთი, — უსაქმოდ არ გაირჯებოდი!

— საქმე ფრიად საყურადღებო არს, უფროსო ძმაო და ჩვენო ბატონო, ფრიად საყურადღებო. — სთქვა მაჩვმა ბოხის ხმით, ხოლო ნაღვლიანის კილოთი.

— მაინც რა ამბავია? — ჰკითხა კვალად დათვმა.

— ეჰ, უბედურება და უკეთურება ქვეყნისა: შეთქმულობა! გუშინწინ სოფელში გახლდით: დიდი ამბებია. ხალხი იარაღს ისხამს და აპირობს თქვენზე თავსდასხმას. დიდს მზადებაში არიან ყველანი, დიდი და პატარა, — სთქვა მაჩვმა ამოოხვრით.

— მერე რას წაიღებენ? ნუთუ აღარ ახსოვსთ ჩემის ტოტის და კბილის გემო? მობრძანდენ და გაიგებთ ყველა, როგორ კუდით ქვა ვასროლინო და ჟანგიანი თოფები თავზე გადავამტვრიო, — სთქვა დათვმა.

— ეგ მართალია, ბატონო, მაგრამ აუტკივარი თავი კაცმა ძალათ რად უნდა აიტკივოს?! — უთხრა დათვს მაჩვმა შთაგონებით. — „სიფრთხილეს თავი არა სტკივაო“, — ნათქვამია.

— ძალას სიფრთხილე არ ესაჭიროება. — განაგრძო დათვმა. — სიფრთხილე სისუსტეს ეწამლება მხოლოდ და უნდა იწამლოს კიდევაც, რომ ფონს გავიდეს. ამ ტოტებს უყურებ? ჰხედავ? კარგად დააცქერდი და! — დათვმა ტოტებს მაღლა ასწია. — ამათი პატრონი და სიფრთხილე?! სასაცილოც არის.

— მე, როგორც ტანითა ვარ პატარა და ღონით სუსტი, რა თქმა უნდა, ჭკუითაც სუსტი ვიქნები — სთქვა მაჩვმა, — შაიძლება ვცდები და მომიტევე, ბატონო!..

— მიპატივებია. მხოლოდ შენ ამას გავალებ, რომ ტყეებს თავი დაანებო და, როგორც ჩვეულება გაქვს, სოფლელთა ხნულში და ბოსტნეულობაში განაგრძე მიწის თხრა. რაც შეიძლო მხნედ იმუშავე. — დათვმა ამ დარიგებით გაისტუმრა მაჩვი და თავად სოროში შებრძანდა, მთელი ერთი წელი სოფელში აღარ გაუჭაჭანია და აღარც ვისთვის რამ დაუშავებია; სამაგიეროდ მგლები, ტურები, მელები, მაჩვები და სხვანი მუშაობდენ სოფლად თანახმად დათვის მიერ ბოძებულის პლანისა: ააოხრეს, დააწიოკეს სოფლელები ქურდობით, ტაცობით, სხვადასხვა ავაზაკობით. სოფლელებმა დათვის

ავკაცობა დაივიწყეს; დათვს თითქმის კიდეც ეშადლიერებოდენ და ამბობდენ: „დათვს იმის მეასედი ზარალიც არ მოუცია ჩვენთვის, რაც ამ მგლებმა და მელა-ტურებმა მოგვცესო“. დათვსაც ამის მეტი არაფერი უნდოდა, ჩუმ-ჩუმად გუნებაში იცინოდა.

ტახები კი მაინც თავისას არ იშლიდენ, ერთხელ დასკვნილს პირზე იდგნენ. დათვის მეზობლად ყოფნა არ ეჭაშნიკებოდათ, რადგან მთა-ბარს, ტყე-ველს ისაკუთრებდა. აუარებელი რკო და წიფელი უნდებოდა მის გაუმაძღარს კუჭსა. ამის გამო სხვა ცხოველებს, და უფრო კი ღორებს, საზრდო აკლდებოდათ.

ერთს მშვენიერს დღეს ადგა ორი ამორჩეული ტახი და მოადგა დათვს კარებზე.

— დათვო, დარბაისელო დათვო! — იძახოდენ, — სადა ხარ, ბატონო?! გამობრძანდი კარში, მოისმინე ჩვენი საჩივარი.

დათვმა თავი მოიმძინარა, ვითომ არ მესმისო.

— ნუთუ გეკადრება თავის მომკვდარუნება? — განაგრძობდენ ღორები ყვირილს. — თავის მოკატუნება ველარ გიხსნის, ბიძიავ. დროა, ანგარიშები გავასწოროთ, ბევრი საუბარი ბევრი თავის ტკივილია. გიჯობს ნებით გამოხვიდე, თორემ ძალით გამოგაბძანებთ. ჩათრევას ჩაყოლა გირჩევნია!

დათვი მაინც ხმას არ იღებდა, ტანში ჟრუანტელმა დაუარა. ჰგრძნობდა, ტახების მოსვლა კარგს არაფერს მოასწავებდა.

ოროლი ტახი, — აშკარად დათვის დამარცხების ნიშანი იყო. ცალი თვალით გამოიხედა, და რა დაინახა მათი ძოელვარე ეშვები, თავისთვინ წარმოსთქვა: გაგიხმესთ ეშვები, დაგცვივდეთ, აჰადე! ვსთხოვ მეუფეს, რომ დაგცვივდესთ კბილები! ااااخ! მექნება თქვენისთანა ეშვები, გაგიხარიანთ, მე თქვენ კუდით ქვას გასროლიებდით. მაგრამ რა ვქნა, რომ კბილებისა და ტოტების მეტი არაფერი მაბადია! — სთქვა რა ეს დათვმა, თვალები დახუჭა, რომ ტახების მოელვარე ეშვები არ დაენახა, უფროც გაიტრუნა, სული განაბა, ფიქრობდა: იქნება დამშორდენ თავიდან, სთქვან — შინ არა ყოფილაო და წავიდენ. მაგრამ ტახები სოროს კარებს ჰსუნავდენ და კარგად ჰგრძნობდენ, რომ დათვი სოროში ბრძანდებოდა.

— ვიცით, — განაგრძეს ტახებმა: — ვიცით, ძალიან კარგად ვიცით, რომ შინა ხარ. სად დაგვემალები?! თუ არ გამობრძანდები, ჩვენ გიახლებით და გამოგაბრძანებთ. — ამ დროს ღორების ეშვების კაწა-კუწი ისე ისმოდა, თითქოს რამდენიმე ფოლადის ხმალს ერთმანერთზე სცემენო. პირიდან ქაფს ისროდენ, ბრაზობდენ, ჯაგარი აუშვეს, მოთმინება გაუწყდათ და დაუწყეს თხრა სოროს. საღამო ხანმა მოატანა, როცა მოშავფრო, დიდრონმა ტახმა უკვე დათვის ბეწვი

ალმოაჩინა მიწის ქვეშ და დაუყვირა თავის ამხანაგს: „თეთრონო! აქა ბრძანდება, აქ არის ვაჟბატონი! როგორ მაგრა დასძინებია ამ სულკურთხეულის გაზდილს და! ისიც როდის?.. როცა ამისთანა ძვირფასი, ოქროს სტუმრები ვეწვიენით. აბა, მოთხარე ცოტაც კიდევ და მისი ალმატებულება ჩვენ ხელთ იქნება! — სთქვა რა ეს, ამოჰკრა მაგრა მიწას დინგი ისე, რომ დათვსაც კი მოახვედრა გვერდებში. დათვმა ილმუთუნა, იუკადრისა. აუდგომლობა, ხელის შეუბრუნებლობა შაუძლებელი გახდა. ამოდგა დათვი და შედგა კალხზე.

— ჰაი, თქვე უნამუსოებო, თქვენა! — წარმოსთქვა დათვმა: — უჯეროა, ოროლი მესხმით თავსა? თითო მობრძანდით, თითო, თუ ბიჭები ხართ! განა ეგრეც არი? არა გრცხვენიათ? ვაჟკაცობაზე თავსა სდებთ და სულ უბრალო წესი ბრძოლისაც არ იცით, თქვე მოუნათლავებო, ურჯულოებო, თქვენა!

— თეთრონო! — დაუყვირა მოშავფრო ტახმა, — შენ შორს დადეგ, სეირს უყურე მხოლოდ. ვნახოთ, მართლა ღირსია ბატონად იყოს, თუ არა.

თეთრონი ტახი გვერდზე გადგა, შავფერა ტახმა მოიღრიცა ოდნავ გვერდზე კისერი და მიესია დათვს. დათვი ჯერ ისევ კალხზე იდგა, იცოდა, რომ ღორი პირველი დაუტევდა და ფიქრობდა ქერჩოს ვტაცებო, მაგრამ მოტყუვდა. ტახმა კბილი მუცელში ამოჰკრა. ჭრილობა დათვს ემწვავა, დაიბღავლა. რამდენჯერაც ტახი კბილს გაჰკრავდა, დათვი თვითეულს ჭრილობას ბღავილით ამოწმენდა. მეორე ტახს, თეთრონს, სილაჩრე დათვისა ძალიან გაუკვირდა. „ეგ უბედური რა ლაჩარი რამ ყოფილა და ქვეყანას კი როგორ აშინებდაო“ — ამბობდა თეთრონი ტახი.

დათვმა უკან-უკან იწყო დახევა, თან შავფერა ტახს ტოტებს უქნევდა, ცდილობდა პირი ჩაევლო, მაგრამ ვერ ახერხებდა. ტანიდან სისხლმა დაუწყო დენა, დათვი წყლულებმა შეაწუხეს და მოიწადინა გაქცევა, მაგრამ ამ დროს თეთრონი ტახი წინ გადაეღობა.

— სად გაჰრბიხარ? დადექ, თუ ბიჭი ხარ! — ვეღარ მოითმინა, იმასაც ბრძოლის, ომის ჟინმა მოუარა და გაუსო დათვს ყელში კბილი ისე მარჯვედ, თითქო სასულეში ძროხას ყასაბმა დანა დასცაო; დათვს წარმოსქდა თქრიალით სისხლი, საზარლად დაიღრიალა, დაიჩოქა და უკვე განემზადა სასიკვდილოდ.

— ეყოფა, არა?

— ყოჩაღ, მარჯვედ დაჰხვდი, ბიჭო! — უთხრა შავფერამ თეთრონს ტახს. — მეტი აღარ უნდა, მაგისი საქმე მორჩაო.

— დამითმია, აღარა ვცემ! — წარმოსთქვა თეთრონმა ტახმა და

გაჰშორდა. დათვი ამ დროს აღარა ღრიალებდა, არამედ ყელში ხრიალებდა. ტანმა რყევა უწყო, ფამფალებდა და... დაგორდა, უზარმაზარი ტანით ჰგვიდა რაც ფერდობზე ხე, ფოთოლი და ქვა შეჰხვდა. მელა წამოსულიყო დათვთან რაღაც ამბის მოსატანად. რა ნახა ტახების და დათვის ომი, იქვე შორიახლოს დაიმალა, ხოლო თვალ-ყურს ადევნებდა ბრძოლას: დათვის სიკვდილი კიდევაც ესიამოვნა გუნებაში. ტახების თვალი რომ იცდინა, ჩუმად მივიდა დათვთან და მთელი ჩალაჯი მოაღრღნა, თუმცა ცხოველების წინაშე სწყევლიდა ტახებს, ჰგმობდა, კისრად ძრახვას ადებდა: „ბატონი დათვი ღალატით მოჰკლეს იმ უღმერთოებმაო“, — ამბობდა. ყველა მტაცებელი ცხოველები აღელვდენ: — როგორ გაბედეს ღორებმა ჩვენის ბატონის მოკვლაო, გაიძახოდენ. სწყინდათ დათვის უდროვოდ სიკვდილი, რადგან იმისგან დიდსა და მდიდარს წყალობას მოელოდენ. ხოლო წმინდა, ალალის ლუკმის მჭამელი ცხოველები სიხარულით ცას დაეწივნენ. კურდღლები, რომელნიც გუშინ დათვთან მისალოცად გარბოდენ, დღეს ცმუტავდენ, ხტოდენ, სიხარულით აღარ იცოდენ, რა უნდა ექმნათ.

ჩვეულებისამებრ ყოველდღე დათვს ამორჩეული ჯაშუშები ატყობინებდენ ვინც რა ამბავსაც გაიგონებდა. მელა ხომ ბოვიდა. გამოძღა ბატონის ხორცით და წაბრძანდა, ხოლო ცხოველებს შეატყობინა დათვის სიკვდილი; მელას მოჰყვა ტურა, ნახა ნაომარი ადგილი, — სისხლი, მიეყუდა მკვდარს დათვს, ახლოს მისვლას ვერ ჰბედავდა, მაგრამ რაკი დარწმუნდა, რომ მკვდარი იყო და თანაც ლეშიც რაღაცას ეჭამა, ტურამაც არ იუკადრისა პირი გაესველებინა... კარგად რომ გამოძღა დათვის ლეშით, გაიპარა და ტყეში ჩხავილს მოჰყვა გლოვისა და ტირილის ხმაზე. როგორც მელამ და ტურამ დაიტირეს დათვი, იმავე წესით მგელმა, აფთარმა და სხვებმა. ასე რომ მეორე დღეს, როცა მთელი ცხოველების კრება მივიდა დათვის დასატირებლად, თავიანთ ბატონისა ნახევარი ლეშიღა დაუხვდათ, ისიც ნაჯიჯგნი, ნაჭამ-ნუჭამი, რამაც მხეცები უფრო გააბრაზა და ააღელვა... მართლა სწყრებოდენ თუ არა, ეს ღმერთმა უწყის, ხოლო ერთიმეორეს ისე აჩვენებდენ, ვითომ ძალიან გვწყინსო, უფრო დიდსა და ბევრს ოხრავდენ. ცხელს ცრემლს ისინი ღვრიდენ, რომელთაც მკვდარი დათვი არ დაინდეს და იმის ლეშს გიახლნენ. დათვის სხეულის გაჯუღურებაც ღორებს დააბრალეს; გვამი დათვისა დიდის ამბით და დიდებით მიწას მიაბარეს. ძეგლად დაადგეს კოშკი ძვლებისა, რომელიც მოკრიბეს ტყე-ღრეებში მხეცთაგან გამოხრული. ერთხმად გადასწყვიტეს დათვის მოღალატე მხეცები სასტიკად დაესაჯათ. საშიშარი, ეშვიანი ღორების გზებზე ორმოები

მოთხარეს, რათა ბნელს ღამეში ჩაცვივნულიყვნენ შიგ და დამრჩვალიყვნენ.

ერთს დღეს მთელს ტყეს მტაცებელმა მხეცებმა ალყა შემოარტყეს, დაჰკრეს საყვირს, ასტეხეს განგაში და მთელს ცხოველებს ერთად მოუყარეს თავი-თავს; კურდღლებიც კი, მუდამ მოხერხებულნი ჯაგებში შესაძრომად და დასამალავად, ველარსად დაემალნეს. ყველას კბილებს ულრჭენდენ, ჰგლეჯდენ, სწეწდენ და ისე ერეკებოდენ ერთად, გასასამართლებლად. მოაგროვეს ირმები, შვლები, არჩვები, ჯიხვები, კურდღლები, ნეზვი ღორები და სხვა (ტახები არ ერივნენ, ისინი ხაროებში ჩაეყარათ).

უზარმაზარი ნადირის ჯოგი მოაქუჩეს ერთად, დააჩოქეს ყველა და აბღავლეს: „გაუმარჯოს დიდებულს, ჩვენს ბატონ-პატრონს დათვს, რომელმაც დასდვა თავი სამშობლოსათვის, მხეცთა გვარისა სადიდებლად... ცხონება დათვსა, ხოლო მის ერთგულთ და პატივისმცემელთ დღეგრძელობა და გამარჯვება!“

უცოდინარნი ნადირნი ძალაუნებურად ყვიროდენ, ღრიალებდენ, ჩხაოდენ თავის ჰანგზე, თავის ხმაზე, ხოლო შაერთებული მათი ხმა ჯოჯოხეთის ცეცხლში ტანჯულთა გოდებას მოაგონებდა ადამიანს.

მგლები, აფთრები, მელა-ტურები ამით არ დაკმაყოფილდენ: დაინახეს რა უკბილო ნადირთა მორჩილება, მოწიწება და შიში, მტაცებელნი უფრო გამხნევდენ, აეშალათ საღერღელი. ეს როდი აკმარეს უპატრონო ცხოველებს, დასცეს კიჟინა: „გაუმარჯოს დათვსაო“, დაერივნენ და დაუწყეს ჟლეტა. ნადირნი ზოგნი იხოცებოდენ, სხვანი თავგადაგლეჯილნი გარბოდენ. მტაცებელნი ნადირნი დღესასწაულობდენ. დაჩაგრულნი, უმწეონი, ბეჩავნი წიოდენ, კიოდენ, იმათ გოდებას მთა და ბარი ზეცას აჰქონდა... მთაც მდუმარებდა, ტყეც, მდინარეთაც სახე როდი ეცვალათ, ისევ ძველებრივ მოჩუხჩუხებდენ. გოდება ისმოდა ყოველ მხრით, ხოლო შებრალება არსაიდან.

[1909 წ.]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მელია-სერეფენია

I

პატარა დაობლდა, მაგრამ არც ისე პატარა იყო, საზრდოს მოპოვება არ შესძლებოდა. იჭერდა თაგვებს, კალიებს და ბრიყვ ჩიტებსაც კი. დარჩა მარტოდმარტო მამაპაპეულ სოროში. მშობლები ერთის თვის განმავლობაში დაეხოცა: დედამისი დაიჭირა პრასიანელმა ქიტესა ჩახმახაშვილმა ხაფანგით; მამაც სამის კვირის შემდეგ დაიკარგა უკვალოდ, უნიშან-გერშოდ, — ცამ უყო პირი თუ დედამიწამ, არავინ იცოდა, ბევრჯელ უტირნია სერეფენიას, სოროში მოკუნტულს, თუ სადმე ჯაგის ძირას — გოხებში ლოდებსშუა გატრუნულს. არავინ მოეპოვებოდა საწყალს ნუგეშისმცემელი: ბიძაშვილები შორს იყვნენ გაფანტულნი, ყველა თავის საქმეს მისტიროდა. მხოლოდ ერთხელ დეიდა შეეხვდა: დიდად მიუსამძიმრა, თვალებიდან ცრემლებიც კი წაიწმინდა; დისწულს ერთი ტოროლაც კი უფეშქაშა. ანუგეშა, დაარიგა, როგორ უნდა მოქცეულიყო, რომ ეცხოვრნა და შიმშილით არ მომკვდარიყო, მტერს ხელში არ ჩავარდნოდა.

სერეფენიას ძლიერ ეწადა თან გაჰყოლოდა დეიდას, მაგრამ არ შეეძლო ჩვეულების დარღვევა: ყოველი მელა თავისთვის დადის, თავისთვის ნადირობს; მელიას ძალიან ეზარება სხვას გაუზიაროს თავისი ნალვაწი, ნანადირევი. ხოლო სხვის ამაგზე კი ხარბად თვალი უჭირავს. დედაც თავის შვილებს დიდხანს არ ინახავს თავისთან, მალე მოისხლეტს, მოაშორებს ძუძუს, საკუთარის შრომით, მეცადინეობით აჩვევს საზრდოს მოპოვებას.

დეიდა გამოემშვიდობა თავის დისწულს, მელურად მიუალერსა: გადუკოცნა თვალ-პირი, თავზე თათი გადაუსვა. „ყოჩაღად მოიქეცი, ყოჩაღად!“ — უთხრა უკანასკნელად და გაუდგა თავის გზას.

დეიდის ნახვამ სერეფენიას დაკარგული მშობლები მოაგონა, დაღონდა, ატირდა. დიდხანს დარდს თავს არ აძლევდა: მაინცდამაინც ყოჩაღი გოგონა იყო: ენა და გონებამახვილი, ცბიერი და მატყუარა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მელია-სერეფენია

I

პატარა დაობლდა, მაგრამ არც ისე პატარა იყო, საზრდოს მოპოვება არ შესძლებოდა. იჭერდა თაგვებს, კალიებს და ბრიყვ ჩიტებსაც კი. დარჩა მარტოდმარტო მამაპაპეულ სოროში. მშობლები ერთის თვის განმავლობაში დაეხოცა: დედამისი დაიჭირა პრასიანელმა ქიტესა ჩახმახაშვილმა ხაფანგით; მამაც სამის კვირის შემდეგ დაიკარგა უკვალოდ, უნიშან-გერშოდ, — ცამ უყო პირი თუ დედამიწამ, არავინ იცოდა, ბევრჯელ უტირნია სერეფენიას, სოროში მოკუნტულს, თუ სადმე ჯაგის ძირას — გოხებში ლოდებსშუა გატრუნულს. არავინ მოეპოვებოდა საწყალს ნუგეშისმცემელი: ბიძაშვილები შორს იყვნენ გაფანტულნი, ყველა თავის საქმეს მისტიროდა. მხოლოდ ერთხელ დეიდა შეჰხვდა: დიდად მიუსამძიმრა, თვალებიდან ცრემლებიც კი წაიწმინდა; დისწულს ერთი ტოროლაც კი უფეშქაშა. ანუგეშა, დაარიგა, როგორ უნდა მოქცეულიყო, რომ ეცხოვრნა და შიმშილით არ მომკვდარიყო, მტერს ხელში არ ჩავარდნოდა.

სერეფენიას ძლიერ ეწადა თან გაჰყოლოდა დეიდას, მაგრამ არ შეეძლო ჩვეულების დარღვევა: ყოველი მელა თავისთვის დადის, თავისთვის ნადირობს; მელიას ძალიან ეზარება სხვას გაუზიაროს თავისი ნაღვაწი, ნანადირევი. ხოლო სხვის ამაგზე კი ხარბად თვალი უჭირავს. დედაც თავის შვილებს დიდხანს არ ინახავს თავისთან, მალე მოისხლეტს, მოაშორებს ძუძუს, საკუთარის შრომით, მეცადინეობით აჩვევს საზრდოს მოპოვებას.

დეიდა გამოემშვიდობა თავის დისწულს, მელურად მიუალერსა: გადუკოცნა თვალ-პირი, თავზე თათი გადაუსვა. „ყოჩაღად მოიქეცი, ყოჩაღად!“ — უთხრა უკანასკნელად და გაუდგა თავის გზას.

დეიდის ნახვამ სერეფენიას დაკარგული მშობლები მოაგონა, დაღონდა, ატირდა. დიდხანს დარდს თავს არ აძლევდა: მაინცდამაინც ყოჩაღი გოგონა იყო: ენა და გონებამახვილი, ცბიერი და მატყუარა,

მოხერხებული, — ისეთი ოსტატი, რომ ერთხელ ერთი მწევარი ატირა და აყვირა სერეფენიამ; შეარცხვინა ტოლ-ამხანაგებში და სასაცილოდ გახადა. ერთხელ თავის სოროს შორიახლოს დაცუ(ცუ-ნებდა სერეფენია-ქალი და ამ დროს საიდანღაც მწევარ-მეძებრებით მონადირე გაჩნდა, დაინახა სერეფენია და მიუსია მწევრები. ცოტა გასწყდა, სერეფენია კინაღამ გაბაწრეს. იღბლად თავის სოროში, მის ციხე-დარბაზში, შეასწრო და იქ მოაფარა თავი. ერთი მწევარი გახელებული თან შეჰყვა; უნდოდა მელა სოროდან გამოეთრია, მაგრამ ვერ მივართვი! სერეფენია კუთხეში მიიმალა ისე, რომ თვითონ თავისუფლად შეეძლო მოძრაობა და მწევარს კი ყბების დაძვრაც კი ვერ მოეხერხებინა. გვერდიდან ტუჩზე ბრჭყალი ჩამოჰკრა რაც ძალი და ღონე ჰქონდა და ტუჩი ჩამოაღადრა. მწევარმა დაიყვირა და ტუჩსისხლიანი გამოვარდა გარეთ. სხვებმაც ვეღარ გაბედეს შიგ შესვლა: სორო გარედან თუმც განიერი იყო, მაგრამ შიგნით კი თანდათან ვიწროვდებოდა, მწევარი ვერ შეეტევოდა. გაწბილდა მონადირე, გაწბილდენ ძაღლები და თავის სირცხვილს და ჯავრს ცხვირგახეულ მწევარზე იყრიდენ, დასცინოდენ: ერთმა წუწკმა მელამ ეგრე როგორ გაგაჯულურაო.

II

დიაღ, დეიდის წასვლამ ფრიად დააღონა სერეფენია. „ეჰ, — სთქვა მან, — რა ვქნა, მადლობა ღმერთს, ვიცხოვრებ, როგორც იქნება“. შედგა ერთს ქედურზე (სერზე), დაყუნთდა. მოწმენდილი ცა და ცხრათვალი მზე თავზე დაჰყურებდა. მის წინ გადაიშალა თვალგადაუწვდენელი მინდორი, ხშირის და მაღალის ბალახით დაფარული, მარჯვნივ სერები მისდევს, მარცხნივ კურუმი ტყეა. შიგდაშიგ ჭაობებიც არი. იქ ბევრი, აუარებელი ღალღა იცის. ამ სანახაობამ სერეფენიას გუნება გაუნათლა. შუა მინდორზე მდინარე მიიკლაკნება; მის ორივე ნაპირს, როგორც გაწყობილი, გაწკეპილი ჯარი, მისდევს თან სადარაჯოდ წყებაწყებად მინდვრის ლერწამი. ნიავის შებერვაზე ერთი მეორეს ეხახუნება, აწვება და ისეთს ხმას გამოსცემენ, თითქოს მართლა ლერწმები ჯარისკაცები იყვნენ და აბჯარს აჟღერებდნენ. მერე რამდენი იხვი იცის აქა! ბევრჯელ უნადირნიათ სერეფენიას და მის დედას ამ ლერწმიანებში, ბევრჯელ უდარაჯნიათ აქ იხვებისათვის. ბევრჯელ ლერწმის ფოთლების შრიალი ისე მოეჩვენათ, თითქოს იხვის გუნდმა გადაუარათ თავზე. მოაგონდა სერეფენიას, ერთხელ მისმა დედამ რომ იხვი დაიჭირა. ოჰ, რა მსუქანი იყო! მოაგონდა ნადირობის სურათი: წინ სერეფენიას დედა მიუძღვებოდა, ფეხაკრეფით, ფრთხილად, უკან სერეფენია მისდევდა. „და-

იმალე, დაწექიო“! — წასჩურჩულა დედამ. სთქვა რა ეს, დედა დაწვა, — როგორც ლავაში თონეს, დედამიწას ისე გაეკრა. სერეფენიამაც იმას მიჰბაძა. რა იყო? რა მოხდა?

„ვერა ჰხედავ? — ეუბნებოდა ჯავარ-ქალი სერეფენიას, — დაინახე?“ — სერეფენიამაც თვალები დააცეცა გაღმა მდინარის ნაპირს და დაინახა იხვების გუნდი. ერთი მამალი იხვი, მწვანედ, ყვითლად და მოწითალო ბუმბულით აჭრელებული, გამოერჩია გუნდიდან და წამოვიდა იმათკენ, ზურგი სერეფენიას და ჯავარ-ქალს მიუბრუნა, ხოლო თვალი ისევ თავის ამხანაგებისკენ ეჭირა. ჯავარ-ქალი, სერეფენიას დედა, უფროც დაინაბა, სერეფენიამაც იმას მიჰბაძა. იხვი იკეკებოდა, იბერტყებოდა, ყელს იღერებდა, არსაიდან არაფერს შიშს არ მოელოდა. სწორედ ამ დროს ჩალიანიდან გადუხტა ჯავარ-ქალი. იხვი ადგილობრივ გააკავა. სხვა იხვები აიშალნენ, შექმნეს ყვირილი. გაისმა მაღლა ჰაერში „ყვიტ, ყვიტ, ყვიტ!..“ სწყევლიდენ და ჰკრულავდენ ჯავარ-ქალს, რომ ამხანაგი მოაშორათ...

დედამ კისერმოგრეხილი იხვი დაუგდო სერეფენიას წინ და უთხრა: „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსაო“. სერეფენიას ძალიან გაუხარდა იხვის დაჭერა. დიდხანს უალერსა, ხან თათსა სცემდა და უსვამდა ტანზე და თავზე, ერთხელ თუ ორჯელ კბილი ჩასჭიდა კისერში და გაარბენ-გამოარბენინა; მერე გააგდო დაბლა. თავად ჩალაში დაიმალა და იქიდან გადმოუხტა და პირი სტაცა. სერეფენია ვარჯიშობდა, დედასა ჰბაძავდა.

III

ბგერ იმ სერებმა აუარებელი გნოლი და კაკაბი იცის. იქაც რამდენჯერ უნადირნიათ. ცხადად ჰხედავს სერეფენია იმ გორის ფხას, სადაც მის დედამ ერთი კაკაბი დაიჭირა. ორივენი ლოდებში იყვნენ დამალულები, როცა მთელი კაკბის გუნდი, ერთის ამბით, კაკანით, განგაშით, თითქოს მეფე და დედოფალი მაყრებით, დაფაზურნით მოდიანო, შემოეფინა სერს მინდვრიდან დაბრუნებული. დედამ კაკბების გეზი კარგად იცოდა და ამიტომ მოხერხებულ ადგილას ჩაუსაფრდენ. ერთი დიდრონი, მსუქანი კაკაბი, თავაღებული, ამაყად გუნდს წინ მოუძღვებოდა, როგორც ბელადი, და თანაც ამხანაგებს ხმას აძლევდა: „ნუ გეშინიანთ, გულადად იყავით, მომეყევით აქ, ჰე მომყევითო!“ თვითონაც გულადად იყო საცოდავი, არ იცოდა, წინ რა ხიფათი მოელოდა, მინამ ზედ არ წაადგა სერეფენიას და მის დედას. იმან ვერაფერი გაიგო და ეხლა გვიანღა იყო. ჯავარ-ქალმა სწორედ მაშინ სტაცა კისერში პირი, როცა სარდალმა ამხანაგებისაკენ კისერი მოიღრიცა და გამამხნევებელ სიტყვებს ეუბნებოდა: „მოდით, ძმებო, მოდით, ამხანაგებოვო!“

აგერ ის სახნავი მიწებიც, სადაც ერთხელ დიდრონი, ბებერი სავათი ინადირეს; რამდენი იცინა მაშინ სერეფენიამ!.. როგორ მოეწონა დედის ფანდი და ხრიკი!.. ჯეჯილში სავათების გუნდი დაინახეს, მწვანე ჯეჯილს ჰკორტნიდენ. თეთრად, როგორც ცხვრები, დადიოდენ ხნულში. სავათები და წეროები დიდი ოსტატები არიან: დასასვენებლად ტრიალს ადგილს ირჩევენ, საფარი, მისაპარი არა ჰქონდესო, და თანაც ყარაულებს აყენებენ განაპირებით, რომ თუ მტერი აჩნდება, გუნდს შეატყობინონ სიკვდილის მოახლოვება. — „უნდა ერთი სავათი დაგიჭირო, ერთი სავათის ჯიჯიაც გაგემო“. — უთხრა დედამ სერეფენიას.

— ვერსაიდან მიეპარები, დედავ! მისაპარი არსაიდანა აქვს. — მიუგო სერეფენიამ. — „ი, მიცქირე, მე მოვახერხებ“. — სთქვა ჯავარ-ქალმა და გასწია გუნდისაკენ. შორიდანვე პირუკულმა მობრუნდა, კუდი ამოიკაუჭა და იმრიგად გაიკეთა კუდი, როგორც წეროს და სავათის კისერია. პირუკულმა გასწია სავათების გუნდისაკენ; სავათებმა ვერაფერი ვერ უგრძნეს, არხეინად ჯეჯილს შეექცეოდენ. გაფხორილი მიდიოდა ჯავარ-ქალი. სავათების მხრიდან რომ შემოგეხედნათ, პირველ შეხედვით სავათში ვერ გამოსცნობდით ჯავარ-ქალს. სერეფენია დედას გაფაციცებით, ხშირ ბალახში დამალული, თვალყურს ადევნებდა.

„როგორ ახლოს მიუვიდა, ვერ უყურებ! — ამბობდა თავისთვის სერეფენია, — დაიცა, გავიზარდო, მეც ეგრე ვიზამ, მეც მოვახერხებ კუდის მოკაუჭებასო“. მართლაც, ჯავარ-ქალი საკმაოდ ახლოს მივიდა სავათებთან, ისინი კი ჯერ ყურსაც არ იბერტყავდენ, მაგრამ ბოლოს თავი მაღლა აიღეს, ბალახის კორტნას თავი ანებეს და ახლად მომავალ სტუმარს მიაპყრეს თვალი და გონება, იგრძნეს საშიშროების მოახლოვება. ჯავარ-ქალმა შეატყო სავათებს, რომ იგი ეუცხოვათ და გაფრენა დააპირეს. ჯავარ-ქალმა ისიც იცოდა, რომ ვერ აასწრებდენ, იმ დროს შემოტრიალდა. პირი მიიღო სავათებისაკენ, თავის ვინაობა გამოამჟღავნა და დოსტოლრივ გაექანა სავათების გუნდისაკენ. და ვიდრე ისინი მიწას ასცილდებოდენ და მოასწრებდენ დიდრონი ტანის ალახლახებას, იგი უკვე იმათ წრეში ტრიალებდა. ბევრი აფრინდა. ერთს სავათს სწვდა, ის იყო კი მიწის პირს ააცილა ტანი სავათმა, და ჩამოათრია დაბლა. მეტიც არაფერი უნდოდა... სერეფენიას სიცილის დრო აღარა ჰქონდა, დედის მისაშველებლად გაექანა ისიც. მეტისმეტად მოეწონა დედის ოსტატობა... ჯავარ-ქალი უკვე სავათს მოათრევდა, ისიც შვილისკენ მოესწრაფებოდა სახეგაბრწყინვებული.

— ხომ დამინახე? — ჰკითხა მას ჯავარ-ქალმა.

— სულ ყველაფერი დავინახე. — მიუგო სერეფენიამ. — უჰ, რა ხერხიანად მოიქეცი, დედილო, მეტი აღარ შეიძლება!.. — სთქვა კვალად სერეფენიამ.

— ჰოდა შენც ეგრე უნდა მოიქცე. უნდა ისწავლო ნადირობის წესი. — უთხრა ჯავარ-ქალმა. — მოდი, შენც კბილი ჩასჭიდე ფრთაში, მიშველე, მძიმეა. — სერეფენიამაც ჩაავლო სავათს კბილი და ორივემ დაითრიეს სავათი თავიანთ სოროსკენ. მთელი ერთი კვირა კარგ დროებას ატარებდენ.

IV

აგერ შორს, შორს მოსჩანს მინდვრის ბოლოზე ბარდიან-ღიჭიანი ჭალა, იქაც აუარებელი ხოხობი იცის. მოიგონა იქ ნადირობაც, ერთმა მამალმა ხოხობმა რამდენი სტანჯა და აწვალა ისა და მისი დედა.

სწორედ მასხარად აიგდო ი საქორემ... ჯავარ-ქალის ხრიკებმა ხოხობთან ვერ გასჭრა, თავადაც ოსტატი ვინმე ბრძანებულა. მის დედას კინაღამ თავის ხელით ყელი გამოაჭრევინა.

მთვარიანი ღამე იყო. ერთს უსურვაზით შემოსილს მუხის ბონცვერზე მამალი ხოხობი შეიგულეს. როცა ხოხობს ახსენებდა ჯავარ-ქალი, თხილის ტოლა ნერწყვებს ჰყლაპავდა, სერეფენიასაც, რა თქმა უნდა, პირში ნერწყვი მოსდიოდა. „უნდა ვეცადო. ძალიან ვეცადო, ეგები ხელში ვიგდოთ“, — ამბობდა ჯავარ-ქალი, — „მაგრამ ძალიან ეშმაკია. ერთის მეტი ხოხობი ჩემ სიცოცხლეში ჯერ არ მინადირნია, თუმცა ბევრჯელა ვცდილვარ. ერთხელ ვინადირე ვარიკა ხოხობი, მაგრამ ისიც გამოუცდელი იყო, თამაშობით ვაცდინე“. სწორედ ამ ლაპარაკში იყვნენ დედა და შვილი, რომ შორიახლოს ჯერ ფრთების ბღარტუნი მოესმათ, თან მოჰყვა ხოხობის ზრიალ-ჭრიალი. „ოჰო“,—წარმოსთქვა ჯავარ-ქალმა:— „ესეც ხოხობი, ვნახოთ, რა იქნება. შენ, შვილიკო, ხმასაც ნუ ამოიღებ, ჭკვიანად იყავი, ნურც ავს იტყვი, ნურც კარგს. ვეცდები მე მარტოკა, რაც იქნება — იქნება“. ჯავარ-ქალი მიუცუცქდა მუხის ძირში და გამარჯვებაო, შეუძახა ხოხობს. კაშკაშა მთვარე იდგა. „ყლოო“, — ჩამოსძახა მაღლიდან და ალმაცერად გადმოჰხედა მელას, თანაც კისერი მოხდენით ჩამოძაბა. ჯავარ-ქალმა ჯერ ხოტბა, ქება-დიდება შეასხა ლექსად:

ლამაზო, როგორ მიყვარხარ,
ვით გამოიტყვის ენაო?!.
შენის ყელ-ყურის ჭირიმე,
ეგრე რამ დაგამშვენაო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენს ორგულს და მტერს უფალმა
დილა ნუ გაუთენაო.
როგორ გიხდება ნავარდი,
მაღლიდან დაბლა ფრენაო!..
ვერ ვძღები შენის ცქერითა,
შენ გენაცვალე, შენაო!

„ოჰოო“, — წარმოსთქვა ხოხობმა და გაიკისკისა.

— არ მენდობი? არა გჯერა ჩემი სიტყვები? — ეუბნებოდა ჯავარ-ქალი: — შენ გაგიგონია, მელები ხოხბების მტრები არიანო, — სულ ტყუილია. განა ყველა ერთია! მე შენ შეგჭამო? შენისთანა ტურფა და ლამაზი? ვაი! წავწყდე მაშინ, წავწყდე და დავიკარგო სულით და ხორცით. პირიქით, მე მინდა დაგნათესავდე, შვილი მოგანათვლინო, შენ კი, შე კაი კაცო, რაღაცას ეჭვიანობ. ემისმა გაზდამ, არ გეხუმრები. — სთქვა ჯავარ-ქალმა და თან თავზე თათი დაჰკრა სერეფენიას.

ხოხობი მხოლოდ იცინოდა. რომ საქმე გაუჭირა, ბოლოს უთხრა: „წადი, რა გაეწყობა, მღვდელსა და დიაკვანს დაუძახე, მე არსად გავიქცევი. აქა ვარ“. ჯავარ-ქალი ბევრს არწმუნებდა, რომ მღვდელ-დიაკვანის მოსვლა დაგვიანდებოდა, ისინი კი ერთად ჩქარა მიირბენდენ, მაგრამ, არ იქნა, ვერ გასჭრა მელიას რჩევამ და ხრიკებმა. ხოხობი მხოლოდ ცბიერად გადმოჰხედავდა და წაიდუდუნებდა: „ყლოო, ოჰო, ჰმ!.. ჩემი ჯიჯია გნებავს, ქალბატონო, ვერ მოგართვით. ხეზე ამობრძანდი, აქ მელაპარაკეო“.

ჯავარ-ქალი მაინც არ იშლიდა, ხან შეხტებოდა, ცხვირწინ კუდს გაუთამაშებდა, რა არის, იქნება კუდს ჩამოჰყვესო, მაგრამ აბა! მხოლოდ სეირითა სტკბებოდა.

განთიადმაც მოატანა, გაჰშორდენ ხოხობს გულდაწყვეტით. ცდაშ მაინცდამაინც ტყუილად არ ჩაუარათ: ერთი კურდღლის ბაჭია ინადირეს და საუზმეს შაექცნენ.

ეჰ, წავიდა, გაჰქრა ის დრო, დრო სანეტარო, გაჰქრა, მაგრამ სერეფენია იმ დროს მოგონებით ხომ სტკბებოდა!

V

ერთი უსიამოვნება შაემთხვა სერეფენიას: ზემოთ აღნიშნულის ფიქრების შემდეგ სოროსკენ გასწია, მოუნდა მამაპაპეულის ბინის ნახვა, და როგორც კი შეყო თავი სოროში, შიგნიდან ღრენა შემოესმა; სერეფენია შეკრთა და უკან დაიხია. ორმა ცეცხლივით მოპრი-

ალე თვალებმა შეაკრთო იგი; დიდი, ულვაშგრძელი, ცხვირგრძელი, კუდბუთქვი ხვადი მელა დაბანაკებულიყო იმის სრასახლეში. სოროს ახალი პატრონი გაწყრა, გაგულისდა და რიხიანის ხმით შემოუტია სერეფენიას: „ვინა ხარ, ეი, დაუკითხავად სად მოაფლაშუნებ, ძმობილო?! ოჯახის პატრონს მაინც აღარ იკითხავ. ბრიყვო, უზრდელო?!“ მაგრამ როცა დაინახა სერეფენია და კარგად დააცქერდა, მეტისმეტად მოეწონა; მოეწონა მისი ტანის მიმოხვრა, თვალ-წარბი, კოხტა კუდი. მბზინავი მოშავფრო ბეწვი. პატარა, კოხტა ფეხები. „მობრძანდით, ქალო, მობრძანდით, რა გაეწყობა, თუმცა ოჯახში მჭიდროობაა, მაგრამ სტუმარი ღვთისაა, სტუმარი ჯერ როსტომელას კარებიდან არ გამოუბრუნებია“.

სერეფენიამ უკან დაიხია, სოროს კარებზე დადგა. ტანში ჟრუანტელი უვლიდა, ბრაზი მოუვიდა.

— მე რომ ვინაობას მკითხავ, შენ ვინლა ბრძანდები, ვაჟბატონო, ვის სახლიდან ვის ითხოვ? დამეკარგე მანდედან, შე არამზადავ, შე ავაზაკო, შენა! — ამბობდა გარისხებული სერეფენია: — კარგია, თქვენმა მზემ! ჩემი სახლიდან მე მითხოვს და მერე ვითომ ზრდილობასაც იჩენს — მეპატიჟება თავისთან. ნეტა ვინა ბრძანდება? გამეეთერ მანდედან ჩქარა, მორჩი, თორემ მთელ სამელეთს თავზე დაგცემ, ჩქარა, სახლი უნდა დავალაგო!.. მოშორდი მანდედან-მეთქი!.. შორს, შორს!..

— რად მიწყრები, ქალო-ჯან, თქვენი სახლია? ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროსთ. მე ხომ სამუდამოდ არ დავდეგ აქ, შე დალოცვილო, თოვლ-შხაპი იყო, პატარხან თავი შევაფარე. კედლები არ შამიჭამია, ჭერი და ბოძები. მე ვაჟკაცი ვარ, ნუთუ არ გაგიგონია სახელოვანი როსტომელა? აბა სწორედ მე გახლავარ ისა. შაურცხვეს იმ ვაჟკაცს ულვაში, ვინაც დედაკაცის დაწიოკება იკადროს!.. მობრძანდით, ქალბატონო, მობრძანდით! სოროს კი არა, თუ გნებავთ, თქვენის გულისათვის თავიც მოვიკლა? შუახნის კაცი ვარ, მთელი სამელეთი მიცნობს და ერთიც ვერ იტყვის ჩემს ურიგობას, ერთი მომდურავიც არა მყავს და ნუთუ ეხლა, დღეს შენისთანა ტურფა, შვენიერი, ანგელოზივით წყნარი და ნაზი გოგონა შემოვიმდურო? მოვკვდე, ღმერთმა ნუ მაცოცხლოს ერთი დღე!“ — როსტომელა უკვე კარებზე იდგა და მჭევრმეტყველობდა.

— შენ გიშველა ღმერთმა. მეც აღარაფერს გეტყვი. ბოლომდე ნამუსიანი გამყოფოს.— მიუგო პასუხად სერეფენიამ.

— შენ, ტურფავ და ლამაზო! — განაგრძო კვალად როსტომელამ. — მე ეხლავე მოგშორდები. სახლ-კარიცა მაქვს და ცხოვრებაც აუარებელი, საფერო არავისთან რა მაქვს, ხოლო, როგორც გამო-

ცდილი კაცი, ჩემს თავს მოვალედა ვსთვლი, გითხრა ჩემი სათქმელი, შენი გამოსადეგი. შენ, ჩემო კარგო, ჯერ სულ ახალგაზრდა, გულ-უბრყვილო, გამოუცდელი ბრძანდები, უპატრონოდ, უამხანაგოდ ყოფნა ხელს არ მოგცემს, აბა კარგად იფიქრე: ათასი ავაზაკი, ბოროტი ხალხი დაიარება დედამიწაზე და, ვინ იცის, რა უბედურებას შეგამთხვევენ?! ეგრე არ არის? აბა კარგად იფიქრე. მიკვირს, ან აქამდის რაით გადაურჩი ბოროტ ადამიანებს!.. შენთვის ხელმძღვანელია საჭირო.

— მერე ვინ უნდა იყოს ჩემი ხელმძღვანელი? — დაეკითხა სერეფენია. — მე ჩემად გახლავარ თავისთავის ხელმძღვანელი, სხვისი ხელმძღვანელობა და ლალაობა ჩემთვის საჭირო არ გახლავთ. ან რომელ ხელმძღვანელობაზე ბრძანებთ, არ შეიძლება სთქვათ?

— ჰმ! — წაიდუდუნა როსტომელამ. — ვაი, ვაი, როგორ გამოუცდელი ბაუა ხარ ჯერ კიდევ. მაშ პატრონი არ გინდა? მომვლელი და ყურის მგდებელი? შენ რა შეგიძლიან? ხომ გტაცა ვინც უნდა ხელი და წაგათრია თავისთან!

— აბა, ვინც კაი ბიჭია და გაჰბედავს. ისე გავუხადო საქმე, რომ კარში გამოსავალი დავულიო. ჩემს უნებურად ხელი მტაცოს, აფსუს სერეფენია-ქალო!

— დამშვიდდი, — განაგრძო ხვადმა მელამ. — დამშვიდდი, ყური დამიგდე, მე შენზე ბევრად გამოცდილი ვარ, ხომ მუდამ საზრდოსაც ვერ იშოვი, იმას რა სჯობია, ჩემთან ერთად იცხოვრო. მე პირდაპირ თქმა მიყვარს, ისე შეგინახო, როგორც ჩემი ორივე თვალები, დაბრძანდე გერმის რბილს ლეიბზე, მოიკეცო მშვენივრად და მოგდიოდეს მზამზარეულად საჭმელი და სასმელი. არ თუ შიში ვისიმე გქონდეს, არც რიდი. მე შენი მონა, მორჩილი, ყურმოჭრილი მონა ვიქნები. — სთქვა რა ეს, როსტომელა მხართეძოზე შემოწვა, ცალი თათი თავქვეშ ამოიდო, თანაც ცბიერის თვალებით აკვირდებოდა სერეფენიას სახის გამომეტყველებას. — ყველაფერში წერა მუშაობს. — დაამშვიდა როსტომელამ.

— რასა სჩმახავ, შე გადაყრუებულო? რის წერა, რა წერა? შენ ცოლად გამოგყვე, შენთან ჩამოვბერდე, ეხლაც კი მეზიზღები, რომ თვალითა გხედავ.

— ტყუილად, ღვთის მადლმა! — სთქვა როსტომელამ და თანაც გაიღიმა: — რად გეჯავრები, ჯერ ხომ არ გიცნივარ, შე დალოცვილო?! მერე, თუ წერა არ არი, რამ მომიყვანა ამ შენს სახლში და შემახვედრა შენს თავსა? აბა კარგად იფიქრე. პირველ დანახვაზედვე მომეწონე, გულით შემიყვარდი; კაი დრო გაქვს, ამ ჩემის თანაგრძნობით ისარგებლო. ერთი პირი ცოლ-შვილი დამეხოცა, მეც ობ-

ლადა ვარ მიტოვებული ამ წუთისოფელში. მარტოკას ბევრჯერ მი-
ტირნია, როცა კი მომგონებია წარსული ბედნიერება. — სთქვა ერ-
ეს, როსტომელამ თათით თვალებიდან ცრემლები წაიწმინდა:— ააბ.
რა უდროვო დროს მიღალატა ბედმა და დამჩაგრა ღმერთმა! შენ თუ
ეწამლები ჩემს დაწყლულებულს გულს, სხვა არავინ. — ამბობდა
წუწუნით როსტომელა.

— ერიჰაა, შენ აღარც კი ჰხუმრობ? კაი ამბავია?! მე საბლიდგან
გითხოვ და შენ ცოლად გამომყეო, იმას მეუბნები, ძალიან საცინელი
ამბავია და ძალიან საკვირველი. ნეტავი გარეშე მაინც ვინმე გვიგ-
დებდეს ყურს, რამდენს იცინებდა და! საცინელი რა არ არის: ხევ-
სურს შინ არ უშვებდენ და ის კი გაიძახოდა: „ფარ-ხმალი ზემო
თაროს დამიკიდეთო!“ ემანდედან დამეკარგე, თორემ მე ვიცი რა
ცოლადაც გამოგყვები, შე წუწიანო, შე გადაყრეებულო, შენა! მო-
შორდი აქედან, თორემ, არ ვიცი, რას ვიზამ! მართლა ოხერი კი ნუ
გგონივარ? — ამბობდა გაცხარებული სერეფენია.

— მიბძანდი, ქალბატონო, ემანდ შენ, ემანდ შენი საბლი, დავა-
შავე: ერთი ღამე გავათიე შენ სახლში, ერთი-ორი ქართული გითხა-
რი, მომიტევე, ხომ არ დამარჩობ? ღმერთს ასე საწყლად, უბედუ-
რად დაუწერია ჩემთვის ყოფნა, მეც ასე უნდა ვიყო, მოვითმინო.
ვეხეტები უბედურად და ვნახოთ თუ შენ ღმერთი ხელს მოგიმარ-
თავს და რამე ხეირს შაეყრები. აფსუს, როსტომელავ, რომ შენისთა-
ნებიცა მწუნობდენ, დრო შამირცხვა, დრო! მშვიდობითა ბრძანდე-
ბოდეთ, ღმერთმა ხელი მოგიმართოს, გაგაბედნიეროს... რაც გაწყე-
ნინე. განმეორებითა გთხოვ, შემინდე, მომიტევე. — დაუკრა სერე-
ფენიას თავი როსტომელამ და გაემზადა წასასვლელად: — იქნება
ერთმანეთი ველარც კი ვნახოთ, მოვკვდე სადმე ოხრად, მომიგონე
მაინც შენის მშობლების განათლებას და შენდობა შემომითვალე.
მშვიდობით, მშვიდობით! — მიაძახა როსტომელამ ისეთის გადაჭრი-
ლის კილოთი, თითქოს სამზღვარგარეთ, ცხრა მთას იქით მიემგზავ-
რებოდა...

[1909 წ.]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვაჟა-ფშაველას თხზულებათა აკადემიური გამოცემის წინამდებარე მეექვსე ტომი შეიცავს მოთხრობებს, რომელიც დაწერილია 1896 — 1909 წლებში.

ტომში მოთავსებულია 37 მოთხრობა, რომელთაგან არცერთს ავტოგრაფი არ გააჩნია (დაცულია მხოლოდ რამდენიმე მოთხრობის ვარიანტის ავტოგრაფი). ამიტომ წინამდებარე ტომის გამოსაცემად მომზადების დროს ჩვენ ვისარგებლეთ მხოლოდ ნაბეჭდი წყაროებით.

ძირითადი ტექსტის დადგენისას მეტწილად ვეყრდნობით ავტორის სიცოცხლეში უკანასკნელად გამოქვეყნებულ ტექსტს, თუმცა უკრიტიკოდ არც მას ვიღებთ: აშკარა კორექტურული შეცდომების გარდა, არ ვიზიარებთ ამა თუ იმ გამოცემის ზოგიერთ გამოთქმებს და ვასწორებთ მათ პირველი ნაბეჭდის, ან სხვა წყაროების მიხედვით, რაც აღნიშნულია ვარიანტულ წაკითხვებში.

ტომში მოთხრობები განლაგებულია ქრონოლოგიური პრინციპით. თუმცა ნაბეჭდ წყაროებში ვაჟა-ფშაველას მოთხრობების უმეტესი ნაწილი დათარიღებული არ არის, მაგრამ არსებობს ვაჟას ცნობა იმის შესახებ, რომ მისი ნაწერები, მცირე გამონაკლისის გარდა, იმავე წელსაა დაბეჭდილი, რომელ წელსაც დაიწერა. ჩვენც ტომში, მოთხრობათა განლაგების დროს, ძირითადად მათი გამოქვეყნების თარიღით ვხელმძღვანელობდით. ხოლო იმ შემთხვევაში, როცა რომელიმე მოთხრობის დათარიღებისათვის რაიმე დამატებითი საბუთი მოგვეპოვება, ამის შესახებ საგანგებოდ ვუთითებთ შენიშვნებში.

პირობითი ნიშნები

თხზულების სათაურების შემდეგ დასახელებულია წყაროები, რომლის მიხედვითაც დამზადდა ჩვენი გამოცემის ძირითადი ტექსტი. გამოცემები დალაგებულია ქრონოლოგიურად დაწყებული პირველი ნაბეჭდიდან და დამთავრებული ავტორის სიცოცხლეში უკანასკნელად გამოქვეყნებული ტექსტით. თვითეულ მათგანს მიწერილი აქვს ლიტერი, რომლითაც ისინი აღნიშნული არიან ვარიანტების ჩვენებისას.

A ლიტერით ყველგან აღნიშნულია ის წყარო, რომლის მიხედვითაც იბეჭდება ტექსტი.

ვარიანტების ჩვენება რომ უფრო ნათელი ყოფილიყო მიღებული გვაქვს შემდეგი პირობითი ნიშნები:

] ნაცვლად (მაგ. **251.** 18 ტკბარუნით] ტკბანურით B. ეს ნიშნავს: 251 გვერდზე მე-18 სტრიქონში სიტყვა „ტკბარუნით“-ს ნაცვლად B-ში წერია „ტკბანურით“).

+ ტექსტს ემატება (მაგ. 254. 6 უნაკლულოდ+ის B. ეს ნიშნავს: „უნაკლულოდ“ სიტყვას შემდეგ B-ში არის სიტყვა „ის“).

— ტექსტს აკლია (მაგ. 252. 37 რო — B. ნიშნავს: სათანადო ადგილზე B ტექსტში „რო“ არ წერია).

ᔕ სიტყვები გადაადგილებულია (მაგ. 252. 22-23 შეჰყო თავი ᔕ B. ეს ნიშნავს: B ტექსტში წერია „თავი შეჰყო“).

* შეასწორა ალ. ჭინჭარაულმა.

** შეასწორა ალ. აბაშელმა.

ᲡᲕᲐᲕᲘ (გვ. 7)

ნაბეჭდი: ჟურ. „ჯეჯილი“, 1896 წ., № 6, გვ. 30—35 (B). „ამოდის, ნათდება და სხვა მოთხრობები“ 1898 წ., გვ. 71—79 (A).

7. 10 დაუდგათ] დაუდგა B. 12 კლდეებზედ] კლდეებზე B. 17 ატრიალებდა] იტრიალებდა B. 20 გამოვიდოდეს] გამომივიდოდეს B.

8. 10 ყრაანტ, ყრაანტ+ყრაანტ B. 22 მიამბე] ეხლა მიამბე B. 23 გავმაძღარვარ] გავმძღარვარ B. 33 ღვთის] ღვთისა B. 39 ბრძანდებოდა] ბძანდებოდა B.

9. 1 თვითეულს] თვითოეულ B. 13 მწვანობდე] მწვანობდეო B. 14 გიმღერდე] გიმღეროდე B. 22 უკანასკნელს] უკანასკნელ B. 28 ყოველის] ყოველი B. 31 ძალნო] ძალანო B. 33 უბადრუკნი] უბედრუკნი B.

10. 1 მასაზრდოებელნი] მასაზრდოებელნი B. 4 იმის] იმისი B. 6 გადაუხტი] გადუხტი B. 8 ვყოფილვიყავი] ვყოფილიყავი B. 15 ალაგას] ადგილას B. 17 წამობრძანდი] წამობძანდი B. 21 დავაწევ] დავუწევ B. 23 მომყე] მომყევ B. 24 ყორანი — B. 27 ორნივე] ორივენი B. 34 უმსგავსი] უმსგავსოთ B.

11. 7 როგორ] როგორც B. 11 ოჰ, ოჰ, ოჰ!] ოჰ, ოჰ, ოჰო! B. 14 წუწიანს] წუწიან B; ცრემლი] ცრემლა B.

ᲐᲛᲝᲓᲘᲡ, ᲜᲐᲗᲓᲔᲑᲐ (გვ. 12)

ნაბეჭდი: ჟურ. „ჯეჯილი“, 1896 წ., № 8, გვ. 7 — 10 (B) „ამოდის, ნათდება და სხვა მოთხრობები“ 1898 წ., გვ. 3—8 (A).

12. 4 თითქმის] თითქოს B. 26 რომელს] რომელ B. 30 დაყუნტებულიყო] დაყუნთებულიყო B.

13. 3 გავიდა] დაგვიდგა B. 4 ეცადოს] ეცადოსო B. 9 ზედ] ზედა B. 18 ჩამოწკრივდენ] ჩამომწკრივდენ B. 24 მიაპყრეს] მოიყარეს A; ცოტა ხნის] ცოტა ხანს B. 28 სისხლის — A. 32 დღეს] დღესა B. 33 შეგვაჭამა] შაგვაჭამა B.

14. 3 შენის] შენი B. 4 ბიჭს] ბიჭ B. 12 გადაუწყდათ] გადუწყდათ B. 32 დიდს ხანს] დიდხანს B. 36 ერთ] ერთს B.

15. 5 ჭყრიალი] ჭურღალი B.

ᲛᲝᲬᲕᲔᲜᲔᲑᲐ (გვ. 16)

ნაბეჭდი: გაზ. „კვალი“, 1897 წ., № 8.

16. 27 დადუნებულა] დადუმებულა.

18. 6 გამოვცვლილვარ] გამოვცლილვარ.

19. 29 ვაგლახ] ვაგლახი. 39 გახუნებულ] გახუნებული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მწყერი (გვ. 21)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: ყურ. „ჯეჯილი“, 1897 წ., № 4, გვ. 5—9.
22. 36 დააალმაცერა] დაალმაცერა.

კლდემ მხოლოდ ერთხელ სთქვა (გვ. 25)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: ყურ. „მოამბე“, 1898 წ., № 3, გვ. 189 — 192.

ჟუდოვანი (გვ. 28)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: ყურ. „ჯეჯილი“, 1898 წ., № 4, გვ. 5—26.
34. 35 ქვეწარმავალთა] ქვეწარმომავალთა.
39. 29 მოიტანეს] მიიტანეს.

ვერხვი (გვ. 40)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: ყურ. „ჯეჯილი“, 1900 წ., № 2, გვ. 29—34.
ლიტერატურის მუზეუმში დაცულია ამ მოთხრობის ვარიანტი (№ 15644) იმავე სათაურით. ტექსტს ვბეჭდავთ მთლიანად, შემდეგ ვიძლევით მის დახასიათებას.

ვ ე რ ხ ვ ი

(საბავშვო მოთხრობა)

I

მარტოდ მარტოკა იდგა ერთს მწვრს გორაზე. მის ახლო-მახლო სხვა ხის ჭაჭანება არ მოიძევებოდა. ხოლო შორს კი მოჩანდა დიდი, დაბურული ტყეები: ქვეით ჭალებზე, გაღმა-გამოღმა, მთის ფერდობებზე, მრავლისგან უმრავლესი ხეები იდგა, ათასი, ათასნაირის ჯურისა; საბრალო ვერხვის მეზობლად კი ერთიც არა. გასცქეროდა შორიდან ტყეებს და ილეოდა საცოდავი სულით, იქ ვერხვებსაც ჰხედავდა, უფრო იმათკენ მისწევდა გული. რამდენი ხანია მას ხმა აღარ ამოუღია. დიდი ხანი ძალიან, რაც გაჩნდა ის ხეს არ დაჰლაპარაკებია, მხოლოდ თავის თავს ელაპარაკებოდა; ესაუბრებოდა ღმერთს და ემდუროდა: „ეჰ, შე დალოცვილო ღმერთო, თუ გამაჩინე კიდეც დამარჩენდიო! ამას იტყოდა ხშირად: „რასა ჰგავ ჩემი სიცოცხლე? რას ვაკეთებ აქ მარტოდ მარტო? თუ ვერ გავიხარებ, თუ ვერაფერს გავიგონებ, ვერავის რას გავაგონებ, ვერავის რას ვარგებ ეს სიცოცხლე სიცოცხლეა?! ეს ხომ სიკვდილია. ბევრჯელ უნდოდა, ეწადა დაეძახნა, ბევრჯელაც დაუძახა შორს მთის კალთებზე თეთრად მომჩანავე ვერხვებს: „ეი, ძმებო, წამიყვანეთ თქვენთან თუ გწამთ ღმერთი, ან აქ ჩემთან წამოდით; აქ მაღლა იქნებით, აქედამ ბევრს რასმე კარგს დაინახავთო; აგერ ტბებსა ვხედავ, რომელიც თქვენ სიცოცხლეში არ გინახიათ და ვერცა ჰნახავთ, აგერ მრავალი სოფლები, ქალაქები, აი კიდევ დიდრონი თოვლიანი მთები. მშვენიერს სურათს ჰნახავს თქვენი თვალებიო!“ ნიავს მთისას ხომ სულ მუდამ იმას ჩასჩიჩინებდა, როცა იგი ჰქროდა და მის კოხტა ფოთლებს ათახთახებდა და ათრთოლებდა:

„შენი ჭირიმე, ერთი უთხარი და შამახვეწე, რა არის ამოდენას ვეხვეწები და ისინი კი ყურს არ მიგდებენ, ერთხელ ვერა მნახეს, ვერ ამოვიდენ ჩემთან". ნიავი მიდიოდა, გაივლიდა, ხოლო პასუხი არ მოჰქონდა არაფერი. სხვა ვერაფერი ვერა გაიგო რა იმათი მხოლოდ ამ ასის წლის წინაც ქარმა იმ შორეული ტყიდან მოიტანა ერთი ხმელი ფოთოლი და ის იყო უნდა გაეცილებინა ვერხვისათვის, რომ იგი მთელის თავის სიგძე-სიგანით გადაიზნიქა, მოჰხვია ტოტები და მაგრა ჩაიკრა გულში, დღესაც ინახავს მას და გველის თვალივით უფთხილდება ამისთანა საჩუქარს ხავსს, ხმელს ფოთოლს, ან ტოტს კიდევაც მოელის თვალგულდამშეული და ეხვეწება ქარს: „მოგლიჯე როგორმე შენ გენაცვალე ერთ-ერთი ვერხვი და აქ ამომიტანე, თუ ეს არ იქნება, მოსტეხე ერთი ტოტი, მოაგლიჯე ერთი ფოთოლი და აქ წამომიღეო.

როცა შავი ნისლი მოწვებოდა მთის ქედზე და გველ ვეშაპივით სისინით მოცურავდა — ქედს უხრიდა და სთხოვდა იმასაც მუდარით და ხვეწნით, აბარებდა მასვე, რასაც ქარსა... როცა საშინელი ქარიშხალი ამოვარდებოდა, დელგმა იყო, ჰექა-ქუხილი, ისე, რომ კაცს ეგონებოდა ქვეყანა იქცევაო, და თვით ვერხვი ელვა და მეხის ნაპერწკლებში იყო გახვეული რაიც ხშირად ხდებოდა, მაშინ ვერხვი გულ-დამშვიდებული ეხვეწებოდა საშინელ ბუნების მოვლენას, ამომფხვერი აქედან და გადმისროლე, გადამაგდე იმ ჩემ ძმებთან — ვერხვებთან, დაე, იქ დავლპე, იქ მოვკვდე იმათ კალთაზე, თუ ცრემლს არ მალირსებენ ხომ ქოქოლას დამაყრიან და დამწყევლიანო.

მაგრამ არც არა ამ თხოვნიდამ გამოვიდა. ვერხვი იქვე იდგა მრავალ ადგილას, მეხისაგან დაზიანებული.

II

ზაფხულობით, თუმცა ციდამ მრავალი ვაება ატყდებოდა თავზე, მაგრამ მაინც მხიარულად იყო. მისი მიდამო აყვავდებოდა წითლად და ყვითლად, აბიბინდებოდა ბალახი, მაშინ ვერხვი მხიარულად იყო, შეჰხაროდა ყვავილების სიცოცხლეს და სილამაზეს. ზამთრობით უფრო დაჩაგრულად გამოიყურებოდა — აბეზარი მთის ქარი მოსვენებას არ აძლევდა, ახეთქებდა აქეთ იქით, არწებდა აკვანივით და ხშირად ისეც მომხდარა, რომ სრულიადაც მიენაქროს. მხოლოდ ვერხვის კენწეროლა დარჩენილა ჰაერზე, მისი ტოტები თოვლის გაუკრავ მიწაზე, — ოთხი-ხუთი თვე შებორკილული, შებოჭილი ყოფილა ვერხვი, ცოცხლად დამარხული თოვლს ქვეშ.

ზაფხულობით-კი თითონაც ფოთლებით იმოსებოდა და წვიმა ხშირადა ჰბანდა და ალამაზებდა მის ტანს და პირისახეს. ხოლო ვერხვს ერთი დარდი აქვს კიდევ ერთნაირად ზამთარ და ზაფხულ; იმისათვის თავი ვერ დაუღრწევია და ვერც მოუნელებია. ერთ ზამთარ ვერხვი მიუნაქრავი დარჩა და მთელი ზამთარი თვალახილებული გასცქეროდა ტყეებს და მთა ბარს. გაღმა, ერთს ფერდობზე ყველაზე მეტად უყვარდა და მოსწონდა ვერხვები მრავლად მწკრივად მდგომარენი, მუდამ იმათ შეჰხაროდა და დღეს კი იმათთვის გული სტკივა და ცრემლს ჰღვრის. იმავე ზამთარში მოვიდა დიდი ზვავი და მთელი გუნდი მის საყვარელ ვერხვებისა გადმოთელა, დღეს მკვდარივით გაშოტილნი ეწყვნენ, ზოგი ძირიანად ამოებრუნა და ფესვები მაღლა ჰქონდათ საცოდავად აშვერილი. გული მოუკვდა ვერხვს ეს რომ ნახა და ბევრი ივაგლახა [მოჰყვა] ამასვე ვაებას და ჰგოდებას, „ახ, ახ, საბრალონო, წარმოსთქვამს თვალცრემლიანი". ჩემები არიან, ჩემი სისხლი და ხორცი არიან, აბა აქ რომ ყოფილიყვნენ, ხომ

„შენი ჭირიმე, ერთი უთხარი და შამახვეწე, რა არის ამოდენას ვეხვეწები და ისინი კი ყურს არ მიგდებენ, ერთხელ ვერა მნახეს, ვერ ამოვიდენ ჩემთან". ნიავი მიდიოდა, გაივლიდა, ხოლო პასუხი არ მოჰქონდა არაფერი. სხვა ვერაფერი ვერა გაიგო რა იმათი მხოლოდ ამ ასის წლის წინაც ქარმა იმ შორეული ტყიდან მოიტანა ერთი ხმელი ფოთოლი და ის იყო უნდა გაეცილებინა ვერხვისათვის, რომ იგი მთელის თავის სიგძე-სიგანით გადაიზნიქა, მოჰხვია ტოტები და მაგრა ჩაიკრა გულში, დღესაც ინახავს მას და გველის თვალივით უფთხილდება ამისთანა საჩუქარს ხავსს, ხმელს ფოთოლს, ან ტოტს კიდევაც მოელის თვალგულდამშეული და ეხვეწება ქარს: „მოგლიჯე როგორმე შენ გენაცვალე ერთ-ერთი ვერხვი და აქ ამომიტანე, თუ ეს არ იქნება, მოსტეხე ერთი ტოტი, მოაგლიჯე ერთი ფოთოლი და აქ წამომიღეო.

როცა შავი ნისლი მოწვებოდა მთის ქედზე და გველ ვეშაპივით სისინით მოცურავდა — ქედს უხრიდა და სთხოვდა იმასაც მუდარით და ხვეწნით, აბარებდა მასვე, რასაც ქარსა... როცა საშინელი ქარიშხალი ამოვარდებოდა, დელგმა იყო, ჰექა-ქუხილი, ისე, რომ კაცს ეგონებოდა ქვეყანა იქცევაო, და თვით ვერხვი ელვა და მეხის ნაპერწკლებში იყო გახვეული რაიც ხშირად ხდებოდა, მაშინ ვერხვი გულ-დამშვიდებული ეხვეწებოდა საშინელ ბუნების მოვლენას, ამომფხვერი აქედან და გადმისროლე, გადამაგდე იმ ჩემ ძმებთან — ვერხვებთან, დაე, იქ დავლპე, იქ მოვკვდე იმათ კალთაზე, თუ ცრემლს არ მალირსებენ ხომ ქოქოლას დამაყრიან და დამწყევლიანო.

მაგრამ არც არა ამ თხოვნიდამ გამოვიდა. ვერხვი იქვე იდგა მრავალ ადგილას, მეხისაგან დაზიანებული.

II

ზაფხულობით, თუმცა ციდამ მრავალი ვაება ატყდებოდა თავზე, მაგრამ მაინც მხიარულად იყო. მისი მიდამო აყვავდებოდა წითლად და ყვითლად, აბიბინდებოდა ბალახი, მაშინ ვერხვი მხიარულად იყო, შეჰხაროდა ყვავილების სიცოცხლეს და სილამაზეს. ზამთრობით უფრო დაჩაგრულად გამოიყურებოდა — აბეზარი მთის ქარი მოსვენებას არ აძლევდა, ახეთქებდა აქეთ იქით, არწებდა აკვანივით და ხშირად ისეც მომხდარა, რომ სრულიადაც მიენაქროს. მხოლოდ ვერხვის კენწეროლა დარჩენილა ჰაერზე, მისი ტოტები თოვლის გაუკრავ მიწაზე, — ოთხი-ხუთი თვე შებორკილული, შებოჭილი ყოფილა ვერხვი, ცოცხლად დამარხული თოვლს ქვეშ.

ზაფხულობით-კი თითონაც ფოთლებით იმოსებოდა და წვიმა ხშირადა ჰბანდა და ალამაზებდა მის ტანს და პირისახეს. ხოლო ვერხვს ერთი დარდი აქვს კიდევ ერთნაირად ზამთარ და ზაფხულ; იმისათვის თავი ვერ დაუღრწევია და ვერც მოუნელებია. ერთ ზამთარ ვერხვი მიუნაქრავი დარჩა და მთელი ზამთარი თვალახილებული გასცქეროდა ტყეებს და მთა ბარს. გაღმა, ერთს ფერდობზე ყველაზე მეტად უყვარდა და მოსწონდა ვერხვები მრავლად მწკრივად მდგომარენი, მუდამ იმათ შეჰხაროდა და დღეს კი იმათთვის გული სტკივა და ცრემლს ჰღვრის. იმავე ზამთარში მოვიდა დიდი ზვავი და მთელი გუნდი მის საყვარელ ვერხვებისა გადმოთელა, დღეს მკვდარივით გაშოტილნი ეწყვნენ, ზოგი ძირიანად ამოებრუნა და ფესვები მაღლა ჰქონდათ საცოდავად აშვერილი. გული მოუკვდა ვერხვს ეს რომ ნახა და ბევრი ივაგლახა [მოჰყვა] ამასვე ვაებას და ჰგოდებას, „ახ, ახ, საბრალონო, წარმოსთქვამს თვალცრემლიანი". ჩემები არიან, ჩემი სისხლი და ხორცი არიან, აბა აქ რომ ყოფილიყვნენ, ხომ

არ დაემართებოდათ ეგ უბედურება, ან ნეტავი მეც იქ ვყოფილიყავი, რომ იმათთან დამელია მეც სული!“

ვერხვს ახარებდენ ყვავილნი მომეტებულად, რომელნიც იმის ჩეროს ქვეშ იზრდებოდენ, და იშლებოდენ, ხოლო ეს იყო კიდევ გულსაკლავი, რომ დიდი ხნის სიცოცხლე არც იმათ ჰქონდა, თუმცა ვერხვი მუდამ იმათა ჰლოცავდა, ლაჰბუტბუტებდა თავზე: „დაიზარდენით, დაიზარდენით, პატარებო გაიხარეთ...“ მაისში აყვავდებოდენ და თიბათვის ორ-კვირამდე ძლივ-ძლივობით სძლებდენ, რადგან მოაწვებოდა ბარიდამ ცხვარი და მეცხვარეები. ყველასაც უყვარდა ვერხვი, რადგან იმის მეტი ხე იქ არ მოიძევებოდა, და ამასთანავე მოსახელ ადგილას იდგა. მის ჩრდილ ქვეშ ასვენებდა ცხვრის ფარას და თითონაც ისვენებდენ. ორი დღის შემდეგ ყვავილების ნიშანწყალიც კი აღარ ეტყობოდა ვერხვის ახლო-მახლო... ვერ ასწრობდა, ამის გამო ვერხვი შაესწავლებინა იმათათვის თავისი ენა და ესაუბრა მათთან, თუმც თითონ ესმოდა იმათ საუბარი და ეს ადვილი დასასწავლიც იყო იმისათვის: ყვავილნი სულ-მუდამ სიცოცხლეზე საუბრობდენ, მზესა და დედამიწას ჰლოცავდენ, და ღმერთს ევედრებოდენ: „ღმერთო, ნუ მოგვიღებ მალე ბოლოს, დიდ ხანს გვაცოცხლეო!“... „ახ, რა უქმად და მურდლად მიდის ჩემი სიცოცხლე“, ამბობდა ხშირად ვერხვი: „ისე გავჩნდი და გავიზარდე, ერთი წამი ვერ გავიხარე, ვერც ვის რა ვარგე და ვერც-რა თითონ ვირგე! ეს ფრინველები რაღას მერიდებიან, რომ ერთს მაინც ჩემს ტოტებზე ბუდე გაეკეთა და ბღარტები გამოეჩეკა“. და მუდამ შესტრფოდა არწივს, როცა იგი დაჰბრუნავდა ხოლმე თავზე. ვერხვის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა იგი ჩამოეშვებოდა და მის კენწეროზე ცოტა-ხნობით დაისვენებდა, მაშინ ვერხვის გულში თავმოყვარეობა იღვიძებდა და სიამაყე დასტყობოდა: „ალბათ, ვყოფილვარ რამე რომ თვით არწივი, მეფე ფრინველთა მკადრულობს და ჩემს ტოტებზე ისვენებსო“. მაგრამ ეს არწივის სტუმრობა იშვიათად ხდებოდა... ძალიან უნდოდა საბრალო ვერხვს, რომ არწივს გაეკეთა მაზე ბუდე და მისი ბღარტების წიწინი გაეგონა, მაგრამ არ მოხერხდებოდა, რა გააბრიყვებდა ისე არწივს, რომ კაცისა და საქონლის ფეხში ბინა ჩაედგა და თავის ბუდე და შვილები ქვეყნის საჯიჯგნავად გაეხადა. აფრინდებოდა არწივი და გააყოლებდა ვერხვიც საბრალოდ თვალებს, მინამ ცის სივრცეში არ დაიმალებოდა, მერე ამოოხვრით დაჰკიდებდა ისევ თავს დაბლა. ერთხელ შემოდგომით მთაზე თოვლი ადრე მოვიდა. მწყემსებს სიცივით კანკალი მოჰკიდათ. „ცეცხლი, ახ, ცეცხლიო!“ ამბობდა თვითეული მათგანი, ხოლო შეშა ძვირი საშოვარი იყო.

— ბიჭებო, სთქვა ერთმა მათგანმა, რა თავებს ვიცხელებთ: შეშა ახლოსა გვაქვს და ჩვენ სიცივით ვიხოცებით. აგერ ვერხვი მოვჭრათ და შეშა იქნება. ამაზე დიდი თათბირი შაექნათ. ზოგნი უარზე დადგნენ: „არ შაიძლება, როგორ იქნება მაგისი მოჭრაო!“ მაგრამ ბოლოს მაინც დასთანხმდენ პირველს. ამანაც წამოავლო ცულს ხელი და გასწია ვერხვისაკე. ვერხვი თოვლით გადაპენტილი თეთრად გაყუჩებული იდგა; არ იცოდა რა მოელოდა მას.

— „მოვიდა, საწყალო ვერხვო, შენი აღსასრულის დღე, — დაილაპარაკა მწყემსმა, — მართალია გვიყვარხარ და ამაგიც გიდგა ჩვენს თავზე, მაგრამ რა ექნათ, რო გვცივა. — სთქვა რა ეს, აათვალ-ჩაათვალიერა ვერხვი ერთხელ და შემოჰკრა ცული. ვერხვს ჟრუანტელმა დაუარა თავიდან ბოლომდი, გაიჩმუჩნა და თეთრად ბამბის ქულასავით თოვლმა ჩამოიწყო ჩამოდენა. მწყემსი ცოტა განზე გადგა, მინამ ბარდანი ჩამოიკრიფებოდა დაბლა. მერე მეორეჯერ შემოჰკრა ცული უფრო ძლიერად, ბარდანმა ხრიალი მოიღო დაბლა, ვერხვმაც

ტოტები აიკრიფა მაღლა და წარმოსთქვა: „მორჩა ჩემი სიცოცხლე!“ — გაჰხედავდა ტყეს, იმას თვალს არ აშორებდა და ამბობდა: „მშვიდობით ძმებო, მშვიდობით! მაინც ცოცხალს არ მელირსა თქვენთან ყოფნა, ეგები მკვდარს მაინც მელირსოსო!“ სთქვა რა ეს, დადუმდა — ხმა, კრინტი აღარ დაუძრავ, ხოლო ჰაერში გაცხარებული ცულის ჩქამი ისმოდა. ნახევარ საათს უკან ვერხვი დაბლა ეგდო გაშოტილი და ზედ მწყემსები ეხვეოდენ ხანჯრებით, და ცულებით აჭრიდენ ტოტებს, აკეთებდენ მორებს და მიეზიდებოდენ ქოხში. საღამოზე ქოხში დიდი ცეცხლი ენთო და ზედ ცეცხლს ერთო შეშად ვერხვი: გარშემო მწყემსები ესხდენ — ზოგი ბალღები მკლავ-ტიტველნი და ფეხშიშველნი, ზოგნი მოხუცნი ეხუხებოდენ ცეცხლს და იძახდენ: „იი, რა ცეცხლია! დაილოცოს, დაგლოცა ღმერთმა [არ იკითხება] ჭალარ შერთული მწყემსმა ზღაპარიც დაიწყო: იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდაო“ ამ სახით.

ასე გათავდა ვერხვის სიცოცხლე. მოესწრო იგი მადლის ქმნას, ხოლო თითონ ვეღარა გრძნობდა, საბრალო რომ მადლსა შვრებოდა.

1 თავი. 14 „გავიგონებ“-ს შემდეგ გადახაზულია „ეს“. 34 „წამომიღეო“-ს შემდეგ გადახაზულია „თხოვნა მისი ამაოდ რჩება“. 38 „კაცს“ შემდეგ გადახაზულია „და ქვა“; „იქცევაო“ შემდეგ გადახაზულია „რა“. 39 „ვერხვი“-ს შემდეგ გადახაზულია „იმავე ადგილას იდგა“ და თავზე აწერია „იქვე იდგა“.

II თავი. 3 „მისი“-ს შემდეგ გადახაზულია „გარეშამო“ და ზევით აწერია „მიდამო“. „ყვითლად“-ს შემდეგ გადახაზულია „და ისიც სტკბებოდა“. 4 „ბალახი“-ს შემდეგ გადახაზულია „და“. 5 „დაჩაგრულად“-ს შემდეგ გადახაზულია „გრძ.“. 9 „შებოჭილი“-ს შემდეგ გადახაზულია „ყოფ.“. 32 „იქ არ“-ს შემდეგ გადახაზულია „იყო იდგა“; მოსახედ] ჯერ დაუწერია „მოსახედი“, შემდეგ „ი“ გადაუხაზავს. 33 „მის“ შემდეგ გადახაზულია „ჩეროს ქვე“; „შემდეგ“-ს და „ნიშანწყალიც“-ს შორის ჩამატებულია „ყვავილების“. 43 „გამოეჩეკა“-ს შემდეგ გადახაზულია „სი“. 44 „თავზე“-ს შემდეგ გადახაზულია „და მის სიხა“. 47 „ფრინველთა“-ს შემდეგ გადახაზულია „ჩემ“. 48 „რომ“-ს შემდეგ გადახაზულია „მხოლოდ“. 54 „ერთხელ“-ს შემდეგ გადახაზულია „ზაფხულში“ და ზევით აწერია „შემოდგომით“; „თოვლი“-სა და „მოვიდა“-ს შორის ჩამატებულია „ადრე“. 56 „ახ“-ს წინ გადახაზულია „ცეცხლი“. 66 „გვცივა“-ს შემდეგ გადახაზულია „და ა ერ“. 66 „ერთხელ“-ს შემდეგ გადახაზულია „თვა“; „დაღარა“-ს შემდეგ გადახაზულია „გაიჩეჩა“. 69 „განზე“-ს შემდეგ გადახაზულია „გან“ და ზევით აწერია „გადგა“; „მინამ“-ს შემდეგ გადახაზულია „თოვ“; „მეორეჯერ“-ს შემდეგ გადახაზულია „გაუმეორა და“ და ზევით აწერია „შემოჰკრა ცული“. 70 „ძლიერად“-ს შემდეგ გადახაზულია „თ“. 71 „სიცოცხლე“-ს შემდეგ გადახაზულია „მაშ“. 74 დადუმდა] სდუმდა. 75 „ვერხვი“-ს შემდეგ გადახაზულია „მიწ“. 76 „ხანჯრებით“-ს შემდეგ გადახაზულია „აჭ“. 79 „ბალღები“-ს შემდეგ გადახაზულია „ზოგნი მ“. 80 „მოხუცნის“-ს შემდეგ გადახაზულია „და ყველა ამ“. 83 „სიცოცხლე“-ს შემდეგ გადახაზულია „სია“.

ჟოლი (გვ. 45)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1901 წ., № 279.

47. 27 რა] რად.

ამირანის ხმალი (გვ. 49)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1902 წ., № 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მგელი (გვ. 52)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ცნობის ფურცელი“, სურათებიანი დამატება 1902 წ., № 62.

53. 39 გადმოძაბა] გადმოწაბა.

54. 23 დააკაკუნა] დააკაკანა.

ორი ამბავი მეფე ერეკლეზე მთაში დარჩენილი (გვ. 56)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1902 წ., № 196.

58. 17 ძაღლიკამ] ძაღლუკამ.

ლიტერატურის მუზეუმში დაცულია ამ მოთხრობის ერთი ნაწილის ვარიანტი (№ 15645) სათაურით „თეკლა-ბიჭი“. ტექსტს ვბეჭდავთ მთლიანად, შემდეგ ვიძლევით მის დახასიათებას:

„თ ე კ ლ ა ბ ი ჭ ი“

ხშირად მთაში, მთიელის უბირის კაცის პირით ისეთი რაღაც ამბავი ესმის თქვენს ყურს ზოგიერთი ჩვენ სახელოვან ისტორიულ პირებზე, რომლის მსგავსს ვერც ერთი ისტორიკოს-არხეოლოგი თავის კვლევა-ძიებით ვერ აღმოაჩენს. უსწავლელი კაცის მონათხრობი ამბავი-კი ბევრს რასმე ეუბნება თქვენს გულს, ვითომდა უმნიშვნელო ფაქტის ნათელში გამოჰყავს ისტორიული პირის ზნე-ხასიათი, ღირსება და ნაკლულევანება.

ასეთი ამბავია თეკლა-ბიჭზე დარჩენილი ფშავში: ეს ვითომდა უმნიშვნელო ამბავი მე ბევრს რასმე მეუბნება და შეიძლება თქვენთვის ბევრი არაფერი მნიშვნელობა და ღირსება ჰქონდეს.

ყური დამიგდეთ და მოგახსენებთ. ერთხელ ნასახელარი ლაშქრობიდან დაბრუნდა მეფე-ერეკლე და თავის ლაშქარს ნადიმი გაუმართა...

ფშავლის ლაშქარი სხვათა შორის საპატიო ადგილას დასხა და თავის ქალს თეკლა-ბიჭს უბძანა:

— თეკლა-ბიჭო, წადი მერიქიფეს დოქი ჩამოართვი და ფშავლებს შენის ხელით ღვინო დაალეინე სათითაოდ ყველას. ამ განსაკუთრებულს ყურადღებას ფშავლებისადმი ერეკლეს მხრით, მე იმითი არა ვხსნი, რომ მხოლოდ ფშავლების ლაშქარი ჰყავდა იმას სახელოვანად და მიჩნეული საუკეთესო მეომრად. არა, მაგრამ, სხვათა შორის-კი ეს უეჭველად ასეა, რომ რადგან ყრმა ერეკლე ფშავში აღიზარდა, თავის თავის აღმზრდელი ერის სიყვარული განკერძოებით ექნებოდა. თეკლა-ბიჭსაც, ვგონებ, უნდა იცნობდეთ. ეს თეკლა-ბიჭი სახელოვანი მსროლელი, ცხენოსან-მოჯირითეებს არ ჩამოუვარდებოდა არაფერში. რის გამოც სახელოვანმა მშობელმა მის ქალურს სახელს „ბიჭი“ დაურთო. ბევრჯელ აღიდებულს არაგვში თეკლა-ბიჭი, საცა უფრო ღრმა იყო, იქ შეაგდებდა ცხენს და გასცურავდა მეორე ნაპირას.

ამ გვარს ქალებს დღეს ისევ მთაში — ფშავში თუ შეჰხვდებით უკრძალავად ტიტველა ცხენზე გადალაჯული ოღრო-ჩოღროებზე მიაქროლებს ცხენს და თან თავზე მისი ჩიქილა ბაირაღის კალთებივით ფრიალებს.

თეკლა-ბიჭს ფშავი იცნობს ხოლო თეკლა ბიჭს — კი არა, „ბოგუნს“ ეძახიან ფშაველები.

დიალ, მამამ რაკი უბრძანა თეკლა-ბიჭს რა ეთქმოდა, იმ წამსვე აასრულა მშობლის ბრძანება. მორიგებით დაუწყო ყველას ღვინის სმევა სათითაოდ.

შეზარხოშებულ ჯარისკაცთ დაავიწყდათ თავისი თავიც და მასპინძელიც. გააბეს თავისებური ფშაური სიმღერა. სხვათა შორის ერთმა მეორეს ეს ლექსი „შაუმღერა“, დაიწყო ფშაველმა თავისებური კაფია. „ღვინოს გვირიგებს ბოგუნი, შამეჯინჭრება მე გული“, თეკლა-ბიჭმა ეს ძალიან იწყინა. მერიქიფეობას თავი დაანება და მეფეს შესჩივლა ფშაველებმა შეურაცხმყვესო. მოისმინა ერეკლემ ყველაფერი თავის ქალის ნაუბარი და სიცილი მოუვიდა პირზე. — ნუ თუ ეგა გწყინს, ჩემო თეკლავ, განა ეგ იმედი მაქვს შენი, ეგრე სულ-მოკლე უნდა იყო განა? — ფშავლებია! ჩვეულება ეგეთი აქვთ, დიდად როცა მადლობა უნდა გადაუხადონ მასპინძელს, მაგისთანა სიტყვებით გამოჰხატავენ თავიანთ გრძნობას. დამშვიდდი!

თეკლა დამშვიდდა — ხოლო მერიქიფეობა — კი აღარ იკისრა.

აი დრო, გარემოება და კაცი: ეხლანდელმა ფედფებელმა რომ ფედფებლებს დაჰპატიჟოს თავის ტოლ-ამხანაგებს, — ისიც-კი არ დაუყენებს თავის ქალს მერიქიფედ, განაღამცა მეფეებმა ეხლანდელის დროისები იკისრონ და გაბედონ ერეკლესავით სიმაღლიდან დაბლა ჩამოსვლა... მაგრამ დიდებულმა გმირმა იკისრა და ვინ იცის სხვა რამდენს რასმე კისრულობდა მხოლოდ ერს ჰყვარებოდა იგი და ერთგული ჰყოლოდა მას... შეიძლება ეს მაღლიდან დაბლა ჩამოსვლა მას ბევრში ჰვნებდა, მაგრამ რომ ბევრში გამოსადეგი იქნებოდა — ესეც უეჭველია.

2. „მთიელის“ შემდეგ გადახაზულია „პირით ისე“ და თავზე აწერია „უბირის“; „ესმის“-ა და „რომლის“ შორის ჩამატებულია „თქვენს ყურს ზოგიერთი ჩვენ სახელოვან ისტორიულ პირებზე“. 4 მსგავსს] მსგავს; „აღმოაჩენს“ შემდეგ გადახაზულია „ეს“. 6 „უმნიშვნელო“-ს შემდეგ გადახაზულია „ამბავი“ და ზევით აწერია ფაქტის“. 8 „უმნიშვნელო“-ს შემდეგ გადახაზულია „ფ“. 9 „თქვენთვის“ შემდეგ გადახაზულია „ის“. 17 „ფშავლების“ შემდეგ გადახაზულია „ჰყვანდ“. 18 „მიჩნეული“-სა და „არა“-ს შორის ჩამატებულია „საუკეთესო მეომრად“, რომლის გვერდზე გადახაზულია „მიჩნეული“; „რადგან“-ს შემდეგ გადახაზულია „სო“; „ყრმა“-სა და „ფშავში“-ს შორის ჩამატებულია „ერეკლე“. 21 სახელოვანი] სახელოვან. 24 „არაგვში“-ს შემდეგ გადახაზულია „საცა“. „თან“-ს შემდეგ გადახაზულია „თავი მი“. 29 ფშავი] ჯერ დაუწერია „ფშავში“, შემდეგ „ში“ გადაუსწორებია „ი“-დ; „იცნობს“ შემდეგ გადახაზულია „დ“; „ხოლო“-ს შემდეგ გადახაზულია „მას“; „ეძახიან ფშაველები“, ტექსტში გადახაზულია, ხოლო ზევით აწერია „ბოგუნობით“. ჩვენ გადახაზულის აღდგენა საჭიროდ ვცანით. 32 დაიწყო] ჯერ დაუწერია „დაიწყეს“, შემდეგ „ეს“ გადაუსწორებია „ო“-დ. 37 „შეურაცხმყვესო“-ს შემდეგ გადახაზულია „მომაყენესო გაიგ.“. 39 „სიცილი“-ს შემდეგ გადახაზულია „აუტყდა“ და თავზე აწერია „მოვიდა პირზე“. 40 „იყო“-სა და „ფშავლებია“-ს შორის ჩამატებულია „განა“. 41 „გამოჰხატავენ“-ს შემდეგ გადახაზულია „მუდამ“ და ქვევით მიწერილი აქვს „თავიანთ გრძნობას“. 44 „კაცი“-ს შემდეგ გადახაზულია „ეხლ“; „დაჰპატიჟოს“ შემდეგ გადახაზულია „ისიც კი არ დაუ“. 46 „იკისრონ“-ს შემდეგ გადახაზულია „ასეთი მაღ“ და ზევით აწერია „და გაბედონ ერეკლესავით“. 48 „კისრულობდა“-ს შემდეგ გადახაზულია „სი“; ერს] ჯერ დაუწერია „ერი“, შემდეგ „ი“ გადაუსწორებია „ს“-დ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაპრალნი (გვ. 60)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1902 წ., № 257.
61. 6 სხვასაც] სხვაც.

ზოგის წინა-ღამე ტყეში (გვ. 66)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1902 წ., № 277.
66. 18 სველი] ხმელი**. 23 წვერალმა] ჯერ ალმა**.
67. 8 ბატარკაცი] პატარა-კაცი. 10 დაუწყო] დაიწყო.
68. 18 ბატარკაცმა] ბატის კაცმა.

პაპას მსოფლიო ფიქრები (გვ. 71)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1903 წ., № 2323.
71. 27 კულუხით] ტულუხით*.
72. 7 გააზაქრებული+და.
73. 34 ეძებ] ეძებს.
75. 1 უგონებო] უგუნებო. 27 ჩემობილი] ჩემობალი.
76. 5 იქნებით] იქნები.
77. 30 ადლი] ადგილი **.

აკადემიკოს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია ამ მოთხრობის ვარიანტი, ვაჟა-ფშაველას ფონდი № 31, გვ. 1—15 (დეფექტურია) სათაურია: „პაპასი და ნავროზას მსოფლიო ფიქრები“. ტექსტს ვბეჭდავთ მთლიანად. შემდეგ ვიძლევით მის დახასიათებას.

პაპასი და ნავროზას მსოფლიო ფიქრები

პაპა და ნავროზა დერეფანში ისხდენ, შუაზე ხონჩა ედგათ. ხონჩაზე — ხმიანდი და ხის ჯამი; ჯამში ნიორი და ნიგოზი იყო განაყილი, წყალში გათქვეფილი. დიდმარხვის წესზე სადილობდენ. ხმიანდს აწებდენ ჯამში და ისე შეექცეოდენ. გვერდით ედგათ ბოთლით არაყი და დროგამოშვებით პატარა ყანწით ჰსვამდენ იმასაც. პაპას კალთაში ორის წლის შვილიშვილი ეჯდა, პატარას ორივე ხელებით დაებღუჯა ხმიანდის ყუა და იმასა ჰღრღნიდა, რამდენჯერაც კბილს გაჰკრავდა ბავშვი, იმდენჯერ დააცქერდებოდა ხმიანდის ყუას და პაპას გადაავლებდა თვალს, თან რაღაცას ლუღლუღებდა.

— ჰო, ეგრე, შვილო! იჰ, რა კარგად შაექცევა ჩემი შვილი. დაჰკმიჭე, დაჰკმიჭე პაპაის შვილო! — ეუბნებოდა პაპა თავის შვილიშვილს.

— უბალღო სახლს, პაპავ, მე ასე შამილიშნავ, შნო როგორმე არა აქვ. — სთქვა ნავროზამ.

— მართალია, სახში ბალღი ანგელოზია. მე ბალღები მაძლებინებენ; გულს მიხალისებენ, სიცოცხლესა მმატებენ. — სთქვა პაპამ. — მერე შვილიშვილს სიყვარული სცოდნია. შვილები არც მეასედად მიყვარდა, როგორც შვილიშვილები მიყვარს, ძმობის მადმა, ნავროზავ.

— მე ჩემს თავზედაც გამოცდილი მაქვ: ვიცი კარგად. — მიუგო ნავროზამ და თან ღრმად ამოიხვნეშა.

— რა გახვნეშებს, კაცო, ეგ საკვირველი და საჯავრელი არ არი. „ვისაც რამე ბედმა მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდესო“, — უთხრა პაპამ.

— ეგეც ხომ ვიცი, მაგრამ ძნელია, როცა სხვის შვილსა ჰზდი და უნამუსო რძალიც შინ გიზის — განაგრძო ნავროზამ: — მე შვილის ცოდვაში ვარ ნამდვილად ჩამდგარი: ზოგი შენ მირჩიე, მაიყვანე, მაიყვანე, არა უშავო, ზოგი სხვამა და მეც რა მექნა? დავიჯერე თქვენი სიტყვა, ავდეგ და სხვის ნათრევი ქალი მოვგვარე შვილსა, უფრო გულის დასახვევად: ვაი თუ ადგეს და გადავარდეს სადმე, შვილი სამუდამოდ დავკარგოვო.

— წინავაც მითქომ, ძმაო ნავროზავ, და ეხლაც გეტყვი: შაუმცდარი ადამიანიშვილი სამარეში არ წავაო, ნათქვამია და მართალიც არი. ხორციელი ადამიანი შასცდება, მოტყუვდება. შენი რძალიც, ვიდრე თავის საკუთნო პატრონის ხელში ჩავარდებოდა, სხვამ შააცდინა, შვილსაც კი ეხლა სხვისასა ჰზდი, მაგრამ, იცოდე, ღმერთი მაგ საქმეს მადლად ჩამოგართმევს, რომ ხელი არ აიღე, გზაკვალი უმეტესად არ აურიე ისეც გზა-კვალარეულს დედაკაცს. ან წყეულ-შაჩვენებული ისე ღმერთზე ხელაღებული როგორ იქნება, შენი შვილისა და შენი ამაგი ქარ-წყალს წააღებინოს. პირიქით, მე ვფიქრობ, ეხლა უფრო ერთი-ათასად ეცდება ნამუსიანად იყოს: თქვენც დაკოდილი გული გაგიმთელოთ და ხალხსაც პირში ბურთი ჩასჩაროს, რომ ამას იქით არავინ-რა სთქვას იმაზე ცუდი. მე ასე ვფიქრობ და ასეც იქნება, თუ ადამიანობისა კიდევ რამ ლიშანწყალი სცხია და სრულეოდ გონდაკარგული არ არი. მაგრამ ისე ღმერთგამწყრალი როგორ იქნება, არ ესმოდეს, რის მოქმედი რა პატიოსნებაში მიიყვანეთ და იმან კიდევ რამ გაბედოს?!.

— არა, ღვთისა წინაშე, კაცმა ცოდვა როგორ უნდა თქვას: ყველასათვის, ბეჩავი, პირიზიარებაა, უწყინარი, მორჩილი, ხმაამოუღებელი. ყველას თვალწარბში გვიყურებს ვის რა ეამება, ან ვის რა ეწყინებაო, უცხოს კაცს აღარც კი შაჰხედნებს სწორედ თორო განაღამც სხვა რამ შაგველიშნოს — სთქვა ნავროზამ.

— ჰო და რო გეუბნები: გველსა ხვრელით გამაიყვანს ენა ტკბილად მოუბარიო, ეგეც მადლია. დიდი მადლი ჰქენით, რო ხელი არ აიღეთ. ქვეყანამ იუბნოს, მანამ მოეწყინება. ვინც რა უნდა თქვასო, წისქვილმა კი ფქვასო, — უთხრა პაპამ.

— მეც მაგას ვამბობ, ძმაო, — განაგრძო ნავროზამ: — მაგრამ, ღმერთო ნუ გცოდებ, იმ ბალღზე გული არ მიმიდის; საკვირველი რამ კია ის ძაღლის შაქნილ-შობილი და, აი, ეხლა შენთვი მშურს შვილიშვილის სიყვარული. მინდა, ჩემს თავს ძალას ვატან, გული როგორმე მოვიბრუნო, მაგრამ, დასწყევლოს ღმერთმა კაცის ხასიათი: ვერ იქნა და ვერა! რა არი მიზეზი? ისა, რო ჩემი შვილისა არ არი.

— ეგ რა უყოთ. ღვთის შვილია, ღმერთს შაეხვეწე, დაილოცოს იმის მადლი და სახელი, ის მოგცემს ძალას. — უთხრა ჩაგონებით პაპამ.

ამ ბაასის მიზეზს იქნებ მკითხველი ვერ იყოს მიმხვდარი და ამიტომ უადგილო არ იქნება საქმის ვითარებაზე ერთი-ორი სიტყვა მოგახსენოთ.

ნავროზამ ამ ორი-სამის წლის წინად თავის ვაჟს ღვთისოს ცოლი უთხოვა. როგორც წესია ფშავში, ვგონებ სასძლოს დედ-მამასთან, ვიდრე სწორე პასუხს მიიღებდა, ოცჯერ მივიდა სასმლით და მოსაკითხით. ქალი მამას და შვილს ორივეს მოსწონდათ. როგორც იყო ქალის მშობლები დაითანხმა, რომ უნდა ქალსა და ვაჟს ერთმანერთი ეცნოთ. იცნეს კიდევაც და მხოლოდ „ჰოობა“ მაშინ მოესმა ნავროზას ქალის მშობლების პირით. ამის შემდეგ სახლის სანახავი მიიტანა და ლიშანიც ჩააბარა. განვლო თითქმის ორმა წელმა. მშობლები სასძლოსი საქმეს აჭიანურებდენ და ამბობდენ, ქალი მოსამზადებელი გვყავ,

ჯერ ვერ წაგაყვანინებთო. და სწორედ ერთის თვის წინად, როცა ქალაქის ჯვარის წერის დღე იყო დანიშნული, ნავროზას ამბავი მოუვიდა ქალის მშობლებისაგან, რომ, ღმერთმანი, ქალი ორიანად არისო. ასახელებდენ კიდევაც ვისაც ედვა იმის ცოდვაში წილი. თქვენს მტერს მოსწყდეს წელი, მთელს ნავროზას ოჯახს ამ ამბის გაგონებაზე წელი მოსწყდა. ქალზე ხელის აღება დააპირეს ჯერ და მერე ნავროზამ, როგორც ძველს მეგობარს და საკითხს კაცს, პაპას მიჰმართა; პაპამაც თავის მხრივ ურჩია ის, რაც ზევით გაიგონეთ. მით უფრო ჭკვაში დაუჯდა პაპას რჩევა ნავროზას, რომ ახალ სასძლოს საძებნელად ახალი ტანჯი და ხარჯი იყო საჭირო. დღეს მეგობრები მხოლოდ წარსულ საქმეს იგონებდენ და მის სიავკარგეზე მსჯელობდენ.

— ღმერთმა ეხლა ეგ ბალღი ადღეგრძელოს, — სთქვა ნავროზამ: — დედამამა უცოცხლოს, კაი კაცი გამაიყვანოს, ისეთი, როგორიც თქვენსა და დედამამის გულს უნდა, — და გადაკრა პაპას მიწვდილი არაყიანი ყანწი.

— ღმერთმა გაცოცხლოს, მადლობელი ვართ, ღმერთმა შენც გიცოცხლოს გულის საიმედო ვინცა გყავ... ეჰ, ჩემო ნავროზავ, ეხლანდელს დროში შვილი ჭირია, რად უნდა კაცს ან ცოლი, ან შვილი, მე, როგორც დროებას ვუყურებ, იქნება ისეთი დროც მოიდეს, ცოლებს აღარც-კი ირთავდენ, ისეთი დრო მოდის თანდათან... — პაპამ ჩამოართო ყანწი ნავროზას და თითონაც ადღეგძელა თავისი შვილიშვილი: — გაზარდოს ეს ჩვენი ბალღი, კაი კაცი გამაიყვანოს.

— ამინ, ამინ! ღმერთმა გაგიგონოს. — დაუკრა კვერი ნავროზამ და განაგრძო: — როგორია, ნეტავი ვიცოდე, ი კაი კაცი? ხუმრობაგაშვებით, ეხლა შენა გკითხავ.

— ჰმ, ჰმ, — გაიღიმა პაპამ და დაიწყო: — რა გითხრა, ჩემო ნავროზავ, ძმაო, ყველას თავისი ფიქრი აქვ: ყაჩაღი ყაჩაღს ეძახის კაი კაცს, ლოთი — ლოთს, უკაცრეული პასუხია, ბოზი — ბოზსა. მე კი ჩემის ბეჩავის ჭკვით იმასა ვფიქრობ, რო თუ სიალნე და სიმართლე არა აქვ კაცსა — ის სიკეთეს მოკლებული უნდა იყოს, იმას კაიკაცობა არ ეთქმის.

— ეხლანდელს დროში?! ვაი შენს ნავროზას: ვინც ალალია და მართალი, ის უფრო ბეჩავია, ის უფრო იჩაგრება.

— ეგეც მართალია, მაგრამ ხვალე რაღას მაიტანს, იმასაც დავუცდით, დღეს შაიძლება იჩაგრებოდეს ალალ-მართალი, მაგრამ ხვალ უეჭველად გაიმარჯვებს: სიმართლე ან თავს, ან ბოლოსაო, ნათქვამია, „რა კარგია კაი კაცი, კარგს ანდეზე აგებული: სოფელი ჰყავ მადრიელი, სწორის გული მოგებული“. „როსტომ თქვა: გმირი მეც ვიყავ, ჯირითი შამოვისრიე, მეზობლის შაჩვენებასა ისევ დათმობა ვირჩიე“. დათმობაც მადლია: ნეტავი იმას, ვინც მაითმენს. რამდენჯერ, ვიცი, გითქომ შენც და მეც ბევრჯელ: ახ, ნეტავი მამეთმინა, იმ კაცისად არ მეწყენინა, ან ამ საქმეს არ დავმშრალიყავო. მაუთმენლობა კაცს ბოლოს სასინანულოდ რო უხდება, ეგ რის ლიშანია? — იმისა, რო მოთმენა კარგია და მაუთმენლობა ცუდი. გაჯავრებული კაცი მთვრალსა ჰგავ: მინამ მთვრალს არ გამოჰფხიზლდება, სიმთვრალეში ჩანადინარი საქმის სიავ-სიკეთეს ვერ გაიგებს. გამაჰფხიზლდება, და იძახის: „აახ, მამიკვდა თავი, გუშინ-წუხელ რა ჩამიდენავო“, და თან იფურთხება. გაჯავრებულსაც როცა გული დაუშოშმინდება, მაშინ იტყვის მხოლოდ — რადა ვქენ ცუდი საქმეო და თავს დაუწყებს ჯავრობას. — სთქვა პაპამ.

— ეგეც მართალია... მე იქავა ვარ... მაშ ეს რადღაა ძველთაგან ნათქვამი, — განაგრძო ნავროზამ: „კარგს ყმასა ჰშურობს სოფელი, — ჯარს არ გვიყენებს ჯარზედა; იმას კი არვინა ფიქრობს — გაჭირდეს — გამოგვადგებაო“ თორო

რო მოთმინება კარგია, ეგ ვინ არ იცის?!. ჩვენი მღვდელიც სრულ იმას არ იძახის, როცა სამკვდროს, ან საკომლოს გვართმევს: „მოთმინებითა შენითა მოიპოვე სული შენიო“. შასჩივლებ — არა მაქვს-რა, ღარიბი ვარ, ღვდელო და მაშინვე იმას გეტყვის: „ღმერთი მოგცემს, მხნე იყავ და გაძლიერდიო“... როცა მეტს იღებს, თავს ამითა მართლულობს: „მუშაკი ღირსი არს სასყიდლისაო“... როდის დაუწერა ღმერთმა და ჩამაუგდო ციდან, უეჭველად თუმანი აიღე ჯვარის საწერი, თორო მაგაზე ნაკლები რო აიღო, მაშინ ის სასყიდელი სასყიდელი აღარ იქნებაო?! საწყლები ვართ, საწყლები, ყველა თავის საქმეს აკეთებს, რა ვის ენაუღლება?! — სთქვა ნავროზამ.

— ჩვენ მღვდელზე არაფერი გვეთქმის, ჩვენის სულის მამაა, — სთქვა პაპამ: — არ უნდა გავაჯავროთ, არ უნდა ვაწყენინოთ. გვთხოვს — მივცეთ, ღმერთი ჩვენ მოგვცემს.

— ძალიან კარგი და რო აღარ გვაძლევს, თანდათან ტყავი გაგვძვრა: მღვდელი, ბერი, გზირი, ყარაული, ტარასტა, უჩიტელი, სტოროჟი, კანცელარიის ყარაული, იასაული, მამასახლისი, ნაცვალი, ეშმაკი-ქაჯი, ვინ იცის, რამდენს უნდა აძლიო?! მაიტა და მაიტა, ამის მეტი აღარა ისმის-რა. ყველა იძახის: „მაიტა ფული!“ და იმას არავინა ჰხედავს, რო ფულს თან ჰყვება სული. მე და ჩემა ღმერთმა, არა ვხუმრობ, ლამის, ე თითო სული გვჩრავ პირში და ესეც ამოგვწვადონ.

— გლეხნი ვართ, ძმაო ნავროზავ, გლეხნი, მაგაადა ვართ გაჩენილნი. ჩვენ დედამიწისა მეორე ძმა ვართ. აბა, ვიფიქროთ ჩვენ ჩვენთვის, რო დედამიწა არ იყოს, რა ეშველებოდა ამოდენა დუნიას, რა დაარჩენდა ან კაცთა, ან სხვა დანარჩენს სულდგმულთა! ეხუმრები, რამოდენას მადლსა სჩადის ე დალოცვილი დედამიწა და აბა, რა დიდად ჩვენ იმას ვაპატიოსნებთ: ჩვენ — გლეხთაც ის გვინახავს, ჩვენის წყალობით კიდევ რამდენს სხვას, ვისაც გუთნისა, ცელისა, ნამგლისა, ცულისა, წალდისა არაფერი გაეგება. მოვხნავთ, დავთესავთ, დავფარცხავთ, დავანებებთ თავს და თავის დროზე თითო მარცვალში ხუთსა და ათს მარცვალს დაგვიბრუნებს. იმას არა სწყინს, არა ჯავრობს, რამოდენას ითმენს?!

— მეტი რა ღონე აქვ, რო არ მაითმინოს. — მიუგო ნავროზამ.

— ჰო და რო ითმენს, — განაგრძო პაპამ: — ჩვენც იმას გვასწავლის, მაგალითს გვაძლევს, თქვენც ჩემი ძმანი ხართ, უნდა ბევრი მაითმინოთო... გლეხკაცს დიდი მადლი აქვ, სხვას რო სუყველას თავი დავანებოთ, ეს ხო ვიცით, უპუროდ ვერავინ იცოცხლებს. ვისი ოფლით მოდის პური? განა რო ჩვენის მარჯვენის ნაწველია? თავში დედამიწა, მემრე ჩვენ. ალბათ, დაილოცოს უფალი, იმას ასე დაუწესებია: ვინც დიდს მადლსა სჩადის, იმას დიდი ტანჯვაც მიერგებაო.

— მადლი, რა თქმა უნდა, აქვ დედამიწას, — დაემოწმა ნავროზა: — მაგრამ იმას რო ჩვენსავით თვალები ესხდეს და გრძნობა ჰქონდეს, ენა ედვას, ერთხელაც იქნება იტყოდა თავის დაღონებას. ჩვენ-კი ვხედავთ, გვტკივა, ვგრძნობთ და მაშ არ უნდა ვთქვათ?

— ახლა, ვიცით კი, რო არასა ჰგრძნობს? აქაო და არ ამბობსო, ეგრეც ხო არ იქნება ე?!. ჩვენ რო არ ვიცით იმითა?.. ან კი მართლაც რა ვიცით ჩვენ? — არაფერი!.. — სთქვა პაპამ.

— მადლი განა მარტო დედამიწასა აქვს, — განაგრძო ნავროზამ: — მე გზაც მადლიანი მგონია, იმიტო რო უგზოდ სიარული ტანჯვა-წვალებისაა; საკიდელიც მადლიანიაო, ვფიქრობ: ზედ ქობს შამოვკიდებთ და საჭმელს მოვხარშავთ; შეშა-ცეცხლი უფროც მადლიანი უნდა იყოს, რადგან გვათბობს და პურის თუ საჭმლის კეთებასა. გვშველს... შეშა შეშაა, რო იწვება, არა სტკივა,

მკვდარია, მკვდარი მეც რო დავიწვა, არაფერია, მაგრამ ცოცხალი კი ვერა, შენი ჭირიმე. წყალი უფროც მადლიანია, ჩემის ფიქრით, იმით, რო უფას-უპატიოდ მოდის მზამზარეულად, ისიც პურზე ნაკლებ საჭირო არ არი, იმის შაძენას უფრო ნაკლები გარჯა უნდა: ამოკრიფე ჭურჭელში და მაიტანე შინ; ანა და მიდი და დალიე. არა ჩივის, არა ტირის. მაგრამ მე რომ ვინ დამლიოს, არ დაველეინები, მანამ სული მიდგა, — სთქვა-რა ეს ნავროზამ, თან გაიღიმა.

— ყველა ეგ, რაც შენ ჩამასთვალე, დედამიწის შვილებია და დედისაგანა აქვ ზნედ დაყოლილი მორჩილება და მოთმინება. კი ვტყუი მაშა? — დასძინა პაპამ.

— შაიძლება არა სტყუოდე, მაგრამ არც-კი მე ვტყუი, მეც მართალსაოთ ვამბობო, იმასა ვფიქრობ. — მიუგო მას ნავროზამ...

ნავროზას ეს უკანასკნელი სიტყვები არ დაემთავრებინა, რომ ამ დროს დედაკაცის ლანძღვა-გინების ხმა გაისმა. ეს წყევლა-კრულვა პაპაანთკე იყო მიმართული: „თქვე დაღუპვილნო, თქვენა, რაზე დააღუპვინებთ ამ ნამუშაველსა? რატო არ დამაშორებთ ამ ცხვრებსა. ჰაა? დანელდით, დაბუნდოვდით, აგრია!.. აღარ იცითა ცოდვა-მადლი, არა გწამთა ღმერთი. ნურა კარგი გიყვასთ ჩემის მამის სალოცავმა!“..

პაპამ და ნავროზამ ყური ამ ლოცვა-კურთხევას მიაპყრეს. ის იყო დერეფნის წინ გადადგა პაპას უფროსი რძალი და უნდა შეჰკამათებოდა ავსა და შავს ჯავარას, ერთი ორიოდე მკვახე სიტყვა იმასაც ეთქვა, პაპას რომ არ დაეშალა.

— წამო, შინ წამოდი, — უთხრა მან რძალს ჩაგონების კილოთი: — „ყბედი რამ მოღალა და მუნჯმაო“. მერე მიუბრუნდა ნავროზას და უთხრა: — მოდი და ნუ დასთმობ! განა არა ჰხედავ სად რა ჭირნახულია, ჯერ გუთნები არც კი გასულა, მაგრამ ავი როსცა არი ადამიანი, მაულის ბრბო სიავისა, გაგვლანძღავს, არას ვეტყვით, გაბრუნდება და წავა. არცა-რა ჩვენ გვიშავდება მაგის ლანძღვით და არცა-რა საწყალს თითონ ემატება. მოდი და შენ აჰყევ მაგას, სიავეზე სიავე აშენდება და ბოლოს ავის მეტი არაფერი გამოვა.

— ჰო და გაგერშილა. აქაო და არას მეუბნებიანო, ხალიზი უჭამავ. მე თუ თქვენ, მაგას ერთი კარგა მივჯოხავდი, რო გორს აქათ აღარც-კი გადმეეხედა. მე მგონია ცოდვა არ იქნებოდა — სთქვა ნავროზამ: — გაიწურთნებოდა, მადლი იყო.

— ჯერ თავის მეპატრონეს ვერ გაუწურთნია. ჩვენ საით უნდა გავწურთნოთ?! ჩვენ ხელი არა გვაქვ, ჩვენ მოთმინების მეტი არაფერი შაგვეხება... — პაპამ ბოთლი აიღო ხელში და ყანწში არაყი დაასხა: — ღმერთმა გიშველოს, რო მოხვედ და ამაძრახე. საქმის დღე ისე არ მაშინებს, როგორც უქმე დღე, კიდევ რასმე გააკეთებს კაცი, ხელს გასძრავს. დღეს თუ შენ არა, უნდა ვყოფილიყავ გამოყრუებული... ეს ღმერთმა შაიწყალოს მამაშენი თვარელი. ღმერთმა იმის მამგონედ ნუ გაგათაოს.

— ამინ, შაიწყალოს! შენს სახსა და ცხოვრებას სული წმინდამ ბარაქა მისცას.

პაპამ სავსე ყანწი ნავროზას გადაულოცა.

— ღმერთმა ჩვენი მამები შაიწყალოს, გაანათლოს იმათი სული.

— შაიწყალოს!.. ღმერთი შაგეწიოს... მამასჩემმა თქვის: თვარელისთანა გულიანი ფშაველი არც-კი იყოვო. ჩამაიგდის ძველი ლაშქრობის ამბავი — ჯაღალა, თვალად უბირი იყო, მაგრამ შიში, როგორც ხემა და ქვამ, ისე იმან არ იცოდაო. ბევრი რამ საკვირველი იუბნის იმ ცხონებულმა. ერთხელ ლაშქარი წაველით მითხოს, დაგვიღამდა, დაუკუნეთდა, თვალი არ გაიჩხვერებოდაო. წყალში გვინდოდა გასვლა, ხიდი იყო გადებული და სიბნელის გამო ვერ გავ-

დიოდითო. იმ ღამეს გაუსვლელად კი არა გვეცილებოდაო. ძალიან დავლონ-დით, შავფიქრიანდით, რო ვეღარას ღონეს გავხდით, ბოლოს მოვიხადეთ ქუდე-ბი და შავეხვეწენით ლაშარისჯვარსა: „აბა, ჩვენო ლაშარისჯვარო, ეხლა გვიჭირს შენი თავი, გვიშველეო!“ ერთიან მოიდა დიდის ბურთის ოდენა რამ, დაეცა დაბლა, ჯარზე შორი-ახლოს, სუ ჩინჩხილებდა, წინწკლას ისროდა და არც გამჭრალა, მანამ ჯარი სუ არ გაიკრიფა ხიდზედაო... დაილოცოს იმის მადლი და სახელი! — ამ დროს პაპამ პირჯვარი გამოისახა, ხოლო ნავროზა პირდაღებული შესჩერებოდა.

— ეგ მამისჩემისაგანაც გამიგონია... სუ ლაშარისჯვარსა ფიცულობდა.

— აი ამის მნახავი ვარო, თქვის: — მოდი და ნუ იწამებს კაცო, — თან და-აყოლის, — მოუმოწმა ნავროზამ.

— ჰო და იმას გიამბობდი: მითხოთ ცხვარ-ძროხა გამოვრეკეთ, გაგვიგეს, დაგვედევნა მდევარი, ჯარს მარტუა აბრუნებდა; ორი ნატყვიარი სჭირდა ისივ თოფსა სტენდისო. ჰაი, თქვე რჯულძაღლებო, თქვენაო! თან იმას ატანდისო. — პაპამ კვლავ გაავსო ყანწი და სთქვა: ესეც ღმერთმა შაიწყალოს ლაშარისჯვრის პირ-ოფლიანნი, ლაშარისჯვრის ლაშქარში დახოცილნი.

— შაიწყალოს ღმერთმა! — მოუმოწმა ნავროზამ.

სავსე ყანწი ნავროზას გადაულოცა, იმანაც გაიმეორა შესანდობარი და ყან-წი რომ გამოცალა, ამოიხვნეშა: — წავიდა ის დროცა და არა გაიგება-რა, კი-დევაც მოიდეს ისივ დროება. — თან დააყოლა.

— არ არი საჭირო, ღმერთმა ნურც მაიყვანოს. — სთქვა პაპამ: — დიდი და-ღონება იუბნის მამაჩემმა, ცოტ-ცოტას ჩვენც კიდევ მოვესწარით... შინაით კარჩი უიარაღოდ ვერ გამოვდიოდითო. სამკალს-სათიბს ხმლიანი, თოფიანები დავდიოდით, ისეთი შიში იყო მტრისაგანაო. დაღალული დაიძინებდი და გათე-ნებას ვეღარ მოვესწრობიო, თან იმასა ვფიქრობდითო, ასე თქვის. აბა, რაში კარგია ისეთი დრო: სუ შიში, სუ ფიქრი?!

— ეხლაც ისივ არი, თუ მე მკითხავ. მაშინ თოფისა და ხმლის ტარების ნება მაინცა ჰქონია ხალხსა და ეხლა რო ესეც აღარ არი! ემ ზამთართ დადიან შირაქში ჩაფრები, მოდიან ბინებზე და ვისაც თოფს მოუხელვენ, ართმენ. ყა-ჩაღი და ავი კაცი სუ მუდამ იარაღიანია, მოდიან და გვართმევენ ჩვენს ალალს ლუკმას, ჩვენს სულის სარდოს. გინდა ხელი შაუქციო, მაგრამ რითა?.. შენკე რო ცხვირი ჰქონდეს მობრუნვილი ბერდანკა — აინალს, ძალათუნებურად ყუ-რებს ჩამაჰყრი. აი, ასეთი დრო გვადგა ჩვენ, მწყემსებს. დედაკაცები დავხ-დით, ერთი სიტყვით. ეს სადაური სამართალი და ხალხის პატრონობაა, მე არ გამიგია: მამაძაღლი თათრები თოფ-იარაღიანები დადიან და ჩვენ, ქართველები, უიარაღონი. უიარაღოს, კიდევაც ვიტყვი, რა გაუვა იარაღიანთან, თუნდა ძა-ლიან კაი ბიჭიც იყო?! ჩაიცმენ ჩაფრულად, ზოგი ურადნიკია, სხვა აფიცერი, დაგვერევიან და გვცრცვიან. რო დაგვატყობენ, იარაღი არა აქვთ, ხელს ვერ შამოგვიბრუნებენ, მაჰსხლეტენ ნოტო-ნოტო ცხვარს, ჯოგს და მიუდასთ... ეს სამართალია?!

პაპა ნავროზას სიტყვებმა ძალიან დააფიქრა.

— ჰო, დალოცვილი ხემწიფე არ უნდა კადრობდეს მაგისთანა საქმეს. კი-დევაც უნდა გაძლევდესთ იარაღს, გახალიზებდესთ, თუკი მტერს მაიგერებთ და იმდენს შნოებას გამაიჩენთო, — სთქვა მან ბოლოს.

ძველს დროში ვაჟკაცს რა უჭირდა, თუ გული ერჯოდა, მისცემდა მტერს პასუხს: იარაღი ხელთა ჰქონდა, ეცდებოდა მაინც, ან მოკვდებოდა, ან დარჩე-ბოდა; ეხლა არცა ვკვდებით, არცა ვრჩებით, ისეთი დროა.

ამ ლაპარაკში იყვნენ გართულნი პაპა და ნავროზა, რომ მღვდელმა და დიაკვანმა კარებზე ცხენები მოაყენეს.

ორივენი ფეხზე წამოდგნენ, მიეგებნენ და ცხენები ჩამოართვეს. „შანდობა, მამაო!“ — სთქვა პაპამ ქუდმოხდილმა... „შანდობა, მამაო!“ — გაიმეორა ნავროზამ. მღვდელმა მარჯვენა ხელზე ანაფორის სახელი შაიკეცა და გაისმა დიდმნიშვნელოვანად წარმოთქმული მისი სიტყვები, ჯვარის სახედ ხელის ქნევასთან დატანებული: — სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა. ამინ!— სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა. ამინ!

— მობძანდით, მამაო, მობძანდით! — მიიპატიჟა სუფრაზე პაპამ. — მობძანდი, დიაკონო! — ცხენებს თივა დაუყარეთ! — უთხრა პაპამ შინაურებს.

— თქვენ ქეიფში ჰყოფილხართ, როგორც გატყობთ, — სთქვა მღვდელმა, თან ჯიბიდან ხელსახოცი ამოიღო და ცხვირი მოიხოცა.

— ეჰ, ვქეიფობთ, მამაო, ჩვენს საწყლობაზე: ჩვენი ქეიფი — ხმელა პური და მწარე არაყი. იქნება გესიამოვნებოდეს, მამაო? — ჰკითხა ნავროზამ.

— შაიძლება ერთი არაყი დავლიო. მაგრამ ჯერ დაღლილი ვარ, ცოტა დავისვენო. რატომ, შვილო, ნათქვამია: პური და ღვინო ახარებს გულსა კაცისასაო. საკვირველია, ღმერთმანი, — სთქვა მღვდელმა: — საცა გაივლი, ყველგან არაყია, არაყსა ჰსვამენ და საკომლო პურს-კი არ იძლევიან, არა გვაქვს და არა გვაქვსო, სულ იმას გაიძახიან.

— ვინ არ იძლევა, მამაო, მიირთვი ეხლავე, შენ გენაცვალე. — მიუგო პაპამ.

— მე შენზე ხომ არ ვამბობ. ნეტავი მთელი ქვეყნის სარჩო შენა გქონდეს.

— ღმერთმა დაიფაროს: ქვეყანას რაღა ეშველებოდა?! — სთქვა კვალად პაპამ.

— არაყებს განა, მამაო, თავანკარი პურისას ვაკეთებთ: რაც ნამკუდები რჩება, ხომ არ გადავყრით, მაშა?..

— ეჰ, შვილო, — სთქვა მღვდელმა: — მე რას მასწავლით ნათქვამია: თუ გული გულობს, ქადა ორის ხელით იჭმევაო. აი ერთადერთი კაცია ეს, ღმერთმა ააშენოს ამის ოჯახი, რომ ყოვლის უარის უთქმელად აიღებს და ჩამაბარებს.

— ღმერთმა მისცეს. აქვ კიდეც, — სთქვა ნავროზამ.

— შენ კი არა გაქვს, რომ ორი წელია საკომლო არ მოგიცია? — სთქვა კვალად მღვდელმა.

— შენ, მამაო, ოღონდაც კარგა მოგვიარე და მეც მოგართმევ, არც მე გაგალაპარაკებ. შინ არა მაქვ, წავალ, ვითხოვ, ან ვიყიდი, სხვაკნით მოიტან და შენსას ჩაგაბარებ. — უთხრა მღვდელს ნავროზამ.

— რას მემდურით, შვილო? როგორ-ღა მოგიაროთ: უზიარებელი ჯერ არავინ მომიკლავს, მოუნათლავი და მიცვალებული დასამარხავი.

— მამაო, არაყი მიირთვით. ამბობს ეგეც საუბრის გულისთვის. ჩვენ როგორ შაგვიძლიან რაშიმე წინააღმდეგობა გაგიწიოთ?! — სთქვა პაპამ და თან ყანწით არაყი მიაწოდა მღვდელს.

— უკაცრავად ვართ, მამაო, რომ თქვენს საკადრისს ვერც პურს ვიშოვით, ვერც სასმელს.

— რად სწუხდები. ღვთის მოწყალებით ყველაფერიც კარგია, ეს ნუ დაგვაკლდება.

— აბა, ვინა ხართ შინა? — დაუძახა სახლში პაპამ.

— შინა ვართ. — მოისმა ხმა პაპას მეუღლის ხოშიასი.

— აბა, სუფრა გაგვიახლეთ.

— ღმერთმა დაგლოცოსთ, ღმერთმა გაკურთხოსთ, — სთქვა მღვდელმა და გადაჰკრა ყანწით არაყი... — ნუ შეაწუხებ ჯალაბობას, ყველაფერი საკმაა. ერთი ამასა გთხოვ, პაპავ, მამაშვილობას, გზირ დამიძახებინო.

— ეხლავე, მამაო! — სთქვა პაპამ და მაშინვე კაცი გაგზავნა გზირის მოსაყვანად.

— გზირი რადა გნებავთ, მამაო? — ჰკითხა ნავროზამ მღვდელსა.

— ხალხი უნდა მოაქუჩოს. უნდა ვულოცოთ...

— დიაღ, დიაღ, კეთილი! — სთქვა ნავროზამ: — მეც უნდა ლოცვაზე დავდგე.

— მაშ, მაშ, უნდა, უნდა! ყველაც უნდა ეზიაროთ! მაშ რის ქრისტიანობაა! — სთქვა მღვდელმა. ამ დროს თვალი შეასწრო გზირთან მიმავალს კაცს და მიაძახა: „უთხარი გამოუცხადე ყველას დადგნენ ლოცვაზე; ვინც არ ეზიარება, ერთის თუმნის გირაოს ჩამოვართმევ. გაიგონე?!

— დიაღ, მღვდელო, დიაღ! გავიგონე და ვეტყვი კიდეც, მერ თითონ იცის გზირმა და ხალხმა, — მოისმა პასუხად ხმა.

— შენ რაც მე გიბძანე, სწორედ უთხარი და მერე იმან თითონ იცის, — გაუმეორა კვალად მღვდელმა...

ამ დროს გამოჩნდა პაპას ჯალაფიც, ხელში თაფლიანი დიდრონი ხის ჯამი ეჭირა და მიესალმა მღვდელსა და დიაკვანს: — მშვიდობა თქვენთან. მღვდელი დალოცის ღმერთმა... — ხოშიამ თაფლიანი ჯამი წინ დაუდგა.

— გაკურთხოს ღმერთმა, — სთქვა მღვდელმა და ჯვარი გადასწერა.

— აბა, დიაკვანო, — სთქვა მღვდელმა: — ეს თაფლი და არაყი ერთი მეორეს მოუხდება, აი! ჯერ ეგ არაყი გადაჰკარ. — დიაკვანს ყანწი ეპყრა ხელში და ლოცვის წარმოსათქმელად ემზადებოდა, თან რაც შეეძლო ცალის ხელით ულვაშებს იფაქიზებდა, ისწორებდა. ეტყობოდა, თაფლთან საომრად ემზადებოდა.

ფუტკარი ბევრი გყავს? — ჰკითხა პაპას მღვდელმა, როცა ხმიანდის ლუკმას ამოატანა თაფლი.

— ეჰ, ბზუიან რამ, მამაო! — მიუგო პაპამ. მის პასუხზე დიაკვანმა გაიცინა.

— შენ რაღა გაცინებს, კაცო? — ჰკითხა მღვდელმა დიაკვანს.

— როგორ არ გამეცინება. საკვირველი კაცია სწორედ ეს პაპა. ას ძირზე მეტი ფუტკარი ეყოლება და ენდე რას ამბობს: „ბზუიანო“, თითქოს სადმე ორი-სამი კოლო, ან კელა შამძვრალიყოს ფუტურო ხეში. ეგრე ამ დალოცვილმა კაცმა ცხვრისა იცის: „ერთი ორი ჯანდაგი გვიგდიაო“. ორი ჯანდაგი რად იქნება, ღმერთმა უმატოს, ორი ათასზედაც მეტი ჰყავ!..

— ... სიმშვიდისა, სიმდაბლისა, მოთმინებისა მოჰმადლე მონასა შენსა, — სთქვა მღვდელმა.

— ჰო და მეც ეგ მიკვირს მამაო, სხვა კი არაფერი. ზოგმა იცის: ასი სული რო ჰყვანდეს, ათასს იძახის. ის კი პირაქეთ აკლებს...

— პური, არაყი მიირთვით, თქვენი ჭირიმე: რაცა მყავს ეგეც, თუ ვიცი რამ, ყოლად არ უნდა ვსთქვა იმიტომ, რომ ჩემი კი არა, ღვთისია... რაც უნდა ბევრი ჰქონდეს კაცს თუ ღმერთს იმისად არ უნდა, მორჩეს თქვენი მტერი და დუშმანი, ერთს დღეს მორჩება. ათასს და ორი ათასს სათვალავი მალე აერევა, მალე ჩამოხდება ორზე. ორი და სამი კი ადვილად საყოლია; რაც უნდა საწყალი იყოს კაცი, ამდენს ყველაც იყოლებს, ღმერთო, ნუ გცოდებ ამ სიტყვაა, ღვთითაც, უღვთოდაც, — სთქვა პაპამ და ამ უკანასკნელი სიტყვის წარმოთქმის დროს ქუდი მოიხადა და პირჯვარი გამოისახა. — ღმერთო დაგვიფარე, მართ-

ლაც, ვინიცობაა, რამდენი მომხდარა მაგალითი, რო ორი ათასი ორზე ჩამოჩ-
დეს?!. ეხლა თუ წაგებული ვარ სიტყვაში, მაშინაც ვიქნები?..

— აი, ყოჩაღ!.. აი, ნამდვილი კაცური სიტყვა, აი, ქრისტიანი ჭეშმარიტი ქრისტიანი კაცი!.. — სთქვა მღვდელმა და თან პაპას მხარზე ხელ დაჭკრა, ადღეგძელა პაპა და თან მეორე ყანწი არაყიც გადაჭკრა.

— სწორე სიტყვაა, — სთქვა დიაკვანმა: — ნამდვილი სიტყვაა!..

— ეგრეა! მაგას რა თქმა უნდა, — სთქვა ნავროზამ, რომელიც აქამომდე თავჩაკიდებული იჯდა... — მაშ დღეს შაუდგები, მამაო, ლოცვასა?

— დღეს, უეჭველად. ამ საღამოთივე ვილოცავთ. — მერე მიუბრუნდა მღვდელი პაპას: — ერთი, პაპა, მამაშვილობას, ოთახი დაასუფთავებინე.

— ყველაფერი იქნება, მამაო, ყველაფერი, ღვთის მოწყალებით თქვენ კარგა შინაურულად პური მიირთვით. — მიუგო პაპამ და ვიდრე ეს განკარგულებას მოახდენდა, მანდილოსანნი უკვე შამდგარნი იყვნენ ოთახის დალაგებას. თუ შინ ისინი ალაგებდენ ერთიერთმანეთზე ტარ-ხოკრებს, ქვაბებს, ჯამ-კოვზს, ფანც-ფუნცი გაჰქონდათ დარბაზში, დიაკვანიც არ იყო ჩამორჩენილი: ისიც ალაგებდა თაფლიანს ლუკმას ლუკმაზე. რამდენსაც ლუკმას გადააგდებდა, იმდენი ცალს თვალს მოსჭუტავდა, ხოლო მეორე არაყიან ბოთლზე ჰრჩებოდა. ნავროზაც უსხამდა არაყს: „აბა, დიაკონო, მიირთვიო!“ ამ სიტყვებით.

იქნება იკითხოთ: რატომ საყდარში არა ლოცულობდენ ჩვენი მღვდელ-დიაკვანი? ფშავში ასეა. საყდარი ერთს სოფელშია მხოლოდ. მრევლი-კი რამდენიმე სოფლისაგან შესდგება, რომელნიც დაშორებულნი არიან კარგა მანძილით ერთი-მეორეზე. ამიტომ აქ ჩვეულებად არის შემოღებული ლოცვა კერძო სახლებში, ხოლო საზიარებლად შაბათისთვის მაზიარებელნი საყდარში იკრიბებიან.

— შენ რამდენი ხანია, რაც არა ჰზიარებულხარ? — მიჰმართა მღვდელმა ნავროზას.

— დიდი ხანია, მამაო, ოცს წელზე მეტი იქნება. — მიუგო მან.

— ოჰ, ოჰ, ოჰ! ვაი, ვაი, ვაი დედავ! ვაი სულო დატანჯულო! შენ კანონით ზიარება აღარც-კი გერგება. ამდენი ხანი ქრისტიანი უზიარებელი? სად თქმულა, სად გაგონილა?! — ამბობდა გაჯავრებული ხუცესი.

— რატომ, მამაო?! ჩემი რა ბრალია, შირაქში და თრიალეთზე სად შავხვდებოდი საყდარს წყემსი კაცი?.. არ მაზიარებ და, რა ვქნა, ვიქნები ესე. უზიარებელი გავჩნდი, უზიარებელი მოვკვდები. რაც ქვეყნის ნახირსა, ის ბებრის ხბოსაო. ასეთი კაცები ვიცი უზიარებლები, რო ერთს სოფელს იყიდიან და გაჰყიდიან. ათის წლისანი ცხვარში წასულან, იქ დაბერებულან და ვიცი კიდეც — არა ზიარებულან. მაშ ისინი უნდა წაწყმდენ, გულითა გკითხავ, გული არ მამიკვდება, მამაშვილობას, სწორე მითხარ, სხვაფრივ ჭია რა არი, ჭიაც-კი არ გაუჭყლეტავ: რამოდენას მშიერს აძღებენ, ტიტველს აცმევენ, რამოდენას მათხოვარას ისტუმრებენ. არამს თავის ალალს ოფლში იოტის ოდენს არაფერს გაურევენ. ღმერთსა ლოცულობენ, ხატებსა. მოკეთეს მოკეთურად უხვდებიან, მტერს — მტრულად. მაშ ღმერთმა ისინი უნდა დაკარგოს, უნდა წაწყმიდოს? რამდენი ნებწესივრად, ავადმყოფობითა, რამდენი ტყვიითა კვდება უზიარებელი კარგი, ალალ-მართალი კაცები, ან საით ვიშოვოთ უდაბურ ადგილს, მინდორში ზიარება?.. — სთქვა ნავროზამ.

— რაც უნდა მართალნი იყვნენ, სრულს ნეტარებას ვერ მიიღებენ, — მიუგო მღვდელმა.

— აბა, რა ვიცი, სრულს მიიღებენ თუ ნახევარს და ეს კი ვიცი მეც ჩემის

ბეჩავის ჭკვით, რო ღმერთი არ წასწყმედს იმათა და კიდევ ესეც ვიცი, და გა-მიგონია, რო „ტყვიით მოკლულს ვაჟკაცსა რად უნდა ზიარებაო?! მალედვე უნდა დამარხვა, არ უნდა გვიანებაო“...

— ყველაფერი თქვენ იცით და მაშ ჩვენ რაღას ვაკეთებთ, ჩვენ აღარაფერი ვიცით? მარტო თქვენი ცოდნა როდი კმარა, ჩვენც უნდა გაგვიგონოთ-და! — სთქვა მღვდელმა.

პაპა ამ დროს თავდაკიდებული იჯდა და ორივეს მძიმედ ყურს უგდებდა.

— გაგიგონებთ, მამაო, გაგიგონებთ და ერთი ეს მიბრძანე, რა არი ცოდვა: მე არ ვიცი, იქნება მე რაც მადლი მგონია, ის ცოდვა იყოს, და რასაც ცოდ-ვადა ვთვლი, ის მადლი.

— გეტყვი, შვილო, — სთქვა მღვდელმა. — არა კაც ჰკლა, არა იმრუშო, არა ცილისწამო მოყვასისა შენისა წამებითა ცრუთათა. — მღვდელმა მთელი ათი მცნება წაუკითხა, ხოლო თვითეული მცნების თქმაზე პაპა პირჯვარს იწერდა და ამბობდა: „ღმერთო, შენის მადლითა და ძალითა, ღმერთო მართალო!“ და როცა მღვდელმა ათი მცნება ჩაათავა, პაპამაც ზედ დაუმატა შემდეგი: „სახე-ლითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა. ამინ!“..

დიაკვანს ულვაშებს ქვეშ ჩაეცინა. ნავროზამ იქით-აქეთ მიიხედ-მოიხედა, ოდნავ ცას აჰხედა და მერე დაბლა დაიწყო ცქერა.

— ჰოო, აი ნამდვილი ქრისტიანი კაცი! — სთქვა მღვდელმა: — ამან ლოც-ვებიც იცის და აბა, თუ ბიჭი ხარ, შენც იტყვი რომელსამე ლოცვას, ნავროზ! მარტო სახელით ქრისტიანობა არ არის საკმაო. უნდა ლოცვაც იცოდეს კაც-მა, წესი და რიგიც იცოდეს თავის რჯულისა.

— მე ერთის ლოცვის მეტი არაფერი ვიცი, მამაო! ერთი ლოცვა ვიცი, ერთად-ერთი. იმით გამოვდივარ იოლად. — მიუგო მღვდელს ნავროზამ.

— სასურველია გაგვაგონო ჩვენც. დიდად მესიამოვნება, მამა-შვილობამ.

— თქვენ რას დამენაძლევებით, — განაგრძო ნავროზამ, — არც-კი იცოდეთ, ხო მღვდელ-დიაკვნები ხართ, — და თან გაიღიმა.

— თქვი რაღა, თუ რამ იცი! — შეტევით უთხრა დიაკვანმა.

— გინდათ-კი რომ ისწავლოთ და წიგნში ჩასწეროთ, არა?!.

— ფასს თუ გვთხოვ ისა თქვი, ფასს მოგცემთ, შვილო. — სთქვა მღვდელმა.

— ის ლოცვა მღვდლებს არ გეცოდინებათ, არსად გამიგონია მღვდელ-დიაკვნებისაგან. — სთქვა ნავროზამ.

— ნეტა რა ლოცვა უნდა იყოს ის ლოცვა, რომ მხოლოდ შენ გაგიგონია და ჩვენ არა? — მიუგო მას მღვდელმა: — იქნება თათრულია, ის-კი, ღვთისა წინაშე, არ ვიცით და ღმერთმა ნურც გვაცოდინოს, — და თან თვალები და-აშტერა ნავროზას.

— თათრული კი არა, ნამდვილი ქართულია, სწორჩიით არ გამოვერჩევი, ერთი ეს კია რო, თრიალეთურია, თრიალეთური! — სთქვა რა ეს ნავროზამ, გაიცინა.

მღვდელსა და დიაკვანსაც გაეცინა, პაპასაც კი ღიმილმა გადურბინა სახეზე.

— ჰო და უფრო კარგი, თუ თრიალეთურია, ჩვენც ეგ გვინდა. შენ თრია-ლეთური ლოცვა გვასწავლე და ჩვენ კიდევ ფშაურს ლოცვას გასწავლით. — უთხრეს ნავროზას მღვდელმა და დიაკვანმა ერთხმად.

— გასწავლით, თუ მაზიარებთ, დღესვე ლოცვაზე დავდგები...

— შე კაი კაცო, სიხარულით არ გაზიარებთ: ბრმას რა უნდა? — ორივ თვა-ლებიო... ჩვენ მაგის მეტი რა გვინდა. მაშ რისთვის დავტანტალებთ ამ სოფელ-ში?! — მიუგო მღვდელმა.

— მითამ იმას მიბრძანებდი წელან, შენ ზიარება აღარ გერგებაო?

— ეგ ისე გითხარ... ყასითად... შენ მოისურვე ზიარება და თუნდა ათჯერ ვაზიარებ.

— ოღონდაც, ოღონდაც! — დააჭეშმარიტა დიაკვანმა.

— ეჰ, ღმერთო, ვიტყვი, რაც იქნება — იქნება. — სთქვა ნავროზამ. — ეჰ, შამაო, აი, ჩემი ლოცვა და ჩემი ზიარება. ბევრჯელ მითქვამ ეს ცხვრის თეოზე ნაწოლს, წვიმით გაყლენთილს, სიცივისაგან გამხმარს, გაშეშებულს დაბლა ხევში, მაღლა მთის წვერზე, ტრიალს მინდორზე, თავზე უთოვნავ, ქარს სახე უკაწრავ ჩემთვის, მე მაინც მითქომ ლოცვა... ჩემი, თრიალეთური...

— ღმერთო, შამიწყალე, ჩვენ იმას არ გკითხავთ, სად გილოცნია და სად გითქვამ, ჩვენ იმასა გთხოვთ მხოლოდ, თვით ლოცვა წარმოსთქვა, — სთქვა გაჯავრების კილოთი დიაკვანმა... მღვდელს კი ეცინებოდა...

— უსათუოდ კარგი რამ უნდა იყოს, რომ სათქმელად არ ემეტება! მე და ჩემი დიაკვანი აქამდის წირვას გამოვიყვანდით და ამ კაცმა კი ერთის ლოცვის თქმა ვერ მოახერხა.

— ოჰ, ეს დიაკონი ძალიან სულსწრაფი ყოფილა. უნდა ახლა ჩემი ლოცვა ისწავლოს. თითონ ბევრი არ იცის და ჩემით უნდა შაივსოს ნაკლი. შენ რას იტყვი, ძმაო პაპავ, კი ვტყუია? — მიჰმართა ნავროზამ პაპას; პაპას სწორედ ამ დროს ცხვირს დააცემინა და პირჯვარი გადიწერა.

— ხეირი!.. ღვთის წყალობა!.. — გაისმა აქეთ-იქიდან ხმა.

— ღმერთმა მოგცასთ ხეირი... ღმერთმა ნუ მოგაკლოსთ თავის წყალობა!.. — მიუგო იმათ პასუხად პაპამ.

— ალბათ, მართალია, რო ცხვირიც მომემოწმა. — სთქვა ნავროზამ.

— მუნათისა არაფერი გვინდა, ჩემო ძმაო, — სთქვა დიაკვანმა: — შენ და შენს თრიალეთურს ლოცვას ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ...

— ნუ გეშინიან, დიაკონო, გასწავლი... გასწავლი, რაც იქნება, იქნება... აი ჩემი, საწყალი კაცის, ლოცვა: „დავწვები — დამეძინება, პირჯვარი დამეწერება, ცხრა ხატი, ცხრა ანგელოზი სულ თავით დამესვენება. ჯვარი მწყალობს, ჯვარცმული, ვერას მიზამს მაცდური, მწყალობს წმინდა გიორგი, ჯვარი პატიოსანი!“ ეს არი და ეს. ჩემი თრიალეთური ლოცვის მადლი მეც შამეწეოს და თქვენც.— სთქვა რა ეს ნავროზამ, თან პირჯვარი გამოისახა.

— ბიჭოს! ეგ კაი ლოცვა გცოდნია. ლოცვა კარგი გცოდნია, ცოტა პირჯვარს ვერ იწერ სწორედა, თორემ სხვა არა გიჭირს-რა — შეჰნიშნა მღვდელმა [1].

. . . . . .

— აბა, დია(კონო) . . . . . პარასკევს ადრე უნდა წამოასხა რო...

— ბატონი ბ(ძანდებით). . . . . : (ერ)თი საგზაო კიდევ დამალეინეთ და წავალ...

ნავროზამ ყ(ანწში არაყი ჩაუსხ)ა, მიაწოდა და თანაც დაუმატა:

— გემართოს ჩემთვის . . . . . წავლებია. ჩემი ნასწავლები ლოცვა კი არ დაივიწყო...

დიაკვანმა არაყი გადაჰკრა. შემოიკვალთა ჩოხა. ხელსახოცში ქამნ-დავითნი გამოიკრა, ყველას გამოემშვიდობა და გზას გაუდგა.

---

[1] ამის შემდეგ ხელნაწერის ნახევარი ფურცელი (18 სტრიქონი) დაზიანებულია. რედ.

სამლოცველო ოთახი დედაკაცებმა უკვე დაასუფთავეს. ბუხარში ცეცხლი გააჩაღეს. მზე გორის პირს გაება. ყველანი აიშალნენ, სუფრა აიღეს. საქონელმა მოიწყო კარებზე მოდენა. ისმოდა ფურების და ცხვრების ბღავილი. რამდენიმე უცხო კაცი და ქალიც მოვიდა ჯოხების ბჯენით — ესენი მაზიარებლები იყვნენ... შემობინდდა.

— აბა, ვილოცოთო! — გაისმა ხმა მღვდლისა. ბუხარზე ლამფა იდგა და მღვდელიც თავის საგალობელსა გალობდა: „უფალო და მეუფეო ცხოვრებისა ჩემისაო"... პაპა და ნავროზა ერთად იდგნენ და გულმხურვალედ ლოცულობდენ. თვალებს აჩერებდენ ლამფის გვერდით ბუხრის თავზე დაყუდებულს ღვთისმშობლის ხატსა. ყველა მლოცავი თვალს მღვდელს აყოლებდა და როცა იგი დაიწერდა პირჯვარს, ისინიც იმას ჰბაძავდენ... „ღმერთო!" — მხოლოდ გარკვევით ეს გაისმოდა, დანარჩენი ლოცვა-ვედრება ყველას გულში ჰქონდა დამარხული... კედელს იქით საქონლის პირის-ჩქამი, ხვრემა საჭმლისაც ზედ ერთვოდა და ფშვინვა, ოხვრის მინაგვარი.

[1903]

6 პატარას ორივე] ჯერ დაუწერია „იმასაც ხელში", გადაუხაზავს და ზევით დაუწერია „პატარას", გვერდით კი „ორივე". 8 ბავშვი] ბაშვი; პაპას] ჯერ დაუწერია „თან", შემდეგ გადაუხაზავს და დაუწერია „პაპას". 10 ჰო] ჰოო; იჰ] იდ. 15 მიხალისებენ] მიხალიზებენ. 36 გაგიმთელოთ] ჯერ დაუწერია „გაგიმთელოსთ", შემდეგ „ს" გადაუხაზავს. 50 უთხრა] ჯერ დაუწერია „სთქვ", შემდეგ გადაუხაზავს და დაუწერია „უთხრა". 67 „და"-ს შემდეგ გადახაზულია „მერე". 76 ნავროზას] ნავროზასი; ახალ] ჯერ დაუწერია „ახალი", შემდეგ „ი" გადაუხაზავს. 79 „მის"-ის შემდეგ გადახაზულია „მის". 91 „გაიღიმა"-ს შემდეგ გადახაზულია „კაც". 106 რო] ჯერ დაუწერია „რომ", შემდეგ „მ" გადაუხაზავს. 125 „ჩვენ"-ის შემდეგ გადახაზულია „მაგაზე". 129 „იასაული"-სა და „ეშმაკი-ქაჯი"-ს შორის ჩამატებულია „მამასახლისი, ნაცვალი". 132 რო] ჯერ დაუწერია „რომ", შემდეგ „მ" გადაუხაზავს. 133 ამოგვწვადონ] ამოგვწადონ. 139 დავფარცხავთ] დავფარავთ. 164 წყალი] ჯერ დაუწერია „წყალიც", შემდეგ „ც" გადაუხაზავს. 177 „აგრია"-ს შემდეგ გადახაზულია „ნუ". 189 „ბოლოს" შემდეგ ჯერ დაუწერია „ავი გა", შემდეგ გადაუსწორებია „ავის". 198 „გასძრავს" შემდეგ გადახაზულია „თუ". 208 „გაიჩხვერებოდაო"-ს შემდეგ გადახაზულია „ხო". 216 „ხიდზედაო"-ს შემდეგ გადახაზულია „ამ". 228 „და"-ს შემდეგ გადახაზულია „შე". 230 მოიდეს] ჯერ დაუწერია „მოვდეს", შემდეგ „ვ" „ი"-დ გადაუსწორებია. 232 მამაჩემმა] მამასჩემმა. 242 დავხდით] დავხედით. 292 „ჩაგაბარებ"-ს შემდეგ გადახაზულია „რას". 293 „და"-ს შემდეგ გადახაზულია „თუ". 306 საკმაოა] საკმაო. 314 ეზიაროთ] ჯერ დაუწერია „ეზიაროს", შემდეგ „ს" გადაუკეთებია „თ"-დ. 323 თაფლიანი] თაფლიან. 352 მაგალითი] მაგალით. 361 „პაპას" შემდეგ გადახაზულია „და სთხოვა". 363 „მიირთვი"-ს შემდეგ გადახაზულია „სთქვა". 370 „იქნება"-ს შემდეგ გადახაზულია „მკითხველმა". 390 „არამს" შემდეგ გადახაზულია „სხვისას". 405 „რა"-ს შემდეგ გადახაზულია „უფრო" და ზევით აწერია „არი". 415 „დაბლა"-ს შემდეგ გადახაზულია „დაჰკიდა თავი". 420 „სახელით"-ს შემდეგ გადახაზულია „რო"; არ] ჯერ დაუწერია „არა", შემდეგ ბოლო „ა" გადაუხაზავს. 431 „ნეტა"-ს წინ გადახაზულია „რა". 443 „სიხარულით"-ს შემდეგ გადახაზულია „კი". 450 აბზაცს, რომელიც იწყება სიტყვებით: „ეჰ, ღმერთო ვიტყვი..." პერპენდიკულარად ჩამოსმული აქვს ხაზი სტრიქონების დასასრულ სიტყვებზე.

475 „ჩემი“-ს შემდეგ გადახაზულია, „ლო“. 482 „წამოასხა“-ს შემდეგ გადახაზულია, „დაღამდე“. 489 „გამოიკრას“-ს და „და გზას“ შორის ჩამატებულია „ყველას გამოემშვიდობა“. 491 „საქონელმა“-ს შემდეგ გადახაზულია „ნე“. 499 „გვერდით“-ს შემდეგ გადახაზულია „ავა“; „მღვდელს“ შემდეგ გადახაზულია „აღ“.

ოცნება (გვ. 79)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1903 წ., № 2334.

არწივი (გვ. 84)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: „საქართველოს კალენდარი“, 1904 წ., გვ. 500—509.
84. 21 მასზე] მაზე.
85. 29 იმისა] იმასა.
88. 12 გაუგიათ] გაუგიაო.
89. 1 იმ] იმას.

სიზმარი ოგლისა (გვ. 90)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1905 წ., № 151.
91. 33 შენზე] შენსზე.
92. 31 ლახვარი] ლახვარიც. 33 თითქოს] თითქმის.

კოდალა (გვ. 93)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1905 წ., № 186.
93. 18 მიწყლავს] მიწყალავს.
94. 6 ეგონებოდა] ეგონება.

ყორანი (გვ. 97)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1905 წ., № 188.
98. 1 თეოზე] თეძოზე.
101. 20 აქეთ-იქიდან] ექეთ-იქიდან. 29 დაჰგმოთ] დაჰგმობთ.

ლექსოს სამწყემსო (გვ. 104)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: ჟურ. „ნაკადული“ (მცირეწ.) 1905 წ., № 21, გვ. 589—598.
109. 14 ჯილავი] ჯილაგი. 22 კვალდაკვალ] კვადაკვალ.

უძმოს — ძმა (გვ. 111)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „ივერია“, 1906 წ., № 4.
112 18 საცერული] საცელული**.
114. 10 ონა] ითნა. 17 წარაფს] ზარაფს. 32 მიიყვანეს] მოიყვანს.
117. 27 რო] რა.

ლიტერატურის მუზეუმში დაცულია ამ მოთხრობის ვარიანტი (№ 22404) სათაურით „ჩალხო“. ტექსტს ვბეჭდავთ მთლიანად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩალხო

(ფშავლების ცხოვრებიდან)

I

რა კაცია ჩალხო? საით გავიგოთ მის ადამიანობის ავ-კარგი? „საქმემან შენმან გამოგაჩინოს შენ“-ო, ნათქვამია. მაშასადამე ჩვენც მის საქმეთა და ფიქრთა განხილვა-დაკვირვებას შეუდგეთ და მაშინ, უეჭველია, ვსცნობთ მის ვინაობას. ჩალხო გლეხიკაცია, სამოც წელს გადაცილებული, სრულიად უსწავლელი, ისე უსწავლელი, რომ „ანა-ბანაც“ კი არ იცის, მაგრამ იგი, როგორც თავის გუნებაში ფიქრობს, უსწავლელადაც ნასწავლია. მამა-პაპის პირით გადმოცემული სწავლა-მოძღვრება შეურყეველ ცოდნად მიაჩნია. სხვისა, უცხოურს კარგს, თავისი ავი ურჩევნია. „რაც არ ექნას მამაშენსა, ნურც შენ დაჰხევ მარმაშებსაო“. აი ჩალხო ცხოვრებაში რა ანდაზითა ხელმძღვანელობს.

ამიტომ, ვინც მამა-პაპის ერთს ჩვეულებასაც არი ჰღალატობს, ის კაცი უვარგისია, მოღალატეა, ის არც სააქაოს იხეირებს, არც საიქიოს. თანახმად მამა-პაპათა ჩვეულებისა ჩალხოც ფიქრობს: სტუმარი ღვთისია, ვინც უნდა იყოს იგი, რჯულიანი თუნდ ურჯულო, სახლი და ცეცხლი არ დაეჭირება. ოჯახში უნცროსი, თუნდა უფროსებზე ჭკვიანიც იყოს, მაინც თავისი ჭკვა უნდა დაჰგმოს და უფროსების რჩევაზე იაროს. ოჯახში, როგორც სოფელში, ერთი უფროსია საჭირო; უფროს-უნცროსობა ღმერთს გაუჩენია. ცხვარში თხაა უფროსი, გზას ის იგნებს და ფარას უვნებლად ატარებს; წეროები რომ მიდმოდიან, უფროსი ჰყავთ, ბელადს ირჩევენო; ირმებმა, შვლებმა, ჯიხვებმა და ყველათა, ჯგუფად მცხოვრებელთა, ნადირთა თუ ფრინველთა, თავიანთ უფროსი იციან, ქორწილი ქორწილად არ ჩაითვლება, თუ „მექორწილემ“ ათის ცხენით ღვინო არ მოიტანა კახეთიდან და ერთი ოთხი-ხუთი ქვაბი არაყი არ გამოწურა; მკვდარი არ არი დამარხული, თუ თავზე რიგიანი „რიგი“, ანუ წირვა არ გადაუხადა მკვდარს მკვდრის პატრონმა, აგრეთვე თუ „შვიდი“, „ორმოცი“, წლის თავზე წირვა არ გადაუხადა, „ეამი“ არ აწირვინა მღვდელსა, ყოველ ღღესასწაულში მკვდრის საფლავზე ტაბლა არ მიიტანა, მკვდარი არ იგლოვა ერთს წელს მაინც, წვერი და თმა არ გამოუშვა მგლოვიარობის ნიშნად და „თავ-მოსამპარსიოს“ ხარჯი არ გასწია. დიაღ, როცა „თავს მოიპარსავს“ მგლოვიარე მკვდრის პატრონი, უნდა საკლავი დაკლას, ცხრა-ათ კაცს მაინც დაჰპატიჟოს და „შანდობა ათქმევინოს.

სააქაოს როგორც ცხოვრობს ადამიანი, საიქიოც ისეთი ექნება. „სულ ტყუილია“, ამბობს ჩალხო: „იტყვიან, ვინც აქ ბეჩავად, საწყლად არი, საიქიო იმისიაო; ტყუილია, ტყუილი ვისაც ღმერთი სწყალობს, სააქაოსაც სწყალობს, საიქიოსაც, ვისაც არა და არა; ვინცა სძულს ღმერთსა, რაღა ბედენად სიკვდილის შემდეგ შაიყვარებს იმას ის დალოცვილი? კაცის მოგონილია, არ არი მართალი, არც დასაჯერებელიო“.

ყველა ადამიანსა აქვს თანდაყოლილი ბედი და წერა; რასაც „წერა-მწერელი“ დაუწერს თავის დაბადების დღეს, იმას კაცი ვერ ასცდება, რაც უნდა ბევრი ეცადოს, ბეწვის ტოლად ვერ ძალუძს შეცვალოს ბედის განაჩენიო.

ამიტომ ცოლს ჯავარას, რომელიც ხშირად საყვედურს ეუბნება, სიღარიბეს უგმობს, სიზარმაცეს და აზაქარობას აბრალებს, პასუხად ჩალხო ერთსა და იმასვე ეუბნება: „ღმერთს ესე დაუწერივარ და ესე უნდა ვიყოვო“. ერთადერ-

თი იდეალი ჰქონდა ჩალხოს თავის სიცოცხლეში და ისე დაბერდა, იმასაც კი ვერ მიაღწია. რა იყო მისი იდეალი? — დიდი და ბევრი არაფერი, — საარაყე პატარა ქვაბი; არ იქნა, ვერაგზით ვერ მოახერხა, ვერ მოუყარა იმდენა ფული თავი-თავს, ერთი საარაყე ქვაბი შეეძინა. ამ მარცხსაც-კი ბედისწერას აბრალებდა, იქამდე ღრმადა სწამდა ბედი და წერა. მერე როგორ უყვარს ის დალოცვილი არაყი! ერთ სამ ყანწს არაყს რო გადაჰკრავს, ჩალხოს ველარ იცნობთ: დაავიწყდება სიბერეკაცე, ავიწყდება სიღარიბე, გაჯეილდება, გააჩალებს ახალგაზდებთან სიმღერას, მოჰყვება ლექსობას:

ფეხებზე მკიდავ ცხვარ-ბევრი,
ღვინო-არაყის მყიდველი,
დავჯდები მშიერ-ტიტველი,
მე უფრო ბევრსაც ვიმღერი-ო.

გაიმართება ცეკვა და ჩალხო ამ საქმეშიაც არავის დაუვარდება. „დაუკარით, დაუკარით!“ — იძახის ჩალხო: — „ჰაი, დედას მტრისას, შამირცხვა ისეთი სიბერე, რო კაცი ერთი მუქარა მუხლებში და წელში ველარ გაიშალოს“, ჩალხი დატრიალდება ჯარასავით, ფანდურის ჩხაკუნზე ირგვლივ მოდის და თან დაგლეჯილი ტყავის კალთები მოსდევს, როგორც წისქვილის ბორბალს ფრთეები მისდევს თან, როცა ბორბალი ტრიალებს... სწორედ ჩალხოს წისქვილის ბორბალის ტრიალსა ჰგავს მის პატრონის თამაშობა. ჩალხოს „ზიარად“ სხვასთან წისქვილი აქვს, ერთი ქვა ჩალხოს ეკუთნის, მეორე სხვას; წისქვილის საბუდარშიც წილი უდევს. ერთი სიტყვით მონახევრეა. იცით ახლა რა წისქვილია? — დღე-ღამეში 5—6 ლიტრა პურს დაჰფქვავს, მაგრამ ჩალხოს ისე მოაქვს თავი ამ წისქვილით, რომ ღმერთმა შეარცხვინოს იმასთან დოლების პატრონები. თუმცა ჩალხო ამ წისქვილისათვის, დიდი მადლო(ბელია) ღვთისა, მაგრამ წისქვილის ყადრი არ იცის: სოფლის გამოცდილმა მანდილოსნებმა იციან ჩალხოს სისუსტე და როცა დაფქვა უნდათ წისქვილში საფქვისა, ჩალხოს არაყს გადააკვრეინებენ. ჩალხოც უარს ველარ ეტყვის თავის პატივისმცემელს: „აბა რა გიყო, რძალო, სხვა ხეირი, ემა წყალ-წისქვილის მეტი, კი აბა მაყრია-რა, დააყარე და დაფქვი, სხვა უშენოს ფეხს არ შავადგმეინებდი წისქვილში: ჰშლიან, აფუჭებენ, ნედლ საფქავს აყრიან, შენ რა გიყო, უარს ვერ გეტყვი ამითა და იმითა, რო შენი პატივისცემა მამაგონდება“-ო და სხვ.

ალარ ვიცით ის „სხვა“ ვინღა იქნებოდა? ყველა უწისქვილო და ერთი ყანწი არაყით ჩალხოს პატივისმცემელი ფხროკი გუდით საფქავს იმის წისქვილში მიარბენინებდა და წისქვილიც მუდამ მხიარულად, ქეიფში ატარებდა დროებას: რაკრაკებდა და კაკანებდა; სარეკელაზე დაკრული ნალის ნამტვრევები ისეთს ხმას გამოსცემდენ მურყნებით დაჩრდილულ ბნელს ხეობაში, თითქოს რუსის ჯარი ქოსს, წინწილს და დაბდაბს უკრავსო.

ხშირად ის დრო უდგებოდა ჩალხოს წისქვილს, მეტისმეტს შრომას ვერ იტანდა და კბილდაკრეჭილი იდგა, ხოლო თავს ჩალხო ევლებოდა, ხანა ჰკოდ(ავდა) წისქვილს პატარა ფოლადის კვერით, ხან ბორბალს ფრთებს უკეთებდა, ხან წყალს უგდებდა, ხან გულს უმაგრებდა. მოშლილი წისქვილის გამართვა ჩალხოს ედვა კისრად. ამას თითონაც ჰგრძნობდა, რადგან რამდენჯერმე მოზიარე ბატარკაცმა აგრძნობინა.

— ასკარტუნე, ასკარტუნე, დაჯე და ასკარტუნე! — ეტყოდა ბატარკაცი: —

ბარაქალა, სიარულმა და დობილ-ძმობილების ამებაზე დადგომამ ეგრე იცის. „მამავ, გიყვარდა ჯიჯია, დაჯე და ეხლა გლიჯია“-ო.

— მაშ რა ვქნა, ეე?! — მიუგებდა ჩალხო: — დაღონებული კაცი როგორ გავაბრუნო კარებზეით? ზოგს მკვდრისთვის სჭირდება, ზოგს ცოცხლისათვის.

— რა ჰქნა? — ეტყოდა კვალად ბატარკაცი: — მინდი მაინც გამაართვი, ჯერი მაინც ვის მიჰყიდე, კაცო, ფასი გამოართვი. არ გიჭირს?

— მამას არ გაუყიდავ ჯერი და პაპას. მაკლდეს ამისი მინდი. მინდის აღებით გინდა გამამდიდრო? „რაც არ ექნას მამაშენსა, ნურც შენ დაჰხევ მარმაშებსაო“. ხშირად ამ ანდაზით ათავებდა ჩალხო ბატარკაცთან ბაასს.

— გინდა ერთი გითხრას კაცმა, გინდ ათასი, შენთვი ერთია. — ეტყოდა ბატარკაცი ჩალხოს და გასწევდა კუდამოძუებული თავის გზაზე.

ქვეყანაზე მადლის თესვამ, ქვეყნის სამსახურმა ჩალხოს წისქვილი ძალიან გალივა და გააბეჩავა, რომ წმინდა პურს, ფეტვსა და კრუპკას ძლივძლივობითა ჰფქავს, ხოლო სიმინდს ასლს და მისთანებს ორად თუ სამად ძლივა სტეხს. ერთი სიტყვით რომ ვსთქვათ: ჩალხოს წისქვილი დაემსგავსა ტანჯულთა და ტვირთმძიმეთა მცველ-მფარველს ლამანჩელ აზნაურს დონ-კიხოტს, სხვის გულისთვის გვემულ და წამებულს. ჩალხომ, რომ წისქვილს სიმძიმე მოჰმატებოდა და საფქავი უკედ დაეფქვა, ზევიდან ლოდი დააკრა. გამვლელ-გამომვლელნი ცოტა ხნობით მაინც შედგებიან და დაუგდებენ ყურს ჩალხოს წისქვილის ჩხაკუნს.

— რაო? როგორა — როგორაო? რას ამბობს, რასა? — ჰკითხავს ერთი მეორეს.

— რასა და პატრონს ეძახის: „ჩალხო, ჩალხო, ჩალხო! სადა ხარ? სადა ხარ? სადა ხარ? მამეშველე, მამეშველე, მამე... შვე... ლეეე! ძმაო, გიკვდები, გიკვდები, გიკვდები... ი-ი-ი!“—გადასცემს მეორე პირველს წისქვილის საჩივარს; ორივენი თავებს გაიქნევენ და ტკბილად ჩაიცინებენ.

ჩალხომ ყველა ეს იცის კარგად, ისიც იცის, რომ „ბოროტ-განმზრახველთ“ იმისი წისქვილი გააშაირეს. მაგრამ ყურსაც არ იბერტყავს, წარბსაც არ იხრის და ამბობს: „ვინც რა უნდა თქვასო, წისქვილმა კი ფქვასო“.

აი ჩალხოს წისქვილზე გამოთქმული შაირი:

ჩალხომ გამართა წისქვილი,
კადაჩალს (სოფელია) გააქვს გრიალი.
ორად სტეხს, სამად აღარა,
ეგ მამაძაღლის ტიალი...
ცოცხალნივ გადმაეყარნეს
ყელში ჩაცვივნილნ ჭიანი...
მანდ ჭავჭავაძენ არ დაჰფქვენ,
ჩალხოს საფერა კი არი!..

ვინ იცის საბრალო ჩალხოს წისქვილი თავის დამცინავთ, მასხარად ამღებთ რას უპასუხებდა, რომ ენა ჰქონდეს, საუბარი შეეძლოს? როგორ გგონიათ, რას იტყოდა? რით აიცდენდა თავიდან დასაცილს, ძრახვას? აი რას: ერთხელ მეც ვიყავ და აღარა ვარ, სიბერე როსტომს მოჰრევია და მე ხომ უბრალო რამა ვარ. იყო დრო, როცა დღე-ღამეში სამ კოდსა ვფქავდი, ეხლა გავტყდი, დავსუსტდი. ადამიანის მუცლის სამსახურმა დამაბერა და გამაბეჩავა. ჩემი ნაოფლარისა, ჩემი დაფქულისა, რამდენჯერ გიჭამიათ შინ თუ გარეთ, სასტუმროს

გემრიელი ხინკალი, გემრიელი ქადა, კეცეულები, ანტრია და სხვ., თქვენ უმაჯობ-
დურებო, ერთხელ კი არ გიფიქრიათ, საიდან მოვიდა ფქვილი, ვისმა გულ-
მკერდმა დაგალა, გაამტვერა თქვენი მუცლის ამოსაქოლ-ამოსაყორავი?!—დიაღ,
ეს იქნებოდა წისქვილის პასუხი...

II

მეტად უდარდელად გაატარა ჩალხომ თავისი ახალგაზდობა. მამა ადრე მო-
უკვდა, დაჰრჩა მოხუცი დედა. ოჯახის მოვლა იმას დააკისრა და თითონ კი
დადიოდა აქეთ-იქით საქეიფოდ; ხატობებში, ქორწილებში; საცა ქეიფი იყო
სოფელში და ჩალხოც იქ იყო, ზემო თავში გამოჭიმული. ჰსვამდა არაყს და
ლექსობდა. გახდებოდა ჩხუბი და ჩალხო არ დაიგვიანებდა დაეტრიალებინა
ეროს მსგავსი მუშტი. ერთს სხვას არ დააჩაგვრინებდა; თუ ბევრნი ერთს და-
იბრიყვებდენ, დაბრიყვებულს მეშველად პირველი ჩალხო აღუჩნდებოდა.

„ვისა სცემთ, ეე, ძმობილებო?! — დაიძახებდა ჩალხო: — აქა ვარ უძმოს
ძმა, იბეჩავეთ განა, თქვე შნო-ძაღლებო?!“ გაიბოტიტნებდა მუხის ჯირკვ-
ვით, თვალდაუხამხამებლად და ვაი იმას, ვისაც იმის ეროსავით მუშტი ან სქე-
ლი, დაშიბული მათრახი მოჰხვდებოდა. უკან დახევა იმან არ იცოდა. რამდენ-
საც ვისმე დაჰკრავდა, იმდენჯერ თან დააყოლებდა (დაჰვედრებდა): „უძმოს
ძმაა, ემაგას დაგკრავს!“ თუმცა მამისეულს ხმალს და ხანჯარს წელზე ატა-
რებდა, მაგრამ არავის ახსოვს, იმას ერთი ან მეორე ჩხუბში ამოეღოს და ეხმა-
როს. თუმცა მეტოქეს ჩალხო არ აკლებდა ცემას. მაგრამ სამაგიეროდ თითონაც
ბევრი საცერული და ხვეული ჰხვდებოდა თავში. დღესაც კიდევ ეტყობა ეს
ნაჭრევები და ისე ბლომად, რომ ნემსი არ დაედება არსად თავზე, ჭრილობა
არ ეტყობოდეს ჩალხოს თავი, მოკლედ რომ ვსთქვათ, კუნძსა ჰგავ დაფუტუ-
რებულს, კოდალასაგან განასკერტს.

როცა ვინმე შეჰნიშნავს და ეტყვის: „ოჰ, რამოდენა ნაჭრევები გჭირს თავ-
ზეო, რა ამბავია, როგორ გაუძელ, შე საწყალო, მაგოდენა წყლულებსაო“ —
ჰო და ემაგიტო მაკლო კიდეც თვალთა, მე ხო ხეირიანად ველარა ვხედავ, გო-
ნიცა მხდება ხანდახან. — უპასუხებს ჩალხო: — ეგ მაშინდელები მჭირს, ბიძაის
კაცო, როცა შენ დროთა ვიყავ, მათრახსა და მუშტს ვატრიალებდი და უძმოს
ძმა ვარო, ვკიოდი. ეჰ. მადლობა ღმერთსა, მაშინ კი მესიამოვნებოდა სხვას რო
ვეშველებოდი, ეხლა რაც უნდა ვსთქვა და ვიფიქრო, ტყუილი იქნება; თუნდა
მოვმკვდარიყავ, არას დავსდევდი, გულნაწლევი ამერეოდა, თავის ქერქში აღარ
ვეტეოდი, როცა ვნახავდი, რო ერთი მეორეს იჩოლბოტებდა და დაჩაგრვას
დაუწყებდა. ხასიათი ისეთი მქონდა.

როცა მოჩხუბრებს გააშველებდენ, ჩალხო ჩაჯდებოდა თავპირდასისხლია-
ნებული თავის ტოლ-ამხანაგებში და გააბამდა სიმღერას ისე, თითქოს ბუზიც
არ აჰფრენოდეს. ჩალხოს კეთილისმყოფლებს მოჰქონდათ ზოგს მარილი, ზოგს
მწარე თამბაქო, სხვას ჩონჩორიკი და აყრიდენ წყლულზე.

„ეს კარგია, წყლულს მალე მოარჩენს, აღარც დაგიხავებს!“ — ეუბნებოდა
თვითეული მათგანი.

— მოიდათ, დამანებეთ თავი! წამალი საჭირო არ არი!.. ჩალხოს თავი წა-
მალს არ არი დაჩვეული, თავისთავადაც კარგა მორჩება. — ეტყოდა ჩალხო
იმათ პასუხად.

სისხლიანს პირსა და თავს ხომ ვერაგზით ვერ დააბანინებდით. იყო გასისხ-
ლული იმ დრომდე, ვიდრე თავადვე არ მოჰშორდებოდა ბრძოლის ნიშანი.

უძმოს ძმა ამ ჭრილობებით და გასისხლული თავ-პირით ამაყობდა, ეს სახელად მიაჩნდა.

ხშირად თავის მტრებს იქვე ერთი დღის განმავლობაში შაურიგდებოდა.

— ადე, ადე, მაკოცე, ჩალხო დაიტირე! რა უყოთ! ე! ჩვენს ლაშარისჯვარს ეს მაუდის, — ეტყოდა ჩალხო პირველად იმას, ვინც იმას საცერული ან ხვეული ჩაუკაკუნა და წყლული დაამჩნია და გადაჭლოშნიდა შემკობილის პირით და მოუყოლებდა თანაც სიმღერას:

ყმა უმღერალი არ ვარგა,
ვაჟკაცი — უხელებელი.
ვაჟკაცსა უხელებელსა
ქალი სჯობ უხსენებელი.

———

სოფელს შამოვლა მეწადა,
გადამრუდება ქუდისა;
მიყვარდა ფარი და ხმალი, —
გადაკიდება ჩხუბისა.

———

სწორებო, თქვენის ნდომითა
ცეცხლი მწოვს, ალი მედება და სხვ.

მოპირდაპირეც, რა თქმა უნდა, არ შეირცხვენდა და ისიც ბანს ეტყოდა. ხელად ჩხუბი და უსიამოვნება ლხინად გადიქცეოდა. მაშინ ჩალხოს გულიდან ჰქრებოდა ყოველივე ჭუჭყი და წყლულებიც ურჩებოდა...

ხანდახან შასმა ღვინოსა,
ხანდახან შამღერნებაო.
ხან ომი უნდა ფიცხელი,
ხანდახან შასვენებაო...

ეს ნაჭრევები ჩალხოს ცხადად მაშინ ეტყობა, როცა ყანის მკაში დაღლილი ხის გრილოში დაისვენებს. თავიდან ოფლისაგან გაშავებულს ხელსახოცს მოიხსნის და ოფლის წმენდას დაიწყებს გახურებული შუბლიდან.

როგორც ვიცით უკვე, ჩალხოს ჩხუბ-გადახდილს უყვარდა მოთამაშეთა წრეში გადასვლა.

„დაუკარით, დაუკარით... ფიცხად!“ მესტვირე ლოყებდაბერილი, იღლიაში ამოჩრილს ტიკს უბერავდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ქარასხას მარჯვნივ და მარცხნივ ატრიალებდა, ხოლო მოთამაშეთა წრეში ჩალხო ტრიალებდა; დიდი, ჭრელი მათრახი, თავის საკიდურით, მხარ-იღლივ ეკიდა თასმით. თავ-პირი და საგულე სისხლით ჰქონდა გათხეფილი. მარჯვენა ხელს, მუშტად მოკუჭულს მაღლა ჰაერში ატრიალებდა და ისეთს მტვერს აყენებდა ფეხების მაგრა ცემით, ვეგონებოდათ ქარიშხალი ამოვარდნილა და დაჭრის დაგვალულს შარაგზას, რომელზედაც ურმის ქარავანია შემდგარი... „ქალებო, ტაში! უძმოს ძმა თამაშობს, უძმოს ძმა!“ თანაც ამას კიოდა.

ჩალხოს მოხუცებული ბიძა, თანდილა, ჰყავდა. არიგებდა, უშლიდა, ჩხუბს და დავიდარაბას მოჰრიდებოდა.

— ჩემა ცხონებამ, — ეუბნებოდა თანდილა თავის ძმისწულს: — არ არი

კარგი. აგშურდება ქვეყანა, შვილო, ჩემის თვალების არდათხრამა, ემ მუხლებზეით ჩამოვხდე, თუ ტყუილი გითხრა, არა, ჩემის მკვდრების ცხონებამა: იყავ ჭკვიანადა, შვილო, მაუარე ემ თავის სახკარსა, თავის საქმესა. რას გარგებს იტლი-ტიტლიზე, ბარაქალაზე სიარული?.. გაისარჯე, სარჩო მაიქონე, თორი გაჰბეჩავდები, გაჰსაწყლდები და, ხომ იცი, ყველა ბეჩავს დასცინის?! შენ ამ ჩემს საწყალს ჭკვას დაუჯერე: დაჯე ჭკვიანადა, ვინ გატანს ძალასა, რო ჩხუბში არ გაერიო: ვინ დაგიძახა: მოდი, მამეშველეო. რა იცი, რო ვისაც ეშველები, ისიც არ დაგცინის? ბევრი კიდეც დაგცინებს, მამა-შვილობამ: ეგ საწყალი რატო თავისთვი არ გდიაო, — იმასაც იტყვის. აბა რო მასტეხო ვისმე რამ, ან შენ გაიტეხო, ღმერთო, დაგვიფარე, მამაო წმინდაო, — შამოგაკვდეს ვინმე, ან შენ შააკვდე, რადა, რისთვის? რის გულისათვის? ვის გულისათვის? ჰოო, არც მე დაგიშლიდი, რო ცოლს ვინმე გეცილებოდეს, ან მამულსა და დედულს გართმევდეს, ან ცხვარსა და ძროხას. არ გაგამტყუვნებდი. მაგრამ, აბა, რა? სჩხუბობთ არას უბრალოზე: არა მე ვარ კაი ბიჭი, არა მეო. გინდადრობით უნდა მე მოგერიო, არ შაიძლებაო. ქალებს თავს აწონებთ. სხვა რა ყრია თქვენს ჩხუბში? ვაქკაცობა ბედაური ცხენია, ორის ხელით ჭერა უნდაო, ნათქვამია ძველთაგან და მართალიც არი. ხელად გაჰფუჭდები, თუ თავს არ უპატრონე, ხელდახელ ესტიბარს დაჰკარგავ. უესტიბაროო კაცი რაღა კაცია? გინდ მკვდარი, გინდ შინ მოუსვლელიო, ხო გაგიგონია? ბოლოს ინანებ, ჩემა არ-წაწყმედამ...

ჩალხოს ცოტა ხანს ახსონდა ეს ბიძის დარიგება. გაივლიდა ხანი, ისევ ის ჩალხო იყო, იგივე „უძმოს ძმა“...

— გული არ მითმენს, ბიძავ, გული ოხერი და! მოვკვდები, თუ დაჩაგრულს არ მივეშველე. ზოგჯერ ხუთნი, ექვსნი, ცხრანი დაუწყებენ მარტუას კაცს ცემას. იმას მაშინ ძმა უჭირს. მაშ არ მივეშველო? — ეტყოდა ბიძას პასუხად.

— საით შენი ძმა არი გოგოლაური, ერთმანერთის ქალებს ცოლად ვირთავთ, რო იმას ეშველები? სად გოგოლაური, სად აფშო? თავის სოფლის კაცს, თავის მეზობელს რო მიეშველო, კიდევ ჰო! საიდან სადაო, წმინდა საბაო... — ეტყოდა კვალად თანდილა. — შენ ძმობა კი არ გაწუხებს, ჩხუბი გწადიან. ჩხუბი. როგორც ყოჩებს რქის ძირებში ჭიები აუჩუჩუნდებიან და ერთმანერთის რქების ცემით ქავილს იქარვებენ, შენ მუშტის ქნევით იკლავ ჭიასა.

— თუ კი უჭირს, ძმა ვარ, მაშ რა ვარ?! ფშაველს რო ფშავლები სჩაგრავდენ, მარტო იმას კი არა, ქისტიც რო დაჩაგრონ კაცმრავლობით, იმასაც მივეშველები, ისეთი გუნება მიძე, — მიუგებდა ჩალხო პასუხად.

— კარგი, აღარას გეტყვი. ეხლა შენ იცი, მე რაც ვიცოდი, გითხარ, ამაზე მეტი არ ვიცი, შენ იქნება მეტი იცოდე. ბოლოს-კი მამიგონებ და იქნება ამბობდე: „ღმერთმა აცხონოს ი ბიძაჩემი თანდილა, რამდენი კარგი, ჩასაგონარი ქართული მითხრა და მე, ეს თავ-მკვდარი, არ უგონებდიო“. აბა დაიხსონე, თუ ეგრე, არ მოხდეს...

ჩალხოს ეს „უძმოს ძმობა“ ძალიან კარგად დაუჯდა... ერთი ამისთანა ჩხუბის გამო იშოვნა საცოლე. ქალს მოეწონა ჩალხო, შეიყვარა და ცოლადაც გაჰყვა და დღესაც იგივე ჰყავ ცოლად... ლელამ ბევრი სიღარიბე, ბევრი ტანჯვა გამოიარა ჩალხოს ხელში. მაგრამ მუდამ ერთგული და თავდადებული იყო თავის ქმარზე და ოჯახზე, დღესაც ქმარზე მეტსა მუშაობს ოჯახში...

ჩალხოს დღესაც თავი მოსწონ თავის ცოლით და ამბობს: „მანამ ჩემი ლელა მყავ მთელი, ფიქრი არა მაქვ, არა გამიჭირდება. თუ მამიკვდა და აღარც ჩემი სიცოცხლე ღირს ჩალად. სჯობია, რო მეც თან გავყვეო“.

ჩალხო უფრო ჩხუბმა და სხვისა შველამ გააღარება. ნაცემი სუდიებთან

გარბოდა და აკისრებდენ სუდიებიც ხახ თუმანს, ხან ხუთ მანათს. „გამილავ და კიდევაც გავიღებ, დედა ვაცხონე ჩემიო“...

ჩალხო ზამთარ და ზაფხულ გულგაღეღილი დადიოდა, გახსნილი წითელი ხამის პერანგს იცვამდა, პერანგს საგულე განივრად ჰქონდა ამოჭრილი ისე, რომ მთელი მკერდი უჩანდა ამობერილი, თითქოს დიდრონი კაკლის კუნძები ამოჰსვლოდეს, მთელი მკერდი, როგორც...

[1906]

I თავი. 17 ოჯახში] ჯერ დაუწერია „ოჯახშიც“, შემდეგ „ც“ გადაუხაზავს. 21 „შვლებმა“-ს შემდეგ გადახაზულია „შ“. 23 იციან] ჯერ დაუწერია „ჰყავთ“, შემდეგ გადაუხაზავს და ზევით დაუწერია „იციან“. 27 ქამი] ჯერ დაუწერია „ქამის წირვა“, შემდეგ „ს“ და „წირვა“ გადაუხაზავს; „არ“-ს შემდეგ გადახაზულია „გადაუხადა“ და ზევით აწერია „აწირვინა მღვდელსა“. 40 „ასცდება“-ს შემდეგ გადახაზულია „თ“. 48 „თავი-თავს“ შემდეგ გადახაზულია „რ“. 64 ჩალხოს] ჯერ დაუწერია „ჩალხოსია“, შემდეგ „ია“ გადაუხაზავს; ეკუთვნის] ჯერ დაუწერია „ერთი“, შემდეგ გადაუხაზავს და ზევით დაუწერია „ეკუთნის“; უდევს] ჯერ დაუწერია „აქვს“, შემდეგ გადაუსწორებია „უდევს“-ად. 66 დღეღამეში] ჯერ „ღამეში“-ს წინ დაუწერია „მ“, შემდეგ გადაუხაზავს. 75 შენი] ჯერ დაუწერია „შენც“, შემდეგ „ც“ გადაუკეთებია „ი“-დ. 76 ყანწი] ჯერ დაუწერია „ყანწით“, შემდეგ „თ“ გადაუხაზავს. 81 უკრავსო] ჯერ დაუწერია „უკრავენ“, შემდეგ „ენ“ გადაუსწორებია „სო“-დ. 82 „წისქვილს“ შემდეგ გადახაზულია „განუ“. 100 „თესვამ“-სა და „ჩალხოს“ შორის ჩამატებულია „ქვეყნის სამსახურმა“. 113 „გადასცემს“ შემდეგ გადახაზულია „ერთი“, 123 გადმეეყარნეს] ჯერ დაუწერია „გადმეეყარნეს“, შემდეგ პირველი „ე“ გადაუსწორებია „ა“-დ. 129 „აიცდენდა“-ს შემდეგ გადახაზულია „დ“; „ძრახვას“ შემდეგ გადახაზულია „ერთის მეტი არ რა ეთქმის“ და ზევით აწერია „აი რას“. 130 „და“-სა და „იყოს“-ს შორის ჩამატებულია „მე ხომ უბრალო რამა ვარ“.

II თავი. 11 „იმის“ და „მუშტი“-ს შორის ჩამატებულია „ეროსავით“. 14 „ხანჯარს“ შემდეგ გადახაზულია „თან“. 18 „თავზე“-ს შემდეგ გადახაზულია „ისე“. 23 „ვხედავ“-ს შემდეგ გადახაზულია „ხ“. 27 ვეშველებოდი] ჯერ დაუწერია „მოვეშველებოდი“, შემდეგ „მი“ გადაუხაზავს. 41 სისხლიანს] ჯერ დაუწერია „სისხლს“, შემდეგ „ს“ გადაუხაზავს და ზევით „ი“ დაუწერია და გვერდით „ანს“ მიუწერია. 46 იმას] ჯერ დაუწერია „იგი“, შემდეგ გადაუსწორებია „იმას“-ად; საცერული] ჯერ დაუწერია „გაასისხლიანა“, შემდეგ გადაუხაზავს და ზევით დაუწერია „საცერული ან ხვეული ჩაუკაკუნა“. 75 „თავ-პირი“-სა და „სისხლით“-ს შორის ჩამატებულია „და საგულე“. 78 „შარაგზას“ წინ ჩამატებულია „დავალებულს“. 80 „შემდგარი“-ს შემდეგ გადახაზულია „თქონ“. ტაში] ტოში. 89 „იტლი-ტიტლიზე“-სა და „სიარული“-ს შორის ჩამატებულია „ბარაქალაზე“. 92 თავისთვი] ჯერ დაუწერია „თავისთვის“ შემდეგ „ს“ გადაუხაზავს. 100 „შაიძლებაო“-ს შემდეგ გადახაზულია „თუ“, „ქალებს თავს აწონებთ, სხვა რა ყრია თქვენ ჩხუბში“ ხელნაწერში ეს სტრიქონი წვრილი ასოებით არის ჩამატებული. 103 „ჩემა“-ს შემდეგ გადახაზულია „ცხონებამ“. 107 „მოვკვდები თუ“-ს შემდეგ გადახაზულია „არ მიშველე თუ“; „დაჩაგრულს“ და „ზოგჯერ“-ს შორის ჩამატებულია „არ მივეშველე“. 109 „მარტუას“ და „ცემას“ შორის ჩამატებულია „კაცს“; „მაშ“-ს შემდეგ გადახაზულია „რა ვქნა რო“. 111 აფშო] ჯერ დაუწერია „ჩარგალელი“, შემდეგ გადაუხაზავს და ზევით დაუწერია „აფშო“. 112 „კიდევ ჰო“-ს შემდეგ გადახაზულია „აბა“. 113--115 „შენ ძმობა

კი არ...“ აქედან აბზაცის დასასრულამდის „... იკლავ ჭიასა“ ხელნაწერში წვრილი ასოებით არის ჩამატებული. ნაწილი გვერდით მინდორზეც გადადის. 115 „თუ კი“-ს წინ გადახაზულია „ვი“. 121 „აცხონოს ი“-ს შემდეგ გადახაზულია „პაპა“. 122 „მე“-ს შემდეგ გადახაზულია „არ“. 123 „მოხდეს“ შემდეგ გადახაზულია „საქმე“. 128 „ქმარზე და“-სა და „დღესაც“-ს შორის ჩამატებულია „ოჯახზე“, 133 „აკისრებდენ“-ს შემდეგ გადახაზულია „ხან-ხუთ“. 136 „იცვამდა“-ს შემდეგ გადახაზულია „განივრად ამო ამოჭრი“, ზევით აწერია „მკერდთან“ და ისიც გადახაზულია. „პერანგს“ შემდეგ გადახაზულია „დიდი“.

ირემი (გვ. 123)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. „მეგობარი“, 1906 წ., № 57.
126. 6 ცხოვრებას + უნდა. 16 ნათქვამ] ნათქვამი.

ჩემი შავარდენი (გვ. 128)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: ჟურ. „ნაკადული“ (მოზრდ.), 1906 წ., № 4, გვ. 18—26.
128. 15 როგორიც] როგორც.
130. 8 იმასვე] იმას.
133. 13 დაგიწყიათ] დაგიწყვიათ.

ლმობიერი მონადირე და ირმის გონიერება (გვ. 134)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: ჟურ. „ნაკადული“ (მოზრდ), 1907 წ., № 5, გვ. 5—11.

უსურვაზის დასჯა (გვ. 138)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: ჟურ. „ნაკადული“ (მოზრდ), 1907 წ., № 7, გვ. 5—10.
138. 10 დასათირებელი] დასატირებელი.

ცრუპენტელა აღმზდელი (გვ. 143)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: ჟურ. „განათლება“, 1908 წ., № 2, გვ. 93—103; № 5—6, გვ. 100—109; 1909 წ., № 1, გვ. 97--102; 1911 წ., № 4, გვ. 214—218; № 5, გვ. 272—276.
144. 7 ფუნჩულეებო] ფუნჩულებო.
149. 10 როჭოებს] როტოებს.
152. 34 მტირალთა] მტირალია.
154. 21 ცხოვრებაულისეული] ცხოვრებისეული *.
156. 29 და ლემხურა ᲜᲐ
157. 15 პირებ-ჩაჟღლილი] პირებ-გაუღლილი *.
160. 29 ტყუილღაა] ტყუილი-ღა.
164. 15 მოჰკლავს] მოჰკლავ.
169. 8 იმდროთაივა] იმ დროთავა *; 9 რამდოთაიც] რა მდროთაც *.

ლიტერატურის მუზეუმში დაცულია ამ მოთხრობის სხვადასხვა ვარიანტის ორი ნაწყვეტი — (№ 22411) სათაურებით: „ცრუპენტელა აღმზდელი“ და „ცრუციხელა“. აქვე ვათავსებთ ტექსტებს და მათ დახასიათებებს:

მეორე დღეს ისევ შევხვდით ერთმანეთს. დავსხედით დიდრონი, განზე ტოტებგართხმულ მუხის ქვეშ, ჟუჟუნა წვიმა მოდიოდა და საამურად წვიმის წვეთებს წკაპწკაპი გაუდიოდა მუხის ფოთლებიდან ჩვენ თავზე. ჩვენც მაღლობზე ვიყავით, პირდაპირაც მაღალი მთები იყო აყუდებული; გაყუჩებულები იდგნენ, თითქოს ისინიც ყურს უგდებდნენ ციხელის საუბარს.

„ერთი სხვა კაკაბიცა მყვანდა ამ ორი-სამის წლის წინად", — განაგრძობდა ციხელი,—„მაგრამ არ დამიდგა, თუმცა საჭმელ-სასმელი თავზე საყრელი ჰქონდა, ვიპარა. ვეძებე ბოსტანში, ტყეში, აქეთ ვეცი, იქით ვეცი. აბა, არსად იყო: ცამ უყო პირი თუ დედამიწამ, ვერაფერი გავიგე. რა იქნებოდა, კაკბის გულისათვის თავს ხომ არ მოვიკლავდი, თუმც კი მეწყინა, რა თქმა უნდა, კაკბის დაკარგვა ქორს დავაბრალე: იქნება ქორმა გაიტაცა-მეთქი. ხანმა გაიარა, კაკაბი გადავიგლოვე; ხანი გაივლის — ჭირი გადივლისო, ხომ გაგიგონიათ? ასე მოხდა. ორმა თუ სამმა თვემ გაიარა. ერთხელ დილაურის საქონელი მოვრეკე. მოვედ კარებზე, შავხედე, ეზოში კაკაბმა გაირბინა. დავეტრე. „საით გარბიხარ, ეი ძმობილოვო!" — დაუძახე: „დადეგ, თორო მოგკლავო" — ვეძახდი: „თოფს გესროო", — ვუყვიროდი. რას ვესროდი, რომ თოფი არა მქონდა იმ დროს ზედა. გაიქცა კაკაბი... მირბის, მივსდევ მეც. ირბინა იმან, ვირბინე მე, ოჰ, ღმერთო, რა საოცარი მუხლადი ვიყავ, არ ვიცოდი დაღალვა რას ექვივნა. სხვა რომ სამ ნაბადზე გადაფრენილიყო, მე ოთხსა და ხუთს ნაბადზე ვფრინავდი. მირბის კაკაბი პირდაპირ ხედის გორზე, მივსდევ მეც თან. აირბინა ხედის გორი, გადაირბინა საძერიანი, გაუდგა საშავარდნოს თავს ჭიუხებს, გადვიდა ჯვართგორზე. არ მიფრინავს კი, სულ მირბის და მირბის. გასწია სასოვეთთავისკე; შეუდგა აღმართს. ოფლში ვარ გაწურული, მაგრამ თვალს მაინც არ ვაშორებდი კაკაბს, ოფლმა ახალუხს გაატანა და ჩოხაში გაეონა. არ შაიფერხა იმ დასაქცევმა ერთს წამს, მინამ სასოვეთ-თავს არ მოექცა წვერზე. მეც მიუახლოვდი, მაგრამ რა გამოვიდა? აფრინდა უცბად და როგორც ტყვია, ისე წავიდა მაღლა, გადმოისროლა მხოლოდ ერთი ფრთა ჩემს თავზე; ფრთა წამოვიდა და როგორც ისარი, დაერჭო ჩემს წინ მიწაში...

3 „საამურად"-ს შემდეგ გადახაზულია „მ". 4 „მუხის" შემდეგ ჯერ დაუწერია „ფოთლებზე", შემდეგ ჩაუმატებია „ფოთლებიდან ჩვენს თავზე", ხოლო „ფოთლებზე" არ გადაუხაზავს. 5 „ვიყავით"-ს შემდეგ გადახაზულია „და".9 „აქეთ"-ს შემდეგ ჯერ დაუწერია „იქით", შემდეგ გადაუხაზავს და ზევით დაუწერია „ვეცი". 14 „ერთხელ"-ს შემდეგ გადახაზულია „ეს". „შავხედე"-ს შემდეგ გადახაზულია „ჩემ". 17 „დროს" და „გიქცა"-ს შორის ჩამატებულია „ზედა", 18 „რა"-ს შემდეგ გადახაზულია „ნეირი". „ექვივნა"-ს შემდეგ გადახაზულია „ვინც". 22-23 „მირბის და მირბის" შემდეგ გადახაზულია „შეუდგა სასოვეთ" და ზევით აწერია „გასწია". „თავისკე"-ს შემდეგ გადახაზულია „მიგოგავდა პირ აღმე" და ზევით აწერია „შეუდგა აღმართს". 25 „მინამ"-ს შემდეგ გადახაზულია „ზედ".

ცრუ-ციხელა

დაბერდა, 70 წლის კაცი იყო და ისევა ცრუობდა, ისევ ხუმრობდა. ჯეილობაში აიკლო, ამოაგდო ქვეყანა და სიბერის დროსაც როდი იშლიდა. ცრუობა, ხუმრობა ციხელას მოთხოვნილებად ჰქონდა გადაქცეული, ამით სულდგმულობდა, ხუმრობით სიამოვნობდა. ვიდრე პირში სული ედგა, უნდა ეცრუა და ეხუმრა, ასე იყო აგებული, ხუმრობისთვის იყო დაბადებული. იმის ხუმრობის ამბები დღესაც ბევრია დარჩენილი, ზოგი რამ თქვენც უნდა გაგიზიაროთ, მკითხველო!

ციხელას სურათი ცხოვლად მიდგია თვალ-წინ; რაც უამბნია ჩვენთვის, სულ კარგად მახსოვს, როგორც გუშინდელი ამბავი. პატარა ვიყავი, 7 — 8 წლისა და, ხომ იცით, პატარას უფრო კარგად დაახსოვდება ყველაფერი.

ერთი შეხედვით ციხელა მელიასა ჰგავდა: ცხვირში, შავს, წვრილ, ციმციმა თვალებში; მთელი სახე ცბიერად უცინოდა, ისე კი როდი გაიცინებდა, ოდნავ თუ გაიღიმებდა. გულკეთილი იყო, ნამეტნავად ბალღები ვუყვარდით. ჰყავდა 30-მდე თხა-ცხვარი, გამოჰრეკავდა სოფლის განაპირას, მინდორზე, სადაც ჩვენ ხშირად ვიყრიდით თავს, შემოწვებოდა მხარ-თეძოზე და დაჰყურებდა სოფელს, გამვლელ-გამომვლელს, წინდაწინ ხმას არავის გასცემდა. თუ ვინმე გამარჯვებას ეტყოდა — „დიახაც გაგიმარჯოსო“, ეს იყო მისი ჩვეულებრივი პასუხი. გ ა გ ი მ ა რ ჯ ო ს უეჭველად „დიახ“-ს დაატანდა. მუსაიფი ციხელს ჩვენთან უფრო უყვარდა, დაგვიძახებდა თავისთან, შემოგვისხამდა გარეშემო. ბევრს რასმე გვიამბობდა, გვაუბნებდა ჩვენც და, როგორც ტოლი ტოლს, გულდასმით ყურს გვიგდებდა. თუნდა საკვირველიც არავის-რა ეთქვა, ძალად გაიკვირვებდა, თავს გვაწონებინებდა, იტყოდა: „ბიჭოს, ბიჭოს, ჰეჰეეე!“ ციხელისთვის ჩვენ ხელსაყრელები ვიყავით, მოიავადებდა თავს და თხა-ცხვრებისთვის ჩვენ გვავლეინებდა: როცა თხა-ცხვრები შორს წაუვიდოდნენ, ჩვენ მოგვაბრუნებინებდა, გააფურთხებდა სიპრიპანაზე და გვეტყოდა: „ვინც კაი ბიჭია, მანამ ფურთხი გაშრება, იმ თხა-ცხვრებს მოაბრუნებსო“. ერთს ან ორს უსათუოდ უნდა გვეკისრა ციხელის დავალება, თანაც დაგვპირდებოდა: „როცა ცხვრებს მოაბრუნებთ და მოხვალთ, უნდა ერთი კაი ამბავი გიამბოთო“. ჩვენც სიხარულით მივრბოდით და მოვრჩოდით. „ოჰ, ძალიან მარდი ვიყავი ჯეილობაში“, გვიამბობდა ციხელი: „მარდი კაცი, შვილებო, დიდხანა ცოცხლობს და არც მალე ბერდება. ვინც უფ(როსს ენორ)ჩილება, იმას თავის დღეში დედა არ მოუკვდება. ჰოო, იმ . . . ნაბადზე ვხტებოდი. ვის შაეძლო, ორზედაც ვერა ფრინ. . . . . .

— ეხლა, ეხლა რამდენ ნაბადზე გადაჰხტები. . . . . .

„ეხლა სამზე გადავხტები, მეტზე ვეღარ. . . . . .

— ოთხ ნაბადზე? ნეტავ რამ სი . . . . . .

„ადვილია, ბალღებო . . . . . .

ზომეთ და გაიგებთ“ [1].

ჩვენცა ვზომდით. ახლა გვახტუნავებდა. ზოგი ჩვენგანი თორმეტჯერ ძლივს გადავხტებოდით ციხელის ერთს ნახტომზე. გაკვირვებულები ვრჩებოდით ბოლოს.

„ჰო და ეგეთი ბიჭი ვიყავ, აბა თქვენ რა ბიჭები ხართ?!“ — იტყოდა ციხელი თავის ვაჟკაცობის და სიჯიელის განსადიდებლად... ჩვენც ვიჯერებდით ყველამის სიტყვას და ნაამბობს; გვინდოდა ბევრი ეუბნა, ჩვენ სულ მართალი გვეგონა. მხოლოდ ერთში ვერ შევთანხმდით, არ დავიჯერეთ. ამას ქვეით მოგახსენებთ.

„ძალიან ღონიერიც ვიყავ, ვის შაეძლო ჩემთვის ხელის მოკიდება ან ჩვენ სოფელში, ან ფშავის ხევზე?! არავის. ჩემს ზურგს ჯერ დედამიწა არ უნახია, თქვენმა დაზრდამ, ბალღებო! (ან კი საიდან ჰნახავს ზურგი დედამიწას?) ერთს რასმე გეტყოდით, მაგრამ ვფიქრობ — ვაჰ თუ გეწყინოთ და მცემოთ?!..“

— არა, არა, რადა? — წამოვიძახეთ ყველამ ერთად...

„მაშ დაიფიცეთ!“ — სთქვა ციხელმა.

— არა, ზიარების მადლმა, არა, ღვთიშობლის მადლმა, არა, დედა არ მამიკვდება. — გაისმა აქეთ-იქიდან ხმა ბალღებისა, რომლებიც სულგანაბულნი ველოდით ციხელის ხმის ამოღებას.

---

[1] წერტილებით აღნიშნული ადგილები ხელნაწერს აკლია, მოხეულია. რედ.

„კარგი, მაშ გიამბობთ“. — განაგრძო ციხელმა: „რამდენი ხართ აქა? ცხრანი? ძალიან კარგი და პატიოსანი. თქვენს მამებსაც ვერეოდი, ნუ გეწყინებათ, ძალიან ვერეოდი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაშ არა? დიახ დიახ! — წამოვიძახე პირველად მე და ესევე გაიმეორეს სხვებმაც; ეს ამბავი ყველას გვეწყინა, როდი გვესიამოვნა.

„ვერეოდი კი და ახლა თქვენ იცით. რაც მართალია — მართალია. მე სიმართლეს გეუბნებით, არც თქვენი მამები დაჰმალავენ, იტყვიან, რო ჰკითხოთ. მერე როგორ ვერეოდი და? ძალიან: განა მარტო ცალკ-ცალკე, ერთხელ ცხრასვე ერთადა ვცემე. გაფიცულიყვნენ, ციხელს უნდა ვცემოთო. რადა და რისთვის? ჯერ ერთი იმიტომ, რომ ყველას ვერეოდი და მეორეც ის მომიშარეს, რომ ჩემს დასტურობაში, აი აქ ჩვენს ხატში, იმათ იმდენი არ (ვა)სმიე, რამდენიც თავადა ჰნებავდათ. ლოთებია, არ იციან თავიანთ მუცლის . . . . . წამოვიძახე კვალად: — მამაჩემი სულაც არ არის ლოთი . . . . . მამებს ბრალდება აჰხადეს, ციხელს არ დაეთანხმნენ. . . . . (განაგ)რძო ციხელმა: „თქვენ არ იცით, ეგ მე მკითხეთ. ჰო და . . . . . (პი)რი. აი ე მანდ, იმედის კაკალთან დამეცნენ საღამო . . . . . (გაგიხა)რიან, მე ისინი მოვწკიპე. მოვიდა . . . . . იქვე პაპუჩელაანთი ცხრა ვირი ება. შევხსენი საბლები ვირებს და ხელები ყველას იმ საბლებით შეუკარ“. ჩვენ ეს პაპუჩელაანთ ცხრა ვირი საეჭვოდ გვეჩვენა, რადგან იმათზე საწყალი ოჯახი ჩვენს სოფელში არ იყო, ცხრა თავისთვის იყოს, ერთიც არა ჰყავდათ, მაგრამ ამაზე ხმაც არ ამოვიღეთ, ვიფიქრეთ — შეიძლება წინადა ჰყავდათო. ციხელმა განაგრძო: „შაუკარ, ჩემო ბატონო, ცხრასვე კარგა ლამაზად ხელები, მამაშენი თვარელი“, მითხრა მე, „კიდეც შამეხვეწა — თუ ღმერთი გწამ, საბელს ხელებზე ძალიან ნუ მიჭირებო, გამოვიყარე წინ ინდოურებივით, მივრეკე თავთავის შინ, ღამე იყო, ზოგი კარების წინ ანწლზე დავაბი, ზოგი ღოლოზე, სხვა დერეფნის ბოძზე. ავდეგ ჩემთვი და წაველ შინ არბეინად. მეორეს დღეს თქვენს დედებს გაეხსნა თქვენის მამებისთვის ხელები, საბლები ვირების პატრონისთვის ჩაებარათ. მე მარტო შავერდაანთ სანიკომ ვირების დანალევი უანა მაზღვეინა...“

— ტყუილია, ტყუილი. არ გვჯერა! — დაიგრიალეს ჩემთან ერთად ბალღებმა. ციხელი წარბს არ იხრიდა. ერთი ძარღვიც არ შეცვლია სახეზე. განაგრძო: „ნუ დაიჯერებთ, აბა თქვენს დედებსა ჰკითხეთ, თუ ტყუილია? ეხლა მამათქვენებს და მე განა კი გვეჯავრება ერთმანეთი? არა. ძალიანაც გვიყვარს... შავრიგდით, ისევ ძმები ვართ. ჰკითხეთ იმათაც, იქნება არ დამალონ, არც დაჰმალვენ. როგორ ლაჰმალვენ? მთელმა ქვეყანამ იცის, ყველას ვაგონილი აქვს ეს ამბავი. იკითხეთ, შვილო, ხალხია, ქვეყანაა.“

II

„ოჰოო, ძალიან ღონიერი ვიყავ. რამდენჯერ ღვარისაგან მოტანილი დიდი ჭანდარი ამიკიდნია მხარზე და შინ მიმიტანია. გზადაგზა რომ მოვდენილვარ, ვერ დაუნახივარ, ზედ ჩიტები, ყოვები, ჩხიკვები შემომსხდარან და როცა კარებზე მიმიტანია და დამიგდია, მაშინ-ღა დაუნახივარ და გაფრენილან“. ჩვენ ეს ყველა მაშინ შესაძლო საქმედ მიგვაჩნდა, გვიკვირდა მხოლოდ და ციხელა დიდ გმირად მიგვაჩნდა, თუმცა მოსულობა, ტანის აგებულობა სრულიადაც არა ჰმოწმობდა

ციხელის ასეთს დევურს ძალღონეს. არც მაღალი იყო, არც სქელი, კაცი ხმელს მურყანსა ჰგავდა; ცარიელი ძვალი და ტყავი იყო, მხოლოდ თვალებს ახელდა ცხოვლად.

„ჰაი გიდი, დროებავ! ერთხელ ერთი გათქმული ფალავანი გავლახე. კობ[რეს] უძახდენ. ძალიან ბიჭი იყო, მაგრამ მეც კარგისა შავხვდი. დიამბ. . . . . ვანი იყო, თუშ-ფშაველ-ხევსურისა და კახების ლ . . . . . ვიდეგით. მე სანადიროდ ვიყავ წასული. ერთი . . . . . თავ-რქა და რასაც შოვერეოდი ხორცი თან წამოვიღე . . . . . რომ გახურებული დაფა-ზურნის ხმ . . . . . კობრეს ყველანი დაელახა . . . . . და კიოდა . . . . . ჩამომელო, რო მომცვივდნენ ჩვენი ფშავლები და მთხოვეს: მართალია, დალალული იქნები, მაგრამ შენს იქით გზა არა გვაქვ, უნდა გვასახელოვო. რა იქნეპოდა! — თქვენი ჭირის ნაცვალი ვიყოვო, უთხარ, თუმცა გული-გულში კიდეც გამიხარდა. გადაუხტი კობრეს, შენ ხარ ჩემი ბატონი, დავტაცე კისერი და როგორც ქორმა წიწილა, ისე მოვიტაცე. საჭიდაოში დიამბეგიც გამოჭიმულიყო: დიამბეგის ჯავრიცა მჭირდა. დავითრიე იმისაკე, როცა კარგა ახლოს მიუველ, მოვკიდე კისერზე ფეხდგომელამ. შენმა კობრემ ორივ ფეხი მოახვედრა დიამბეგს, ძირს დიამბეგი — ზევით კობრე. გაუმარჯოსო! დაიძახეს. დიამბეგს ეწყინა, მაგრამ რას იტყოდა. ხმაც არ გაუცია, მე მაშინვე გამიტაცეს ბიჭებმა და დამმალეს, თორო იქ რო შავსწრებოდი, იქნება ხეირს არ დამაყრიდა.

ფშავლებს ძალიან გაუხარდათ ორნაირი ჩემი გამარჯვება: ცხრა-ათი კაცი გაეიყოლე და მთელი ირემი მოვიტანეთ. დროების ტარება, როგორიც ჩვენ ვატარეთ, ხომ თქმა არ უნდა: სულ ჩემს სადღეგრძელოსა ჰსვამდენ ყველანი.

მესამე დღეს ლეკებთან ომიც მოგვიხდა. ცხრაკან დამჭრეს, ორგან გულში მომარტყეს ტყვია, მაგრამ, გაგიხარიან, მე ისინი ვმუსრე. ხმალი მქონდა ელვისპირული: რო შამოვკრავდი, ვერ გავიგებდი, როგორ გაირბენდა, ვნახავდი მხოლოდ, რომ შუაზე გასხეპილი კაცი ეგდო ჩემს წინ. რამდენჯერ შეთე გადამეკიდა, ხან მევაჭრა, ხან თავის ხმალზე მიცვალა, მაგრამ წელზეით როგორ შემოიხსნიდი იმას ჩემი ცოცხალის თავით. ცოლ-შვილს გავიმეტებდი და ხმალს კი ვერა. შეთე სამჯერ შინაც მამივიდა, რამდენი მეხვეწა. ჩემის ხმლისთანა ხმალს მარტო ერეკლის ხმალს იტყვიან, ძაღლიკა ხიმიკაურისეულს. ეხლაც ისევა მაქვს ის ხმალი, მაგრამ არავის ვაჩვენებ, ისეთს ადგილას დავმალე, ეშმაკიც ვერ იპოვნის...

წყლულები ძალიან მაწუხებდა“. სთქვა რა ეს ციხელმა, მარჯვენა ხელით თვალები წაიწმინდა, ვითომ ცრემლს იწმენდდა, თუმცა მის თვალებზე ცრემლისა ნატამალიც არა სჩანდა, ჩვენც თვალები მოგვიცრემლიანდა, შაგვეცოდა: ხუმრობაა განა ცხრა ადგილას დაჭრილი კაცი?!. „ეჰ, რომელი . . . . . გითხრათ და გიამბოთ, ბალღებო, ვინ იცის რამდენი რამ გადამხედია!“

. . . . . მოჰრჩი? — ვკითხეთ ჩვენ.

. . . . . გაცემული არ არი ღვთისაგან, გვიპასუხა ციხელმა: . . . . . წამლით; თავად ვიცი ეჭიმობა; შუაზე გაჭრილს . . . . . მაქვ. ეჰ, მინამ ალი მყვანდა . . . . . ყურები ვცქვიტეთ . . . . . გვენახა.

III

ჩავაცივდით ციხელს, დაუწყეთ ხვეწნა, ეამბნა, ალის ამბავი, ან საით იშოვა ალი, როგორი იყო, რა ზნე-ჩვეულებისა. ვეხვეწებოდით ციხელს, თუმცა იმის-

თვის ჩვენი ხვეწნა სრულიადაც საჭირო არ იყო; ლაპარაკი ძლიერ უყვარდა: სიამოვნებდა იმით, თუ კი ვინმე მის ნაუბარს მოიწონებდა, ან გაიკვირვებდა, მხოლოდ სიამოვნებას არ დაიმჩნევდა, ისეთი თავდაპერილი კაცი იყო.

— შენი ჭირიმე, ციხელო, გვიამბე ალის ამბავი, — ვსთხოვეთ ჩვენ ერთხმად.

„გიამბობთ, ბალღებო", სთქვა ციხელმა: „მაგრამ შორს წავა, ვაჰ თუ არ ვარგოდეს, გადამემტეროს ამ სიბერის დროს, მომიგდოს სადმე ერთ მიყრუებულ ადგილას და მიმახრჩოს. თქვენ მიშველით? თუ თქვენ მექნებით იქა, კი მაქვს იმედი, ვერას დამაკლებს.

— გექნებით, ჩვენ მოგეშველებით, ქვებით დავიფრენთ. — შევძახეთ ყველამ:— რას გაიგებს, აქ ხომ არ არის, ვინ იცის სად გადიკარგა?

„თქვენ რა იცით, ძალიან ეშმაკი იყო: პეპელად, ბუზად, ჭიად იქცეოდა, თუ საჭირო იყო. უნდოდა ბალახად, ყვავილად გადაიქცეოდა. ერთხელ ჩემს თვალწინ ვინ იცის რა ოინები ჩაიდინა, მითხრა: მამილო, აბა მიცქირეო. — რა გინდა? ესეც გიცქერ-მეთქი. დაუწყე ცქერა. ტიტველი ადგილი იყო. ბალახიც კი არ-სად იბადებოდა. გაჰქრა ალი ერთს თვალის დახამხამებაზე. ვხედავ ჩემს წინ, სწორედ იმ ალაგას, საცა ალი იდგა, ტყემალი ჰყვაოდა: ჩემსავე თვალწინ ჩაიყოილა, გამოინასკვა მწვანედ, ცოტა ხანს შემდეგ დამწიფდა, დაიკუნწლა წითლად და ყვითლად; გაქრა ტყემალი; ცამ უყო პირი თუ დედამიწამ, ვერ გავიგე. ტყემ-ლის ადგილას ვაშლის ხე ამოვიდა, იმასაც ის მოუვიდა, რაც ტყემალს: აყვავდა შვენივრად, ტურფად გადაიპენტა, ფუტკრებიც ეხვეოდა იმის ყვავილებს, ჩაი-ყოილა და წვრილ ვაშლებად გამოინასკვა. მერე ეს ვაშლები? დიდრონი, გოგ-რის ტოლა ვაშლებად იქცა. პირდაღებული შევცქეროდი. მინდოდა ერთი-ორიოდე მომეწყვიტა, მაგრამ გაქრა. ვაშლის ხის მაგივრად ამოვიდა ვაზი, დაისხა მტევ-ნები, დამწიფდა. ესხა, ესხა, რომ მიწა ძლივს იძგნობდა. წითლად დაბრაწულ მტევნებს სულ ღაღაჟი გაჰქონდა. გულმა აღარ მომითმინა, პირში ნერწყვი მო-მივიდა, წამოვხტი და მივეწოდე, მინდოდა რამდენიმე მტევანი მომეწყვიტა, მაგ-რამ თქვენს მტერს, სად-ღა იყო ვაზი და მტევნები! შემდეგ მუხა ამოვიდა ვაზის ალაგას დიდი, უზარმაზარი; რკო ჩამოსდიოდა, ძირში ღორები დადიოდნენ ხრუ-ტუნით და რკოსა სჭამდნენ. ეს მოჩვენებაც გაქრა. ჩემს თვალწინ გადაიშალა გძელი უზარმაზარი მინდორი. ზედ მოდიოდა მძიმე ცხვრის ფარა, მთელი ის მინდორი პირით პირობამდე ეჭირა. წინ ამ ცხვარს მე მიუძღვებოდი ლამაზად მორთულ-მოკაზმული, თოფ-იარაღში ჩამჯდარი: ცხვრის პატრონი მე ვიყავ. ასამდე ჩობანი ამ ცხვარს მოსდევდა... გაჰქრა ცოტა ხანს ეს მოჩვენებაც. ჩემს წინ ისევ ჩემი ალი იდგა თმაგაშლილი და კისკისებდა".

ჩვენ პირ-ღია შევჩერებოდით.

— ვინ მოგცა ალი? როგორ დაიჭირე? ნეტა გვენახა: როგორი იყო? — ვამ-ბობდით ჩვენ ყველანი: — ჰქონდა ფეხები, ხელები, რასა ჰგავდა?

„კაცსა ჰგავდა, შვილებო", — განაგრძობდა ციხელი: „ადამიანი იყო, ქალის სახისა, მხოლოდ პატარა ტანისა, რაც ერთის წლის გოგოს ტანი აქვს, სწორედ იმოტელაა, არც მეტი, არც ნაკლები. თეთრი იყო, როგორც უმტვერო თოვლი; ყვითელი, ოქროსფერი კი არა, ნამდვილი ოქროს თმა ჰქონდა, — ცხვირი და პი-რი მოხდენილი, მსხვილი ლურჯი თვალები, მეტად ლამაზი".

— ოი, დასწყევლა ღმერთმა! ვსთქვი მე, — ოი და-და-და!—იძახოდნენ სხვები.

„ეჰ, მანამ ისა მყვანდა, მე რა მიჭირდა: პური და ფული აუარებელი მქონდა. ქვევრებში ვინახავდი ოქროს და ვერცხლსა. საქონელი გამიმრავლდა, ზღვასავით აღელვდა, შურით ქვეყანას თვალი უდგებოდა, მატლით ევსებოდა. საქონელი, ცხვარი და ძროხა, არ დამკლებია, არც მომკვდომია, არც მგელს რამ შაუჭამია,

დაკარგულს ხელად იპოვნიდა, ავადმყოფს ხელად მოარჩენდა... ერთხელ ცული დავიკარ ფეხზე, აი ამ ფეხზე" — სთქვა ციხელმა და მარცხენა ფეხი გამოწვადა; „შუაზე იყო გახეჩილი, ორ დღეზე მომარჩინა, გამასაღა. წამლობა, ექიმობა იმან მასწავლა. ნადირობაში ხომ კაცი არ შამედრებოდა. წასვლა ჩემი სანადიროდ და ნადირის მოკვლა ერთი იყო. ერთი სიტყვით, მინამ ალი მყვანდა, თავი ღვთის კალთაში მქონდა გამოხვეული, ბეწვის ჩალის ფასისა არაფერი გამფუჭებია... ღმერთი სახლში მყვანდა... ჩემი ღმერთი ალი გამიჩნდა, მაგრამ ბოლო დროს მიღალატა იმ დასაქცევმა, გამიწყრა, გამექცა. არ ვიცი, რა ვაწყენინე... წყალზე უყვარდა სიარული. წავიდოდა ღამე და ჭყუპალაობდა. მდინარე წყალზე იბანდა მუდამ პირს. სტუმარი რომ მამივიდოდა, დაიმალებოდა. არავის ეჩვენებოდა. ასე რომ დღესაც არავინ იცის, არც ჩვენებურმა, არც გარეშემ, თუ მე ალი მყვანდა. როცა დარდს შემატყობდა სახეზე, იმდენს იზამდა, გამაცინებდა. „მამილო, უნდა გაგამხიარულო, რას დაღონებულხარო?" იქცეოდა ჩიტად და დაიწყებდა გალობას. ისე ტკბილად გალობდა, რომ დარდებს სულ მიქარწყლებდა. ვერე მე ძალიან მიყვარს ჩიტების გალობა. გალობდა ჩემი ალი ტკბილად, როგორც ბულბული; ბულბული ან კი როგორ იგალობებდა იმასავით... ფეხებს დამხდიდა, პირს დამაბანინებდა. დავწვებოდი და ზღაპრებს მიამბობდა. მოვიცლი და გიამბობთ ალის ნაუბარს ზღაპრებს. სიტყვები პირში წყალივით მოსდიოდა. ეჰ, აღარ მინდა, რო მოვიგონო, გული მომიკვდება. ათი წელია, რაც დამეკარგა".

— სად დაიჭირე, საით იშოვე ალი? — ვკითხეთ ჩვენ ერთხმად: — რამ გააბრიყვა ისე, რომ კაცს ხელში ჩაუვარდა?

„სად დავიჭირე?" — სთქვა ციხელმა, თან თვალებს და წარბებს მაღლა ასწია: „სად დავიჭირე და ტყეში. სანადიროდ ვიყავი წასული; ღამემ მისწრო. დავრჩი უალაგო ალაგას. შინ წასვლა არ შეიძლებოდა: გადავიჩეხებოდი სადმე და გადავწყვიტე, ბალღებო, ღამე ტყეში გამეთია. რაკი საუბარია, ბარემ გიამბობთ. ერთი ეხი (გამოქვაბული კლდე) მოვძებნე. დავანთე ცეცხლი. დავთალე შამფურები. სამწვადე ბლომადა მქონდა, ერთი ხარ-ჯიხვი შამამაკვდა იმ დღეს. მაშინ ნადირი ბევრი იყო, ეხლა იქ სადღაა ნადირი. ჭილყვავებიც არ არი იმდენი ეხლა, რაც მაშინ ნადირი — ირემი, ფსიტი, ჯიხვი იცოდა. დავთალე შამფურები, თქვენ ხართ ჩემი ბატონი, დაუცხუნე მწვადები. გაავდარდა, ძალიან გაავდარდა. კოკისპირული წვიმა დაუშვა, ჩამობნელდა ისე, რო თვალებთან მიტანილს მუშტს ვერ გაარჩევდა კაცი... მწვადები შავწვი, ამოვიღე გუდიდან საგძალი და დავიწყე პურის ჭამა. ეხის წინ ვინღაც გაიკისკასა. ღმერთო და ჩემო ლაშარისჯვარო, შენ დამწერე ჯვარიო, — ვსთქვი და დავიწერე პირჯვარი. ცოტა ხანს შემდეგ კიდევ უფრო ცხოვლად გაისმა სიცილი. არ იყო რო შავშინდი. მერე ეს სიცილი კვნესად და ტირილად გადაიქცა. ეხის გვერდზე ერთი დიდი ჭანდარი იდგა, ტირილი სწორედ იქიდან მესმოდა. ავდეგ, რაც იქნება იქნებაო, ვთქვი, ვახსენე ღმერთი და გამოველ ეხიდან. თოფიც თან გამოვიყოლე. შევხედე და ჭანდრის ძირში ზის ბალღი, პირით მთვარესავით ანათებს და ტირის: „ვაი ჩემი ბრალიო", მოსთქვამდა: „საწყალო, ჩემო თავო, ვისთან წავიდე, სად წავიდე? ვინ შემინახავს, ვინ მიპატრონებს ობოლს — უპატრონოსაო?!." მე დიდს საგონებელში ჩავვარდი: თუ ეშმაკია, ვიფიქრე, კაი სიტყვით უფრო გულს მოვიგებ მაგისას და ავით ხომ გავაწყრობ და გადამემტერება. ისევ კაი სიტყვა ვარჩიე, რაც უნდა მამივიდესო, ვსთქვი ჩემს გუნებაში. წამოდი, შვილო, წამო, მე ვიქნები შენი პატრონი, მე შაგინახავ, მე მოგილი. მე მამა, შენ — შვილი. ადგა და გამომყვა, გავათბე ცეცხლზე, ვაჭამე პური, ვინაობაზე სიტყვაც არ დამიძრავ. გათენდა დილა, ღმერთმა მრავალი დილა გაგითენოსთ სიმთელისა და სიხარულისა, ჩავისვი გუდაში და წამო-

ვიყვანე შინ... ეს იყო... ნადირობისას და სხვა ოინებს ჩემი შვილობილისას მერე გიამბობთ. ეხლა ღამდება, მე და ჩემი თხა-ცხვრები შინ თვალ-ნათლივ ბინაზე ძლივს მივაღწევთო" — სთქვა ციხელმა და წამოდგა ფეხზე.

— დანარჩენს როდის-ღა გვიამბობ? გვიამბე, ციხელო, შენი ჭირიმე, — ისმოდა ბალღების ხვეწნა-მუდარის ხმა.

„ხვალ გიამბობთ, ბალღებო, ხვალ! დღეს მეტის თქმა აღარ შაიძლება. — სთქვა ციხელმა და ჯოხის ბჯენით გასწია თხა-ცხვრებისკე.

(შემდეგი იქნება)

I თავი. 7 „დარჩენილი"-ს შემდეგ გადახაზულია „რომელთაგან" და ზევით აწერია „ზოგი რამ". 8 „თვალ-წინ"-ს შემდეგ გადახაზულია „ხომ იცით". 13 „გაიღიმებდა"-ს შემდეგ გადახაზულია „ისე". 14 „მინდორზე"-ს შემდეგ გადახაზულია „შემოწვები". 17 დიახაც] ჯერ დაუწერია „დიაღაც", შემდეგ „ღ" გადაუსწორებია „ხ"-დ. 24 „გააფურთხებდა"-სა და „გვეტყოდა"-ს შორის ჩამატებულია „სიპრიპანაზე". 44 უნახია] ჯერ დაუწერია „უნახავ", შემდეგ „ავ" გადაუსწორებია „ია"-დ. 46 „გეტყოდით"-სა და „ვაჰ თუ"-ს შორის ჩამატებულია „მაგრამ ვფიქრობ". 50 „სულგანაბულნი"-ს შემდეგ გადახაზულია „ყურ ვუგდებდით" და ზევით აწერია „ველოდით". 53 „და"-ს შემდეგ გადახაზულია „ჩემს". 61 დასტურობაში] ხელნაწერში ამ სიტყვას უზის ნიშანი, რომლის მიხედვით ახსნა უნდა იყოს სქოლიოში, მაგრამ სქოლიო დაზიანებულია, ფურცლის ბოლო მოხეულია. „იმათ"-ს შემდეგ გადახაზულია „ძღ". 64 „ლოთი"-ს შემდეგ გადახაზულია „ჯერ". 65 ბრალდება] ჯერ დაუწერია „ბრალად", შემდეგ გადაუსწორებია „ბრალდება"-დ. 84 „ეხლა"-ს შემდეგ გადახაზულია „განა". 87 „აქვს" შემდეგ გადახაზულია „ეგ".

II თავი. 6 ციხელა] ჯერ დაუწერია „ჩალხო", შემდეგ გადაუხაზავს და ზევით დაუწერია „ციხელა". 8 ციხელის] ჯერ დაუწერია „ჩალხოს", შემდეგ გადაუხაზავს და ზევით დაუწერია „ციხელის". 9 ცარიელი] ძარიელი. 22 „გადაუხტი"-სა და „შენ"-ს შორის ჩამატებულია „კობრეს". 25 „კობრემ"-ს] შემდეგ გადახაზულია „ფეხ ე". 28 „იქნება"-ს შემდეგ გადახაზულია „უცემრად" და ზევით აწერია „ხეირს"; „არ"-ს შემდეგ გადახაზულია „გამიშვებდა". 35 „ეგდო"-სა და „რამდენჯერ"-ს შორის ჩამატებულია „ჩემს წინ". 42 „იწმენდდა"-სა და „ჩვენც"-ს შორის ჩამატებულია „თუმცა მის თვალებზე ცრემლისა ნატამალიც არა სჩანდა".

III თავი. 2 „ხვეწნა"-ს შორის გადახაზულია „ციხელს" და ზევით აწერია „ეამბნა". 6 „სიამოვნებას" შემდეგ გადახაზულია: „არ დაიმჩნევდა, იქამდის თავს იჭერდა. ტყუილს ისე გიამბობდა, როგორც სრულს ჭეშმარიტებას, სიწითლე, დარცხვენა, თუ ქვას შაეტყობა, ჩალხოსაც დაეტყობოდა" და ზევით აწერია „ისეთი თავდაჭერილი კაცი იყო". 9 „დროს" შემდეგ გადახაზულია „და რო". „სადმე"-სა და „მიყრუებულ"-ს შორის ჩამატებულია „ერთ". 14 „იყოს"-ს შემდეგ გადახაზულია „თუ". 15 „ჩემს" და „წინ"-ს შორის ჩამატებულია „თვალ"; „თვალწინ"-ს შემდეგ გადახაზულია „აყვავებულ ტყემლად იქცა" და ზევით აწერია „ვინ იცის რა ოინები ჩაიდინა". 18 „წინ"-ს შემდეგ გადახაზულია „ა". 27 მიწა] ჯერ დაუწერია „მიწასა". შემდეგ გადახაზულია „სა". 28 „აღარ"-ს შემდეგ გადახაზულია „გამიძლო" და ზევით აწერია „მომითმინა" შავი მელნით. 33 „მინდორი"-ს შემდეგ ჯერ დაუწერია „ხელთ", შემდეგ გადაუხაზავს და ზევით დაუწერია „პირით პირობამდე" შავი მელნით; „ცხვრის" შემდეგ გადა-

ხაზულია „ცხვარს“. 37 „კისკისებდა“-ს შემდეგ გადახაზულია აბზაცის დასაწყისი: „დიდება შენთვის ღმერთო, საკვირველი არ არი“ და ზევით აწერია შავი ძელნით „ჩვენ პირ ღია შევჩერებოდით“. 56 ფასისა] ჯერ დაუწერია „დანაფასისა“, შემდეგ „დანა“ გადაუხაზავს. „არაფერი“-ს შემდეგ გადახაზულია „წ“. 72 „ციხელმა“-ს შემდეგ გადახაზულია „და“. 73 „ვიყავი“-ს შემდეგ გადახაზულია „ტყეში“ და ზევით აწერია „წასული“. 76 „შამფურები“-ს შემდეგ გადახაზულია „ერთი“. 79 „ეხლა“-ს შემდეგ გადახაზულია „იქ“. 84 „ხანს“ შემდეგ გადახაზულია „უ“. 86 „იდგა“-ს შემდეგ გადახაზულია „სწორედ“; ტირილი] ჯერ დაუწერია „ტირილის“, შემდეგ „ს“ გადაუხაზავს. 90 „ბალღი“-ს შემდეგ გადახაზულია „ხ“. 93 „მაგისას“ შემდეგ გადახაზულია „და“. 98 „შინ“-ს შემდეგ გადახაზულია „თ“. „თვალნათლივ“-ს და „ძლივს“ შორის ჩამატებულია „ბინაზე“ შავი მელნით. 105 ფრჩხილებში შავი მელნით წერია „(შემდეგი იქნება)“.

სათაგური (გვ. 174)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: ჟურნ. „ნაკადული (მოზრდ), 1908 წ., № 2, გვ. 5—13; № 3, გვ. 19—25; № 4. გვ. 29—33. (B); „სამი საყმაწვილო ამბავი“, 1911 წ., გვ. 7—37 (A) [1].

175. 4 და — B. 23 გაგიწევია] გაგიწევიაო B.

176. 4 მოანათეთ] მოანთეთ B. 28 ტანიდამ] ტანიდგან B. 31 მიუძღოდა] მიუძღვოდა B; გახურებულ] გახურებულს B.

177. 2 აღარც] აღარ B. 3 იმისთანები] ამისთანები B. 14 ჰკრეფდენ] ჰკრეფვდენ A. 19 თადარიგს] თავდარიგს B. 31 აპირობდა] აპირობდი A.

178. 10 ოჰ + მე B. 12 კარებისაკენ] კარებისკენ B. 16 გაცდეინე] გაცდენიე A. 29 გულხელდაკრეფილი] გულხელდაკრებილი B. 32 გატუსული] გატუსულ B.

179. 11 აქულისაა] აქულისა B.

180. 14 ჯეილები] ჯიელები B. 23 შემინახავს] შამინახავს B. 35 მზემ] მზემა B.

181. 3 სათაგურზე] სათაგურს B. 5 მავთულზე] მართულზე B. 11 სახელოვანი] სახელოვან B. 17 მოუძღოდა] მოუძღვოდა B. 21 იყოს] იყო B. 30 მეორეთი] მეორით B. 32 ასტკივა] სტკივა B.

182. 14 დავიწყებია] დაჰვიწყებია B. 17 გაბედავთ] გაჰბედავთ B. 27 შეჰყო] შეყო A. 28 გვერდში] გვერდებში B. 29 სჭირს] ჭირს B. 31 შორიდგან] შორიდან B. 32 გაიტკბანურა] გაიმტკბანურა B.

183. 3 ამხანაგებისაკენ] ამხანაგებისკენ B. 7 მავთულებში] მართულებში B. 14 თვითეული] თვითეული B. 25 მავთული] მართული B. 32 მაგის] მაგისი B.

184. 1 სანაცვლო] სანაცვალო B. 11 მავთულებსა] მართულებსა B; ღრღნიდენ] ჰღრღნიდენ B. 16 შეგრჩებოდა] შაგრჩებოდა B. 26 რო — B. 33 თქვენაც] თქვენც B.

185. 4 ნამცეცა] ნამწეწა B. 21 ამან] მან B. 28 სად გამძვრალვარ — B. 34 შევძვრე] შავძვრე B.

186. 11 გაეტევოდა] გაეტეოდა B.

187. 10 ყველას] ყველასა B 11 დაეკითხა] დეეკითხა A. 19 ზოგნი] ზოგი B.

---

[1] A ვარიანტში ზოგიერთ სიტყვას აქვს განმარტება სქოლიოში. უცვლელად შეგვაქვს ისინი ძირითადი ტექსტის სქოლიოში.

188. 10 სჭყიტა] ჭყიტა B. 11 ერთმანეთს] ერთმანერთს B. 14 თან] თანა B. 16 ხმლისკენ] ხმლისაკენ B. 20 ძვლებს] ძვალებს B. 23 ვაჰ] ვაა B.

189. 3 თანაგრძობა] თანაგრძნობა B. 4 ნახეთ] ჰნახეთ B. 12 ჰკვირობდენ] ჰკვირვობდენ B.

ნადირთა პატრონი (გვ. 190)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: ჟურნ. „ნაკადული" (მოზრდ.), 1908 წ., № 8, გვ. 5—11; № 9, გვ. 13 — 16.

191. 23 ნასახელარი] ნასახლარი.

195. 3 ადგილებით] ადგილები. 26 ლაწა-ლუწი] ლაზა-ლუზი.

ერთი უყურეთ ტუესა-და! (გვ. 197)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: ჟურნ. „ნაკადული" (მოზრდ.), 1908 წ., № 10, გვ. 5 — 8.

ეშმაკი (გვ. 200)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: ჟურნ. „ფასკუნჯი", 1908 წ., № 8, გვ. 2 — 4.

201. 15 ფეხის] ფეხს, 37 საბრალო] საბრალომ.

202. 11 რათ] რათა. 18 სად] რად. 24 დამკვიდრდება] დამკვიდრება.

203. 23 სული] სულ.

ახალი წელი ფშავში (გვ. 205)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: ჟურნ. „ნაკადული" (მოზრდ.), 1909 წ., № 1, გვ. 17 — 22.

206. 8 რათა] რადა.

დიდებული საჩუქარი (გვ. 209)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: ჟურნ. „ნაკადული" (მოზრდ.), 1909 წ., № 2, გვ. 4 — 13, № 3, გვ. 9 — 18; № 4, გვ. 10 — 18; № 5, გვ. 5 — 15.

209. 13 თავის] თვის.

216. 27 ზრდილობიანნი] ზდილობიანი.

218. 14 მამალს] მელა. 29 გამშრობია] გამშორებია **.

221. 34 წინწელივით] წონწელივით

224. 4 მიდმორობას] მიდგორობას *. 35 ჩემმა] ჩემა.

231. 26 ვინმემ] ვინმე.

ლიტერატურის მუზეუმში (№ 22399) დაცულია ამ მოთხრობის შემდეგი ვარიანტი:

დიდებული საჩუქარი

მექათმეს ცხენზე აკიდებული გალიებით ბაზარში ქათმები მიუდიოდა გასასყიდად. დაბურულ ტყეზე მოუხდა გავლა, გალიიდან ერთი მამალი გადმოფრინდა და ტყეში შაეფარა. მექათმე შორს წავიდა, ვერ გაიგო მამლის გადმოფრენა, მამალი-კი დარჩა მარტოკა, მიიხედ-მოიხედა: ეს სადა ვარ? — ამბობდა მამალი თავისთვინ: — რა ღმერთი გამიწყრა, რა უდაბურ ადგილას მოვემწყვდიე. ან-კი რა მექნა საბრალოს? მართალია, ბევრ ქათმებთან ერთად ვიყავი, დედლებში თავი ალარ მიჩანდა, მაგრამ რა გამოვიდა? წელში-კი ველარ გავსწორდი, თავი ველარ ავწიე მაღლა. თუ მამალი ვარ, უნდა ვიყო, თუ არა და რაო. ჩემო?! მოვკრუნჩულიყავ ზღარბივით, ფრთეების გაქნევა მოვინდომე, ველარ მოვახერხე. მინდო-

და ერთი ჩემებური სიმღერა დამეძახა — მწა, აბა! ყელში ისეთი ხრინწი მომედო. მეტის-მეტი ქანაობით, რომ კინაღამ დავირჩვი. მაგრამ არც-კი აქა ვარ-კარ ადგილას. ნეტა შორს არის აქედან ჩემი პატრონის სოსეს ეზო-კარი და საბძელ-კალო? საიდან მოვდიოდით, კარგად არ მახსოვს?

მამალი დარბოდა ტყეში თავგადაგლეჯილი, ეძებდა ტყიდან გასასვლელ გზას, რომ მოეანდევა თავისი ბინა, მაგრამ ამაოდ. დროდადრო შეჩერდებოდა — ღაა, ჰაა! იხედებოდა განცვიფრებული აქეთ-იქით... რას დაინახავდა?.. ხეების და ბალახის მეტი არაფერი სჩანდა, ჩიტები დაფართხალობდენ ხეებზე ჩვეულებრივ.

— გამარჯობა შენი, ძმობილო, გამარჯობა! — მოესმა ხმა ზევიდან, თანაც: კრრრ, კრიიი — გაისმა მაღლიდან, მამალმა შეიხედა მაღლა.

— ვინ ხარ მანდ? მტერი თუ მოკეთე? — შეუძახა მამალმა დაბლიდან ამაყად:—გაგიმარჯოს, თუ მოკეთე ხარ, თუ მტერი—და... ჰო, დიაღ, თუ მტერი ხარ...

— არა ვარ მტერი, არა, ძმობილო, მშვიდობიანი ჩემზე და კაცთმოყვარე, სტუმართმოყვარე, მლოცველი და მგალობელი მეორე სხვა არ შეგულება.

— სახელი შენი? — შესძახოდა ძირიდან მამალი.

— კოდალა, ძმობილო კოდალა!

— კოდალა! პირველად მესმის, — სთქვა მამალმა. — აქაური ხარ?

— დიახ, დიახ, მამა-პაპით აქაური მცხოვრებელი გახლავართ. თქვენი ვინაობაც მინდა გავიგო.

— ჩემი? ჰმ, ნუთუ არ იცი? მაშ ვერ მიცნობ?

— არა, თქვენ არ მოუკვდეთ ჩემ თავსა.

— ჰმ, მე ვარ, თუ გაგიგონია: მამაალი. — წარმოსთქვა თავისი სახელი მამალმა დიდის რიხით.

— საიდან მეცოდინება, გენაცვალე, მე თქვენ აქ ამის მეტად არ მინახიხართ...

6 „მოვემწყვდიე"-ს შემდეგ გადახაზულია „გა". 10 ფრთების] ჯერ დაუწერია „მრთების", შემდეგ „მ" „ფ"-დ გადაუსწორებია. 11 „სიმღერა"-ს შემდეგ გადახაზულია „მეთქვა" და ზევით აწერია „დამეძახა". 13 „პატრონის" და „ეზო"-ს შორის ჩამატებულია „სოსეს". 24 „მგალობელი"-ს შემდეგ გადახაზულია „ერთ". 28 „გახლავართ"-ს შემდეგ გადახაზულია „გთხოვთ". 33 „აქ"-ს შემდეგ გადახაზულია „პირველი".

გერდიხა (გვ. 236)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: ჟურნ. „ნაკადული" (მოზრდ.), 1909 წ., № 10, გვ. 4 — 10; № 11, გვ. 5 — 10.

240. 16 ყაწიმის] ყაზიმის •.

ძაღლმა ციკანი მოიგო (გვ. 245)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: ჟურნ. „ნაკადული" (მოზრდ.), 1909 წ., № 8, გვ. 5—12.

248. 29 ცხვარ-ბინამ] ცხვარ-ბანიმ.

როგორ გაჩნდენ ბუები ქვეყანაზედ (გვ. 251)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: ჟურნ. „ნაკადული" (მოზრდ.), 1909 წ., № 9, გვ. 4—15 (B); „სამი საყმაწვილო ამბავი", 1911 წ., გვ. 38 — 54 (A).

251. 8 მიმაგრებულს] მიმაგრებულ B. 18 ტკბარუნით] ტკბანურით B; შეეჭცეოდა] შაეჭცეოდა B.

252. 1 ფრიად] ძალიან B. 9 და — B. 10 მოისვენე] დაისვენე B; მომასვენე] დამასვენე B. 12 შვილებმაც] შვილებმა B. 13 განრისხებულმა] გარისხებულმა B. 16 ბოლოს] ბოლო დროს B. 17—18 მშვილდი და საისრე, ლახტი წელში—გაირტყა დაიბჯინა — B. 22—23 თავი შეყო] შეჰყო თავი B. 27 ეძებდა] დაეძებდა B. 37 რო — B; შევხვდიო] შევხვდეო B. 39 იმავე] იმავ B.

253. 11 აი + რა B. 17 უიმისოდ] უმისოთ B. 18 თავს] თავსაო B. 20 რო—B. 23 ულრან] ულრანს B. 27 მოჰშველებოდა] მოჰშველებოდათ B. 33 ბედავდა] ჰბედავდა B. 36 თავის დაცვის ძალ-ღონე არა ჰქონდათ] ღონე, ძალი, თავის დაცვისა არაფერი ჰქონდათ B. 37 ოჰ] ჰოი B.

254. 1 დიდ] დიდის B. 6 უნაკლულოდ + ის B. 17 რამდენიმე] რამდენმა B. 18 დღევანდლამდე] დღესნამდე B. 24 არც — B. 32 თავპირგასისხლიანებული] თავპირდასისხლული B. 32 გულში + იმ B. 36 ლარს] ლარსა B.

255. 2 აცალა] აცლიდა B. 3 ყურებში] ყურები B. 6 ამორეკავდა] ამოჰრეკავდა B. 7 იპოვა] იპოვნა B. 9 ზრო] წრო AB *. 11 ხრავდა] ჰხრავდა B. 12 ხრავ] ჰხრავ B. 14 წვერმახვილმა] წვერმახვმა B. 15 ძვლებს] ძვალებს B. 16 ძვლები] ძვალები B. 18 არა ჰქონდათ] ჰქონდათ B; იმათი] იმათ B. 24 ჰბორგავდა] ბორგავდა A; 25 ასი] ასის B. 28 კლდეზე] კლდეებზე B. 31 შეხვდენ] შეჰხვდნენ B.

256. 1 ფიქრობდა] ჰფიქრობდა B. 5 ხოცავდა] ჰხოცავდა B. 8 შეეძლო] შაეძლო B. 10 ამას] იმას B. 18 ვახლო] დავახლო B. 32 თანაც + ის B; დადეს] დადვეს B. 33 შეყრილიყვნენ] შაყრილიყვნენ B.

257. 4 რასა სჩადი, რასა] რას სჩადი, რას B. 13 შენს] თავის B; შენი — B: თავიც და + თავის B. 17 ბოლოს + დროს B. 24 რისხვისაგან] რისხვისგან B. 32 იპოვე] იპოვეო B. 33 კლდემ] კლდემა B.

258. 13 მაქცია] მაქცივა B. 18 ადამიანის სახე შეჰრჩა] შეჰრჩა ადამიანის სახე B. 20 მომწყვლელ] მომწყვლელს B. 27 მიცემულ] მიცემულს B. 32 ძვლების] ძვალების B.

აკადემიკოს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში ვაჟა-ფშაველას ფონდი № 34 დაცულია ამ მოთხრობის შემდეგი ვარიანტი:

როგორ გაჩნდენ გუნები ქვეყანაზედ

I

— ბალღები სადღა არიან? — ჰკითხა ოთამმა, როცა სახლში დაბრუნდა, — ისრით იღლია გაპობილი ტყავგაუხდელი არჩვი კერაზე დააგდო, ისე რომ ნადირის მოკაუჭებულმა რქებმა მიწაც კი მოჩიჩქნა. ვერ იყო ოთამი კარგს გუნებაზედ. თავიდან ფეხებამდის წყალი გასდიოდა წურწურით, ავდარს დაესველებინა. მშვილდი და საისრე დედა-ბოძზე წნელებით მიმაგრებულს ირმის რქაზე ჩამოჰკიდა, და აჩქარებით კერაზე გახურებულს ცეცხლს მიაშურა; მიუშვირა გასათბობად ხელები და გარექცევ ტანზე ნაცვამი ჯიხვის ტყავის კალთები მალე სველი ტანისამოსის ორთქლმა დაუწყო პირისახეზე დენა. კარგად დაღამებული იყო. თბებოდა ცეცხლზე და თან პასუხს ელოდა ცოლისაგან, რომელიც იქვე კერის შორი-ახლოს იწვა არხეინად, ძუ ვეფხვს ჰგავდა გველხოკერასავით სქელი შავი ნაწნავები ზოგი უკან ჰქონდა, ბეჭებზე გადაყრილი, ზოგიც წინ. სახე მოსინულს სპილენძს მიუგავდა. პატარა ბიჭს, რომელიც ოთამისაგან შეიძინა, ძუძუს აწოვებდა. ბავშვი ორი ხელით ჩაჰბღაუჭებოდა ძუძუს და გაშმაგებით სწოვდა, თან ტუჩებს იტკბანურებდა. ლეკვი ვეფხვისა ვეფხვის რძეს შაექცეოდა. დედა-

შვილნი განცხრომაში იყვნენ ლოგინად ირმისა, არჩვისა და მგლის ტყავები ეგოთ ხავსსა და ლელზე დაფენილი.

ეს მეორე ცოლი იყო იოთამისა, მოტაცებული, ნანადირევი. ტყეში შეჰხვდა სანადიროდ ნამყოფი, სტაცა ხელი, არც აცივა, არც აცხელა და თავის ქოხში ამოაყოფინა თავი: შენ ჩემი ცოლი ხარ, ჩემი მონა მორჩილიო. მდევრად წამოსული ცოლის ძმები ისრით დახოცა, სიმამრს ქვით გაუჩეჩქვა თავი, კინალამ ისიც საიქიოს გაისტუმრა. იოთამი ფრიად მძლავრი და მამაცი ადამიანი იყო.

ქმრის გამოხმაურებაზე ცოლმა მხოლოდ გადმოიხედა და ცეცხლივით შავი თვალები გადმოანათა, ოდნავაც არ შენძრეულა.

— ბალღები სად არიან-მეთქი, შენ გეკითხები? — განუმეორა იოთამმა. მოუხეშავს, ბრიყვს, სასტიკს იოთამს ძალიან უყვარდა პირველ ცოლიდან დარჩენილი შვილები, ქალი და ვაჟი, ვეფხვია და მზია.

— ძროხების საძებნელად წავიდნენ — უპასუხა ცოლმა.

— ოჰ, ოჰ, რა ჩამწარდა წუთი-სოფელი; სიცოცხლე შხამი გახდა შენს ხელში, დედა კაცო; ხუთი-ექვსი წლის ბალღები ამ უკუმეთს ღამეში რა ძროხებს მოსძებნიან? ვინ იცის რა დაემართებათო. იმათაც ძროხებთან ერთად ხომ ნადირი დაჰფათრავს?! ამდენს ჩემს ტანჯვას და ჩემი შვილების წვალებას ბარემ ერთხელ თავები დასჭერ, შენც დაისვენე და მეც დამასვენე. — სთქვა გაჯავრებულმა იოთამმა.

— შენ გააჭირე საქმე და შენმა შვილებმა,—წარმოსთქვა გარისხებულმა ცოლმა: — რა გახდა შენი შვილები, გველის წიწილები ცოტაა ქვეყანაზე?!

გაოცებული იოთამი დიდხანს უცქეროდა ცოლს.

— ოი, შე გველო შენა, მართლა და გველო, — წარმოსთქვა მან ბოლო დროს. ჩამოიღო თავის მშვილდი, გადაიგდო მხარზე, საისრე აიღო, დაიბჯინა შუბი და გავარდა გარეთ. წვიმა კოკისპირულად ასხამდა. მიდის იოთამი და არ იცის სად მიდის. თავბრუ ესხმის. ერთხანად შედგა, ჩაფიქრდა. უნდოდა დაბრუნებულიყო, და ცოლისთვის სამაგიერო გადაეხადა, მაგრამ ფეხი და აზრი აღარ შეშალა, გასწია პირდაპირ, მიდის როგორც გატყორცნილი ისარი. შევიდა ხშირს დაბურულს ტყეში, ავიდა მაღლა სერზე და ჰყვირის: „ჰაი ვეფხვიავ, ჰაი მზიავ!“ მაგრამ ხმა ირსაიდან არ ისმის, მის ყვირილზე მხოლოდ ნადირნი გარბოდენ. იმათი ფეხის ჩქამი ახმაურებდა დაბურულს ტყესა, შემკრთალი ფრინველები ხის ტოტებიდან ფრინდებოდენ, ფრთხიალებდენ. ხოლო პასუხი არსაიდან ისმოდა შვილებისა: „ჰაი, ვეფხვიავ, ჰაი მზიავ!“ დადიოდა თავ-გადაგლეჯილი იოთამი ტყე-ღრეებში, თავ-პირ გადაკაწრული. ხელებ დასისხლიანებული: „საწყლებო, ჩემო შვილებო, საწყლებო, სადა ხართ. სადა“. ბუტბუტებდა და გაჰკიოდა: „ჰაი მზიავ, ჰაი ვეფხვიავ!“ მხოლოდ ფერდობებიდან კლდეები გამოხმობით, გამოძახილით უპასუხებდენ.

იოთამი გიჟივით აქეთ-იქით დარბოდა, იმედი ჰქონდა, ამ ცოტა ხანში სახლიდან გამოსული ბალღები ისე შორს როგორ წავიდოდენ ხმა ვეღარ მივაწვდინოვო. რა იცოდა საბრალომ, რომ მისი შვილები დედინაცვალმა დაირეკა სახლიდან არა დღეს ღამ, არამედ ამ სამი დღის წინად; დღეს მესამე ღამეა, რაც იმათ ტყის ჭერი ჰფარავს, ნიავი ეალერსება დედასავით. ნაკადულები უამბობენ სახუმარო, საცინელს, სასიამოვნო ამბებს. ისინი ცოცხლები იყვნენ, მაგრამ სხვა სახით, იმათი ხმა, ძახილი ესმოდა იოთამს, კიდეც უკვირდა ეს საუცხოვო ხმა რომელ ცხოველს, თუ ფრინველს ეკუთნოდა, ამ ტყეებში გაიზარდა, დაბერდა და ჯერ მსგავსი რამ ამ ხმისა მის ყურს არ გაუგონია. არ იცოდა არაფერი, არც რა თქმა უნდა ის იცოდა, მისი ვეფხვია და მზია რა ნუგეშით გაისტუმრა დედინაცვალმა.

ოთამ სანადიროდ იყო წასული: სამი დღე ტყეში დარჩა. მეოთხე დღესღა დაბრუნდა ნანადირევი. სწორედ იმ საღამოს დაკარგეს ტყეში ძროხები. მისმა შვილებმა და თვალ-ცრემლიანები მოვიდენ შინ.

დედინაცვალმა ჯოხით დაირეკა კარში: „გასწით, გასწით ემ საათში მოძებნეთ და მორეკეთ საქონელი, თუ არა და თვალით ნუ დამენახვებით, თქვე გველის წიწილებო. იცოდეთ არ გაგიშვებთ ცოცხლებს, თავებს გაგინაყთ ქვაზე. ამ დროს ხელში ორი სიპი ქვა ეჭირა ერთი ერთს ხელში, მეორე — მეორეში და როგორც ტაში ისე შემოჰკრა ერთმანერთს: „აი ამ ქვით გაგინაყთ თავებს!“ დაირეკა საბრალო ბავშვები ბნელს, უკუმეთს ღამეში, ამოაყოფინა უდაბურს, ულრანს ტყეში თავები. და-ძმა ხელ-ხელ გადასმულნი მიდიოდენ პირდაპირ, არ იცოდენ სად, ტყე-ღრეში, ღელებში იჩეხებოდენ, თვალ-ცრემლიანები სდგებოდენ ფეხზე და კვალად განაგრძობდენ ხეტიალს, მაგრამ არც ხეტიალი შაეძლოთ, რადგან წინ მხეცები ეხეჩებოდენ; დათვი ბრღვინვით გვერდზე უვლიდა, მგელიც ვერა ჰბედავდა რჩოლას, მხოლოდ მისი თვალები ბავშვებისკენ მიმართული ბნელაში ორთქლმავალის ფარანივით ანათებდენ.

ბავშვები ტიროდენ, მოსთქვამდენ გულ-საკლავად, მხოლოდ ორი სიტყვა ისმოდა გარკვევით იმათ ტირილიდან „ვაი, დედავ, ვაი დედავ“; დედას უხმობდენ მოსაშველებლად, მხსნელად, ამ მთელი გასაჭირიდან, მაგრამ პასუხს არავინ იძლეოდა, გარშემო მხოლოდ მხეცები ფშვინავდენ, ბრდღვინავდენ, დაეძებდენ სარღოს, საჭმელს, ზოგი გვერდით გაურბენდა და აცქერდებოდა და-ძმას, ილმუოუნებდა დ განაგრძობდა, სხვა თვალების ბრიალით და კბილების კაცუნით, ლაშების ქლამუნით თავს წაადგებოდათ.

ბავშვები შიშით ზეზეურად დნებოდენ, მთელი ტანით ცახცახობდენ, რით უნდა დაეფარათ თავი საშიშროებისაგან? რა ძალა ჰქონდათ? არაფერი, უმწეო, უპატრონონი იყვნენ.

„ჰოი, ღმერთო, ღმერთო!“ წარმოსთქვეს ერთად, ერთ-ხმად ორივემ: ღმერთო გვაქციე ფრინველებად, რომ შეგვეძლოს მაღლა ხეზე შევაფაროთ თავი, ნტერს გავუსხლტეთ ადვილად ხელიდან, ადვილად შევიძლოთ მოვიაროთ ეს არე-მარე, საქონელი მალე ვიპოვოთო. სწორედ ამ დროს ჩამოიარა „ამინმა“. ხომ გაგიგონიათ თქმულება, რომ დღეში „ამინი“ სამჯერ ჩამოივლისო და რასაც ინატრებს კაცი ის აუსრულდებაო, ავი იქნება თუ კარგი. და-ძმასაც აუსრულდათ ნატვრა: იქცნენ ბუებად, გაფრინდენ სხვა და სხვა მხარეს. შერჩათ ადამიანის თვალები და სახის გამომეტყველება. დღე ვერ გამოდიან გარეთ, რადგან დედინაცვლისა ეშინიანთ, იმალებიან ხის ფუღუროში. სხვა ფრინველებსაც ეჯავრებათ ისინი, რადგან თვის-ტომად არა სცნობენ და იმიტომ არი, როცა კი დაინახავენ დღე ბუს, თავს ესხმიან, არ აძლევენ მოსვენებას, მისდევენ ქივილ-ხივილით, უნისკარტებენ, არ მოეშვებიან, მინამ სადმე ხის ფუღუროში არ შეაფარებს თავსა. ჩვენ ადამიანები ერთხელ მნახველნი ბუს და ჩიტების ომისა, როცა ერთს ვისმე მრავალნი აწვალებენ, მასხარად იგდებენ, დასცინიან: „აიბუეს, საწყალი კაციო“. დიაღ გაფრინდენ საწყლები სხვა და სხვა მხარეს და შეუდგნენ თავიანთ საქმეს — საქონლის ძებნას. რამდენმა ათასმა წელმა განვლო დღესნამდე ისინი ისევ ეძებენ დანაკარგს ეძახის ერთი მეორეს, ეკითხება: „ვერ იპოვეო? — ვერა, ვერაო!“ უპასუხებს მეორე. „ვაი, დედი, ვაი დედიო!“ ამით აბოლოვებენ კითხვა-პასუხს, როგორც ერთი, ისე მეორე.

ოთამი გიჟივით დარბოდა ტყე-ღრეებში შვილების მოძებარი, არ დაურჩა ღრანტე, ხის ძირი, კლდის ძირი, რომ არ ენახა, ხელით და თვალით. მას საქონელი არ აჯავრებდა: „დამიჭამს რამ შვილებსა! თან ბუტბუტებდა, თანაც გაჰკიოდა: „ჰაი ვეფხვიავ, ჰაი მზიავ!“ სულ ამაო იყო ძებნა — არსად სჩანდა იმის შვილების კვალი დედა მიწაზე, ღამე ჰაერში გაისმოდა ოთამის შვილების ძახილი, კითხვა — ვერ იპოვეო, პასუხი — ვერა, ვერა, ვერაო, ვაი დედაო!“ მაგრამ ვერ გაეგო თუ ეს იმის შვილების ხმა იყო, თუ ისინი უძახდენ ერთი მეორეს.

მთელი ორი კვირა ეძებდა ოთამი შვილებსა... ერთხელ დაინახა მგელი ტყეში, ლაშებდაღებული, ენა წამოგდებული მოძუნძულებდა, გალეშილიყო, თავპირი სისხლიანი ჰქონდა... იქნებ მაგან დაჭამა ჩემი შვილები, იმათი სისხლითა აქვს მოთხუპნული ლაშები. ოჰ, შე წყეულო, შე მოსისხლევ. ღმერთს გაგირისხებ, გაგათავებ ამ წუთაში. ისარი მოუმიზნა ოთამმა, მშვილდს მოსწია, ასე გულეურად არ ახსოვს ესროლოს რისთვისმე თავის სიცოცხლეში, სტყორცნა ისარი და გულში გაუტარა. მოკვდი შე მურტალო მოკვდი! განა შენ ჩემი შვილების ხორცს შეგარგებ. მგელი წაიქცა, დიდად ესიამოვნა ოთამს, გული მოიფხანა და ჯერ ისევ ცოცხალი იყო ნადირი, რომ მივიდა ზედ, ყურებში ხელი დასტაცა და დაითრია, თან დაღებულს ხახაში ხელს უყოფდა: „ჩემი შვილების ხორცი მოიტა აქ, შე მურტალო“. ჩაეუბნებოდა სახეალეწილი — ამითი რომ ვერ მოიჯერა გული დაუშინა თავში ლურსმებით მოჭედილი ხვედა. მგელმა სული დალია. ოთამმა ისარი ამოაძრო, წყლულიდან, გაუწმინდა სისხლიანი ზრო[1] და ჩააგო საისრეში.

გაუფათრა მგელს დანით მუცელი: იქ უნდოდა ეპოვნა ნიშანი მაინც თავის შვილებისა. რას იპოვიდა! მიანება ტყავ-გაუხდელ ნადირს თავი და წავიდა. მიადგა ბუნაგში ნაწოლს დათვს, რაღაც ცხოვლის ძვალებსა ჰხრავდა: „ჰა“, წარმოსთქვა ოთამმა: „შენ დასჭამე ჩემი შვილები? ძვალები-ღა დაგრჩა მარტო. შე მურტალო?“ დათვმა ღრიალით უპასუხა, უკანა ფეხებზე შედგა, საომრად დაემზადა, მაგრამ შეუპოვარმა ოთამმა წარბიც არ შეიხარა, დასცა შუბი მკერდში და გადაატრიალა დათვი: მორთო დათვმა ყვირილი, ისეთსა ბღაოდა, ჰბორგავდა, რომ მთელი ტყე იმის ღრიალზე ზანზარებდა; ოთამი ძვალებს სინჯავს, მაგრამ არ არი იმის შვილების ძვალები, მოტყუებულია; ტყუილად ებრძვის მხეცებს, ამაოდ ცდილობს იპოვნოს იმათ ბუნაგში შვილების ძვალები!

„რა ვქნა? წარმოსთქვა ოთამმა, მთელი დედა-მიწა გადავქექე, გადავაბრუნე და არსად ჩანან? ნუ თუ დედა მიწამ უყო პირი? ცამ აიტაცა? აღარ ვიცი, აღარ ვიცი, თუ საით წავიდე, რა ღონე ვიღონო, რაღა ვქნა? ოხრავდა ჰბორგავდა ოთამი; გული ეკუმშებოდა, მუხლებში მოეშვა, თითქოს წელში გადატეხილაო, მოთხარა, ასი წლის მოხუცს დაემსგავსა ოცდაათის წლის ვაჟკაცი. მალ-მალ გიჟივით წამოიტყოდა: „ვაჰმე, შვილებო, საწყალო ჩემო შვილებო, ბეჩავებო, უსუსურებო, დავიდევ თქვენი ცოდო ამ თავმკვდარმა. კლდეებზე ბღოტიალში ვეფხვს წააწყდა:—ერთმანეთი იცნეს. ვეფხვმა გულიანად სალამი მისცა.

— გამარჯობა შენი, ჩემო კეთილის მყოფელო — მიახალა პირში ვეფხვმა, როცა ოთამისა და ვეფხვის თვალები ერთმანერთს შაეჯახნენ.

„გაგიმარჯოს, ჩემო მეგობარო, მიუგო ოთამმა: „ვაი ამისთანა გამარჯვებას, რაც მე გამარჯვებული ვარ; უთხრა ამოოხვრით. — რა ამბავია? რა დაგემართა

[1] ისარზე დასაგები წვეტიანი რკინა.

ისეთი, რომ აგრე დაგძმარა და დაგაღონა, ნუ თუ ვერაფერი ეშველება შენს დარდს და ვარამს? — წარმოსთქვა ვეფხვმა და თანაც ჭრელის ბეწვით დასალტული კუდი გავაზე შემოიგდო თავმომწონედ, თითქოს ამით იმას ეუბნებოდა, მე ბითაარი და რა იქნება ისეთი საქმე, მე გამიჭირდეს და ვერ ავასრულოვო.

— „შვილები დავკარგე, მეგობარო, უსუსური შვილები". უთხრა იოთამმა და მოუყვა შვილების დაკარგვის ამბავს: „ვინ იცის ნადირმა დამიჭამა? — მე ღმერთმა დამიფაროს ადამიანის ხორცს პირი დავახლო, წარმოსთქვა ვეფხვმა: — განა ფიცი საჭიროა: სხვა ნადირებისა არ ვიცი.

— „მჯერა, მიუგო იოთამმა".

— განა იმ სიკეთის შემდეგ, რაც შენ ჩემზე დასთესე დავახლო პირი ადამიანის ლეშს, არა მარტო შენს და შენობილისას, არამედ ვინც უნდა იყოს, მხოლოდ ადამიანის სახე ჰქონდეს.

დიდი ხანია ვეფხვი და იოთამი ერთმანერთს იცნობდენ, თუ იოთამმა ერთხელ უყო სიკეთე, რომ თათიდან სიპი ქვა ამოუღო და დაკუტებული ვეფხვი ფეხზე დააყენა, ვეფხვმა ათასჯერ მეტად გადაუხადა: თმაზე უმრავლესი ნადირი მოაკვლევინა და დღესაც მზად იყო ვეფხვი კეთილის მყოფლისათვის ესიამოვნებინა, საჩსახური გაეწია. იოთამი ისე მადლობელი იყო ვეფხვისა, რომ თავის შვილს მისი სახელი დაარქვა, რადგან პირველ დაძმობილების ხანში ეყოლა იოთამს ვაჟიშვილი.

— „მოვძებნოთ, გავიგოთ", უთხრა კვალად ვეფხვმა მე ასე წავალ, შენ ისე და ხვალ კი ამ ადგილასვე შევიყარნეთ და გავაგებინოთ ერთმანერთს რასა ვნახავი, ან რას გავიგებთ შენი შვილებისას.

იოთამიც დასთანხმდა და წავიდნენ სხვა და სხვა მხარეს... ვეფხვი გულ-მოდგინედ შეუდგა იოთამის შვილების მოძებნას, მაგრამ ვერაფერი გაიგო. იოთამს ხომ, რა თქმა უნდა, არც დღე ეძინა და არც ღამე. ბევრი იარა, ცოტა იარა, მიადგა ერთს მდინარეს. — „მდინარევ, მდინარევ! ხომ არ გინახია, ჩემი შვილები, ჩემი მზია და ვეფხვია? ნუ დამიმალავ, სწორე მითხარი? ხომ არ მოსულან შენს კიდეზე, წყალი ხომ არ დაულევიათ? იქნებ შენ დაარჩევ, მაგრამ რა შვილი მეტყვი?! სთქვა რა ეს იოთამმა თან შუბის წვერი ჩასცა ერთს დიდ მორევში.

— რას შვრები, რას, ეი, ხეპრევ, უგუნურო? — მიუგო მდინარემ: — შვილებო თავად შენ დაარჩვე და აქ, ჩემთანა ჰკითხულობ? შენ შვილებს რა დაუშავებიათ, ისინი ანგელოზები არიან, უსუსურნი, უმეცარნი და შენ კი, რო შეგიძლებდე, დაგარჩობდი, რადგან ღირსი ხარ დარჩობისა.

„რადა? რა დავაშავე"? დაეკითხა იოთამი.

— დანაშაული მეტი იქნება? რად ჩაჰყარე ჩვილი ბალღები დედინაცვლის ჩელში თუ შენ კაი კაცი ხარ? როცა ის თვალეუეუნა, თვალ-მაყვალა და თმა-გძელა თავის კერაზე დააბძანე, მაშინვე დაარჩვე თავიც და თავის შვილებიც — მიუგო მდინარემ. იოთამმა ხმა გაკმინდა, თავი დაჰკიდა.

„ჰო, ჰო, უთუოდ არა სტყუი, მდინარევ, ნამდვილად ჩემი ბრალია. მაშ მიდი ნუ დამზოგავ, მე დამარჩვე". წარმოსთქვა იოთამმა და გადაეშვა წყალში. წყალმა წაიღო კარგა მანძილზე ზიდა და გარიყა; არ დაარჩო. იოთამი ისევ წყალში შეიჭრა, მაგრამ არა, წყალი არ არჩობდა. თითქმის ათ ადგილას გარიყა, თუმცა იოთამი ისევ წყალში იწევდა. როცა დაჰხედა საქმეს, რომ წყალი იწყნარებდა, სველი, გალუსკული, ღამემაც უსწრო, ერთს გამოქვაბულს შეაფარა თავი. „ვაჰმე, შვილებო, ვაჰმე შვილებო": მოსთქვამდა აკანკალებული, აცახცახებული იოთამი: „ვაჰმე ჩემო ვეფხვიავ, ვაჰმე ჩემო მზიავ!" კარგა დაბნელდა. ულრანი ტყე, უდაბური ადგილი, რაღაც უცნაურმა ხმამ ააწრიალა. — „მზიავ, ვეფხვიავ!"

— კაცო, კაცო, ადამიანო, რას სტირი? რას სჩივი, რას დაეძებ? აგერ შენი შვილები, აგერ იმათი ძახილი: ისინი უკვე ფრინველები არიან, იმათ რომ შეეხვდე ველარ იცნობ, საბრალოვ! აგერ ერთი ეძახის: „ვეფხვიავ. ვეფხვიავ, ვერ იპოვე!“— ვერა, მზიავ, ვერაო — მეორე უპასუხებს. უთხრა კლდემ იოთამს. „მართალს ამბობ, სწორეა?“ — დაეკითხა იოთამი...

— მაშ ვსტყუი?! რა საკადრისია, ქვეყანაზე რაც მოხდება განა მე გამომეპარება? არა დროს!..

„მაშ დავიჯერო გესმის ჩემი შვილების საუბარი?“ ჰკითხა კვალად იოთამმა.

— ნათლად, ცხოვლად — მიუგო კლდემა.

„არ შეიძლება, გეთაყვანე, გამოელაპარაკო ჩემს მაგივრად, შეატყობინო, რომ მე აქა ვარ და მინდა იმათი ნახვა, ასე დაუძახო: მამა თქვენი აქ არის და თქვენი თვალით დანახვა უნდა-თქო“.

— სულ ტყუილია, არაფერი იქნება. ისინი არ მოგეკარებიან, არც ხმას გაგცემენ. ვერც არაფერს გააგონებ. იმათ დავიწყებული ჰყავთ მამა, მაგის ცნება აღარ არის იმათ თავში. მიუგო კლდემა.

„მაშ, ნეტავი მეც კლდედ მაქცივა, რომ იმათ ხმა მაინც მსმენოდა მუდამ, ამით მენუგეშებინა თავისი თავი. ღმერთო, ყოვლის შემძლებელო მაქციე მეც კლდედ-წარმოსთქვა იოთამმა ხელაპყრობით. სწორედ ამ დროს ჩამოიარა „ამინვა“. იოთამი კლდედ იქცა, აეტუზა, მიეკრა იმავე კლდეს, სადაც თავი შეაფარა, მხოლოდ მას შეჰრჩა ადამიანის სახე. სდგას თავ-დაკიდებული, გულ-ხელ დაკრეფილი და თვალებიდან ცრემლი ჩამოსდის... როცა გაისმის იმის შვილების ძახილი, კივილი, მაშინ იმის გულიდანაც ამოდის კვნესა ბუების საპასუხოდ: „ვაჰმე, შვილებო, ვაჰმე შვილებო!“..

IV

ვეფხვი, იოთამის მეგობარი რაღა იქნა? ის გულ-გადალეული ელოდა მეგობარს დანიშნულს ადგილას, სადაც შეყრის პირობა მისცეს ერთმანერთს. ელოდა ერთს ადგილას დაყუნთებული, გაუნძრევლად. ან ეხლა მოვა ჩემი კეთილის მყოფელი ან ახლაო. უცადა ერთი კვირა, უცადა ორი, — თვეები. აღარც ჰსვამდა და აღარც სჭამდა. და ასე ზეზეურად ჩამოდნა სიმშილითა... იმის ნეშტზე ამოვიდა ქუჩად დეკა დაყუნთებულ ვეფხვის მსგავსად, რომელიც აღარც იზრდება, აღარც მოკლევდება, ანუ პატარავდება. მხარს უმშვენებს ზამთარ-ზაფხულ აყვავებული, დაუჭკნობელი პირი-მზე — ყვავილი მთისა.

I თავი. 4 „გაპობილი“-ს შემდეგ გადახაზულია „ისრით“ „ტყავგაუხდელი“-ს და „კერაზე“-ს შორის ჩამატებულია, „არჩვი“. 5 „იყო“-სა და „კარგს“ შორის ჩამატებულია „იოთამი“; „გუნებაზედ“-ს შემდეგ გადახაზულია „ალბათ იმიტომ“. 6 „დაესველებინა“-ს შემდეგ გადახაზულია „ისარი“; „მშვილდი და“-ს შემდეგ გადახაზულია „ირმის“ და ზევით აწერია „საისრე“; „დედა-ბოძზე“-ს შემდეგ გადახაზულია „მი“. 7 „ჩამოჰკიდა“-ს შემდეგ გადახაზულია „და“. 9 „გარექცევ“-ის შემდეგ გადახაზულია „და“. „კალთები“-სა და „კარგად“-ს შორის ჩამატებულია „მალე სველი ტანისამოსის ორთქლმა დაუწყო პირისახეზე დენა“. 20 „ნამყოფი“-ს შემდეგ გადახაზულია „და“. 27 „უყვარდა“-ს შემდეგ ვადახაზულია „შვილები“. 39 „საისრე“-ს შემდეგ გადახაზულია „დაიბჯინ“; „აიღო“-ს შემდეგ გადახაზულია „ჯოხი“ და ზევით აწერია „დაიბჯინა შუბი“: „გარეთს“-ს და „მიდის“ შორის ჩამატებულია „წვიმა კოკისპირულად ასხამდა“. 42 „ჩაფიქრდა“-ს შემდეგ გადახაზულია „თითქოს“. 44 „შევიდა“-ს და „ტყეში“-ს შორის ჩამა-

ტებულია „ხშირს დაბურულს“. 46 „ნადირნი“-ს შემდეგ გადახაზულია „ფრ“; „გარბოდენ“-ს შემდეგ ჯერ დაუწერია „და ფეხით“ შემდეგ „და“ გადაუხაზავს და ზევით დაუწერია „იმათი“, ხოლო „ფეხით“-ის „თ“ გადაუსწორებია „ს“-ად. 48 „ფრინდებოდენ“-ს შემდეგ გადახაზულია „შეი“. 51 „ბუტბუტებდა და“-ს შემდეგ გადახაზულია „ხან და ხან“. 52 „ფერდობებიდან“-სა და „გამოხმობით“-ს შორის ჩამატებულია „კლდეები“. 54 „ხანში“-ს შემდეგ გადახაზულია „წ“. 55 „ხმა“-ს შემდეგ გადახაზულია „ეს“. 60 „უკვირდა“-ს შემდეგ გადახაზულია „მა“. 62 „ხმისა“-ს შემდეგ გადახაზულია „არ“.

II თავი. 3 „იმ“-ის შემდეგ გადახაზულია „დ“. 8 „ეჭირა“-ს შემდეგ გადახაზულია „ხე“, 10 „ბავშვები“-ს შემდეგ გადახაზულია „ამ“; „ამოაყოფინა“-ს შემდეგ გადახაზულია „გამოუცდელ ბალღებს“. 11 „თავები“-ს შემდეგ გადახაზულია „ბავშვები“. 12 „იჩეხებოდენ“-ს შემდეგ გადახაზულია „თვალა“. 13 „მაგრამ“-ს შემდეგ გადახაზულია „მალე შესდგნენ“ და თავზე აწერია „არც ხეტიალი შეეძლოთ, რადგან“. 14 „გვერდზე“-ს შემდეგ გადახაზულია „ესმ“; „მგელიც“-ს შემდეგ გადახაზულია „თითქოს“. „თვალები“-ს შემდეგ გადახაზულია „შორ“, 16 „ბავშვები] ჯერ დაუწერია „ბავშვების“ შემდეგ „ს“ გადაუხაზავს, ამის შემდეგ გადახაზულია „გოდება“. „ტიროდენ“-ს შემდეგ გადახაზულია „იმათი“. „სიტყვა“-ს შემდეგ გადახაზულია „განირჩე“. 18 „დედავ“-ს წინ ჩამატებული აქვს „ვაი“, ხოლო „დედავ“-ს შემდეგ გადახაზულია „ვაჰმე“ და თავზე აწერია „ვაი“. „დედას“ შემდეგ გადახაზულია „ისმო“; „დედას“ შემდეგ გადახაზულია „უ“; „მოსაშველებლად“-ს შემდეგ გადახაზულია „ჭირიდან“. 20 „იძლეოდა“-ს შემდეგ გადახაზულია „გარეშა“. მხეცები] მხეცების. 21 „ბრდღვინავდენ“-ს შემდეგ გადახაზულია „ისმ“; „დაეძებდენ“-ს შემდეგ გადახაზულია „მსხვერპლს“. 25 „ტანით“-ს შემდეგ გადახაზულია „აცახცახებდა“ და თავზე აწერია „ცახცახობდენ“. 30 „არე-მარე“-ს შემდეგ გადახაზულია „და“. 34 „გამომეტყველებას“-ს შემდეგ გადახაზულია „ადამიანს მოაგონებს კარგად ვინც დააკვირდება“. „ეშინიანთ“-ს შემდეგ გადახაზულია „მხოლოდ ღამით“. 37 „მისდევენ“-ს შემდეგ გადახაზულია „თან“. 38 „სადმე“-ს შემდეგ გადახაზულია „ფა“ „თავ-შესაფარ არ იპოვნის დიდს ტანჯვაში აგდებენ აქედან“ და ზევით აწერია „ხის ფუღუროში არ შეაფარებს თავსა“; „ადამიანები“-ს შემდეგ გადახაზულია „ვიტყვით“ და ზევით ჩამატებულია „ერთხელ მნახველნი ბუს და ჩიტების ომისა“. 39 „აწვალებენ“-ს შემდეგ გადახაზულია „აიბუეს“ და ზევით აწერია „მასხარად იგდებენ“. 42 „განვლო“-ს შემდეგ გადახაზულია „მას შე“. „ეძებენ“-სა და „უძახის“ შორის ჩამატებულია „დანაკარგს“.

III თავი. 5 „სჩანდა“-სა და „შვილების“ შორის ჩამატებულია „იმის“. 7 „იპოვეო“-ს შემდეგ გადახაზულია „ვე“. 8 „შვილების“ შემდეგ გადახაზულია „ძახილი იყო“. 9 „კვირა“-ს შემდეგ გადახაზულია „დაჰყო“. „ტყეში“-ს შემდეგ გადახაზულია „სახ ხახა“ და ზევით აწერია „ლაშებ“. 10 „გალეშილიყო“-ს შემდეგ გადახაზულია „ის“. 14 არ] არა. 17 „გული“-ს შემდეგ გადახაზულია „ხვე“. 20 „ჯალია“-ს შემდეგ გადახაზულია „რას“; „ოთამმა“-ს შემდეგ გადახაზულია „ს“. 21 „წრო“-ს შემდეგ გადახაზულია („რკინის წვერი“). 23 „იქ“-ს შემდეგ გადახაზულია „ეძ“. 25 „დათვს“ შემდეგ გადახაზულია „რომელიც“ და ზევით ჩამატებულია „რაღაც ცხოვლის“. 27 „დათვმა“-ს შემდეგ გადახაზულია „ღრია“, „ბლავილი“. 28 „შეიხარა“-ს შემდეგ გადახაზულია „უმარჯვა შუბი“. 29 „დათვი“-ს შემდეგ გადახაზულია „დ“. „ისეთსა“-ს შემდეგ გადახაზულია „ღ“. 31 „არ არი“-ს შემდეგ გადახაზულია „მოტო“. 35 „ღონე“-ს შემდეგ გადახაზულია „რაღ“. 41 „კეთილის მყოფელო“-ს შემდეგ გადახაზულია „შე“. 44 „ვარ“-ს შემდეგ გადახა-

ზულია „შვილ“. 47 „შემოიგდო“-სა და „თითქოს“ შორის ჩამატებულია „თავ-
ომწონედ“; „ამით“-ს შემდეგ გადახაზულია „ის“. 48 „საქმე“-ს შემდეგ გადახა-
ზულია „ვერ“. 52 „საჭიროა“-ს შემდეგ გადახაზულია „და“. 54 „დასთესე“-ს შემ-
დეგ გადახაზულია „მე დავახლებდი პირს“. 56 ჰქონდეს] ჯერ დაუწერია „ჰქონ-
დესო“, შემდეგ „ო“ გადაუხაზავს, შემდეგ კი გადახაზულია „ვეფხვი იმ სიკეთეზე
ელაპარაკებოდა“. 57 „ერთმანერთს“, შემდეგ გადახაზულია „სიკე“. 58 „რომ“-ის
შემდეგ გადახაზულია „მოკლან“. ათასჯერ] ჯერ დაუწერია „ათასი“, შემდეგ
„ი“ გადაუხაზავს და ზევით დაუწერია „ჯერ“, „ათასჯერ“-ს შემდეგ გადახა-
ზულია „იმოდენა სიკეთე იყო“ და ზევით აწერია „მეტად გადაუხადა“. 64—65
„ისე და“-ს შემდეგ გადახაზულია „ბოლოს“. 65 „ერთმანერთს“ შემდეგ გადახაზუ-
ლია „რასაც ვინ“. 73 „იოთამმა“-სა და „შუბის“ შორის ჩამატებულია „თან“. 75
„ჰკითხულობს“-ს შემდეგ გადახაზულია „შე შვილ შენი შვილები კი არა და შენ
კი“ და ზევით აწერია „შენ შვილებს“. 76 შევიძლებდე] შევიძლებდი. 78 „და-
ვაშავე“-ს შემდეგ გადახაზულია „და“. 82 „ხმას“-ს შემდეგ გადახაზულია „აღარ“.
83 „მდინარევ“-ს შემდეგ გადახაზულია „არა“. 84 „იოთამმა და“-ს შემდეგ გადა-
ხაზულია „ჩაიყუ“. 86 „დაარჩო“-ს შემდეგ გადახაზულია „წყალმა“; გა-
რიყა“-ს შემდეგ გადახაზულია „და ვერ“ და თავზე აწერია „თუმცა“. 87 წყალი]
ჯერ დაუწერია „წყალმა“, შემდეგ „მა“ გადაუსწორებია „ი“-დ. შემდეგ გადახაზუ-
ლია „შე“. „გალუსკული“-ს შემდეგ გადახაზულია „სა“. „თავი“-ს შემდეგ გადა-
ხაზულია „იოთამმა“. 90 „მზიავ“-ს შემდეგ გადახაზულია „ულ“. 99 ჩემი] ჯერ
დაუწერია „ჩემის“, შემდეგ „ს“ გადაუხაზავს. 106 გააგონებ] ჯერ დაუწერია „გა-
აგონებს“, შემდეგ „ს“ გადაუხაზავს. „მამა“-ს შემდეგ გადახაზულია „ცნე“;
„ცნება“-ს შემდეგ გადახაზულია „არა“. 113 „მაშინ“-ს შემდეგ გადახაზულია „ის“.

IV თავი. 2 „ის“-ის შემდეგ გადახაზულია „მოულოდნელად“ და ზედ აწერია
„გულ-გადალეული“. 3 „სადაც“-ის შემდეგ გადახაზულია „ერთმანერ“, „პი“.
8 „პატარავდება“-ს შემდეგ გადახაზულია „გვერდით ზამთარ“ და ზევით კვლავ
გადახაზულია „გვერ.“

დათვი (გვ. 259)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: ჟურ. „ჩვენი ერი“, 1909 წ., № 1, გვ. 5—8; № 2, გვ. 3—7.

262. 2 სიმინდისა] სიმინდსა. 6 უნდათ] უნდა.

271. 11 ნადირის] ნადირი.

მელია-სერეფენია (გვ. 272)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: ჟურ. „ქართველი ერი“, 1909 წ., № 1, გვ. 3—5; № 2, გვ. 10—12.

272. 6 თვის] თთვის.

273. 22 ქედურზე] ქუდურზე *.

276. 18 ნერწყვებს] ნერწყებს. 25 მოესმათ] მოისმოდა.

278. 2—3 სოროს ახალი. ᔕ

280. 8 გითხოვ] მითხოვ *.

მოთხრობას „ქართველ ერში“ აქვს მინაწერი „გაგრძელება იქნება“, მიუხე-
დავად ამისა, ჩვენ მას დამთავრებულად ვთვლით, რადგან ამბავი შეკრული და
დასრულებულია.

აკადემიკოს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში ვაჟა-ფშაველ-
ას ფონდი № 37 დაცულია ამ მოთხრობის შემდეგი ვარიანტი:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მელია-სერეფენიას სკოლა

I

სერეფენიას სორო სოფელზე არც შორს იყო, არც ახლო. სათარეშოდ არც ტყე და მინდორზე იყო დაშორებული, არც სოფელზე: ორივესა სწვდებოდა, საითაც მოიწადინებდა, იქით გაინადირებდა. დაადგებოდა რამ გასაჭირი და მაშინვე თავის საყვარელ ციხე-სიმაგრეს მოატანდა. სიმაგრეში რაიღა თავს მოიფარებდა, მერე მთელის ქვეყნის ლაშქარიც ვეღარაფერს დააკლებდა, სერეფენიას კარგად ჰქონდა გამოცდილი თავის ციხის ძალა და იმიტომ არც ეშინოდა არავისგან.

მონადირეებისაგან მისეული ძაღლები და მწევრები ბევრჯელ მიჰყვნენ სერეფენიას ციხის კარებამდე, მაგრამ შიგ შესვლას-კი ვერა ჰბედავდენ. ერთხელ ერთმა მწევარმა გაბედა სოროში შესვლა, უნდოდა მისი გამოთრევა სოროდან. მაგრამ ამაოდ: სერეფენიამ, სოროს კუთხეში მიკუნჭულმა, მწევარს გვერდიდან ტუჩზე კბილი გაჰკრა და სისხლი დაადინა; მელამ უკან დაიწია, სორო თანდათან ვიწროვდებოდა, მწევარი შიგ ვერ ეტეოდა და ყვირილით გარეთვე იკადრა გამოსვლა.

სერეფენია-კი გული-გულში იცინოდა და ამბობდა: „კაი ბიჭები იქნებით და მოხვალთ, აბა მობძანდით; ისე გაგიხადოთ საქმე, სულ კუდით ქვა გასროლინოთო!“

ეს ბოლო დროის ამბავი გახლავთ და, ვგონებ, ურიგო არ იქნება მისი ცხოვრება, ე. ი. ბიოგრაფია ავწეროთ.

II

როცა სერეფენია დაობლდა, კარგად მოზრდილი იყო: შეეძლო ნადირობა, მოკეთისაგან მტრის გარჩევა. ნადირობდა მინდვრის ჩიტებზე, თაგვებზე, დიდრონ კალიებსაც კარგად გიახლებოდათ. იმათი შოვნა სულ უბრალო რამ საქმე იყო იმისთვის. ორი კვირის განმავლობაში ორივე — დედა და მამა დაკარგა. დედამისი ხაფანგით დაიჭირა ქიტესა ჩახმახაშვილმა, პრასიანელმა ეს უკვე აშკარად, ცხადად მთელმა სამელეთმა იცოდა, ხოლო მამამისი უგერშოდ, უკვალოდ დაიკარგა; არავინ იცოდა ცამ უყო პირი თუ დედამიწამ. სერეფენია დიდხანს გლოვობდა თავის მშობლებს და ბევრჯელაც უტირნია დაყუნთებულს სადმე მივარდნილს ჯაგის პირას, ან გოხიანებში ლოდებ შუა გატურნულს. არავინ მოეპოვებოდა საწყალს ნუგეშის მცემელი: ბიძაშვილები შორს იყვნენ გაფანტულნი და ყველა თავის საქმეს ეშურებოდა. მხოლოდ ერთხელ დეიდა შეჰხვდა: დიდად მიუსამძიმრა, თვალებიდან ცრემლებიც-კი წაიწმინდა, დისწულს ერთი ტოროლაც უფეშქაშა, ანუგეშა, დაარიგა როგორ უნდა მოქცეულიყო, რომ ეცხოვრნა და სიმშილით არ მომკვდარიყო, მტერს ხელში არ ჩაჰვარდნოდა.

სერეფენიას უნდოდა გაჰყოლოდა თან თავის დეიდას, მაგრამ არ შეეძლო ჩვეულების დარღვევა: ყველა მელა თავისთვის ცხოვრობს, თავისთვის ნადირობს. ეჯავრება სხვას გაუზიაროს თვისი ნალვაწი, ნაოფლარი. ხოლო სხვის ამაგზე კი ხარბად თვალი უჭირავს. დედაც კი დიდხანს არ ინახავს თავისთან შვილებს და ცდილობს მალე შეაჩვიოს ნადირობას და მალე თავიდან მოიშოროს.

დიაღ, დეიდა გამოემშვიდობა თავის დისწულს, მელურად მოუალერსა, გადუკოცნა თვალ-პირი „ყოჩაღად მოიქეცო!“ — დაარიგა უკანასკნელად და გაუდგა თავის გზას.

ცოტა არ იყო სერეფენია დააღონა ამ გაყრამ, თუმცა მის დაღონებამ დიდ-ხანს არ გასტანა. გულიდამ მალე მოიშორა ძური სევდისა: შედგა ერთს სერზე. დაყუნთდა. მის წინ გადაიშალა თვალგადუწვდენელი მინდორი, ხშირის და მაღალის ბალახით შემკული, შიგ და შიგ ჭაობებიცაა, იქ ხომ ბევრზე უბევრესი ღალღა იცის. იქვე მიიკლაკნება მდინარე, რომლის ნაპირებს, როგორც გაწყობილი, გაწკეპილი ჯარი, სდარაჯობს ორივე ნაპირზე ჩამწკრივებული მინდვრის ჩალა-ლერწამი; ნიავის შებერვაზე ფოთლებს ერთმანერთს ახვედრებენ და ისეთ ხმას გამოსცემენ, თითქოს მართლა ეს ლერწმები ჯარისკაცები იყვნენ და აბჯარს აქექერებდენ. მერე რამდენი იხვი იცის იქა! სერეფენიას ცხოვლად, ცხადად, ნათლად ახსოვს დედამ იმ ჩალიანში ერთხელ რომ სანადიროდ წაიყვანა და ერთი მსუქანი იხვი დაითრია. როგორ გემრიელი ხორცი ჰქონდა და როგორ სიამოვნებით შაექცნენ. რა ოსტატობა იხმარა მისმა დედამ, ისიც ხომ სერეფენიას კარგად ახსოვს: ჩალიანზე მიდიოდნენ, წინ დედა მიუძღვებოდა ფრთხილად, ფეხაკრეფით, ისე რომ არაფერი ჩამა-ჩუმი არ ისმოდა, უკან სერეფენია მისდევდა. „დაიმალეო“ წასჩურჩულა დედამ და დაწვა ისე, რომ დედამიწას გაეკრა. რა იყო? რა მოხდა? — წყალში იხვები დაცურავდენ და უცდიდა, რომ ერთიც არი გამოცურებულიყო ნაპირას... მოთმინება იყო საჭირო. მართლაც კარგა ხანს მოუნდათ თმენა-ლოდინი. მართლაც ერთი მამალი იხვი წითლად და ყვითლად შემოსილის ფრთაბუმბულით მოცურდა ნაპირას. ზურგი სერეფენიას და მის დედას მიაპყრო, ხოლო თვალებს არ აშორებდა თავის ამხანაგებს. იკეკებოდა, იბერტყებოდა, ყელს ილერებდა და სწორედ ამ დროს ისკუპა სერაფენიას დედამ, დაახტა ზედ და მოუგრიხა კისერი. სერეფენია ადგილიდან არ დაძრულა, ვიდრე იხვი იქ არ მიათრია დედამ. ორივენი სიხარულით ცას ეწეოდნენ. სხვა იხვებს არც-კი გაუგიათ ეს ამბავი: არხეინად დაცურავდნენ წყალში, ნავარდობდენ, ლაღობდენ, ხოლო სერეფენია და მისი დედა შაექცეოდნენ იხვის ჯიჯიას.

როცა დედამ სერეფენიას თავმოგლეჯილი იხვი დაუგდო წინ, წარმოსთქვა: „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსაო!“ მე მიცქირე და შენც ისე მოიქეცი, — უთხრა მან თავის ქალს შთაგონებით.

მინდორს სერები მიუდევს, სადაც აუარებელი გნოლი და კაკაბი იცის. იქაც ენადირნიათ. აგერ, აგერ თითქოს მოსჩანს კიდევაც ის გორა, სადაც ერთხელ მისმა დედამ კაკაბი ინადირა. ერთ სისხამ დილაზე, როცა მთელი კაკბის გუნდი ერთის ამბით, კაკანით, განგაშით, თითქოს მეფე და დედოფალი მაყრებით, დაფაზურნით მოდიანო, შემოეფინა სერს მინდვრიდან დაბრუნებული, ჩვენ გზა შაუკარით, — სერეფენიას დედამ იმათი გეზი იცოდა, — ჩაუსაფრდით და ერთი მსუქანი კაკაბი, რომელიც წინ მიუძღვებოდა ბელადად და მისძახოდა ამხანაგებს: „აბა, აქ მომყევითო!“ ერთის შეტევით ადგილობრივ გააკავა. სხვები-კი დაწიოკებულები გაიფანტ-გამოიფანტნენ.

აგერ ის ადგილიც მინდორზე, სადაც ერთი დიდრონი ბებერი სავათი ინადირეს, გაზაფხულის პირზე, სოროში წაათრიეს და მთელი ერთი კვირა საზრდოობდნენ. აუარებელი სავათის და წეროების გუნდი იცის აქ შემოდგომით და გაზაფხულობით. ისეთ ადგილს ირჩევენ დასასხდომად, მისაპარები არა აქვს, დუზი მინდორია. მაგრამ სერეფენიას დედა დიდი ოსტატი იყო და ეს ოსტატობა ძველის-ძველად მამა-პაპიდანვე ჰქონდა შესწავლილი. მაშ რა ხერხი უნდა ეხმარა სერეფენიას დედას? სხვა რომელი, თუ არა დროსა და გარემოების შესაფერი. რომ მიახლოვებოდა სავათების გუნდს, უნდა იმათ დაჰმსგავსებოდა. ამიტომ თავისი სერეფენია დამალა ხშირს ბალახებში, თითონ გაიფხორა, კუდი ამოიკაუჭა და პირუკულმა წავიდა სავათის გუნდისაკე. ცოტა შორიდან რომ დაგენახათ, სა-

ვათებში ვერ გამოსცნობდით. თითონ სერეფენიამაც ბევრი იცინა, რაკი ცოტას ეაჰშორდა დედა. „ძალიან ოსტატობაა! მეტი-ღა იქნება?!“ — ამბობდა სერეფენია და თან ფხიზლად ადევნებდა თვალს ყოველს დედის ნაბიჯს და მის მოძრაობას. სერეფენიას დედა, რამდენიც გაჰშორდა თავის შვილს, უფრო და უფრო სავათს ეაემსგავსა. თითონ სავათებიც არხეინად დადიოდნენ მწვანე მინდორზე და ახალს ნორჩს მწვანე ბალახს ჰკორტნიდენ... სერეფენიას დედა გუნდს დაუახლოვდა. ასე იქნება ოც ადლზე... სავათებმა თავი აიღეს. საშიშროება იგრძნეს. როგორც ეტყობოდათ გაისაჩინეს საძმოდ მისული ვითომდა თანამემამულე. სერეფენიას დედამ ეს თითონაც იგრძნო, მაგრამ ჯერ საქმე წაგებული არ იყო. იგი უცბად შემოტრიალდა და გაექანა სავათებისაკენ და ვიდრე ისინი მოასწრობდენ აფრენას და დიდრონი ტანის ალახლახებას, ის უკვე იმათ წრეში ტრიალებდა. ბევრმა მოასწრო აფრენა, ხოლო ერთმა ვერ მოასწრო. თუმცა იმანაც აიწია, დედამიწას ასცდა, მაგრამ მელა სწვდა ამ დროს და ჩამოათრია. სერეფენიამ აქამდის შეკავებული სიცილი ეხლა ვეღარ შეიკავა და გიჟივით გაიკისკასა, ისე მოეწონა და გაუკვირდა თავის დედის ოსტატობა. რამდენჯერმე გადაგორდ-გადმოგორდა, თან იცინოდა. ბოლოს ისიც დედასთან გაექანა, მიიჭრა მასთან და გამარჯვება მიულოცა. ჯავარ-ქალი (ასე ერქვა სერეფენიას დედას) უკვე სავათს მოათრევდა ახეგაბრწყინებული.

— დამინახე? — ჰკითხა მან სერეფენიას.

— როგორ არა. თვალს როდი გაშორებდი. მეტი ყოჩაღობა შეუძლებელია.

— ჰო და შენ ეგრე მოიქეცი, გესმის?! — სთქვა ჯავარ-ქალმა, — მოდი. ჩასვიდე შენც კბილი ფრთაში, ემაგრე... — სერეფენიამაც ჩაუყარა კბილები და ორივენი ნადავლით გაექანნენ სოროსაკენ.

მინდორს ბოლოზე ჭალა მიუდევს ბარდიან-ღიჭიანი, დაბურული. ერთ ღამეს ერთმა მამალმა ხოხობმა რამდენი აწვალა ორივენი... იმასთან-კი ვერ ვასჭრა ჯავარ-ქალის ხრიკებმა... ხოხობმა მასხარად აიგდო. მთვარიანი ღამე იყო. ხოხობი უსურვაზით გახლართულს მუხის ბონცვერზე შეუფრინდათ და ჯავარ-ქალიც მიუჯდა ქვეშიდან და თვალებაპრიალებული შესჩერებოდა, პირში ნერწყვი მოსდიოდა... ხოხობიც კისერჩამოძაბული ჩამოსჩერებოდა და ხამუშ-ხამუშ წაიღურტულებდა, თითქოს ეუბნებოდა: „რა გნებავს, ქალბატონო, მელიავ, ჩემი ხორცი?.. ჰმ! ვერ მოგართვი, ვერ! ამობძანდით ხეზე, აბა გაბედე!.. მე აოსად არ წავალ, იცოდე. ემაგრე გული უნდა გაგისიოვო!“.

ჯავარ-ქალი ხან თავს იმკვდარუნებდა, ხან ეთამაშებოდა, შეხტებოდა მაღლა, კამარას აკეთებდა ხოხობის ცხვირწინ, კუდს გადაუქნევდა — რა არი, ეგები ჩამოვიტყუო დაბლა და კისერში ვტაცოვო, მაგრამ ამაოდ... მაინც დილა რო გათენდა, ერთი კურდღლის ბაჭია ინადირეს... ყველა ესენი მოაგონდა სერეფენიას და გულში იმედი გაეღვიძა, ამბობდა: „ღმერთი უხვია, მთა და ბარი სავსეა სარდოთი, ტყე და მინდორი, მხოლოდ კაცი უნდა გაისარჯოს“. იმედი მოეცა, რომ სიმშილით არ მოკვდებოდა... სიამოვნობდა თვალწინ გადაშლილი სურათით. წავიდა მერე სერ-სერ, სოროსკე მიდიოდა...

დიდი უსიამოვნება შეემთხვა სერეფენიას: მის მამა-პაპეულ სოროში რომ თავი შეყო შესაძრომად, ღრენა შემოესმა, სერეფენია შედრკა, უკან დაიხია. ორმა ცეცხლივით მოპრიალე თვალებმა შეაკრთო იგი — დიდი, ულვაშ-გრძელი, ცხვირ-გრძელი ხვადი მელა დაბინავებულიყო მის სოროში. სოროს ძალად-პატრონი ჯერ გაწყრა, სერეფენიას გაუჯავრდა:

— ეი, ვინა ხარ მანდ, სად მოაფლაშუნებ? ვის სახლში, ვის კერაზე მოსდი-ხარ დაუპატიჟებლადო?! — დაიყვირა შიგნიდან, მაგრამ როცა სერეფენია კარ-გად გაარჩია, მეტისმეტად მოეწონა მისი ტანის მიმოხვრა, თვალ-წარბი, კოხტა კუდი, მბზინავი, მოშავფრო ბეწვი, პატარა კოხტა ფეხები...

— მობძანდით, ქალბატონო, მობძანდით, თუმცა ოჯახში მჭიდროობაა, მაგ-რამ მოვხერხდებით, როგორც იქნება, ვიცხოვრებთ. — სთქვა ბოლოს როსტო-მელამ.

სერეფენიას ტანში ჟრუანტელმა დაუარა: — ეხლავე, შენ ნუ მომიკვდები. ღიაღ! — სთქვა სერეფენიამ: — შენთან რა საქმე მაქვს, რო ვიცხოვრო? თუ შეიძ-ლება, სახლი დამიცალე, სახლი ჩემის მამა-პაპისა და მე თითონ მეცოდინება, როგორც ვიცხოვრებ. საიდან მოთრეულხარ? ვინა ბრძანდები? თუ კაი კაცი ხარ, რატომ თავისი საკუთარი ბინა არა გაქვს? სხვის ბინას რად ისაკუთრებ? მო-შორდი მანდედან! შორს, შორს! შორს გაისეირნე!

— რად მიწყრები, ქალოჯან! ნუ გამიწყრები, გეთაყვა, ღმერთმა დამიფაროს მე ვისმე ბინას შავეცილო! ან რად მინდა? სახლებისა და ბინის მეტი რა მაქვს? ისეთი სახლები მიდგია, თვით ლომიც, ჩვენი მეფეც კი არ დაიწუნებს საცხოვრებ-ლად. მე სხვადასხვა ალაგას ცხოვრება მიყვარს და ეს საჭიროც არის ჩვენთვის, როგორც თქვენც კარგად მოგეხსენებათ. თქვენი ბინა მე უპატრონო მეგონა და რაკი თქვენა ბრძანდებით პატრონი, რა მეთქმის? მობრძანდით. მე ვაქკაცი ვარ. შეურცხვეს იმ ვაქკაცს ულვაში, რომელმაც იკადროს დედაკაცის დაწიოკება... შუახნის კაცი ვარ, მთელი სამელეთი მიცნობს და ერთიც ვერ იტყვის ჩემს ური-ბობას, ერთი მომდურავი არა მყავს და ნუთუ ეხლა შენისთანა ტურფა, შვე-ნიერი ბოგონა შემოვიმდურო? მოვკვდე მაშინ, ღმერთმა ნუ მაცოცხლოს! — ხვადი მელა სოროს კარებზე იდგა და თავმოკატუნებით ამას ეუბნებოდა სერეფენიას.— რას დაფიქრდით, სწორედ მოგახსენებთ, იკითხეთ, თუ ეს ტყუილია? მე გახლა-ვართ როსტომ-მელა.

— შენ გიშველა ღმერთმა! — გადაუხადა სერეფენიამაც მადლობა, ხოლო არ მოეწონა ხვადი მელა და უნდოდა მისი თავიდან მოშორება.

— შენ ტურფავ და ლამაზო, — განაგრძო კვალად ხვადმა მელამ: — ჯერ გა-მოუცდელი ხარ. ახალგაზრდა, უპატრონოდ, უამხანაგოდ ყოფნა ხელს არ მოგ-ცემს. აბა, კარგად იფიქრე: ათასი ავაზაკი დაიარება დედამიწის ზურგზე და, ვინ იცის, რა უბედურებას შეგამთხვევენ! არ არის ეგრე? მიკვირს ან აქამდის როგორ გადაურჩი ბოროტ ქვეყანას... შენთვის ხელმძღვანელია საჭირო.

— მე თითონ გახლავარ ჩემი თავის ხელმძღვანელი, სხვის ხელმძღვანელობა საჭირო არ გახლავთ. — მიუგო სერეფენიამ: — ან რომელ ხელმძღვანელობაზე ბრძანებთ?

— ჰმ! — წაიდუდუნა ხვადმა მელამ: — ვაჰმე, როგორ გამოუცდელი ბავშვი ხარ! როგორ? მაშ უხელმძღვანელოდ, უპატრონოდ რა გეშველება? ხომ გტაცა ვინც უნდა ხელი და წაგათრია თავისთან? ხომ მუდამ სარდოსაც ვერ იშოვი?.. იმას რა სჯობია, ჩემთან იცხოვრო ერთად, მშვიდობიანად, დაბრძანდე გერმის ლეიბზე და მზა-მზარეულად მოგდიოდეს სასმელი და საჭმელი... არც ვისი შიში გქონდეს, არც რიდი. — სთქვა რა ეს, ხვადი მელა მხართეძოზე შემოწვა და ცა-ლი თათი თავ-ქვეშ ამოიდო. თვალს კი სერეფენიას არ აშორებდა.

— ვისგან უნდა მოველოდე ამ მოწყალებას? — შეეკითხა კვალად სერეფენია.

— ვისაც ღმერთმა შეგყარა. ხომ იცი, თუ წერა არ არის, არაფერი იქნება? აბა, ერთი კარგად იფიქრე, ან მე რამ მომაგონა შენს სოროში დაბინავება, თუ აქ ღვთის განგება არ მუშაობს? იფიქრე, თუ ასე არ არის?! როგორც გატყობ, ობოლი უნდა იყო. — განაგრძო როსტომელამ.

— მერე? შენ უნდა გამიცოცხლო მშობლები?.. კაი ნუგეშია!.. — სთქვა სერეფენიამ.

— არა. მე ღმერთი არა ვარ, მკვდრის გაცოცხლება შემეძლოს, ხილო მეგობრობა კარგი შემიძლიან, შენთვის თავს დავდებ, მოვკვდები, თავს შემოგევლები... ბინისთვის კი არ გეფერები. ნუ გგონია, არა! მე შენ მომეწონე. დაგინახე თუ არა, შემიყვარდი, ძალიან შემიყვარდი... ერთი პირი ცოლ-შვილი დამეხოცა... მეც ობოლივითა ვარ მიტოვებული ამ წუთისოფელში... ბევრჯელ მარტოკა ვტირი: მომაგონდება წარსული ბედნიერება და მთელის ტანით დავიშლები... აახ! როგორ უდროვო-დროს მიღალატა ბედმა, დამჩაგრა ღმერთმა! — როსტომელამ ცრემლები წაიწმინდა. — შენ თუ ეწამლები ჩემს დაწყლულებულს გულს, სხვა არავინ... უბედური ვარ, უბედური, შემიბრალე, შენი ყურმოჭრილი ყმა ვიქნები...

— ერიჰაა!.. კაი ამბავია?! მე სახლიდან გითხოვ და შენ ცოლად გამომყეო, იმას მეუბნები: ძალიან საცინელია და ძალიან საკვირველი. ნეტა ერთი გარეშე ვინმე მაინც გვიგდებდეს ყურსა. რამდენს იცინებდა. არა, ძალიან საცინელია, განა?! ხევსურს შინ არ უშვებდენ და ის მაინც ამას იძახოდა: „ფარ-ხმალი ზემოთაროს დამიკიდეთო!“ ე მანდედან დამეკარგე, თორემ მე ვიცი, როგორც შეგიბრალებ, შე წუწიანო, გადაყრუებულო! ჩქარა სახლი დამიცალე, თორემ, ღმერთმანი, მთელს ქვეყანას თავს დაგცემ. ოხერი კი ნუ გგონივარ მართლა!..

— მიბძანდი, ქალბატონო, ემანდ შენ, ემანდ შენი სახლი!.. დავაშავე: ერთიორი ღამე გავათენე, შენც მაპატიე და ღმერთმაც მაპატიოს... ხომ არ დამარჩობ, დალოცვილო! კედლები არ შამიჭამია, ბოძები არ დამიჭრია. — ამბობდა როსტომელა თავმოკატუნებით. — ღმერთს ასე საწყლად, უბედურად ყოფნა ღაუწერია ჩემთვის და მეც უნდა მოვითმინო... ვეგდები ჩემთვის საწყლად და ვნახოთ, თუ შენ ღმერთი ხელს მოგიმართავს და რამე ხეირს შაეყრები. მშვიდობითა ბრძანდებოდეთ. ღმერთმა ხელი მოგიმართოს, გაგაბედნიეროს. თუ რამ ჩემ-ს სიბრიყვით გაწყენინე, კარგო, ლამაზო, მომიტევე. — სთქვა როსტომელამ, დაუკრა სერეფენიას თავი და თავის გზას გაუდგა. — იქნება ვეღარა ვნახოთ ერთმანერთი, მოვკვდე სადმე ოხრად, მომიგონე მაინც, შენის მშობლების განათლებას და შენდობა შემომითვალე... მშვიდობით, მშვიდობით! — მიაძახა ბოლოს ჟამს როსტომელამ ისეთის ხმით, თითქოს გული აიყარა და სამუდამოდ ეთხოვებაო.

სერეფენია თავის მამა-პაპეულს ბინაში დასახლდა.

III

ეს ამბავი შემოდგომის პირზე მოხდა. მალეც დაზამთრდა. სერები, მინდორი თეთრად იყო გადაპენტილი. ზედ ნიავი ლაღად დასეირნობდა და ღუღუნებდა. ფრინველები შეცოტავდენ, სანადირო შემცირდა. სად იყო როსტომელა? ნუთუ დაივიწყა თავისი სატრფო?.. არა. მუდამ-ღამე სერეფენიას სოროს გარშემო უვლიდა, მხოლოდ ისე, რომ არ შეჰმჩნეოდა... დღეც გაივლიდა ხოლმე სოროს შორი-ახლოს და ისე აჩვენებდა თავს სერეფენიას, ვითომც არ უყვარდა, არაფრად აგდებდა. თავის ბუთქვი კუდით დაცანცარებდა მინდორზე, ხანდახან პირდაპირ სერზე დაყუნთდებოდა და იქიდან ადევნებდა თვალს თავის სატრფოს, ხანდახან სიმღერასაც შემოსძახებდა:

„სატრფოვ, ჰეი, სატრფოვ,
წყლულო გულისა,
მომნიჭებელო სიხარულისა!..“

სერეფენიაც თანდათან თვალ-ყურს ადევნებდა და წინანდებულად აღარ ეჯავრებოდა როსტომელა, რადგან ზრდილობიანად ეპყრობოდა იგი და არაფერს ცუდს არ ჰკადრებდა. პირიქით, ძღვენსაც კი უზიდავდა: დილით ჰნახავდა სერეფენია, რომ სოროს კარებზე ხან კაკბის ნახევარი ასო ეგდო, ხან კურღლის ბარკალი, ხან იხვისა; ერთხელ მთელი გნოლიც კი მოეტანა როსტომელას. „ეს რა აშბავია?! — ამბობდა თავისთვის სერეფენია: — აქამდის ჩემთვის ძღვენი არავის უზიდნია. ეს რა მწყალობელი გამომიჩნდაო? ეს სწორედ როსტომელას ეშმაკობა იქნება. ღმერთმა უშველოს ჩემი შველისთვისო"... „ჰაი, დიდი ვინმეა ეგ როსტომელა! საქმეს საიდან იკეთებს? როგორ მეფერება? არ უნდა იყოს ურიგო ადამიანი! საწყალი!" — იტყოდა ხშირად თავისთვის სერეფენია, როცა მინდორზე მოსეირნეს თვალს მოჰკრავდა.

როსტომელა თავს ისე აჩვენებდა, ვითომ ძღვენი იმის მიტანილი არ იყო, მაგრამ სად დაიმალებოდა: როსტომელას კვალი თოვლზე კარგად ეტყობოდა, სერეფენიაც მის ნაფეხურს კარგად იცნობდა. მხოლოდ ულვაშს ქვეშ იცინოდა: „მოიცა, ქალბატონო, ვნახოთ, ბოლო რა იქნება? ვნახოთ, იქნება მეხვეწებოდე: შენ გენაცვალე ჩემთან იცხოვრე, შენს მეტი ქმარი მე არ მინდაო!".

როსტომელას მხრით ამ ძღნობამ მთელი ორი თვე გასტანა. სერეფენიას გულში ხშირ-ხშირად ძღვნის მირთმევით მადლობის გრძნობას ამრავლებდა. მისვლით ჯერ არ მიდიოდა, ხოლო მარჯვე დროს უცდიდა, რომ სერეფენიას ხმა არ ამოეღებოდა და ძალაუნებურად მიიწვევდა როსტომელას.

ეს დროც დადგა. ერთ ღამეს საშინელი ცუდი ტაროსი იდგა: სთოვდა, ქარი მოზუზუნებდა მინდორზე, ნამქერისა საზარელი კორიანტელი იდგა. ქარი ჯოყრებსაც კი ჰგლეჯდა, ნამქერში ურევდა და ჰაერში ჯარასავით ატრიალებდა. აი ეს დრო სცნო როსტომელამ მარჯვე დროდ და მიადგა სერეფენიას სოროს კბილების კაწკაწით: „სოროს პატრონო, ოჯახის პატრონო, — ყვიროდა გარედან როსტომელა: — მიმიღე შენი ღვთის გულისათვის, მოიღე წყალობა, აღარა მაქვს საღსარი, ეს არის ვკვდები. სული ყელში მომებჯინა. ღმერთი იწამეო!"

სერეფენია ჯერ ორჭოფობდა და შემდეგ კი, რა იცნო როსტომელა, დაუძახა შიგნიდან: — ვინ ხარ, რა სულიერი ხარ?

— მე ვარ, გენაცვალე, როსტომელა, შენი ღვთის გულისათვის, ნუ მიმცემ სიკვდილს პირში, ნუ გამჰხდი ეშმაკის კერძად.

— შენა ხარ? კიდევ შენ? — მოისმა სერეფენიას ხმა.

— დიახ, მე გახლავარ, მე — იძახოდა კბილების კაწკაწით და ყბების ბაგბაგით როსტომელა.

— ცეცხლი და ნავთი შენს თავს! — მოისმა ხმა შიგნიდან.

— ანგრე, თუ ცუდი კაცი ვიყო. — სთქვა კვალად როსტომელამ.

— მოდი, მოდი. რა გიყოს კაცმა. — ეუბნებოდა სერეფენია დაბალის, ათრთოლებულის ხმით, სოროს კარებზე მომდგარი: იღბალი შენი, რომ ავი დარია, თორემ შენ ჩემს სოროში ბინას არ მოგცემდი...

— გმადლობთ, გენაცვალე, გმადლობთ... — ამბობდა როსტომელა და თანაც სოროში მიბობღავდა: — მე კარგად ვიცი, რომ თქვენ ღვთისნიერი და ლმობიერი გულის პატრონი ბრძანდებით, თორე განა სხვაგან არ წავიდოდი სტუმრად!

— თითქო იმას იკვეხოდი, ვაებატონო, ასეთი და ისეთი სახლ-კარი მიდგაო? რა გიჭირს, რატომ თავი იქ არ შეაფარე? — ჰკითხა დამცინავის კილოთი სერეფენიამ.

— ჩემი სახლ-კარი შორს არის, ქალბატონო, იქ მინამ მივიდოდი, თითქმის სულიც ამომხდებოდა...

[1909]

I თავი. 13 „გაბედა“-ს შემდეგ გადახაზულია „შიგ შე“. 19 „გასროლინა-თო“-ს შემდეგ გადახაზულია „ცოტა რამ სერეფენიას წარსული ცხოვრებიდან (მისი ბიოგრაფია)“.

II თავი. 2 „იყო“-ს შემდეგ გადახაზულია „ასე ნადირობა“; „შაეძლო“-ს შემდეგ გადახაზულია „მტერსა და მოკეთეს არჩევდა“ და ზევით აწერია „ნადირობა, მოკეთისაგან მტრის გარჩევა“. 16 „გაჰყოლოდა“-ს შემდეგ გადახაზულია „და“; „მაგრამ“-ს შემდეგ გადახაზულია „უბედურება ის“. 25 „მალე“-ს შემდეგ გადახაზულია „გადიყრეინა“, შემდეგ დაუწერია „მოიგდებინა“, რომლის ბოლო ნაწილი „გდებინა“ გადაუხაზავს და ზევით დაუწერია „შორა“. 27 „ბალახით“-ს შემდეგ გადახაზულია „შე დ“; „ჭაობებიცაა“-ს შემდეგ გადახაზულია „სადაც მრავლად არის ღალღა“ და ზევით აწერია „იქ ხომ“. 30 ისეთ] ჯერ დაუწერია „ისეთი“, შემდეგ ბოლო „ი“ გადაუხაზავს; „მართლა“-ს შემდეგ გადახაზულია „ჯარი იყოს და აბჯარს აყღერ“. 32 „აყღერებდენ“-ს შემდეგ გადახაზულია „რამდე“. 33 ახსოვს] ახსონს. 39 გამოცურებულიყო] ჯერ დაუწერია „გამოცურებოდა“, შემდეგ გადაუსწორებია „გამოცურებულიყო“-დ. 40 „მოუნდათ“-სა და „ლოდინი“-ს შორის ჩამატებულია „თმენა“. 45 „დაძრულა“-ს შემდეგ გადახაზულია „თუ“. 46 „არც“-ს შემდეგ გადახაზულია „გა“. 49 „დაუგდო“-ს შემდეგ გადახაზულია „ზე“; „წინ“-ს შემდეგ გადახაზულია „ეს“. 53 „ერთ-ხელ“-ს შემდეგ გადახაზულია „დ“; 54 „ინადირა“-ს შემდეგ გადახაზულია „სის“. „განგაშით“-ს შემდეგ გადახაზულია „მხოლოდ დელი და დაფა-ზურნა-ღა აკლ-დათ“ და ზევით აწერია „თითქოს მეფე და დედოფალი მაყრებით, დაფა-ზურნით მოდიანო“. 56 „შემოეფინა“-ს შემდეგ გადახაზულია „მინდვ.“; „შაუკარით“-ს შემდეგ გადახაზულია „დდედ“. 61 „ინადირეს“ შემდეგ გადახაზულია „ეს გა-ზაფხულზე და მოხდა“ და ზევით აწერია „გაზაფხულის პირზე“, მის გვერდით გადახაზულია „მთელი ერთ“, შემდეგ ზევით დაწერილი სტრიქონი კვლავ გრძელდება: „სოროში წაათრიეს და მთელი ერთი კვირა საზრდოობდენ“. რ „მამა პაპიდანვე“-ს შემდეგ გადახაზულია „მომდინარეობ“ და ზევით აწერია „ჰქონდა შესწავლილი“. 68 „დაჰმსგავსებოდა“-ს შემდეგ გადახაზულია „თავის“. 70 პირუკუღმა] ჯერ დაუწერია „უკუღმა“; შემდეგ წინ ჩაუმატებია „პირ“; „გუნდისაკენ“-ს შემდეგ გადახაზულია „შე“; შორიდან] ჯერ დაუწერია „მოშორებით“, „მო“ გადაუხაზავს და გადაუსწორებია „შორიდან“-ად. 71 „იცინა“-ს შემდეგ გადახაზულია „როცა შორი-ახლოდან“ და ზევით აწერია „რაკი ცოტას გაჰშორდა“. 73 „და“-ს შემდეგ გადახაზულია „ფ“; „ყოველს“-ა და „ნაბიჯს“ შორის ჩამატებულია „დედის“. 74 „შვილს“ შემდეგ გადახაზულია „იმდენად“. 77 „იქნება“-ს შემდეგ გადახაზულია „ათ“. 78 „მისული“-ს შემდეგ გადახაზულია „სტუმარი“ და ზევით აწერია „ვითომ და თანამემამულე“. 80 „აფრენას“ შემდეგ გადახაზულია „ის“. 82 „ხოლო“-ს შემდეგ გადახაზულია „ერთმა“ და გვერდით კვლავ წერია „ერთმა“. 83 „მელა“-ს შემდეგ გადახაზულია „ა“. 85 „ოსტატობა“-ს შემდეგ გადამკვეთი ხაზებით გადახაზულია ოთხი სტრიქონი: „ცხოვრობს, ჯგუფად ყოფნა ეჯავრებათ, ვინც მას შოულობს და პოულობს თითონ გიახლებათ, სხვისთვის არაფერი ემეტებათ. დედაც კი დიდხანს არ ინახავს თავისთან შვილებს და ცდილობს მალე ნადირობას, სარდოს პოვნას შეაჩვიოს შვილები და მალე თავიდან მოიშოროს“. (ეს სტრიქონები შინაარსის მიხედვით უფრო ადრინდელ ამბავს შეეხება. ავტორსაც ადრე უნდა ჰქონდეს დაწერილი და გადახაზული. ქალალდის ეკონომიისათვის ეს გადახაზული გვერდი კვლავ გამოუყენებია). 87 „ჯავარ-ქალი“-ს შემდეგ გადახაზულია „ას“. 95 „ხოხობმა“-ს შემდეგ გადახაზულია „სასაცილოდ“. 102 „იცოდე“-ს შემდეგ გადახაზულია „ეგრ“-

105 კისერში] კისერი. „მაინც“-ს შემდეგ გადახაზულია „მეორე დი“. 107 „სარ-
დოთი“-ს შემდეგ გადახაზულია „ოლინდა“; „მინდორი“-ს შემდეგ გადახაზულია
„სარდოთი არს სავსე“. 112 „დიდი უსიამოვნება“-ს წინ გადახაზულია „ერთხელ
მოინდომა სერეფენიამ თავის სოროს ნახვა, სადაც იგი გაიზარდა“. 119 „დაუ-
პატიჟებლადო“-ს შემდეგ გადახაზულია „ძახოდა“. 121 „ოჯახში“-ს შემდეგ გა-
დახაზულია „ვი“. 122 როსტომელამ] ჯერ დაუწერია „ხვადმა მელამ“, შემდეგ
„ხვადმა“ გადაუხაზავს და ზევით დაუწერია „როსტო“. 128 „ისაკუთრებ“-ს შემ-
დეგ გადახაზულია „შორს, დაიკარგე მანდედან“. 131 „ვისმე“-ს შემდეგ გადახა-
ზულია „სახლი წავართვა“ და ზევით აწერია „ბინას შევეცილო“. 132 „ისეთი“-ს
შემდეგ გადახაზულია „ბინ“; „სახლები“-ს შემდეგ გადახაზულია „მე მაქვს“ და
ზევით აწერია „მიდგია“. 137 „ვარ“-ს შემდეგ გადახაზულია „კაცი დავბერდი“
და ზევით აწერია „შუა ხნის კაცი ვარ“. 146 „უპატრონოდ“-ს შემდეგ გადახა-
ზულია „ყო“. 150 გახლავარ] ჯერ დაუწერია „გახლავართ“, შემდეგ „თ“ გა-
დაუხაზავს. 158 მხართეძოზე] ჯერ დაუწერია „მხარე“, შემდეგ „ე“ გადაუხაზავს
და გვერდით მიუწერია „თეძოზე“. „სერეფენიას“ შემდეგ გადახაზულია „ვის-
გან უნდა მოველოდე ამ მოწყალებას“. 160 „მოწყალებას“ შემდეგ გადახაზუ-
ლია „სთქვა“ და ზევით აწერია „შაეკითხა“. 161 „იცი“-ს შემდეგ გადახაზულია
„უმწერლოდ“ და ზევით აწერია „თუ წერა არ არის“. 173 „ბედმა“-ს შემდეგ
გადახაზულია „და“. 174 „თუ“-ს შემდეგ გადახაზულია „მიშველი რასმე თორემ
სხვა საშველი არ არის?“ და ზევით აწერია „ეწამლები ჩემს დაწყლულებულს
გულს“. 192 „და“-ს შემდეგ გადახაზულია „გასწია“ და ზევით აწერია „თავის
გზას გაუდგა“. 196 სერეფენია] ჯერ დაუწერია „სერეფენიამ“, შემდეგ „მ“ გა-
დაუხაზავს.

III თავი. 2 „ეს ამბავი“-ს წინ გადახაზულია „დაზამთრდა“. 7 „უყვარდა“-ს
შემდეგ გადახაზულია „და“; „არაფრად“-ს შემდეგ გადახაზულია „მიაჩნდა იგი“ და
ზევით აწერია „აგდებდა“. 13 „სიხარულისა“-ს შემდეგ გადახაზულია „და სხვა“.
18 „როსტომელას“ შემდეგ წვრილი ასოებით არის ჩამატებული „ეს რა ამბავია?“
ამბობდა თავისთვინ სერეფენია: აქამდის ჩემთვის ძღვენი არავის უზიდნია. ეს
რა მწყალობელი გამომიჩნდაო“. (ამის შემდეგ ჩამატება გადატანილია მარცხენა
თავისუფალ არეზე). „ეს სწორედ როსტომელას ეშმაკობა იქნება. ღმერთმა უშვე-
ლოს ჩემი შველისათვისო“. 31 „გულში“-ს შემდეგ გადახაზულია „მა“; „ამ-
რავლებდა“-ს შემდეგ გადახაზულია „სა“, „დროს უწვერავდა, ისეთს დროს,
„რომ“ და ზევით აწერია „საწ“. ისიც გადახაზულია და მის გვერდით წერია „მი-
სვლით ჯერ“. 35 „მინდორზე“-ს შემდეგ გადახაზულია „ყველა სულ“; ნამქერი-
სა] ნამქერსა; შემდეგ გადახაზულია „საშინე“. 39 როსტომელა] ჯერ დაუწერია
„როსტომელას“, შემდეგ „ს“ გადაუხაზავს. 45 „ხარ“-ს შემდეგ გადახაზულია „მო“.
50 „კაცმა“-ს შემდეგ გადახაზულია „უთხრა“. 51 „რომ“-ს შემდეგ გადახაზულია
„ამისთანა დრო“. 58 „მიდგაო“-ს შემდეგ გადახაზულია „რა“; რა] არ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარჩევი

სვავი 4
ამოდის, ნათდება 12
მოჩვენება 16
მწყერი 21
კლდემ მხოლოდ ერთხელ სთქვა 25
ქუდოვანი 28
ვერხვი 40
ჟოლი 45
ამირანის ხმალი 49
მგელი 52
ორი ამბავი მეფე ერეკლეზე მთაში დარჩენილი 56
ნაპრალნი 60
შობის წინა ღამე ტყეში 66
პაპას მსოფლიო ფიქრები 71
ოცნება 79
არწივი 84
სიზმარი ობლისა 90
კოდალა 93
ყორანი 97
ლექსოს სამწყემსო 104
ეძმოს-ძმა 111
ირემი 123
ჩემი შავარდენი 128
ლმობიერი მონადირე და ირმის გონიერება 134
ესურვაზის დასჯა 138
ცრუპენტელა აღმზრდელი 143
სათაგური 174
ნადირთა პატრონი 190
ერთი უყურეთ ტყესა — და 197
ეშმაკი 200
ახალი წელი ფშავში 205
დიდებული საჩუქარი 209
ბერდიხა 236
ძალლმა ციკანი მოიგო 245
როგორ გაჩნდნენ ბუები ქვეყანაზედ 251
დათვი 259
მელია-სერეფენია 272
ვარიანტები, შენიშვნები 281

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი ნ. ელენტი
მხატვარი თ. ყუბანეიშვილი
მხატვრული რედაქტორი გ. გორდელაძე
ტექრედაქტორი ვ. ხუციშვილი
კორექტორი ე. მაისურაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/VII-64 წ. ქაღალდის ზომა 60×90¹/₁₆. ნაბეჭდი თაბახი 21,25. საალრ.-საგამომცემლო თაბახი 20,14.
ტირაჟი 15.000 შეკვ. № 353.

ფასი 1 მან. 11 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო". თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.
Комбинат печати. Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Важа-Пшавела

Полное собрание сочинений
в десяти томах

Том VI

(На грузинском языке)

Издательство
«Сабчота Сакартвело»
Тбилиси, ул. Марджанишвили, 5
1964

ეროვნული
ბიბლიოთეკა